

მ ე ს ე ლ ე ბ ი
საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

VIII

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт Истории им. И. А. Джавахишвили

საქართველოს
ისტორიის ინსტიტუტი

МАТЕРИАЛЫ
ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ
Materialien der Ethnographie Georgiens

VIII

Л. БОЧОРИШВИЛИ

СТАТЬИ ПО ЭТНОГРАФИИ

L. BOTSCHORISCHWILI

ETHNOGRAPHISCHE BEITRÄGE

Издательство Академии Наук Грузинской ССР

Тбилиси—1956

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

VIII

დ. გოჭრიშვილი

ეთნოგრაფიული ნაწარები

მევენახეობა კახეთში

საქართველო, როგორც ჩანს, ძველი დროიდანვე მევენახეობის კლასიკურ ქვეყნად ყოფილა მიჩნეული. ბერძენი და რომაელი მწერლების თხზულებებში, იბერია-კოლხეთისათვის დამახასიათებელ სხვა მნიშვნელოვან ამბებთან ერთად, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ცნობებიც არის წარმოდგენილი. ქართული მევენახეობის მაღალი დონის მაუწყებელ ცნობებს ქართულ წერილობით ძეგლებშიც ვპოულობთ, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ამ საპატიო მცენარის გამოსახულებებს ქართულ ფრესკებსა და ბარელიეფებზედაც ხშირად შევხვდებით.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციის სიღრმეს საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლაც ნათელყოფს. მევენახეობით ცნობილ კუთხეებში მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული ძველებური წესები დღესაც განაგრძობს არსებობას.

ერის ეკონომიურ ცხოვრებაში ვაზს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ადგილის ნაყოფიერების ხასიათი და გეოგრაფიული დაყოფის პრინციპი ამ მცენარეულის მიხედვით ისაზღვრებოდა. ვახუშტის თვალსაზრისით, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „მიწა-წყალი ორ ნაწილად იყოფოდა: ერთს ვენახ-ხილიანი არე შეადგენდა, მეორეს კიდევ უვენახო და უხილო ზოლი ეკუთვნოდა“. ვახუშტის მსჯელობიდან ჩანს, რომ „უვენახ-ხილო ზოლი „მთური“, ანუ მთის არე ყოფილა“ და ვენახ-ხილიანი ზოლი კი ბართან ყოფილა გაიგივებული. სახელოვან ისტორიკოსსა და გეოგრაფს კახეთიც მთლიანად ვენახ-ხილიან ზოლში აქვს მოქცეული, მევენახეობა დღესაც ამ კუთხის თითქმის ყველა სოფელშია წარმოდგენილი. ვენახის დამუშავების ხალხური წესების შესწავლას წარსულ საუკუნეშივე მიექცა ყურადღება. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ამ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ყოველმხრივ გაითვალისწინა და ისტორიული წყაროებისა და მის ხელთ არსებულ ეთნოგრაფიულ მონაცემთა ღრმა ანალიზის შედეგად ქართულ მევენახეობას კაპიტალური გამოკვლევა უძღვნა¹.

ვენახის მოშენება-მოვლის კახური წესებისა და ტერმინების სრულყოფილი შესწავლა ამ კუთხის ყველა თემის ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომში კახეთის ერთი მხარის მასალა გამოყენებული და კახური მევენახეობის სურათიც, ამდენად, მხოლოდ ნაწილობრივ არის მოცემული.

კახური მევენახეობა, ჩვენ მიერ შეკრებილი მასალის მიხედვით, ჩვიდმეტნაირი ყურძნის არსებობას იცნობს²: საფერავი, რქაწითელი, მწვანე,

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, ტფილისი, 1935, მევენახეობა.

² ამ ნაშრომის ავტორს კახეთის სოფლებში ყურძნის სხვა ჯიშების შესახებაც გაუგონია, მაგრამ აქ მხოლოდ იმ ჯიშებს ასახელებს, რომელთა შესახებაც მას კვლევის ასპარეზად ქვეყნის სოფლების მთხრობლებმა აუწყეს.



შავკაპიტო, ჯანაანური ანუ ჯანაანურა, მცვიჭინძე, შავი ყურძენი, ქლია, თავკვერი, წობენური (წობანური), ბუდეშური, თითა, მხოლოდ „კუმისის“ სახელითაც ცნობილი თეთრი კუმისი ყურძენი, ბუა, ხარისთვალა („ხარითვალა“), უწიბწო ყურძენი, საკმელის ყურძენი („საკმელი ყურძენი“) და ძალღიარჭამა. აქ ჩამოთვლილ ყურძენებთან საფერავი, შავკაპიტო, შავი ყურძენი, თავკვერი და ქლია შავი ფერის ყურძენებია; რქაწითელი, მწვანე, ჯანაანურა, მცვიჭინძე, კუმის ყურძენი, ბუდეშური, წობენური, უწიბწო ყურძენი, ბუა, საკმელის ყურძენი და ძალღიარჭამა თეთრი ყურძენის ჯიშებად ითვლებიან, ხარისთვალა და თითა კი ორივე ფერის ყურძენთა შორის გვხვდებიან¹.

გამოცდილი კახელი მევენახე კარგად ანსხვავებს ერთმანეთისაგან ყურძენის ხსენებულ ჯიშებს მტევნის ფერისა, მოყვანილობისა და ვაზის გარეგნული შესახედაობის მიხედვით.

შავ ყურძენთა შორის, საფერავი ყველაზე უკეთეს ყურძენად ითვლება; ის, ერთ-ერთი მთხრობელის სიტყვით რომ ვთქვათ, „თავი ყურძენია“. საფერავის რქა, სხვა ვაზების რქასთან შედარებით, უფრო ბრტყელია, იმათებრ სიმრგვალე მას არ ახასიათებს და ამ უკანასკნელის კვირტები ანუ კვირჩხუბიც, როგორც ჩანს, უფრო ახლო-ახლოა ერთიმეორესთან მიმსდარი.

რქა ფერით წითელია, უფრო ღია ფერის წითელიც კი, ვიდრე საყოველთაოდ ცნობილი რქაწითელის რქა. მის რქას, რქაწითელის მუქ რქასთან შედარებით, „წილსავით მხიარული“ ფერი გადაჰკრავს. ამ ვაზის ფოთოლი ბრტყელია და მოწითალო. ფოთლის ფერის აღსანიშნავად, მწვანე ფერისაგან გამიჯვნის მიზნით, ზოგი მთხრობელი სიტყვა „წათეთროსა“ ხმარობს და ზოგი კი შავი ფერისაკენაც კი მიუთითებს². საფერავის მტევანი ბორჯღლიანია (მოკლეა და განიერიც) და გრძელკუფხლებიანი. საფერავმა, როგორც ამბობენ, „ძალიან იცის ყურძენის გამოტანა“ თუ ადგილი „ჯანაანია“ („მსუქანი“) და ამინდიც კარგი შეხვდა. საფერავი გამოტანილ ნაყოფს შეირჩენს და განავითარებს. „ხეხერი“ მამული კი მას ნაყოფის წესიერი დასრულების შესაძლებლობას არ აძლევს.

რქაწითელიც, მწვანესთან ერთად, თეთრი ყურძენის საუკეთესო ჯიშად არის მიჩნეული. რქაწითელის რქა წითელია „მოწითანო-მოწაბლო“, მას წაბლისფერი სიწითლე აქვს. მისი ფოთოლი მწვანეა (ლურჯი) და მრგვალი—ნაკლებად შეკრილ-შემოკრილი, დაწმინდავებულია და მკვრივი. დაკვირვებული თვალი სიმალლე-სიგანეერის მიხედვითაც შეიცნობს „რქაწითელად“ სახელდებულ ვაზს. „რქაწითელმა სწორეთ იცის წასვლა, მალა... ქიგოს აყვება პყლითა და ზედ შეეხვევა. რქაწითელის გარდა, სუყველა ვაზმა გადახახვა იცისო“—ერთხმად გადმოგვცემენ კახელი მთხრობელები. რქაწითელმა, საფერავისაგან განსხვავებით, თხლად იცის ყურძენის გამოტანა, მაგრამ ნაყოფს მსხვილს იძლევა. რქაწითელის მტევანი გრძელია და კუმისი (კუმში). ამ უკანასკნელის კუფხალიც, საფერავის კუფხლის საწინააღმდეგოდ, მოკლეა, კუმისი და ხშირი. ყუ-

¹ სოფ. ვარდისუბანში მცხ. 67 წლის მოხუცის—რამანა ზაქარიას ძე ყარაულაშვილის ცნობით, ბუდეშური შავიცა ყოფილა. ამავე მთხრობლის სიტყვით, ხარისთვალა მხოლოდ თეთრი ფერისაა.

² სოფ. კვრდელაურში მცხ. მოხუცების (73 წ.)—ნიკო რაზმაძისა და ნიკო დათიაშვილის თქმით სხვანაირი საფერავიც არსებულა, ამ ჯიშის საფერავს მწვანე ფოთოლი ჰქონია („ზოგი საფერავის ფოთოლი მწვანეა“).

რძნის შესახებდაობის მხრივ რქაწითელი ორგვარია: ერთი სახეობის რქაწითელი „მწვანესავით იწვევა“, მეორე სახეობის კი—წითლდება და ყვითლდება“¹

მწვანეს, ზოგადად რომ დავახასიათოთ ყურძნის ეს ჯიში, მწვანე აქვს რქაც, ფოთოლიც და ყურძენიც. მწვანეს რქა უფრო წაშვეწვანოა და ქორფლიანი; სხვა მთხრობლების სიტყვებით რომ ვიმსჯელოთ, მწვანეს რქას „ლურჯათ დაპკრამს“, ის „მოყვითანო-ნაცარი ფერის რქაა“. მწვანე ვაზის ფოთოლი გარკვევით მწვანეა, სიმწვანეს ის ბოლომდე ინარჩუნებს. ის შედარებით პატარაა, ბუსუსიანი და დაკუწული თითებივით დაყოფილი. მტევნის სიდიდის მხრივ მწვანე რქაწითელს ვერ შეედრება, მაგრამ ნოყიერ ადგილზე თუ მოხვდა, კარგ მტევანს გამოიტანს. მწვანე ყურძენი სამნიერი ჯიშისაა: ერთი ჯიშის მწვანე თხელსა და პატარა მტევანს იძლევა. ეს ყურძენი მრგვალმარცვალია, გემოთი ტკბილია და „ბუღმურავით კნატუნა“ („შორიდან რომ შეხედო—ბუღმური გეგონება“), შეხედულებით ყვითელია და დაქორფლილი. ეს ყვითელი მწვანეა. მწვანეს სხვა ჯიშებთან შედარებით ამისი ფოთოლი ნაკლებ მწვანეა და ნაცარიც ხშირად არ ეფინება. მცირე მოსავლიანია და, როგორც ჩანს, არც ძალიან გავრცელებული. მეორენაირი მწვანე უფრო მოზრდილსა და განიერ მტევნებს იხსამს, მასსაფერავისებრ ბორჯლიანი და მოკლე მტევანი აქვს. ამ უკანასკნელის მარცვალიც მრგვალია, მაგრამ მოლურჯო. მას „მწვანეს“ სახელწოდებით იხსენიებენ. მესამენაირი მწვანეს ნაყოფი რქაწითელის მტევანს მოავონებს ადამიანს და გრძელ მტევანს აკეთებს. რქაწითელისებრ მწვანე, როგორც გადმოგვეყვინე, მოსავლიანიც ყოფილა.

შავკაპიტო საფერავის ერთ-ერთ ჯიშად არის აღიარებული, „შავკაპიტო და საფერავი ერთიაო“—გადმოგვეყვინე სოფ. მარელისში მცხ. 90 წლის მოხუცი სიმონ გიორგის ძე ლომიძე. „შავკაპიტო“ სახელდებული საფერავი თეთრი ღვინის გასაფერადებლადაც უხმარიათ, წითელი ღვინის მოყვარული მევენახე შავკაპიტოს ღვინს, თურმე, თეთრ ღვინოს დასხამდა და ამგვარად მას ფერს შეუცვლიდა. ღვინის დაყენების ხალხური წესების გარკვევა ამამად ჩვენი კვლევა-ძიების საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ საფერავი შავკაპიტოს დახასიათებასთან დაკავშირებით შეიძლება ერთი გარემოების შესახებ მაინც მივუთითოთ: საფერავი რომ თეთრ ყურძენთა წვენი შესაფერადებლადაც იხმარებოდა კახეთის მევენახეობის შესახებ დაწერილ ზოგიერთ წერილშიც არის აღნიშნული და, როგორც მიუთითებენ, ქართლისა და რაჭის მევენახეობა-მეღვინეობისათვისაც არის ცნობილი². ეს გარემოება იქნებ საფერავის სახელწოდებას ხსნიდეს და ამ ყურძნის პირვანდელ დანიშნულებაზედაც მიუთითებდეს.

ჯანააღურა, მთხრობელთა უმრავლესობის გადმოცემით, ფოთლისა და რქისა ფერით მწვანეს მიემსავლება³. მწვანესაგან განსხვავებით, მისი

¹ ლ. ჯორჯაძე, მევენახეობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება. ხელმძღვანელობისათვის კახური ღვინის მაცნებლებისა, ტფილისი, 1876; А. Ширалов, А. Шавелов, Очерк виноградарства и виноделия Кахетии, (Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе), წიგნი VII; ივ. ჯავახიშვილი, საქ. გეონომიური ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 440, ამბ. ქედისძისა და ს. თომაძის მიერ მოწოდებული ცნობა; А. Джавахов, Город Горы, СМОИПК, вып. второй, Тифлис, 1882, стр. 84.

² სოფ. ვარდისფრანში მცხ. 67 წლის რამან ზაქარაის ძე ყარაულაშვილის „ჯანააღურა მწვანეს წვევენება, ხოლო იმას დაკუწული ფოთოლი არა აქვს. რქაც უფრო საფერავის რქას წვემსავლება ფერით“.



ფოთოლი პატარაა და ხშირი დაკუწულობაც არ გმწნევა, რუსეთის ფოთლის კუთხიანობითა და დაკუწულობით ის მწვანესთან უფრო პოულობს მსგავსებას, ვიდრე სხვასთან. ჯანაანურას მტევანი, საფერავის მტევანის მსგავსად, თხელია; ამ მხრივ ჯანაანურას და მცვივანს, თურმე, ერთგვარი შეხედულება აქვთ. ჯანაანურას ყურძენი მოთეთრო-მომწვანო ფერისაა. მისი ტკბილი და მრგვალი მარცვალი თხელქერქაა და წყლიანი, ჯანაანურას მსგავსი წყლიანობა არცერთ ყურძენს არ გააჩნია. ჯანაანურა ადრე მწიფდება, დროზე რომ არ დაიკრიფოს დაღუბება. ჯანაანურაც კარგი ჯიშის ყურძნად არის ჩათვლილი. მაგრამ იმის გამო, რომ, მალე ავადდება და სათუთ მოვლას საჭიროებს—ის თანდათან მცირდება და ქრება („ჯანაანურამ ნაცარი იცის, გოგირდი და შაბიამანი ძაან ხშირათ უნდაო“).

მცვივანს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჯანაანურასებრი გარეგნობა ჰქონია. ერთიც და მეორეც, რქისა და ფოთლის საერთო შესახედობით, მწვანესთან პოულობენ მსგავსებას.

მცვივანის მარცვალიც მრგვალია, ფერითაც მწვანეა, მაგრამ მწვანე მარცვალზე წვრილია. მცვივანიც ჯანაანურასავით ტკბილია, მაგრამ მცირეწყლიანია. ჯანაანურა თხელმტევნიანობით ხასიათდება. მტევანის სითხელის მხრივ მას ვერც ერთი ჯიშის ვაზი ვერ გაუტოლდება. „დასხმით დაინახამს და არ კი შარჩებაო“, თუ ძაან ხელი არ შეუწყვი, მარცვლები გაძცივავა“. ამ თვისების გამო დამკვიდრებია მის სახელი „მცვივანი“.

შავი ყურძენის რქა სქელია და მოყვითალო („მოყვითანო“). ფოთოლი ბრტყელია, როგორც გოგრის ფოთოლი („როგორც ტყავი“) და სქელი. ფოთლის ფერი ზოგიერთი მთხრობელის თქმით ქროლა და ზოგის ვადმოცემით კი შავია. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ჩვენ ორ სხვადასხვა ჯიშთანა გვაქვს საქმე. შავი ყურძენი მართლაც ორნაირი ჯიშისაა. ერთი გვარეობის შავი ყურძენი უფრო ბრტყელსა და შავ ფოთოლს იბამს. მას მარცვალაც უფრო მსხვილი (სქელი) აქვს და მტევანიც. მაგარი მარცვლიანობის გამო ის კარგ საქმელ ყურძნად ითვლება (თხილივით იკენტიებაო). მეორეს მარცვალი წვრილი აქვს, მტევანიც მოკლე და უფრო კუმსი. საერთოდ შავი ყურძენი, მისი ფერის ყურძენტან შედარებით, მსხვილმარცვლიანია და დიდმტევნიანი. სიტკბოთი საფერავს ჩამოუვარდება, მაგრამ ელიას აქარბებს. შავი ყურძენი „ქროლასავით იწვევა“, ზოგი მარცვალი ძლიერ შავად იწვევა (რის გამოც მას ალბათ, ეს სახელწოდება აქვს მიანიჭებული) და ზოგი კი მოუმწიფებელი რჩება.

ელია, ერთი მთხრობელის თქმით, მოთეთრო ფერის რქა-ფოთლიანია; და მეორე მთხრობელის თქმით ის საფერავისნაირია—ფოთოლიც საფერავისებრი აქვს და რქაც წითელი იცის. მსხვილი და ბორჯლიანი მტევანი იცის, მარცვალი კი მრგვალი და წვრილი. საფერავთან და შავყურძენტან შედარებით ბაცი ფერისაა, ამიტომაც არის, რომ ზოგიერთი მას წითელ ყურძნად თვლის, „ელია წითლად იწვევაო“—იტყვიან ხოლმე. მოწვევის სისრულე-უსრულობის თვალსაზრისით ელიაც ქროლა ყოფილა, ქრელი მარცვალი ჰქონია, „შაიძლება შაბედო და მკვახე გეგონოს, მოწვეული კიაო“. ელიას საფერავთან ერთად სწურავენ, მაგრამ ჰაქას არ ურევენ; „იმის წვენსა თუ საფერავში მოუშვებ უფრო ატკობს, მაგრამ დედაი კი არ ვარგა, მის ჰაქა, აამღერევსო“.



წობენ ურიც, თურმე, მწვანესა და ჯანაანურას ყაიღისაჲ. ჯანაანურას ამსგავსებს რქითა და ფოთლით, ზოგს კი შესადარებლად მწვანე მოჰყავს. კუმსი მტევანი სკოდნია და ყვითელი („მოყვითალო“, „თეთრი“) მარცვალი, „ყვითლად მაიწვეა, იტყვი: შაუღებნიათ რამეშიო“.

ბუღდეშურის რქა თეთრია და ფოთოლი კი მოყვითალოა. ბუღდეშურის ფოთოლი საშუალო ზომისაა—„ორთაშუა“ (ზოგის თქმით კი „ბრტყელი“) და წვეტიანი. ბუღდეშურის მტევანი დიდი და კუმსი, მარცვალი მოგრძოა. ბუღდეშურმა საერთოდ „სხმა ღონიერი იცის“.

თითას მსხვილი მოყვითალო რქა აქვს. მარცვალიც მსხვილია და გრძელი „როგორც ძუძუვაშლა“.

ხარისთვალა ბრტყელფოთოლა და მსხვილმარცვალა ყურძენია, მარცვლის სიდიდით ის ყველა ყურძენს ჰარბობს. ხარისთვალა მხოლოდ საჭმელ ყურძენად არის მიჩნეული, მას არა წურავენ. ხარისთვალას ჰაჰა საფერავში რომ მოჰყვეს, არა უშავს—რა, მაგრამ „რომ ერთი ფერფლი მოჰყვეს, არ იგარგებს; ფერს შაუცკლის, აამღვრევს“.

უწიბწო ყურძენი შესახედაობით თურმე ბუღდეშურს მიემსგავსება, უწიბწო ყურძენის მტევანი ძალიან დიდი და ბორჯლიანი, მტევნის სიდიდის მხრივ ის სხვა ჯიშის ყურძენთაგან გამოირჩევა.

სამელის ყურძენს გრძელი დი გაბმული პწკალი გააქვს. ამ ყურძენის მარცვალი მრგვალია, საკმელისებური სურნელება აქვს და ამგვარ სახელწოდებასაც, როგორც ეტყობა, ამის გამო ატარებს. ადრეულა ყურძენია, თუ დროზე არ დაიკრიფა დაღებდა („ღვთაშობლობას აქეთ თუ დაგკრეფამ, თუ არა—და აღარა მძღებს იმის იქით, ღებდა და ბუზი ჰქამს“).

ძალიან რქაწა მწვანესნაირი ფოთოლი და რქა ჰქონია. თვალმახარას მიმზიდველი ყურძენის მოსხმა სკოდნია, მაგრამ უგემური ყოფილა. ძალიან რქაწა ძალიან ისხამს თურმე და გამძლეობაც სრულიად განსაკუთრებული აქვს, „თუნდა არ მოჟარო, მაინც თავს გაიტანსო“.

საფერავი, რქაწითელი, მწვანე, შავკაბიტო, შავი ყურძენი, თავკვერი, ჯანაანურა, მცვივანი და სხვ. დასაწურავად გაკუთვნილი ყურძენის ჯიშებია; ბუღდეშური, თითა, ხარისთვალა, უწიბწო ყურძენი, საკმლის ყურძენი და სხვა მათი მსგავსი ფერადი ყურძენი საჭმელი ყურძენის სახეებია. ფერადი ყურძენი ვენახში შედარებით მცირე რაოდენობით არის დანერგული, ის უპირატესად მხევნად („მხევანი“, ანუ „ხევანი“) არის გაშვეებული.

საღვინე ყურძენთა შორის საფერავს, რქაწითელსა და მწვანეს პირველი ადგილი უჭირავს. შავი ფერის ყურძენებში საფერავი მეფობს და თეთრ ყურძენებში კი რქაწითელი და მწვანე ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. ზოგი მწვანეს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ჩანს, რომ რქაწითელს მაინც ვერ უტოლდება. გამძლეობის უნარი და სიცოცხლის ხანგრძლიობა რქაწითელს ყველაზე მეტი გააჩნია, ამ მხრივ მას მწვანეც დიდად არ ჩამორჩება. მიუხედავად იმისა, რომ ასწლოვანი ხნიერების მქონე ნაირსახოვანმა ავადმყოფობამ ქართულ ვაზს სიცოცხლის უნარი შეუსუსტა და მრავალ შემთხვევაში კი მთლიანად დაუკარგა, მისი გამძლეობის მაუწყებელი მემკვიდრეობა ალაგ-ალაგ კიდევ შემოგვრჩა; ასი-ასორმოცი წლის ვენახები და უცხოურ ლერწმზე დამყნობილ ვენახებში შემორჩენილი ძველთაძველი ვაზები (უპირატესად რქაწითელი და ზოგჯერ კი მწვანეც) კახეთში დღესაც შეგვხვდება.



კახელი გლეხის ცხოვრებაში ვენახს ფრიად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა; მევენახეობას გლეხისათვის, მემინდვრეობის თანაბარნი სარგებლობა მოჰქონდა. გლეხი ვენახს თვალისჩინივით უვლიდა და უფროსილდებოდა, კარგი ვენახის პატრონს თავი ესახელებოდა. უვენახოდ ის ვერ გაძლებდა, ძველი ვენახის ამოვარდნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ახალი ვენახის გაშენებას შეუდგებოდა.

კახელი მევენახე კარგად ერკვეოდა შავი მიწის, თიხა მიწის, ლამი მიწის, ტინიანი და ქვიანი მიწის თვისებებსა და სიაყვარეში, მაგრამ სავენახე ადგილის გამოჩახვის დროს ის, როგორც ჩანს, მიწის თავისებურების გათვალისწინებასა და შერჩევას ვერ ახდენდა. მთავარი ის იყო, რომ სავენახე მიწა ღონიერი და ადვილად დასამუშავებელი ყოფილიყო (და არა ხირხატი და ხეხერა), ქართული ვაზის რქა ყველა სახის ნაყოფიერ მიწაში კარგად გაიხარებდა. აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ისიც, რომ სავენახედ შერჩეული ადგილი სოფლის ვენახების ზოლში ყოფილიყო მოთავსებული და შესაფერისად შემოფარგლულიც. წესი არ იყო, რომ სავენახე ფართობი მთლიანად „გადაებრუნებინათ“, ანუ, როგორც ზოგჯერ იტყვიან ხოლმე, „ბითუმით დაებარნათ“. ვენახის გასაშენებლად განკუთვნილ ადგილზე გრძელგრძელ სამარხებს ან არხებს გაჭრიდნენ ორბარიპირზე, ან გუთნით დაკვალავდნენ. არხის „ორბარიპირზე გაჭრა“ მიწის მუხლამდე ჩათხრას გულისხმობდა. არხის სიღრმის გამოხატავსთან დაკავშირებით სახუმარო გამოთქმაც კი არსებულა: „არხი იმ სიღრმეზე უნდა გაჭრათ, რომ რქამ მამლის ყვილი არ გაიგონოს“. ორბარიპირზე გაჭრილი არხი იქნებოდა თუ გუთნის ნაკვალარი, მას დაახლოებით ერთი არშინი სიგანე უნდა ჰქონოდა. არხები ერთმანეთისაგან სამი-ოთხი „საყენით“ იყენენ დაშორებულნი; არხება შორის დატოვებული თავისუფალი ადგილი ახლად დანერგული ვაზების თანდათანობითი გადაწვევით უნდა შევსებულიყო¹. არხებში ვაზს ჩაჰყრიდნენ, საგანგებოდ შერჩეულ რქებს შიგ გარკვეული წესით ჩაალაგებდნენ და ზემოდან კვლავ მიწას წააყრიდნენ. ვაზის ჩაყრა შემოდგომაზედაც შეიძლებოდა, და ვაზაფხულზედაც. შემოდგომით ჩაყრილი თურმე უკეთეს შედეგს იძლეოდა („შამადგომით უკეთესია, ვაზი იმუშავება დაუძვრელათო“), მაგრამ თუ შემოდგომა „ყინვებს დაიჭერდა“ ან სხვა რამე დამაბრკოლებელი მიზეზი გამოჩნდებოდა, ვაზის ჩაყრის საქმე ვაზაფხულის დამდეგისათვის (მარტისთვის) გადაიდებოდა. ჩასაყრელად განკუთვნილი რქა საშემოდგომო სხელის დროს უნდა აეჭრათ. რქას რვა-ცხრა კვირტზე აჭრიდნენ და მცირე ზომის ძველი დანსაც შეაყოლებდნენ. თვითონ ძველიანი თუმცა დაძველებული იყო და საკვირტე არ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ის ახალ რქას იცავდა—მას გამძლეობას მატებდა. ვაზის ჩაყრა თუ შემოდგომაზე ვერ მოხერხდებოდა, აჭრილ რქებს კონად შეჭკრავდნენ და ფეხზე დაყენებულს მიწაში შეინახავდნენ. შეკონილი რქებისათვის თავები ცოტათი უნდა გამოეჩინათ, რომ ვაზაფხულზე ადვილად მიეგნოთ და ამოღების დროს ბარით არ დაეზიანებინათ.

რქის ჩაყრა რამდენიმენიანი წესით შეიძლებოდა: ერთი წესის მიხედვით, არხში ორ-ორი რქა ერთად უნდა ჩალაგებულიყო, ჩაწყობის დროს რქათა

¹ სოფ. კისისხევში მცხ. 61 წლის რვეზ ალექსის ძე სამსონიძის სიტყვით „შემდეგლები ახლო-ახლო აჭრიდნენ არხებს და უფრო მალე აშენებდნენ ვენახს“.



ძირები ერთმანეთზე გადაჯვარედინდებოდა. მეორე წესით ჩაყრა მწკრივით წყვილ-წყვილი რქის ჩაგდებას ვარაუდობდა, ოღონდ ერთმანეთის პირდაპირ დაყენებული რქების ძირები ერთუროს არ ეხებოდა. ჩაყრის მესამენაირი წესი რქების სათითაოდ გარიგებაში მდგომარეობდა („აგრე მწკრივზე ჩავსხამდით“). ძველიანი მიწას უნდა შეჰხებოდა და რქის კვირტიანი მხარეც ქვემოთ უნდა მოქცეულიყო (მიწის მხარეს), ფერსო (თუ ბორჯგი—ბორჯლი) კვირტს უნდა გაეტანა. არხში ჩალაგებულ რქებს მიწას მიაყრიდნენ (ზოგი მთხრობელის თქმით „წაშლიდნენ“ და მაგრად დასტკეპნიდნენ), რომ ჰაერი არ ჩასულიყო და რქა არ გამხმარიყო („თუ ჰაერმა იმუშავა, გახმებაო“). რქას მიწის ზემოთ თავი უნდა უჩანდეს და ორ კვირტზე დარჩეს. სიცივისაგან დაცვის მიზნით, ზოგი ორკვირტიან თავსაც წაყრიდა ხოლმე თხვიერ მიწას. ვახუფხულზე, გათბობის უშაღვე სახეირებელ რქასაც დაეძვრება კვირტი. ნორჩ ვახს ხშირად სჭირდება გათოხნა და მიწის შემოყრა. მას ბალახი არ უნდა „უგრილოვდეს“; რამდენჯერაც ბალახი მოერევა, იმდენჯერ უნდა გათოხნოს. თონის წყალობით ბალახიც ისპობა და მიწაც „ნოყივრდება“ და „ბოშდება“. ბალახი სტუსავს ვახს, კვირტს უსუსხავს, თვითონ ხარობს და პატარა ვახს კი „უგრილოვებს“ და „მიწის უქამს“. პირველ წელიწადს ვახის მოვლა გათოხნაში გამოიხატება, თამამ ყლორტს ჭიგვის შედგმაც კი დასჭირდება. ახალშენი ვახი ორ წელიწადს თავის ამოსვლის ადგილზე, თავის ძირზე რჩება და წესამე წელიწადს კი გადაწვება. მეორე და მესამე წელიწადს ვახს უფრო მეტი მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. მეორე წელიწადს სამჯერ-ოთხჯერ მაინც გათოხნიან და ჭიგოსაც შეუდგანენ.

მესამე წელიწადს ახალშენი ვახი უნდა დატუკდეს, ანუ დატოკდეს თუ დატუნკდეს, როგორც ზოგიერთნი იტყვიან ხოლმე. საბარბელიანი ტუკს „წლის წილნად“ ხსნის, წილნას კი „ვენახის გარდაფლვას“ უწოდებენ¹. ამგვარად, საბას განმარტებითაც ტუკი გარდასაფლავად ანუ გადაწვევად მომზადებული ვახია, მაგრამ არა ორი წლისა, როგორც ეს კახეთშია მიღებული, არამედ ერთი წლისა. ვახის დატუკება შემდეგში მდგომარეობს: ვახს გასხლავენ; გაასუფთავენ და ანუ გაფურჩინიან—ნამკვრევსა და სხვა ზედმეტ ყლორტებს მოაცილიან, კენწერს გადაჭრიან („ერთ არშინზე რო დადგეს კარკი იქნება, ძირი გაუმსხვილდებაო“) და მხოლოდ ერთ რქასა და ნექს შეარჩენენ („თუ არ დავატუკეთ ვახი, არ ითამამებს. იმის ფერსომ მიწა უნდა წოვოს, რო დამსხვილდესო“). ვახის დატუკება, ე. ი. ზემოხსენებული პროცესის ჩატარება შემოდგომითაც სკოდნით და ვახუფხულზედაც. შემოდგომაზე თუ შეუდგებოდნენ ამ საქმეს, ამისათვის ღვინობისთვისა და გიორგობისთვის გამოიყენებდნენ; ერთი სიტყვით გასხვლა შეიძლებოდა მანამდე, სანამ ყინვა დადგებოდა და სიცივეებს დაიჭერდა („სიცივე ავენებსო“). სავახუფხულო გასხვლას თებერვლის ნახევარში აწარმოებდნენ. ამ შემთხვევაშიც დაგვიანება არ შეიძლებოდა, ვიდრე ვახში წყალი ჩადგებოდა გასხვლა უნდა მოთავსებულიყო. წყალჩამდგარი ვახი რომ დატუკდეს ან ჩვეულებრივ გაისხლას, კვირტი დაუბრმავდება და, ცხადია, ყურძენსაც ველარ გამოიტანს, დატუკებული ვახი

¹ საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928, იხ. „ტუკისა“ და „წილნის“ განმარტება.



რქებს გაიტანს—საწვენი რქას გაიკეთებს, ყლორტებს ამოიყრის და ჩემდენო შემოდგომაზე ან გაზაფხულზე გადაწვება. „ამდენი და ამდენი ვაზი მაქვს საწვენი“, ანდა „ამდენი ვაზი მაქვს წისაქცევით“ — იტყოდნენ ხოლმე ახალშენი ვენახის პატრონები.

გადასაწვენად გასამზადებელ ვაზს, გასხვლის დროს ოთხ-ხუთ რქას შეარჩენენ გადაწვევის დროს უმრავლეს შემთხვევაში სამ რქას ამოუშვებენ ხოლმე, მაგრამ ოთხ-ხუთსა ან მეტ რქას მაინც უტოვებენ გადაწვევის პროცესში თუ რომელიმე რქა მოტყდება ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ვერ გამოდგა, სხვა რქას გამოიყენებენ; საბოლოოდ ხუთ რქას სამ რქაზე დააყენებენ. ვაზის გადასაწვენი ადგილიც „ორბარიპირზე უნდა ამოვიდეს“, საწვენი ვაზის ძირში გარკვეული სიგრძისა და სიღრმის არხი უნდა გაიქრას, ვაზს ფესვები უნდა გამოუჩნდეს, არხის სიღრმე დედნის ძირამდე უნდა დავიდეს. ვაზს ძირი თუ წესიერად არ შემოეთხარა, გადაწვევის დროს მოტყდება. არხში ვაზს მთლიანად „წააქცევენ“, მთელ სიგრძეზე ჩააწვენენ. ერთ რქას ისევ მოაბრუნებენ და თავის ძირზე დააყენებენ, შეორეს დაახლოებით არხის შუა ადგილას ამოუშვებენ, მესამეს კი სადამდეც გადასწვდება იქ ამოაყოფინებენ თავს. გარდაფლულ რქებს თავებს გამოუჩენენ ისე, რომ მიწის ზემოთ ერთი კვირტი ჩანდეს. „რაც მიწაში კვირტები დაყვება, ის ფერსოთ ვავა და რაც მალა იქნება, ის ვაზად ამოვა“. შემოდგომაზე გადაწვება ვაზი თუ გაზაფხულის დასაწყისში, გათბობისთანავე ის გაიღვიძებს და აღმოცენდება. აღმოცენებული სამი ვაზიდან პირველი ორი კვლავ დატუკდება და მთელი სიცოცხლის მანძილზე იმავე ადგილას დარჩება, მესამე კი, თუ ვენახი ჯერ შეესებულა არ არის, ისევ გადაწვება. არხებს შორის მოქცეული ფართობის შევსებამდე მესამე ვაზი თავის ადგილზე არ ჩირდება, ის მუშაობას განაგრძობს (მესამე ვაზს „ვამუშავებთ“).

დატუკების პერიოდშივე ვაზი მკირეოდენ ნაყოფს უკვე იძლევა, მეოთხე-მეხუთე წელიწადს უფრო მეტს ისხამს. ამ წლებში მოსხმულ ყურძენს ან სულ ამორებენ ან ცოტას უტოვებენ, ყურძენის გამოკვების პროცესში ნორჩი ვაზი „დაიჩაგრება“, „დალალიავდება“. მეექვსე წელიწადს ვაზი სრულ მოსავალს იძლევა, ექვსი-შვიდი წლის თავზე ახალშენი ნამდვილ ვენახად გადაიქცევა. ექვსი-შვიდი წლის დამსხვილებული ვაზებით სავსე ადგილი უკვე ვენახია; სინორჩის ჰასაკში მას, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ახალშენი ეწოდება, შარების სახელწოდებითაც იხსენიება („შარები ჩაუყრაო“ — იტყოდნენ თურმე). ამგვარად ჩაყრილი და მოშენებული ვენახი რამდენიმე ოცეული წლის მანძილზე ცოცხლობდა, ის რამდენიმე თაობას ემსახურებოდა; საკმაოდ დიდ ხანს უნდა გაველო, რომ ვენახი სამუდამოდ „ამოვარდნილიყო“. დროთა განმავლობაში თუ რომელიმე ვაზი ამოხმებოდა, მეზობელი ვაზის შესაფერის რქას გადაამუხლავდნენ — გადააწვენდნენ და, ამრიგად, გამხმარი ვაზის ადგილზე ახალ ვაზს აღმოაცენებდნენ; გათხლებული ვენახი გადაწვევით შენდებოდა.

უწინ, ქართული მევენახეობის სიჯანსაღის პერიოდში, ვენახს არც მოწამლა უნდოდა, არც გოგირდის შეყრა, მაგრამ მოვლა მაინც დიდი სჭირდებოდა.

ვენახი, როგორც გადმოგვცემენ, წინათ, უმთავრესად „ბარვითა და თოხნითა კეთდებოდა“. მთხრობელთა თქმით, ვენახი 3—4—5 წელიწადში ერთხელ უნდა დაიბაროს, ზოგი 6—7 წელიწადში დაბარვასაც ნორმალურად

მიიჩნევს. ვენახი დიდი ხნის განმავლობაში თუ არ დაიბარა მიბრუნდებოდა ვენახს არც ხშირი დაბარვა უხდებოდა; თითქმის ყველა მთხრობელი იმტანისადაა რომ ხშირი დაბარვით ვაზს „ფერსი აწყდება“ და ფუჭდება. ვენახის დაბარვა შემოდგომაზედაც შეიძლებოდა და გაზაფხულზედაც, და თუ ყინვა არ იყო, — ზამთარშიც (ყინვიან ზამთარში თუ დაიბარა, ვაზის ძირს ცივი ნიავი ჩაუვა, გაჰყინავს და გაახშობს). გლეხი თუ მოასწრობდა, დაბარვა შემოდგომით სჯობდა, შემოდგომაზე დაბარული მიწა „ზამთარში დაიწყება“, „გაფრქვილდება“ და დამწვარი მიწა კი „როგორც სასუქი დააყარი იგრეო“. დიდი ვენახის პატრონი ერთდროულად თუ ვერ მოახერხებდა ვენახის დაბარვას, მაშინ ერთ წელიწადს მხოლოდ ნახევარს დაბარავდა და წეორე წელიწადს კი „ჩაჩაბდა“ და ჩინილ მეორე ნახევრის დაბარვას შეუდგებოდა. ვენახს წელიწადში, ისევე როგორც ამჟამად, 3—4ჯერ მაინც თოხნიდნენ; მაშინაც კარგად იცოდნენ, რომ ხშირი გათოხნა ნიადაგს აფუებდა და აფხვიერებდა. თოხნა მარტიდან იწყება, პირველი თოხნა მარტშია, მეორე — პრილში, მესამე — მაისში და თიბათვეში, უკანასკნელი გათოხნა (უკანასკნელ გათოხნად მესამე გათოხნა იქნებოდა მიჩნეული, მეოთხე თუ მეხუთე, სულერთია) მარიამობის თვეზე მოდიოდა.

„პირველი გათოხნა — ერთ-ერთი მთხრობელის ენით რომ ვილაპარაკოთ, — ბალახს არ ამიყვანს, მეორე გათოხნაც ბალახსა ჰქალებს. მაისის შემდეგ იგრე რიგათ აღარ ამოვა ბალახი. მარიამობისთვის გათოხნა ყურძენსა ძრგვობს, ამსხვილებს, მარცვალს“. გათოხნისათვის ზომიერი ამინდი უნდა შეერჩიათ, გვალვისას ვენახის გათოხნა არ შეიძლებოდა.

ვენახის ნიადაგის განაყოფიერების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონია სასუქის დაყრასაც; მევენახეს 7—8 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეეტანა ვენახში სასუქი. ზოგი კი, როგორც ეტყობა, ვენახს ყოველწლივ ამატივებდა. „ძველი ვენახები სასუქით იყო განოყიერებულიო“ — ვადმოგვემენ კახელი მთხრობელები. სასუქის დაყრა შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზედაც (კვირტის გამოვლამდე) ხდებოდა, ზამთარში დაყრის უპირატესობას ანიჭებდნენ, „ზამთარში უფრო იმითმ აყრიდნენ, რომ ყინვა დაჰყვამდა, გააფრქვილებდაო“. წყლით მდიდარ თემებში ვენახის მოწყვასაც მიმართავდნენ, ალაზნის ვალმა ნხარეს (ყვარელის მიდამოებში), როგორც ჩანს, დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში მხოლოდ მორწყვითა და გათიბვითა კმაყოფილდებოდნენ¹.

ვენახის ერთ-ერთ ძირითად სამუშაოს გასხვლა წარმოადგენდა. გასხვლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შემოდგომითაც წარმოებდა და გაზაფხულზედაც. გასხვლის დროს ვაზს ძველი ანადა სახელდებულ ძველ რქას მოაქრიდნენ და, საყოველთაოდ მიღებული წესის მიხედვით, ერთ რქასა და ერთ ნექს შეარჩენდნენ, თუ თამამი ვაზი იყო — ორ რქას და ერთ ნექს ან ერთ რქასა და ორ ნექს. სანეკე რქა თამამიც უნდა იყოს და შესაფერის ადგილას მოთავსებულიც. ვაზი თუ ძალიან მაღალი არ იყო, ნექსს ამათვე რქის თავში დაუტოვებდნენ; მაღალი ვაზისათვის კი ნექს უფრო დაბლა მოქებნიდნენ. როგორც ცნობილია, ნეკმა უნდა წარმოშვას მო-

¹ სოფ. მარილისში მც. 90 წლის სვიმონ გიორგის თელომძემ მორწყვასთან დაკავშირებული მთხრობა რომ დაამთავრა, დასძინა: ყურძენი „მაგას, წვალს, ძალად მაყავს, თავის კანზე კი აჯობდა მორწყველიო“.



მავალი წლის სამამულე რქა თუ ის ზომიზე ზემოთ მოჰყვება, ახალე სამამულე რქაც სიმაღლეზე ამოიზრდება და ასე გამაღლებულ რქას ტყეცაღი მცირე უზესწვდება. სანეკეთ არც ძლიერ ქვემოთ მოთავსებული რქა გამოდგებოდა, ასეთ ადგილას მყოფი ნეკიდან ამოტანილი სამამულე რქა, დაკავების დროს, ძირს ჩამოეშვებოდა და მისი ნაყოფიც მიწაზე მოეთრეოდა. ნეკი ორ კვირტზე უნდა დაეყენებინათ, ორ კვირტზე უნდა მიეცათ ნეკი.

ვენახს ჭიგოს შედგმაცა სჭირდებოდა, ჭიგოს შედგმაც შესარვა-საც ეძახოდნენ. ვენახი თუ იზარებოდა, ჭიგოც ბარვის დროს შეედგებოდა, ამ შემთხვევაში სულერთი იყო ზამთარი იქნებოდა თუ გაზაფხული. ვენახს თუ იმ წელიწადს დაბარვა არ უწევდა, მაშინ ჭიგოს შედგმას გაზაფხულისათვის გადასდებდნენ. ჭიგოს შედგმას შემდეგნაირი წესით ახდენდნენ: ჭიგოს ვენახში მხრეულად შეიტანდნენ, ერთ მხარეში ოცი ჭიგო ითვლებოდა, მაგრამ თუ ჭიგო ძალიან მსხვილი იყო, მაშინ მხარეში მხოლოდ 12—13 ცალს ივარაუდებდნენ; ამიტომაც ერთ ურემში ხან 50 მხარი ჭიგოსა ვარაუდობდნენ და ხან კი 60-ს. მხრეულად შეტანილ და ჩეკილ ჭიგოს ვენახში შეჭფანტავდნენ, ე. ი. თითო ვახის ძირთან თითო ჭიგოს დადებდნენ და შემდეგ კი შედგმას შეუდგებოდნენ. სავენახე ჭიგოდ იყენებდნენ ღუდგულას, მდგნალს, თრიმლს და სხვ. გამძლეობის მხრივ თრიმლი ყველაზე უკეთესი ყოფილა, მაგრამ ძნელად იშოვებოდა თურმე. ზოგი ჭიგო მხოლოდ ორ წელიწადს ვარგობდა და ზოგი კი ხუთ წლამდეც სიღებდა. ჭიგოს შენახვისა და გაძლეობის დაცვის მიზნით, მას შემოდგომით გლეჯავდნენ და ვენახში მდგომ ხეთა ტოტებზე ალაგებდნენ. ჭიგოს შედგმას, როგორც ვთქვამ, შესარვა უწოდებდნენ, მაგრამ ჭიგოსა და სარს ერთმანეთისაგან არსებითად ანსვავებდნენ. სარი მსხვილი ყოფილა და გაქერქილი, ჭიგო კი გაცილებით წვრილი და გაუქერქავი. სარს ღობის მარგილის მოვალეობის შემსრულებლად ასახელებენ, ვენახისათვის მას გამოუსადეგრად სთვლიან. მათი შეზღუდვებით, ვენახის შესასარავად მსხვილი ხე არ გამოდგება. ზოგს უცდია კიდევ სარით შესარვა, მაგრამ შედეგად ვენახი გადახმობია. სავენახე ჭიგო წვრილი უნდა იყოს, ის უნდა „ტოკავდეს“, მოძრაობის უნარი უნდა ჰქონდეს. სარი, სისქის გამო, უმოძრაოა, ის ზაფხულში ხურდება და ვახს აზიანებს. სარზე „გაკანული“ ვახი ხელეგაკრულ ადამიანსა ჰგავს.

ზემოაღწერილი წესით შესარულ ვენახს გაზაფხულზე, ვიდრე კვირტი გამოვიდოდა (რომ შეყვლის დროს არ გააცვივნოდა), შეჰყვლავენ, ანუ, როგორც გაღმა მხარეს ამბობენ ხოლმე, შეჰკონაცდნენ. შეყვლა ვახის ჭიგოზე მიკრავს ეწოდება. ვახის მისაკრელად, ანუ შესაყვლავად, საყვლავს ხმარობდნენ. საყვლავად იყენებდნენ: თელის ხარალს, ფურცლის ხარალს, ლაფნიის ხარალს, სვესა და ფათალს. შეყვლავს მალევე მოჰყვებოდა დაკავება. დაკავება სამამულო რქის ჩამოხრასა და ჭიგოზე მიმაგრებას გულისხმობს. თუ პატარა ვახია, რქის დაკავების დროს მისი თავიცა არ შუა წელიც ჭიგოზე უნდა მიმაგრდეს (რომ „ფოთოლმა და უფრძენმა არ დაამთიმოს და შუა წელში არ გაბეროს), რიდ ვახს კი ერთგან ეყოფა მიმაგრება. დაკავების დროს, თურმე, მეტად ფრთხილად უნდა მოქცეულიყვნენ: რქას ძირთან მოჰკიდებდნენ ხელს და რქის კვირტებსა და მუხლებს ხელში გამოატარებდნენ. (საკვირტე ადგილს „მუხლი“ ეწოდება). რქას ნელ-ნელა ხელში მოქნიდნენ, მოდრეკდნენ და ხელის ამგვარი თანდათანობით ჩანოკურების შემდეგ, რქის წვერს სათანადო ადგილას მიაკრავდნენ.

სიფრთხილედ რომ არ გამოეჩინათ, შეიძლება „საკავებელ რქადაც“ წოდებული სამამულე რქა მოტეხილიყო და ვენახის მოსავლის გარკვეული ნაწილი დაეკარგულიყო. შეყვლა და დაკავება შეიძლება ერთდროულად მოხდეს. ამის გამო, რომ ზოგი მთხრობელი ორივეს ერთად „შეყვლას“ უწოდებს. თუ ცივი, ყინვიანი ვაზაფხული დადგებოდა, შეყვლა-დაკავებისათვის განკუთვნილ პერიოდში (მარტი-აპრილი) ვაზს არც შეყვლადნენ და არც დაკავებდნენ. შეუყვლავი ვაზი მოძრაობს და ამით ის სიცივეს უმკლავდებოდა, შეყვლილ ვაზს კი, როგორც ამბობენ, ხელფეხი აქვს შეკრული.

ზემოდასახელებულ სამუშაოებთან ერთად, ვენახს გაფურჩხნა და ახვევაც ესაჭიროებოდა. ჩვეულებრივად, ახვევა ორჯერ (თუ ორჯერ-სამჯერ) უნდებოდა და გაფურჩხნაც დაახლოებით ამდენჯერვე. ხშირ შემთხვევაში ეს ორი პროცესი ერთსა და იმავე დროს სრულდებოდა. მაისის ბოლოსა და თიბათვის ნახევარში. „მკათათვის ნახევრიდან ვენახი დგება“, ის ძალიან აღარ „იბურება“: გაფურჩხნის დროს ნამკვრევი და ზედმეტი ფოთლები (თუ ფოთოლი ხშირი აქვს ვაზს) „გამოეცლება“, სამამულე რქაზე გამოტანილი უყურძნო რქები მოშორდება. ამგვარი გაფურჩხნის შემდეგ ვაზი აიხვევა, სამამულე რქის ყურძნიანი რქები საყვლავით ჭიგოზე მიმაგრდება. პატრონმა გულდასმით უნდა ადევნოს თვალყური, რომ ვენახი აუხვევლობითა და გაუფურჩხნაობით არ გაფუჭდეს. აუხვეველ რქებს ნიაფ-ქარი სტებს და გაბურული ფოთოლი ყურძენს უგრილოებს და ვნებს. ვენახის მოვლა-პატრონობის ერთ-ერთ სახეს კენწერის გადაჭრაც წარმოადგენდა. მკათათვის ბოლოს ვაზს კენწერი უნდა გადაჭროდა („კენწერის გადაჭრის“ სანაცვლოდ „თავის გადაჭრასაც“ ხმარობენ).

ვენახს მაისშივე იტყობოდა ყურძნიანობა, ამ დროს უკვე კარგად ჩანდა აპირებდა დასხმას ვენახი, თუ თხლად გამოჰქონდა ყურძენი. ახლად გამოჩენილ ნაყოფს ყურძენს ეძახდნენ. მაისის გასულსა და თიბათვის დასაწყისში „ყურძნად“ სახელდებული ნორჩი მტევნის მარცვლებს ქერქი გადასცილდება და ისვრიმი წარმოიშობა. გადამჭრალ ქერქს უწინაც ყვავილს უწოდებდნენ, სწორედ ამ დროს იტყოდნენ ხოლმე „ვენახი ყვავილშიაო“. ვენახში რომ თვალი შევა, ვაზის ნაყოფი შემწიფებას რომ დაიწყებს, ისვრიმი ყურძნად გადაიქცევა და ბოლომდე ეს პირვანდელი სახელწოდება შერჩება.

საჭიროდ მიგვაჩნია აქ ერთი გარემოების შესახებაც აღვნიშნოთ: ზოგიერთი მთხრობელის გადმოცემით ძველი დროის ვენახი განსაკუთრებული მოვლის გარეშეც იძლეოდა მოსავალს. ვენახის მოვლის ეს სიმარტივე რამდენიმე წელიწადში ერთხელ დაბარვასა, ყოველწლივ შეყვლა-შესარვასა და გათიბვაში მდგომარეობდა. ამგვარად მოვლილი ვენახი ზოგჯერ ისე გაიბურებოდა და აბალახდებოდა, რომ რთვლის დროს მას „გათიბვა და გაკეთება“ სჭირდებოდა. „ვენახი გავაკეთოთო“—იტყოდნენ თურმე და ვენახს გამოასუფთავებდნენ, თავს გადააჭრიდნენ, რომ მკრეფავებსა და გოდრის გამტარებს თავისუფლად შესძლებოდათ ნოძრაობა. ამნაირი ვითარება, როგორც ჩანს, გამოწვევის წარმოადგენდა და ჩვეულებრივ კი ვენახის დამუშავება ზემოაღწერილი წესების მიხედვითა ხდებოდა. ვენახის დასამუშავებელ იარაღებს ბარი, თოხი, სავაზე, წალდი და ნამგალი შეადგენდა. ბარსა და თოხს დასაბარავ-დასათოხნად ხმარობდნენ, სავაზეს-გასასხლავად, წალდს—ჭიგვის დასაჩე-



ხად და ნამგალს კი კენწეროს გადასაქრელად და საქიროების შემთხვევაშიც გასათიბადაც.

ძველ დროს ზოგს დიდი ვენახი ჰქონდა და ზოგს პატარა, ერთსა და იმავე პიროვნებას შეიძლება დიდი ვენახიც ჰქონოდა და პატარაც. ვენახის სიდიდე-სიპატარავე მის სახელწოდებას განსაზღვრავდა: სამ—ოთხ—ხუთ—ექვსი დღიურისა და უფრო მეტი ფართობის შემცველ ვენახს ზვარი ერქვა და პატარა ვენახი კი საკუთრივ ვენახის სახელწოდებას ატარებდა.

ვენახს არც გვალვა უხდება და არც გადაჰარბებული ავდრიანობა, მაგრამ არჩევანზე რომ მიდგეს საქმე,—იგი გვალვას უფრო აიტანს; „გოლვიანობაში მარცვალი არ უმსხვილდება, მაგრამ ჟანგარო არ ეკიდება“. სითბო განსაკუთრებით კვირტის გამოსვლას,—„კვირტის დაძვრის“ დროს უხდება. ამ ხანებში თუ ავდრიანი დღეები დადგა, კვირტი დაზარალდება. რაკი „კვირტი გამოვა“ და „ვენახი გამაგრდება“, წვიმა იმდენს ველარაფერს დააკლებს. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ვენახს მკათათვემდე, ვიდრე ის „ყვავილიდან გამოვა“ გვალვა უხდება; მკათათვის ნახევრიდან დაყვავილებული ვენახი ზომიერ ავდარს საქიროებს.

ვენახის სერიოზული ავადმყოფობა, ვენახის გამაჩანაგებელი სატკივარი ძველად არ არსებობდა; მეორე ხარისხოვანი, დროებითი ხასიათის ავადმყოფობაც კი იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ხალხში „მინდაოსა“ და „ოდის“ სახელწოდებით ცნობილი ავადმყოფობანი ჩვენში წარსულ საუკუნეში შემოვიდა უცხოეთიდან და სახელწოდებებიც იქიდან მოიტანა, პირველი „მილდიუსის“ დამახინჯებული სახესხვაობაა და მეორე კი „იოდიუმისა“. ზოგიერთი მთხრობელი მილდიუსა და იოდიუმს ერთგვარად გვიხასიათებს, ზოგი მათ ერთმანეთისაგან ანსხვავებს და იოდიუმს ნაცრის მსგავს ავადმყოფობად წარმოგვიდგენს. მილდიუსით დაავადების შემთხვევაში ფოთოლს სიღამ-პლესავით უჩნდება, ფოთოლთა ქვემოთა მხრიდან ალაგ-ალაგ „გამოუთეთრდება“ და იგივე ადგილები ზემოდან „გაუწითლებება“. მილდიუსით დაავადებულ ვაზს ფოთოლიც უხმება და ყურძენიც („ყურძენი სულ გაიროკება, თავის ყუნწიანთ გააცვივა, გაშვადება და ჩამოცვივდება“). ვენახს ხან ოდი ეცემა ხოლმე („ოდი ეცაო“—იტყვიან). „ოდი“ ყურძენსაც და ფოთოლსაც, თურმე, ნაცარივით ედებოდა („ნაცრად გედევდება“). ნაცრის წარმოშობას ხალხი შემდეგი გარემოებით ხსნის: დიდ სიბუხეში რომ მცირე წვიმა წამოვა, ის დედამიწას ვერ გააგრილებს, აორთქლებას კი გამოიწვევს. ვაზს რომ „დედამიწის ონიზორი ამოჰკრას“ ნაცრად დაედება. „ოდი“, რომელსაც ნაცარსაც უწოდებენ, „როგორც ჟანღი, ამოვა ერთ ალაგას“ გაიშლება და დაფარამს ჰაერს; ის ყურძენს ნაცარივით ეფინება და მარცვალს არ უმსხვილებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახლახან დახასიათებული „ნაცრის“ სახელით ცნობილი პატარა ავადმყოფობა ჩვენში უწინაც იყო, უცხოეთიდან შემოჭრილმა „ოდმა“ მასთან მსგავსება პოვა და ორივე ავადმყოფობა (სახელწოდებებიანად) ერთიმეორის სინონიმად იქცა.

ძველი საქართველოს ვენახებს მხოლოდ შემთხვევით მოვლენილი უბედურება აზიანებდა. ვენახის მთავარ მტერს ყინვა წარმოადგენდა, ყინვა ვაზს ახმობს. ამ მთავარი თავდასხმის შემთხვევაშიც გამოსავალი გზა არ იხურებოდა: ყინვისაგან მიწის ზემოთ მოქცეული ნაწილი ხმებოდა. გამხმარი ვაზი ძირში გადაიჭრებოდა და ახალი ვაზი ამოიზრდებოდა. ვაზს ბებერაც

ემტერებოდა. ბებერა კვირტს უკამდა, კვირტი თუ გაშლას მოასწრებდა, ბებერა ველარას დააკლებდა.

როგორც ვხედავთ, ძველებურ ქართულ ვენახს, დროებით და არა სამუდამოდ, მხოლოდ ბუნებით მოვლენილი სიციხე-სიცივე და გადაჭარბებული მოუვლელობა აზიანებდა¹.

¹ ა. ვახი პირველად რომ გაისხვლება—ტუცი ვახი, დატუკებული ვახი ის არის. ბ. გასხვლის დროს რქას 6 კვირტზე აყენებენ (რქა 8—9 კვირტზეა, ხევით არ არის). გ. ქლიას ღვინო არც წითელია და არც თეთრი, შამრეშილია (ქლია შავი ყურძენია და ღვინო კი თეთრი ღვება). დ. პწკალი—ულვაშები. ე. წალამი—გამხმარი ნახსლავი. ვ. ლერწი—ახლად მოჭრილი რქა (ვახი რომ გაისხვლება ის არის ლერწი). ზ. აქ რო ვახი მოგვევლიჯნა, ეს ვახი შეიძლება ოც საქენზე წასულიყყო, ერთმანეთზე იყო გადაბმული. რამდენი ვახი გადაწეება, იმდენი ის ფერსოს იკეთებს და უფრო ღონიერი გამოდის. „რამდენი იმის ფერსვი შორს მიდიოდა და სწოვდა მიწას, იმდენი მეტ შედეგს გვაძლევდა“.

ვენახის მოშენების ხალხური წესები კახეთში*

ქართველი მიწათმოქმედის ცხოვრებაში, როგორც ცნობილია, მევენახეობას მეტად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა; ვაზის ნაყოფს პურელის თანაბარი სარგებლობა მოჰქონდა. სიყვარულის მეტნაკლებობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,—მევენახეობით განთქმული კუთხეების მკვიდრს ვენახი ყველაფერს ერჩივნა, ის მას თვალისჩინივით უვლიდა და უფრთხილდებოდა, კარგი ვენახის პატრონს თავი ესახელებოდა.

კახელი გლეხკაცი • უვენახოდ ვერ გაძლებდა, ძველი ვენახი თუ ამოკარდებოდა, პირველი შესაძლებლობისთანავე ის ახალი ვენახის ამშენებას დაიწყებდა.

ერის ეკონომიურ ყოფაში ვაზს იმდენად დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი, რომ მიწის ნაყოფიერების ხარისხი და გეოგრაფიული დაყოფის პრინციპი ამ მცენარეულის მიხედვით განუსაზღვრავთ, ვახუშტის თვალაზრისით, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „მიწა-წყალი ორ ნაწილად იყოფოდა: ერთს ვენახ-ხილიანი არე შეადგენდა, მეორეს კიდევ უვენახო და უხილო ზოლი ეკუთვნოდა“. ვახუშტის მსჯელობიდან ჩანს, რომ „უვენახ-ხილო ზოლი „მთური“ ანუ მთის არე ყოფილა“, ვენახ-ხილიანი ზოლი კი ბართან ყოფილა გაიგივებული¹.

ცნობილ ისტორიკოსსა და გეოგრაფს, კახეთის ბარიც ვენახ-ხილიან ზოლში აქვს მოქცეული; დღესაც ხომ მევენახეობა ამ კუთხის თითქმის ყველა სოფელშია წარმოდგენილი.

ვაზის კულტურის ძველთაძველობას, რომლის შესახებაც არა ერთგზის აღვნიშნავთ ქართველი საზოგადო მოღვაწეებს, ისტორიკოსებს და სოფლის მეურნეობის ამ დარგის მეცნიერ-სპეციალისტებს, ნათელყოფს საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლაც; მევენახეობასთან დაკავშირებული ტრადიციული წესები საქართველოში დღესაც განაგრძობს არსებობას.

„ვინც ცოტაოდნად მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმოწმებს, რომ თითქმის არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჰქვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით

* თემა—„ვენახის მოვლისა და მოშენების ხალხური წესები კახეთში“, რომლის დამუშავება მიზნად დაისაბა ვთნოვრ. განყ. უფრ. მეცნიერ თანამშრ. ლ. ბოჭორიშვილმა, გარდამავალი ხანაითსაა. 1951 წლის სამუშაოს გეგმა ამ დიდი თემის ერთი პატარა ნაწილის დამუშავებას ითვალისწინებდა—მევენახეობის განხილვას ახმეტისა და ყვარლის რაიონებში შეკრებილი მასალების მიხედვით. ავტორმა უმჯობესად დაინახა ერთი საკითხის გამოყოფა და მისი აღწერილობითი დამუშავება მთელ შიგნით კახეთში შეკრებილი მასალების მიხედვით („ვენახის მოშენების ხალხური წესები კახეთში“).

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფილისი, 1930.

ჩვენებური გლეხი ევროპელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ რომ მიწათმოქმედებაში საერთოდ და ვენახების საქმეში ცალკე გამოცდილებით და რამ არის და ჩვენებური გლეხი ევროპელს მეცნიერზედ გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება, იმიტომ რომ ადგილის კაცია“ — აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე 1887 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე¹.

ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალაც, წლების განმავლობაში შეგროვებული კახეთის სოფლებში მუშაობის დროს, ქართველი მევენახის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზე უნდა მეტყველებდეს.

წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ ერთი პატარა საკითხია დასმული, აქ ვენახის მოშენების ხალხური წესებია განილული.

ვენახის აშენების ანუ მანულის აშენების მსურველს, როდესაც საქმე ეხებოდა არა შეთხლებული ვენახის შეესებას, არამედ ცარიელი მინდვრის ვენახად ქცევას, — ჯერ სავენახე ადგილი უნდა შეერჩია. შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სავენახედ ნაგარაუდღევი ადგილის მდებარეობა და მიწის აკარგიანობა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, რომ მომავალი ვენახის ადგილსამყოფელი სოფლის ვენახების ზოლში ყოფილიყო მოქცეული და შესაფერისად შემოფარგლულიც.

ეს წინაპირობა იყო საჭირო სახლიდან მოშორებული ვენახისათვის, „ქარზე აშენებული ვენახი“, ე. წ. შინავენახი ამ მხრივ ხომ თავისთავად იყო უზრუნველყოფილი.

კახელი მევენახე კარგად ერკვეოდა ნიადაგის თვისებებში, ის კარგად იცნობდა შავი მიწის, თიხა მიწის, ლამი მიწის, ქვიანი მიწის და სხვა სახის მიწების დამახასიათებელ თვისებებებს. სავენახედ ყველა მათგანი გამოდგებოდა, თუკი ის ღონიერი იქნებოდა და ნაყოფიერი.

ასეთ მოთხოვნილებაა, ჩვეულებრივ, ყამირი თუ დაყამირებული მიწა პასუხობდა; ყამირში ჩარილი ვაზი „ჭიგოსავით რქას გაიტანს“. ქართული ვაზი, ქართული ვაზის რქა ყველა სახეობის დასასვენებელ მიწაში ისარგებდა, თუკი მას ვენახის მოყვარე ქართველი თავის გამოცდილ ხელს არ მოაკლებდა. მევენახეობის პირვანდელი სამშობლოა ან პირვანდელ სამშობლოთა ძიებია დროს ამ მნიშვნელოვან გარემობასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. — გადაქრით შეიძლება ითქვას, რომ კახეთში, და საერთოდ მთელ საქართველოში, ვაზის მოვლა-მოშენების მრავალფეროვანი ტრადიცია განსაკუთრებით მდიდარი ბუნებრივი პირობების საფუძველზეა აღმოცენებული (თავია ადგილას ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი).

კახელმა მევენახემ იაიკ კარგად იცოდა, თუ მისი სოფლის რომელი ადგილი რა ღირაების ღვინოა იძლეოდა; კარგი ღვინის მომცემი ვენახები, მეტნაკლები სიკარგით ერთმანეთისაგან განსხვავებული, თითქმის ყველა სო-

¹ ივერია, № 38, 1887 წ. „ივერიაში“ მოთავსებულ წერილებს, რომლებიც ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის „წუნმდებელთა“ საფუძვლიან კრიტიკას შეეხება, ავტორის ზღმომწერა არ ახლავს. პრ. რატკიანის აზრით, როგორც მან პროფ. გ. ჩიტაიასთან საუბარში განაცხადა, ეს წერილები ილიას კალამს ეკუთვნის (ივერია, 1887 წ., №№ 37, 38, 39, 41, 44, 45, 46, 47, 49, 50, 52, 54, 57, 58, 59, 60, 62, 63). ჩვენმა პირადმა დაკვირვებამაც დაგვარწმუნა აღნიშნული მოსაზრების სამართლიანობაში. ჩვენ შეუძლებლად არც ის მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი ფაქტიური მასალის მოტანის მხრივ, თანაავტორის არსებობაც ვეგარაუდოთ.



ფელში მოიპოვებოდა. ზოგი მათგანის, როგორც, მაგ., ახმეტის რაიონის, თაანის, ყვარლის რაიონის, ქინძმარაულისა და სხვა მათგანის ადგილების სიკეთე კახეთის სხვა სოფლებისათვის კარგად იყო ცნობილი; ზოგიერთის სახელგანთქმულობა კი, როგორც ვიცით, შორეულ მხარეებამდეც იყო მისული (აქ მხედველობაში გვაქვს წინანდლის, ნაფარეულის, მუკუზნიისა და კარდანახის მამულები).

ამგვარი მამულების ხვედრითი წონა დღეს შესამჩნევადაა გაზარდილი და ოდესღაც მევენახეობით ცნობილი, მაგრამ შემდეგ გავერანებული ადგილებიც ფართოდ გაშლილი ვენახებით არის დამშვენებული.

ყველა სავენახე ადგილი, თავისი ნიადაგისა და მდებარეობის მიხედვით, თანაბარ სიმაღლეზე არ იქნებოდა, მაგრამ აუცილებლად ისეთი მაინც უნდა ყოფილიყო, რომ ვაზის კულტურის მაღალი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა; ასეთი ადგილები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კახეთში უხვად მოიპოვებოდა. ქართველი მევენახის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების დასადასტურებლად ილია ჭავჭავაძის ის ფაქტიც მოჰყავდა, რომ „ჩვენს ვენახებს უკეთესი ადგილები უჭირავთ,“ „საცა დღეს ვენახებია, იმ ადგილებიდან კარგი ღვინო გამოდის და ვენახების დიდი ხნის წარსულიც გვემოწმება ამას“.

ვენახის მოშენების ძველბურთი წესი სავენახე ადგილის მთლიანად დაბარვას არ გულისხმობდა; ძველად, როგორც მთხრობელები ამბობენ, „ერთნაირი ორპირი“, „ორპირის ვადაბრუნება“ არ იყო. ვენახის აშენების დასასრულისათვის სავენახე ადგილიც მთლიანად დაბარული აღმოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ხდებოდა არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, ვაზის გამრავლების კვალდაკვალ. მტკიცედ დადგენილი წესი იყო, რომ ვენახის ასაშენებლად ნავარაუდევ ფართობზე ერთმანეთის პარალელურად გაჭრილი და ერთმანეთისაგან ვარკვეული მანძილით დაშორებული არხები ანუ სამარხები გაეკეთებინათ. თუ არხების გაჭრას ვერ მოახერხებდნენ, მაშინ მას გუთნით დაკვალავდნენ ან ორმოებით მოფენდნენ, არხი ორბარისპირზე უნდა გაეჭრათ და გუთნის ნაკვალევისა და ორმოს სიღრმეც მასთან უნდა შეეფარდებინათ. ორბარისპირზე გაჭრა მიწის მუხლამდე ჩათრას (სამი ჩარევისა თუ არშინის სიღრმე-სიგანეზე) მოასწავებდა. არხის სიღრმის გამოხატვასთან დაკავშირებით სახუმარო გამოთქმაც კი არსებულა: „არხი იმ სიღრმეზე უნდა ვაჭრათ, რომ რქამ მამლის ყვილი არ გაიგონოს“.

შეიძლება, რომ არხები სხვადასხვა მანძილით ყოფილიყო ერთმანეთისაგან დაშორებული. ზოგი მევენახე ახლო-ახლო ვაჭრიდა არხებს და ვენახსაც შედარებით მოკლე დროში ააშენებდა, ზოგი კი შორ-შორ ვაჭრიდა და ამით ვენახის აშენებისათვის საჭირო დროს გაახანგრძლივებდა. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენ გადაწვევას ვარაუდობდა მევენახე, არხებს შორის დატოვებული თავისუფალი ადგილი ხომ ახლად დანერგილი ვაზების თანდათანობითი ვადაწვევით უნდა შევსებულყოფ. ვაზის ჩაყრისა და გამრავლების ძირითად წესს თუ არ ვადაუხვევდნენ, ვაზი ორჯერ

¹ ივერია, № 38, 1887.

² ამის გამოა, რომ მთხრობელები მცირე ზომასაც ასახელებენ და დიდსაც: „ადლს“, „ორარშინს“, „საღენახევარს“, „ორ-სამ საგენს“ და ზოგჯერ „სამ-ოთხ საგენს“.

უნდა გადაეწვინათ და არხებს შორის მოქცეული ადგილის, ე. წ. უფეფეფეს...
 ზომაც ამის მიხედვით უნდა განესაზღვრათ („ორი გადაბარვისა უნდა ყოფიქ...
 ლიყო“).

რქის ჩაყრა გაზაფხულზედაც (აღრე გაზაფხულზე, გაზაფხულის პირ-
 ში) შეიძლებოდა და შემოდგომაზედაც (გვიან შემოდგომაზე). ჩასაყრელად
 საჭირო რქასაც ანუ კვირტსაც, როგორც ზოგჯერ მას უწოდებენ ხოლმე, ან
 გაზაფხულზე აჭრიდნენ, ან შემოდგომაზე¹. რქის აჭრა გასხვლასთან
 იყო დაკავშირებული, გასხვლის დროს აარჩევდნენ ხოლმე ჩასაყრელად გა-
 მოსადეგ რქას. გასხვლის შესახებ ჩვენ სხვა ადგილას გვექნება ლაპარაკი,
 მაგრამ აქვე მაინც აღვნიშნავთ შემდეგს: შემოდგომაზე ვაზს ფოთლები
 რომ გასცვივდებოდა, ე. ი. ვაზი როცა შემოვიდოდა ან გაზაფხულზე,
 როცა ვაზს წყალი ჩაუდგებოდა, ვიდრე მას კვირტი დაეძვრო-
 და, ვენახი უნდა გაესხლათ და თუ საჭიროდ დაინახავდნენ რქაც ამ დროს
 აერჩიათ და ჩაეყარათ. ისიც შეიძლებოდა, რომ რქა შემოდგომაზე აეკრათ
 და გაზაფხულზე ჩაეყარათ. შემოდგომაზე აჭრილ რქას კონებად შეკრავ-
 დნენ და მიწაში შეინახავდნენ ისე, რომ კონის თავი მიწის ზემოთ ყოფი-
 ლიყო ამოყოფილი. თავამოყოფილ კონას გაზაფხულზე ადვილად მიაგნებდნენ
 და ამოღების დროს ბარით აღარ დაზიანებდნენ. მიწაში მოთავსებულ კონას
 მტკიცედ უნდა ჰქონოდა მიტკეპილი მიწა, რომ „ჰაერს არ ეშუშავნა“ და რქა
 არ გაეფუჭებინა.

აჭრის დროს რქისათვის ძველიანი უნდა შეეყოლებინათ, წარსული
 წლის სამამულე რქის ნაწილი ანუ კუნში (როგორც ზოგიერთი მთხრობელი
 იხსენებს მას) უნდა შეერჩინათ, თვითონ ძველიანი თუმც დაძველებული იყო
 და საკვირტე არ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ის ახალ რქას იცავდა და მას
 გამძლეობას მატებდა. ჩაყრის მომენტში რქასაც და მის ძირში წარმოდგე-
 ნილ ძველიანსაც ზედმეტ ნაწილებს მოაჭრიდნენ და სასურველ ზომაზე და-
 აყენებდნენ. ჩასაყრელად გამზადებული რქა, სივრძით დაახლოებით ნახევარი
 არშინი ან ცოტა მეტი (ზოგიერთი ერთ არშინსაც ასახელებს) საშუალოდ
 ექვს-შვილსა და რვა-ცხრა კვირტზე უნდა ყოფილიყო დამდგარი. კვირტების
 რაოდენობა ვაზის ჯიშზე იყო დამოკიდებული, (ზოგ ვაზს, როგორც ცნობი-
 ლია, კვირტები შორ-შორსა აქვს გამოტანილი, ზოგს კი ახლო-ახლო; ამის
 გამო იყო, რომ ზოგ რქას მეტი კვირტი მოსდიოდა, ზოგს — ნაკლები.

შემოდგომაზე აჭრილ რქას, რომელიც გაზაფხულზე უნდა ჩაეყარათ,
 წინასწარ დაალბობდნენ, ორი კვირის განმავლობაში ტალახიან წყალში ამ-
 ყოფებდნენ და მერე ჩაყრიდნენ.

რქა უნდა ჩაეყარათ რიგზე, ერთმანეთისაგან დაახლოებით თითო არ-
 შინის დაშორებით. შეიძლებოდა, რომ თითო ორმოში თითო რქაც დაენერ-
 ვათ და ორ-ორიც (ზოგჯერ სამ-სამიც). ერთ შემთხვევაში ძველიანი ნაწი-
 ლებით რქათა ძირები ერთმანეთს უნდა გამოსდებოდა, მეორე შემთხვევაშ
 კი ერთიმეორის პირდაპირ დაყენებული რქების ძირები ერთერთს არ ეხე-
 ბოდა. გადაწვევის დრო რომ მოვიდოდა, წყვილი რქიდან აღმოცენებული
 ვაზებს ან ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით გადააწვენდნენ (თუ

¹ ალბათ იმიტომ, რომ კვირტში მოცემული სასიცოცხლო ძალა, ფლორტისა და ფესვის
 აღმოცენების წყარო. კახელი მევენახეები „დასანერგ რქას“ ზოგჯერ კვირტის სახელით იხ-
 სენიებენ.



გადაწვენა ორივე მხრივ ჰქონდათ ნავარაუდები), ან ერთს მოვლავდნენ და სხვავან გადაიტანდნენ; ვენახს ზოგჯერ, და გლეჯილი ვაზებიც აშენებდნენ. ისიც შეიძლება, რომ ერთი ვაზი დაეკავებინათ, მეორე კი წაეჭკათ და გაემრავლებინათ, თუ თითო ვაზი იყო დანერგილი, მაშინ მას ჩვეულებრივი წესით გადააწვენდნენ და გაამრავლებდნენ.

ორი-სამი რქის ერთად ჩაგდების მთავარი მიზანი მაინც ის იყო, რომ უზრუნველყოთ ვაზის გახარება დანერგვის ადგილას, — ორი ვაზიდან ერთი მაინც ვახარებდა, არც ადგილი გასცდებოდა და არც მევენახის შრომა ჩაივლიდა ფუჰად.

ორმოში ჩალაგებულ რქებს მიწას მიყრიდნენ (ზოგი მთხრობელის თქმით, „მიწას წააშლიდნენ“) და მაგრად მიუძეკავდნენ, დასტკეპნიდნენ, რომ ჰაერი არ ჩასულიყო და რქა არ გამხმარიყო („თუ ჰაერმა იმუშავა, გახმებია“). რქის უდიდესი ნაწილი მიწაში იჯდა, მიწის ზემოთ ის მხოლოდ ორ კვირტზე იყო დატოვებული; მიწის ზემოთ ამოყოფილ თავს ირგვლივ, სიცივისაგან დაცვის მიზნით, მიწა ჰქონდა შემოყრილი, მიწის კოკოლი ჰქონდა გაკეთებული. ამ კვირტებს სამამულე კვირტებს უწოდებდნენ. სამამულე კვირტი ყლორტს ამოიტანდა — რქას გაიკეთებდა. მიწაში მოქცეული კვირტები კი ფერსოს (ფერსეს, ძირკვს, ბორჯოს — ბორჯგს) გაიდგამდა. წესის მიხედვით, სამამულე მხოლოდ ერთი რქა იყო საჭირო, კვირტიც ერთი უნდა შერჩენოდა, მაგრამ იმის გამო, რომ კვირტის გაფუჭების შესაძლებლობა არ იყო გამორიცხული, ამიტომ კახელი მევენახე მას ორ კვირტს უტოვებდა (ერთი თუ გაფუჭდებოდა, მეორე მაინც გადაარჩებოდა).

კახელი მთხრობლები რქის დანერგვის სხვაგვარ, გვიან შემოსულ ხერხსაც ასახელებენ; ეს უკანასკნელი ბოლოგამახვილებული ჯოხის (პალოს) გამოყენებაში მდგომარეობდა, ამ შემთხვევაში რქას უშვებდნენ არა ორმოში, არამედ პალოთი ჩახრილ ვიწრო სიღრუეში. რქის ჩასმის ეს ხერხი ადვილ შესასრულებლად ითვლებოდა, მაგრამ უპირატესობა, მთხრობლების აზრით, პირველს ენიჭებოდა. ორმოში რქა ჯერ უნდა დაეწვინათ, მერე წვერი შვამოებრუნებინათ და ზევით ამოეყოფინებინათ. რქის ჩაყრის ამ ხერხს, სხვა დადებით მხარეებთან ერთად, ის უპირატესობაც ჰქონდა მეორესთან შედარებით, რომ გადაწვენის დროს მთელი ძირი არ დაიძვრებოდა, სწორედ „ჩარქმული“ ვაზი კი „დაიძვრებოდა თავის ძირიანათ და გვიან მოუხდებოდა გახარება, იგეთი, თამამი არ იქნებოდა“. ჩაყრის დროს ზოგი მევენახე სასუქსაც იყენებდა, რქას ჯერ სასუქის ხსნარში ამოავლებდა და მერე მისთვის განკუთვნილ ორმოში მოათავსებდა.

ვაზის რქით შევისებულ არხს შარი ეწოდებოდა და მთელი სავენახე ფართობიც შარების სახელით იხსენიებოდა. შარებს უწოდებდნენ ახალშენის სახელწოდებითაც ცნობილ ახალგაზრდა ვენახს (მეოთხე წელში გადადგომამდე). ზოგ ადგილას მას ბავასაც ეძახდნენ. ზოგიერთი მთხრობელი ამ სახელწოდებას არხზედაც ავრცელებს — რქის ჩასაყრელად განკუთვნილ არხსაც, ზოგჯერ, შარს უწოდებს (სავენახე ადგილს დავშარავდითო, შარებს გავაკეთებდითო).

როცა გათბებოდა (აპრილის თვეში) და კვირტი გაიდვიძებდა, გასახარებელ რქას კვირტი რომ დაეძვრებოდა, ახალშენი უკვე მოვლას საჭიროებდა. პატარა კვირტი რომ თავს ამოყოფდა, (ერთ-



ვერსოკზე, თუ ცოტა ნაკლებზე“), მას მიწას შემოაცლიდნენ (შეწილენ) ზელტისაგან გაათავისუფლებდნენ და გათოხნიდნენ (გათოხნავდნენ) ირგვლივ შემოყრილი მიწა რომ არ მოეშორებინათ, შეიძლება საყლორტე კვირტებიც მიწისკენ დაბრუნებულიყო და ფესვებად ქცეულიყო. შემოკოკო-ლავებული მიწა სხვა მხრივაც უშლიდა ხელს ახალდანერტილ ვაზს — „მიწა უჭირებდა“ და ზრდის პროცესში მყოფი „კვირტი წვალბოდა“. ახალშენს არ უნდა მოჰკლებოდა თოხნა და მარგვლა, („სანამდისინ ვაზი დამსხვილდებოდა, თოხნის მოკლება არ შეიძლებოდა“). წელიწადში სულ ცოტა სამჯერ მაინც მოუწევდა გათოხნა (ნაისში, თბილეთესა და მარიამობისთვეში), ნორჩ ვაზს ბალახი არ უნდა ჩრდილავდეს, რამდენჯერაც ბალახი მოერევა, იმდენჯერ უნდა გაითოხნოს. თოხნის წყალობით ბალახიც ისპობა, და მიწაც „ნოყიერდება“ და „ბოშდება“. ბალახი სტუხსავს ვაზს, კვირტს უსტუხსავს, თვითონ ხარობს და პატარა ვაზს კი „უგრილოებს“ და „მიწას უჭამს“.

ალაზნის მარცხენა სანაპიროს მცხოვრებნი ახალშენს, საპიროების მიხედვით, რწყავდნენ კიდევ; კახეთის ამ მხარეში მორწყვა ძველი დროიდანვე ვენახის მოვლა-პატრონობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა. პატარა ვაზს პირველ წელიწადსვე ზედმეტ ყლორტებს აცლიდნენ, ათხელბდნენ, ნამკვრევს აშორებდნენ და ამგვარად მის გაფურჩხანას ახდენდნენ. მომდევნო შემოდგომაზე ან გაზაფხულზე მას გასხვლაც დასჭირდებოდა. თუ ჩაყრის დროს შერჩენილ ორივე კვირტზე ყლორტები იყო აღმოცენებული, ე. ი. თუ ორივე კვირტი გახარებული იყო, მაშინ ერთს მოაქრიდნენ და მეორეს, რომელიც უფრო სახსარში ჰქონდა ამოტანილი, სამამულედ გაუშვებდნენ, მას სამამულე კვირტს ეძახდნენ. ჩვეულებრივ მიღებული წესის მიხედვით, მალლითა რქა — მალლითა კვირტი — უნდა წაქროდა (ნორჩი რქა და კვირტი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზოგჯერ ერთი და იმავე გაგებით იხმარება) და მალლითა სამამულედ უნდა დარჩენილიყო, „უნდა დაბრუნდეს ვაზი. უნდა დასქელდეს, მალლითაზე რო წავიდეს იწვევებაო“ — ხშირად გავიგონებთ კახელი მევენახეებისაგან.

მეორე წელიწადს ვაზისათვის ჭიგო ანუ ჭიგვაც უნდა შეეღვათ და შეეყელათ. ამ წელს ის უკვე იმ სიმაღლეზე წამოვიდოდა, რომ მას ახვევაც მოუნდებოდა. თოხნა, მარგვლა, ფურჩხა, სხვა და, საპიროების შემთხვევაში, რწყვაც, მეორე წელიწადსაც ისეთივე თანმიმდევრობითა და აუცილებლობით გრძელდებოდა (ჩვენ დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი ვენახის მოვლა-დამუშავებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ, ამჟამად კი მხოლოდ ზემოაღნიშნულით დავკმაყოფილდებით). ამგვარივე მოვლა ესაჭიროებოდა ახალშენ ვენახს მესამე წელიწადსაც.

ახალგაზრდა ვაზის ზრდისა და ფორმირების პროცესისათვის, მისი დედავაზად ქცევის პროცესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გასხვლას. პირველად, პირველი წლის თავზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაზი უნდა გაეხსლათ ორ კვირტზე. მესამე წელში რომ გადადგებოდა, ახალშენი ვაზი უნდა დაეტუნებინათ — დაეტუკებინათ (დაეტოკებინათ) ანუ დაეღოკნათ, როგორც კახეთის ზოგიერთ სოფელში იტ-



ყვიან ხოლმე¹. დატუკებულ ვაზს, კახეთში, კვეციოლსაც ეძახდნენ. ტუკის ნაცვლად მას ზოგჯერ კვეციოლის სახელით იხსენიებდნენ.

ვაზის დატუკება მის გასხვლასა და გაფურჩნაში მდგომარეობდა: ვაზს გაასუფთავებდნენ ანუ გაფურჩნიდნენ და ოთხ-ხუთ კვირტზე გასხლავდნენ („თუ არ დავატუკეთ ვაზი, არ ითამაშებს; იმის ფერსომ მიწა უნდა წოვოს, რო დამსხვილდესო“).

ვაზის დატუკება, ისევე როგორც სანეროდ გასხვლა, შემოდგომობითაც ცოდნით და გაზაფხულზედაც. შემოდგომაზე თუ შეუდგებოდნენ ამ საქმეს, ამისათვის ლენობისთვისა და გიორგობისთვის გამოიყენებდნენ; ერთი სიტყვით, გასხვლა შეიძლებოდა მინამდევ, სანამ ყინვა დადგებოდა და სიცივეებს დაიჭერდა. საგაზაფხულო გასხვლას თებერვლის ნახევარში აწარმოებდნენ. ამ შემთხვევაშიც დაგვიანება არ შეიძლებოდა, ვიდრე ვაზში წყალი ჩადგებოდა. გასხვლა უნდა მოთავებულყო. წყალჩამდგარი ვაზი რომ დატუკდეს ან ჩვეულებრივ გაისხლას, კვირტი დაუბრმავდება და ცხადია, ნაყოფსაც ვეღარ გამოიტანს.

დატუკებული ვაზი რქებს ვაიტანს — საწვენი რქებს გაიყეთებს, ყლორტებს ამოიყრის და მომდევნო შემოდგომაზე ან გაზაფხულზე გადაწვება. ამდენი და ამდენი „ვაზი მაქვს საწვენიო“, ანდა „ამდენი ვაზი მაქვს წასაქცევო“ — იტყოდნენ ხოლმე ახალშენი ვენახის პატრონები. გადასაწვენიად გამზადებულ ვაზს, სამწლიანს, გასხვლის დროს ოთხ-ხუთ რქას შეარჩენენ (გადასაწვენიად განკუთვნილი რქები გრძლად უნდა გაესხლათ, თითოეული მათგანი ათ-თხუთმეტ კვირტზე უნდა დაეყენებინათ). გადაწვევის დროს უმრავლეს შემთხვევაში სამ რქას ამოუშვებენ ხოლმე, მაგრამ ოთხ-ხუთსა თუ მეტ რქას მაინც უტოვებენ. — გადაწვევის პროცესში თუ რომელიმე მოტყდება, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ვერ გამოდგება, სხვა რქას გამოიყენებენ, საბოლოოდ ხუთ რქას სამ რქაზე დააყენებენ.

ვაზის გადასაწვენი ადგილიც, ისევე როგორც ვაზის ჩასაყრელად გაკეთებული არხი, „ორბარიბარზე უნდა ამოვიდეს“. საწვენი ვაზის ძირში გარკვეული სიგრძისა და სიღრმის არხი ანუ სამარე უნდა გაიჭრას ისე, რომ ვაზს ფესვები გამოუჩნდეს, არხის სიღრმე დედნის ძირამდე უნდა დავიდეს. ვაზს ძირი თუ წესიერად არ შემოეთხარა, გადაწვევის დროს მოტყდება. არხში ვაზს მთლიანად „წააქცვენ“, მთელ სიგრძეზე ჩააწვევენ. ერთ რქას ისევე მოაბრუნებენ და თავის ძირზე დააყენებენ, მეორეს დაახლოებით არხის შუა ადგილას ამოუშვებენ, მესამე კი სადამდეც გასწვდება, იქ ამოაყოფინებენ თავს, გარდაფლულ რქებს თავებს გამოუჩენენ ხოლმე, მიწის ზემოთ ერთი კვირტი უნდა ჩანდეს, „რაც მიწაში კვირტები დაყვება, ის ფერსით ვაგა და რაც მალა იქნება ის ვაზით ამოვა“.

შემოდგომაზე გადაწვებოდა ვაზი თუ გაზაფხულზე, გათბობისთანავე ის გაიღვიძებდა და აღმოცენდებოდა. აღმოცენებული სამი ვაზიდან პირველი ორი კვლავ დატუკდებოდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე იმავე ად-

¹ საბა ორბელიანი, ტუკს „წლის წინდა“ ხსნის, წინას კი „ვენახის გარდაფლვას“ უწოდებს (საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თ. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928, იხ. „ტუკისა“ და „წინდას“ განმარტება). ამგვარად, საბას განმარტებითაც, ტუკი გარდასაფლავად ანუ გადასაწვენიად მომზადებული ვაზია, მაგრამ არა ორი წლისა, როგორც ეს კახეთშია მიღებული, არამედ ერთი წლისა.



გილას დარჩებოდა; მესამე კი, თუ ვენახი ჯერ შეესებულე არ დააწვებოდა. არხებს შორის მოქცეული ფართობის შეესებადნე, მესამე ვაზი თავის ადგილზე არ ჩერდებოდა, ის მუშაობას განაგრძობდა („მესამე ვაზს ვაშუშავებთ“).

ზოგი მევენახე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ისე ახლო-ახლო კრიბდა არხებს, რომ ვენახის შეესებას ერთი გადაწვენა ჰყოფნიდა. ზოგი მევენახე კი ისე შორ-შორს აყენებდა არხებს ერთმანეთისაგან, რომ ვენახის შეესება რამდენიმე გადაწვენას საჭიროებდა. ერთი გადაწვენა, სრულყოფილი და გამძლე ვაზის მიღების თვალსაზრისით, როგორც ჩანს, საკმარისი არ იყო, სამ-ოთხჯერ და მეტჯერ გადაწვენა კი მეტისმეტად ახანგრძლივებდა ვენახის გაშენების პროცესს. ნორმალური წესის მიხედვით, ვაზი ორჯერ უნდა გადაწოლილიყო და ვენახის გაშენებაც საშუალოდ ექვს წელიწადში უნდა დასრულებულიყო.

გაღმა მხარეში, ალაზნის მარცხნივ მდებარე სოფლებში, გადაწვენილ ვაზს ერთი წლის განმავლობაში ნაბარს უწოდებდნენ. ვენახის დაბარვა მხოლოდ ვაზის გაშენებასთან, მის გადაწვენასთან იყო დაკავშირებული, სხვა შემთხვევაში აქ ვენახი არ იბარებოდა. ვენახის აშენება რომ დასრულდებოდა, მას დააყამიარებდნენ და, როგორც ვენახის მოვლა-პატრონობის განხილვის დროს უფრო კარგად დავინახავთ, მორიგი გადაწვენის საჭიროებად მას ბარს აღარ მიაკარებდნენ.

დატუკების პერიოდში ვაზი მცირეოდენ ნაყოფს უკვე იძლევა, მეოთხე-მეხუთე წელიწადს უფრო მეტს ისხამს. ამ წლებში მოსხმულ ყურძენს ან სულ აშორებენ ან ცოტას უტოვებენ, ყურძნის გამოკვების პროცესში ნორჩი ვაზი „დაიჩაგრება“, „დალაღვდება“. მეექვსე წელიწადს ვაზი სრულ მოსავალს იძლევა. ექვსი-შვიდი წლის თავზე ახალ შენი ნამდვილი ვენახად გადაიქცევა, ექვსი-შვიდი წლის დამსხვილებული ვაზებით სავეს ადგილს უკვე ვენახი ეწოდება.

ამგვარად ჩაყრილი და მოშენებული ვენახი ძალიან დიდხანს ცოცხლობდა, ის რამდენიმე თაობას ემსახურებოდა. საკმაოდ დიდ დროს უნდა გაველო, რომ ვენახი სამუდამოდ „ამოვარდნილიყო“.

დროთა განმავლობაში თუ რომელიმე ვაზი ამოხმებოდა, მეზობელი ვაზის შესაფერის რქას გადაამუხლავდნენ (ჩამუხლავდნენ) — გადააწვედნენ და, ამრიგად, გაუმხარი ვაზის ადგილზე ახალ ვაზს აღმოაცენებდნენ; გათხლებული ვენახი „გადაწვენილ შენდებოდა“. გადაწვენის შედეგად ვაზის ძირი ძალიან შორს მიდიოდა; ბევრი ვაზი, ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი მანძილით დაშორებული („ვაზი შეიძლება ოც საყენზე წასულიყო“), ძირებით ერთმანეთზე იყო გადაბმული. „რამდენი ვაზი გადაწვება, იმდენი ის ფერსოს იკეთებს და უფრო ღონიერი გამოდიოდა“.

კახური და საერთოდ ქართული მევენახეობის სფეროში გადაწვენა უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა, ქართულ ტრადიციულ მევენახეობაში ვაზის გამრავლების ეს ძირითადი ხერხი ბატონობდა. ვაზის სხეულებათა გაჩენის შემდეგ ვენახის მოვლისა და მოშენების ხერხები მრავალმხრივ შეიცვალა, გადაწვენის წესს, კერძოდ მენობის ხერხი და უპირისპირდა.

ზემოიმიერული კერამიკა

1. უ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურის ნაირფეროვნება მეზობელ-ტომთა ურადღებას იმთავითვე იპყრობდა და, როგორც ისტორიულ-არქეოლოგიური წყაროების განხილვიდან ირკვევა, ქართველთა სამშობლო შორეულ წარსულშივე კერამიკული წარმოებით განთქმულ ქვეყანასაც წარმოადგენდა.

ქვის ხუროებით ცნობილ ქვეყანაში საშენ მასალად განკუთვნილი აგურიც საკმაოდ უხვად მზადდებოდა და ქვაბრუნისაგან გაკეთებულ კრამიტთა გვერდით „კეცის ლორფინიც“ დიდი რაოდენობით იჭრებოდა. ჭიქისა, ხისა, ოქრო-ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა სახის ლითონთაგან შექმნილ ჭურჭელთა გვერდით თიხის ჭურჭლეულიც ფართოდ იხმარებოდა და ღვინო კი, რამდენადაც ვიცით, ძველ საქართველოშიც მხოლოდ „კეცის ჭურში“ ინახებოდა.

ღროთა ვითარების გამო ბევრი რამ დავიწყებდას მიეცა, ჟამთა სვლის კვალი ქართულ კერამიკულ კულტურასაც დაეტყო, მაგრამ ქართველ კერამიკოსთა დიდხოვანი ტრადიცია მთლიანად მაინც არ დაიკარგა: მრავალდარგოვანი კერამიკული წარმოება, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, ლიხთიმერეთმაც დღევანდლამდე შემოინახა,

თანამედროვე ქართული კერამიკის ცალკე განშტოებათა მეცნიერული შესწავლა, უნდა ვიფიქროთ, ამ საუყრადღებო დარგის მრავალსაუკუნოვან წარსულსაც აანეტყველებს. ზემო იმერულ ცნობებზე დამყარებული კვლევა-ძიება („ზემოიმიერული კერამიკა“), კერძოდ, ქართველთა ნივთიერი კულტურის შესწავლის საქმეს გარკვეულ დახმარებას გაუწევს.

როგორც კერამიკით მდიდარ კუთხეებში, ისე იმერეთშიც გვხვდება მრავალდარგიანი კერამიკული წარმოება. მეჭურჭლეობის (წითელი ჭურჭლისა და მოჭიქული ინუ „ინგლისის“ ჭურჭლის), მეჭურეობის, მეთორნეობის, მეკრამიტეობისა და მგაგურეობის არსებობა იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც მოწმდება.

წარმოების თითოეულ დარგს იმერეთშიც ამ მხრივ საგანგებოდ განსწავლული ოსტატი ემსახურება, მაგრამ მისი მოვალეობა ზოგჯერ ძირითადი საქმიანობის ფარგლებს სცილდება: ნაირსახოვანი წითელი ჭურჭლის მკეთებელს საჭირო შემთხვევაში წყლის მიღების გაკეთებაც უხდება (თუმცა არა ყველას), ისარნა-ჭურების ოსტატს თორნის გაკეთებაც ეხერხება და აგურ-კრამიტის მომჭრელადაც ზოგჯერ ერთი და იგივე ხელოსანი გვევლინება.

ზემო იმერეთის კერამიკულ წარმოებას მრავალი ადგილსამყოფელი მოგპოვება, მეკრამიტეობა-მგაგურეობის მრავალრიცხოვან ცენტრებს არც მეჭურ-

ქლები-მეჭვევრობის ცენტრთა რიცხვი ჩამორჩება: შრომა,¹ საკრებულო-
მაქათუბანი, გებრული და ჯოყოეთი მეჭურჭლეობი-
ქმულ ცენტრებად ითვლება, ხოლო ბოსლევნი, დიდი-წიფელა და
ჩხირაული მეჭვევრობით სახელმძღვანელო ცენტრთა რიცხვს მიეკუთვნება.

კრამიკულ წარმოებაში გამოყენებული მიწის ჯიშთა შინაარსის აღსა-
ნიშნავად იმერული ოსტატები სიტყვა მიწას ხმარობენ, მაგრამ მიწის ამა თუ
იმ ჯიშს კონკრეტული სახელწოდებითაც აღნიშნავენ. ჭურჭელს (წითელ ჭურ-
ჭელს და მოჭიქულს), თორნე-ჭვევრსა და კრამიტს აყალო მიწისა და თი-
რის ანუ სილა მიწის შენაერთისაგან აკეთებენ, აგურს კი შავი მიწისა
ანუ ქვაგუნდისა და თირის შენაზავისაგან ამზადებენ. ზოგიერთ ადგი-
ლას „ერთიანი მიწა“² — აყალო-თირის ბუნებრივი შენაერთიც ჩნდება, მაგრამ
ამგვარი შემთხვევა, როგორც გადმოგვცემენ, იშვიათ მოვლენად ითვლება,
უფრო ხშირად კი ოსტატს მიწათა შეზავება უხდება.

აყალო მიწის თითოეული სახე თავისებური თვისებებით ხასიათდება,
მაგრამ აყალოს ჯიშთათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების დადგენა-
ში იძლება: აყალო მიწათა შორის გარკვეული მსგავსება დგინდება, თირისაგან
კი ყოველი მათგანი არსებითად განსხვავდება.

აყალო „მაგარი“, „მსუქანი“ და „წებოიანი“ მიწა. აყალო „საპონიეთი-
იღესებაო“, აყალოიანი ჭურჭელი „წყალს არ გაუშვებსო“, წყალი „ჭრინვას“
არ დაიწყებსო. აყალო „ფიცხ“ მიწადაც ითვლება, კრამიკული საგნის დასა-
მზადებლად მარტოოდენ აყალო არ გამოდგება. მეტაყალოიანი ჭურჭელი „არ
იარსებებს“, „მოხდება თუ არა ქარ-სიცხე, გატყდება“. გარეგანი შესახედა-
ობით აყალო „ხარტიანი“ და „ხოროშ“ მიწად წარმოგვიდგება, ამ მხრივ ეს
თირისაგან და სააგურე მიწისაგან დიდად განსხვავდება. ერთი სიტყვით, აყა-
ლო-მიწის იმერული გაგება სახელოვანი ლექსიკოგრაფია განმარტებას არ
შეესატყვისება: აყალო „მიწიკულთა გამრეცხელ“ მიწად არ ითვლება;³ იმერუ-
ლი ოსტატის „აყალოში“⁴ კახელი ოსტატის მიერ ხმარებული „თიხის“ თვი-
სებები მეორდება.

¹ სოფ. შრომა (ზოგიერთი ოსტატის გადმოცემით სოფ. გებრულიც) მექანურობის
ცენტრადაც არის მიჩნეული, მოჭიქვის ხელოვნება მხოლოდ მოდებაძეების გვარის წევრთათვის
არის ცნობილი. მოდებაძეთა საგვარეულოს პირველ ოსტატებს ზეგირდობის სყოლა სოფ. საბე-
ში მცხოვრებ ბესარიონ და თე შიძესთ ან გაუფლიათ და ამ გვარის მომდევნო თაობი-
სათვის კი თვითონ მათ უსწავლებიათ (ბესარიონ დათეშიძე, რომლის შთამომავალი იღეს და-
თეშიძეებად იწვრებიან, რაკში დაბადებულა, სოფ. შრომაში გაზრდილა, საცხოვრებლად კი
სოფ. საბეში დასახლებულა).

მოჭიქული ჭურჭლის წარმოებასთან დაკავშირებული ცნობების შეკრება მხოლოდ სოფ.
შრომაში მოხერხდა; მოჭიქული ჭურჭლის ქვემოთ წარმოდგენილი დაბასათებაც, ამის გამო,
მხოლოდ შრომელ მეჭურჭლეთა შინაგარეობის ემყარება.

² აგური და კრამიტი ბევრგან იჭრება (სხვა სოფლებთან ერთად, აგურ-კრამიტი მეჭურ-
ჭლეობა-მეჭვევრობის ზემოაღნიშნულ ცენტრებშიც კეთდება) და ჭურჭელ-ქვევრის წარმოების
ცენტრთა რიცხვი მხოლოდ ზემოაღნიშნული სოფლებით არ ამოიწურება. აქვე უნდა აღვნი-
შნათ, რომ ქალის შრომაზე დამყარებული კეცის მკეთებლობა თითქმის ყველა სოფელში
გვხვდება.

³ საბას განმარტებით „აყალო ეს არის მიწა საპონთ მსგავსი; მიწიკულთა გამრეცხელი“
(იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და
პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928).

⁴ ზემო იმერეთში „თიხას“ მიწის გაგებით არ ხმარობენ, „თიხას“ აქ გამოიწერა ჭურ-
ჭელს (ქვევრ-თაღრების ჩათვლით) უწოდებენ.



თირი „მშლატე“ ანუ „მშრატე მიწა“, უძარღვოა, „ფხვნილი“¹ კუთვნილი ხელს რომ მოკიდებ, იფხვნიება“² და ნაცარივით წმინდა“. თირი ვეჯალს³ შედარებით მართლაც წმინდა მიწაა, მაგრამ ფხვიერადობით ის ნაცარს, რა თქმა უნდა, არ მიემსგავსება.⁴ თირი სივრცითაც ხასიათდება, თირთან შეზავებით აყალოს სიფიცხე ეკარგება („თირი აყალოს სიფიცხეს ალბობს“, „აყალოს თუ თირი არ შერია, იფიცხებს“, „აყალოს თირი მოათარებს“) და მისგან დამზადებული საგანი აღარ ტყდება⁵.

გარეგანი და შინაგანი ნიშნების სახით წარმოდგენილი სხვაობა მხოლოდ აყალოსა და თირს შორის არ მოწმდება. ამგვარი განსხვავება არც მხოლოდ სხვადასხვა ჯიშის აყალოთა შორის დასტურდება; ამა თუ იმ საგნის დასამზადებლად განკუთვნილი აყალოც ყოველთვის ერთნაირი თვისებებით ხასიათდება: სიფიცხის მეტნაკლებობა და ფერის სხვადასხვაობა ერთი ჯიშის, მაგრამ სხვადასხვა ადგილს მოთხრილ აყალოთა შორისაც შეიმჩნევა; შესაზავებლად ნავარაუდევი თიხის რაოდენობაც, ამის გამო, აყალოს სიფიცხის კვალობაზე ისახლება⁶.

ქურჭლისა და ავურ-კრამიტის წარმოებაში წყლის სილასაც (წყლის წმინდა სილას) იყენებენ, კერძოდ მექურჭლეობაში სილის მაგიერ საფანალად ნაცარსაც ხმარობენ.

კერამიკული წარმოებით ცნობილ ცენტრებს მიწოდ მდიდარი საბადოებიც მრავლად მოეპოვებათ, ხოლო საკუთარი საბადოს არმქონე სოფლის ოსტატებს, რაც შედარებით იშვიათია, საჭირო მიწის „მოკრა“ მეზობელ სოფელთა თიხნარებში უბდებათ (ზოგიერთ საბადოს ორი ან რამდენიმე სოფელი თანაბარი უფლებით ფლობს)⁷.

მიწის გადასაზიდად ხარების ურემს იყენებენ, მაგრამ, თუ მიწა მცირე რაოდენობით სჭირდებათ და მიწნარიც შორს არ არის, მიწა ზოგჯერ ზურგითაც გადააქვთ⁸.

¹ სოფ. შროშაში მცხოვრები მექურჭლის-გაიოზ დიმიტრის ძე მოვდებაძის განმარტებით „თირი დედამიწის ტუნტლია“, შედგენილობით სილის მსგავსია, „სილაც და თირიც დედამიწის ნაწმენდია“ (წყალში ჩატანული მიწის ნაწმენდი სილაა, დედამიწაზე გაჩერებული ნაწმენდი კი თირია).

² თირის ქარბად შერვაფ აყალოს სიფიცხესთან ერთად ძარღვსაც უკარგავს. მეტთირიანი ქურჭელი სითხის შთასაყენებლად არ გამოდგება. (ამგვარი ქურჭელი წყალს ცივად ინახავს, მაგრამ „ფრინავს“).

³ ქურჭლის გასაკეთებლად, მაგალითად, წითელ აყალსთან ერთად თეთრი აყალოც იხმარება (აყალოს ვაბატონებულ ღერად მაინც წითელი ფერი უნდა მივიჩნიოთ, თირი კი „მტრადისფერი“, „წითერი“ ფერის მიწად უნდა ჩავთვალოთ).

⁴ ამა თუ იმ კრამიკული საგნის დასამზადებლად გამოსადეგი მიწა ზოგჯერ თვით ოსტატის კარმიდამოშიც აღმოჩნდება ხოლმე.

⁵ სოფ. შროშის ზოგიერთი უბნის მექურჭლეები ქურჭლის მიწას სოფლის ფარგლებშივე სთბრან (სოფ. შროშა და ზემო იმერეთის სხვა სოფლები, როგორც ჩანს, რამდენიმე ურთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებულ უბნისაგან შედგება). ზოგიერთი უბნის ოსტატები კი საჭურჭლე აყალოს ღორმანაულიდან მოეზიდებიან. სილა-მიწის მოპოვება უფრო ადვილად შეძლება, რადგან ხსენებულ სოფელს თირის რამდენიმე საბადო მოეპოვება (ჯვარი, საჭურფე, ნაკალჯვარი, ნაპურალი, ნანიორგები და სხვა). სოფ. ბოსლევის ოსტატებიც საკუთარი მიწის საბადოებით სარგებლობენ: მარცხენა ბოსლევის მექურჭეები და მეგურე-მეკრამიტეები უმთავრესად შარიპირებსა და ბოსლევის დიდ საჭურვებზე (ქოჩოს წყლის საჭურვებზე) მუშაობენ, მარჯვენა ბოსლევის მექურჭეები და მეგურე-მეკრამიტეები კი აყალო თიხის მოთხრას ჩოხელთასა, ნაურმალსა და ჯვარმუხბახე აწარმოებენ. მიწის ამგვარი საბადოები კრამიკული წარმოების სხვა ცენტრებშიც მოიპოვება, მაგრამ მათი საითაოდ დასახელება ჩვენ არ დაგვირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმერელი ოსტატები მიწის საგანგებო მუშაობის მიხედვით არ აწარმოებენ (მიწის მოთხრის ან კერამიკული საგნის ყეთების დროს) თუ „ფესო“ ან ქვა-კენჭი შეხედებათ, მათ, რა თქმა უნდა, მოაშორებენ) და არც მიწის გახმობის წესს იცავენ.

II კერამიკულ წარმოებაში დამოუკიდებელი ნაგებობანი

კერამიკული წარმოების ყოველ დარგს ორი სახის ნაგებობა ემსახურება: ოსტატის სამუშაოდ განკუთვნილს ქარხანა ეწოდება (ქვევრის ქარხანასა და სპურე ბინას, ბინასა და სპურეს ეძახიან), ნაწარმის გამოსაწვავ ნაგებობას კი—საწვავი და ქურა¹.

საყოველთაოდ მიღებული წესის თანახმად, იმერელი ოსტატებიც საწვავს ქარხნის ახლოს აშენებენ, კერძოდ, ქვევრის ქურას ქარხნის ძირშივე მართავენ. ქურა-ქარხნის ერთმანეთისაგან დაშორება ქვევრების შედგმას გაძნელებდა, გადატანის დროს ქვევრი დაზიანდებოდა.

ყველაზე ფიციბი მიწისაგან, როგორც აღვნიშნეთ, ქური და ქურქელი ყეთდება; ამის გამო მექურქელსა და მექურეს საგანგებო წესების მიხედვით გამართული, მზე-ქარისაგან კარგად დაცული და „დაყუდრული“ („ყუდრე“) ნაგებობა ესაჭიროება.

მართლოდენ ქურქელის საჭრელად და გასაშრობად განკუთვნილი ადგილი („ქარხანა“) ზემო იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ამჟამად იშვიათად გვხვდება, ქარხნის მაგიერობას საცხოვრებელი სახლის ქვემოთა პალატად ანუ ქვითკირად წოდებული სართული ეწევა. ზაფხულობით, წყნარი ამინდის პირობებში, ოსტატები სამუშაო ადგილად სახლის ან სხვა სამეურნეო ნაგებობის ბივანს იყენებენ, გასაშრობად კი ქურქელს მაინც პალატაში ათავსებენ. ზამთრობით პალატას რკინის ღუმელების საშუალებით ზომიერად ათბობენ და ქურქელის ჭრის პროცესსაც აქ წარმართავენ².

„საქური ბინას“, ქურის ქარხანას (ტაბ. I, A და A₁), ქურქელის ქარხნის მსგავსად, ქვითკირით აშენებენ, კავ-კრამიტის სახურავით ხურავენ, ე. ი. ორ მხრივ დაქანებულ სახურავს უყეთებენ და სიცხესა და ნიავ-ქარის ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ზემოდან ზოგჯერ „გვიმრასაც“ აფართობითაც იჭრება.

¹ კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავად განკუთვნილ ნაგებობას მექურქელები (კერძოდ კი სოფ. შრომის მექურქელები) უპირატესად, „საწვავის“ სახელით აღნიშნავენ, კერამიკის სხვა დარგის ოსტატები კი მას უმთავრესად „ქურას“ უწოდებენ.

² ქვევრი, თორენ და აგურ-კრამიტი მხოლოდ ზაფხულობით ყთდება, ქურქელი კი ზამთრობითაც იჭრება.

³ ტაბ. I-ზე წარმოდგენილი ქარხანა ქვითკირით არის აშენებული და კავ-კრამიტით დახურული. ქარხანა, როგორც ნახაზიდანაც ჩანს, გრძელია და ვიწრო. თავსა და ბოლოს, —ვიწრო კედლების თავზე ქვიტიკირისავე ლირსებია აყვანილი, ლირსებს შორის სათავეა გადებული; გატევის თავიდან აცილების მიზნით, სათავეს სამი ბოძი აქვს შეყენებული. გვერდის კედლებზე (გრძელ კედლებზე) სართულად სახელდებული გრძელი ხეგბია დაფრდნობილი და სათავესა და სართულებს შორის კი გადასაკიდებია (კაეები) გალაგებული. გადასაკიდები ერთი ბოლოთი სათავეზეა დაღურსმული, მეორე მოკაეებულში—კოტა მიმშული ბოლოებით კი სართულზეა ჩამოკიდებული, ქარხანას სამი სასინათლო და ერთი კარი აქვს დატანებული (ტაბ. I-ზე წარმოდგენილი ქურა-ქარხნის გეგმა და კრილი სოფ. ბოსლევში მცხოვრები მექურის—იპოლიტი ერმოლოვის ძე კაპანაძის ქურა-ქარხნის მიხედვით არის გაკეთებული. სხვა ოსტატთა ქურა-ქარხნებიც თითქმის ამგვარადვე მოწყობილი).



ქურის ბინას რამდენიმე სასინათლოს აყოლებენ (ტაბ. I, A₁ b). ქვევრების გასატანად განკუთვნილ განიერ კარსაც უკეთებენ (ტაბ. I, A₁ b). საჭურე ბინის გვერდებს ქვიტკირის მაგიერ ზოგჯერ წნელითაც ღობავენ — „წენლით შემორაგვავენ“, „ქარ-სიციხის“ ადგილად გამტარ ჩელტის კედლებზე გვიმრის ფოთლებსაც აფარებენ („გვიმრას შემოვავარავთ“). ქვევრის ბინა ქურქლის ქარხანაზე უკეთ უნდა იყოს დაცული და უკეთესად ითვლება, თუ ის ნაწილობრივ მიწაში იქნება მოქცეული, ქურის ქარხანაში „ბუმბული არ უნდა იწეროდესო“.

კრამიტიც, როგორც აღვნიშნეთ, ფიცხი მიწისაგან კეთდება (თუმცა სიფიცხის უნარიანობით კრამიტის მიწა ქურქელ-ქვევრის მიწის ბევრად ჩამოუვარდება) და სწორედ ამ გარემოების გამო ის ქარხანაში იჭრება და იქვე შრება.

ჩარდაბის მოყვანილობის საკრამიტე ქარხანა, ქურქელ-ქვევრის ქარხნების მსგავსად, მართალია, მტკიცედ არ არის შემოზღუდული, მაგრამ ძლიერი სიციხია და ქარის თავიდან ასაცილებლად, ეს უკანასკნელიც წნელის ან ფიცხის კედლებით არის შემოფარგლული; საკრამიტე ქარხნის სახურავიც კვერამიტით არის გაწყობილი.

საკრამიტე ქარხანაში ახლად მოჭრილი კრამიტის დასაწყობი ფიცხის თაროებიც არის გამართული, ქარხნის წინ კი (გარეთ), შემშრალი კრამიტის გასაფენად, კალოდ წოდებული ადგილია გადავაკებული.

კალოს გამოყენება აგურის წარმოებაშიც მოწმდება: აგურს კალოზე მოწყობილ დაზგაზე ჰრიან (სიციხე და ქარი აგურს არ აზიანებს) და გასაშრობადაც იქვე ფენენ. საკრამიტე ქარხნის მსგავსი ნაგებობა მეაგურეც ესაქირობა, მაგრამ მეაგურეობაში ის სხვა ფუნქციის შესრულებას ემსახურება: სააგურე ჩარდაბში, რომელსაც ზოგიერთი მეაგურე კარავსაც უწოდებს, გამხმარი აგური ინახება.

ზემო იმერეთის კერამიკულ წარმოებაში სამგვარი ქურის არსებობა დამოწმდა: წითელი ქურქლისა და აგურ-კრამიტის გამოსაწვავად ერთი სახის საწვავი იხმარება (თუმცა მეაგურეობა-მეკრამიტეობაში წითელი ქურქლის ქურისაგან თავისებურად განსხვავებული ქურის გამოყენებაც დასტურდება) ქვევრისა და მოქიქული ქურქლის გამოსაწვავი ნაგებობანი კი ზემოდასახელებულ ქურქელ-აგურ-კრამიტის ქურისაგანაც და ერთიმეორისაგანაც მნიშვნელოვნად განსხვავდება¹.

ქურას კალატოზი ან თვით კერამიკული წარმოების ოსტატი აშენებს. ქურის აგების დროს მშენებელი ოსტატი ქურის ყოველ დეტალს სრული ზედმიწევნილობით ითვალისწინებს.

ქურის ქურა წარმოადგენს (ტაბ. I, B და B₁) მიწის ზემოთ აშენებულს, სამკედლოვანსა და მრგვლად ცაგად აყვანილ ნაგებობას. ქურას მხოლოდ ვეერდები და ზურგი აქვს ამოყვანილი (ტაბ. I, B₁C და B₁d), ღიად დატოვებული წინაპირი კი (ტაბ. I, B₁c) კარის მაგიერობას ასრულებს, მექურე მას ქვევრების შეღავების შემდეგ ამოაშენებს ხოლმე². ქურა ცალბირი „ანგურითა და ალიზით“, „ანგურითა და ტალახით“ არის აშენებული (ტაბ. I, BC). მისი გვერდები გამაგრებულია კედლით, რომელიც ცის დასაწყისამდე ჰქვით და ალიზით არის ნაგები და საბეჭდავის სახელითაა ცნობილი.

¹ მექურქლის მიერ დამზადებული თორწების გამოწვაც ქურის ქურაში ხდება.

² ქურის უკანა კედელი, წინაპირთან შედარებით, უფრო მაღალი უნდა იყოს და განერი („ცეცხლი კარგად გაყვება ცასათ“).

(ტაბ. I, Bd). ქურის ცა აგურ-ალიზითვეა გადაყვანილი (ტაბ. I, Bh), და ზემოდან კრამიტი აქვს დაფარებული (ტაბ. I, Bh). ვახურების დროს მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცილებლად ქურა ბოძებით არის გამაგრებული (ტაბ. I, Bf და B₁f); ქურის ოთხივე კუთხეში ხის სვეტებია დარკობილი, სვეტების თავზე კი ქურის თავსა და ბოლოში დარკობილ ბოძებს შორის ბოლოგაჩერებული ხეებია ჩამოცმული. უღლად („უღელი“) სახელდებული ხეებით (ტაბ. I, Bn) ქურა მტკიცედ არის „გადაკეტილი“. ქურას უკან ორი პატარა (ნაპირებში) და ერთი დიდი (შუაში) თვალი აქვს (ტაბ. I, Ba, Bb და B₁a, B₁b); პატარა თვლებს ჰინჭილაქებს („ჰინჭილაქი“) და კუჭქნეებს („კუჭნა“) უწოდებენ, ქვევრის პირივით მრგვლად მოყვანილს დიდ თვალს კი სამთვარიოს სახელით აღნიშნავენ¹.

ქურების შედგენის შემდგომ, როგორც ვთქვით, ოსტატები აგურითა და ტალახით ქურას წინაპირსაც აურაგავენ, თირში კი შეშის შესაყვებლად განკუთვნილას ერთს (თუ პატარა ქურაა) ან ორს (თუ მოზრდილი ქურაა) თვალს დააყოლებენ².

ქურის ქურა სხვადასხვაგვარი მოცულობის კეთდება, მაგრამ უმთავრესად მანძი ექვს-ოთხ ქურთან ქურები გვხვდება. ექვსქურიან ქურაში, ოსტატთა გადმოცემით, ექვსი ქური და ათი-თორმეტი ქვევრი იტევა,³ ოთხქურიან ქურაში კი, როგორც თვით სახელწოდებიდანაც ჩანს, ოთხი ქური და რამდენიმე ქვევრი თავდება⁴.

წითელი ქურქლისა და აგურ-კრამიტის გამოსაწვავი ნაგებობაც (ტაბ. I, C და C₁) მიწის პირზეა აგებული, ესეც სამი კედლისაგან შედგება — გვერდებისა და ზურგიისაგან (ტაბ. I, C₁c და C₁d), წინაპირის ანუ წინა გულის (ტაბ. I, C₁e) უდიდესი ნაწილი კი მასაც ღიად აქვს დატოვებული. გვერდის კედლებზე დაყრდნობილი ქურის ცა (ტაბ. I, k) „ანაგურითა და ტალახით“ არის გადაყვანილი, ამავე მასალით არის ამოშენებული ქურის კედლებიც (ტაბ. I, Cc). ეს კედლები ქვით ნაშენი საბეჭავით არის გამაგრებული (ტაბ. I, d) და მთელი ქურა უღელ-ჩამოცმული ბოძებით არის „შეკრული“ (ტაბ. I, Cf და f). ქურაში, თირიდან მცირეოდენი მანძილის დაშორებით, აგურ-ალიზით ნაშენი

¹ სამთვარიოში მოზრდილი ქვევრის პირს დაატანენ ზოლმე. ზოგი მეჭურე სამივე თვალს „სამთვარიოს“ ეძახის.

² ზოგიერთი მეჭურის ცნობით, დიდ ქურას სამ თვალსაც უყვებენ.

³ დიდი ქვევრი „ქურია“ და პატარა კი „ქვევრი“.

⁴ ქურის აღწერისათვის სისრულისათვის რამდენიმე სიტყვას მისი აშენების თანდათანობის შესახებაც ვიტყვით: ქურის აშენება, როგორც აღნიშნა, მიწის პირიდანვე იწყება. ქურას საძირკველი — „ბაღვერი“ არა აქვს. აგურის კედლებისა და მათ გასამაგრებლად ნაგებრულდევ ქვის კედლების შვენებლობა ერთდროულად ხდება. სამივე კედლის განსაზღვრულ სიმაღლემდე ამოყვანის შემდგომ („გვერდებსაც და ზურგსაც ერთბაშად ვაშენებთ ჰინჭილაქებამდე“) გვერდის კედლების გადახრას და ცის გადაყვანას იწყებენ; გვერდებს შორის მეტად მსხვილი წნელის კამარა („გადაიწინებლბა“) და ცა გადაყვანთ ორივე გვერდიდან თანაბარი თანმიმდევრობით, ცალი მხრიდან რომ ვაშენათ, წინასწრობა დაირღვევა; აგური კამარას დააწებდა და ჩამოინგრევდა. ამგვარი წესით წარმოებული მუშაობის შედეგად, ორივე გვერდიდან გადაშობრილი კედლები „შუაში მოივრის თავს და ცა დაიკეტება“. ამის შემდგომ უკანა კედლის ღიად დარჩენილ ნაწილს ამოაშენებენ და ჰინჭილაქებსა და სამთვარიოს ზემოთა ნახევარში დაუყოლებენ.

ქურის ქურის განაზომები; ქურის სიგრძე (გვერდის კედლის სიგრძე) — 410 სმ, სიმაღლე (მანძილი იატაკისა და ცას შორის) — 280 სმ, კედლის სიმაღლე (ცის დასაწყისამდე) — 190 სმ, უკანა კედლის სიგანე — 315 სმ., წინაპირის სიგანე — 275 სმ., ქურის კედლის სიგანე — 10 სმ, ქვის კედლის სიგანე — 80 სმ, სიმაღლე — 220 სმ, მანძილი იატაკსა და ჰინჭილაქებს შორის — 176 სმ, მანძილი იატაკსა და სამთვარიოს შორის — 250 სმ, ჰინჭილაქის ზომა — 10 სმ x 10 სმ, სამთვარიოს დიამეტრი — 35 სმ.



ქართული

რამდენიმე (ხშირ შემთხვევაში ორი, სამი ან ოთხი) ბოგორტიზმის ტიპი (ტაბ. I, Cr და C_{1r}) და ქურის წინაპირიც ბოგორებამდე ამოწმებული. ბოგორებს ქვემოთ მოქცეული ნაწილი, რომელსაც ზოგიერთი მექურტულე საწვავის ძირსაც უწოდებს, ცეცხლის დასანთებ ადგილად არის მიჩნეული (ტაბ. I, Cb₁). ზემოთა სართული კი (ტაბ. I, Cb) გამოსაწვავ საგანთა მოსათესებლად არის განკუთვნილი. ბოგორი ნახევრადრკალისებრ არის გადაყვანილი, მისი ზემოთა პირი კი სწორადაა გადავადებული. ბოგორის ფეხები გვერდის კედლებზეა მიბჯენილი. ბოგორებს შორის ცეცხლის ამოსასვლელი ადგილებია დატოვებული (ტაბ. I, C_{1n})¹.

ქურის უკანა კედელში დაკვირვების საწარმოებლად და პერის სამოძრაოდ დატანებულია სამი თვალი² ანუ სამთვარიო (ტაბ. I, Ca). ბოგორებამდე ამოყვანილ წინა პირშიც შეშის შესაკეთებლად განკუთვნილი თვლებია ვაკეთებული. ქურქლის ქურას უმთავრესად ერთ თვალს უკეთებენ, აგურკრამიტის ქურას კი ორ-სამ თვალსაც უყვობენ³.

იმერელი ოსტატები ქურქლის საწვავსა და აგურ-კრამიტის ქურას სხვადასხვა ზომისას აკეთებენ. გამოსაწვავი ნაგებობის სიდიდეს მექურტულები საპნობითა და ურმობით ანგარიშობენ, მეაგურე-მეკრამიტენიც მას აგურკრამიტის რაოდენობის მიხედვით საზღვრავენ. ქურქლის ქურა კეთდება ორ, სამ და ოთხსაპანიანიც. ურმობის მიხედვით თუ ვივარაუდებთ, ქურქლის ქურა შეიძლება ერთურმიანიც იყოს და ორურმიანიც. მექურტულეთა გადმოცემით ორურმიანი ქურა სიდიდით ოთხსაპნიან ქურას შეესატყვისება, ზოგიერთი ოსტატის ცნობით კი ორურმიანი ქურაში მხოლოდ სამი საპანე ქურქულე თავსდება. ოთხსაპნიანზე დიდი ქურა ქურქლის გამოსაწვავად არ გამოადგება, დიდ ქურაში ქურქული ერთმანეთს მიძიმედ დაწვება და კარგადი ვერ გამოიწვება⁴. აგურისა და კრამიტის წარმოებაშიც უპირატესობა პატარა ქურას ენიჭება. აგურ-კრამიტის გაზოსაწვავი ნაგებობა არის სამიათასიანიც, ე. ი. სამი ათასი კრამიტის შთამტევი, არის ოთხ და ხუთათასიანიც, მაგრამ უკეთესი მოცულობის მქონედ ათასიანი და ორათასიანი ქურა ითვლება. „კრამიტი რომ ერთნაირად გამოიწვას და კარგი გამოვიდეს, შორჩილი ქურა სჯობია დიდსაო“⁵.

წითელი ქურქლისა, ქვეერისა და აგურ-კრამიტის გამოსაწვავ ნაგებობათა შორის, როგორც ზემოთ წარმოდგენილი აღწერილობიდანაც დაკრწმუნ-

¹ ზოგიერთი ოსტატი ბოგორს „თალს“ უწოდებს, ზოგი კი ამ სახელწოდებით („თალით“), ბოგორს ქვედა კამაროვან ნაწილს იხსენიებს.

² ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში მრავალფენიანი ბოგორებით გაწყობილი აგურკრამიტის ქურებიცაა გვხვდება: გვერდის კედლებზე მიყრდნობილი ფეხების ვარდა, ბოგორს ერთი (თუ პატარა ქურაა) ან ორი (თუ მოზრდილი ქურაა) ფეხი შუა ადგილსაც უკეთდება (ტაბ. I, C₂).

³ ზოგიერთი სოფლის მეაგურე-მეკრამიტენი „სამთვარიოს“ შუაში მოქცეულ თვალს უწოდებენ, ნაპირა თვლებს კი „ქინჯილატებს“.

⁴ ნახაზზე ქურის წინაპირში დატანებული თვლები არ ჩანს. ქურქლისა და აგურ-კრამიტის ქურათა შენების დროს, ქურის ქურის შენების დროს დაცული თანდათანობა მეორდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოგორების გადაყვანის პროცესს); ამიტომ მის შესახებ საგანგებო მსჯელობა ალარ გვეჭირდება.

⁵ ოსტატთა ერთსოფლოვანი გადმოცემის თანახმად „საპანეში სამოცი თავია: ოცი ჩაფი (ან დერაგი) და ორმოცი დოჭი და თუნგულა“.

⁶ ტაბ. I-ზე წარმოდგენილი ქურის გვერდისა და ქრისი სოფ. ბოსლევში მცხოვრები ოსტატის—ივანე გიგოს ძე მუმლაძის ქურის მიხედვით არის ვაკეთებული.

დებოდა, გარკვეული მსგავსება უძველესად ჩანს; მოქიქული ჭურჭლის მსგავსად კი მათგან არსებითად განსხვავდება.

მოქიქული ჭურჭლის ჭურა (ტაბ. II, A და A₁) წარმოადგენს სანახევროდ ან მთლიანად, ცის დასაწყისამდე, შიწაში მჯდომს, ერთი მხრიდან კი მიწისაგან მთლად გათავისუფლებულს, ცალკერი აგურითა და ტალახით ამოშენებულ (ტაბ. II, Aa) მრგვალკედლოვან ნაგებობას.

მთლიანად მიწაში ჭურას სიმტკიცესა და გამძლეობას მიწის ზღუდე აძლევს, მიწაში ნაწილობრივ მოქცეული ჭურის მიწის ზედა კედელს კი ქვით ნაგები კედელი (ტაბ. II, Ab და A₁b) ამავრებს.

აგურითა და ალიზით გადაყვანილი კალო (ტაბ. II, Ar) ჭურას ორ ნაწილად ჰყოფს: კალოს ქვემოთ მოქცეული—ქვექურად წოდებული სართული (ტაბ. II, AC₁) ცეცხლის დასანთებია, კალოს ზევით მოთავსებულს, ზემო ქურად წოდებულ სართულს კი (ტაბ. II, Ac) ჭურჭლის დასაწყობი ადგილის ფუნქცია აქვს დაკისრებული. ჭურას დაავიკრეცინებს „ჭურის ცად“ სახელდებული, გუმბათისებრი თავი (ტაბ. II, Ak). ცის შუა ადგილას ღია ადგილია დატოვებული (ტაბ. II, An). კალოს შუა ადგილას ცეცხლის ამოსასვლელი თვალია გაკეთებული (ტაბ. II, Ae და A₁e). ქვევრის პირით მრგვალი—საშუალოდ 50 სმ დიამეტრის მქონე; ჭურის კედელში, ირგავლია, რამდენიმე (სამი-ოთხი ან ხუთი) კვამლის გასავლელი მღილი ანუ დუთი აქვია დატანებული. კვამლის გასავლელი მღილი კალოდან იწყება და ცის დასაწყისთან ბოლოვდება (ტაბ. II, A₁n). ჭურის კედლები ერთმანეთზე მცირე მანძილით დაშორებული ოთხკუთხედ გამოკვეთილ ღრუებით ანუ სასოლეებით არის მოფენილი; ყოველ სასოლეში ჭურჭლის დასადგმელად გაკეთებულია სოლის სახელწოდებით ცნობილი გამომწვარი თიხის ფირფიტა (ტაბ. II, Af). სოლი კრამიტის ან სოლისავე ნატეხით, ე. წ. ატოციით, არის გამავრებული. მიწისაგან გათავისუფლებული მხარისაკენ ზემოთა ჭურას ჭურჭლის შესაწყობი კარი აქვს დატანებული (ტაბ. II, Ah) და ქვემოთა ჭურის შიშის შესაკეთებელი კარიც (ტაბ. II, Ah₁) მაღლითა ჭურის კარის ჩასწვრივ არის გაკეთებული. ზოგიერთი ოსტატი ზემოთა ჭურის კარს საწვავის თვალს ეძახის, ქვემოთა ჭურის კარს კი ცეცხლის დასანთებ თვალს¹.

ჭურის განაზომები: ჭურის სიგრძე (გვერდის კედლის სიგრძე)—235 სმ, ჭურის სიმაღლე (მანძილი იატაკისა და ცის შორის)—240 სმ, კედლის სიმაღლე (ცის დასაწყისამდე)—200 სმ, თვანა კედლის სიგანე—170 სმ წინაბოთრის სიგანე—180 სმ, მანძილი იატაკსა და ნაპირის სამთვაროებს შორის—200 სმ (შუა სამთვარო ცასთან არის მიბჯენილი), სამთვაროს ზომა—17 სმ X 12 სმ ბოჯირის სიგანე—33 სმ (ბოლოში) და 25 სმ (შუაში), ცეცხლის ამოსასვლელთა სიგანე—20 სმ, (კედლის ძირში) და 24 სმ, ბოჯირის სისქე (შუაში)—13 სმ, მანძილი იატაკიდან ბოჯირის შუა ადგილამდე—55 სმ, ჭურის კედლის სისქე—13 სმ, ქვის კედლის სისქე 38 სმ.

¹ ტაბ. II-ზე წარმოდგენილი მოქიქული ჭურჭლის ჭურის გეგმა დატრილი სოფ. შროშაში მცხოვრები მეჭურჭლის—ფილიმონ ალმასხანის ძე მოდებამის ჭურის მიხედვით არის გაკეთებული. ჭურის მოყვანილობის უფრო ანთლად წარმოსადგენად მოვაქვს მისი ნაწილების განახილებები: ქვემოთა ჭურის სიმაღლე (კალოს სისქის ჩათვლით)—135 სმ, ზემოთა ჭურისა (ცის ჩათვლით)—290 სმ, ზომა კალოდან ცის დასაწყისამდე—140 სმ, კალოს დიამეტრი—135 სმ (კალოდან დაწყებული ცის დასაწყისამდე ჭურამ თანდათან გარეთ უნდა გადაიწიოს); ცეცხლის ამოსასვლელი თვანა დიამეტრი—50 სმ, სიღრმე—20 სმ, სასოლეის ზომა—7 სმ X 7 სმ (ჭურას 350-დე სასოლე აქვს). სასოლეებს შორის მანძილის ზომა: სიგანეზე—5 სმ, სიმაღლეზე—15 სმ, შიშის შესაკეთებელი კარის სიმაღლე—80 სმ (აქედან მიწის ზემოთ წამოსული ნაწილის სიმაღლე მხოლოდ 26 სმ-ია), კარის სიგანე (შუა ადგილას)—50 სმ, ჭურჭლის შესაწყობი კარის სიმაღლე—70 სმ, სიგანე—65 სმ, (ქვემოთ) და 52 სმ (ზემოთ), ჭურის თავის ღია



მოქიქულ მეჭურჭლეობაში დამოწმებული წამლის ქურა (ტაბ. II, C) შეიქმნა ტალ პატარა, ვიწრო და მოგრძო მოყვანილობის მქონე ნაგებობის სახით არის წარმოდგენილი, ეს უკანასკნელი, როგორც აღვნიშნეთ, ტყეისა და კალის დასაწვავად არის განკუთვნილი. წამლის ქურაც აგურითა და ტალახითაა აშენებული და ვაკედ გადასწორებული, თავიც აგურითა და ალიზითა აქვს გადაყვანილი. თიხის ფილაქანი ქურას ორ სართულად ჰყოფს: ქვემოთ ცეცხლის დასანთები ადგილია (ტაბ. II, Ca), ზემოთ კი ტყვია-კალის მოსათავებელი სართულია მოქიქული (ტაბ. II, Cb). საცეცხლურსაცა და საწვავსაც თვალზე („თვალი“) სახელდებული კარები აქვთ გაკეთებული (ტაბ. II, Cc და Cd).

მოქიქული ქურჭლის წარმოებაში დამწვარი ტყვია-კალისა და სხვა საღებავ ნივთიერებათა დასაფუძვლად წისქვილიც არის გამოყენებული (ტაბ. II, B და B₁); აგრეთვე პატარა ნაგებობად მისაჩნევი, ჩვეულებრივი წისქვილისაგან დიდად განსხვავებული წამლის წისქვილი შემდეგნაირად არის მოწყობილი: მიწაში ჩასმულს, ოთხკუთხად ვანლაგებულ ცის ოთხ ბოძს (Bf და B_f) შორის ფიცრებათა ვადებული (ტაბ. II, Ba და B_a); ფიცრებზე დაბალი და მრგვალი მოყვანილობის აგურისა და ტალახის კედელია ამოშენებული (ტაბ. II, Bb და B_b), წრესავით შემოვლებულ კედელზე ბუნებით რკალისებრ მოხრილი, ქულბაქად წოდებული ხეა დაყრდნობილი (ტაბ. II, Bc და B_c). ამგვარად შემოფარგლული წისქვილის გულში ორი ბრტყლად და მრგვლად გათლილი ქვაა მოთავსებული (ტაბ. II, Bhh, და Bhh)¹. სახედაო ქვასაცა და საქვედაო ქვასაც გულში ნაჩრეტი ანუ თვალი აქვს გაკეთებული (ტაბ. II, Bn და B_n). საქვედაო² ქვის თვალში ხეა ამოტარებული (ტაბ. II, B_e), მასში ჩასმულია ყელად სახელდებული რკინის მომსხო ჩხირი (ტაბ. II, Bk და B_k), მის თავზე კი რკინის ფირფიტაა ჩამოცმული. სახედაო ქვა ფირფიტის ფრთებზეა დაბჯენილი. გრძლად ჩამოშვებული ყელას ბოლო დამაგრებულია წისქვილის ქვეშ დადებულ ხის ფიცარზე (ტაბ. II, Br და B_r). ყელას აწვე-დაწვევით იწყება სახედაო ქვის მოძრაობა: მის აწვეისას სახედაო ქვა ზემოთ აიწვეს და წამალიც მსხვილად იფქვება, დაწვეისას კი ქვა ქვემოთ იწვეს და წამალიც წმინდად იფქვება. წყლით დაფუქული წამალი ქულბაქ-კედლით შემოუზღუდავი, ღიად დატოვებული მხრიდან გადმოდის და ქვეშ შედგმულ ქურჭელში ეშვება³.

ადგილის დიამეტრი—40 სმ, ქურის კედლის სიგანე—20 სმ, ქვის კედლის სიგანე—70 სმ, წამლის ქურის გეგმა და ჭრილი სივ. შრომაში მცხოვრები მეჭურჭლის, გაიოზ დიმიტრის ძე მოდებაცის ქურის მიხედვით არის გაკეთებული.

წამლის ქურის განაზომები: ქურის სიმაღლე—56 სმ, ქურის სიგრძე—62 სმ, საცეცხლე თვალის სიმაღლე—32 სმ, ტყვია-კალის საწვავი თვალის სიგანე—31 სმ.

¹ წამლის წისქვილის ქვები ზომით და მოყვანილობით ხელსაფუძვლის ქვების მაგვარია. სახედაო ქვის მეორე ნაჩრეტიში ხელის მოსაკიდებელი ხის ტარმუჭია ჩამჯდარი (ტაბ. II, B_e და B_e).

² საქვედაო ქვა თავგადავაკებულია, სახედაო ქვა კი ზემოდან ამოტოვებულია, ქვემოთა მხარეს კი (შუაგულში) ოდნავ ამოღარულია.

³ წისქვილის სიმაღლე—85 სმ (აქედან ფეხების სიმაღლე 60 სმ უდრის, საკუთრად წისქვილის სიმაღლე კი 25 სმ-ს), წისქვილის დიამეტრი—80 სმ, წამლის გადმოსასვლელი კარის სიგანე—30 სმ, ქვის დიამეტრი—55 სმ, ქვის სისქე—10 სმ, თვალის დიამეტრი—10 სმ, ტარმუჭის სიმაღლე—18 სმ, ზომა ტარმუჭის ირგვლივ—16 სმ. (ძირში) და 12 სმ, (თავში), მანძილი ტარმუჭსა და ტარს შორის—14 სმ.

III მ ე ზ უ რ ზ ლ ე ო ბ ა

წითელი და მოპიქული ზურგლები

იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ორგვარი ჭურჭლის მკეთებლობა მოწმდება: ფართოდ ხმარებულ წითელ ჭურჭელთან ერთად „ინგლისის“ ჭურჭლად წოდებულ მოპიქულ ჭურჭელსაც ამზადებენ; წითელი ჭურჭლის წარმოებაში მსხვილ ჭურჭელს უფრო მეტი რაოდენობით სჭრიან, მოპიქული ჭურჭლის წარმოებაში კი უპირატესად წვრილ ჭურჭლეულს აკეთებენ. წითელი და მოპიქული მჭურჭლეობის თავისებურებანი მხოლოდ მოპიქის ხელოვნების სპეციფიკასა და ჭურჭლის სახეთა სხვადასხვაობაში არ იხატება; განსხვავებული თავისებურება, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ჭურჭლის ქრის ტექნიკაშიც შეიმჩნევა.

ჩაფი, ჩაფულა, თუნგულა, ჩარექა, ნიტრა, სურა, ხარადოქი, დოქი, ხელადა, სხვადასხვანაირი მოყვანილობის ჭინჭილები, დერგი (თავსახურავიანი დერგი და უთავსახურავო დერგი), პატარა დერგი ანუ ქილუნა, ქოთანი-სახარშოვე ანუ საშექამადე ქოთანი, სარძევე ანუ საძროხე ქოთანი, ამოსაყვანი ქოთანი, ქართული ქოთანი, სატკბილო ქოთანი, კვაწია, ჯამი, ხელთეფში ანუ ხელგობი, ორხელი, ორშიშო და აგრეთვე კეცი, ისარნა და საარყე ქვაბის თავი—წითელი ჭურჭლის სახეები; პატარა თუნგულა ან საწყლე ჩარექა, ხელადა, სურა (სადა და თიხის ზოლებზემოვლებული), სამფეხიანი ანუ სამნიტრიანი, ჭინჭილა (სადა და თიხის ზოლებითა და კოპლებით შემკული), მარანი, კაცის სახის დოქები, ირემი, ცხენი და სხვა ცხოველის გამოსახულების მქონე ჭურჭელი, ჯამი, საინი და თეფში ანუ ხელგობი—მოპიქული ჭურჭელია¹.

ჩაფი, ჩაფულა, თუნგულა, წყლის ჩარექა, ლიტრა და სურა წყლის შთასაყენებლად არის განკუთვნილი². ხარა-დოქს, დოქსა და ხელადას ღვინის მოსათავსებელი ჭურჭლის ფუნქცია აქვს დაკისრებული, დერგი კი (დიდი თუ პატარა) სხვადასხვა სახის პროდუქტის მარცვლეულის, ფქვილის, მწნილის, ყველის და სხვ. მარაგის შესანახავად არის ხმარებული.

საბავშვო ჭურჭლად მიჩნეული ჭინჭილა ღვინის სასმისადაც იხმარება, მრავალკორპუსიანი მარანიც ღვინის სასმისის როლში გვევლინება. სამნიტრიანი და კაცის სახის დოქი აგრეთვე სითხის შთასაყენებელ ჭურჭლეულად ითვლება, მაგრამ ერთიცა და მეორეც, ირემის, ცხენის და სხვა ცხოველთა გამოსახულების მქონე ჭურჭლეულთან ერთად, უფრო ესთეტიკურ დანიშნულებას ემსახურება. ქოთანსა და კვაწიაშიც საჭმელს ხარშვენ, სარძევე ანუ საძროხე ქოთანს კი ძროხის მოსაწველად ხმარობენ. ჯამი, საინი და ხელგო-

¹ წითელ ჭურჭელში და აგრეთვე მოპიქულ ჭურჭელშიც, ზოგჯერ სხვა სახის ჭურჭელიც (შემთხვევით დამზადებული) შეგვხვდება. მაგრამ მჭურჭლეუთა საქმიანობა ძირითადად მაინც ზემოაღნიშნული ჭურჭლეულის მკეთებლობით განისაზღვრება. იმერეთის მჭურჭლეობის შესახებ მცირეოდენი ცნობები პირადად მოგვცა (А. С. Пиралов, Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, Тифлис, 1900).

² ფუნქციანი ჩაფი ღვინის საწყვავადაც არის გამოყენებული.



ბი საქმლის მოსათავსებლად აქვთ განკუთვნილი, სამივე სუფიზი „სამხარის“ კურკლელულია. კეცში მკადს აცხობენ, ისარნაში საწნახელიდან გადმოსულ ტკბილს აგროვებენ¹. ორშიმო ღვინის ამოსაღებლად იხმარება, ორხელით კურიდან ღვინის ლეკი ამოიწურება, ხოლო საარაყე ქვაბის თავის დანიშნულება მის სახელწოდებითვე ჩანს.

ზემოჩამოთვლილ კურკლელში ზოგი ხასიათდება თავისებური უცნობი ინიშებით, ზოგი კი მხოლოდ სიდიდ-სიპატარავით განსხვავდება.

ჩაფი, ჩაფულა, თუნგულა და წყლის ჩარეკა გარეგანი მოყვანილობით ერთმანეთისაგან ოდნავადაც არ განსხვავდება; ხარა-დოქი, დოქი და ხელადაც აგრეთვე ერთი ტიპის კურკლელულად ითვლება, დერგისა და ქილუ-ნას შორისაც ტიპიური მსგავსება მოწმდება. ქოთანი (საშუქამადე ქოთანი, საძროხე ქოთანი და ამოსაყვანი ქოთანი) და კვაწია ყოველმხრივ ერთმანეთს მიემსგავსება, ხოლო ერთიმეორის მსგავს თევშ-საინსა და ჯამ-ხელგობის თავისებურება მარტო დიდ-პატარაობაში აშკარავდება².

ერთი სახის, მაგრამ სხვადასხვა მოცულობისა და სახელწოდების კურკლელთა ტევადობითი სხვაობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ჩაფულა-ჩაფისა და თუნგულას მაგვარი საწყლე-ჩარეკაში, რომელსაც ზოგიერთი ოსტატი საწყლე ხელადასაც უწოდებს³, ერთიორი ჩარეკა თავსდება, თუნგულაში სამიდან ექვს-შვიდ ჩარეკამდე ეტევა, ჩაფულას ტევადობა კი შვიდი-რვა-ათი ჩარეკით ისაზღვრება. ნახევარი ფუთის ანუ რვა ჩარეკის შთამტევი ჩაფულას ნახევარი ჩაფიც ეწოდება⁴. თორმეტ ჩარეკაზე მეტი ტევადობის კურკლელს ჩაფს უწოდებენ. ოსტატთა უმრავლესობის ცნობით, ჩაფის სიდიდე ფუთანხევარს არ აღემატება, ზოგიერთის გადმოცემით კი ორ-ფუთიანი ჩაფიც კეთდება. ფუთიან ანუ 16 ჩარეკიან ჩაფს ღვინის საწყყად ხმარობენ და ამის გამო მას საღვინე ჩაფსაც უწოდებენ. ღვინის კურკლად ხმარებულ ჩაფს სამარნე ჩაფის სახელითაც აღნიშნავენ. ხელადას სიდიდე ერთი-ორი ჩარეკით განისაზღვრება: არსებობს ჩარეკიანი და ორჩაკიანი ხელადა. მისი მსგავსი სამჩარეკიანი კურკლელი დოქად ითვლება, დოქის ანუ საღვინე დოქის სიდიდე ექვსი-შვიდი ჩარეკის საწყყას არ სცილდება. ნახევარფუთიან დოქს უკვე ხარა-დოქი ეწოდება, ხარა-დოქის ტევადობა ფუთს არ აღემატება.

დერგს უმთავრესად ერთ-ორ ფუთიანს აკეთებენ, იშვიათად კი სამ-ოთხფუთიან დერგსაც ამზადებენ, რვა-თორმეტი ჩარეკის შთამტევ დერგს ქილუნას სახელწოდებით იხსენიებენ.

¹ ისარნა ანუ თალარი კურკლელის ძირითად სახეთ უნდა მივიჩნიოთ (ისარნას უფრო მეტურე აკეთებს და მეტურე კეც მას უმთავრესად საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამზადებს). მაგრამ რაკი ის კურკლელთან ერთად მოვიხსენიოთ, მისი დანიშნულების შესახებ ახლავ შეიძლება აღვნიშნოთ. ისარნა საწნახელის მილის წინ არის ჩაფლული (საწნახელის მილი საწნახელის ინი დურხეა გავყვანილი), საწნახელიდან გადმოსული ტკბილი ჯერ თალარში გროვდება, შემდეგ კი სატკბილე ქოთნის საშუალებით, კურში გადაისხმება.

² თევში საინზე მოზრდილია და ხელგობიც ჯამზე დიდია.

³ იმერული მეტურეკლენი, როგორც აღვნიშნეთ, „ხელადას“ ღვინისათვის განკუთვნილ პატარა დოქს უწოდებენ. ჩარეკით კი პატარა თუნგულას აღნიშნავენ. ზოგი თუნგულისნაირ ჩარეკას ხელადასაც იძახის და საღვინე ხელადისაგან განსხვავებით მას საწყლე ხელადას უწოდებს.

⁴ იმერეთში ჩაფი და ფუთი ერთი და იგივე გაგებით იხმარება (ჩაფშიცა და ფუთ-შიც 16 ჩარეკა).

ერთი-ორი ან სამი-ოთხი ჩარექის შემცველი სურა ზოგჯერ ნახევარ-ჩარექიანიც არის, ყველაზე პატარა ჭურჭლად მიჩნეულ კინკილას საწყაო კი ჩარექის მეოთხედსაც ვერ უთანასწორდება.

კვაწია ჩარექიანსა და ჩარექიანზე პატარა ქოთანს ეწოდება. ქოთნის სახელით ცნობილი ჭურჭლის საწყაული კი ორ-რვა ჩარექას შორის ირყევა. საწველი ქოთანი და ამოსაყვანი ქოთანი დიდი მოცულობის მქონე ქოთნებად ითვლება, ყველაზე პატარა ქოთნად აღიარებულ საშუაპადად ქოთანში კი ორი-სამი ჩარექა თავსდება¹.

ღვინის ამოსაღები, — უპირატესად, ორ-სამჩარექიანი კეთდება, ღვინის ნალექის ამოსაწური ორხელი კი პატარა ორშიშოს ოდენა ან უფრო „მორჩილ“ ჭურჭლად გვევლინება².

ნორმალური სიდიდის ისარნაში ორი-სამი ჩაფი ეტევა, ოთხი-ხუთი ჩაფის შთამტევი თალარი კი დიდ ისარნად ითვლება.

მოკრის გზით დამზადებული მოკიჭული ჭურჭლის ტევადობა ჩარექის საწყაოს არ აღემატება, ყალიბის დახმარებით გაკეთებულ ჭურჭელთა შორის კი ჩარექიანზე მოზრდილი ჭურჭლებიც გვხვდება.

იმერული ჭურჭელი — პირველი თუ პირგანიერი, ყურიათი თუ უყურო ტანმალაღი³ უბევო ანუ მხრებდაქანებული და თავიდან ბოლომდე თითქმის ერთნაირად გამომერილი გვამითა, ძირგანიერი ყელითა და დაშვებული ყურითა⁴ ხასიათდება. სწორკუთხონად მოყვანილ ყურს, — ერთი ბოლოთი ყელის შუა ადგილას მიმბუღს, მეორე ბოლოთი კი მუცლის უგანიერეს ადგილს მიმაგრებულს, — ჭურჭელს არ უკეთებენ. იმერულ ჭურჭელს დაშვებული ყურის ბოლოებს (ერთი მხრით) მუცლის განიერი ადგილზე მალლა და, მეორე მხრით, ყელის შუა ნაწილს ზემოთ უმაგრებენ.

წითელი ჭურჭლის არც ერთ სახეს ქუსლი ანუ ფეხი არ უკეთდება, მოკიჭულ ჭურჭელთა შორის კი ფეხიანი ჭურჭელი უფრო ხშირად გვხვდება.

ქუსლიანი ჭურჭლის ძირს და უქუსლოს ძირს საერთოდ, ძროს უწოდებენ, მუცელს გვამის სახელით იხსენიებენ, ყელს, ყურს და პირს კი საქართველოს სხვა კუთხეების ოსტატთათვისაც კარგად ცნობილი სახელწოდებებით აღნიშნავენ.

ტანმალალ ჭურჭელთა განმასხვავებელი თავისებურებანი ყელისა და პირის მოყვანილობაში აშკარადდება და ჩვენც უმთავრესად ყელ-პირის გარეგნობის დახასიათებაზე შევჩერდებით.

ჩაფი, ჩაფულა - თუნგულა-ჩარექასთან ერთად, მრგვალპირიანია. მისი პირი ანუ თავი ძაბრისებრ არის გადაშლილი და ირგვლივ ფარფლი აქვს შემოვლებული. დოქის, ხელადის და ხარა-დოქის ერთმხრივ (ყურის მხრივ) დადაბლებულ პირს ნიკარტი ანუ ნიკტი აქვს გაკეთებული, ეს ჭურ-

¹ სატკბილე ქოთანიც დაახლოებით ქართული ქოთნის სიდიდისაა.

² ორშიშო ექსჩარექიანიც გაკეთდება და ორჩარექიანზე პატარაა.

³ ჩაფი, ჩაფულა, თუნგულა, ჩარექა, ხარა-დოქი, დოქი, ხელადა, კაცის სახის დოქი, სუჩანიტრა და ჭინკილა ტანმალალ, ყელვიწრო და ყელმალალ ყურიან ჭურჭლებად ითვლება. (სურა ზოგჯერ უყუროდაც კეთდება), დვრგი, ქილუნა და ქოთანი კი (სხვადასხვა დანიშნულებისათვის განკუთვნილი იმერული ქოთანი, სატკბილე ქოთანიცა და ქართლური ქოთანიც) პირგანიერ ჭურჭლებად არის მიჩნეული.

⁴ ყელ-ყურის დახასიათება ყელვიწრო და ყურიან ჭურჭლებზე ვრცელდება.



ქელი ნიკარტიანია, ნიკტიანია. ამ უკანასკნელსაც ირველი¹ ნიკტიანის ფლის მაგიერობის გამწევი ბწყალი აქვს შემოყოლებული. სურის პირიც, ჩაფ-თუნგულას პირივით, მრგვალია და ფარფლ-შემოვლებული, მაგრამ მისი ყელი ვიწროა, მალალი, გვამი კი დაბალია და ბურთივით მრგვლად გაგანიერებული, ქინჭილა თუნგულისა, დოქისა და სურის მსგავსად კეთდება; მოქიქულ ქინჭილას, წითელი ქინჭილისაგან განსხვავებით, ფეხიც უკეთდება და ზოგჯერ თიხის ზოლებითა და კობლებად („კობლები“) წოდებული თიხის ბურცლებითაც იმკობა. ფარფლი პირგანიერ ქურქულად აღიარებულ დერგსა და ქოთანსაც უკეთდება. დერგისა და ქოთნის ბრტყელი და სქელი ფარფლი პირვიწრო ქურქელთა ფარფლისაგან განსხვავდება. უთავსახურავო დერგს ფარფლი თავის ირგვლივ აქვს შემოვლებული, თავსახურავიანი დერგის საფარფლე გრიგალი კი პირის ქვემოთ არის შემოყოლებული.¹ თუ ოსტატს სურს დერგს ორ ყურს მოაბაშე, ხოლო დერგით პირგანიერსა და პირფარფლიან, მაგრამ ტანდაბალ და მრგვალგვამიან ქოთანს ყურს არ უკეთებს. ყური ტანწვრილისა და ტანმაღალ ქართლურ ქოთანს უკეთდება: საერთო შესახედაობით სატკბილე ქოთანსაც ქართლურ ქოთანს მიემსგავსება, მაგრამ სატკბილე ქოთანი, დაბალი და ფართო ყელისა, განიერი პირისა და ყელზე ოდნავ უფრო ფართო გვამის მქონე, მისგან მაინც განსხვავდება.

ლექის ამოსაწურს, უფეხო ჯამივით მოყვანილ ორხელს ბაწრის გასაყრელი ნაჩვრეტები უკეთდება, ორ-ორი ნაჩვრეტი—აქეთ და იქითა მხარეს; ღვინის ამოსაღები ორშიშო კი ყელმაღალი გოგრის ყაიდაზე კეთდება.

ერთი მეორის მსგავსი საინი და თეფში ბრტყლად გადაშლილია, ხოლო ერთმანეთისავე მაგვარი ჯამი და ხელგობი გულღრმა ქურქულია. წითლად გაკეთებული საინი, თეფში და ჯამ-ხელგობი უფეხოა, მოქიქულად დამზადებული საინი, თეფში და ჯამ-ხელგობი კი ფეხიანია.

სამნიტრიანად ანუ სამფეხიანად სახელდებული ქურქული ოთხი ქინჭილისაგან შედგება: ქვემოთ მოქცეული სამი ქინჭილა ერთმანეთზე თავებით არის გადაბმული, მეოთხე ქინჭილა კი ზემოდან არის დასმული, ზემოთ მოქცეულ ქინჭილას ყური აქვს მობმული.

ფეხიანს, ცალყურიანსა და მეტად მალაყელიანი კაცის სახის დოქს გვამზე ადამიანის თავის გამოსახულებანი აქვს გამოყვანილი, ხოლო ყელი — სხვადასხვა სახეებით შემკული.

ღვინის სასმისად განკუთვნილი მარანი შემდეგნაირად არის მოწყობილი: ფეხად წოდებული ბრტყელ რგოლზე რამდენიმე (საშუალოდ ოთხი) სვეტია აღნართული, ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული; სვეტებზე დაყრდნობილია აგრეთვე რგოლივით მოყვანილი გულღრუ მილი, მილზე კი სარქველებით გაწყობილი ქურებიცა დასმული; (საშუალოდ ოთხი, ხუთი ან ექვსი). იმავე გულღრუ მილზე დაყრდნობილია ღვინის შესასმელი მილის ფუნქციის შესასრულებლად განკუთვნილი ირმის ან ვერძის თავიც. მარანში, ქურების თავზე საწნეხელია წარმოდგენილი, ხოლო ზოგჯერ ტალღევით² დამზენებული.

ცხოველის გამოსახულების მქონე ქურქელში, როგორც თვით სახელწოდებიდანაც ჩანს, რომელიმე ცხოველი უნდა იყოს განსახიერებული, რომლის სიზუსტე მექურქლის ოსტატობაზეა დამოკიდებული.

¹ დერგის თავსახურავი კაცის მსგავსად არის გაკეთებული.

² „ტალღევს“ ვახის ზეივანს ეძახიან.

ქურტულელის ზემოთ მოცემულ დახასიათებაში უმთავრესად ძირითადი და დამახასიათებელი ნიშნები იქნა აღნიშნული. მათი გარეგნობის სურათს სურათის კი ქურტლის პრის პროცესის განხილვისას წარმოვადგენთ.

ზემოთქმულიდან ვიცი, რომ მექურტლე ოსტატები, კერამიკული წარმოების სხვა დარგის ოსტატთა მსგავსად, ქურტლის დასამზადებლად აყალო მიწისა და თირის შენახავს იყენებენ; მიწათა შეზავებას მათი თვისობრივი უნარიანობის საფუძველზე ახდენენ: ზოგჯერ ორ წილ ანუ ორ წონა აყალოს ერთ წილ ანუ ერთ წონა თირს უერთებენ, ზოგჯერ კი პირიქით მოქმედებენ და ორ წილ თირში ერთ წილ (მესამედ) აყალოს აზავებენ, ხან კი თირსა და აყალოს ერთმანეთს უნახევრებენ, ერთსაც და მეორესაც თანაბრად იღებენ. კალათით აწყულ მიწას ტახტივით («ლოგინივით») მოწყობილ მიწის სახელზე მოათავსებენ,¹ საჭირო რაოდენობის წყალს დაასხამენ, დააღობენ და წინა საღამოს წყალდასხმულსა და სათანადოდ დაღობილ მიწას მეორე დილით წესისამებრ დაზელავენ, დილით დაღობილი მიწის დაზელვას კი იმავე დღეს ახერხებენ. მიწას ფეხისა და ხმალს² დახმარებით ზელავენ, მიწის დაქუსვლასა და დახმალვას გარკვეული წესით აწარმოებენ: საზელზე მოთავსებულ მიწას ჯერ დაქუსლავენ — სამ ან ოთხ წყვილ ქუსლს დაატყამენ, შემდეგ კი დახმალავენ — სამ ან ოთხ წყვილ ხმალს დატყარავენ. ერთხელ დაქუსლულსა და დახმალულ მიწას ნაჭერ-ნაჭერ დასჭრიან, ვადააბრუნებენ ანუ გვერდს უბრუნებენ და ხელახალ დაქუსვლასა და დახმალვას იმავე წესით ახდენენ. უკანასკნელად მიწას ქუსლით კვლავ გადაუვლიან და «პურის ცომივით» დაზელილ ტალახს საზელიდან აიღებენ. თუ მიწა «კვირტიანი», «კვირბალიანი», თუ «სირსვალაიანი» აღმოჩნდა, დაზელის დროს მას ორჯერ გადააბრუნებენ და დაქუსვლადახმალვის პროცესსაც შესატყვისად გაახანგრძლივებენ. სათანადოდ დაზელილ მიწას ხმალათი ან ნიჩფით³ ნაწილ-ნაწილ დაჭრიან, ხელით ან ნიჩფით საზელიდან აიღებენ და გახმობის თავიდან ასაცილებლად «გრილ ადგილას» — პალატაში ან სხვა რომელიმე ნაგებობაში — მოათავსებენ.

ამგვარად დაზელილი მიწა სხვა სახის პროცედურას აღარ საჭიროებს და, ოსტატს თუ დრო და სურვილი აქვს, — ქურტლის გამოყვანას ზეღვის დამთავრების უმაღლე იწყებს⁴.

¹ მიწის საზელი (ტაბ. I, 3) მართლაც ტახტივით არის გამართული: ფიქრებისაგან გაკეთებული ტახტი ერთმანეთის პირდაპირ განლაგებულ ქვეზელა (ქვის ნაგებ საყრდენზე) შეყენებული. ტახტის თავსა და ბოლოს ფიქრებია ჩაყუდებული, ორმხრივ კი ღიად არის დატოვებული. მიწის საზელის გარეგნობის უკეთ წარმოდგენისათვის აქვე მოვიყვანთ სოფელ შროშაში მცხოვრები მექურტლის — ნესტორ ივანეს ძე შველიძის სახელის განაზომებს: სიმაღლე, სიგრძე — 150 სმ, სიგანე — 110 სმ, თავსა და ბოლოს ჩაყუდებულ ფიქართა სიგანე — 15 სმ.

² ხმალა (ტაბ. I, 4) ხისაგან კეთდება; მოყვანილობით ის, როგორც ეს მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, ნამდვილ ხმალს მიემსავსება. (სოფ. შროშაში მცხოვრები მექურტლის ნესტორ ივანეს ძე შველიძის მიერ ხმარებული ხმალას განაზომები: ხმალას ყუის სიგრძე — 76 სმ, ხმალას პირის სიგრძე — 80 სმ, პირის სიგანე — 15 სმ, (10 სმ-ის სიგრძეზე ხმალას წვერი ირიბად არის წათლილი), ტარის სიგრძე — 30 სმ.

³ მექურტლის ნიჩაფიც ხისაგან კეთდება, ჩვეულებრივი ნიჩფისაგან ის არაფრით არ განსხვავდება.

⁴ დაზელილი მიწა რომ გრილ ადგილას მოთავსდეს და რამდენიმე დღეს ასე დარჩეს, უკეთესიაო, «დამატრებული» შეიქმნებაო.



მოკიქული ჭურჭლის ოსტატები¹ ჭურჭლის კრის დროს წარმოქმნილი ჭურჭლის ოსტატის მიერ ხმარებულ წესებთან ერთად მხოლოდ მათთვის—კერძოდ სხვებისა— მიმართავენ. ამ თავისებურებათა ნათელყოფის მიზნით წითელი ჭურჭლის კრის პროცესს ჩვენ ცალკე აღვწერთ, ხოლო მოკიქული ჭურჭლის წარმოებაში დამოწმებულ წესთა დახასიათებას ცალკე წარმოვადგენთ.

ჭურჭლის კრის დაწყებამდე წითელი ჭურჭლის ოსტატები სათანადო ხელსაწყო-იარაღებს წინასწარვე მოიშაადებენ: მორგვს, ე. ი. ჭურჭლის საჭრელ ხელსაწყოს, სანარცხედ წოდებულ წყლით სავსე თიხის გობსა და ჭურჭლის გამოყვანისათვის საჭირო იარაღებს: საგვამავე ანუ გამოსაგვამავე გონგს, საფხეკე გონგს, საწმენდ ანუ შემოსასმელ გონგს, მოზრდილ-მოჩრილ დანაჩხირს, სანიკარტე ჩხირს, ბასრს, კობაჩურსა და ბანდს;² ყველა ამას სამუშაოდ ნავარაუდევ ადგილს ათავსებენ და განსაზღვრული წესების თანმიმდევრული დაცვით ჭურჭლის კრის პროცესს შეუდგებიან.

მუშაობის დროს ოსტატები ოდნავ ამაღლებულ ადგილს იკავებენ, ჭურჭლის საჭრელ ხელსაწყო მორგვს კი წინ იდგამენ.³ ჭურჭლის გამოყვანისას ორივე ხელს ამუშავენ, მორგვსაც ხელით ატრიალებენ.

მსხვილტანიან ჭურჭელს ორ ნაწილად აკეთებენ. ჯერ გვამს აშენებენ და სათანადოდ შემორობის შემდგომ კი, უკვე შემაგრებულსა, შეყენებულსა და შემდგარ ჭურჭელს თავს აბამენ. დიდი მოცულობის ჭურჭელი ერთ ჯერად რომ გააკეთოთ, „ჩაწვება“—იტყვიან ხოლმე იმერელი ოსტატები.

ყოველი ჭურჭლის გვამს ერთნაირი წესით აშენებენ, ხოლო ყელისა და პირის მოყვანილობით განსხვავებულ ჭურჭელთა ყელ-პირის გამოყვანისას სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ.

ჭურჭლის გაკეთებას ძირიდან იწყებენ და პირველი დაგუნდავების დროს სწორედ საძირე გუნდის თავისებურებას ითვალისწინებენ.⁴ მორგვის შუა

¹ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს, კერძოდ, სოფ. შროშის მკურებელი-ოსტატები, მოკიქული ჭურჭლის მკეთებლები.

² საგვამი გონგი (ტაბ. I, 9 და 10), საფხეკი გონგი (ტაბ. I, II) და საწმენდი გონგი (ტაბ. I, 12 და 13), მხოლოდ ჯავარიანი ხისაგან—ფიჭვის ყვარისაგან კეთდება; დანაჩხირის (ტაბ. I, 5), სანისკარტე ჩხირის (ტაბ. I, 6) და კობაჩურის (ტაბ. I, 7) დასამზადებლად კი თითქმის ყველა ჯიშის ხე იხმარება. ზემოთ ჩამოთვლილ იარაღთა თითქმის ყოველი სახე ორნაირი ზომისა კეთდება: მსხვილი ჭურჭლისა და წვრილი ჭურჭლის მკეთებელ-ოსტატს იარაღი მოზრდილ-მოჩრილი ესპეკრობება.

³ მორგვს (ტაბ. I, 1) ოსტატი სადაც სურს იქ დაიდგამს, ფეხის სატრიალებელი ჩარბივით ის ერთ ადგილას არ მაგრდება. მორგვს ოსტატი ხელით ატრიალებს. მორგვი ხისაგან არის გაკეთებული; ის მორგვის ფეხისა (ტაბ. I, c), მორგვის ყვერისა (ტაბ. I, b) და საჭურთივე მორგვისაგან (ტაბ. 1a) შედგება. მორგვის თავი, როგორც ეს სურათიდანაც ჩანს, წრესავით არის დამორგვალბული, ბოლოსაყენ კი თანდათან დავიწროვებულია „კინკულად“ სახელდებულ მორგვის ბოლოს შუაში ღრმა ნაჩერტი აქვს გაკეთებული, ამ ნაჩერტის საშუალებით მორგვის თავი მორგვის ღერძზეა ჩამოკმული. სოფ. ბოსლევში მცხოვრები ოსტატის—კოსტალიე ბიტიას ძე მახათაძის კარხანაში ნახული მორგვის განაზომები: მორგვის საერთო სიმაღლე 23 სმ, თავის დიამეტრი—30 სმ, სისქე—3,7 სმ, მორგვის ბოლოს (კინკულას) დიამეტრი—2,5 სმ, ფეხის სიგრძე (სამივე ფეხი თანაბარი სიგრძისა)—20 სმ, სიგანე—5 სმ, (ღერძთან) და 6,5 სმ, (ბოლოში) სისქე (ღერძთან)—4 სმ (ბოლოში უფრო ვიწროა), ფეხის სიმაღლე (ღერძთან)—7 სმ, ღერძის სიმაღლე—9,5 სმ, ზომა ღერძის ძირის ირგვლივ—6 სმ (ღერძის თავი გამაზვილებულია).

⁴ დაგუნდავების დროს ხელებს წყალში ისევლებენ.

ადგილას, ცენტრში, დასვამენ მრგვალი და გუნდავებულს, მაგრამ ხელის
 ბით ოდნავ გაბრტყელებულ და ნაცარმოყრილ ძირის გუნდავებულს.
 მტკიცედ დაწებების მიზნით მას ნაპირებზე ირგვლივ მარჯვენა ხელის ცერს
 ან საჩვენებელ თითს შემოუტარებენ და ძროს ამოყვანის პროცესს შემ-
 დგნაირად განავითარებენ; გაშლილ მარცხენა ხელს გუნდას გარედან შემო-
 დებენ, მარჯვენა ხელის ცერს წინასწარ ოდნავ ჩაღრმავებული გუნდის გულ-
 ში ჩაპყოფენ და ამავე ხელის დანარჩენ ოთხ თითს კი აგრეთვე გუნდის გა-
 რეთ მოაქცევენ, მარცხენა ხელის შემწვობით მორგებს მარცხნივ დააბრუნე-
 ბენ და ზემოაღნიშნული წესით განლაგებული ხელებით გუნდის დაცერვასა და
 გაწვევას იწყებენ; გაწვევის შედეგად გუნდა ამოიღარება და გვერდები და ძი-
 რი გაუქვდება. განსაზღვრულ ზომაზე გაწვევის შემდეგ კედლიანი გუნდის
 გულში მარჯვენა ხელს მთლიანად ჩაპყოფენ, მარცხენა ხელს კვლავ პირვან-
 დელ მდგომარეობაში გააჩერებენ, მორგებს მარჯვნივ დაატრიალებენ და კედ-
 ლებს წესისამებრ ამოთითავენ — ამომალეებენ. ამოთითვის დასასრულს
 მარცხენა ხელს შიგნით მოაქცევენ და მარჯვენა ხელში დაკავებული გონგით
 კი მას სათანადოდ გასწმენდენ, გაასუფთავენ და ამგვარად ძროს ამოყვა-
 ნას საბოლოოდ დაასრულებენ.

ძროს ამოყვანის შემდეგ, გვამის აშენების დროს ოსტატები სხვაგვა-
 რად დაგუნდავებულ გუნდებს იყენებენ. ძირის გასაკეთებლად განკუთვნილია
 მრგვალი გუნდა, ამ შემთხვევაში კი ხმარობენ ფთილად წოდებულ უკვე
 გრძელ გუნდებს. დაფთილებულ და სვეარსვალ ტუბულ ანუ დაკ-
 ვალკვალ ტუბულ ფთილას მარჯვენა ხელში დიკავებენ და გარედან
 მარცხენა ხელით გაბაგრებული კედლის ირგვლივ შემოაყოლებენ, მარჯვენა
 ხელის ცერით, საჩვენებელი თითით გუნდას შემოაქნიან და ძროს ამომალ-
 ეებენ. სხვა ფთილების შემოქნასაც ამგვარივე წესით განავითარებენ და რამ-
 დენივე ფთილის შემოვლების შემდეგ გვამის აშენების პროცესს დასასრულამდე
 მიიყვანენ. პატარა ჭურჭლის გვამს მალე აშენებენ, დიდი ჭურჭლის გვამს
 გაკეთებას კი, ცხადია, უფრო დიდ დროს ანდომებენ. გუნდების შემოქნას
 იმგვარად ახდენენ, რომ ჭურჭელს შუამდე შეძლებისდაგვარად ავანიერებენ,
 შუას ზემოთ კი თანდათან ავიწროებენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გუნდე-
 ბის შემოქნისას მორგებს ყოველთვის მარჯვნივ აბრუნებენ და ხელებსაც მუ-
 დამ ერთნაირი წესით ამუშავებენ.

გვამის აშენების დასასრულს ბასრით, ე. ი. პატარა დანა-ჩხირით, გვამს
 თავს შემოუჭრიან, შემოუწმენდენ; ამის შემდეგ კი საგვამავი გონგის
 ყუთით გვამის გამოგვამვას იწყებენ. გამოგვამვას მარჯვენა ხელით ახდე-
 ნენ, გაშლილ მდგომარეობაში გაჩერებულ მარცხენა ხელს გარედან ამუშავე-
 ბენ, ორივე ხელს ერთმანეთის გასწვრივ ამოქმედებენ და ამით კედლის და-
 შლის საფრთხეს თავიდან იცილებენ. გამოგვამვის დამთავრების შემდეგ საფ-
 ხეკი გონგით გვამს გარედან გაფხეკენ.¹ გაფხეკის დასრულების შემდეგ
 დიდი დანა-ჩხირით მას წესიერად გალესავენ, სულ ბოლოს კი საწმენდი გონ-
 გით მეტად სუფთად გასწმენდენ. გალესვის დროს დანა-ჩხირს ვერტიკალუ-
 რად ამოძრავებენ, გამოგვამას, გაფხეკასა და გაწმენდას კი უმთავრესად წრეო-
 ბრივ აწარმოებენ. გაფხეკას, გალესვას და გაწმენდას მარჯვენა ხელით ახდე-

¹ საფხეკი გონგი, ე. ი. „ხარტი გონგი ჭურჭელს გათლის, შესწორებს და ჭურჭელი მიძი-
 მკ აღარ გამოვაო“



ნენ, მარცხენა ხელს კი, ამ პროცედურის შესრულების დროს, ჭურჭლის წინა ნით ამოძრავებენ.¹ ხელების თანმიმდევრული მოქმედებით ზუსტი წონასწორობის დამყარებას ახერხებენ და ჭურჭელს სასურველ გარეგნობას აძლევენ. ოსტატები ყოველთვის სველ იარაღებს ამუშავებენ და სანარცხეში მოთავსებული წყლით დროდადრო ხელებსაც ისველებენ. სამუშაო იარაღებიც სანარცხეში აქვთ ჩაწყობილი. მორგვის მოძრაობას არასოდეს არ სწყვეტენ; მას, როგორც აღვნიშნეთ, მუდამ ხელით ატრიალებენ, მეტად იშვიათად კი ამ ფუნქციის შესრულებას ფეხსაც აკისრებენ.

თუ პირგანიერი ჭურჭლის (დერგის, ქოთნისა და სხვა) გაკეთება აქვთ ნავარაუდები, დამთავრებულ გვამს ოდნავ ამოამაღლებენ, შემდეგ კი სველი ბანდით პირს გადაუყვანენ, პირს გადაუწვევენ და ამგვარად ჭურჭელს ფარფლს ანუ თავს გაუკეთებენ. ფარფლის გაკეთების პროცესს ოსტატები შემდეგნაირად წარმართავენ: სველი ბანდით წინასწარ შემოწმენდილ ჭურჭლის პირზე ბანდს გადაჰყენენ, მარჯვენა ხელის ნეკსა, არათითსა და შუათითს ჭურჭლის პირს გარეთა მხრიდან შემოაღებენ, მარჯვენა საჩვენებელი თითის წვერს ჭურჭლის ნაპირს ზემოდან დააბჯენენ, ცერს შიგნითა მხარეს მოაქცევენ და ამგვარად განლაგებული თითებით ბანდს პირს ირგვლივ შემოაცურებენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირის გადაყვანის დროს მორგვს მარცხნივ ატრიალებენ. ამნაირი მოძრაობის შედეგად ჭურჭლის პირი გარეთ გადაიხრება, გადაიშლება და საჩვენებელი თითით გაბრტყილებული ნაპირი გვერდში წოქტყევა.

გადაშლის შემდეგ ცერი ზემოდან მოექცევა, საჩვენებელი თითი გვერდში მოჰყვება, დანარჩენი სამი თითი კი—ფარფლის ქვეშ. ფარფლის გაკეთების შემდეგ ოსტატი, თუ საჭიროდ დაინახავს, ჭურჭლის პირს და გვერდებს საწმენდი გონგით კვლავ გასწმენდს და დანა-ჩხრით „შემოჭრის“ თუ „აჭრის“ ჭურჭელს მორგვიდან გადადგამს. შემოჭრის დროსაც ოსტატი მორგვს მარცხნივ აბრუნებს. ზოგ პირგანიერ ჭურჭელს, როგორც ზემოთაც ვთქვით,—ზოგჯერ, ზოგს კი ყოველთვის, ყურიც უკეთდება, მაგრამ ყურის მოშლის პროცესს პირვიწრო ჭურჭელთან დაკავშირებით აღვწერთ.

ყელიწრო და ყელმაღალ ჭურჭელთა შენებას მეჭურჭლენი გვამის დასრულების შემდეგაც განაგრძობენ, გვამს თანდათან შეავიწროებენ და მოკლემოკლე ფთილების შემოქნის გზით ჭურჭელს თავს მოადგამენ. ყელის ანუ კისერის შენების დროსაც ფთილების შემოქნას მარჯვენა ხელით აწარმოებენ, მარცხენა ხელს კი ამ შენითხვევაშიც, როგორც გვამის აშენებისასაც, გარედან ამუშავებენ; მორგვს ამ მომენტშიც კვლავინდებურად მარჯვნივ ატრიალებენ. ყელის აშენებას, განსაკუთრებით კი მოზრდილი ჭურჭლის ყელის აშენებას, ერთ პირობაზე არ ასრულებენ. ჯერ მორჩილი ყელის სახელწოდებით ცნობილ ყელის ძირს, უკეთ რომ ვთქვათ, ყელსა და გვამს შორის მოქცეულ ნაწილს—ამოიყვანენ და გაასუფთავენ, შემდეგ კი ზემოთა ნაწილს მოადგამენ და ამ უკანასკნელსაც იმგვარადვე გაფხევენ, გალესვენ და გასწმენდენ. შენება-დასრულებულ ყელს ბასრით თავს შემოუჭრიან და სველი თითებით პირს შემოუსწორებენ. ამის შემდეგ მარჯვენა ხელში დაკავებულ დიდ დანა-ჩხირს ყელში ჩაჰყოფენ და ყელის შიგნითა

¹ ოსტატი მუშაობას საერთოდ მარჯვენა ხელით აწარმოებს, მარცხენა ხელს კი მხოლოდ როლს ასრულებინებს.

მხარის გაღვსვას იწყებენ. გაღვსვის დროს მარცხენა ხელს ვარჯვენა წმენდებენ, მისი დახმარებით მარჯვენა ხელის მოძრაობის წონასწორობას იცავენ და ყელსაც შესაფერ გარეგნობას აძლევენ. ლესვის პროცესის დასასრულს წონასწორობის დასამყარებლად მარცხენა ხელში დაპერილ დანა-ჩხირს ყელის შიგნით ჩაჰყოფენ, წყლით დანამული ყელის გარეთა მხარეს კი საფხეკ-საწმენდი გონგებითა და დანა-ჩხირით სათანადოდ გაფხეკენ, გაღვსავენ და გაწმენდენ.

შიგნიდან გაღვსვის დროს მორგვს მარჯვნივ აბრუნებენ, გაფხეკა-გაწმენდისას კი მას მარცხნივ ატრიალებენ.

ყელის ამოყვანისა და გაღვსვის შემდეგ ჭურჭელს ყურს მოაბამენ: ყურისათვის ფთილას სველი ხელით ჩამოჰქნიან, ბოლოებს გაუბრტყელებენ, ფრთებს გაუკეთებენ და ფრთებ-გაკეთებული ბოლოებით მას ყელსა და გვამზე მიამაგრებენ. ყურის თავის მიმაგრების დროს ყელის დაშლის საფრთხეს პირში ჩაყოფილი მარცხენა ხელის თითების (შუათითისა და არათითის) დახმარებით იცილებენ, ყურის ბოლოს მიმის დროს კი ამ საჭიროებისათვის კობაჩურად სახელდებულ ჯოხს იხმარიებენ. ბოლომობრივ კობაჩურს ჭურჭელში ჩაუშვებენ, მის კობლისებრ თავს ყურის მისამაგრებელი ადგილის გასწვრივ გააჩერებენ და შიგნითა მხრიდან კობაჩურით განაგრებულ გვამს ყურის ბოლოს მიაკრავენ.¹ ყურის ჩაბმის დროს მორგვს არ ამოძრავებენ. ყურის თავსაცა და ბოლოსაც სველი თითებითა და პატარა დანა-ჩხირით ფაქიზად გასწმენდენ, ყურის მომის დასრულების შემდეგ კი პირის გამოყვანას დაიწყებენ.

თუ ძაბრისებურ ვადაშლილი, ფარფლიანი პირის გაკეთება აქვთ განზრახული, — ჭურჭლის პირზე სველ ბანდს გადაჰფენენ, მარჯვენა ხელის ცერს პირის კედელს შიგნითა მხრიდან მიაყრდნობენ, ამავე ხელის საჩვენებელ თითს პირს ზემოდან დააბჯენენ და დანარჩენ სამ თითს გარეთ მოაქცევენ. მარცხენა ხელით მორგვს მარცხნივ დაატრიალებენ და აღნიშნული წესით განლაგებული თითებით ბანდს პირის ირგვლივ შემოატარებენ. ამგვარად წარმართული მოძრაობის შედეგად ჭურჭელს პირი ძაბრისებრ გადაეშლება, საჩვენებელი თითის წყალობით პირი უბრტყელდება და ამრიგად მას ფარფლი ანუ ტუჩები უკეთდება.

თუ ნისკარტიანი ჭურჭლის გაკეთება აქვთ ნავარაუდევია, ხელებს შემდეგნაირად ამოძრავებენ: პირს ერთი მხრით მარცხენა ხელს შემოსჭიდებენ, მარჯვენა ხელში დაკავებული პატარა დანა-ჩხირით კი პირის ნახევარ ნაწილს ირიბად ამოსჭრიან, ამოჭრის შემდეგ უსწორ-მასწორო ნაპირებს დანა-ჩხირით შეასწორებენ. სველი თითებით პირს ზომიერად გაუთხელებენ და იმავე პატარა დანა-ჩხირით პირს შიგნიდან და გარედან სუფთად გაუღვსავენ. წინასწარ სველ ბანდშემოტარებულ პირზე ბანდს კვლავ გადაკიდებენ, ცერს გარეთა მხრიდან მიადებენ, არათითსა და შუათითს პირში ჩაჰყოფენ, საჩვენებელ თითს კი ნაპირზე დააყრდნობენ. მორგვს მარჯვნივ ატრიალებენ და ბანდს პირის გარშემო ატარებენ. ტრიალის დროს საჩვენებელი თითის მეოხებით ნაპირი დაიღარება და ამრიგად პირს ირგვლივ ბწკალი შემოეველება.² ბწკა-

¹ პირგანიერ ჭურჭელზე ყურის მიბმისას კობაჩურს არ საჭიროებენ.

² ზოგიერთი ისტატი ბწკალს „ფარფლსაც“ უწოდებს და, პირიქით, ფარფლს „ბწკალის“ სახელითაც იხსენიებს.



ლის შემოვლების შემდეგ, სანიკარტე ჩხირს ჭურჭლის პირზე შეიკრავს. ჩხირს პირის ამალღებულ მხარეს მიაბჯენენ. მარჯვენა ხელის ცერიოთა და საჩვენებელი თითით კი პირის მოპირდაპირე ნაპირებს ერთმანეთისაკენ მისწევენ, ჩხირს პირის ყელლებით შემოზღუდავენ. ნაპირებმა ერთმანეთთან შემთხვევით თუ ზომავზე შეტად მიიწია, მათ ერთიმეორისაკენ ოდნავ დააშორებენ, ტუჩიდან სანიკარტე ჩხირს ამოაძრობენ და „ნიკარტად“ წოდებული ცხვირის გაკეთებას ამით ასრულებენ.

ყველაზე ტანდაბალ და პირგადაშლილ ჭურჭლად მიჩნეულ ჯამბელგობისა და მისთანათა შენებასაც ძროს ამოყვანით იწყებენ, მათი შენების დროსაც გუნდების თანდათანობითი შემოვლების წესს იცავენ, იმავე ხელსაწყო-იარაღებსა ხმარობენ და ხელების განსაზღვრული მოქმედების წყალობით მათ თავისებურ (სხვა სახის ჭურჭელთაგან განმასხვავებელ) გარეგნობას აძლევენ.

ახლად გაკეთებულ ჭურჭელს, წითელი ჭურჭლის ოსტატებიცა და მოკიჭულისაც, მზე-ქარისაგან კარგად დაცულ ნაგებობაში ათავსებენ. წითელ ჭურჭელს გახმობის შემდეგ აჭრელებენ, ხოლო მოსაპიქავი ჭურჭლის დაჭრელება-შეღებვას პირველი გამოწვის შემდგომ ახდენენ.

ჭრელების ტექნიკის შესახებ ჩვენ ამჟამად არ ვილაპარაკებთ, მის დახასიათებას მოკიჭულ მეჭურჭლეობაში დამოწმებულ წესთა განხილვის შემდეგ წარმოვადგენთ.

მოკიჭული ჭურჭლის ოსტატებიც ჭურჭელთა უმრავლესობას აგრეთვე მორგვეზე აკეთებენ, რთული გარეგნობის მარნის ცალკეულ ნაწილთა გასაკეთებლადაც მორგვის იხმარებენ, კაცის სახის დოქებსა და ცხოველთა გამოსახულების მქონე ჭურჭელს კი ყალიბების ანუ ღეარჯაკების მოშველიებით ამზადებენ.

მოკიჭული ჭურჭლის ოსტატები, წითელი ჭურჭლის ოსტატთაგან განსხვავებით, მორგვეზე მოსაჭრელი ჭურჭლის ყოველ სახეს ერთი გუნდისაგან აკეთებენ, ხოლო ფთილები თანდათანობით შემოქმედის ხერხს მიმართავენ მართო ჩარეკიანზე მოზრდილი ჭურჭლის კეთებისას¹.

აღსანიშნავია, რომ ჭურჭლის ნახევარი ნაწილის გასაკეთებლად ამ შემთხვევაშიც მაინც ერთ გუნდას იყენებენ.

მოკიჭული ჭურჭლის ჭრის ტექნიკის თავისებურებათა ნათელსაყოფად ჩვენ აღვწერთ ჭინჭილისა და ჯამის ჭრის პროცესს, ხოლო მარნისა, კაცის სახის დოქებისა და ცხოველის გამოსახულებიან ჭურჭელთა მკეთებლობის შესახებ ცალკე ვილაპარაკებთ.

მორგვის, სანარცხისა და სამუშაო იარაღების—გონგის, დანა-ჩხირის, ყელის ჩხირის, ბანდისა და კობაჩურისებრი კაკუჭელას—განსაზღვრულ ადგილას მოთავსების შემდგომ ოსტატი თავის ადგილს იკავებს და ჭურჭლის ჭრას შემდეგნაირად იწყებს: ჭინჭილის გუნდას შაქრის თავივით მაღალს, ძირბრტყელსა და თავდამრგვალებულს,² ნაცრით ძირ-მომზრალელებულს, მორგვის ცენტრში დასვამს,³ მარჯვენა ხელის ცერს გუნ-

¹ მოკიჭული ჭურჭლის ოსტატი არეკიანზე მოზრდილ ჭურჭელს იშვიათად აკეთებს. თუ ძალიან დიდი ჭურჭლის მოქმედებას მოითხოვებს, ის მას წითელი ჭურჭლის ოსტატისაგან იყიდის, მოჭრების საქმეს კი თვითონ შეასრულებს.

² სხვა ჭურჭელთა მოსაჭრელადაც ამგვარი მოყვანილობის გუნდას ხმარობენ.

³ ჭურჭლის ჭრის დროს საფანლად ზოგჯერ ნაცარს ხმარობენ, ზოგჯერ კი ძაფით შოჭრის ხერხს მიმართავენ ზოლზე („ჭურჭელს მოჭრით კიდევ და ნაცრითაც ავიყვანო“).



ქრონიკული
ქვემოქვეყნული

დის თავს დააბჯენს, დანარჩენ ოთხ თითს გარედან შემოაყრდნობს ცხნივ დატრიალებული მორგვის ბრუნვისას გუნდას ძირს ჩასწევს—გულს ჩაულრმავებს. გულის ამოღების შემდეგ გულჩაღრმავებული გუნდის კედლებს კვლავ ზემოთ ამოიყვანს სათანადო სიმაღლეზე, მერე კი კინჭილის გვამს თავს მოუვიწროებს; ამ პროცედურის დროს დასაევიწროებელ გვამს მოიქცევს მარჯვენა ხელის ცერისა და დანარჩენი ოთხი თითის შუა. მარჯვენა ხელში დაკავებულ გრძელტარა კაკუქელათი კინჭილის გვამს შიგნიდან გამოგვამავს, დანა-ჩხირით ძირის ირგვლივ ზედმეტ თიხას შემოკრის, თუ ფეხიანი კინჭილას გაკეთება სურს, მას შესაფერისადაც შეავიწროებს, ბოლოს კი კინჭილის მთელ ტანს იმავე დანა-ჩხირით წესისამებრ გაღვსავს. გამოგვამვის დროს მორგვი მარჯვნივ ტრიალდება, ხოლო გაღვსვისას მარცხენა მიმართულებით ბრუნდება. გვამის ამოყვანა-გაწმენდას ყელის ამოყვანა მოჰყვება (გვამის შევიწროებულ თავს მარჯვენა ხელს შემოკიდებს და მისი თანდათანობითი შევიწროებით ყელი ამოყავს), ზომიერ სიმაღლეზე ამოყვანილ ყელს სველი ბანდით პირი გადაეშლება.

ბოლოს კი ყელის ჩხირის დახმარებით ყელი ზომიერად შეუვიწროვდება. პირის გადაშლისას მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს პირში ჩაჰყოფს, ხოლო შუათითს გარედან მიაყოლებს. ყელის შევიწროებისას მარცხენა ხელში ნაქერ ყელის ჯოხს კინჭილის ყელში ჩაჰყოფს და ირგვლივ შემოკლობილი მარჯვენა ხელის მოძრაობის წყალობით მას ზომიერად შეავიწროებს. აღწერილი პროცესის დროს ოსტატის მორგვის მოძრაობას არასოდეს არ აჩერებს² და მუდამ სველ ხელგებას და სველ იარაღებს ამუშავებს. მორგვის ტრიალს მხოლოდ ყურის მობმისას არ საჭიროებენ, საყურე ფთილის ჩამოქმნასა და ყურის მიბმის პროცესს მოკიქული ქურტლის ოსტატები წითელი ქურტლის ოსტატებივით აწარმოებენ, თუმცა კობაჩურის ხმარებას ყოველთვის საჭიროდ არ მიიჩნევენ. მოკიქული ქურტლის ოსტატები ორნაირი მოყვანილობის ყურის მკეთებლობას იცნობენ: ქურტელს წითელი ქურტლისათვის დამახასიათებელი დაშვებული ყურის ნაცვლად ზოგჯერ თავაწეულ ყურს უკეთებენ, ყურის ძირს კი ძალიან ხშირად „კურწად“ სახელდებული ქიმით ამკობენ.

ზემოთქმულიდან ვიცით, რომ მოკიქული ქურტლის თითქმის ყველა სახე (ჩარეკა-ხელადის გარდა) და პაწია ქურტელი, კინჭილაც მათ შორის, კეთდება სადადაც და სხვადასხვა სახეებით, კერძოდ კი თიხის ზოლებითა და კობლებითაც იმკობა. ოსტატები თუ სახიანი კინჭილის ან სხვა რომელიმე ქურტლის გაკეთებას მოიწადინებენ, ახლად გაკეთებულ სადა კინჭილას ან სხვა რომელიმე ქურტელს ჯერ შეაშრობენ, მერე კი წინასწარ დამზადებული თიხის ბურთულებითა და ზოლებით შეამკობენ.

სამფეხიანი ქურტლის კინჭილათა მოკრასაც ზემოაღწერილი წესით აწარმოებენ; კინჭილათა შეერთებას, სახეებით შემკობასა და ყურის მობმას კი ცალკეულ ნაწილთა შეშრობის შემდგომ ახდენენ; ამ სამუშაოს შესრულების დროს ოსტატები მორგვს არ იშველიებენ.

ჯამის გასაკეთებელი გუნდის ჩაწევისა და გულის ამოღების დროსაც კინჭილის გუნდის ჩაწევისას გამოყენებულ ხერხებს მიმართავენ,³ ოღონდ კედ-

¹ მუშაობის დროს მარჯვენა ხელის იდაყვი მუხლზე აქვთ დაბჯენილი.
² მორგვს ხან მარჯვნივ აბრუნებს და ხან მარცხნივ.
³ გუნდის თავს მარჯვენა ხელის ცერის დააყრდნობენ, ამავე ხელის დანარჩენ ოთხ თითს გარედან შენთადებენ და მორგვის ტრიალის პროცესში გუნდას ძირს ჩასწევს.



ლების ამოყვანა-მომალღებასთან დაკავშირებულ პროცესს აღარ მტკიცებენ. თორენსაგით ჩაღრმავებულ გუნას უფრო მეტად გააგანიერებენ, შემდეგ კი გზავთ გამოშვებულად.

გონგის დახმარებით ჯამს „სისწორეში გამოიყვანენ“. შიგნიდან და გარედან კარგად გასუფთავებული, „სისწორეში გამოიყვანილი“ ჯამის პირზე სველ ბანდს გადაჭენენ და განსაზღვრული წესის მიხედვით განლაგებული მარჯვენა ხელის თითებით (ცერი შიგნით არის ჩაყოფილი, საჩენჭებელი თითი ჯამის პირზეა დაბჯენილი, დანარჩენი სამი თითი კი გარეთ არის მოქცეული) მას ირგვლივ შემოაკურებენ, ჯამს პირს გაუკეთებენ. სათანადო გასუფთავების შემდეგ ჯამს ძაფით მოჭრიან და გრილ ადგილას მოწყობილ ფიცრებზე მოათავსებენ. მეორე დღეს ჯამს ძროს ამოუყრიან: ჯამის ძირის ამოსაყრელი მიწის ყალიბს მორგვზე დასვამენ და უკვე შემზრალ ჯამს ზედ დააპირქვავებენ, პატარა დანა-ჩხირით ჯამის ფეხს ირგვლივ შემოწმენდენ, ზედმეტ თიხას მოაშორებენ და წვრილად „დასვარსავალიტებულ“ ფთილას რგოლივით შემოაველებენ, ამრიგად ჯამს ფეხი გაუკეთდება ძროს ამოყრისას და საერთოდ ჯამის კეთების პროცესი ამით დასრულდება.

როთელ შემადგენლობის ჭურჭლად მიჩნეული მარანი სხვაგვარი წესით კეთდება: ჯერ დამზადდება მარნის ცალკეული ნაწილები—ფეხი, სვეტები, გულ-ღრუ მილი, ჭურები, საწნახელი, შესასმელი მილის როლში წარმოსადგენი ირმისა ან ვერძის თავი და სხვა წვრილმანი,—მათი შეერთება და ამრიგად მარნისათვის დასრულებული სახის მიცემა კი შემადგენელ ნაწილთა შეშრობის შემდგომ მოხდება. შემეერთებელ საშუალებად თხლად ახელილი თიხა იხმარება. თუ მეჭურჭლე მოისურვებს, უკვე აგებულ მარანზე ტალავერსაც დასდგამს—ტალავერის სვეტებს ჭურების თავს დააბჯენს, სვეტების თავზე გაწყობილ თიხის ჯოხებზე კი ფოთოლთა და მტევანთა გამოსახულებებს გააწყობს. ოსტატი მარანს კობლებად სახელდებული თიხის ბურცულებით ამკობს და ყურსაც უკეთებს.

კაცის სახის დოქები და ცხოველთა გამოსახულების მატარებელი ჭურჭლეული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დარჯაკებით მზადდება, უკეთ რომ ვთქვათ დარჯაკებში ყალიბდება ჭურჭლის. ცალკეული ნაწილები, ჩამოყალიბებულ ნაწილთა შეერთება კი შემდგომ ხდება. ოსტატს დარჯაკი ყოველთვის არ ესაქირობა, ჭურჭლის ზოგიერთი ნაწილი უდარჯაკოდ კეთდება.

ამით ამოწურავთ ჭურჭლის ჭრის ტექნიკის ძირითად მხარეთა დახასიათებას, ახლა კი ორიოდ სიტყვით წყლის მილის გაკეთების წესებს შევხებით. წყლის მილის გაკეთება, როგორც ვთქვით, წითელი ჭურჭლის ოსტატს ევალება, იგი წითელი ჭურჭლის მიწისაგან კეთდება და მისი კეთების დროსაც წითელი ჭურჭლის გამოყვანის დროს ხმარებული ხელსაწყო-იარაღები იხმარება.

წყლის მილის გამოყვანა ორგვარი საშუალებით შეიძლება: ოსტატებს შეუძლიათ, რომ მილის გასაკეთებელი გუნდა ჯერ კრამიტის ყალიბში გააბრტყელონ, შემდეგ კი უკვე გაბტყელებული და რგოლგაკეთებული გუნდა მილის კალაპოტს¹ შეჰაახვიონ; ისიც შეიძლება, რომ მილის შენება ფთილების თანდათანობითი შემოვლების გზით წარმართონ. მილის მკეთებელნი, რო-

¹ წყლის მილის კალაპოტი ხისგან არის გამოთლილი. კალაპოტი გრძელია და მრგვალი, ერთი მხრივ ვიწრო, მეორე მხრივ კი უფრო გაფართოებული.

გორც ჩანს, უფრო ხშირად ამ ხერხს მიმართავენ: სილაში გაგორებულ სველ კალაპოტს მორგვის ცენტრში დასვავენ, მას მარცხენა ხელით დადგენენ მარჯვენა ხელით კი წინასწარ დამზადებული ფთილების შემოვლებას იწყებენ. აშენების დასრულების შემდეგ მიღს წესიერად გასწმინდენ და ირგვლივ რგოლს გაუკეთებენ; სახედასრულებულ მიღს კალაპოტისაგან გაანთავისუფლებენ და გასაშრობად განკუთვნილ ადგილას მოათავსებენ.

წითელი ჭურჭელიც და მოსაქიქი ჭურჭელიც, როგორც უკვე ითქვა, შრება მზე-ქარისაგან საგანგებოდ დაცულ პალატაში ან სხვა რომელიმე გრილ სადგომში. ახლად გაკეთებულ ჭურჭელს რომ „ქარ-სიცხემ ერთბაშით დაჰქრას იფიცებეს“, დასკდება, პირველ რიგში კი ყელ-ყური მოსძვრება. ჭურჭელი ყინვა-სიცივითაც ზარალდება. ზამთრობით ჭურჭელი ზომიერად გამთბარ ნაგებობაში იჭრება და გასაშრობადაც იქვე თავსდება. გასაშრობად განლაგებული ფეხზე მდგომ ჭურჭელს როგორც კი პირი მოუთეთრდება, როგორც კი პირი გაუხმება, გადააბრუნებენ—ყურებით ერთმანეთზე მიაწყობენ („ყურზე დააყუდებთ“); ჭურჭელს თუ კარგი ამინდი შეხვდა, ოთხ-ხუთ დღეში ან ერთ კვირაში საბოლოოდ გახმება, ცუდი ამინდის პირობებში შრობის პროცესი 10—14 დღემდე გრძელდება.¹ ჭურჭელი გახმობაში „გათეთრდება“, გამხმარ ჭურჭელს „სისველე აღარ ექნება“, „ბრჩხილის ჩამოსმის“ დროს მასზე კვალი არ აღიბეჭდება.

კარგად გამხმარ წითელ ჭურჭელს, ჭურაში ჩაწყობამდე, აქრელებენ წარნაქის სახელით ცნობილი მიწის სახატავით ან შავი ქვით.² მოსაქიქი ჭურჭლის დაჭრელების და მოქიქვას კი პირველი გამოწვის შემდეგ ახდენენ. „წარნაქი“ მოთეთრო-მოყვითალო ფერის მიწად ითვლება, მაგრამ გამოწვაში ის წითლდება. „წარნაქი ახალ მთვარეზე თავისთა ცვივდება“—გადმოგვცემენ ოსტატები. ჭურჭელს წინასწარ გამომწვარი წარნაქის ხსნარით ხატავენ³, მას ბამბით ან ჯაგრით აჭრელებენ.⁴ ზოგიერთი სოფლის ოსტატი წითელ ჭურჭელს წმინდად დაფქული და გაცრილი შპატის ხსნარითაც ალამაზებს, წარნაქითა და შავი ქვით მოხატვას კი შპატით გაბრწყინვალების შემდეგ ახდენს.⁵

მოქიქული ჭურჭლის ოსტატები, წითელი ჭურჭლის ოსტატებისაგან განსხვავებით, ჭურჭელს თოქალით აჭრელებენ, მოსაქიქ ხსნარში კი თოქალით მოჭრელების შემდეგ ჰღებენ. „თოქალის“ სახელწოდებით ცნობილ სპილენძის სახატავს ყოველთვის არც საჭიროებენ,⁶ ჭურჭელს ზოგჯერ მოხატვის

¹ ჭურჭელი რომ არ გადაბრუნდეს, ერთიანად ვერ გახმება, ყური მალე „შესწრაფდება“ და ნელადა დარჩენილ ჰვედა ნაწილს გაშორდება. ჭურჭლის გადაბრუნებას ჩვეულებრივ მეთრე დღეს ახდენენ.

² დასაჭრელბელ საშუალებად წარნაქისა და შავი ქვის შენაერთსაც იყენებენ.

³ ჭურჭლის გამოწვის დროს, საწვავში წარნაქით სავსე ქოთანსაც შესდგამენ ხოლმე, წარნაქს ჯერ გამოსწავენ, დაჭრელების დროს კი წყალში გაჰხსნიან. იმერეთის ზოგიერთი სოფლის ხის დამმუშავებელი ოსტატი, როგორც ირკვევა, წარნაქს ზანდუკების დასაჭრელბელადაც ხმარობს (К. Чхендзе, Чихское и Сачхерское общества, СМОМНГ, XI, Тифлис, 1891).

⁴ კერამიკული წარმოების ზოგიერთ ცენტრში წარნაქიც მოიპოვება, მაგრამ წარნაქის ყველაზე სახელგანთქმულ ადგილსამყოფელად, სოფ. კვალითი ითვლება.

⁵ ჭურჭელი სხვადასხვა სახეებით ჭრელებდა, მაგრამ უპირატესად მაინც შემდეგნაირად დაჭრელებული ჭურჭელი გვეხვება: ყელის ძირისა და თავის ირგვლივ ზოლოვია შემოჭრებული, გვამხვდაც რამდენიმე ვერტიკალური ზოლია ჩაელებული და მათ შორის სხვადასხვა სახეობა გამოყვანილი.

⁶ „თოქალი“ სპილენძის ნარეკს ეწოდება.



გარეშეცა სჭიქავენ. თოქალის დასამზადებლად საჭირო სპილენძის¹ მწკრივს ანუ სპილენძის ხენჯს მექვაბეებისაგან—ქვაბის მკედლებიდან აიღო ლობენი, სპილენძის ნახევნი² საგანგებოდ ამ დანიშნულებისათვის განკუთვნილ წაბლის წისქვილზე ფქვავენ და წყლის დახმარებით დაფქვილს, მოშავო ფერის სქელ სითხედ ქცეულ სპილენძს. წისქვილის ქვეშ შედგმულ ჭურჭელში აგროვებენ. თუ თოქალი ძალიან სქელია, მას მცირეოდენ წყალს მიუმატებენ, სათანადოდ გათხლებულ თოქალში დასველებული ჯაგრით ჭურჭელს აბრელებენ. ამის შემდეგ კი მას მოსაქიქ ხსნარში ღებავენ. მოხატვა-შეღებვის ამგვარ წესს ოსტატები ყოველთვის არ იცავენ, ჭურჭელს ზოგჯერ შეღებვის შემდეგ აჭრელებენ.

მოსაქიქ ხსნარში ამოვლების შედეგად თოქალით მოხატული სახეები მთლიანად იფარება, გამოწვის შერე კი ის კვლავ ჩნდება, შავი ფერის თოქალი ლურჯ ფერად იწყებს ბრწყინვას.

ჭურჭლის მოსაქიქად ოთხი ფერის საღებავი იხმარება: თეთრი, წითელი, მწვანე და შავი. თეთრი ფერის საღებავი ტყვიისა, კალისა, ტიქისა და თავგმარილისაგან შედგება; ოთხი ოყა ტყვიისა და ერთი ოყა კალის შენახავს ოთხი ოყა კიქა და ერთი ოყა თავგმარილა უერთდება. წამლის ჭურჭელში დამწვარსა და შემდეგ წმინდად დაფქვილ ტყვია-კალას (ტყვია და კალა ერთად იწყება, ტყვია უკალოდ არ დაიწყება), აგრეთვე წმინდად დანაყილს და სუფთად გარეცილ კიქას და თავგმარილას შეუერთებენ და ყველას ერთად წამლის წისქვილზე ფქვავენ. მოსაქიქ წამლსაც წყლის დახმარებით ფქვავენ, ჭურჭელს თეთრი ფერის სქელ სითხეში ღებავენ.

წითელი ფერის საღებავსაც ამგვარადვე ამზადებენ, ოღონდ შეზავების დროს შესაზავებლად განკუთვნილი კალის წონას ამცირებენ.³ შავი წამლის დამზადებისას თეთრი წამალში შემავალ ნივთიერებებთან ერთად ერთ ოყა შავ ქვას იყენებენ, მწვანედ მომქიქავი ხსნარის შემზადების დროს კი ტყვია-კალისა და კიქა-თავგმარილას ნარევიში მცირეოდენი (დაახლოებით ორას გრამს) „სპილენძის ნარევი“⁴ აზავებენ.

შეღებვის დროს საღებავ ნივთიერებას თაღარში ათავსებენ: თუ წამალი სქელია, მას, როგორც აღვნიშნეთ, წყალს კიდევ უმატებენ და ათხლებენ. თხელი წამლის გასქელებას კი ასე ადვილად ვერ ახერხებენ, თხელ წამალში ჭურჭელს ორჯერ ავლებენ (წამალი ჭურჭელს „კვერცხის ხეპოს სისქით უნდა დაეკრას“). ყელიან ჭურჭელს უპირატესად გარეთა მხრიდანა სჭიქავენ (ჯამი და ხელგობი კი ორივე მხრიდან იჭიქება), ზოგჯერ კი მას შიგნითა მხრიდანაც ალაშაზებენ.

წითელ ჭურჭელს, როგორც ვთქვით, გამოწვამდე აჭრელებენ. მოსაქიქი ჭურჭლის მოხატვისა და მოქიქვას კი პირველი გამოწვის შემდეგ ახდენენ. ოსტატებს თუ დრო აქვთ, წითელ ჭურჭელს დაჭრელების უმაღლე ქურაში ჩაალაგებენ და მოქიქული ჭურჭლის მეორე გამოწვისა და მოხატვა-მოქიქვის დამთავრების უმაღლე იწყებენ.

წითელი ჭურჭლის ოსტატები საწვავში ჯერ ჩაასდგამენ „თავნად“ წოდებულ მსხვილ ჭურჭელს—ჩაფებსა და დერგებს, შემდეგ კი წვრილ ჭურ-

¹ დაფქვის დროს მას დროდადრო ცოტ-ცოტა წყალს ასხამენ.

² კალის ოდენობის შემცირების გამო ტყვიის დაწვა ძნელდება, წითელი წამლის დამზადების დროს ოსტატს დიდი დრო და ენერჯია ეხარჯება.



ქელს ჩააწყობენ.¹ პირველ ფენაში მოსაქცევ თვე ჭურჭელს, ბოგირებზე დასაყობად ლაგებლად განკუთვნილ ჭურჭელს ძროთი აწყობენ,² ზემოდან დასაწყობ ჭურჭელს კი დაწვენი თ ალაგებენ; ჩალაგების დროს ჭურჭელს ყურს ქვემოთ ან გვერდით უქცევენ. ჭურჭლის ჩაღვმას უკანა ბოგირიდან იწყებენ და თანდათან წინა ბოგირებსაც ავსებენ. ბოგირებს შორის მოქცეული თვეებიც ჭურჭლით იფარება, მაგრამ მაინც რჩება ცეცხლის ამოსასვლელი ღია ადგილები. ჭურჭლის ჩაწყობის პარალელურად ქურის წინპირსაც თანდათანობით აშენებენ, თანდათან წინპირს აურ აგავენ და საწვავის გამოვსების დასასრულს წინპირის ამოყვანასაც დაამთავრებენ. ამის შემდეგ საწვავის უკანა კედელში დატანებულ სამთვარიოებს დაკეტავენ და ჭურჭლის გამოწვის პროცესს შემდეგნაირად განავითარებენ: ცეცხლის შესანთები თვალიდან შეკეთებული მსხვილი შეშით ან ჯირკით ქურაში, ქურის დასაწყისშივე, კვამლის მომცემ პატარა ცეცხლს დაანთებენ — კვამლიან ცეცხლს მიუფუვლებენ და ერთი დღე და ღამის განმავლობაში ჭურჭელს კვამლით გააცხელებენ; ერთი დღე-ღამე კვამლმა უნდა იაროს, ჭურჭელი კვამლით უნდა გაცხელდეს.³ ჭურჭელი რომ წესიერად გათბება, ცეცხლს ნელ-ნელა მიუმატებენ, გარკვეული დროის შემდეგ კი წვრილი და ხველი შეშით დიდ ცეცხლს, მაგარ ცეცხლს დაუნთებენ — ჭურჭელს ალს მისცემენ. ქურის წინა ნაწილში დანთებულ ცეცხლს ჭურჭლის გამოწვის მიმდინარეობის შესატყვისად თანდათან სიღრმევე შესწევენ და, ბოლოს, გრძელის შეშის თავებს ქურის უკანა კედლამდე მიიტანენ.

ქურის წინა ნახევარში დანთებული ცეცხლი მხოლოდ წინა ბოგირებზე დალაგებულ ჭურჭელს ხვდება. ცეცხლის ალი ქურის წინა ნახევარში ტრიალდება, წინ დაწყობილი ჭურჭელი რომ გამოიწვება, სამთვარიოები ჩამოიხსნება, ცეცხლი უკან გაიწევის და ალიც უკან წავა. („რამდენი დაიურება ნაკვერცხალი, იმდენი უკან გავწევთ შეშას“), „ცეცხლი უკან მიეძალდება“,⁴ გამოწვის დასრულება ჭურჭლისა და ცეცხლის ფერთი შეიმჩნევა: ჭურჭელი გაწითლდება, ცეცხლის ალი გათეთრდება — ჭურჭელი თეთრად „გაღვარებული“ ცეცხლის ალში გაეხვევა. გამომწვარი ჭურჭელი „ცეცხლს აღარ მოიღებს“ და სამთვარიოებიდან წინპირის პაწია ნახურტებიდან მოწყვეტილი ცეცხლის გასვლა იწყება. ამ ნიშნების შემჩნევისთანავე ოსტატები შეშის შეკეთებას შეწყვეტენ და ამრიგად ჭურჭლის გამოწვის პროცესს ასრულებენ. როდესაც ქურა სათანადოდ გაცივდება, განელდება, მას პირს ჩამოუხსნიან და გამომწვარ ჭურჭელს ქურიდან გამოლაგებენ⁵.

¹ ჭურჭლის „ჩაწყობასაც“ ამბობენ და „ჩალაგებასაც“, მაგრამ ამ აზრის გამოსახატავად უპირატესად მაინც „ჩადგმას“ ხმარობენ.

² ჭურჭელი რომ სწორად, გამართულად დადგეს, მისი ძრო ზემოდან დაწყობილი ჭურჭლის დაწოლას ვერ გაუძლებს, ზემოთ მოქცეული ჭურჭლის სიმძიმე მას გასტეხს. ჭურჭლის „ძროთი დაწყობა“ არ გულისხმობს ჭურჭლის ფეხზე დგომით დალაგებას. ჭურჭელი ოდნავი შიწვენი თ ლაგდება, ბოგირს ჭურჭლის ძირის ერთი კიდე ეჯვრება.

³ პირველიდანვე „დიდი ცეცხლის მიცემა არ შეიძლება“, „ცივ ჭურჭელს რომ მოხვდება ალი, გახურდება, უცებ შესწრაფდება, ვერ ეიტანს და დემიტრევა“.

⁴ სამთვარიოები თუ არ გაიხსნა, „ცეცხლი უკან არ წავა, ცეცხლი ვერ გეიხარებს და ჩაქრება“.

⁵ ჭურჭლის გამოწვას ორი დღე და ღამე სჭირდება, ქურის გაცივებას კი — ერთი დღე და ღამე მაინც (გამომწვარი ჭურჭელი დიდხანსაც რომ დარჩეს ქურაში, არაფერი დაუზავდება).



მოქიქული ქურქლის ქურა, როგორც ზემოთქმულ იდან ვიცობთ, უმთხრესად ქურქლის ქურისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება; მათი განმასხვავებელი თავისებურება ქურქლის ჩადგნის წესებშიც აშკარაა. პირველი გამოწვის დროს ქურქელი ერთმანეთზე მიწყობით ლაგდება, მეორე გამოწვისას კი ფეხზე დგომით იწყობა. მოქიქული ქურქლის ერთმანეთზე დალაგება არ შეიძლება, გამოწვის დროს წამალი ადულდება და ქურქელი ერთმანეთს დაეკვრება. მეორე ჩაწყობის დროს ყელიანი ქურქელი ერთი მეორის გვერდით თავდება, ჯამები კი იბორქეება — ბორქეად¹ წოდებული თიხის პატარა სამფეხების საშუალებით ორი-სამი ჯამი ერთმანეთში ჩაიდგმება¹. თითოეულ სოლზე ხუთი-ექვსი ჰინქილა ან ორ დასტად წარმოდგენილი ექვსი ჯამი ეტევა, სამფეხიანები და სხვა შედარებით მოზრდილი ქურქელი კი უფრო მცირე რაოდენობით თავსდება.

პირველი გამოწვის ანუ წითლად გამოწვის დროს მოქიქული ქურქლის ოსტატებიც წითელი ქურქლის გამოწვისას ხმარებულ ხერხებს იყენებენ, მეორე გამოწვის ანუ ინგლისურად გამოწვის (თეთრად გამოწვის) პროცესს კი სხვაგვარად წარმართავენ. როგორც პირველი, ისე მეორე გამოწვის დროსაც ქურია თავს დახურავენ, კარსაც ამოაშენებენ და დაკვირვების საწარმოებლად განკუთვნილ პატარა თვალს დაუყოლებენ.

მეორედ გამოწვისას ქურქელს კვამლში გამოყვანა აღარ სჭირდება, ამ დროს მას უკვამლო ცეცხლი ეაჭიროება და გამოწვის პროცესიც, ამის გამო, თავიდანვე დიდი ცეცხლის დანთებით იწყება.² მეორე გამოწვაზე დროც ნაკლები იხარჯება, გამოწვის პროცესი ერთ დღეში მთავრდება. ავდრიან ამინდში ქურია გახურებას კერამიკული წარმოების ყველა დარგის ოსტატი ერიდება, მაგრამ გამოწვისათვის კარგი ამინდი უფრო მეტად მოქიქული ქურქლის ოსტატს ესაჭიროება. საწვავია გახურების დროს ქურქელი ორთქლიდება, და თუ ამ დროს წვიმა წამოვიდა, ის „ორთქლა უკან მოიტაცებს, ორთქლი უკან დაბრუნდება და წამალი გაფუჭდება“, ქურქელს ბრწყინვალეობა და ლაზათი დაეკარგება.

გამოწვის დამთავრება ამ შემთხვევაშიც ქურქლისა და ცეცხლის ფერთი შეიმჩნევა, გამოწვაში მყოფი ზოგიერთი ქურქელი სოლიდან ვარდება და გამოწვის დასრულების ერთ-ერთ ნიშნად ეა გარეგნობაც ითვლება; „ცეცხლი ქურქელს გადმოისვრის და ბამბასავით დაიწყებს ცვენაო“. აღნიშნული ნიშნების შემჩნევის უმაღლესი შეშის შეკეთება წყდება, ერთ დღე-ღამეში ქურა გაცივდება და პირჩამოშლილი ქურის კარიდან ქურქელი გამოლავდება.

გამოწვის დამთავრების შემდეგ ოსტატები ქურქლის გასაღებაზე ზრუნავენ, გოდრებგადაკიდებულ ცხენს ან ხარბებს ჩელტებმემოკრულ ურემს ქურქლით დატვირთავენ და გამსაღებელ ბაზრებისაკენ გასწივენ. ცხენზე გადასაკიდად თხლად დაწნულ წინელის ჯინება — გოდრებს ანუ ჯანაბირებს იყენებენ, ცხენს ერთმანეთზე გადაბმულ ორ გოდორს აკიდებენ; გოდრებსა და ურემში ქურქელს განსაზღვრული წესის მიხედვით ალაგებენ: ქურ-

¹ იმერელი ოსტატის მიერ ხმარებული ბოქუი, გარეგნობით და დანიშნულებით კახელი მუქაშანურის მიერ გამოყენებულ ზედადარს შეესატყვისება.

² პირველი გამოწვის დროს ნედლ შეშასაც იყენებენ, მეორედ გამოწვის დროს კი მხოლოდ ხმელ შეშას ხმარობენ.

ქლის გატეხვის თავიდან ასარიდებლად ჩაწყობის დროს მას გვიმრასაც უფენენ¹.

ჭურჭლის გამსაღებელი ბაზარი მხოლოდ ზემო იმერეთით არ იფარგლება, ზემოიმერული ჭურჭელი, კრამიკული წარმოებით განთქმული, აღწევს ქვემო იმერეთისა, გურიისა და ქართლის სოფლებსა და ქალაქებს.

ჭურჭელი ფულზედაც იყიდება და მარცვლეულზედაც იცვლება. ჭურჭლის მარცვლეულზე გადაცვლის წესი, ამჟამად უკვე მივიწყებული, როგორც ჩანს, უფრო ძველად არსებობდა. წვრილი ჭურჭელი წყევით იყიდებოდა, ჩაფდერგებისა და სხვა-სახის მსხვილი ჭურჭლის გაყიდვისას კი სხვაგვარი ხერხი იხმარებოდა: ჩაფის ან დერგის შემსყიდველს ერთ ჩაფს ან ერთ დერგს მარცვლეულში, ჩაფის ან დერგის გარდა, საღვამი ანუ სათავიცი ეძლეოდა² თუნგულა—დოქის, ქოთნის ან სხვა რომელიმე ჭურჭლის სახით.

მოკიქულბი ჭურჭელიც დაახლოებით ამგვარივე წესით საღვებოდა: ჯამი, ზოგიერთი ოსტატის თქმით კი ხელადაც, წყევოზე იცვლებოდა, ხოლო დანარჩენი ჭურჭელი ჯამით იყიდებოდა. ჭურჭლის შეფასება ზოგჯერ წინასწარ გამოწყული კალათის, დაახლოებით ათი გირვანქის შტამტევი ტყეცის კალათის, მიხედვითაც ხდებოდა: ერთ კალათა მარცვლად გაყიდულ მოზრდილ ჭურჭელს საღვამიც ემატებოდა პატარა ჭურჭლის სახით.

ზემოიმერული მეჭურჭლეობის წარმოდგენილი დახასიათება მხოლოდ ზოგიერთ ცენტრში შეკრებულ ცნობებს ემყარება და მთელი ზემო იმერეთის ჭურჭლის წარმოების სრულქმნილ აღწერილობად ვერ ჩაითვლება. არაბულ ცნობათა მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ მეჭურჭლეობის ზოგიერთ ცენტრში, მაგ., სოფ. ჯოყოეთში დამზადებული ჭურჭელი გარეგნობით ჩვენ მიერ დახასიათებულ ჭურჭელს ყოველმხრივ ვერ შეესატყვისება და შესაძლებელია ჭურჭლის ჭრის იქაურ ტექნიკას გარკვეული თავისებურებანიც ახასიათებდეს.

მემკვიდრეობა და მეთორნეობა

მევენახეობა-მელვინეობის სახელოვან სამშობლოში მექვევრეობის მრავალი ადგილ-სამყოფელი მოიპოვება, მაგრამ კლასიკურ კუთხედ მისაჩნევ იმერეთს ამ მხრივ ალბათ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება³.

იმერელ ოსტატთა საქმიანობაც მხოლოდ ჭურჭლისა და ქვევრეების კეთებით არ ამოიწურება (პატარა ქვევრს ქვევრს“ უწოდებენ, დიდ ქვევრს კი „ჭურის“ სახელით აღნიშნავენ). მეჭურე ოსტატი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისარჩებოდა (ისარნას „თალარიც“ ეწოდება) და თორნეების მკეთებლადაც ითვლება. მართალია, ზემო იმერეთში მექვევრეობისაგან გამოცალკევებული მეთორნეობაც გვხვდება, მაგრამ რადგან ამ ორ დარგს შო-

¹ ცხენით წაღება შეიძლება ერთი საპანე ჭურჭლისა. ურმით კი საანენახვრისა. საპანეში სამოცი თავია: ოცი თავნი და ორმოცი კი უფრო წვრილი ჭურჭელი.

² კარგი მისაჯლის პირობებში მსხვილი ჭურჭელი წყევთ იცვლებოდა, წვრილი ჭურჭელი კი ორ წყევდ იყიდებოდა.

³ იმერეთის სინამდვილეში ქვევრის გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით იხ. СМОПНК I-ის მე-II ტომში მოთავსებული წერილები. Д. Бакрадзе, Влиское общество: Л. Махарадзе, Багдадское общество, М. Мачарадзе, Харагаульское общество და აგრეთვე И. Бахтадзе, Экономический быт гос. Крестьян Шораланского уезда (МИЭГКЗК, V).



გარკვეული კავშირის არსებობა მოწმდება, მათი ერთ თავში მოქცევა და ერთად თაღ განხილვა ჩვენ უმჯობესად გვეჩვენება.

ქვევრი, თალარი და თორნი კარგად დახვლილი აყალო თირის შენაერთისაგან კეთდება და მექვევრეთა საქმიანობაც მიწის დაღობა-დახვლვის პროცესით იწყება. განსაზღვრული რაოდენობის აყალოს ოსტატები წინა-დღით თალარში ჩაყრიან და წყალს დაასხამენ;¹ სათანადოდ დაღობილ აყალოს მეორე დღით ნახევარსა და ორ წილს თირს გადაურევენ, აყალო-თირის შენახავს მიწის სახელზე² მოათავსებენ, სახელზე მოასწორებენ და წესიერად დახვლავენ. მიწას ხვლავენ ქუსლითა და ხმალით.³ ქუსლის დაკვრას და ქუსვლას ეტყვიან, ხმლის დაკვრას კი დახმალვას უწოდებენ.⁴ მიწას ჯერ დაჰქუსლავენ—ორ წყვილ ქუსლს და-არტყამენ, მერე დახმალავენ—ორ წყვილ ხმალს დაჰკრავენ და დახმალვის შემდეგ კვლავ დაქუსლავენ. ამის შემდეგ მიწას ნაჭერ-ნაჭერ დაპრიან, გადააბრუნებენ და დაქუსლვა-დახმალვის პროცესს იმგვარივე წესით ვაიმეორებენ. სათანადოდ დახვლილ მიწას საჭურეში შეიტანენ და ერთ ადგილას მოათავსებენ, რომ არ გახმეს მას „წყლით შემოლეცავენ“ და, თუ საჭიროდ დაინახეს, „თხმელის ნემოსაც“ დააფარებენ. მიწის დახვლვასთან დაკავშირებულ სამუშაოს ამით ათავებენ და, თუ სურთ, ქურ-ქვევრების გამოყვანას შეუდგებიან.

ქურების გაკეთებას მორგვზე⁵ იწყებენ, მორგვზე მხოლოდ ქურის ძირს ანუ კუნჭულოს აკეთებენ. ქურისა თუ ქვევრის ქუსლის გასაკეთებელ გუნდას მორგვზე დასვამენ და კარგად დაამაგრებენ, ირგვლივ თითის შემოსმით გუნდას მორგვზე დააწებებენ, მორგვზე გაასწორებენ, მარცხენა ხელს გარეთა მხრიდან შემოადებენ, მარჯვენა ხელით კი მას შიგნიდან ამოსთითავენ—ნახევრამდე გულს ჩაულრმავებენ. საქუსლე გუნდის ამოთითვის შემდგომ გრძლად დასვარსვალბეჭებული გუნდების ანუ ფთილებების შემოქნას დაიწყებენ, ორი-სამი პირის შემოვლებით კუნჭულოს გაკეთებას დაასრულებენ და სათანადო გალესვა-გაწმენდის შემდეგ მას მორგვიდან გადაიღებენ. შემოქნას მარჯვენა ხელით ახდენენ, მარცხენა ხელს კი გარედან აშველებენ. ამ დროს მორგვს მარჯვნივ ატრიალებენ.⁶ გალესვასაც მარჯვენა ხელით აწარმოებენ, გალესვის დროს მარცხენა ხელს შიგნით აქცევენ. შემოქნილი ფთილების გადასაბმელად და გასალესად ზოგჯერ სხვა თიხასაც იყენებენ. კუნჭულოს ორივე მხრიდან სწმენდენ, გაწმენდის პროცესს მექურებიც უყვარისაგან გაკეთებული გონგის დახმარებით წარმართავენ. გაწმენდას მარჯვენა ხელით აწარმოებენ, მარცხენა ხელს კი ამ შემთხვევაშიც მიმშველბლის ფუნქციას ასრულებინებენ⁷.

¹ დასახული მიწის რაოდენობა ოსტატის სურვილის მიხედვით ისაზღვრება, მაგრამ მაინც არსებობს მორჩილა და ხელე და დიდი და ხელე.

² მექურის მიწის სახელი მექურტლის მიწის სახელის მსგავსია.

³ მექურის ხმალიც მექურტლის ხმალს მსგავსია.

⁴ დაქუსვლის დროს ქუსლი ისე უნდა დაეარტყათ, რომ ფიცრამდე დაეყვანათ—„ქუსლი ფიცარს უნდა დაუწიოთო“. ხმალიც მაგრად უნდა დაეარტყათ—„ხმლითაც წმინდად უნდა გაეკეთო“. „ხმლით დაეჩეხათ მიწას, ერთმანეთში გოფრეთ და კვირტი ალარ დარჩება შიგათ“.

⁵ მექვევრის „მორგვი“ მექურტლის მორგვისაგან არაფრით არ განსხვავდება.

⁶ მორგვს ხელის წაკრა ხშირად არ სჭირდება, მუშაობის დროს ის თავისთავად ტრიალდება.

⁷ როდესაც მარჯვენა ხელს გარედან აშველებენ, მარცხენა ხელს შიგნით აქცევენ, ხოლო მარჯვენა ხელის შიგნიდან აშველებისას მარცხენა ხელს გარედან აშველებენ.

ქართული
საქართველოს
მეცნიერებათა
აкадеიის
გამომცემლობა

კუნძულოს სისწორეს სწორი ჯოხის დახმარებით ამოწმებენ; ჯოხს კუნძულოს ფსკერს დააბჯენენ; ჯოხის თავს ხელს მოჰკიდებენ და კუნძულოს პირის ირგვლივ შემოაცურებენ; თუ კუნძულოს კედლები მაღალ-დაბალია, ჯოხის შემოცურების ანუ არშის შემოვლების დროს შემოსწორდება. სისწორის შემოწმების შემდეგ კუნძულოს ნაპირებს ხელის ცერი შემოესმება და, ამგვარად, მას საცერე გაუკეთდება.

სახედასრულებული კუნძულო, როგორც აღვნიშნეთ, ოსტატებს მორგვიდან გადააქვთ ჭურების დასაწყობ ადგილზე, და პირის ნელდად ანუ „რბოლად“ შენახვის მიზნით მას ნოშოს ფოთლებით მოჰფოთლავენ. ამგვარი ხერხით ოსტატები რამდენიმე კუნძულოს დაამზადებენ,¹ შემრობის შემდეგ კი შენების პროცესს განაგრძობენ.

მორგვიდან გადაღებულ კუნძულოს მორგვს აღარ დაუბრუნებენ; დაახლოებით სამი დღის შემდეგ, როცა ის წესიერად შესრება და შედგება,² მას ჭურის სკამში ჩადგამენ,³ ნაპირებს ამოუთითავენ და ფთილების შემოქნას განაგრძობენ ზემოთ აღწერილი წესით. თითო შემოქნაზე ჭვევს დაახლოებით ერთი მტკაველის სიმაღლეზე აშენებენ. შემოქნის დამთავრების შემდეგ ახლად ამოშენებულ კედელს წესისამებრ გალესავენ, გასწმენდენ, პირს შემოუფოთლავენ და კვლავ მიწაზე მოათავსებენ. შესვენების შემდეგ მას ისევ ჭურის სკამში ჩადგამენ და აშენებისა და გალესვა-გასწმენდის პროცესს იმგვარადვე წარმართავენ. ჭურის სკამს მხოლოდ სამ მოქნაზე საჭიროებენ;⁴ სამი მოქნის შემდეგ ჭურებს დააბინავენ, დააკუნტებენ—ჭურების დასადგმელად განკუთვნილ ადგილას დააწყობენ, ძირის ირგვლივ „მუნჯებად“ და „ბიძგებად“ სახელდებულ კრამიტის ნატეხებს შემოუყენებენ და დაამუნჯებენ. დამუნჯებული ჭურ-ჭვევრების შენებასაც ზემოაღნიშნული წესის მიხედვით განაგებენ და გამოწვის დროს მოსვლამდე მათ ადგილიდან არ დასძრავენ.⁵ დამუნჯებულ ჭურებს ჯერ მიწაზე მდგომარე აშენებენ, სათანადო სიმაღლემდე ამოყვანის შემდეგ კი, როდესაც მას ველარ შესწვდებიან, ჭურის ირგვლივ ფიცრების საფერხეს ანუ ხარაჩოს გააკეთებენ და ჭურების შენებას საფერხეზე შემდგარნი განაგრძობენ.⁶ ამგვარი წესით წარმართული მუშაობის შედეგად ჭურის ძირზე გვამს ამოაშენებენ, გვამის ამოყვანის შემდეგ ჭურს ბექებს გაუკეთებენ—დაბექავენ, ბექებს ყელს მოაქნიან—დაჰყელავენ ანუ შეყელავენ და სულ ბოლოს თავს ანუ ფარფლს მოაბამენ. ფარფლის გასაკეთებლად განკუთვნილ ფთილას ჭვევრის პირს გარედან შემოაკრავენ და გონგითა და სვე-

¹ იშვიათი შემთხვევებით, საქართველოს სხვა კუთხეების მეჭვევრთა მსგავსად, ერთჯერად რამდენიმე ჭვევრის გაკეთებას იწყებენ.

² კარგ ამინდში კუნძულო სამ დღეში შრება, წვიმიან ამინდში კი შრობის პროცესი ერთ კვირამდეც ვარგელდება.

³ ჭურის სკამი ხისა (ტაბ. I, 2), ოთხ ფეხზეა შემდგარი (ტაბ. I, 2c), თავის (ტაბ. I, 2b) შუაგული მრგვალად აქვს ამოჭრილი (ტაბ. I, 2a), სკამის თავი შეიძლება იყოს მრგვალი, კვადრატული და სწორკუთხიანი ოთხკუთხედის მსგავსი. სოფ. ბოსლევში მცხოვრები მეჭურის-მიხედი აღფეხის ძე ჭუმბურიძის ჰარხანაში ნახული ჭურის სკამის განახლებები: სერთო სიმაღლე—44 სმ, თავის სისქე—7 სმ, სიგრძე—52 სმ, სიგანე—24 სმ, ამოჭრილი გულის ფიამეტრი (ქვემოდან)—12,5-სმ.

⁴ ზოგიერთი ოსტატის თქმით, ჭურის სკამზე მხოლოდ ორ მოქნას ასრულებენ

⁵ „კარგი ოსტატი დღეში მქვს დიდ ჭურს მოაქნისო“.

⁶ პატარა ჭვევრის შენების დროს მეჭურტლეს საფერხე არ სჭირდება.



ლი ბანდით სასურველ გარეგნობას აძლევენ. ქვევრს შუამდე თანდათანობით აგებენ, შუა ნაწილს ზემოთ კი ავიწროებენ აგრეთვე თანდათანობით (ჰქური შუათ რომ მიეყრება, მერე ერთ-ორ მოქნაზე სწორათ წაყა და მერე კი შიგნითმა დაიხრება¹) და ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, თავშემოვლებული ყელით აგვირგვინებენ².

ქურის შენების წესებს ოსტატები ყოველვის სრული თანმიმდევრობით იცავენ: ყოველი შემოქნის წინ ქურის ნაპირების ამოთითვას ახდენენ³ და ფთილების შემოქნა-შემოვლებასაც ყოველთვის ერთგვარი წესით აწარმოებენ—მარჯვენა ხელით აქნიან, მარცხენა ხელს კი გარედან აშველიებენ. ყოველი შემოქნის შემდეგ ამოშენებულ ნაწილს ხელით ლესავენ, გონგით ჩაჭკონგავენ, გალესვა-გაწმენდის მერე კი მას ფოთლებით დაპურავენ და დაასვენებენ. სისწორეს ყოველი შემოქნის შემდეგ ასწორებენ და ქურის ნაპირების გადაწევისა და გადაწვრების თავიდან ასაცილებლად ყოველი შემოქნის დასასრულს, სანამ ქური შუა ნაწილამდე მიაღწევს, მას ირგვლივ ქვევრის აკრავენ. დიდი ქურების შემოქნას ორ-სამ დღეში ერთხელ აწარმოებენ, პატარა ქვევრებს კი ყოველდღიურად (კარგი ამინდის პირობებში დღეში ხან ორჯერაც) აშენებენ.

იმერელი მექვევრეები ამჟამად მხოლოდ სადა ქურებს აკეთებენ, ძველად კი როგორც ქურებსაც აშენებდნენ: ყოველი შემოქნის დასრულებას როგორც შემოვლებით აღნიშნავენ და, ამგვარად, ქურს სალტესავით შემორტყმული რგოლებით აპრელებდნენ.

იმერელი მექურეებიც სხვადასხვა ზომის ქვევრ-ქურებს აშენებენ (ჩაფიანიც ვაკეთდება და ოც საპანიანიც⁴). პატარა ქურს როგორც აღვნიშნეთ, „ქვევრს“ უწოდებენ, მეტად პატარა ქვევრს, 2—3—4 ჩაფის ტევადობისას, „ღვინის დერგის“ სახელით იხსენიებენ, დიდ ქურს კი „ქურის“ სახელწოდებით აღნიშნავენ. ქურისა და ქვევრის ტევადობას ოსტატები სხვადასხვაგვარად ანგარიშობენ: ქვევრის მაქსიმალურ ტევადობას ზოგიერთნი 20—25 ჩაფით საზღვრავენ, ზოგი კი ყველაზე დიდი საწყაოს ქვევრად 40—50 ჩაფიან ქვევრს მიიჩნევენ⁵.

მექურეები, როგორც ვთქვით, სატკბილე — თაღარისა და ისარნას სახელწოდებით ცნობილ ქურქელსაც აკეთებენ,⁶ ქვევრის ძირის მოყვანილობის მქონე ისარნას კეთების დროსაც ქვევრის შენების დროს ხმარებულ ხერხებს იყენებენ.

მეთორნეებიცა და თორნის მკეთებელი მექვევრეებიც თორნის შენების პროცესს ერთნაირი ხერხებით წარმართავენ, ერთნიცა და მეორენიც თორნის თანდათანობითი შენების წესს იცავენ.

თორნის კეთების დაწყებამდე ოსტატები ფარგლით წრესაზს შემოსწვრენ: „ფარგალი“ ორ ჯოხს შუა გაბმულ ბაწარს წარმოადგენს. ოსტატი მარ-

¹ ოსტატთა გადმოცემით: „პატარა ქვევრისათვის სისქე ერთი თითის დადება კმა-რია“, ქურის კედლის სისქე კი ორი თითის დადება უნდა იყოს.

² ამოთითვის დროს „ქურის ნაპირები ამოჭრულდება და უფრო კარგად მოადგება მიწას“.

³ „საპანეში“ ათ ჩაფს ანგარიშობენ.

⁴ დიდ ქურს, როგორც ვთქვით, მხოლოდ შიგ ჩასვლის გზით შეიძლება, „ჩასავალი ქური“ ეწოდება.

⁵ აკეთებენ ბრტყელძირა ანუ ვაკე-ძრთან ისარნასაც და კუბუქიან ანუ ქუსლიან ისარნასაც.

ცხენა ხელში ბაწრის ერთ-ერთ ბოლოზე მოხმულ ჯოხს დაიკავებს და მიწაზე დააბჯენს, მარჯვენა ხელში კი მეორე ჯოხს დაიჭერს და წრებას შემოაწერს. წრის შემოხაზვის შემდეგ გრძელი გუნდების შემოვლებას იწყებენ, ოსტატები წრის გარეთ ტრიალებენ, გუნდების შემოვლების დროს უქუსვლით მოძრაობენ. განსაზღვრულ სიმაღლემდე ამოყვანის შემდეგ ამოშენებულ კედელს გონგით გალესავენ, გასწმენდენ, გალესვა-გაწმენდის შემდგომ კი დაფოთლავენ და შეასვენებენ. ორი-სამი დღის შემდეგ, როდესაც თორნე ზომიერად შეშრება, მუშაობას კვლავ განაახლებენ და გუნდების შემოქნასა და გალესვა-გაწმენდის პროცესს იწინაირადვე აწარმოებენ. რამდენიმე შემოქნის შემდეგ თორნის აშენებას დაასრულებენ.¹ სულ უკანასკნელად კი მას თავს მოაბამენ. ოსტატებს თუ სურთ, ქვევრის თავსაც და თორნის თავსაც გონგით დააჭრელებენ.

იმერელი ოსტატები უმთავრესად ორნაირი სახის თორნებს აკეთებენ: გარდა საოჯახო ანუ სოფლური თორნისა ისინი მეპურის თორნესაც ამზადებენ. მეპურის თორნე საოჯახო თორნეზე დიდია და მოყვანილობითაც მისგან განსხვავებული. საოჯახო თორნის თავიც ძირთან შედარებით უფრო ვიწროა, მაგრამ მეპურის ძირგანიერი თორნე თავისკენ შესამჩნევად დავიწროებულია.

ზრომის დასრულებამდე ოსტატები თორნეს ადგილიდან არ დასძრავენ. გახმობის შემდეგ მექვევრები გამოსაწვავად თორნესაც ქვევრის ქურაში ჩადგამენ, თორნის მკეთებელი ოსტატები კი მას ჭურჭლის ქურის მსგავს ნაგებობაში გამოსწვავენ.

თორნე და პატარა ქვევრი შედარებით მალე შრება, ქურის ხმობის პროცესი კი მეტად დიდხანს გრძელდება. როდესაც ქური თუ თორნე-თალარი შესამჩნევად გათეთრდება, ერთი სიტყვით, როდესაც ის ისე გახმება, რომ ბრჩხილის გამოსვით მასზე კვალი არ აღიბეჭდება („ბრჩხილმა უნდა მობრჩხილოსო“), ქურაში შეიძლება და დაიწყება გამოწვის პროცესი. ქურ-ქვევრების ჩადგმის დროს მექვევრებს სხვათა დახმარებაც ესაჭიროება: მეტად პატარა ქვევრს ერთი კაციც კარგად მოერევა, მაგრამ მოზრდილი ქვევრებისა და ქურების აწვევას რამდენიმე ადამიანის შეერთებული ძალა სჭირდება. ზოგიერთი ქურის აწვევას 6—8 კაცი დასჭირდება, დიდი საწყაოს ქურთა აწვევას კი 10—12 კაციც მოუწდება. დიდი ქურის აწვევას დამარყუყებელი ჭაპანებით ახდენენ: ცაცხვის ან თელას ხრალისაგან დაწნულ მსხვილ ჭაპანზე „ჭაპანის ხელებად“ სახელდებულ პატარა ჭაპანებს აასხამენ.² ჭაპანის ხელებით გამართულ დიდ ჭაპანს ქურის ირგვლივ შემოაკრავენ და ჭაპანის ყულფში გაყრილ ჭაპანის წვერს ერთ-ერთ ამწვევს დააჭერინებენ. ქურის ირგვლივ შემორტყმული მომუშავენი ჭაპანის ხელებს დაიკავებენ, თითოეული თითო ჭაპანის ხელს მოჭკიდებს ხელს და ქურს მეტად ფრთხილად ასწევენ. ამგვარი ხერხით აწეულ ქურს ქურაში შეიტანენ და მისთვის განკუთვნილ ადგილას დადგამენ (ქურების ქვეშ აგურებს დაულაგებენ). ქურებს ქურაში ორ მწკრივად დააწყობენ, „ქურები რომ ერთი-მეორეზე არ მივიდეს“, შუა და შუა ფიქალებს

¹ შემოქნათა რიცხვი თორნის სიდიდე-სიმატარავეზე დამოკიდებული, სხვადასხვა ზომის თორნის გაკეთებას სხვადასხვა დრო სჭირდება.

² ჭაპანიც და ჭაპანის ხელებიც შოლტის მსგავსად არის დაწნული, მას „მაჯის სისქე“ აქვს. ჭაპანის მაგიერ ზოგჯერ თოკაც ხმარობენ.



ჩაუწყობენ, ქვევრები ქურებზე უნდა მოათავსონ. ქვევრებს გვაჩვენებენ და ფარფლითაც ამზობენ, ფარფლით დამზობის დროს, ქვევრის დახურვა და გახეობა რომ არ მოხდეს, ქვევრის პირთა შორის აგურებს აყოლებენ.

ქურების ჩადგმის მერე ქურას წინაპირს აუგულავენ, აურავავენ და ძირში შეშის შესაკეთებელ სამ თვალს დაუყოლებენ. ამის შემდგომ, კინჭილაქებსა და სამთვარიოებს „დაალიზებენ“ ანუ დახურავენ და გამოწვას იწყებენ. პირველად ნელ ცეცხლს, პატარა ცეცხლს დაუნთბენ, ჯირკის ცეცხლს უფუფულებენ, შემდეგ კი თანდათან მოაძლიერებენ. კვამლიან ცეცხლს ჯერ ერთი თვალის წინ დაანთებენ, მეორე დღეს კი დაუსამკარებენ, — „ხრჩოლია ცეცხლს“ სამივე თვალის წინ დაუნთბენ.¹ ორი თუ სამი დღე-ღამის განმავლობაში მომუშავე კვამლიანი ცეცხლით ქურები სათანადოდ გათბება, გახმება (პირველად დანთებულ ცეცხლს ამის გამო „სათბობი“ და „სახმობი ცეცხლი“ ეწოდება), შემდეგ კი ცეცხლი თანდათან გაძლიერდება, ორი დღე და ღამის განმავლობაში ქურას მავარი ცეცხლი—დიდი ცეცხლი ექნება. ამ დროს ოსტატები ცეცხლს ნელ-ნელა შიგნით წასწევენ, თვლებთან დაგროვებულ ნაკვრჩხალსაც უკან კედლისაკენ გახვევენ. ცეცხლის წინ წაწევა, როგორც ვთქვით, თანდათანობით მოხდება,² უკანასკნელად ანთებული შეშები უკანა კედელს მიებჯინება და ქურა „ჯანყისა“ და „შავი კვამლისაგან“ გაიწმინდება. ქურიც გადაიწმინდება და „კარგ ფერზე დადგება“. ცეცხლის უკანა კედელთან მისვლის შემდეგ ქურას „ოთხი-ხუთი დაკეთებალი“ დასჭირდება, სამ-ოთხ საათში გამოწვის პროცესი სრულდება. გამრწვის დამთავრება ქურისა და ცეცხლის ფერის მიხედვით შეიმჩნევა: თიხა გათეთრდება, ალიც გათეთრდება—„სამთვარიოებში თეთრი ალი გამობილინდება“. ორ დღეში ქურა კარგად გაცივდება, განელდება, ქურას პირი ჩამოეხსნება, ე. ი. პირი აეხსნება და ქვევრები გამოგორდება.


ქვევრი მხოლოდ ზაფხულობით კეთდება, მექვევრის საქმიანობა აპრილში იწყება და ოქტომბრის დამლევს მთავრდება. მექვევრეს მარტოდაც შეუიღია მუშაობა, მაგრამ რამდენიმე მექურისა და მეტალახის³ ან ერთი მექური-სა და ერთი მეტალახის შეამხანაგებაც შეიძლება. შეამხანაგების წესი ძველი იმერეთის მექვევრეობაშიც არსებობდა: მექვევრეს მეტალახე უმკველად უნდა ჰყოლოდა; თუ რამდენიმე ოსტატი შეამხანაგდებოდა, მიწის დამზელთა რიცხვიც შესატყვისად გაიზრდებოდა.

ზემო იმერეთის ცენტრებში დამზადებული ქურ ქვევრების გამსაღებელი ბაზარიც ფართო ტერიტორიაზე იშლება, ზემოიმერელი მექურის ნაწარმი

¹ თვლებთან დანთებული ცეცხლის ალი ქურაში შევა, წინაპირის გასწვრივ მაღლა ავა; ქვევრებს თავს გადაუღვდის, მაგრამ რადგან სამთვარიო და კინჭილაქები დაკეთილი დახედება, — ძირს ჩავა და უკანა ქურებს დაუტრიალდება.“

² წინა რიგის ქურებს არ მოვაცილებთ ცეცხლს, სანამ მეორე რიგის ქურები არ გაწითლდება და მეორე რიგის ქურებს არ მოვაცილებთ ცეცხლს, სანამ მესამე რიგის ქურები არ გაწითლდება (ქურები სიგრძეზე ორ მწკრივად არის დაწყობილი, სიგანეზე კი სამ მწკრივად).

³ მეტალახეს, ე. ი. მიწის დამზელს ვაღება, მიწის მოთხრა-დახეღვა, ფთილების დამსაღება, დასაბურავი ფთილების მოტანა და სხვა დამზარეულ სამუშაოს შესრულება, ოსტატს კი ქურების გამოწვანა და გამოწვა ეკისრება.



საღებმა თვით ზემო იმერეთში, აგრეთვე ქვემო იმერეთსა, რაჭასა და ქართლშიც იყიდება.

მიკრამიტობა და მებაზრეობა

ზემო იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, როგორც ამის შესახებ ზემოთაც მივუთითებდით, გვხვდება ფართო მასშტაბით წარმოდგენილი მეკრამიტობა-მეაგურობა და ამ საყურადღებო კუთხის კერამიკის დიდმნიშვნელოვანება წარმოების ამ დარგთა შესწავლითაც დასტურდება. იმერეთშიც ისევ ძველებური—მრავალსახეობათა შემცველი ქართული კრამიტის იჭრება,¹ კვადრატული მოყვანილობის ქართული აგური კი უკვე აღარ კეთდება; ქართული აგურის ნაცვლად, ამჟამად, მოგრძო-სწორკუთხოვანი მოყვანილობის „რუსული“ აგური იხმარება.

აგურისა და კრამიტის დასამზადებლად ვარგისი მიწები, როგორც აღენიშნეთ, სხვადასხვა თვისებებით ხასიათდება და მათი მოჭრაც, ამის გამო, სხვადასხვა პირობებში ხდება. კრამიტს აკეთებენ მზე-ქარის ძლიერი ზემოქმედებისაგან დაცულ ნაგებობაში—გვერდებამოფიცრულ ან შემოლობილ ჩარდახში, აგურს კი ღია ცის ქვეშ გამართულ კალოზე სჭრიან².

კრამიტის ქარხანაში გამართულია³ ახლად მოჭრილი კრამიტის დასაწყობად განკუთვნილი ფიცრის თაროები, იქვეა მოწყობილი კრამიტის მოსაჭრელი დაზგაც (ერთი ან რამდენიმე)⁴. მეკრამიტის დაზგა მეაგურის მაგიდისებურად მოყვანილი დაზგისაგან დიდად განსხვავდება. ეს უკანასკნელი ერთს ან რამდენიმე ბოძზე დაყრდნობილი, ტრაპეციის მაგვარი ფიცრის სახით წარმოგვიდგება. დაზგის ფიცარი ცერად არის დამაგრებული: ვიწრო ბოლო დაბლაა დახრილი, განიერი ბოლო კი უფრო მალა დაყენებული. განიერი ბოლოს შუა ადგილას დაზგა ოთხკუთხად არის ამოჭრილი ბოყვის წვერის დასამაგრებლად⁵.

კრამიტი ყალიბის, ე. ი. კალაპოტის, ბოყვის და ლალას ანუ ლაღეს დახმარებით იჭრება. ჩარჩოს მსგავსად მოყვანილი, ერთი ბოლოსკენ ვიწრო, მეორე ბოლოსკენ კი განიერი, ყალიბი კრამიტის გუნდის გასაბრტყელებლად არის განკუთვნილი; გრძელი და ვიწრო ფიცრის სახით წარმოდგენილი, სახაზავის მაგვარი, ოღონდ ნაპირებ დამარგვალელებული, ლალა გადასასხმელად იხმარება, ხოლო კრამიტივით მოხრილი წვერითა და ტარით გაწყობილი ბოყვით ყალიბში გაბრტყელებულ გუნდას კრამიტისებური გარეგნობა ეძლევა⁶.

¹ ზოგიერთი სოფლის მეკრამიტეებს უკანასკნელ ხანებში სხვაგვარი კრამიტის კრაც დაუწყიათ.

² კალო მეკრამიტეებსაც ესაქიროვებთ, შემზრალი კრამიტის გასაფენად.

³ ზოგიერთი მეკრამიტე კრამიტების მოსათავსებლად განკუთვნილ თაროებს ბინასაც უწოდებს.

⁴ დაზგათა რიგები მომუშავეთა რაოდენობას უნდა შეესატყვისებოდეს.

⁵ სოფ. უბისში მცხოვრები მეკრამიტის—აკაკი გიორგის ძე სეფისკვერამის ქარხანაში ნახული დაზგის განაზომები: დაზგის საერთო სიმაღლე—75 სმ, დაზგის ფიცრის სიგრძე—61 სმ, განიერი ბოლოს სიგანე—27 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე—19 სმ, ბოყვის წვერის დასამაგრებლად ამოჭრილი ნაწილის სიმაღლე—9 სმ, სიგანე—3.5 სმ.

⁶ სოფ. უბისში მცხოვრები მეკრამიტის—აკაკი სეფისკვერამის მიერ ხმარებული ყალიბის, ბოყვის და ლალას განაზომები: ყალიბის სიგრძე—43 სმ, განიერი ბოლოს სიგანე—23-5 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე—18 სმ. მანძილი განიერი ბოლოდან სარგვალემდე



ზემოთ მოხსენებული იარაღების გარდა კრამიტის ქრის დროს, მეკრამიტე ტეს წმინდა სილა და წყალიც ესაჭიროება.¹ მიწის დაზუღელისა და ზედა ნიშნულ საგანთა სათანადო ადგილას მოთავსების შემდგომ ოსტატი კრამიტის ქრას შეუდგება.

საკრამიტე მიწას—ორ წილ თირსა და ერთ წილ აყალოს, შედარებით იშვიათად კი ნახევარ თირსა და ნახევარ აყალოს,—ჯერ ორმოში დაალობენ, დალობილ მიწას საზელი მანქანის კოდში მოათავსებენ და ხარებით ან წყლის ძალით დატრიალებული მანქანის დახმარებით მას წესისამებრ ზელავენ.² შესაფერისად დაზუღელი მიწას გრილ ადგილას მოათავსებენ, გახზობის თავიდან ასაცილებლად მას ფოთლებით ან სხვა რაიმე სახის საფარველით კარგად დაბურავენ და კრამიტის ქრის პროცესს შემდეგნაირად აწარმოებენ; სილათი მოფენილ დაზუღე ათავსებენ სილაში ამოვლებულ კალაპოტს, რომ ტალახი არ მიეწებოს, წინასწარ წყალში ასველებენ და სილაში ავლებენ—და შიგ გუნდას გააბრტყელებენ, გუნდას კალაპოტში გაიყვანენ. ყალიბში გაბრტყელებულ გუნდას სველ ლალას გადაუსვამენ და ზედმეტ ტალახს მოაშორებენ. გადაწმენდის დროს ლალას პირუკუ მიმართულებით აცურებენ: ორივე ხელში დაკავებულ ლალას კალაპოტის განიერ ბოლოზე დააბჯენენ (კალაპოტის განიერი ბოლო მომუშავესკენ არის მიქცეული) და ნელ-ნელა კალაპოტის ვიწრო ბოლოსკენ გასწევენ.


ყალიბში გაბრტყელებულსა და გაწმენდილ გუნდას ლალას დახმარებით რგოლს უყეთებენ: კალაპოტის ვიწრო ბოლოზე ლალას დააყრდნობენ და დაახლოებით 8—10 სმ-ზე გაატარებენ; ლალას მოძრაობის შედეგად შეხვეტილი ტალახის ზოლზე ლალას გადაადენენ—სარგოლე ზოლს დატოვებენ და შემდეგ კი მას კალაპოტის მეორე ბოლომდე გაიყვანენ.³ ამის მერე მას წყალს აპყურებენ და იმავე ლალათი სუფთად ლესავენ. ამ პროცესის დასრულების შემდგომ მას კვლავ წყალს მოახხამენ და ორივე ხელით გააღესავენ და გააღამაზებენ. ამგვარად გაღესილ-გალამაზებულ საკრამიტე ფირფიტას ბოყვზე გადაიტანენ ანუ გადაიყვანენ და სათანადო შესწორება-შელამაზების მერე კრამიტების დასაწყობ თაროზე მოათავსებენ. კრამიტის ბოყვზე გადაიტანასა და ფიცარზე დასმას შემდეგნაირად ახდენენ: ბოყვის წვერს დაზვის ამოჭრილ ადგილში შესვამენ, ტარს კი გულის ძირში ჩიბჯენენ, კალაპოტის ხელისწასავლებ ქიმებს ორივე ხელს მოჰკიდებენ და მეტად ფრთხილად ბოყვზე გადმოაცურებენ. გადმოტანის დროს კრამიტი ნელ-ნელა ბოყვზე დაეშვება და კალაპოტი მისგან გათავისუფლდება. სათანადო გასწორების შემდგომ ბოყვს წვერსა და ტარში ორივე ხელს მოჰკიდებენ და ფიცარზე დასვა-

(გრძელ გვერდებზე, ვიწრო ბოლოდან მცირე მანძილის დაშორებით, ყალიბს სარგოლეები აქვს გაყეთებული. ყალიბის გვერდები ამ ადგილებში შეჭრილია)—37,5 სმ, ზომა ვიწრო ბოლოდან სარგოლემდე—6 სმ, ხელის მოსაჭიდის სიგრძე—3 სმ, ყალიბს აქეთ-იქით გრძელ გვერდებზე ხელის მოსაჭიდი ქიმები აქვს გაყეთებული, მანძილი განიერ ბოლოსა და ხელის მოსაჭიდს შორის—6,5 სმ, ლალას სიგრძე—37,5 სმ, სივანე—5 სმ, ბოყვის სიგრძე—46 სმ, ბოყვის სახელურის სიგრძე—11 სმ, წვერის სიგრძე—3,5 სმ, ტარის სისქე (ზომა ტარის ირგვლივ)—1,5 სმ, წვერის სისქე (ზომა წვერის ირგვლივ)—8,5 სმ, განიერი ბოლოს სიგრძე (ზურგის მხრიდან)—20,5 სმ, ვიწრო ბოლოს სიგრძე (ზურგის მხრიდან)—15 სმ.

¹ წყალს თალარში აყენებენ.

² ძველად საკრამიტე მიწასაც ფეხითა და ხმალით ზელავდნენ.

³ ზოგიერთი სოფლის მეკრამიტენი რგოლს ყურსაც უწოდებენ.



მენ. ამის შემდეგ მას ტარში მოჰკიდებენ ხელს, ნელ-ნელა გარეთ ვაშლიანობენ და ამგვარად კრამიტს ბოყვისაგან გაათავისუფლებენ, სხვა კრამიტების მოჭრას ამგვარივე წესით მოახდენენ და რამდენიმე ხანში ფიჭვის თაროებს ახლადმოჭრილ კრამიტებით გამოავსებენ. კრამიტის მჭრელს, თუ ხელისში მწყობი ჰყავს (დამხმარე, რომელსაც მიწის მოთხრა, დაღობვა და დაზეღვა ევალება). დღეში სამასი ან სამას ნახევარი კრამიტის მოჭრა შეუძლიან, მართოდ მომუშავე მეკრამიტე კი, რა თქმა უნდა, ამდენის დამზადებას ვერ შეძლებს.

თუ კრამიტი ძალიან ფიჭვი მიწისაგან არ არის გაკეთებული, მას მეორე-მესამე დღეს კალოზე ვაჭვენენ, სათანადო განზომობის შემდეგ კი. სამი-ოთხი დღის ან ერთი კვირის მერე, ქურაში ჩასდგამენ და გამოსწავვენ, თუ ქურაში ჩალაგება მალევე ვერ მოახერხებს, კრამიტებს საფარში შეიტანენ და სიმაღლეზე დააწყობენ. — „თავ-ბოლო შექცევი“ ერთმანეთზე მიაყუდებენ.

იმერული ოსტატების მიერ დამზადებული კრამიტი ქართულია. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის შრავალგვარია. ყველა სახის კრამიტი, ქართული კრამიტისათვის დამახასიათებელი გარეგნობის შესაფერისად, ღარისებური მოყვანილობით ხასიათდება. ყოველ მათგანს რგოლი უკეთდება, მაგრამ ზომისა და სხვა წერილობანი ნიშნებია მიხედვით ამ სახის კრამიტები ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდება. ზემო იმერეთში ხუთნაირი კრამიტი იჭრება: სახურავი ანუ დასახურავი კრამიტი, საბოლოო ანუ მოკლე კრამიტი, შუარგოლა ანუ გრძელყელა კრამიტი, ზღუდის კრამიტი და კაპიანი კრამიტი. ყველაზე დიდი რაოდენობით სახურავის კრამიტს სჭირან (სახურავის უდიდესი ნაწილი სახურავი კრამიტით არის დაფარული, დანარჩენი სახის კრამიტებს კი უფრო მცირე რაოდენობით ამზადებენ)¹.

საბოლოო კრამიტი სახურავი კრამიტით მოხრილია და რგოლგადავლებული, მაგრამ მისგან განსხვავებით მოკლეა და საღურსმნე ნაჩრეტ-გაკეთებული, ნაჩრეტი ღურსმნის დასაკრავად არის განკუთვნილი. აგრეთვე ღარივით მოხრილს შუარგოლა კრამიტს, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, რგოლი შუა ადგოლასა აქვს გადავლებული და აგრეთვე ღარისებურსა და რგოლიან კაპიან კრამიტს კი ვიწრო ბოლოზე კაპი აქვს გაკეთებული. ყველაზე დიდი ზომის კრამიტად ზღუდის კრამიტი ითვლება, ის სხვა სახის კრამიტებზე ფართოა და მათგან განსხვავებით რგოლგადატარებულ ზურგზე მას ორი ბრტყელი ღარიც აქვს ჩავლებული.² საცხოვრებელი სახლისა თუ სამეურნეო ნაგებობის სახურავი, როგორც უკვე ვთქვით, სახურავი კრამიტით

¹ ერთ-ერთი მეკრამიტის ცნობით: „2000 სახურავი კრამიტი რომ მოიჭრას, საბოლოო კრამიტი მოიჭრება 300, ზღუდის კრამიტი—80 და შუარგოლა კრამიტი—300“.

² სიღ. ბოსლუვის ერთ-ერთ ქარხანაში ნახული კრამიტების განზომებები: სახურავი კრამიტის სიგრძე—33 სმ, მანძილი განიერი ბოლოდან რგოლამდე—31.5 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოდან რგოლამდე—5 სმ, განიერი ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—20.5 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—15 სმ, მანძილი განიერი ბოლოს კუთხეებს შორის—15.5 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოს კუთხეებს შორის—11.5 სმ, შუარგოლა კრამიტი ყოველმხრივ სახურავი კრამიტის მსგავსია, ოღონდ მანძილი განიერ ბოლოს და რგოლს შორის უფრო მეტია (26 სმ-ია). საბოლოო კრამიტის სიგრძე—33 სმ, მანძილი განიერი ბოლოდან რგოლამდე—26.5 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოდან რგოლამდე—5 სმ, განიერი ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—22 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—16 სმ, მანძილი განიერი ბოლოს კუთხეებს შორის—17 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოს კუთხეებს შორის—12 სმ.



იხურება, მაგრამ დახურვის დაწყების დროს სახურავის წინა მხარეს კონკრეტული პირის დახურვისას, საბოლოო კრამიტი და შუარგოლა კრამიტის მარება. კაეებზე ჯერ შუარგოლა კრამიტი დაიდება, ე. ი. კაეებს შორის ჯერ გულალმა მდგომარეობაში დაწვენილ შუარგოლა კრამიტს მოათავსებენ (შუარგოლა კრამიტის ერთი ნახევარი სახურავზეა დაყრდნობილი, მეორე ნახევარი კი წვეთის გადმოსასვლელად განკუთვნილი, წინაა წამოწეული), შემოდან კი საბოლოო კრამიტს დააფარებენ. კაპიანი კრამიტი შუარგოლა კრამიტის მაიეგრობას ეწევა, თუ კაპიან კრამიტს იყენებენ მაშინ საბოლოო კრამიტს ლურსმნის დარტყმა აღარ სჭირდება. ზღუდის კრამიტი სათავეზე დასაფარებლად იხმარება, სახურავის სხვადასხვა მხარეთა შემეფერთებელი ზოლებიც ზღუდის კრამიტით იხურება.

მთხრობელთა გადმოცემებიდან ირკვევა, რომ ზემო იმერეთი ძველად სხვაგვარი კრამიტის მკეთებლობასაც იცნობდა, ლარისებური მოყვანილობის კრამიტთან ერთად ბრტყელი კრამიტიც იჭრებოდა. ბრტყელი კრამიტი, როგორც სოფ. შროშაში მცხოვრები გლეხის—რაფიელ ბიჭიას ძე ლაბაძის ოჯახში დღესაც ინახება¹, ზომით და მოყვანილობით ზემოთ აღწერილი კრამიტებისაგან დიდად განსხვავდება. იგი დიდი ზომისაა, ბრტყელია და გვერდებამალღებული (ვიწრო ბოლო მხარეს გვერდები უფრო დაბალია), ერთი ბოლო ფართო აქვს, მეორე კი შედარებით შევიწროებული. ბრტყელი კრამიტი გულალმა იხურება, ზურგი სახურავს ებჯინება, გული კი ზემოთ ექცევა. დახურვის დროს კრამიტები ერთმანეთში ჯდება: ერთი კრამიტის ვიწრო ბოლო მეორე კრამიტის განიერ ბოლოს ეყრდნობა. ბრტყელ კრამიტთან ერთად სახურავს ლარისებური მოყვანილობის კრამიტიც ესაჭიროება, ბრტყელ კრამიტთა გადაბმის ადგილები მოხრილი კრამიტებით იფარება².

ზღუდის კრამიტის სიგრძე—42 სმ, მანძილი განიერი ბოლოდან რგოლამდე—35 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოდან რგოლამდე—5 სმ, მანძილი განიერი ბოლოდან სალურსმნემდე (სალურსმნე ნაჩურტი ზღუდის კრამიტსაცა აქვს გაკეთებული)—19 სმ, სალურსმნეს დიამეტრი—1,5 სმ, განიერი ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—29 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—22 სმ, მანძილი განიერი ბოლოს კუთხვებს შორის—20 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოს კუთხვებს შორის—15 სმ, მანძილი გვერდისაგან ღარამდე—7 სმ, (ორივე ლარი გვერდებიდან თანაბარი, მანძილით არის დაშორებული); ლარის სიგანე—2,8 სმ (ორივე ლარი თანაბარი სიგანისა) მანძილი ღარებს შორის—9 სმ, კაპიანი კრამიტის სიგრძე—45 სმ, მანძილი განიერი ბოლოდან რგოლამდე—31 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოდან რგოლამდე—11 სმ, განიერი ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—25 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—22,5 სმ, მანძილი განიერი ბოლოს კუთხვებს შორის—17 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოს კუთხვებს შორის—15 სმ, კაპის სიგანე—4 სმ, კაპის სიგრძე—8 სმ.

კრამიტის (ყველა სახის კრამიტის) სისქე ფართო ბოლო მხარეს დაახლოებით 1,5 სმ-ია, ვიწრო ბოლო მხარეს კი—1 სმ.

¹ რაფიელ ლაბაძის ოჯახში შემონახული ბრტყელი კრამიტები (ლარისებური მოყვანილობის კრამიტებთან ერთად) მისი პაპის მამის—ბეჟან ბერის ძე ლაბაძის მიერ ყოფილ გაკეთებული.

² სოფ. შროშაში მცხოვრები გლეხის რაფიელ ბიჭიას ძე ლაბაძის ოჯახში შენახული კრამიტების განაზომები: ბრტყელი, კრამიტის სიგრძე—50 სმ, განიერი ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—33 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—27 სმ, განიერი ბოლოს სიგანე (გულის მხრიდან)—28 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე (გულის მხრიდან)—23,5 სმ, გვერდების დაბალი ნაწილის სიგრძე—5,5 სმ, გვერდის სიმაღლე (გარეთა მხრიდან)—5,3 სმ, კრამიტის სისქე ზოგან 2 სმ-ს და ზოგან კი 2,5 სმ-ს უდრის. მოხრილი კრამიტის სიგრძე—51 სმ, მანძილი განიერი ბოლოდან რგოლამდე—43,5 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოდან რგოლამდე—15 სმ, განიერი ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—25,7 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე (ზურგის მხრი-



ლაბადის ოჯახში სხვაგვარი სახის მოხრილი (აგრეთვე როგორც ვაგონის ბული) კრამიტიც არის შენახული, ამნაირ კრამიტს, როგორც ვაგონის ბული, დღეს თურმე უკვე აღარ სჭირან. ზენოთ აღწერილ ღარიანებურ კრამიტთაგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი ძლიერ არის მოხრილი და შუაზედ გაჭრილი მილის მსგავსადაა მოყვანილი¹.

ძველი დროის იმერეთში, როგორც ეს მოხრობელთა ვადმოცემებიდან ირკვევა, მოჭიქული კრამიტიც ყოფილა ხმარებული, ამჟამად შესამჩნევად დაზიანებული ქედის წმ. გიორგის ეკლესიაც (სოფ. შროშაში) მწვანედ მოჭიქული ქართული კრამიტით არის გადახურული.

ანგურის² მოსაკრელად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შავი მიწა და სილა-მიწა იხმარება, აგური ორი წილი სილა-მიწისა და ერთი წილი შავი მიწის, ზოგიერთი მეაგურეს თქმით კი: სამი წილი სილა-მიწისა და ერთი წილი შავი მიწის შენაერთით კეთდება.

აგურის მიწასაც ორმოში ალბობენ. მაგრამ მის დასაზღვრად მანქანას არ იყენებენ. წინასწარ დალბობილ მიწას (აგურის მიწის დალბობას, როგორც ჩანს, მცირე დრო სჭირდება) ჯერ თოხით აურევენ, შემდეგ კი ფეხით წესისამებრ დაზელავენ. რამდენჯერმე გადაბრუნებულსა და დაზელილ მიწას დაზვის ახლოს მოათავსებენ და სილამოყრით დაზვაზე აგურის ქრას დაიწყებენ. მეაგურის დაზვა მაგადისებური მოყვანილობისაა. ის, როგორც ზემოთაა ნივთითი, აკლოდ³ წოდებულ ვაკე ადგილზეა გამართული. ლაღა და კალაპოტი მეაგურესაც ესაჭიროება, აგურის ქრისას იხმარება კრამიტის საჭრელად გამოყენებული ლაღა, მაგრამ ზეკრამიტის კალაპოტი კი მეაგურეს არ გამოადგება. აგურის კალაპოტი კრამიტის კალაპოტისაგან დიდად განსხვავდება. კალაპოტი ხისგან არის გაკეთებული, და ერთი ან რამდენიმე უჯრისაგან შემდგარ ყუთს წააგავს³. კალაპოტი ერთაგურიანი, ორიაანი, ოთხიანი და ექვსიანიც არის. ერთაგურიანი და ექვსაგურიანი კალაპოტი შედარებით იშვიათად გვხვდება, ორაგურიანი და ოთხაგურიანი კალაპოტი კი უფრო ხშირად იხმარება.

იმერეთში, როგორც ვთქვით, ამჟამად სწორკუთხიანი ოთხკუთხედის მსგავსად მოყვანილი აგური იჭრება და კალაპოტის თითოეული უჯრაც ამგვარივე მოყვანილობისაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ აგურს ჩაღრმავებული ჯვრის გამოსახულებაც უკეთდება (ამგვარ აგურს, სადა აგურისაგან განსხვავებულად, ჯვრიანი აგური, ანუ ქრელი აგური ეწოდება), ჯვრის გამოსახულება კალაპოტის ძირზე მიკრული ჯვრის წყალობით

დან)—19,5 სმ, მანძილი განიერი ბოლოს კუთხეებს შორის—15 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოს კუთხეებს შორის—10,5 სმ, განიერი ბოლოს მოხრილობის სიმაღლე (გვერდის სისქის ჩათვლით)—7,7 სმ, ვიწრო ბოლოს მოხრილობის სიმაღლე—6,5 სმ, კრამიტის სისქე 1,5 სმ.

¹ კრამიტის სიგრძე—42 სმ, კრამიტის განიერი ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—23 სმ, ვიწრო ბოლოს სიგანე (ზურგის მხრიდან)—17 სმ, მანძილი განიერი ბოლოს კუთხეებს შორის—11 სმ, მანძილი ვიწრო ბოლოს კუთხეებს შორის—9 სმ, განიერი ბოლოს დახრილობის სიმაღლე (გვერდის სისქის ჩათვლით)—8,5 სმ, ვიწრო ბოლოს დახრილობის სიმაღლე—6,5 სმ, კრამიტის სისქე—1 სმ.

² იმერეთში აგურს ანგურად³ გამოთქვამენ.

³ სოფ. ბოსლევის ერთ-ერთ ქარხანაში ნახული ორაგურიანი კალაპოტის განაზომები: კალაპოტის სიერთო სიგრძე—51 სმ, სიერთო სიგანე—34 სმ, უჯრის სიგრძე—28 სმ, სიგანე—12 სმ, სიღრმე—7 სმ, კალაპოტის გვერდების სისქე (ყველა გვერდი თანაბარი სისქისაა)—2,5 სმ, სახელურის სიგრძე—34 სმ, სისქე—7 სმ.



ალიბეჭდება. ჯერიან აგურზე შენების დროს გამოყენებული შემაკავშირებელი მასალა (კირი) თურმე უფრო კარგადა დგება და სისაგან აგებული კედლები ამის გამო უფრო საიმედოდ ითვლება.

მოგრძო მოყვანილობა აგურის ნკეთებლობა, როგორც ჩანს, ძველი იმერეთისათვისაც უცნობი არ ყოფილა; ხალხში დაცული გადმოცემები და ზოგაერთი ოჯახში დღევანდლამდე შემონახული დიდი ზომის აგურები¹ ნათლად მოწმობენ, რომ ვიწროდ და გრძლად მოყვანილი აგურის ქრის ტრადიცია იმერეთში იმთავითვე არსებულა.

ზემოაღნიშნულ ხელაწყოთა გარდა მეაგურეს წყალი და წმინდა სილაც ესაჭიროება, სათანადო ხმარებული სილის გარეშე აგური ვერ მოიჭრება.

აგურის ქრის პროცესს მეაგურეები შემდეგნაირად წარმართავენ: სილაგამოვლებულ კალაპოტს დახვავზე ათავაებენ და მია თვლებში ალაგებენ შესათერისად დაგუნდავებულ გუნდებს. ტალახით გამოვსებულ კალაპოტს ზემოდან აველ ლალაა გადაუსვამენ და უსწორმასწორო თავს გადაუსწორებენ. ამის შემდეგ კალაპოტია თავსა და ბოლოს გაკეთებულ ხელის მოაპყიდება ორივე აელს მოაპყიდებენ. წაილებენ და მეტად ფრთხილად კალაპოტს წამოაპირქვაებენ. სხვა აგურების მოკრასაც ამგვარივე წესით ახდენენ და რამდენიმე ხანში კალაპოტს აგურის მწყკრივებით მოაფენენ. როდესაც აგური იაე გაშრება, რომ თავის შეკავებას შეაძლებს და ხელის მოკიდებობა არ დაზიანდება, მია გვერდს უბრუნებენ, ფესზე ააყენებენ, რამდენიმე დღია შემდეგ კი, როდესაც ის კარგად შეშრება, დაქუბავენ—ერთმანეთზე დააწყობენ და შუა და შუაკი უჯრისებურ ფანჯრებს დაუტოვებენ. საბოლოოდ გამხმარ აგურს, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ან ქარხანაში მოათავაებენ ან პირდაპირ ქურაში ჩადგამენ და გამოწვავენ.

კრამიტისა და აგურის გამოაწვავად ერთი სახის ქურას იყენებენ, მაგრამ მათ გამოწვავა ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ. ქურაში კრამიტს სიმაღლეზე სდგამენ და აგურსაც ცერად აწყობენ. ჩაწყობის დროს როგორც აგურებისა, ისე კრამიტების შუა და შუა ცეცხლის ამოსასვლელად გილს სტოვებენ. კრამიტისა თუ აგურის ჩადგმის შემდეგ ქურას ანგურიით პირს აუგულავენ, პირს აურაგავენ და გამოწვავა შემდეგნაირად აწარმოებენ: ქურის უკანა კედლის ძირში, რამდენიმე ადგილას—შემის შესაკეთებელი თვლების პირდაპირ ნელ ცეცხლს ანუ პატარა ცეცხლს დაანთებენ და როდესაც გამოაწვავი საგანი შეთბება, შეხურდება, თანდათან ცეცხლს მოუმატებენ, გამოწვავი მიმდინარეობას შემის შესაკეთებელი თვლებიდან და სამთვარიო-ქინჯილაქებიდან ამოწმებენ. ცეცხლის თანდათანობით გაძლიერებას ამის შემდგომაც განაგრძობენ (რამდენი შეთბება კრამიტი, იმდენი მოუმატებთ ცეცხლსაო“) და როდესაც უკანა კრამიტი თუ აგური გაწითლდება, ქურას უკანა თვლებს დაუკეტავენ, და ცეცხლს ნელ-ნელა წინა ბოჯირებისაკენ წამოსწვვენ. „ქინჯილაქებსა და სამთვარიოს რომ დავაალიზებთ ცეცხლი დაბრუნდება და წინ წამოვა. თვლები

¹ სოფ. შრომაში მცხოვრები გლეხის—რაფიელ ბიჭიას-ძე ლაბაძის ოჯახში ძველებურ კრამიტებთან ერთად სწორკუთხიანი ოთხკუთხედის მსგავსად მოყვანილი დიდ აგურებიც არის დაცული. ამჟამად ხმარებული აგურის (ჯვრიანი აგურისაც და სილა აგურისაც) სიგრძე თურმე 6,5 „ვერშოკს“ ეთანასწორება, სიგანე—2,5 „ვერშოკს“ და სისქე კი 1,5 „ვერშოკს“. ჩვენ მიერ ვახოშილი აგურის ჯვრის სიგრძე 15 სმ-ს უდრის და სიგანე კი 8 სმ-ს.

რომ არ დავხუროთ, ცეცხლი მიეძალება უკან და აგური იქნება კრამიტის და დნება, და დუღდება და დაიღრანჯებაო¹. აგურებს და აგურების მიტის გამოწვას დაახლოებით ერთნაირი წესით ახდენენ, ოღონდ აგურის წვის პროცესი შედარებით მძიმედ მიდის, კრამიტის გამოწვას კი უფრო ჩქარა ამთავრებენ. კრამიტი ერთ დღე და ღამეში გამოიწვება, აგურის გამოწვას კი დღენახევარი სჭირდება. აგური კრამიტზე სქელია, ის კრამიტზე გვიან თბება («აგური სქელია და ცეცხლი მალე ვერ ჰკრის») და შეშის მალ-მალ შეკეთება მას არ გამოადგება.

გამოწვის დამთავრებას სხვადასხვა ნიშნებით იგებენ: როდესაც გამოსაწვავი საგანი გაწითლდება, «ცეცხლი თეთრ ფერზე დადგება და მისი ალი სამთვარიო-ჰინჭილაქება და წინ პირში გამოვარდება», «როცა ცეცხლი საგულავში «თეთრ ფერზე გამოანათება», როდესაც ცეცხლი საგულავზე გამოათეთრებს და გამოქაფავს», როდესაც კრამიტი თუ აგური გულში დაიწვეს და ბოგირებ ქვეშ მოთავსებული აგურები გალურჯდება, გამოწვის პროცესს დამთავრებულად მიიჩნევენ და შეშის შეკეთებასაც შეწყვეტენ.

ორ-სამ დღეში ქურა გაცივდება, განელდება. გაცივებულ ქურას წინპირს ჩამოუხსნიან და გამოიწვარ აგურს (ან კრამიტს) საწვავიდან გამოალავებენ.

აგურსა და კრამიტს, სხვა სახის კერამიკულ საგანთა მსგავსად, ადგილობრივად ასაღებენ და ახლომახლო სოფლებსა და ქალაქებშიც ჰყიდიან. წარმოების ცენტრში თვითონ მყიდველსაც უხდება მისვლა, უფრო ხშირად კი ვანსაღებელი ბაზრებისკენ თვით ოსტატები მიემგზავრებიან.

დ ბ ს კ ვ ნ ბ

ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს ცივილიზებული ხალხების წერილობით გადმოცემებში მათთვის კარგად ცნობილი იბერია-კოლხეთის კერამიკის შესახებ რელიგიური მოაზრება. მეტად საყურადღებოა, რომ მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის (ძვ. წ. ა.) ერთ-ერთ ბერძნულ წარწერაში მონადქცეული კოლხი მხატვარი მეჭურჭლისა და ქურჭლის მომხატველი სკვიითის სახელგია მოხსენებული.² სახელგანთქმულმა ბერძენმა გეოგრაფოსმა სტრაბონმა, იბერიაში მოგზაურობის დროს, ხურათმოდერების წყაით აგებულ შენობათა კრამიტის სახურავებსაც მიაქცია ყურადღება³ და კოლხეთის მნახველმა არიანემაც საჭიროდ სცნო საგანგებოდ აღენიშნა, რომ 400 რჩეული მეომრის სადგომი, ფაზისის დიდი ციხე-სიმაგრე, გამოიწვარი აგურით ავაშენებინო.⁴ აგათია სქოლასტიკოსი ტელეფისის მახ-

¹ როდესაც ცეცხლი ადგილობრივ ანთია, შეშას წვერის მხრიდან უკეთებენ (თავით უკეთებენ), წინ წამოწვის დროს კი კუდიით უკეთებენ.

² დაკვირვების საწარმოებლად მცირე რაოდენობით აგურებს ბოგირების ქვეშაც ალავებენ.

³ В. Н. Граков, Материалы по истории Скифии в греческих надписях Балканского полуострова и Малой Азии, Вестник Древней Истории, Москва 1939, стр. 231.

⁴ Страбон, Описание Иверии, В. В. Латышев, Изв. древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, стр. 139.

⁵ იქვე, Арриан, Объяезд Евксинопского Понта, стр. 221.



ლობლად მდებარე ქოთნების სავაჭროებზე და ც მოგვიტობონ მათ მოგზაურთა აღწერილობებშიც კოპოლობთ².

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული კერამიკის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის კერამიკული წარმოების თითქმის ყველა დარგი ერთი საერთო სათავედან მომდინარე ნაქად წარმოადგენს; წერილობითი წყაროების გათვალისწინებამ და არქეოლოგიური ნასაღების გაცნობამ ნათელჰყო, რომ თანამედროვე ქართული კერამიკა ძირითადად, ძველი საქართველოს კერამიკული წარმოების ტრადიციებს აგრძელებს³. ზენო იმერეთის კერამიკულმა სინამდვილემ ამ მოსაზრებას, ჩვენს აღრინდელ ნაშრომში უკვე გამოთქმულს, ახალი დასაბუთება მისცა. ხელოვნებამ, რომელიც უცხოეთიდან მოსულ ადამიანებსაც კი ხედვობდათ თვალში, განვითარების მაღალ დონეს, როგორც ჩანს შორეულ წარსულშივე მიაღწია და თავისი დიდი მნიშვნელობა მან არც მომდევნო საუკუნეებში დაკარგა. კერამიკის მემკვიდრეობა ზემო იმერეთში კვლავ განაგრძობს არსებობას.

კერამიკული წარმოების ნაგებობანი, ამ წარმოებაში დამოწმებული წესები და თვით კერამიკული საგნები კუთხურ თავისებურებებსაც ატარებენ და ამავე დროს გვიმელავენებენ მეზობელ ტომთა კერამიკულ სამყაროსთან დიდ, აშკარად ნათესაურ ურთიერთობას. ზოგიერთი მომენტის ერთგვარობა შეიძლება მრავალსაუკუნოვანი ურთიერთზემოქმედების შედეგად მივიჩნიოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი კუთხისათვის დამახასიათებელი გარემოებანი ყოველთვის იმთავითვე არსებულ თავისებურებად არ უნდა ჩავთვალოთ. ზოგი რამ, ერთ დროს ალბათ საქართველოს ყველა კუთხის კერამიკოსათვის ცნობილი, ეამთა ვითარებაში ერთმა კუთხემ დაკარგა, მეორემ კი დღევანდლამდე შემონარჩუნა. კერამიკული ნაწარმის ზოგი სახეობა, მაგალითად, ზოგიერთი კუთხის წარმოება ჩვენ თვალწინ ჩაბარდა წარსულს, საქართველოს სხვა კუთხეებში კი იმავე სახის კერამიკული საგანი დღესაც უწინდელი ჩვეულებრივობით იხმარება. ეს შეეხება კერამიკულ ნაგებობა-მოწყობილობებსა და წარმოებაში გამოყენებულ წესებსაც. ქართველ ტომთა ყოფაში შემონახული კერამიკის შედარების დროს ეს გარემოება მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. ზემო იმერეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების (შიგნით კახეთი, გარეკახეთი, ქიზიყი, ქსნის ხეობა, ლეჩხუმი და სხვა). კერამიკულ დარგთა შორის არსებულ მსგავსება-განსხვავების განხილვა გამოიწვევდა წინამდებარე ნაშრომის ერთი-ორად გაზრდასა და ზოგ შემთხვევაში ზემოთქმულის განმეორებასაც. ამ გარემოების თავიდან აცილების მიზნით ჩვენ მკითხველის ყურადღებას ქვემოდასახელებულ ნაშრომებზე მივაპყრობთ, აქ კი მხოლოდ ზოგიერთი მომენტის შესახებ ვილაპარაკებთ.

ზემო იმერეთის სინამდვილეში გამოსაწვავ ნაგებობათა ორი ძირითადი ტიპის არსებობა უნდა ვივარაუდოთ: ერთია ქვეყნის, ჭურჭლისა და აგურ-

¹ ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, III, ტფილისი, 1936, გვ. 34.

² მაგალითისათვის იხ. Арканджело Ламберти, Описание Колхиды, вазы-вазои теперь Мингрелии с картою. 1654 года (перевел с итальянского К. Ф. Ган).

³ იხ. ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა ტ. I, კახური. თბილისი, 1949; საქ. სახ. მუზეუმის „მონამბე“, ტფილისი, 1945, ტ. XV; ენიმკის „მონამბეს“ ტომებში ამავე ავტორის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები (ტ. IV, ნაკვ. 3, ტ. XII) და აგრეთვე საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული კერამიკული კოლექციები.

კრამიტის გამოსაწვავი ქურა, და ნეორეა მოკიქული ქურკლის გამოსაწვავი ქურა. ქვევრისა, ქურკლისა და აგურ-კრამიტის წარმოებაში გამოყენებული საწვავები ერთგვარი არქიტექტონიკის მქონე ქურის ქვესახეებად უნდა მივიჩნიოთ. ქურკლის ქურა, როგორც ზემოწარმოდგენილი აღწერილობიდანაც დაერწმუნდებოდით, აგურ-კრამიტის ქურისაგან მხოლოდ თალის ძირის მოყვანილობით განსხვავდება (პირველი უფეხოა და მეორე კი ფეხიანი), და, თუ ერთსაც და მეორესაც უთალოდ წარმოვიდგენთ, — ქვევრის ქურის მსგავსი ნაგებობა შეგვრჩება ხელთ. თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა ერთ-ერთი სამთვარიოს მოყვანილობაშიც აშკარავდება: ქვევრის ქურის შუა სამთვარიო მრგვალია, ქურკლისა და აგურ-კრამიტის ქურის შუა სამთვარიო კი, ნაპირებში მოქცეულ სამთვარიოთა ანუ კინქილაქთა მსგავსად, ოთხკუთხოვანია. ამ ქურათა განმასხვავებელი თავისებურებანი, რა თქმა უნდა, არ არის უმნიშვნელო და შემთხვევითი, მაგრამ მათი ტიპური ერთნაირობა მაინც, ჩვენის აზრით, ეკვს არ უნდა იწვევდეს. საქართველოს ყველა კუთხის მექვევრეობა ერთი ტიპის ქურას იცნობს, ზემო იმერეთის კრამიკოსთა სამნაირივე საწვავიც, ამდენად ანალოგებს საკმაოდ ფართო ასპარეზზე პოულობს. კიზიყ-შიგნითკახეთის მექვევრეთა ქვევრის ქურა და ლეჩხუმელი მექვევრეობის „ქურა და“ სახელდებული თონე¹ ზემო იმერეთის მექვევრე ოსტატების საწვავის ტიპურ შესატყვისობას წარმოადგენს. ამ მხარეების ქურათა მსგავსების დადგენას ხელს არ შეუშლის, მაგალითად, ის გარემოება, რომ სამხრეთ მიწაში ჩამჯდარი და ზოგ შემთხვევაში შუაში სვეტამოყვანილი (თალის გასამაგრებლად) კახური ქურა ქვის ხელოვნურ კედელსა და ირგვლივ შემორტყმულ უღელს აღარ საჭიროებს. ლეჩხუმური თონეცა და კახური ქურის კედლებიცა და თალიც (იმერეთში ცა და სახელდებული), ამგვარივე წესითა და მასალით არის ამოშენებული, უკანა კედელში ჩატანებული სამი მრგვალი სათვალეც იმერული სამთვარიოებისა და ლეჩხუმური ქუკეზის მსგავსად არის განლაგებული.

მოკიქული ქურკლის გამოსაწვავ ქურათა შორისაც ზუსტი ერთგვარობა დასტურდება, კახეთის მექაშანურეობაში დამოწმებული, აგრეთვე აგურითა და ტალახით ამოყვანილი მრგვალკედლოვანი ქურა—მაღლა და დაბლა ქურის მოწყობილობით: ცად წარმოდგენილი გუმბათისა ანუ თალის მოყვანილობით, კალოსი, ცეცხლის ამოსასვლელი თალის ბოლოს ასასვლელი დუთქაშებისა, სასოლეებისა და ქურის ორივე სართლის კართა აღნაგობით—ყოველმხრივ იმერელი მექაშანურის ქურას ემთხვევა².

კახეთისა და ზემო იმერეთის მექაშანურეობის ერთპირინციპიანობა პაწია ნაგებობის მიხედვითაც აშკარავდება, წამლის ქურა და წამლის წისქვილი კახელი მექაშანურის წარმოებაშიც გვხვდება. ორივე კუთხის ქურაწისქვილები ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ სტრუქტურის მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავებულ თავისებურებებს ამჟღავნებენ. კახელი

¹ ლეჩხუმური მექვევრეობის შესახებ დაწერილებით ცნობები მოგვაწოდა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ფ. კიჭოძემ.
² ზემო იმერეთის მოკიქული ქურკლის ქურათა დათვალეობების დროს მხოლოდ ერთმა პატარა თავისებურებამ მიიხირო ჩვენი ყურადღება: ქურის კედელი გადაქარბებით იყო დატვირთული მრავალრიცხოვანი სასულეებით.



მექაშანურის ქურის ორივე განყოფილება — ცეცხლის დასანთები და წამლის მოსათავსებელი — ერთ სიბრტყეშია მოცემული, იმერული მექაშანურის ქურის ში კი ორსართულიანობის პრინციპია დაცული. კახური წამლის წისკვილი დაახლოებით მარცვლელის დასაფქვავად განკუთვნილი წყლის წისკვილის ყაიდაზეა მოწყობილი, იმერული პატარა, მაგრამ რთული შედგენილობის წამლის წისკვილი კი ხელის წისკვილის პრინციპის მიხედვით არის გაკეთებული.

საყურადღებოა, რომ ცხვატური თუნისა, ქურქელ-თორნისა და აფურკრაპიტის გამოსაწვავად გამოყენებული ქიზიყ-შიგნითკახურ ქურათა მსგავსი ნაგებობა ზემო იმერეთის წარმოებას არ მოუპოვება. ამგვარი ქურების საყოველთაო გაფურცელებლობის ფაქტი, ერთი შეხედვით, შეიძლება უცხოური კულტურის ზეგავლენიანათვის მიგვეწერა. მაგრამ წარმოების ახლო ვაცნობა ასეთი ეჭვის შესაძლებლობა ხსნის. ქურის ნაწილთა აღმნიშვნელი მრავალი ტერმინის არქაულობა (ერთი და იმავე ნაწილის აღსანიშნავად კახეთში ზოგჯერ, ქსნის ხეობაში კი უფრო იშვიათად, ქართულ ტერმინთან ერთად თურქულ-სპარსულსაცა ხმარობენ), ქურის შენების პროცესის ქართულ მშენებლობისათვის ცნობილი წყაებით წარმართვა და ტრადიციულობის მაჩვენებელი ბევრი სხვა მომენტიც — ამ ტიპის ქურათა ქართულობაზე ლაპარაკობს. ზემო იმერეთში მათი არსებობის ნიშნება გარკვევა კი დასაძლეთ საქართველოს ყველა კუთხის კერამიკული წარმოების საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

ზემო იმერეთის ოსტატები ქართლის ბარსა და ქიზიყ-შიგნით კახეთში ფართოდ გავრცელებულ ფეხით სატრიალებელ ჩარხს არ იყენებენ, მექვევრეებიცა და მექურქლეობის ორივე დარგის წარმომადგენლებიც ხელით სატრიალებელ მორგვისა ხმარობენ. მოყვანილობითა და სახელწოდებითაც ძველი ტიპის ხელსაწყოდ მისაჩნევი მორგვი მცირეოდენი დეტალითაც კი არ განსხვავდება ქიზიყისა და შიგნით კახეთის მექვევრეთა ხელის ჩარხისაგან, ცხვატელი მექურქლეების მორგვისაგან და ლეჩხუმელი მექურქლე-მექურეების მურგვისაგან.¹ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თითქმის ამნაირივე ხელისჩარხი, ჩვენში უპირატესად „მორგვისა“ და „მურგვისა“ სახელწოდებებით ცნობილი, ეგვიპტის მექურქლეებსაც ჰქონიათ გამოყენებული. ძველი სამეფოს დროინდელ ერთ-ერთ სურათზე ქურქლის ქრისა და გამოწვის სცენაა გამოსახული, ქურქლის საჭრელი ხელსაწყოს როლში აღნიშნული სახეობა ჩარხია წარმოდგენილი.²

ქიზიყის, შიგნითა და გარე კახეთის მექვევრეების სატალახე ანუ სახელი ტახტი, ქვევრის სკამი, ხმალა და სხვადასხვა ზომის რამდენიმე გონგი, ლეჩხუმელი ოსტატების სახელი, სამუჯუროვე სკამი, სავარცხალი სხეულით ცნობილი საწმენდი ფიცარი და ქვევრის წარმოებისათვის საჭირო სხვა წვრილმანი მოწყობილობანი ზემო იმერეთის მექურეთათვისაც კარგად ცნობილ საგნებს წარმოადგენენ. შიგნით კახეთისა, გარე კახეთისა, ქიზიყისა და ლეჩხუმის მექვევრეობაში დადგენილი წესები: ქვევრისა და დიდი თალარის შენების პროცესის წარსამართავად მზისა და ქარისაგან დაცული ნაგებობის გამოყენება, ქვევრის კეთების თანდათანობა — ჯერ მურგვზე დაწყება, შემდეგ სკამზე გადატანა, ბოლოს კი მიწაზე გადმოღვმა და მისი იქვე დასრულება, კეთების პროცესში მყოფი ქვევრის დროდა-

¹ ზემოდასახელებულ კუთხეთა კერამიკები მორგვის შემადგენელ ნაწილებს ორიგინალური სახელწოდებებით იხსენიებენ.

² История Древнего Мира, т. I, Москва, 1937, стр. 167.

დრო დასვენება, ყოველი შემოქნის წინ ქვევრის ნაპირების ამოთიფება, ცხელი წყლიანი შემოქნის შემდეგ ქვევრის პირის მცენარის ფოთლებით დაფარება, ქვევრის კედლის განაპირულ სიმაღლემდე ამოყვანის შემდეგ გონგით გაწმენდის საჭიროება, ქურ-ქვევრების ქურაში ჩაწყობის წესი, გამოწევა თანდათანობა და ქურის კეთება-გამოწევისთან დაკავშირებული ბევრი მომენტი ტერმინოლოგიური გამოხატვა, უდავოდ ზემო იმერეთის შექვევრობაში დადასტურებულ წესებსა და ტერმინებს მიემსგავსება. საგულისხმოა, რომ მოცულობის სიხვედრით, ყველგან, ხალხს ქვევრები ორად დაუჯგუფდება და თითოეული მათგანისათვის დამოუკიდებელი სახელწოდება მიუკუთვნებია. მცირე ტევადობის ქვევრებს ლეჩხუზა და ზემო იმერეთშიც (ვგონებ მთელ დასავლეთ საქართველოში) ქვევრს ეძახიან და დიდი ტევადობისას კი ქურს უწოდებენ. ქიზიყსა და შიგნით კახეთში, „ქვევრის“ სახელწოდებაში, დიდი მოცულობის ქურებს გულისხმობენ. მცირე მოცულობის ქვევრების აღსანიშნავად კი „ქოცოს“ ხმარობენ. საქართველოს ამოთუ იმ კუთხეში დამზადებული ქურ-ქვევრებია და თალარების გარეგნობაში, რა თქმა უნდა, თავისებური განათლება მქონე ოსტატის ხელი იგრინობა, მაგრამ ამ გარემოებას არა აქვს განსაკუთრებული და შედარების დროს დიდად ანგარიშგასაწევი მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხეში „ქურისა“, „ქვევრისა“, „თალარისა“ და ამგვარივე შინაარსის გამომატველი სხვა სახელწოდებათა ქვეშ ძირითადად მსგავსი გარეგნობის საგნები ივარაუდება¹.

ქართული მექვევრობის ამაპრუხე დადასტურებული, ზოგჯერ სრულს იგივეობამდე დაყვანილი მსგავსება მეთორნეობის სფეროა შეეხება. თორნი-სათვის ნავარაუდები წრებახის შემოწერის აუცილებლობა, თორნის შენების

¹ მექვევრობა მკიდროდ არის დაკავშირებული მეგნახუბასთან. ლენინს ძველ საქართველოშიც ქვევრში ინახავდნენ და ლენის დასაყენებლად განკუთვნილ ძირითად ქურკულს დღესაც ქვევრს წარმოადგენს. მაგალითისათვის იხ. Le Caucase illustre, № 1, Tiflis 1889 — „La Poterie au Caucase“ ამავე ფურხლის № 5-ში — I. M., „La Poterie au Caucase“ გვ. 9; Гопадзе И. З.—Заметки о состоянии промышленности в Ахалинском уезде Тиф. губ., გვ. 73; СМОМПК I, Тифлис, 1889, Н. Миндели — „Селение Сори (Рачинского уезда, Кутаисск. губ.)“, СМОМПК XIX, Тифлис, 1900, Т. Табукашвили — „Двямитское общество, Кутаисск. губерния, Озургетского уезда“, СМОМПК XXVII, გვ. 151; МИЭБГКЗК VII, Тифлис, 1887, И. Оселиани И. О.—„Экономический быт гос. крестьян юго-зап. части Кутаисского уезда“, გვ. 240; МИЭБГКЗК I, Тифлис, 1885, Марков Ф. Т.—„Эконом. быт гос. крестьян северо-восточной части Кутаисского уезда“, გვ. 250; МИЭБГКЗК II, Тифлис, 1886, Бахтадзе, И. Л.—„Эконом. быт гос. крестьян Рачинского уезда“, 64—65; ССК III, Тифлис 1875,—„Очерк виноделия Кавказа“, გვ. 213, 217, 219, 222, 233, 251, 258; ССКГ VI, Тифлис. А-а, Экономическое положение туземного населения Сухумского отдела, გვ. 23; СМИБГКЗК IV, Тифлис, 1838, С. П. Зелинский—„Саловодство в Зап. крае, გვ. 70; ЖР, IX, Москва, 1863, Г. Радае—„Сельское хозяйство и промышленность, А. С. Пиралов — Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, изд. II. С.—Пб., 1913, გვ. 101—103; ЗХХV, Тифлис, 1906, Н. В. Фон Дервиз—„Сухумский округ, გვ. 155; З. V, Тифлис, 1862. П. И. Поселянин—„Описание города Душета Тиф. губ. გვ. 33 (ბ. იოსელიანი, აქ დასახელებულ წერილში, აღნიშნავს, რომ: „Вино берегут здесь как и во всей Грузии, в глиняных кувшинах, известных и древним грекам и римлянам под именем амфор (amphora)“. ჩვენ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული ქვევრი ბერძნულ-რომაული ამფორასგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ხ. კიკინაძე—„ხედა აჭარის გათათობა“—ივერია 1895, № 156, ივერია 1894, № 161, დროებით ლიმიანელი—„სოფ. ლიმიანი“; ივერია 1892, № 149, ხ. კიკინაძე—სოფ. კვარცი, ს. ხულა, ს. მარადიდი (ბათუმის ოლქი); ივერია, 1892, № 233, ხ. კიკინაძე,—„მარადიდი“ (ბათუმის ოლქი), ივერია, 1895, № 183, ი. ჯაიანი—„ს. ბორჩხა“ (კოროხის ხეობა).



თანდათანობას, ერთგვარად ამოშენებული კედლის ხელისფიცრით გაღმენდის საჭიროებას, თორნის პირის მცენარის ფოთლებით დაფარვასა და თორნის შენებასთან დაკავშირებული პროცესის სხვა წესებსაც აღმოსავლეთ საქართველოს მეთორნეც იმნაირადვე იცავს და წარმოების პროცესის სიტყვიერი დახასიათების დროსაც, ხშირად, იმგვარსავე ტერმინებს ხმარობს. ქიზიყელი მეთორნეცა და შიგნით კახელი მეთორნეც ორგვარ თორნეს აკეთებს: გლხეკაციასთვის გამოსადეგ თორნეს და მეპურის თორნეს. ზემო იმერეთსა და ქიზიყ-შიგნით კახეთში დამზადებული თორნეები მარტოოდენ სახელწოდებით კი არ ჰგვანან ერთიმეორეს, ისინი ერთმანეთს გარეგნობითაც შეესატყვისებია. მეტის თქმაც შეიძლება—ზემო იმერეთის და შიგნით კახეთის მეთორნეობათა შორის უფრო მეტია საერთო, ვიდრე ქიზიყის მეთორნეობასა და შიგნით კახეთის მეთორნეობას შორის. კახელი ოსტატი, იმერელი მეთორნის მსგავსად, თორნეს შედარებით მოკლე გუნდით აშენებს (ქიზიყელი გრძელ ფილთებს ამუშავებს) და შენების პროცესსაც აგრეთვე გარეთა მხრიდან წარმართავს (ქიზიყელი მუშაობის დროს თორნის გულშია მოქცეული).

კერამიკული წარმოების ყველაზე რთულსა და მრავალსახოვან დარგს მეჭურჭლეობა წარმოადგენს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ წარმოების ზოგიერთი დარგი სათავეს მეჭურჭლეობიდან იღებს. ქართული კერამიკის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც ეს განვითარების საერთო კანონის მიხედვითაც არის მოსალოდნელი, საფიქრებელია, რომ ქვევრებისა და თორნების მკეთებლობაც კურჭლის წარმოებასთან იყო დაკავშირებული. დროთა განმავლობაში დარგობრივი სპეციალიზაცია მოხდა, მაგრამ ადრინდელი საფეხურის კვალი საქართველოს ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ ჩვენს დრომდეც კი შემოინახა. შიგნით კახეთში, მკაცრი დარგობრივი განკერძოებულობის კუთხეში, თორნეს მექვევრეც აკეთებს (მას მექვევრული თორნე ეწოდება) და კურჭლის ერთ-ერთ ძირითად სახედ მიჩნეულ სადულარსაც, ზოგ შემთხვევაში, უმთავრესად საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სხვა დარგის ოსტატიც ამზადებს. ქიზიყურ მეთორნეობასაც საგანგებოდ განსწავლული ოსტატი ემსახურება, მაგრამ მისი მკეთებლობა კურჭლის წარმოებაშიც კი გვხვდება. ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში, როგორც წესი და არა როგორც გამონაკლისი, კურ-თალარებისა და თორნეების კეთება ერთი ხელოსნის ხელშია მოქცეული (პატარა ზომის თალარებს ხომ მეჭურჭლეც აკეთებს) და ამ მხრივ სანიმუშო მაგალითად მოსაყვან ქსნის ხეობაში კი თორნისა და ქვევრის მკეთებლობაც მეჭურჭლეს აქვს დაკისრებული.

ზემო იმერეთის მეჭურჭლეობა, კერამიკული წარმოების სხვა დარგების მსგავსად, დამახასიათებელ ანალოგებს პოულობს მეზობელი კუთხეების მეჭურჭლეობაში. ნათესაური ურთიერთობის დადასტურება ხერხდება არა მარტო ზემო იმერეთსა და მისი უახლოესი დასავლეთელი მეზობლების წარმოებათა შორის, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს კურჭლის წარმოებით მდიდარ კუთხეთა შორისაც. ორიოდ სიტყვას სწორედ იმერეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს (ქსნის ხეობისა და ქიზიყ-შიგნით კახეთის) მეჭურჭლეობის მსგავსება-განსხვავებაზე ვიტყვით. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო გარემოება: კურჭლის კრის ტექნიკის მხრივ ზემო იმერეთის წითელი კურჭლის მკეთებლობა ქსნის ხეობის მეჭურჭლეობას უკავშირდება. ზემო იმერე-

თის მექაშანურება კი კახეთის ქურქლის წარმოებას (ორივენიანი ქურქლის) უნათესავდება. ზემო იმერეთის წითელი ქურქლის წარმოებაში და ქსნურ მექურქლეობაში ქურქლის თანდათანობით შენების—ფთილებებისა თუ სურსვალების თანმიმდევრული გადაბმის წესია დაცული, ქვევრული შენების პრინციპია გამოყენებული. ზემო იმერეთის მექაშანურებს და კახელ მექურქლეებს ქურქელი ერთი გუნდიდან გამოყავთ, დამატებით თიხას ისინი მხოლოდ ყურის გასაკეთებლად საჭიროებენ. მართალია, ხელის ჩარხი არ იძლევა დიდტანიანი ქურქლის ერთი გუნდიდან გამოყვანის შესაძლებლობას, მაგრამ იმ წერილ ქურქელსაც კი, რომლის გასაკეთებლად ასეთივე ხელის ჩარხის მქონე იმერელი მექაშანურე ერთ გუნდას იყენებს,—ქსნელი მექურქლეც და წითელი ქურქლის მკეთებელი იმერელი ოსტატიც აგრეთვე თანდათანობითი შენების ვხით აკეთებს. ამგვარი ვითარების ახსნა საგანგებო კვლევა-ძიებას საჭიროებს. საკითხის შესწავლამ შეიძლება იქამდეც მიგვიყვანოს, რომ ზემო იმერეთის მექაშანურებაში დამოწმებულ ქურქლის ქრის წესში ქართლ-კახური მექურქლეობის ზეგავლენა დავინახოთ.

ზემო იმერეთსა და ქსნის ხეობის ქურქლის ქრის ტექნიკაში დამოწმებული შედარებითი არქაულობა ხელსაწყო-იარაღთა მიხედვითაც მტკიცდება; ამ მხრივ სიძველის ელფერი ზემო იმერეთის მექურქლეობას უფრო ემჩნევა. რამდენიმენიანი ზომისა და მოყვანილობის გონგებისა, დანახხირებიცა, სანიკარტე ჩხირისა, კობაჩურისა და ბანდისაგან შემდგარი კომპლექსი ქსნისა და ქიზიყ-შიგნით კახეთის მექურქლეობას არ მოეპოვება. კახელი მექურქლის იარაღს, გონგის ფუნქციის შემსრულებელი, ორი ხელის ფიცარი და ბანდის მაგიერობის გამწვევი ტყავის პატარა ნაქერი შეადგენს (მექაშანურეს დამატებითი ჯამის ხელის ფიცარიც აქვს) ქსნელ ოსტატს კი გონგისავე როლის შემსრულებელ ხოწისა და ბანდის მსგავსი ტყლაპის გვერდით იმერული დანა-ჩხირის მაგვარი ჩხირიც გააჩნია. სავარაუდებელია, რომ ძველად იარაღის სიმრავლე ამ კუთხეთა მექურქლეობისათვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ჩვენი დროის კახელი ოსტატი ზოგიერთი იარაღის როლსაც ხელს ასრულებინებს, ქურქლის ქრის პროცესის უწყვეტი დინება ზოგი სახეობის იარაღის გამოყენებას საჭიროდ აღარ ხდის. ქსნის ხეობის მავალითი ამტკიცებს, რომ იმავე მურგვის გამოყენებისა და ქურქლის შენების ისეთივე პროცესის დაცვის პირობებშიც შესაძლებელია ხელის ვაგარჯიშება და გარკვეული სახის იარაღთა ვანდევნა. ქსნის ხეობის კერამიკოსი, იმერული მექურქლის მსგავსად, მართალია ქურქლის ყელს ამგვამადაც ჩხირით ასუფთავებს, მაგრამ კახელი ოსტატივით ყურს ისიც უკობაჩუროდ აბამს. ზოგიერთი კუთხის ოსტატი, როგორც ჩანს, ძველითგან მომდინარე ტრადიციას დიდხანს აგრძელებს და მაშინაც კი, როდესაც ის შეიძლება აუცილებელ საჭიროებას აღარ წარმოადგენს, მას მაინც ინარჩუნებს (მაგ., იმერული მექაშანურე იმავე იარაღებს იყენებს, რასაც წითელი ქურქლის ოსტატი).

ხსენებული კუთხეების, კერძოდ კი ზემო იმერეთისა და ქსნის ხეობის მექურქლეობის მსგავსება. წარმოებაში დადგენილ წესებთან ერთად მიწის შერჩევა, მისი გარჩევა-გახმობა და დაღობვა-დაზღევა, თვით ქურქლეულის გარეგნობაშიც აშკარადდება.

ქიზიყ-შიგნით კახეთისა და ქსნის ხეობის მრავალსახოვანი ქურქლის



ბევრი სახეობა ზემოიმერულ ჭურჭელთა შორის ტიპურს წესს უკმაყოფილებს; ქსნური და იმერული ჭურჭლის მსგავსება, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, ექვს არ იწვევს. ქსნური ჭურჭელი იმერული ჭურჭელივით უბეჭოა და მხრებგადაქანებული. ამ მხრივ ორივე კუთხის ჭურჭელი აშკარად გამოირჩევა ძირევირო და ბეჭებგანიერი კახური ჭურჭლისაგან. ქსნური ყელწვრილი ჭურჭელი ყელ-პირისა და ყურის მოყვანილობითაც ზემოიმერული ყელწვრილი ჭურჭლის მსგავსია, ამ ნიშნების მიხედვითაც გამოირჩევიან ისინი ქიზიყ-შიგნით კახური ყელევირო ჭურჭლეულისაგან. ცხვატური ყელევირო ჭურჭლის პირიც ძაბრისებურად არის გადაშლილი და იმერული ჭურჭლის ფარფლის მსგავსი ქობა მისაც აქვს შემოვლებული. ცხვატურ ჭურჭელსაც დაშვებული ყური უკეთდება; ამით ის სწორკუთხად მოყვანილი ყურის მქონე კახური ჭურჭლისაგან აშკარად განსხვავდება; კახურ ჭურჭელთა შორის შემორჩენილი საღვიინე მოწმობს, რომ ამნაირი ყური ძველი დროის კახეთის გარკვეული სახის ჭურჭელთა დამახასიათებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო. ამგვარად დაშვებული და სწორედ ამნაირადვე მიბმული ყურით კახურ ჭურჭელში მხოლოდ საღვიინე ხასიათდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტუჩაწეული და ყურდაშვებულ ჭურჭელი, კახეთში „საღვიინე“ წოდებული, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. რაჭა-ლეჩხუმსა და გურიაში „დოქისა“ და „საღვიინედოქის“ სახელწოდებით ცნობილი ჭურჭელი, სამეგრელოში „ორკოლოდ“ სახელწოდებული, ქართლ-კახეთში კი „საღვიინეს“ სახელით ხსენებული — ყოველმხრივ ზემოიმერული დოქისა, ხარადოქისა და ხელადის მსგავსი ჭურჭელია. ყურისა და ყელ-პირის გარეგნობის მიხედვით ქსნური კოკა, სურა, ლიტრა, კიკლა და ზემოიმერული ჩაფი, ჩაფულა, თუნგულა, სურა-ლიტრა და კიკლა მსგავსი გარეგნობის ჭურჭლებად გვევლინება. ქსნური საღვიინეც, როგორც უკვე ითქვა, კახურ საღვიინესთან ერთად, ზემოიმერულ დოქს დიდად მიმემსგავსება. ქსნელი ოსტატის მიერ დამზადებულ ჭურჭელთა შორის ზემოიმერული პირგანიერი ჭურჭლის მსგავსი სახეებიც მოიპოვება, ამნაირი ჭურჭლის ანალოგები ქიზიყისა და შიგნით კახეთის ჭურჭელშიც იძებნება. დამკვირვებელი ამ გვარობის ჭურჭელსაც შეატყობს კუთხურ სპეციფიკას, მაგრამ საერთო შესახედაობისა, ცალკეული დეტალებისა და ჭურჭელთა ფუნქციის მიხედვით კახურ ქილას, სადულარს, კოკობს და ქსნურ ქილას, საჯეროს და კოკობს ზემოიმერული დერგის, ქილუნას მრავალნაირი ქოთნის და კვაწიას ტიპის ჭურჭელულად მიიჩნევს.

პარალელის გავლება წვრილი ჭურჭლეულის სფეროშიც შეიძლება და ღვიინის სასმისად აღიარებულ მარანთა შედარებაც, როგორც ქვემოთ დავინახებთ, საყურადღებო ანალოგებს იძლევა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ოსტატების მიერ დამზადებული მარნები, ძირითადად ქსნური, კახური და ზემოიმერული მარნებიც, რა თქმა უნდა, ერთი ტიპისა, ერთმანეთის მსგავსია. ჩვენს ერთ-ერთს ნაშრომში გამოთქმული აზრი — სასმისი მარანის ღვიინის დასაყენებლად განკუთვნილი ნაგებობის სიმბოლიურ გამოსახულებად მიჩნევის შესახებ — ზემოიმერული მასალის მიხედვით უფრო ნათლად მტკიცდება; იმერელი ოსტატი მარანზე წარმოდგენილი პაწია სასმისებს ქვევრებს უწოდებს (კახეთში კიკლეებს ეძახიან) და მარანის შემადგენელ დანარჩენ ნაწილებსაც დიდი მარანის მოწყობილობისათვის დამახასიათებელი ტერმინებით



იხსენიებს. კურებისა, საწნახელისა, ტალავერისა და სხვა ნაწილები ბისაგან შემდგარი მარანი მართლაც რომ დიდი მარნის მინიატურულ განსახიერებას წარმოადგენს.

ჭურჭლის მოხატვის ხელოვნება, როგორც ჩანს, ზემო იმერეთსაც და აღმ. საქართველოს დასახლებულ კუთხეებშიც მრავალსაუკუნოვან ტრადიციას ემყარება. იმერელი ნეჭურჭლე წითელ ჭურჭელს შავი ქვითაც ხატავს და აღმ. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი წარნაქითაც (წერნაქი, წერნაგი, წანაქო) აკრელება. ოსტატმა ჭურჭლის მოსაპრელებლად შეიძლება მის მიერ ახლად მიგნებული სხვა მასალაც გამოიყენოს, მაგრამ ტრადიცია უკარნახებს ჭურჭელი წერნაქითაც დააპრელოს. სახატავი მიწის ეს ჯიში ყველგან არ მოიპოვება. წერნაქის მოსაპოვებლად შიგნით კახეთის მეჭურჭლეები ვარე კახეთს მიდიან, ცხავატელნი კასპის მიდამოებში ჩამოდიან და წერნაქის გამოყენებელი სხვა კუთხის ოსტატებიც, რამდენადაც ვიცით, შორეულ მგზავრობას აგრეთვე არ ერიდებიან. წერნაქით მოხატვის ტრადიცია ძველი დროიდან უნდა მომდინარეობდეს. ძველ საქართველოში მას სახლის ნაწილების მოსახატავადაც იყენებდნენ. იმერეთის ზოგიერთ რაიონებში ხომ წარსულ საუკუნეში ზანდუქების დასაპრელებლად ხმარობდნენ.

ჭურჭლის მოსაპრელებლად განკუთვნილ სპილენძის ეანგაროს (თოგალს) და ამივე ჭურჭლის მოსაქიქოთხგვარ ნივთიერებას (ტყვია, კალა, ქიქა და თაგვმარილა) კახელი ნეჭურჭლეც იმერელი მექაშანურებისათვის ცნობილი წესებით იყენებს. მოქიქვის ფეროვანების მიხედვით ზემო იმერეთის წარმოება უფრო მდიდრად გამოიყურება; თეთრ ფერად მოქიქულ ჭურჭელთა გვერდით, როგორც ნაშრომში მოცემული დახასიათებიდანაც დავრწმუნდებით, წითლად, მწვანედ და შავად მოქიქული ჭურჭელიცა გვხვდება.

ქართული კერამიკის მთლიანობის საკითხის გარკვევაში მკვლევარს მეტად დიდ დახმარებას უწევს საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული მეაგურობა-მეკრამიტეობის შესწავლა. ზემო იმერეთის მეაგურობა და მეკრამიტეობა ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოდგენილმა მეაგურობა-მეკრამიტეობამ საუკუნეთა მანძილზე ამა თუ იმ გზით წარმართული ცვლილება-განვითარება განიცადა, ზოგი რამ დაივიწყა, მაგრამ ქართველ ტომთა შორის არსებული ცხოველი ურთიერთობისა თუ წინაპირთაგან მიღებული მემკვიდრეობის დაცვის უნარის გამო ძველი საქართველოს მეაგურობა-მეკრამიტეობაში შემუშავებული წესების გარკვეული ნაწილი ბევრმა მათგანმა უკანასკნელ დრომდე მოიტანა. ქართლ-კახეთსა და ზემო იმერეთის მეაგურობა-მეკრამიტეობის განხილვა და შედარება მათი ნათესაური ურთიერთობის დადგენის შესაძლებლობასაც გვაძლევს და წარმოების ამ დარგთა განვითარების მკრთალ სურათსაც წარმოგვიდგენს. ქიზიყა და შიგნით კახეთში, ისევე, როგორც ზემო იმერეთში, ამჟამადაც აგრეთვე ქართულ კრამიტად სახელდებულ ლარისებურ კრამიტსა სკრიან. კვადრატული მოყვანილობის ქართული აგური, აქაც ორი-სამი ათეული წლის წინ მივიწყებული და ხალხის მიერ აგრეთვე ქართულად მიჩნეული სხვა სახის აგურებიც, დღეს აღარც კახეთში კეთდება. ქართლშიც, იმერეთისა და კახეთის მსგავსად, ქართული აგურის ადგილი სწორკუთხიანი ოთხკუთხედის მსგავსად მოყვანილ აგურს აქვს დაკავებული ამ კუთხის ზოგიერთ რაიონში (მაგ. ქსნის ხეობა) ღარივით მოხრილი ქართული კრამიტიც განდგენის გზაზეა დამდგარი. ქართული კრამიტი, მცო-







რე რაოდენობით, ახლებური კრამიტით დახურულ სახურავზეც არის წყაროებიც. გენილი. ის ამ შემთხვევაში ზღუდის კრამიტის როლს ასრულებს, დაკავებული ადგილმდებარეობის გამო მას კურტნის კრამიტი ეწოდება. ზემო იმერეთსა და ქიზიყ-შიგნით კახეთის მებაგურეობა-მეკრამიტეობაში გამოყენებული ხელსაწყო-იარაღებიც ერთნაირია, წარმოების წესებიც ძირითადად ერთგვარია. იმერელი მეკრამიტის კალაპოტი და კახელი მეკრამიტის ყალიბი, იმერელი მეკრამიტის ბოყვი და კახელი მეკრამიტის ქობუნა, ზემო იმერეთის მებაგურე-მეკრამიტეთა ლაღა და კახელი მებაგურეების და მეკრამიტეების გადასასწელი ფიცარი, იმერელი მებაგურის კალაპოტი და კახელი მებაგურის ყალიბი (ქართული აგურისაც და რუსული აგურისაც) ერთმანეთის მსგავსია, კახელი მებაგურისა და მეკრამიტის მაგადისებური და ზგა ზემო იმერეთის მებაგურეთა დაზგას ჰგავს, ამ კუთხის მეკრამიტეთა კრამიტის ზომის პატარა დაზგა კი მათგან ზომითაც და მოყვანილობითაც განსხვავდება. ქიზიყისა და შიგნით კახეთის მებაგურე-მეკრამიტენი აგურისა და კრამიტის ჭრას ერთნაირი წესებით ახდენენ,¹ გამოწვის პროცესსაც დაახლოებით მსგავსი თანმიმდევრობით წარმართავენ. კახეთში სხვადასხვა დანიშნულების მქონე ორი ზომის კრამიტს სკრიან, ზემო იმერეთში კი ასევე სხვადასხვა დანიშნულებისათვის განკუთვნილ ხუთნაირ კრამიტს აკეთებენ. ერთი ტიპის კრამიტის მრავალნაირობა განვითარების მაღალ დონეზე მდგომ მეკრამიტეობაზე მეტყველებს და ერთ და იმავე ნაგებობის სახურავისათვის რამდენიმენაირი კრამიტის გამოყენების ფაქტი ნაგებობათა დახურვის მაღალ კულტურაზე მიუთითებს. დიდი ზომის აგურები, აგრეთვე, დიდი ზომის ბრტყელი და ღარისებური კრამიტები, ასიოდვე წლის წინაც ზემო იმერეთში ხმარებული და ზოგიერთ ოჯახში დღემდე შემონახული, ქართლ-კახეთის სიძველეთა შორისაც აღმოჩნდა.² სამთავროს სამარხთა მონაცემებმა ხომ მათი მრავალსაუკუნოვანი ხანიერებაც განსაზღვრა.


კერამიკული წარმოების ამა თუ იმ დარგისათვის განკუთვნილ ნაგებობათა და ხელსაწყო-იარაღთა ხაზით დადასტურებული ერთგვარობა, მიწის ჯიშთა შერჩევის პრინციპათა ერთობლიობა, საგნის დამზადება-გამოწვასთან დაკავშირებული პროცესის მეტ-ნაკლები ერთნაირობა, კერამიკული ნაწარმის სახეობათა შორის არსებული მსგავსება და თვით ყიდვა-გაყიდვის სფეროში დამოწმებული ნათესაობაც კი—ქართული კერამიკის ერთპრინციპიანობას გვიჩვენებს, ხოლო წარმოებაში დადგენილი წესებისა და ტერმინების არქაული ელფერი ქართველი ოსტატის ხანგრძლივ გამოცდილებაზე მეტყველებს.

¹ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლ. ბოჭორიშვილი: ქართული კერამიკა, ტ. I, „კახური, უკანასკნელი თავი, თბილისი, 1949.


² იქვე.



ა. სიბრძნელის სიბრძნელის კარი



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია

დაღესტნური თიხის ჰურავები

მრავალმხრივ ცნობილი კავკასია შინამრეწველობით განთქმულ მხარედაც ითვლება; შინამრეწველური ხელოვნების მაღალ ნიმუშებს, კავკასიის სხვა კუთხეებთან ერთად, ამ მხრივ კლასიკურ ქვეყნად მისაჩნევი დაღესტანიც იძლევა. ნოხებისა და ნაბდების, სატანსაცმლოდ განკუთვნილი მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილის, რქა-ძვლისა, ვერცხლის ნივთებისა და სამკაულების, სხვადასხვა სახის ცივი იარაღების, სპილენძის¹, ხისა და თიხის ჭურჭლეულის კეთების ძველთაძველი ტრადიცია დაღესტნის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც გრძელდება. აღნიშნულ საგანთა დასამზადებლად საჭირო მატყლი და აბრეშუმი, რქა-ძვალი და ლითონი, თიხა, ხე და სხვა სახის ნედლეული ტომშრავალი ეთნოსით დასახლებულ მთათა ქვეყანაში უხვად მოიპოვება.

შინამრეწველობის მნიშვნელოვან დარგად მიჩნეული მეჭურჭლეობა (თიხის ჭურჭლის წარმოება), როგორც ახლახანაც იტყვა, დაღესტნის ტომებისათვის კარგად არის ცნობილი; განსაკუთრებით დიდი სახელი და ქება, ამ მხრივ, ლაკებს, დარგინებს, კიურინებს, ტაბასარანებს, ყუბაჩებს, ავარებს და ყუმუხებს აქვთ მოპოვებული.

ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებსა და წყაროებში, კავკასიის კერამიკის სახელოვან ცენტრთა სიაში მხოლოდ სოფლები—ბალხარი, სულევეკენტი, ისპიკი, ჯული, ერფელი და ახალი-ჩირკეაა მოხსენებული. მაგრამ დაღესტნის ის სოფლები, საიდანაც საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული კერამიკული კოლექციებია ჩამოტანილი, აგრეთვე მათ რიცხვში უნდა იქნეს მოქცეული. საქართველოს მუზეუმის ხსენებულ განყოფილებაში ზოგიერთი ზემოაღნიშნული სოფლის ოსტატთაგან ნაკეთები ჭურჭელიც არის შენახული და სოფლებში, ხუნძახსა, ყუბეჩსა, ქვემო ჯენგუთაქსა და ახალ ყაზანიშჩში შექმნილი ჭურჭლეულიც არის წარმოდგენილი.

ხსენებული ჭურჭლეულია ერთი ნაწილი 1885 წელს შეუგროვებით და მეორე ნაწილი კი 1909 წელს შეუქმნიათ¹. პირველი ექსპედიციის დროს შეგრო-

¹ Дагестанский сборник, выпуск I, Темир-хан-шур, 1902; Дагестанский сборник, выпуск II, Темир-хан-шур, 1904; А. С. Пиралов, Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, С.-Петербург, 1913; О. В. Маркграф, Очерк кустарных промыслов Сев. Кавказа, Москва, 1832 г.; Кавказский вестник, Тифлис, 1900, № 7—В. Мадальский, Кавказ и его промышленность; Дагестанский сборник, вып. I—Естественные и производительные силы области и экономическая деятельность населения, стр. 93; Дагестанский сборник, Вып. II—Ремесла и кустарный промысел, стр. 71; А. С. Пиралов, даსახ. ნაშრომი, გვ. 101.

² საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების 1885 წლისა და 1909 წლის საკოლექციო დავთრები.



ვებულის კურკელი (№№ A 13—85/2, A 13—85/3, A 37—85/1, A 37—85/2, A 38—85/1, A 38—85/2, A 40—85, A 41—85, A 42—85/1, A 42—85/2, A 43—85, A 49—85/1, A 49—85/2, A 59—85, A 60—85, A 74—85, A 75—85, A 100—99) ავარეთისა, ყაზი-ყუმუხისა და დარგიის ოლქის ოსტატთაგან ყოფილა დამზადებული და მეორე ექსპედიციის დროს შეგროვებული კურკელელი კი (№№ 76—09/2, 76—09/3, 76—09/4, 76—09/5, 76—09/6 ორი ცალი, 76—09/7, 76—09/8, 76—09/9) სოფ. ყუბაჩისა და სოფ. ახალ ყაზანიშჩის ოსტატების მიერ ყოფილა გაკეთებული¹. ავარეთის ოლქი ამ შემთხვევაში სოფ. ხუნიძახის სახით არის წარმოდგენილი და ყაზი-ყუმუხისა და დარგიის ოლქებიდან ჩამოტანილი კურკელის სამშობლო სოფლების შესახებ კი, დასახელებული განყოფილების საკოლექციო დავთარში, სახელდებით არ არის აღნიშნული.

ა. ფირალოვს, როგორც შემომითითებული შენიშვნიდანაც დავრწმუნდებოდით, კავკასიის შინამრეწველობის სხვა დარგების გვერდით, მცირე მასშტაბით კერამიკული წარმოებაც აქვს განხილული. დასახელებულ წიგნში საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული კერამიკული კოლექციების ერთი ნაწილიცაა გამოქვეყნებული, ქართული და სომხური კურკელის სურათთა გვერდით დაღესტნურ კურკელთა ფოტოგრაფიული სურათიც არის წარმოდგენილი². აღნიშნულ სურათზე ხუთი სახეობის კურკელია გამოსახული, ოთხი მათგანი მოყვანილობით ჩვენ ხელთ არსებულ დაღესტნური კურკელის შესატყვის სახეებს ემთხვევა და მეხუთე სახეობის (ცალყურის მაგვარი კურკელის) მაგაცაა კურკელი კი საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში არ მოიპოვება. დასახელებული კურკელელი კერამიკული წარმოებით სახელგანთქმულ სოფ. ბალხარიდან ყოფილა ჩამოტანილი, 1885 წელს შემოსული კურკელის ერთი ნაწილიც—დარგიის ოლქში შექმნილი კურკელი, კერძოდ, ავრეთზე ბალხარის ოსტატთა ნამოქმედრად უნდა იქნეს მიჩნეული³.

ა. ფირალოვის შემოდასახელებულ ნაშრომში გამოქვეყნებულ კურკელთა მსგავსი კურკელელი, როგორც შემოთაც აღვნიშნეთ, საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშიც ინახება, მაგრამ თვით ის კურკელელი ერთ დროს ალბათ იმავე მუზეუმის კუთვნილებად მიჩნეული, როგორც ეს ორნამენტთა შეგვარება-შემოწმებიდან ვაირკვა, ხსენებულ განყოფილებაში დღეს უკვე აღარ მოიპოვება. ზოგიერთი ღათგანი შესაძლებელია დროთა ვითარების გამო შემთხვევით დაიკარგა ან დაზიანდა, მაგრამ უმრავლესობა მაინც საფიქრებელია, რომ რომელიმე ქვეყნის მუზეუმში გადაიგზავნა.

არც შემოსხენებულ მცირეოდენ წერილობით წყაროებში და არც ეთნო-

¹ ყუბაჩებით დასახლებულ სოფ. ყუბაჩი დარგიის ოლქში შედიოდა და კუმუქების სოფელი ახალი კატანიშჩი კი თემირ-ხან-შურის ოლქს ეკუთვნოდა. თემირ-ხან-შურის ოლქში მდებარეობდა ავრეთზე მეორე ექსპედიციის დასასადგურებელ ცენტრად არჩეული კერამიკური სოფელი ქვემო ჯანჯუთაიც (შესაძლებელია, რომ კურკელი № 76—09), რომლის მოპოვების ადგილ-სამყოფელი გარკვევით არ არის აღნიშნული და რომელიც საქ. მუზე. ეთნოგრაფიის განყოფილებაში უკვე აღარც არის დაცული, სწორედ ამ სოფელში უნდა იყოს შექმნილი).

² А. С. Пиралов, Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, стр. 103, рис. 68.

³ ლაქებით დასახლებული სოფ. ბალხარი ყოფილ დარგიის ოლქში შედიოდა, ის დარგიის ოლქის ყველაზე მსხვილ კერამიკულ ცენტრს წარმოადგენდა.

გრაფიის განყოფილების 1885 წლის საკოლექციო დაეთარში დაღესტნურული კურკლის ცალკეულ სახეთა ადგილობრივი სახელწოდებები არ არის აღნიშნული; 1909 წელს შექმნილ და საკოლექციო დაეთარშიც იმავე წელს შეტანილი დაღესტნური კურკელიც ზუსტად არ არის დახასიათებული, სხვადასხვა წარმოშობის კურკლის ყველა სახე ყუმუხური სახელწოდებებით არის მოხსენებული. საკითხის ამგვარი ვითარების გამო ჩვენც იძულებულნი ვართ, რომ ყუმუხური ტერმინებით ვისარგებლოთ და 1909 წლამდე შემოსული დაკატალოგში უსახელოდ ჩაწერილი კურკლეულიც ყუმუხური სახელწოდებით მოვიხსენიოთ.

განვითარებული მეკურკლეობის მქონე ქვეყნის მსგავსად, თიხის კურკლის მკეთებლობას დაღესტანშიც მამაკაცები მისდევენ და თიხისაგან (tschabar-საგან)¹ დასამზადებელ სხვა სახის საგნებსაც მამაკაცები აკეთებენ². დაღესტნის ყველა კუთხის ოსტატები, როგორც ეს ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებიდან ირკვევა, დაახლოებით ერთსახოვან კურკლეულს ამზადებენ და დამუშავების ტექნიკის მხრივაც, როგორც ჩანს, ერთნაირ წესებსა და ხერხებს მიმართავენ. დაღესტნელი მეკურკლეებიც, კურკლის დამზადების დროს, ჩარხს იყენებენ³; წინასწარ საგანგებოდ დარჩეულსა და დამუშავებულ მაღალხარისხოვან თიხაში, ჩარხის დახმარებით, სხვადასხვა სახის კურკელთა გარეგნობას ანახებენ.

დაღესტნური კურკლის კეთების მაღალი ტექნიკა ფრიად საყურადღებო მომენტებით ხასიათდება: მეტად ოსტატურად ნაკეთები და კარგად გამოწვარი დაღესტნური კურკელი დამუშავების ტექნიკის მხრივ კავკასიის სხვა ხალხთა ყოფაში დამოწმებული მაღალხარისხოვანი კურკლეულის გვერდით დგება.

საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული დაღესტნური კურკლის კომპლექსი სხვადასხვა გარეგნობისა და დანიშნულების კურკელთაგან შედგება: 14 თუ 15 სახის 28 კურკელი წყლისათვის, საჭმლისათვის და სხვა სახის საოჯახო საქიროებისათვის გამოყენებულ კურკელთა რიცხვს მიეკუთვნება.

ყველაზე დიდი მოცულობის კურკელს წყლის მოსატანად განკუთვნილი „ახალკი“ წარმოადგენს, ყაზი-ყუმუხიდან ჩამოტანილ „ახალკებსა“ (1 და 1a) და ყუბაჩურ „ახალკს“ ადამიანი ერთი შეხედვით ერთგვარი მოყვანილობისა და თანაბარი ზომის კურკლეულად მიიჩნევს. აღნიშნული ახალკები ერთმანეთისაგან მხოლოდ ფერითა და ორნამენტით განსხვავდება, ახალკის გარეგნობის ქვემოთ წარმოდგენილი დახასიათება სამივე ახალკზე ერთნაირად გავრცელდება.

ყაზი-ყუმუხური ახალკები შიგნითა მხრიდანაც და გარედანაც მოშავომორთხო ფერისაა, ყუმუხური ახალკი კი მოწითალოა. სამივე კურკლის კედელი თხლად და ფაქიზად არის დამუშავებული. ხევის გზით ზედაპირდაგულვებული კურკლეულის მოსახატავად ერთნაირი ჯიშის საღებავებია გამოყენებული.

¹ ავარულად და ანდიურ-დიდიურად თიხას „tschabar“ ეწოდება (Iul. Klapproth, *Kaukasische Sprachen*, Halle und Berlin, 1824).

² А. С. Пиралов, *დასახლებული ნაშრომი*, გვ. 18.

³ Дагестанский сборник, выпуск II, გვ. 93.



მაღალტანიან და ცალყურიან ჭურჭლად მიჩნეულ ახჩალქსაშენებელ ვად მრგვალი და განიერი მუცელი უკეთდება, ჭურჭლის კედლებს განსაკუთრებულ სიმალღემდე (ძირიდან დაახლოებით 10—12 სმ-ს სიგრძეზე) სწორხაზობრივად მოიმართება და შემდგომ კი მრგვალდება. დამრგვალების ადგილიდან მუცელი იწყება, თითქმის თანაბარი დიამეტრით წარმოდგენილი სიმრგვალე ყელის ძირამდე გრძელდება. დაახლოებით ტანის შუა ადგილას მუცელი კუთხოვნად არის გამობერილი, ამ ადგილას შეიძლება ორ ნაწილად გაკეთებული ჭურჭლის ქვედა ნაწილის გადაბმის ხაზიც იყოს წარმოდგენილი. ახლახან აღნიშნული გარენოების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ სიფართოვის მხრივ მისი მკერდი და მუცელი ერთიმეორისაგან დიდად არ განირჩევა, ახჩალქი უდავოდ ბეჭიან ჭურჭელთა ჯგუფს მიეკუთვნება.

ახჩალქი ბრტყელძირიანია, განიერყელიანი და ფართო-პირიანი. კახური ხელჩაფის ყელის მსგავსად ამ უკანასკნელის ყელიც ძირში უფრო ვიწროა და პირისკენ თანდათან გაფართოებული. ახჩალქის ყელი ტუჩიანი და ფართოდ გადაშლილი, ნაპირებგადამობრუნებული პირით არის დაგვირგვინებული. ჭურჭლის კეთების დროს, საყელედ შევიწროებულ ნაწილს, ზემოთ ამოყვანის დროს ოსტატები ალბათ თანდათან აფართოებენ და ამგვარად, მის პირს ძაბრისებურ გარეგნობას აძლევენ. განსაზღვრულ ზომაზე გადაშლის შემდგომ, სათანადო ადგილას პირის ორ მოპირდაპირე წერტილს, როგორც ჩანს, ერთმანეთს უერთებენ და ამრიგად, მას ორ განყოფილებად ჰყოფენ; გამყოფი ხიდის ცალ მხარეს წყლის შთასახმელად განკუთვნილი ფართო პირი (საერთო ფართობის დაახლოებით 2—3 ნაწილის შემცველი) რჩება და მეორე მხარეს კი წყლის ჩამოსახმელად განკუთვნილი დიდი ტუჩი ექცევა.

ახჩალქის ტუჩზე, პირზე და პირის გამყოფი ხიდის კედლებზე თიხის კომპლების მიკვრა წესად ყოფილა მიღებული, ჩვენი კვლევის ობიექტად ქცეული სამივე ახჩალქიც თიხის კომპლებით არის შემკობილი.

ახჩალქის ყურიც სხვა სახის ჭურჭელთა ყურების მსგავსად, პატარაა და ნახევარკალისებურად მოხრილი; ბრტყელია და შუაში მთელ სიგრძეზე კეხისებური ზოლი აქვს ჩაყვლებული. ყურის თავი თითქმის ყელის ძირშივეა (ან ყელის ძირიდან მცირეოდენი მანძილის დაშორებით) მიბმული და ბოლო კი მკერდზეა მიბჯენილი.

ახჩალქთა ეს საერთო დახასიათება, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ნაშრომში წარმოდგენილ სამივე ახჩალქს ერთნაირად შეეხება, მაგრამ რადგან თითოეული მათგანი იმთავითვე არსებული შემთხვევით შექმნილი სპეციფიკური ნიშნებითაც ხასიათდება, ამიტომ რამდენიმე სიტყვით ამ თავისებურებათა შესახებაც აღვნიშნავთ.

ყაზი-ყუმუხური წარმოშობის ორივე ახჩალქი, როგორც ვთქვით, მოშავო-მორუხო ფერისაა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის ყელ-მკერდი, ალბათ გამოწვის დროს ჭურჭაში დაკავებული ადგილმდებარეობის გამო, განსაკუთრებით შესამჩნევად არის ჩამუქებული. ან უკანასკნელის ტუჩ-პირის გამყოფი ხიდზე ორი კომპლია დასმული, ტუჩსაც წინა მხრიდან კომპლი აქვს მიკრული და პირის აქეთ-იქითაც, გვერდებზე, თითო-თითო კომპლია მიწებებული. პირის ირგვლივ ერთმანეთისაგან მცირეოდენი მანძილით დაშორებული ორი ამოღარული ზოლია შემოვლებული, პირის აქეთ-იქით მიკრული კომპლები ამ ზოლთა შორის არის მოქცეული. ჭურჭლის მკერდსა და მუცელს ზეხვის შედეგად ალბექდილი ვერტიკალური ზოლები დასდევს. მკერდი, მუცე-



ლი და ყელი მოხატულია. მოსახატავ მასალად თეთრი და მოწითავე ფერის ვისფრო საღებავებია გამოყენებული. მიწის სიმუქით გამოწვეულია ფერის წვის შედეგად მიღებული სიშავის გამო, ორნამენტი ჭურჭელზე მკრთალად არის აღბეჭდილი.

ახალრკის პირი ერთ ადგილას ამოტეხილია; ამოტეხილი ნაწილის ზომა უფრო დიდი ყოფილა, მაგრამ ზოგიერთი ნატეხი კვლავ მიუწებებიათ. ახალრკის ბზარებით დასერილი ტანი აშკარად მეტყველებს, რომ ჭურჭელი მთლიანად დამსხვრეული ყოფილა, ცალკეულ ნაწილთა შეკავშირების შემთხვევაში ის ძველებური სახით აღდგენილია.

ყაზი-ყუმუხიდან ჩამოტანილი მეორე, აგრეთვე მოშავო-მორუხო ფერის ახალრკიც კოპლებით არის დამუშავებული. კოპლების განლაგება ამ ჭურჭელზედაც შემოაღწერილ ახალრკის მიმართ დამოწმებული წესით არის წარმოადგენილი. ამ უკანასკნელის მკერდი და მუცელიც ვერტიკალურად არის გახეხილი, მკერდ-მუცელი და ყელ-ყურიც თეთრად და მოწითალო-მოყავისფროდ არის მოხატული, სიშავის გამომწვევი მიზეზების გამო ორნამენტის ფერები ამ შემთხვევაშიც საგრძნობლად არის დაჩრდილული.

ეს ახალრკიც ნაწილობრივ დაზიანებულია; გვერდში შეზნექილია და მისი ყურის ზემოთა ნაწილიც სანახევროდ ატეხილია.

მკრთალი წითელი ფერის ყუბაჩური ახალრკი ყაზი-ყუმუხურ ახალრკებზე უკეთ არის დამუშავებული; მისი ზედაპირი ორჯერ უნდა იყოს გაშანდაკებული; პირვანდელი გაშანდაკების შედეგად ის სიპად არის დაგლუვებული და მეორედ წარმოებული ხევის კვალი კი, ვერტიკალური ხაზების სახით, მკერდსა და მუცელზეა აღბეჭდილი. ყუბაჩური ახალრკიც მოთეთრო და მოწითალო ფერებით არის მოხატული, ღია ფონზე გაშლილი ლამაზი ორნამენტი საკმაოდ ნათლად არის დასურათებული.

დაღესტნურ კერამიკულ კოლექციითა შორის რელიგიური განბანვის დროს ხმარებული წყლის ჭურჭლებიც მოიპოვება; ამ დანიშნულებისათვის განკუთვნილ ერთი ტიპის ჭურჭელთა ყუმუხურად (და შეიძლება დაღესტნის სხვა ხალხთა ენაზედაც) «გაყინ» ეწოდება და იმავე ფუნქციის შემსრულებელი მეორე ტიპის ჭურჭელს კი «სურაელი» ჰქვია.

დაღესტნის ტომთა ყოფაში დამოწმებულ ჭურჭელთა ერთგვარობა ჩვენს ხელთ არსებული გაყინების მიხედვითაც მტკიცდება, ყაზი-ყუმუხური გაყინი როგორც ვხედავთ, ყოველმხრივ ყუბაჩური გაყინის მსგავსია¹.

გაყინი ბურთოვით მრგვალი მუცლით ხასიათდება, კედლის სამუცლედ დამრგვალება თითქმის ძირიდანვე იწყება. გაყინი ჩამოშვებულ მკერდიანია, ის ბეჭიან ჭურჭელთა რიცხვს არ მიეკუთვნება. გაყინს აქვს მომალლო-მოგანიერო ყელი და ძაბრისებურად გადაშლილი პირი. მის მკერდზე წყლის წამოსასხმელად განკუთვნილი მილია აღმართული, «წერწუმადაც» სახელდე-

¹ ერთ-ერთი სახეობის ჭურჭელი, რომელიც მოყვანილობით სურავს უფრო წააგავს ვიდრე გაყინს, უკანასკნელ ხანს შედგენილ, გადმოქართულბულ კატალოგშიცა და თვით ჭურჭელზე ნიმაგრებულ ეტიკეტზედაც «გაყინის» სახელწოდებით არის აღნიშნული, № 76-09/6-ს ჰქვს ნამდვილ გაყინთან ერთად ეს ჭურჭელიც არის გატარებული (1909 წლის კატალოგში კი ამ №-ით მხოლოდ ერთი ჭურჭელია რეგისტრირებული), აქ ჩვენ კატალოგის გადმომკეთებელისა და ეტიკეტის მიმბმელის მიერ დაშვებულ შეცდომასთან უნდა გვკონდვს საქმე. ამ ჭურჭელს ჩვენც კვლავ ზემოაღნიშნული №-ს დაუტოვებთ და დასახელების დროს კი «სურაელის» სახელით მოვიხსენიებთ.



ბული მილი ძირში ფართოა და თავთან კი შესამჩნევად შევიწროვდება. ჯაჭვიანის პატარა ყურიც ბრტყელია და შუაში კეხისებურ ზოლჩატვრისებურ უკანაყენიცი ნახევარკალისებურად არის მოხრილი, მისი თავი ყელის ძირზევეა მიმაგრებული და ბოლო კი მუცლისა და მკერდის მიჯნაზეა მიბმული. გაეინის ძირი მრგვალად არის გაბრტყელებული, ქურქელი ძირზე მიკრულ სამ პაწია ფეხზეა შემდგარი.

ყუბაჩური გაეინი მოთეთრო-მოწითალო ფერის ქურქელს წარმოადგენს; ქურქელის კედლის შიგნითა მხარე წითელია, მაგრამ გარედან, როგორც ვთქვით, მოთეთრო-მოწითალო ფერი გადაჰკრავს. გაეინი თავიდან ბოლომდე სუფთად არის გახეხილი, მისი მუცელიცა და ყელიც წითელი და თეთრი საღებავით არის მოხატული. პირის ირგვლივ ამოღარული ზოლი აქვს შემოვლებული და მუცლის გარშემოც, დაახლოებით ყურის ძირის გასწვრივ, აგრეთვე ამოღარული ზოლი აქვს შემოყოლებული.

ყუბაჩური გაეინი მოყვანილობით ყოველმხრივ ყაზი-ყუმუხურ გაეინისნაირია, მაგრამ ზომით მასზე მოზრდილია. გაეინს პირისა და ყელის ძირის ირგვლივ ორ-ორი ამოღარული ზოლი შემოსდევს და მკერდის გარშემოც ერთმანეთისაგან დამორებული ორი ამოღარული ზოლი უვლის. ქურქელი წითელი თიხისაგან არის გაკეთებული, მაგრამ შიგნიდანაც და გარედანაც მოშავო-მოლურჯო ფერი აქვს გადაკრული. გაეინის ტანიცა და წურწუმაც ხეხვია მეოხებით არის დაგლუვებული, მისი ტანიც, წურწუმაცა და ყელ-ყურიც თეთრი და მოწითალო-მოყავისფრო საღებავებით არის ორნამენტირებული. თეთრი საღებავით გამოყვანილი სახეები მკვეთრად არის გამოჩენილი და წითელი საღებავით აღბეჭდილი სახეები კი ქურქელის მუქი ზედაპირით არის დაბინდული. გაეინის პირი მცირედად არის დაზიანებული, მოტეხილი ნაპირი ზედგეა მიწებებული.

ყუბაჩელი ოსტატია მიერ დამზადებული „სურაელიც“, ზემოაღწერილ გაეინთა მსგავსად ბრტყელიძირა, უბეჟო და მუცელგანიერია, მათგან განსხვავებით მას არც წურწუმა აქვს და ძირისაყენაც უფრო მეტად არის შევიწროებული. სურაელის ყელ-პირიც გაეინის ყელ-პირის ყაიდაზეა მოყვანილი, სურაელის საშუალო სიმაღლის ყელიც ძაბრისებურად გადაშლილი პირით არის დაგვირგვინებული. სურაელსაც ნახევარკალისებურად მოხრილი, პატარა ბრტყელი ყური აქვს გაკეთებული, ყურის თავი ყელის ძირშივეა მიკრული და ბოლო კი მუცლისა და მკერდის მიჯნაზეა მიმაგრებული. ღია წითელი ფერის თიხისაგან გაკეთებული ქურქელის დაგლუვებული მუცელი და ყელ-ყური, თეთრი და ვარდისფერი საღებავებით არის მოხატული, მკერდის ირგვლივ ერთმანეთთან ახლო მდებარე ორი ამოღარული ხაზია შემოყოლებული.

ყუბაჩური წარმოშობის მეორე „სურაელიც“ ტანის მოყვანილობით ნაწილობრივ ზემოაღწერილ სურაელსაც ემთხვევა და გაეინებსაც მიემსგავსება. სურაელის მუცელი დაბალია, ჩამოშვებული და შუას ქვემოთ მუცლისმეტად განიერი.

სწორი და ბრტყელი ძირის ნაპირები სწორკედლიანი ჯამის მსგავსად არის ამოყვანილი და ფართოდ გაწეული მუცელი მასზე ქუდივით არის დასმული. აქვს საშუალო სიმაღლის მომაღლო-მოგანიერო ყელი და ოდნავ გამოწეული ტუჩის მქონე პირი. პირი, როგორც ჩანს, ჯერ ძაბრისებურად გადაუშლიათ და შემდეგ კი, პირის მოპირდაპირე წერტილთა დაახლოების

გზით, ტუჩი გაუკეთებიათ. ამ სურაელის ყურიც ზემოთ დახასიათებული სურაელ-გაყინთა ყურების მსგავსად არის მოყვანილი, ყურის მოზმის მხრივაც ამ შემთხვევაშიც იმგვარივე წესია გამოყენებული. სურაელი ორჯერ არის გაშანდაკებული, პირველი გამანდაკების შედეგად სადად არის დაგლეუ-ვებული და მეორედ წარმოებული გამანდაკების კვალი ირგვლივ შემოვლებუ-ლი ხაზების სახით არის აღბეჭდილი, სხვა ჭურჭელთაგან განსხვავებით ეს უკანასკნელი წრეობრივად არის გახეხილი. ჭურჭელი ღია წითელი თიხისა-გან არის გაკეთებული, მკერდიცა და ყელიც თეთრი და მოვარდისფრო-მო-წითალო საღებავით არის ორნამენტირებული. პირის ირგვლივ ამოღარული ზოლები აქვს შემოყოლებული და ყელის ძირის გარშემო და ყურის ძირის გასწვრივაც თითო ამოღარული ხაზია შემორტყმული.

ყაზი-ყუმუხეთში შეძენილი ერთ-ერთი ჭურჭელიც, რომელიც ეთნო-გრაფიის განყოფილების გადმოქართულებულ კატალოგში, ადგილობრივი სა-ხელწოდების უცოდინარობის გამო, „ლიტრადა“ არის სახელდებული, სურა-ელთა ტიპის ჭურჭლად უნდა მივიჩნიოთ. ჭურჭელი ალბათ ღია ფერის თი-ხისაგან არის დამზადებული, მაგრამ გარედან მოშავო-მორუხო ფერით არის შებურვილი. ეს უკანასკნელიც ბრტყელძირაა და მრგვალმუცელა, მხრებზეა-მოშვებული (უბეჭო) და ძირისკენაც ზომიერად შევიწროებული. ყელის შუა ადგილი ბრტყლად აქვს გამოზერილი და ჩვეულებრივად მიღებული წესის თანახმად, პირიც მრგვლადაა აქვს გადაშლილი. მრავალჯერ აღწერილი გა-რეგნობის მქონე ყურის თავი ყელის ძირთანვეა (ყელის ძირიდან დაახლოე-ბით 0,5 სმ-ის დაშორებით) მიკრული და მისი ბოლო კი, ამ შემთხვევაშიც, მუცლისა და მკერდის საზღვარზეა მიმაგრებული. მუცელი დაგლეუვებია პრო-ცესში აღბეჭდილი ვერტიკალური ხაზებით არის დაფარული; მუცელი, მკერ-დი და ყელ-ყური მეტად ლამაზად არის ორნამენტირებული. მოსახატავ მა-სალად თეთრი, ყავისფერი და მოყავისფრო-მოწითალო საღებავებია გამოყე-ნებული.

ლიტრა (A13—85/3).

წითელი თიხისა, გარედანაც წითელი ფერისაა. მისი ყიდის სხვა ჭურჭ-ლებთან შედარებით მალაია. ბურთივით მრგვალი მუცელი აქვს, მაგრამ უბეჭოა (მკერდიანია). ჭურჭელი მომალლო ქუალზეა შემდგარი, ქუსლის ნა-პირები ძირს რკალივით აქვს შემორტყმული. ყელშიაღალი და ტუჩიანი ჭურ-ჭელია (პირი ჯერ ძაბრისებურად გადაუშლიათ და ტუჩი კი ამ პროცესის შემდგომ გაუკეთებიათ), ტუჩის წინ და პირის აქეთ-იქით თიხის კოპლებია მიმსხდარი. კოპალი ტუჩის შეზნეჭილ ნაწილზედაც ყოფილა მიკრული, მაგრამ მოსძრობია.

პირის ირგვლივ ხუთი ამოღარული ზოლი შემოსდევს და ყელის ძირის ირგვლივ კი ბრტყლად ამოზრტყული და წინწყლებით დაჩხვლექტილი ზოლი უვლის. ყურის ძირის გასწვრივაც ამოღარული ზოლი ვრტყმის.

ყური ნახევარკალისებურად არის მოხრილი, ყურის თავი ყელის ძირის ახლოს არის მიბმული და ბოლო მუცელ-მკერდის მიჯნაზეა მიწებებული, ტანი და ყელ-ყური მთლიანად არის მოჭრელებული თეთრ და მოწითალო-მოყავისფრო საღებავთაგან გამოყვანილი ორნამენტი. ტუჩი ოდნავ ჩამო-ტეხილია.

ლიტრა (A13—85/2) ჭურჭელი წითელი თიხისაგან უნდა იყოს გა-კეთებული, მაგრამ შეგნიდანაც და გარეთა მხრიდანაც მოშავო-მორუხო ფე-



რისაა. ლიტრა სწორძირიანია, მკერდაქანებულია, ე. ი. უბეჭოა, შუა ადგილას მრგვლად აქვს გაგანიერებული, ძირისაკენ ესეც შევიწროებულია, ყური ნახევარკალისებურად არის მოხრილი. მისი თავი ყელის ძირშივეა მიბმული და ძირი კი მუცელ-მკერდის მიჯნაზე. ყელი მომაღლოა, ძირში ვიწრო და პირისკენ გაფართოებული. პირი ძაბრისებურად ყოფილა გადაშლილი, მაგრამ მისი ორი მოპირდაპირე ნაპირი ერთმანეთისათვის შეუერთებითა და ტუჩი გაუკეთებით, ამნაირად წარმოებული შეერთების შემდგომ, ტუჩსა და პირის შორის სანკუთხოვნად მოყვანილი თიხის ნედლი ფირფიტა აღუმართავთ და მასზე სამი ნაჩერეტი გაუკეთებით (შვიგნითა მხრიდან მიწვეების კვალი აშკარად ეტყობა). ცნობილია, რომ არსებობს დახურული და დაფაჯრული ტუჩის მქონე ჭურჭლეული—ამ შემთხვევაში ქაქიანი სითხის შესმისა თუ წამოსხმის დროს ის ტუჩში იწმინდება; აქ კი ამ ნაჩერეტებს ალბათ ამ ფუნქციის შესრულება არ ეკისრებათ (ისინი არც ჩამოსაკიდებელად უნდა იყვნენ განკუთვნილნი) ყურის თავი ყელის ძირშივეა მიბმული და ძირი კი მუცლისა და მკერდის საზღვარზე. ყელის ძირის ირგვლივ ბრტყლად ამობურცული ზოლი შემოსდევს, პირის ირგვლივ ორი ამოღარული ხაზი უვლის და ყურის ძირის გასწვრივაც ორი, აგრეთვე, ამოღარული ზოლი ერტყმის. ჭურჭლის ტანი და ყელ-ყური თეთრი და, როგორც ჩანს, წითელი საღებავებითაც არის ორნამენტირებული. გამოწვის სიძლიერის გამო წითელი საღებავი არც კი ეტყობა, ადამიანი თუ ძლიერ არ დააკვირდება წითლით გამოყვანილ ორნამენტს ვერც კი შეამჩნევს (ეს ფაქტიც იმას ამტკიცებს, რომ ჭურჭელი გამოწვის წინ ქრელდება). ჭურჭელი ალაგ-ალაგ ოდნავ შეზნექილია.

ღოქი (A60—85) მოშავო ფერის თიხისაა (ბუნებით არის ამ ფერი თუ გამოწვის შედეგად მიღებული?), ბეჭიანია და მრგვალმუცლიანი. ტანი ძირისაკენ შევიწროებულია, შევიწროებული ნაწილი ანუ საფილე საგრძნობი სიმკვლეისაა. მისი ფართო ყელი ცილინდრული მოყვანილობისაა, პირიც სწორია და გადაუშლელი (ერთ ადგილას პირი შემთხვევით არის შეზნექილი). ერთ ზოლზე (გადაბმის ადგილას) მუცელი ძლიერ არის გამობერილი. კეხისებური ზოლის მქონე ყური ნახევარკალისებურად არის მოხრილი. ყურის თავი ყელის ძირის ახლოსაა მიბმული, ბოლო კი მუცლის გამობერილი ნაწილის ცოტა ზემოთ. მუცელი და ყელ-ყური თეთრი და მოყავისფრო-მოწითალო საღებავის ორნამენტით არის შემკული, წითელი საღებავი მკრთლად არის აღბეჭდილი (გამოწვის გამო). ჭურჭელი ძირისკენ სადად არის გასიპული და ყელზე და მუცელზე კი ხეხვის შედეგად აღბეჭდილი ვერტიკალური ზოლები აქვს ჩამოვლებული.

ქილა (76—09/8) ღია წითელი ფერის თიხისაა. დიდმუცელა, ბეჭიანი, ძირისკენ ზომიერად შევიწროებული. მუცელი თავიდან ბოლომდე მეტად ფაქიზად არის გახეხილი: ძირისკენ ძლიერ სიპია და მუცელს კი ვერტიკალური ხაზების კვალი აქვს დაჩნეული (შეიძლება ამ შემთხვევაშიც ორჯერ გახეხვის წესთან გვეკონდეს საქმე). აქვს მოღაბლო-მოგანიერო ყელი და ძაბრისებურად გადაშლილი ფართო პირი. ჭურჭელი ორყურიანია. ბრტყელი ყური ნახევარკალისებურად არის მოხრილი და შუაში კი კეხისებური ზოლი აქვს ჩაღებული. ყურის თავი ყელის შუა ნაწილის ქვემოთ არის მიბმული და ბოლო კი მკერდზე-მუცლის განიერ ნაწილის ზემოთ. მუცელი და ყელ-ყური შემკობილია თეთრ (მოთეთრო-მოყვითალო) და მოვარდისფრო-მოწითალო საღებავებით გამოყვანილი ლამაზი ორნამენტით. ტანიცა და ყელ-

ყურის ამოკაწრული შირიმიანი წერტილებით არის მოფენილი (თიხე $\frac{1}{2}$ კილოგრამა და ნარევი ყოფილა, ოსტატს ის შემთხვევით შეჰყოლია ან გამოუტყდელად მისი დაუდევრობის გამო კარგად ვერ გაურჩევია).

1-დოქი — „ხაბა“ (76—09/4) ქართული დიდი ცალყურის მსგავსი ჭურჭელია. ძირიდან ყელამდე ტანი თითქმის თანაბარი დიაგნოზით არის ასული (თუმცა ძირისკენაც და ყელისკენაც ოდნავ შევიწროებულია). ჭურჭელი ყელგანიერია და პირფართო. ნახევარკალისებური ყურის თავი დაახლოებით ყელის შუა ადგილას არის მიბმული, ბოლო კი მუცელზე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყურს ორი კეხისებური ზოლი დასდევსო. ერთი ზოლი საგრძნობლად არის ამომაღლებული და მეორე კი შეუმჩნეველად (ყურის უწყისოდ გაკეთების შედეგი ხომ არ არის?) ცალყურა დოქი წითელი თიხისაგან არის გაკეთებული. თვითონაც წითელი ფერისაა, მაგრამ ტანის წინა მხარე გამოწვის გამო გაღურჯებული აქვს. ტანი გარკვეულ ფართობზე მორუხო-მოღვინისფერო საღებავი აქვს გადასმული და ზემოდან კი ცარცივით თეთრი საღებავით არის მოხატული. ტანის ამ ნაწილზე მოხატული ორნამენტი იმდენად თეთრია, რომ იმავე ჭურჭლის ტანის სახატავად ხმარებული და ზემოთ აღწერილი ჭურჭლების მოსახატავად გამოყენებული საღებავი მასთან შედარებით მოთეთრო-მოყვითალო ფერის საღებავად გამოიყურება. ჭურჭლის მთელი ტანი და ყელ-ყური თეთრი (მოთეთრო მოყვითალო) და წითელი ფერის საღებავთაგან გამოყვანილი ორნამენტით არის შემკული. ცალყურაც სათანადოდ არის გახეხილი. ძირის ირგვლივ, გარკვეულ სიმაღლემდე, ვარდისფერი მიწის საღებავით არის შემოღესილი (ეს საღებავი თეთრი და წითელი მიწის შენაერთს უნდა წარმოადგენდეს).

სასმისი (კოჭობი—A38—85/2) ჭურჭელი ღია წითელი თიხისაა, შიგნიდანაც და გარედანაც ღია წითელი ფერისაა. ძირისკენ ფართოა და პირისკენ კი მცირედად შევიწროებული. კოჭობს აქვს წახნაგოვანი გვერდები, მრავალქიმიანი ვარსკვლავისებური ძირი. წახნაგოვანება დაახლოებით ტანის შუამდე მოდის, ზემოთ ის ჩვეულებრივ მრგვალ კედელში გადადის (კედელი რვაწახნაგოვანია, ძირიც რვაწახნაგოვანია და რვაქიმიანი). მისი პირი ფართოა, გადაშლილი და ტუჩიანი. ნახევარკალისებური, კეხიანი ყურის თავი გადაშლილი პირის ძირშივეა მიბმული და ბოლო კი დაახლოებით წახნაგოვანი გვერდების დასასრულთან არის მიბჯენილი. ჭურჭელი ნახეხია, თეთრი და წითელი საღებავებით მთლიანად არის ორნამენტირებული. ძირისა და გვერდების დაწახნაგოვანება შეშრობის შემდგომ კი გახეხვა ორნამენტირებამდე უნდა მომხდარიყო. სხვა ჭურჭელთაგან განსხვავებით ეს უკანასკნელი სქელკედელია, ამგვარი ოპერაციების წარმოება ალბათ სქელ კედელს სიჭირვება. ჭურჭლის პირი ყურის თავთან ამოტეხილია.

სასმისი (კოჭობი—A38—85/1).

ზემოაღწერილი ჭურჭლის დახასიათება ამ კოჭობზედაც ყოველმხრივ გავრცელდება, განსხვავება მხოლოდ შემდეგი ნიშნებით ამკარავდება: ჭურჭლის კედელი ცხრაწახნაგოვანია, ძირიც აგრეთვე ცხრა წახნაგისა და ცხრა ქიმის შემცველია. მოსახატავად მოვარდისფერო თეთრი და წითელი საღებავთა ნარევიც არის გამოყენებული.

პირი ამასაც ოდნავ ამოტეხილი აქვს, მაგრამ ზემოდახასიათებული ჭურჭლისაგან განსხვავებით არა უკან, არამედ გვერდში.



კოკობი (A75—85) (სურ. 11ა).

ეს ჭურჭელიც ზემოაღწერილ კოკობთა მსგავსია, მაგრამ უფრო დაბალია და მრგვალია (პირის ნაპირები ოდნავ გადაშლილი აქვს. ნახევარკალისებური ყურის თავი პირთანვეა მიბმული და ბოლო კი ტანის შუა ნაწილის ქვემოთ. გარედან მოშავო-მორუხო ფერისაა, შიგნიდან კი მორუხო-მოწითალო ელფერი დაჰკრავს (ფერთა აშვარი სხვაობა უდავოდ გამოწვის-შედგია). კედელი შვიდწახნაგოვანია, ძირიც შვიდწახნაგოვანია და შვიდქიმი ანი. პირის ირგვლივაცა, და ტანის გარშემოც თითო ამოღარული ხაზი შემოსდევს. კოკობი კარგად არის გახეხილი, მისი კედელი უფრო გლუა და ზემოაღწერილ კოკობებთან შედარებით კარგად დამუშავებული. თეთრი და მოწითალო-მოყავისფრო საღებავით არის ორნამენტირებული, ორნამენტი მკრთალად არის აღბეჭდილი.

სასმისი (კოკობი A41—85).

ჭურჭელი ღია წითელი თიხისაა, შიგნითა და გარეთა მხრიდანაც ახალი აგურის ფერად იყურება. კოკობი დაბალია, ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს თავიდან ბოლომდე თანაბარი სიგანისაა, მაგრამ ტანის შუას ქვემოთ ოდნავ უფრო ვანიერია, გვერდები ძირთან დაპრგვალბული. ყურის თავი პირთანვეა მიბმული და ძირი კი ტანის შუა ნაწილის ქვემოთ არის მიმაგრებული. ჭურჭლის ტანის გარეთა მხარე ერთ ადგილას მოშავო-მორუხო ფერისაა და მის პირდაპირ მდებარე შიდა მხარე ოდნავადაც არ არის ჩამუჭებული (მკრთალი საღებავის გადასმის შედეგი უნდა იყოს თუ გამოწვის?). ჭურჭელი გახეხილ-დაგლეჯებულია, თეთრი და წითელი საღებავებით მთლიანად ორნამენტირებულია. გარედან და შიგნიდან არსებული ზოლები იმას ამბობენ, თითქოს ჭურჭელი სორსოლების შემოვლებს გზით არის გაკეთებული. პირის ირგვლივ კოკობს ამოღარული ზოლი მოსდევს. პირი ერთ ადგილას ოდნავ შედრეკილია.

სასმისი (კოკობი A100—99) (სურ. 13ა).

ზემოაღწერილი ჭურჭლის მსგავსია, მაგრამ მასზე პატარაა. ხსენებულ ჭურჭლისაგან განსხვავებით ეს უკანასკნელი მოშავო-მორუხო ფერისაა. ჭურჭელი ძირთან უფრო ვანიერია, პირისკენ კი შევიწროებული, პირის ირგვლივ სალტე აქვს შემორტყმული. ყურის თავი პირზედვეა მიბმული, ძირი კი დაახლოებით ტანის შუა ადგილას არის მიკრული. ჭურჭელი თეთრი და წითელი ორნამენტით არის დაჭრელებული (წითელი ფერი მკრთალად გამოიყურება).

სარძევე (ქილა—A59—85).

მოზრდილი პირფართო ჭურჭელია. შიგნით წითელია, და გარედან კი მოშავო-მორუხო ფერისაა. ორყურიანია—აქეთ-იქით პატარა ყური აქვს მიბმული. ამ უკანასკნელის ყურებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, გარეგნობით სადღურად ხნარებულ ქვაბ-ქოთანას წაავაგას—ძირთან ვანიერია და პირისკენ კი ზომიერად შევიწროებული. პირის ნაპირები შიბივით აქვს გადაშლილი. კეხისებური ზოლის მქონე ყურის თავები პირთან ახლოს არიან მიბმულნი და მათი ბოლოები კი ტანის შუა ადგილზე არიან მიბჯენილნი.

ჭურჭელი თეთრი და წითელი საღებავებით გამოყვანილი ლამაზი სახეებით არის შემკული. წითელი საღებავის ორნამენტი ზოგან მეტად მკრთალად ეტყობა და ზოგ ადგილას კი სრულიად არ ემჩნევა. ჭურჭლის გაშავება გამოწვის შედეგს რომ არ წარმოადგენდეს, მას წითელი საღებავით არ შეჭლე-

ბავდნენ (ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ ის თითქოს რუხი მიწის ქსნაყის ში შეუღლებიათ ან ისეთი მიწის ხსნარი გადაუვლიათ, რომელიც გამოწვევით ადვილად შეადგება) ძლიერი გამოწვევის შედეგი რომ იყოს, შიგნიდანაც იქნებოდა გაშვებული, თუმცა მძაფრი გამოწვევის ფაქტზე შეიძლება შემდეგი ვარაუდობაც მიუთითებდეს: ჭურჭლის გვერდები ძირთან ნახშირივით არის გაშვებული. ჭურჭელი ვარდიგარდმოდ—წროვობრივად უნდა იყოს გახეხილი. იმის გამო, რომ ძირის ფენაში ბევრი შირიმი მოჰყოლია—ფსკერი შუა ადგილას შეზნექილა, გატეხილა და ირგვლივაც მთლიანად შემობზარულა. ტანი ერთ ადგილას გამომერძლია, მეორე ადგილას კი შეზნექილი. შიბის მცირე-ოდენი ნაწილი მოტეხილია.

ქილა (76—09/2) ჭურჭელი დამსხვრეული ყოფილა, მაგრამ აღუდგენიათ, ნატეხების ერთმანეთზე მიწებების გზით მისთვის მთლიანი, მაგრამ არასწორი სახე მიუციათ. ეს ქილაც წინააღწერილი ქილის მსგავსია; ტანი, ყურები და პირი მისებურად აქვს მოყვანილი, ოღონდ ძირისაკენ ეს უფრო მეტად არის შევიწროებული. ტანის შუას ქვემოთ მუცელი შესამჩნევად არის გაფართოებული. დაზიანების გამო ჭურჭლის გვერდი შებრეცილა ჭდა პირსაც მოგრძო მოყვანილობა მიუღია. ქილის ტანიცა და ყურებიც თეთრი და მოწითალო-მოყვანისფრო საღებავებით არის ორნამენტირებული. წითელი საღებავების ორნამენტი ერთ ნახევარზე კარგად ეტყობა, მეორე ნახევარზე კი—მერთალად. ჭურჭელი ალბათ ვარდიგარდმო არის ნახეხი, ხეხვის კვალი ძირის ირგვლივ ეტყობა, შიგნიდანაც და გარედანაც მოშავო-მორუხო ფერისაა.

სარძევე (ქილა—A 40/85). წითელი თიხისაა. შიგნიდანაც და გარედანაც წითელი ფერისაა, მოყვანილობით ზემოაღწერილ ქილათა მსგავსია, მაგრამ მათზე უფრო სქელი კედლები აქვს და მიძმეც არის, მთლიანია, მაგრამ ადგილ-ადგილ, შირიმის კენჭების ადგილსამყოფელთან, კანამოტეხილია. ყურის თავი პირთან ახლოს არის მიბმული, ძირი კი—დაამოტეხილი ტანის შუა ადგილას. ჭურჭელი ვარდიგარდმოდ არის გახეხილი, ძირის ირგვლივ კედელი მეტად სიპად არის დაგლუვებული. წითელი და თეთრი ფერით არის მოხატული.

ქილა (სარძევე 76—09/3). ღია წითელი ფერის თიხისაა, გარედანაც და შიგნიდანაც მხრიდანაც ღია წითელ ფერად იყურება. მოყვანილობით ყოველმხრივ ქართულ საწველეს მიემსგავსება. ძირისკენ შევიწროებულია—სივიწროვე საკმაო სიმაღლეზე მოდის, შემდეგ ვანიერდება და ყელთან კი კვლავ ვიწროვდება. საწველელის მუცელი, მისი ყელის სიმაღლეს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ტანის შუას ზემოთ არის გავანიერებული. სარძევე პირგადაშლილია, მაგრამ უშობოა. ზემოაღწერილ ჭურჭელთა მსგავსად სწორედძირიანია. ნახევარკალისებურ კეხიან ყურთა თავები ყელზეა მიბმული (პირთან ახლოს) და ბოლოები კი მუცლის ვანიერ ნაწილზეა მიმაგრებული. ჭურჭლის ტანი, პირი და ყურებიც კი ნახეხია. ტანს ხეხვის შედეგად ალბეკილი ვერტიკალური ზოლები ატყვია. ტანიცა და ყურებიც წითლად და თეთრად არის ორნამენტირებული. სარძევეს კედელი სისქით უკანასკნელად დახსიათებული ქილის კედელს მოგვაგონებს. ჭურჭელი, როგორც ვთქვით, წინა ჭურჭლებთან შედარებით სქელკედელია, მაგრამ კარგად არის დამუშავებული; დამუშავების მხრივ ის ნუხურ ჭურჭელს ვვაგონებს.

ქილა (A 42—85/1) თიხისაა. ძირი ალბათ გამოწვევის გამო გაშვებული აქვს და ტანს კი მოწითალო-მორუხო ფერი გადაკრავს. ნახეხია. შემ-



კულია წითელი და თეთრი საღებავებით გამოყვანილი ორნამენტი, წარმოადგენს ძირითადი ნაწილი ბურთივით მრგვალი და განიერი მუცლის შქონე ქიქლას წარმოადგენს. ყელი დაბალი აქვს; პირი ძაბრისებურად ვადაშლილი. ყურის თავი პირთანვეა მიმაგრებული. ძირი კი მუცლისა და მკერდის მიჯნაზე. კრაქს წინა მხრიდან—ყურის მოპირდაპირე მხრიდან, მუცელზე, თავდამრგვალებული მილი აქვს მიბმული, ამ უკანასკნელის თავი ზემოთა მხრიდან მრგვლად არის ამოჭრილი.

ქრაქი (A42—85/3) ზემოხსენებული ქრაქის აღწერილობა ამ უკანასკნელზედაც გავრცელდება (ზემოაღწერილი ქრაქისაგან განსხვავებით, ამას ძირი არა აქვს ვაშვებული).

ქიქლა (A49—85/3) წითელი ფერის თიხისაგან არის გაკეთებული, მოწითალო ფერი გარედანაც ვადაპკრავს, მაგრამ სიძველით გამოწვეული სიშავეც არის აღბეჭდილი. შემდგარია მეტად მაღალსა და დაფანჯრულ ფეხზე. ქიქლა ოთხ სვეტზეა დაყრდნობილი, თვით სვეტები კი გვერდებდაკბილულსა და გულ-ღრუ ქუსლზე არიან დაყრდნობილი. ქიქლის ქუსლი რვაწახნაგოვანია. ქიქლას აქვს განიერი ყელი და ტუჩიანი პირი (პირი ძაბრისებურად ყოფილა მოყვანილი, მაგრამ მისი ორი მოპირდაპირე მხარე განსაზღვრულ ადგილას ერთმანეთისათვის მიუახლოებით და ტუჩი გაუკეთებიათ). კეხიანი ყურის თავი ყელის შუა ადგილას არის მიბმული და ძირი კი ტანის შუას ქვემოთ. ქიქლა მკრთალად აღბეჭდილი წითელი საღებავით არის მოხატული.

ქინქილა (A49—85/4) ზემოთ დახასიათებული ქიქლის დახასიათება ამაზედაც გავრცელდება (ოღონდ ეს უფრო დაბალია და ქუსლიც შეიდი წახნაგის მაგიერ რვაწახნაგოვანი აქვს).

ჯამი (A43—85) სამ პატარა ფეხზე შემდგარს ბრტყელსა და გულ-ვადაშლილ ჯამფილას წარმოადგენს. ჩანს, რომ წითელი თიხისაგან არის გაკეთებული. შიგნიდანაც და გარედანაც თეთრი და წითელი საღებავებით არის ორნამენტირებული. ორნამენტი შესანიშნავია გარეთა მხრიდან მანის სახეებითაც არის მოხატული. გარედან გახეხილ-დავლუვებულია. გვერდში, პირთან ახლოს, ერთმანეთის გვერდით ორი ნაჩვრეტია გაკეთებული. გვერდი გამოწვის დროს შეპბრეცია.

ჯამი (76—09/9) იმგვარივე მოყვანილობის ჯამფილაა. პირი ერთ ადგილას ამოტეხილი ჰქონია, მაგრამ მიუწებებიათ. შიგნიდანაც და გარედანაც თეთრი და ბაცი ყავისფერი საღებავით არის მოხატული. ორნამენტი ძალიან კარგია. გარეთა მხარეს ხეხვის შედეგად აღბეჭდილი ზოლებია დაჩენული.

დაღესტნური ქურჭელი, როგორც ზემოთ წარმოადგენილი აღწერილობიდანაც დადინახავდით, მაღალი ტექნიკით არის დამუშავებული; კერამიკული ტექნიკის განვითარებულობაზე მიგვითითებს ქურჭლის თხელი კედელი და ლამაზად დავლუვებულ-ორნამენტირებული ზედაპირი. თხელკედლიანი ქურჭლის დამზადების შესაძლებლობას შეიძლება თიხის ძარღვიანობით გამოწვეული მაღალხარისხოვნობაც იძლეოდეს, მაგრამ ძირითადად მაინც ის დაღესტნელ ოსტატთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებების ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს.

ქურჭელი № 37—85/1 (ტაბ. I, 1) სიმაღლე 41 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე 33 სმ, ყელის სიმაღლე—11 სმ, ძირის დიამეტრი—17 სმ, ზომა

ძირის ირგვლივ 57,5 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—90 სმ ზომა ყელის ძირის ირგვლივ—30,5 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—34 სმ, პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით)—17,3 სმ (ამ ზომიდან საკუთრივ პირის სიგრძე 10 სმ-ს უდრის, პირისა და ტუჩის გამყოფი ხიდის სიგრძე—2 სმ-ს და ტუჩის სიგრძე კი—5,3 სმ-ს), პირის სიგანე—10,8 სმ, ტუჩის სიგანე—3,6 სმ, მანძილი ყურის თავსა და ყელის ძირს შორის—1 სმ, მანძილი ყურის ძირსა და კურკელის ძირს შორის—20 სმ, ყურის სიგრძე—18 სმ, ყურის სიგანე—3,5 სმ.

კურკელი № A37—85/2 (ტაბ. I, 2), სიმაღლე—40 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე—33 სმ, ყელის სიმაღლე—10,5 სმ, ძირის დიამეტრი—17 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—57 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—90 სმ, ზომა ყელის ძირის ირგვლივ 27,5 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ 30 სმ, პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით)—15,5 სმ (ამ ზომიდან საკუთრივ პირის სიგრძე 9 სმ-ს უდრის, პირისა და ტუჩის გამყოფი ხიდის სიგრძე 1,5 სმ-ს და ტუჩის სიგრძე კი 5 სმ-ს), პირის სიგანე—11 სმ, ტუჩის სიგანე—3 სმ, მანძილი ყურის თავს და ყელის ძირს შორის—1 სმ, მანძილი ყურის ძირსა და კურკელის ძირს შორის—20 სმ, ყურის სიგრძე 16,5 სმ, ყურის სიგანე—2,7 სმ.

კურკელი № 76—09/7 (ტაბ. I, 3—4) სიმაღლე—43 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე—33 სმ, ყელის სიმაღლე—10,5 სმ, ძირის დიამეტრი—16,5 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—57 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—95 სმ, ზომა ყელის ძირის ირგვლივ—27,5 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—30 სმ, პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით)—15,5 სმ (ამ ზომიდან საკუთრივ პირის სიგრძე 9 სმ-ს უდრის, პირისა და ტუჩის გამყოფი ხიდის სიგრძე—2,5 სმ-ის და ტუჩის სიგრძე კი 4 სმ-ს), პირის სიგანე—12 სმ, ტუჩის სიგანე—2 სმ, მანძილი ყურის თავსა და ყელის ძირს შორის—1 სმ, მანძილი ყურის ძირსა და კურკელის ძირს შორის—25 სმ, ყურის სიგრძე—15,5 სმ—ყურის სიგანე—

კურკელი № 76—09/6 (ტაბ. I, 5—6). სიმაღლე—21,5 სმ, ფეხის სიმაღლე—1 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე—17 სმ, ყელის სიმაღლე—6 სმ, ძირის დიამეტრი—12 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—55 სმ, ზომა ყელის ძირის ირგვლივ—16 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—18 სმ, პირის დიამეტრი—7 სმ, წურწუმის სიმაღლე—9,5 სმ, ზომა წურწუმის ძირის ირგვლივ—10 სმ, ზომა წურწუმის თავის ირგვლივ—5,5 სმ, წურწუმის ნაჩერეტის დიამეტრი—0,5 სმ, ყურის თავი ყელის ძირშივე მიბმული და ძირი კი კურკელის ძირიდან 9 სმ-ს დაშორებით. ყურის სიგრძე—11,5 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

კურკელი № A74—85 (ტაბ. II, 1—2) სიმაღლე—23, 5 სმ, ფეხის სიმაღლე—1 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე—17 სმ, ყელის სიმაღლე—6,5 სმ, ძირის დიამეტრი 12 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—56 სმ, ზომა ყელის ძირის ირგვლივ—16 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—17 სმ, პირის დიამეტრი—7 სმ, წურწუმის სიმაღლე—11 სმ, ზომა წურწუმის ძირის ირგვლივ—13 სმ, ზომა წურწუმის თავის ირგვლივ—4,7 სმ, წურწუმის ნაჩერეტის დიამეტრი—0,8 სმ, ზომა ყურის თავსა და ყელის ძირს შორის—0,5 სმ, ზომა ყურის ძირსა და კურკელის ძირს შორის—9 სმ, ყურის სიგრძე—13 სმ, ყურის სიგანე—2,5 სმ.

კურკელი № 13—85/3 (ტაბ. II, 3—4), სიმაღლე—28,5 სმ, ქუსლის სიმაღლე—2 სმ, ზომა მუცლის ძირიდან ყელის ძირამდე—19, 5 სმ, ყელის სიმაღლე—9,5 სმ, ქუსლის დიამეტრი—11 სმ, ძირის დიამეტრი—8,3 სმ, ზომა მუცლის ძირის ირგვლივ—33 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—58,5 სმ, ზომა



ყელის ძირის ირგვლივ—15 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—16,5 სმ, პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით)—7 სმ (ამ ზომიდან საკუთრივ პირის სიგრძე 5 სმ-ს უღრის და ტუჩის სიგრძე კი 2 სმ), პირის სივანე—6 სმ, ტუჩის სივანე (პირის მიჯნასთან)—2 სმ, მანძილი ყურის თავსა და ყელი ძირს შორის—1,5 სმ, მანძილი ყურის ძირსა და ქურქლის ძირს შორის—14 სმ, ყურის სიგრძე—12,5 სმ, ყურის სივანე—3 სმ.

ქურქელი № A13—85/2 (ტაბ. II, 5—6) სიმაღლე—27 სმ, ზომა, ძირიდან ყელის ძირამდე 30 სმ, ყელის სიმაღლე—7 სმ, ძირის დიამეტრი—10 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—38,5 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—55 სმ, ზომა ყელის ძირის ირგვლივ—12,5 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—14 სმ, საკუთრივ პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით)—4,2 სმ, პირის სივანე—4,4 სმ, ტუჩის სიგრძე 2,5 სმ, ტუჩის ყველაზე განიერი ნაწილის სივანე—1,5 სმ, ყურის თავი ყელის ძირშივე მიბმული და ძირი კი ქურქლის ძირიდან 10,3 სმ-ს დაშორებით. ყურის სიგრძე—13 სმ, ყურის სივანე—2,5 სმ.

ქურქელი № 76—09/5 (ტაბ. IV, 5) სიმაღლე—28,5 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე—23 სმ, ყელის სიმაღლე—6,5 სმ, ძირის დიამეტრი—10,8 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—41 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—63 სმ, ზომა ყელის ძირის ირგვლივ—13 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—15 სმ, პირის დიამეტრი—5,5 სმ, მანძილი ქურქლის ძირისა და ყურის ძირს შორის—14,5 სმ, ყურის სიგრძე—13 სმ, ყურის სივანე—3 სმ.

ქურქელი № 76—09/6 (ტაბ. IV, 6) სიმაღლე—23,5 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე—19 სმ, ყელის სიმაღლე—6 სმ, ძირის დიამეტრი—11,4 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—42 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—56 სმ, ზომა ყელის ძირის ირგვლივ—სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—15,5 სმ, პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით)—6,3 სმ, პირის სივანე—6 სმ, მანძილი ქურქლის ძირსა და ყურის ძირს შორის—10,5 სმ, ყურის სიგრძე—12 სმ, ყურის სივანე—2,5 სმ.

ქურქელი № A41—85/ (ტაბ. IV, 8—9) სიმაღლე—25 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე—20 სმ, ყელის სიმაღლე—6,5 სმ, ძირის დიამეტრი—9,5 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—37 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—53 სმ, ზომა ყელის ძირის ირგვლივ—14 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—15 სმ, პირის დიამეტრი—5,2 სმ, მანძილი ქურქლის ძირსა და ყურის ძირს შორის—11,5 სმ, ყურის სიგრძე—13 სმ, ყურის სივანე—2,5 სმ.

ქურქელი № A 60—85 (ტაბ. II, 7—8) სიმაღლე—26 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე—19 სმ, ყელის სიმაღლე—8,5 სმ, ძირის დიამეტრი—11,5 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—39 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—60,5 სმ, ზომა ყელის ირგვლივ—30 სმ, პირის დიამეტრი—9 სმ, მანძილი ყელის ძირსა და ყურის თავს შორის—1,5 სმ, მანძილი ქურქლის ძირსა და ყურის ძირს შორის—10,5 სმ, ყურის სიგრძე—15 სმ, ყურის სივანე—2,5 სმ.

ქურქელი № 76—09/8 (ტაბ. II, 9) სიმაღლე—32 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე 26 სმ, ყელის სიმაღლე—8,5 სმ, ძირის დიამეტრი—14,3 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—51,5 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—80 სმ, ზომა ყელის ძირის ირგვლივ 32 სმ, ზომა ყელის შუა ნაწილის ირგვლივ—36 სმ, პირის დიამეტრი—13 სმ, მანძილი ყელის ძირსა და ყურის თავს შორის—2 სმ, მანძილი ქურქლის ძირსა და ყურის ძირს შორის—17,5 სმ, ყურის სიგრძე—13,5 სმ, ყურის სივანე—2,7 სმ.

ჭურჭელი № 76—09/4 (ტაბ. II, 10—11) სიმაღლე—29 სმ, ძირიდან ყელის ძირამდე—21,5 სმ, ყელის სიმაღლე—8 სმ, ძირის დიამეტრი—14,8 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—54 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—67 სმ, ზომა ყელის ირგვლივ—33 სმ, პირის დიამეტრი—11,5 სმ, მანძილი ყელის ძირსა და ყურის თავს შორის—2,5 სმ, მანძილი ჭურჭლის ძირსა და ყურის ძირს შორის 14 სმ, ყურის სიგრძე—15,5, ყურის სიგანე—2,5 სმ.

ჭურჭელი № 38—85/1 (ტაბ. III, 1—2) სიმაღლე—16 სმ, წახნაგოვანი გვერდის სიმაღლე—9 სმ, და სიგანე—5 სმ, ძირის დიამეტრი—12,5 სმ, ძირის წახნაგის სიგრძე—4,5 სმ, პირის სიგრძე—4,5 სმ, პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით)—10 სმ, პირის სიგანე—9,5 სმ, პირის გადაშლილი ნაწილის სიმაღლე—1 სმ. ყური მობმულია პირიდან 1 სმ-ს და ძირიდან კი 6,5 სმ-ს დაშორებით. ყურის სიგრძე—11,5 სმ, ყურის სიგანე—2,5 სმ.

ჭურჭელი № A 38—85/2 (ტაბ. II, 14—15) სიმაღლე—17,5 სმ, წახნაგოვანი გვერდის სიმაღლე—9 სმ, და სიგანე—5 სმ, ძირის დიამეტრი—12,5 სმ, ძირის წახნაგის სიგრძე—6 სმ, პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით) 11 სმ, პირის სიგანე—10 სმ, პირის გადაშლილი ნაწილის სიმაღლე—1,5 სმ, ყური მობმულია პირიდან 1,5 სმ-ს და ძირიდან 7,5 სმ-ს დაშორებით. ყურის სიგრძე—12 სმ, ყურის სიგანე—2,5 სმ.

ჭურჭელი № A 75—85 (ტაბ. II, 12—13) სიმაღლე—9,5 სმ, წახნაგოვანი გვერდის სიმაღლე—5 სმ და სიგანე—4 სმ, ძირის წახნაგის სიგრძე—4 სმ, ძირის დიამეტრი—8 სმ, პირის დიამეტრი—8 სმ, მანძილი ყურის ძირსა და ჭურჭლის ძირს შორის—3 სმ, ყურის სიგრძე—10 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

ჭურჭელი № A 41—85 სიმაღლე—12,5 სმ, ძირის დიამეტრი 9 სმ, ზომა ტანის განიერი ნაწილის ირგვლივ (ძირის ირგვლივ)—43,5 სმ, ზომა ტანის შუა ნაწილის ირგვლივ—43 სმ, პირის დიამეტრი—12 სმ, მანძილი ჭურჭლის ძირსა და ყურის ძირს შორის—4,5 სმ, ყურის სიგრძე—11 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

ჭურჭელი № A 100—99 (ტაბ. III, 5—6) სიმაღლე—10,5 სმ, პირის ირგვლივ შემორტყმული საღტის სიგანე—1,5 სმ, ძირის დიამეტრი—7,8 სმ, ზომა ტანისა განიერი ნაწილის ირგვლივ (ძირის ირგვლივ)—39,5 სმ, ზომა ტანის შუა ნაწილის ირგვლივ—39 სმ, პირის დიამეტრი—9,3 სმ, მანძილი ჭურჭლის ძირსა და ყურის ძირს შორის—4,5 სმ, ყურის სიგრძე—10 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

ჭურჭელი № A 39—85 (ტაბ. III, 3—4) სიმაღლე—26 სმ, ძირის დიამეტრი—19 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—72 სმ, ზომა ტანის შუა ნაწილის ირგვლივ—87 სმ, ზომა ყელის ირგვლივ—58 სმ, შიბის სიგანე—1 სმ, პირის დიამეტრი—17,5 სმ, ყურები მიბმულია პირიდან 1,5 სმ-ს და ჭურჭლის ძირიდან 13,5 სმ-ს დაშორებით. ყურის სიგრძე—15 სმ, ყურის სიგანე—3 სმ.

ჭურჭელი № 76—09/2 (ტაბ. III, 8) სიმაღლე—21,5 სმ, ძირის დიამეტრი—15 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—55 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—71,5 სმ, ზომა ტანის შუა ნაწილის ირგვლივ—69 სმ, ზომა ყელის ირგვლივ—56 სმ, პირის სიგრძე—18 სმ, პირის სიგანე—15,5 სმ, შიბის სიგანე—0,5 სმ, ყურები მიბმულია პირიდან 1 სმ-ს და ჭურჭლის ძირიდან კი 12,5 სმ-ს დაშორებით. ყურის სიგრძე—12 სმ, ყურის სიგანე—2,5 სმ.

ჭურჭელი № A 40—85 (ტაბ. III, 9) სიმაღლე—21,5 სმ, ძირის დიამეტრი—15,5 სმ, ზომა ძირის ირგვლივ 58 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—



72,5 სმ, ზომა ტანის შუა ნაწილის ირგვლივ—73 სმ, ზომა ყელის ირგვლივ—74 სმ, პირის დიამეტრი—14,5 სმ, შიბის სიგანე—1 სმ, ყურები მოშორებული პირიდან 1,5 სმ-ს და ჭურჭლის ძირიდან—10 სმ-ს დაშორებით. ყურის სიგრძე—14 სმ, ყურის სიგანე—2,5 სმ.

ჭურჭელი № 76—09/3 (ტაბ. III, 7) სიმაღლე 21,2 სმ, ზომა ძირიდან ყელის ძირამდე—17 სმ, ყელის სიმაღლე—4,5 სმ; ძირის დიამეტრი—12 სმ, ზომა ძირის ირგვლივ—42 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—60 სმ, ზომა ყელის ირგვლივ—43 სმ, პირის დიამეტრი—13,5 სმ, ყურები მოშორულია პირიდან 2 სმ-ს და ჭურჭლის ძირიდან კი 10,5 სმ-ს დაშორებით. ყურის სიგრძე—12 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

ჭურჭელი № A 49—85/1 (ტაბ. IV, 1) საერთო სიმაღლე 16,5 სმ, ფეხის სიმაღლე—7,5 სმ, ზომა ქიქლის ძირიდან ყელის ძირამდე—5 სმ, ქიქლის სიმაღლე—9 სმ, ყელის სიმაღლე—4 სმ, სვეტის სიმაღლე—5 სმ, ფანჯრის სიმაღლე—5 სმ, ძირის დიამეტრი—6,5 სმ, ძირის წახნაგის სიგრძე—3 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ—16 სმ, ზომა ყელის ირგვლივ—10 სმ, პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით)—5,5 სმ, (ამ ზომიდან საკუთრივ პირის სიგრძე 2,5 სმ-ს უდრის, უდრის, ტუჩის სიგრძე—1,7 სმ, და ხიდის სიგრძე კი—1,2 სმ), ყურის ძირი ქიქლის ძირს ემთხვევა და ყელზე მიზმული ყურის თავი კი პირიდან 1 სმ-ით არის დაშორებული. ყურის სიგრძე—9 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

ჭურჭელი № A 49—85/2 (ტაბ. IV, 2). საერთო სიმაღლე 18 სმ, ფეხის სიმაღლე 8,5 სმ, ქიქლის სიმაღლე—9,5 სმ, ზომა ქიქლის ძირიდან ყელის ძირამდე—5,5 სმ, ყელის სიმაღლე—4 სმ, ძირის დიამეტრი—8 სმ, ძირის წახნაგის სიგრძე—3 სმ, სვეტის სიმაღლე—5 სმ, ფანჯრის სიმაღლე—5 სმ, პირის სიგრძე (ტუჩის მიმართულებით)—4,5 სმ (ამ ზომიდან საკუთრივ პირის სიგრძე 2 სმ-ს უდრის, ტუჩის სიგრძე—1,5 სმ-ს, პირისა და ტუჩის გამყოფი ხიდის სიგრძე კი—1 სმ-ს). მანძილი ყურის თავსა და ყელის ძირს შორის—1 სმ, მანძილი ქიქლის ძირსა და ყურის ძირს შორის—1 სმ, ყურის სიგრძე—8 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

ჭურჭელი № A 42—85/1 (ტაბ. IV, 3—4) სიმაღლე—10,5 სმ, სიგრძე—19 სმ, ზომა ჭურჭლის ძირიდან ყელის ძირამდე—8 სმ, ყელის სიმაღლე—3 სმ, ძირის დიამეტრი—6,5 სმ, ზომა ჭურჭლის მუცლისა და მილის ირგვლივ—39,5 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ (მილის დასაწყისამდე)—24 სმ, ზომა ყელის ირგვლივ—12 სმ, პირის დიამეტრი—4 სმ, მილის პირის დიამეტრი—2,5 სმ, მანძილი ყურის ძირსა და ჭურჭლის ძირს შორის—4,5 სმ, ყურის სიგრძე—8 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

ჭურჭელი № A 42—85/2 (ტაბ. IV, 5—6) სიმაღლე 9,7 სმ, სიგრძე—18 სმ, ზომა ჭურჭელის ძირიდან ყელის ძირამდე—7,5 სმ, ყელის სიმაღლე—2,5 სმ, ძირის დიამეტრი—6 სმ, ზომა მუცლისა და მილის ირგვლივ—38 სმ, ზომა მუცლის ირგვლივ (მილის დასაწყისამდე)—22 სმ, ზომა ყელის ირგვლივ—11 სმ, პირის დიამეტრი 4,8 სმ, მილის პირის დიამეტრი 2,5 სმ, მანძილი ჭურჭლის ძირსა და ყურის ძირს შორის—4 სმ, ყურის სიგრძე—8 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

ჭურჭელი № A 43—85 (ტაბ. IV, 7) სიმაღლე—10,5 სმ, ფეხის სიმაღლე—1,5 სმ, პირის დიამეტრი—32,5/28 სმ, გულის დიამეტრი—23 სმ.

ჭურჭელი № 76—09/9 (ტაბ. IV, 10) სიმაღლე—10 სმ, ფეხის სიმაღლე—1 სმ, პირის დიამეტრი—29 სმ, გულის დიამეტრი—18 სმ.



1



2



3



4



5



6



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



1



2



7



3



4



5



6



8



9



10



1



2



3



4



5



6



7



8



9



10

ხევსურული ტალავარი

ეროვნული კულტურის მძლავრ ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველობამ გარდასულ ეპოქაში წარმოშობილი მრავალი მოვლენა, გადმონაშთის სახით, დღევანდლამდე შემოინახა და კერძოდ კი, „ხევსურების“ სახელწოდებით ცნობილმა ქართველმა ტომმა, როგორც ცნობილია, მას ცხოველმყოფელი ხანგრძლიობა შეუქმნა. ხევსურთა სულიერსა და მატერიალურ ყოფაში არქაულობით მოცული მოვლენები საკმაოდ უხვად გვხვდება. შორეული წარსულის მემკვიდრეობას მათი ტალავარიც მიეკუთვნება.

ქართული მწერლობის უძველესი ძეგლები „ხევსურისა“ და „ხევსურეთის“ სახით წარმოდგენილ სახელწოდებებზე არაფერს მოგვითხრობენ, მაგრამ, ფშავ-ხევსურების წინაპრებად სავარაუდებელ „ფხოველთა“ შესახებ კი საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემენ. „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი ქართალელთა, გუდამაყრელთა, ერწოთიანელთა და თუშთა გვერდით ფხოველთაც იხსენიებს¹, და თამარის ისტორიკოსიც მათ საგანგებოდ ასახელებს². პირველი საერო ხელისუფლების მახვილით შეიარაღებული ქრისტიანობის გავრცელებას აგვიწერს და მეორე კი—სამეფო სპისა (დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა, ქართალთა და ერწოთიანელთაგან შემდგარი ლაშქრის) და განდგომილ ფხოველ-დიდოთა ლაშქრის შებრძოლების სურათს წარმოგვიდგენს. აღმოსავლეთ საქართველოს თანამედროვე მთიანეთისათვისაც კარგად ცნობილი ტომებისა და ფხოველების ერთად მოხსენიება (ფშავ-ხევსურების დაუსახლებლობის ფაქტის გათვალისწინებით), ფხოველთა სამფლობელოს გეოგრაფიული მდებარეობის ნიშანდობლივი აღწერა და მათი ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მომენტების გათვალისწინება უფლებას გვაძლევს, რომ ქართველ მეცნიერთაგან განოთქმული აზრი სამართლიანად მივიჩნიოთ, ძველი საქართველოს „ფხოველებში“ ჩვენი დროის ფშავ-ხევსურნი (პირველ რიგში კი ხევსურნი) უნდა ვიგულოთ.

ფხოველთა და ფშავ-ხევსურთა იდენტურობის საკითხი პირველად ვახუშტი ბატონიშვილმა წამოაყენა³. სახელოვანი ისტორიკოსის ეს მოსაზრება მომდევნო პერიოდის მკვლევართა ჯგუფმაც უკამათოდ გაიზიარა⁴. ხევსურ-

¹ თუმცა ზემოაღნიშნულ თხზულებაში მოხსენიებული „თუშეთის“ მიხედვით ვასახელებთ.

² ქართლის ცხოვრება, ნაწ. პირველი, ბროსეს გამ., სანკტპეტერბურღს, 1849, გვ. 97—98.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 86, 93.

⁴ А. Шанидзе, Отчет о летней командировке 1913 в Душетский и Тифлисский уезды Тиф. губ. для изучения груз. говоров. Изв. Р. Акад. Наук, серия VI, № 18, СПб, 1913, от. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, ტფილისი, 1914, Н. Я. Марр, Кавказские племенные названия и местные параллели, Петроград, 1922; ს. მაკალათია, ხევსურეთი, ტფილისი, 1935.



რების წარმოშობასთან დაკავშირებული შეხედულების განსამტკიცებლად ხსენებულმა მეცნიერებმა, ზემოდსახელებულ წყაროთა გარდა, სხვა ხანისათვის მონაცემებიც მოიშველეს. აღნიშნული მოსაზრება ეთნიური და გეოგრაფიული ტერმინების დახმარებითაც დაასაბუთეს. კავკასიელ მთიელთა ზოგიერთი ტომი ხევესურებს პირვანდელი სახელწოდებით იხსენიებს, კერძოდ, ქისტები მათ თურმე ფხიასა და ფხიეს უწოდებენ, „ფხიაცა“ და „ფხიეც“ როგორც ჩანს, „ფხოვ“ „ფხოველთან“ უნდა იყოს დაკავშირებული; გეოგრაფიული სახელი „შუა-ფხო“ და „აფშოც“ (ს. მაკალათიას თქმით, ჩარგლის მეორე სახელწოდებად მიჩნეული „აფშუშო“) ამავე ძირთან უნდა იქნეს დანათესავებული¹.

ძველი დროის ფშავ-ხევესურთა ტომობრივი სახელი, ამგამადაც ჯერ კიდევ უცნობი მიზეზების გამო, თანდათან დაეწიებას მიეცა. „ფხოველის“ ადგილი, დროთა ვითარებაში, „ფშაველმა“ და „ხევესურმა“ დაიკურა. მე-17 საუკუნეში მომხდარ ამბავთა ამსახველი ხალხური პოეზია უკვე „ფშავ-ხევესურების“ ან „ფშავ-ხევესურეთის“ შესახებ ლაპარაკობს და ქართული საისტორიო მწერლობაც „ფშავისა“ და „ხევესურეთის“ შესახებ მოგვითხრობს.

მრავალმხრივ საყურადღებო ხევესურეთმა მკვლევართა და მოგზაურთა მეცნიერული ინტერესი ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში გამოიწვია. დაინტერესებულ პირთა ერთმა ჯგუფმა ამ საგულისხმო კუთხის მიმართ შექმნილი შთაბეჭდილებანი მცირე შენიშვნებში გამოხატა და ეთნოგრაფთა გარკვეულმა ნაწილმა ის საგანგებო კვლევის ობიექტად აქცია. ზისერმანის², ერისთავის³, ხუდადოვის⁴, რადეს⁵ და ურბნელის⁶ ნაშრომები ამ კუთხის ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლას მიეძღვნა და მიმდინარე საუკუნის უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე აღმოცენებული ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მოღვაწეობაშიც ხომ მას საპატიო ადგილი დაეთმო.

ხევესურეთის ეთნოგრაფიული შესწავლის პროცესში ხევესურთა ტომობრივი გენეზისის საკითხიც წამოიჭრა. ზისერმანმა ქართულ წერილობით წყაროებში წარმოდგენილი ცნობები არ გაითვალისწინა და დამაჯერებლობას მოკლებული საბუთების მიხედვით ხევესურების წარმოშობის თავისებური თეორია წამოაყენა: ხევესური მამაკაცის შეიარაღების, ჩაცმულობის ცალკეულ ელემენტთა კრილის და მასზე გამოსახული ჯვარის ორნამენტის საფუძველზე, ხევესურები ჯვაროსან მეომართა შთამომავლებად მიიჩნია⁷.

ზისერმანის სავარაუდო მოსაზრება არც ერისთავმა მიიღო⁸ და არც რადემ გაიზიარა⁹. ზისერმანის მიერ წამოყენებული დებულების საწინააღმდე-

¹ ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით არაბულებისა და ჭინჭარაულების პირვანდელ სამშობლოდ ფშავში მდებარე სოფელი აფშოა მიჩნეული. ამნაირი ხასიათის გადმოცემა ჩაგვაწერინა სოფ. დათვისში მცხოვრებმა გიორგი გიგას ძე არაბულმა.

² А. А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, С. Петербург, 1879; მისივე—Очерки Хевсурети, И «Кавказ», 1851, № 2—24.

³ Р. Эрнстов, О тушино-пшаво-хевсурском округе, ЗКОРГО, в. III.

⁴ Н. Худатов, Заметки о Хевсурети, ЗКОРГО, в. XIV.

⁵ Г. Радде, Хевсурия и хевсуры, ЗКОРГО, в. XI, 2; G. Radde, Chevs'uren und ihr Land, Kassel, 1878.

⁶ ნ. ზიზანიშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები.

⁷ А. А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, стр. 190, 208—209

⁸ Р. Эрнстов, О тушино-пшаво-хевсурском округе.

⁹ Г. Радде, Хевсурия и хевсуры, стр. 58, 59.



გოდ, მათ ხევისურთა ქართველური წარმოშობის უცილობლობა აღიარეს და უკანასკნელ ხანში გამოსული „ხევისურული ორნამენტის“ ავტორებმაც, იმავე ჩაცმა-შეიარაღების საფუძველზე, ხევისურები ქართველთა ერთ-ერთ უძველეს ტომად მიიჩნიეს¹.

ხევისურთა ვინაობის გამრკვევი ცნობებისა და მოსაზრებებ[ის] მიმოხილვა ჩვენ შემდეგ გარემოებათა გამო გვანტერესებდა: 1. ჩვენ გვინდოდა, რომ თემისათვის მასთან ორგანულად დაკავშირებული შესავალი წაგვეძღვარებინა და 2. სასურველად მიგვანჩნდა, რომ ხევისურთა ქართველური წარმოშობის ცხად-მყოფელი ფაქტები ჩვენც სავანგებოდ გაგვემახვილებინა.

ამ ტომის ქართველური წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებენ ლინგვისტური მონაცემები, მასზე ჰალადებენ ეთნოგრაფიული ფაქტები, მას მტკიცე საყრდენს უქმნიან საისტორიო მწერლობის ურყევი საბუთები. „მოქცევაი ქართლისაის შემდგენელი ალბათ სანდო ცნობებს ეყრდნობოდა როდესაც IV საუკუნის პოლიტიკურ ამბებს ეხებოდა, როდესაც „მთიელთა კავკასიანთა“ ურჩობაზე სწერდა და „ფხოელთა“ განდგომილებზე მოგვითხრობდა. IV საუკუნესთან დაკავშირებული ცნობები ყურადღების გარეშეც რომ დავტოვოთ, ხევისურთა წინაპრების თვალსაჩინო არსებობა IX საუკუნისათვის მაინც უნდა ვივარაუდოთ. ამგვარი დოკუმენტების გათვალისწინების შემდგომ როგორ შეიძლება, რომ ხევისურები ჯვაროსანი რაინდების შთამომავლად მიეჩნიათ; როგორ შეიძლება, რომ მეცხრე საუკუნის ძველში დასახლებული ხალხი მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში მოვლენილ ჯვაროსნებთან დაენათესავებინათ.

„ტანსაცმელ-ტანისამოსად“ და „ჩასაცმელ-დასახურად“ სახელდებულ სამოსელს ხევისურეთში ტალავარს უწოდებენ. მას ზოგჯერ სამოსისა და ჩასაცმელ-დასახურის სახელებითაც იხსენიებენ, მაგრამ უპირატესად მაინც ზემომითითებულ სახელწოდებასა ხმარობენ. შესამოსელის აღსანიშნავად განკუთვნილი ტერმინი „ტალავარი“ ხევისურეთის ხალხურ პოეზიაშიც არის ასახული. იმავე პოეზიაში, კანტი-კუნტად, ტალავარის შესატყვისი ზემოხსენებული ტერმინებიც არის წარმოდგენილი². ხევისურების მეზობლად მცხოვრები მოხვედებიც ძველებულ ტანსაცმელს ტარავალად იხსენიებენ და სხვა ქართველი ტომები კი მას სხვაგვარი სახელწოდებით იხსენიებენ.

ძველ ქართულ მწერლობაში დამოწმებული „ტალავარის“ არსი ხევისურული „ტალავარის“ შინაარსს არ შეესატყვისება, არც ერთ წერილობით ძველში ის ხევისურული გაგებით არ იხმარება. ამ ტერმინის სანაცვლოდ „სამოსელი“ ან შესამოსელი“ გვხვდება; თვით სიტყვა „ტალავარი“, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, სხვაგვარი შინაარსის გამოხატვას ემსახურება.

ქართული მწერლობის უძველესი ძეგლის ავტორი—იაკობ ცურტაველი, თხორობით გამოწვეული საჭიროების შემთხვევაში, „სამოსელის“ შესახებ ლაპარაკობს³ და იოანე საბანისძეც აგრეთვე ტერმინ „სამოსელსა“ ხმარობს⁴.

¹ ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, 1, ხევისურული, თბილისი, 1939, გვ. 1—5.

² ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1, ხევისურული, ტფილისი, გვ. გვ. 10, 87, 88, 131, 159, 188, 199, 210, 214, 218, 251, 286.

³ იაკობ ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, თბილისი, 1938, გვ. 40.

⁴ იოანე საბანისძე, ჰაბო ტფილელის მარტვილობა; ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაეწი პირველი, პრაფ. კორნ. კეკელიძის რედაქციით და გამოკლევით, თბილისი, 1935, გვ. გვ. 65, 71 73, 74.



„ძაძისა სამოსელი მცირელა შეგერაცხა საგუემელად¹ და იკუნძინა იაკობ ხუცესი გემით გაწამებულს და დიღეგში გამომწყვედელს შუშანიკს. ჰაბო ტფილელმა, სიკვდილით დასჯის წინ, „განიძარცუა მან სამოსელი თუხი და განსცა იგი სავაჰროდ“; ჰაბოს სიკვდილით დასჯის შემდგომ კი ქრისტეს მსახურებმა „აღიღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუბამი მისი და შთადღეს იგი გუალაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისითურთ“.

„მოქცევაი ქართლისაის“ შემდგენელიცა¹ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ნიჰიერი აღმწერიც², „სამოსელის“ სახით წარმოდგენილ სიტყვას ხმარობენ, სათანადო მომენტებში ისინი ყოველთვის ამ ტერმინს მიმართავენ. „და წმინდად ნინო მსახურებდა ნიაფორსა; სომეხსა დვინელსა, ორ წელ, და ჰკითხვდა ყოვლად ვნებათა—მათ ქრისტესთა, ჯუარ-ცმისა, დაფლუსა და აღდგომისა ძალსა, და სამოსლისა მისისა, ტილოთა და სუდარისასა, მიწყებით ყოველისაო“—გადმოგვცემს წმ. ნინოს შესახებ „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი. „რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი რომელ ემოსა მოხუცებულსა მას ესრეთ ჩნდა ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისადაო“—მოგვითხრობს გრ. ხანძთელის შესახებ გიორგი მერჩული.

ტერმინ „სამოსელ“ „შესამოსელთან“ და მათ შინაარსთან დაკავშირებული ცნობები განსაკუთრებით უხვად „დაბადებაშია“ წარმოდგენილი. „და უქმნა უფალმან ღმერთმან ადამსა და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შემოსნა მით“—ნათქვამია „შესაქმეს“ პირველ წიგნში; „ხოლო იაკობს უწყარდა იოსებ უფროს ყოველთა ძეთა მისთა, რამეთუ ძე სიბერისა მისისა იყო; და უქმნა მას სამოსელი ქრელი“. ეგვიპტის მმართველად დადგენილმა იოსებმა „ყოველთა მათ მისცა მრჩობელი მესამოსლები: „ხოლო ბენიამენს მისცა სამასი დრაკანი, და ხუთნი საცვალებელნი შესამოსელნი“, და ესე სამოსელნი არიან რომელნი უქმნე მას: სამკერდე, და სამკრე, და ფერჯთა სასხმელი, სამოსელი ფესტუდი და ვარშამანგი და სარტყელი“—აღნიშნულია დაბადების იმავე თხზულებაში³.

გამოთქმული მოსაზრების დამამტკიცებელ საბუთს ჯუანშერ ჯუანშერიანის საისტორიო აღწერილობაშიც ვპოულობთ, მის სამართლიანობას ბასილ ზარზმელის ნაწარმოების მიხედვითაც ვადასტურებთ. „და მოკჳდა ვახტანგ, და დაეფლა მცხეთას, საკათალიკოზოსა სვეტსა თანა, რომელსა შინა არს ღვთივ-აღმართებულისაგან სვეტისა, და ზედა ბაფლაგსა მისსა წერილ არს ხატი მისი, სწორი ასაკისა მისისა: აწ რომელ არს აბჯარო და სამოსელნი მისნი მის-გან უფრო საცნაურ არს“⁴—მოგვითხრობს მეფე ვახტანგ გორგასალის შესახებ ისტორიკოსი ჯუანშერი.

¹ ქართლის ცხოვრება, ნაწ. პირველი, გვ. გვ. 62, 65, 67, 71, 73, 80, 96, 98.

² Георгий Мерчул. Жизнь св. Григория Хандатийского. Грузинский текст, Введение, издание, перевод. Н. Марра, с дневником поездки в Шавшию и Кларджию, С.-Петербург, 1911, გვ. გვ. კბ, კე, კვ, მბ, მე, ნგ.

³ დაბადება (ბიბლია), ნაწილი პირველი და ნაწილი მეორე, ტფილისი, 1884;

1—მოსე—კა, თ,კ, კ,ბ, კ,შ,კ, ლ,პ,პ, ლმ,ი,დ, მ,გ,კ;:

2—მოსე—კ,ბ, კ,დ, ვი და ია.

1 მეფეთა—ბ,ი,შ-ით, იბ,ლმ და ლთ, კდ ვ; დავითნი—ვ,თ, თ,ია, იგ,იშ; იგაენი სოლ.—კ,კ,მ, და,იგ; ნა,შ, ნთ,იზ, ა,ი; ებეციელი—მდ,იზ, მდ,ით და კ; 1 მკაბელთა — ვ,ი, ი,დ,მ,გ.

⁴ ქართლის ცხოვრება, ნაწ. 1, გვ. 149.

ვინმე გარბანელმა იხილა რა თანა სახე სამოსელთა ჩუენთაი და ყოვლითურთ დაბძარულ იყვნეს ასონი ჩუენნი“¹—ათქმევენებს სამოსელთა² რო ადგილის საძებნელად წარგზავნილ ბერებს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების აღმწერი. დავითის ისტორიკოსიც, საქიროების დროს, „სამოსელის“ შესახებ მოგვითხრობს და თამარის ისტორიკოსიც აგრეთვე „სამოსელზე“ ლაპარაკობს. დავით აღმაშენებელმა, მის მიერ აღშენებულ ქსენონში, „მონახის თუსითა ჯელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი საქმარი მათი“³—ამბობს მისი ისტორიკოსი და თამარის ისტორიკოსიც, გადმოგვცემს, რომ ხალიფას წინააღმდეგ ლაშქრის გაგზავნის შემდგომ თამარმა „წარიჯადნა სამოსელნი ფერჯთანი, და შიშვილივ ფერჯითა მიიწია ტაძარსა ლეთისმშობლისისაო“⁴. ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებული ქართველი მხედრობა „შევიდეს ქალაქად, და თვითელუბან იწყო ნიქად, არმალანად, ძღვენთა მოღებად, ოქროსა და სამკაულსა, და ჭურჭელთა მრავალ-სახეთა, თვალთა პატიოსანთა და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჯაჭვთა, მუხარადთა, ჯრმალთა გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა, ოქრო-ქსოვილთა და შესამოსელთა მრავალსასყიდლიანთა“⁵.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და რამდენიმე სიტყვით კვლავ შემდეგი გარემოების შესახებ აღვნიშნავთ: „სამოსელსა“ და „შესამოსელს“ შედარებით იშვიათად ხმარებულ „ტანისაჲოსისა“ და „ტანსაცვამიან“ ერთად, ჟამთა-აღმწერელ თანაც ვხვდებით⁶; მას ჩვენ ფარსადან გორგიჯანიძის⁷, სეხნია ჩხეიძის⁸, ვახუშტი ბატონიშვილის⁹ და პაპუნა ორბელიანის¹⁰ საისტორიო ნაშრომებშიც ვამოწმებთ.

ხეცა და ხეცურეთში სამოსის შინაარსის გამოსახტავად განკუთვნილ სიტყვა „ტალავარი“ საბა ორბელიანი „საჩრდილობელად“ განმარტავს და თავისი აზრის დასასაბუთებლად სახარების სათანადო ადგილს იმოწმებს¹¹.

წერილობით ძეგლებში „ტალავარი“ საჩრდილობელის მსგავსი სახელდახელოდ აგებული თავშესაფარის აღსანიშნავადაც არის ხმარებული და ზემო სართულში მოქცეული—ჩარდახული ნაგებობის გაგებითაც არის წარმოდგენილი. ისუ-ნავეს მიერ იერიქოდ წარგზავნილი ორი ქაბუკი, ვინმე ქალმა რაბმა „ალიყუნა... ტალავარად და დამალნა იგი სელსა შინა ძნეულსა, რო-

¹ აღრიწდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვ. 1, გვ. გვ. 163, 178.

² ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, გვ. 244.

³ იქვე, გვ. 304.

⁴ იქვე, გვ. 309, იხ. აგრეთვე გვ. გვ. 311, 328.

⁵ ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, გვ. გვ. 363, 365, 368, 376, 378, 379, 383, 384, 385, 395, 402, 409.

⁶ ფარსადან გორგიჯანიძე, ცხოვრება როსტომ მეფისა, ცხოვრება ვახტანგ მეფისა შაჰნავაზისა და ცხოვრება გიორგი მეფისა; ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე დ. ჩუბინაშვილის გამ., სანქტპეტერბურს, 1858, გვ. 520, 523, 534, 560, 564.

⁷ სეხნია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გვ. გვ. 318, 319, 322, 323.

⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გვ. გვ. 18, 34, 109; მისივე, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. გვ. 18, 104, 111, 172.

⁹ პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გვ. გვ. 346, 383.

¹⁰ სება ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928, „ტალავარის“ განმარტება.



მელ დაზნულ იყო ტალავარსა შინა მისსა¹. მცხეთაში დაბინდებული წმინდინიომ „პპოვა გარეგნით ზღუდეთა—მათ ქალაქისათა ქოჩი ერთმანეთსა“ ხედ ტალავარისა მცირისა, მაყვალთა მიერ შემზადებული². გიორგი ჩორჩანელის სამფლობელოში მისულმა ბერ-მონაზონებმა „რაქამს დაიბანაკეს ადგილსა მას ზემოქსენებულსა, ქმნეს (ტალავარი) მახლობელად ბორცუსა მას³. თუშებთან გამართული ბრძოლის დროს შაჰნავაზ მეფე „შვიდა ტალავარსა ერთსა ძით თვისით არჩილით და მოსრვიდენ მოსრულთა თუშთა ეგრეთ⁴.

ამკარაა, რომ „ტალავარი“ დაბადებაში საძნე-ჩარდახის მავგარი ნაგებობის ვაგებით არის ხსენებული და „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორს, ბასილ ზარზმელს და ვახუშტი ბატონიშვილს კი საჩრდილობელი თავშესაფარის გამოსახატავად აქვთ გამოყენებული.

საქართველოს ზოგიერთი კუთხის მცხოვრებნი „ტალავარს“ დღესაც ადრინდელი ვაგებითა ხმარობენ, იმერლები „ტალავარს“ ვაზის ხეივანს უწოდებენ.

ფრიად საყურადღებო ხეცსურულმა ჩაცმულობამ მრავალი მკვლევარი დაინტერესა, ზოგმა მას რამდენიმე სიტყვა უძღვნა და ზოგმა კი მასზე საგანგებოდ იმუშავა. 1826 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (უკეთ ვთქვათ, ნაშრომთან თანდართულ ატლასში) გამბამ ვითომდა ეროვნულ სამოსელში გამოწყობილი ხეცსურის პორტრეტი წარმოადგინა⁵. ზისერმანი მის დეტალურ განხილვაზე არ შეჩერდა, მაგრამ თავისებური შესწავლის საფუძველზე, როგორც ვიცით, წარსული საუკუნის შუა წლებში, ზემოაღნიშნული თეორია წამოაყენა⁶. 1879 წელს გამოსულს „Chevsuren und ihr Land“-ში რადემ ხეცსურული ტალავარის ცალკეულ ელემენტთა მხატვრული სურათები გამოაქვეყნა⁷ და 1922 წელს დაბეჭდილს, ტილკეს დასურათებულ ნაშრომშიც ხეცსურულმა ტალავარმა თავისი ადგილი პპოვა⁸. „ხუთი წელი ფშავ-ხეცსურეთისა“⁹ და „ხეცსურეთისა“¹⁰ სახელწოდებით დასათაურებულ ნარკვევთა ავტორებმა¹¹ ხეცსურულ ტალავარს გვერდი ვერ აუხვიეს და „ქართული ხალხური ორნამენტის“ ავტორებმაც ხომ ის საგანგებოდ მის მიუძღვნეს¹¹.

ხეცსურული ტალავარი მართლაც რომ თავისებურია, ის, მისი მატარებელი ხალხის მსგავსად, ძველებურია და მეტად ორიგინალური. ხეცსური ვაქ-

¹ წიგნი ისუ-ნავესი — ბე.

² მოქცევაი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, გვ. 77; იხ. აგრეთვე, გვ. 69.

³ ბასილ ზარზმელი, ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა. ნაგვ. 1, გვ. 154; იხ. აგრეთვე გვ. 153 და 154.

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 53.

⁵ A. Gamba, Voyages dans la Russie méridionale et particulièrement dans les provinces situées au-delà du Caucase, faits depuis 1820 jusqu'en 1824, 2. Paris, 1826 (გამბას ატლასში წარმოდგენილი მამაკაცი არც გარეგნობით წააგავს ხეცსურს და არც ჩაცმულობით).

⁶ A. Zisserman. Двадцать пять лет на Кавказе.

⁷ G. Radde, Chevsuren und ihr Land (G. Radde, Xevsuria und xevsury).

⁸ M. Tilke, Orientalische Kostüme in Schnitt und Farbe, Brl., 1922. (მ. ტილკეს ნაშრომზე არსებობს გ. ჩიტაიას რეცენზია, იხ. „ჩვენი მეცნიერება“, 1924 წ., № 20).

⁹ გიორგი თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხეცსურეთში, ტფილისი, 1930.

¹⁰ ს. მაკალათია, ხეცსურეთი, ტფილისი, 1935.

¹¹ ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I ხეცსურული

კაცი დღესაც ამ არქაულ ტალავარშია გამოწყობილი და ხევსური მანდილოსანიც „კერპული“ ტალავარით არის შემოსილი.

ტალავარის დასაშვადებლად შინაურული წესით მოქსოვილს — ტოლის-სახელწოდებით ცნობილ შალს იყენებენ, ტოლსაც ხევსური ქალები ქსოვენ და მრავალფეროვან ტალავარსაც ეს უკანასკნელნი ჰკერავენ. შალის ანუ ტოლის მოსაქსოვად¹ მატყლსა და კრაველს ხმარობენ, თათებ-ხელთათმანებსა, საპაქიკე ტოლსა და ჩხირით საქსოვ პაქიკებსაც მატყლის ძაფისგანვე ჰქსოვენ. მატყლი მოზრდილი ცხერის ნაპარსია და კრაველი კი ბატკნის ანუ კრავის ნაპარსს ეწოდება. კარგად გარეცხილსა და გამშრალ მატყლს თუ კრაველს საჩეჩელზე ანუ სავარცხელზე გასჩეჩენ ტარზე გაასთავენ და ჯარაზე დასძახავენ. გაჩეჩვის შედეგად მიღებულ ფთილებს ნამტენას და ქაბილის ეძახიან და საჩეჩელის კბილებში ჩარჩენილ კვირტს კი იქაც კვირტს („კვირტი“—„კვირტა“) უწოდებენ. ნამტენას ნასთს ტოლის მოსაქსოვად ხმარობენ და კვირტისას კი თათებსა ჰქსოვენ. ნასთი დაუძახავი მატყლის ძაფის სახელია, დაძახილი ძაფი კი უკვე ნაქერია. სათანადოდ დაძახილ ძაფს საგანგებოდ მოწყობილ ხის ხელსაწყოზე ე. წ. „ყდაზე“ დაქსელავენ („დაძახილ ყდაზე უნდ დიქსასო“) და მოქსოვენ. ქსოვენ ორნაირი სახის ტოლს: ორშიან ტოლს ცალპირა ტოლს. ორშიანი ტოლის ქსელიცა და ცალპირა ტოლის ქსელიც ერთნაირია, განსხვავება ზედაშია საორშიანე ტოლის ქსელს ორი შია უყეთდება და საცალპირე ტოლის ქსელს კი ერთი შია უყეთდება ცალპირტოლის ერთ სახეობას წადმა-უკულმა ეწოდება. ეს უკანასკნელიც პირველი ორის მსგავსად, პირველი ორი სახეობის ტოლის მსგავსად იქსოვება, მაგრამ ამისათვის წადმა-უკულმად დაძახილი ნასთია გამოყენებული. „წადმა-უკულმა მარტო დაძახაჩი იმუშავის“—ერთ წვერს წადმა დაფძახავთ და მეორეს უკულმო.

ხევსურეთში ტოლი სხვადასხვანაირი სივანისაა: სამი მტკაველი, ორი მტკაველი და ერთი მტკაველი. „ოთხიანი არ იქნების“-ო, „სამ მტკაველს სამ ღვინჭი თუ დასპირდების, მეტ არო“².

კრაველი მატყლზე უყეთესია, კრავლის ტოლი წმინდაა, ის მატყლის ტოლზე უმჯობესია. თუ შესაძლებლობა აქვთ ტალავარის ყოველ ელემენტის შესაქერ მასალად კრავლის ტოლს გამოიყენებენ, თუ არა—და შეურჩევენ: კოსტუმის ზოგ ელემენტს კრავლის ტოლისაგან შეკერენ და ზოგის შესაქერად კი მატყლის ტოლით ისარგებლებენ. უმჯობესია და თითქოს აუცილებელიც, რომ მამაკაცის ჩოჭა და დიაცის ქოქლუა და მანდილი კრავლის ტოლისაგან შეიკეროს, სხვა სახეობის ტალავარისათვის კი (ბერანგი, სადიაცო და სხვა) შეიძლება მატყლის ტოლი იქნეს გამოყენებული.

ძველი დროის ხევსურეთში თურმე შილად წოდებულ ბამბის ქსოვილსაც ამზადებდნენ. ტალავარში შემაველ ზოგიერთ სამოსელს შილასაგანაც კერავდნენ. ხევსურთა ვადმოცემის სამართლიანობა სხვა გზითაც დადასტურებულია, მიწის ზედაპირზე აგებულ აკლდამების ინვენტარში შილისაგან შეკერილი ბავშვის პერანგებიც აღმოჩენილა³. მებამბეობა და მასთან დაკავშირე-

¹ მატყლის ქსოვილს ხევსურეთში სიტყვა „ტოლით“ აღნიშნავენ და იშვიათ შემთხვევაში კი, მისი შინაარსის გამოსახატავად, სიტყვა „შალ“-საც ხმარობენ.

² მოზრილ მდგომარეობაში გაჩერებული სამი შუა თითი, — „ღვინჭია“.

³ ბ. ბარდაველიძე და გ. ჩიტია, ქართული ხალხური ორნამენტი (ხევსურული), გვ. 29.



ბული ფეიქრობა საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც კარგად იყენებოდა. ვასაკვირველი არ არის, რომ ეს კულტურა მეცხოველეობის მხარედასწრე ბულ ხევსურეთშიც ყოფილიყო წარმოდგენილი. შილა დღეს მოსაქარგავ ფონად არის გამოყენებული: სკლატისა და სხვა გვარეობის ქსოვილთა გვერდით, ის ტალავარის მოსართავადაც არის განკუთვნილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში „შილა“ წითელი ფერის ქსოვილის გამომხატველ სიტყვად არის მიჩნეული. სახელოვან ლექსიკოგრაფ ს. ორბელიანსაც ის დაახლოებით ამგვარად აქვს განმარტებული: „შილა წითელი სამოსელია“.

ტალავარს ბუნებით ფერადი მატყლისაგან მოქსოვილი ტოლისაგანაც კერავენ, მაგრამ უპირატესად მინც მათ თეთრი ტოლის გამოყენება უხდებათ. ტალავარს ჯერ შეკერავენ და მერე სამღებროში შეღებავენ („ტოლ რომ მაიქსოვბის უნდა დაიჭრას, დაიკერას და სამღებროში ჩავიდესო“). ხევსურთა ვაჟაკებიცა და მანდილოსნებიც მუქი ფერის ტალავარს ატარებენ, განსაკუთრებულ უპირატესობას ლურჯ ფერს ანიჭებენ¹. ამჟამად მიღებული ლურჯი ფერი ძველადაც გაბატონებულ ფერად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ალბათ იმის გამო, რომ ხევსური უპირატესად ლურჯი ფერის ტალავარს ხმარობდა—ლურჯი ფერის მისაღებად ხმარებულ ბალახს ხევსურის ლილა ეწოდებოდა „ხევსურის ლილა ბალახია, რომლითაც ხევსური ლურჯად ღებენ შალებს“—ამბობს საბა ორბელიანი².

ტალავარს ნემსით კერავენ და ქარდვად სახელდებულ ქარგვასაც ნემსის საშუალებით აწარმოებენ. ტანისამოსის ცალკეულ ნაწილთა დამაკავშირებელ საშუალებად, ანუ ვასაკერ მასალად მატყლის ნართსა ხმარობენ და მოქარგვას კი ნაჭრისა და აბრეშუმის მეშვეობით წარმართავენ. ტალავარის მომზადებასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს, როგორც ზემოთაც ვთქვით, ქალი ასრულებს, მატყლის დართვა-დაძახვა და ტოლის მოქსოვაც მისი საქმეა და შეკერვაც ხომ მას ევალება. მამაკაცი ქალს მხოლოდ ტყავის შეკერვაში ეხმარება.

ლიაცის ტალავარიცა და მამაკაცის ტალავარიც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: თავსახურავი, ტანსაცმელი (ვიწრო ვაგებით) და ფეხთსაცმელი.

ლიაცის ტალავარი შემდეგი ელემენტების შემცველია: სათაურა, მანდელი (თავსახურავის ელემენტებია)³, სადიაცო, ქოქლო ანუ ქოქლუა, ფაფანავი, ქათიბი, სარტყელი, ტყავი (ტანსაცმლის ელემენტებია)⁴—პაქიქები, თათები, ქალაბნები (ფეხთსაცმელის ელემენტებია).

მამაკაცის ტალავარის შემადგენელი ნიწილები შემდეგია: ქუდი (თავსახურავია), პერანავი, ტანისაცმელი, რომელსაც ნიფხავსაც ეძახიან და იშვიათ შემთხვევაში კი შალვარსაც, ალბად ახლადშემოსული შილეტკა, ტყავი (ტანსაცმელის ელემენტებია), პაქიქები, თათები, ქალამნები, და ჯღანი ანუ ხულჩა (ფეხთსაცმელის ელემენტებია).

ლიაცებიცა და მამაკაცებიც ტყავს მხოლოდ ზამთრობით ატარებენ. ჯღანსაც ვაჟაკები უფრო ზამთრობით იცმევენ. უკანასკნელ ხანს, ხევსურეთში

¹ ფართოდ გავრცელებულ ლურჯი ფერის ტალავართან ერთად, ხევსურეთში შავი და წითელი (ენდროსი ფერი) ფერის ტალავარსაც შევხვდებით. წითელი ფერის ტალავარის ხმარება უფრო პირიქით ხევსურეთში შეიმჩნევა.

² საბა ორბელიანი, ლექსიკონი, „ხევსურის ლილა“ განმარტება.

³ ზოგიერთი ქალი, ამჟამად, სათაურას ქვეშ თავშალასაც იხურავს.

ჩოხის თანდათანობითი განდევნის პროცესი შეიმჩნევა; ამგვარად ჩოხს, კერძოდ, მამაკაცი აღარ იცმევს და შედარებით ახლადგავრცელებულ შიდრტყასაც ყველა არ ატარებს.

ხევსურული ტალავარი, როგორც ქვემოთ წარმოდგენილი აღწერილობიდანაც დაინახავთ, საყურადღებო კრილობისა და შემკულობის მქონეა, ის მეტად თავისებური სამოსელია.

ქალის ჩაცმულობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს სადიაცო წარმოადგენს. სადიაცო როგორც თვით სახელწოდებაც გვიჩვენებს, დიაციისათვის განკუთვნილი ტანსაცმელია. სადიაცოს ძირითადი ნაწილი, რომელიც სიგრძით დაახლოებით მუხლებამდე ჩამოდის, არც მხრებშია გადაჭრილი და არც გვერდებშია აჭრილი. მთხრობლების გადმოცემით სადიაცოს ძირითად ნაწილს „ორად მადრეკილ ექვს მტკაველ უნდა გვამი“ და სახლებს კი „მოუნდების ოთხი მტკაველი“. სადიაცოს შეკერვის სქემატური სურათი შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: განსაზღვრული სიგრძის ტოლს ორად მოკეცენ ისე, რომ ის დაახლოებით მუხლებამდე ჩავიდეს (ეს სადიაცოს ზემოხსნებული ძირითადი ნაწილი იქნება), ამოუჭრიან სათავეს, მკერდს მარცხნივ ჩასჭრიან, მოაკერებენ საყელოს, გაუწყობენ უბე-ფარაგს, ამოუკერენ გვერდებს და მოაკერებენ საჭლეებს („საჭელი“) და ამრიგად გამართულ სადიაცოს ირგვლივ ე. წ. ქოქომოს—უკეთ ვთქვათ, ქოქომოებისაგან შემდგარ ქოქომოსს შემოაკერებენ და ნაქარგ-სამკაულთა და მოსართავად განკუთვნილი მოსაკერებლებითაც სათანადოდ ვაწყობენ.

სადიაცოს შესაყრავად განკუთვნილი ტოლი თუ ვიწროა (და ის კი ხშირ შემთხვევაში ვიწრო არის ხოლმე) მას გვერდებში თავწვრილი და ბოლოგანიერი თავისივე ტოლი ე. წ. აზლოტი უნდა ჩაქერდეს. სადიაცოს უკანა კალთა სწორეა ანუ მათი სიტყვით რომ გამოვთქვათ—გლუა. წინა კალთაც სწორეა იმ მხრივ, რომ ის გვერდებში აჭრილი არ არის, მაგრამ, როგორც ქვემოთაც დაინახავთ, მას ზოგ შემთხვევაში სხვა კალთებიც აქვს მიკერებული და ამდენად ის ყოველთვის გლუ არ არის.

სადიაცო, როგორც ვხედავთ, ორი კალთისაგან შედგება: წინა კალთას საკუთრივ კალთასაც ეძახიან და წინათობაი—საწინათოსაც უწოდებენ. უკანა კალთას საზურგულის სახელწოდებითაც იხსენიებენ და ზურგნის სახელითაც აღნიშნავენ. ზოგიერთი მთხრობელი უკანა კალთას წელამდე ზურგნის უწოდებს და წელს ზემოთ მხარ-ბეჭის დამფარავ ნაწილს კი მჭარნის ეძახიან.

სადიაცოს მკერდი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მარცხნივ არის ჩაჭრილი. ჩაჭრილის მარჯვნივ დარჩენილი ნაწილი ფარაგია. ფარაგის კუთხე ენასავით არის გაგრძელებული, ამ უკანასკნელს ფარაგის კანკი ეწოდება. კანკზე ღილია დაკერებული და მარცხენა მხარეზე კი შატად სახელდებული კილო. ფარაგს ღილისა და შატას საშუალებით იკრავენ. „ფარაგი შაიყრების ღილმატაითო“. „სადიაცოს ფარაგი მოჭარგულია სხვადასხვა ფერის მატყლის ან აბრეშუმის ძაფებით და სიომად სახელდებული ვერცხლის მკედით, შემკობილია მრავალფეროვანი პაწია მძივებით, ღილებით („ძეალის ღილათი“), ვერცხლის ფულებით და ნაირსახოვანი ბურცულა ფირფიტებით. სავალდებულო არ არის ფარაგის ყველა აქ ჩამოთვლილი სამკაულებით შემკობა, მაგრამ მოჭარგვა კი აუცილებელია. სადიაცოს ფარაგი, როგორც ვთქვით, ბაწრით ანუ ნაჭრითაც იჭარგება და აბრეშუმის ძაფითაც.



ნაჭრით დაკერულს ნაჭრით ნაჭრელა ჰქვია და აჭრეშუშუმი დაკერულს კი აბრეშუმით ნაჭრელა („აბრაშუნით ნაჭრელა“): ზოგეფიერეთ მთხრობელის სიტყვით ნაჭრით ამოქარგული სახე ნაჭრელა არ არის, ამ უკანასკნელთა აზრით ნაჭრელა მხოლოდ „აბრეშუმით დაკერულს“ ეწოდება¹.

ნაჭრელას ნემსით აკეთებენ, მისი სახეები ნემსით არის „ამაყვანილიები“. ნაჭრის ნაჭრელას პირდაპირ საღიაცოს ქსოვილზევე აკეთებენ და აბრეშუმის ნაჭრელას კი საღიაცოს მკერდზე საგანგებოდ ამ მიზნით გადაკრულ ტილოზე ე. წ. შილაზე ქარგავენ. ნაჭრით მოქარგული ყოველი სახეობის თითოეული ზოლი შიბად წოდებული გრებილს წარმოადგენს, ამის გამო ნაჭრით ნაქარგ ფარავს შიბად დაკერული ფარავიც ეწოდება.

საღიაცოს ფარავი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: სასაქინძე კრილის ნაპირზე ბრტყელ ზოლებად ჩაყოლებული ნაქარგის გულს ზიკი ჰქვია და ფარავის მეორე—მარჯვნივ მოქცეულ ნახევარს კი სამწყვეტლო. ზიკისა და სამწყვეტლოს გარშემო ნაპირებზე ქრელაა შემოვლებული. ქრელა ზოლიანი ტოლია, ის ვიწრო ზომის „ყდაზე დაბეჭდილი“ ქსოვილია. ზიკისა და სამწყვეტლოს ირგვლივ, ზოლიანი ტოლის ნაცვლად შეიძლება სხვადასხვა სახეებისაგან შემდგარი ნაჭრელაც იყოს შემოქარგული. ეს უკანასკნელი „ქრელას“ სახელს უკვე აღარ ატარებს, მას თურმე პირთსაკერებაი ეწოდება. ზოგი მთხრობელის თქმით, სამწყვეტლოს ძირში სამკუთხოვნად შემოკერებული ტოლი სანაფთულეა და სამწყვეტლოს ზემოდან და ზიკის ნაპირებზე ჩაყოლებული ზოლი კი (ტოლი იქნება ეს უკანასკნელი თუ ნაჭრელა—სულ ერთია) პირთსაკერებაია. მთხრობელთა ერთი ჯგუფის გადმოცემის მიხედვით, სამწყვეტლოს ნაპირებზე შემოყოლებულ ზოლს სამწყვეტლოს ზოლო ეწოდება, ზიკის მარჯვნივ ჩავლებულ ზოლს—ზიკის გვერდი და ზიკის მარცხნივ, საქინძის პირად ჩატარებულ ზოლს კი პირნი. ფარავის სასაქინძე კრილის მარცხენა ნაპირს ნაჭრელას ზოლი ჩამოსდევს, ეს უკანასკნელი მარცხენას სახელწოდებით არის ცნობილი.

მრავალსახოვანი ხევესურული ორნამენტი საღიაცოს ფარავზედაც არის წარმოდგენილი. სხვადასხვაგვარად განლაგებულ—უმთავრესად კი ამა თუ იმ სახეობის ორნამენტის გამმფორმებელი ზოლის მოვალეობის შემსრულებელ შიბა-ქრელ შიბა ების² გარდა, ფარავი შეიძლება ნაირფეროვანი ქსოვილის ზოლებითაც იყოს მოქრელებული. ფარავის ნაჭრელაზე შეიძლება დავამოწმოთ ნაირსახოვან კომბინაციაში წარმოდგენილი ხატი, კვერა, ოთხთვალა, აკუშურა, თავდახრილა, თვალთანა, დაკავკაული, დაკბილულა, თავნახარა ანუ თავმახრილა, რქანახარა, სხვადასხვა სახეობათაგან შედგენილი არხოტული და ხევესურული ორნამენტის სხვა ძირითადი სახეები.

საღიაცოს ფარავი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ნაირფეროვანი ლილმძივებითა და ნაირსახოვანი ლითონის ფირფიტით არის შემკობილი. ლილები და მძივები ზოგჯერ ნაქარგი ორნამენტის დამატებითი შემკულობის როლში არიან წარმოდგენილნი და ზოგჯერ კი მხოლოდ თვითონ აფორმებენ ამა თუ იმ სახეობის ორნამენტს. ლითონის ფულები და ფირფიტები შეიძლება ჯერ

¹ გაუთხოვარ ქალს ფარავი მუდამ დახურული აქვს. ფარავს ქალი ბავშვის დაბადების შემდეგ იხსნის.

² შიბა, როგორც ზემოთაც აღინიშნეთ, ბრტყელი ყაითნის მსგავსი გრებილია. ერთი ფერის ძაფით ამოქარგულ შიბას სწორ შიბა ეწოდება და რამდენიმე ფერით ამოქსოვილს კი ქრელ შიბა.

შიბის სახელით ცნობილ წვრილგოლოვან ჯაჭვზე აასხან და ისე მიკვებენ ფარაგზე და შეიძლება რომ თითოეული მათგანი სათითაოდაც მიკვებულა, ფარაგზე მისაკერებლად განკუთვნილ ფულებს—ჩვენი ხანის აბაზიანებს, სამ-შაურაიანებს და ძველი დროის სხვადასხვა ზომის მონეტებს ცალი მხარის შუა ადგილას ყუნწები აქვთ გაკეთებული (თითოს თითო ყუნწი, რა თქმა უნდა) და ფარაგზედაც ამ უკანასკნელის საშუალებით არიან მიბმული; ფარაგის დისამშვენებლად გამოყენებული ამგვარი ფულები პირზე დაფეხული ფულების სახელწოდებით არიან ცნობილი. ფარაგის მოსართავად განკუთვნილ მოგრძო მოყვანილობის გულბურცულა ფირფიტებს ყაწიშებს („ყაწიში“) უწოდებენ და აბზინდისებურ პატარა ბურცულებს კი ცვარებს („ცვარა“) ეძახიან. სადიაცოს ფარაგზე შიბზე ჩამოკიდებულ ან დამოუკიდებლად მიმაგრებულ ლითონის ჯვრებსაც შევხვდებით. ამულეტისა და სამკაულის დანიშნულებათა შემსრულებელი ხატი ზოგჯერ ჩვეულებრივი ჯვარის მოყვანილობის არ არის, ზოგ შემთხვევაში მას მრავალჭიმინი ფირფიტის მოყვანილობა აქვს. სადიაცოს მოკვრებული აქვს ვიწრო სივანის მქონე ფეხზე მდგომი საყელო. საყელო შიგნითა მხრიდან არის გამოკვრებული. მისი ბოლო საკისრეს შიდა მხარესთან არის დაკავშირებული. ამნაირი გადაკვრებულობის წყალობით ის მუდამ ფეხზეა გაჩერებული. საყელოს, შიგნითა მხრიდან, ხშირ შემთხვევაში სარჩული აქვს ხოლმე დადებული და გარდაც კი დილ-მძივებითა და ფერადი ქსოვილის ზოლებით არის ხოლმე შემკული; აქ მოხსენებული შესამკობლებით საყელოზე შეიძლება სხვადასხვა სახეობის ორნამენტი იქნეს გამოყვანილი (საყელოზე გაკეთებულ ორნამენტთა შორის, სწორზოლებად გავლებულ ქსოვილთა ზოლებისა და სწორხაზობრივად გაყოლებულ დილ-მძივთა გვერდით—მაგ., დილ-მძივთა ხატებსა და რომელიმე ფერის ქსოვილისაგან გამოყვანილ დაკბილულასაც შევხვდებით). სადიაცოს საყელოს გაფორმება (ისე, როგორც ფარაგის) მისი ჩამცმელი დიაცის გემოვნებასა და შესძლებლობაზეა დამოკიდებული; ასე რომ საყელო შემკულობის მხრივ, შეიძლება შედარებით სადაც იყოს და მდიდრულადაც მორთული. აუცილებლობად ითვლება, რომ საყელოს ქვემოთ, გარეთა მხრიდან, საკისრეს გასწვრივ, ერთი ბრტყელი ან რამდენიმე წვრილი ზოლი იყოს დაკერებული. ტოლის ან ფაბრიკული წესით დამზადებული რომელიმე ფერის ქსოვილის ეს ზოლები, ფარაგის მარჯვნივ მოქცეულ დასაბამთან იწყება და მარცხენა მხართან მიბჯენილ საყელოს დასასრულთან მთავრდება. აღნიშნული ზოლი, ან ზოლების წყება მარცხენა მხართან რომ მოაღწევს, ქვემოთ ჩამოუხვევს და სასაკინძე კრილის მარცხენა ნაპირს ბრტყელზოლებად ჩამოყვება. საყელოს ძირში გავლებული ზოლი საკისრულის სახეს ატარებს და საკინძთან ჩამოტარებული ზოლის კი მარცხენა ეწოდება, ორივე ერთად მარცხენ საკისრულის სახელით აღინიშნება.

შემკობისა (ერთის მხრივ) და ნაპირთა გამორკვევის (მეორეს მხრივ) თავიდან აცილების მიზნით, ფარაგისა და საყელოს ნაპირებს ერთი ან რამდენიმე ყაითნისებური ზონარი აქვს შემოკვრებული. ნაპირებზე შემოსავლებლად განკუთვნილი ზონარი ორნაირია: ბრტყლად მოქსოვილი შილი ფაა და კუთხოვანად მოქსოვილს კი კუთხაა ეწოდება. რადგანაც სადიაცოს ამა თუ იმ ნაწილს ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ფერის რამდენიმე შილიფა ან კუთხა აქვს ხოლმე შემოკვრებული—ამიტომ ეტყვიან ხოლმე, რომ სადიაცოს ამა და ამ ნაწილს შილიფანი ან კუთხანი აქვს შემოვლებული



სადიაცოს ფარაგი, თუ დიაცს სურს, შეიძლება მოქარგულმა ჩიქვანმა მშვენიერებით შემკობილი ქოქათი იყოს დამშვენებული. ქოქა თავისებურად შემკობილი ტოლის ვიწრო ზოლს წარმოადგენს. ქოქა ფარაგის ყელთან ამოჭრილ სამკუთხოვან ნაწილზეა მოკერებული, მისი ორივე ბოლო ახსნილია, ერთ ბოლოზე დილია მიკერებული და მეორეზე შატაჲ. სადიაცოს ჩაცმის შემდეგ შატას ღილს გამოსდებენ და ამრიგად შეკრული ქოქათი ყელს დაიფარავენ¹.

სადიაცოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიდან ბოლომდე თითქმის თანაბარი სიგანის საჯელი აქვს მოკერებული. სახელისათვის თუ მთლიანი ტოლი აქვთ უკეთესია—თუ არადა ნაჭრებს გადააკერებენ. ნაჭრებისაგან შედგენილ სახელს გადაბმულ საჯელს უწოდებენ. სახელს ხევესურეთშიც, როგორც დავინახეთ, საჯელს ეძახიან; მხართან მიბჯენილ ნაწილ საჯლის თავს უწოდებენ, და მაჯას კი საჯლის წვეგრის სახელით იხსენიებენ. მაჯა შეიძლება მოქარგული იყოს და ღილ-მძივებითა და ნაირფეროვანი ქსოვილის ზოლებითაც შემკული; ამნაირად მოკრელებულ მაჯას დაკერული საჯლის წვერი ეწოდება. სადიაცოს საკელი არ შეიძლება რომ ილიასთან ჩახსნილი იყოს (სირცხვილიაო), ამით ის მამაკაცის პერანგის სახელისაგან განსხვავდება. საჯლის წვერსაც ირგვლივ შილიფანი ან კუთხანი უნდა შემოსდევდეს.

სადიაცოს წინა კალთა შეიძლება სადაც იყოს და ნაქარგითა და სხვაფერის კალთებით დამშვენებულიც. ამ წესით შეკერილი სადიაცოს წინა კალთა შემდეგნაირად არის განწყობილი: ფარაგის ქვემოთ მოქცეული გარკვეული ზომის ნაწილი, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, უბეს აქვს დაკავებული (საწელეს ზომით უბე-ფარაგნია). უბეს ძირთან, ამ უკანასკნელის მთელს სიგანეზე, სხვა ფერის ტოლის ზოლია გადადებული—ეს უბეთსაკერებაა. უბეთსაკერებაზე სხვადასხვა ფერის ტოლისაგან გამოჭრილი ორი გრძელი კალთაა მოკერებული, მათ თიკვნი ეწოდებათ. თიკვნი შეიძლება დაკერულიც იყოს. ხშირ შემთხვევაში ნაჭრით დაკერული თიკვნი გვხვდება (უმეტეს წილად კი სრულიად სადა). წინა კალთის ბოლოზე (თუ კალთა თიკვებისაგან შედგება—თიკვთა ბოლოზე), ზემოთა მხრიდან, ქრელი ან სადა ტოლის ბრტყელი ზოლია დაკერებული. ამნაირი ტოლის თითო ზოლი ზოგჯერ თიკვთა გვერდებშიც არის ხოლმე აყოლებული. კალთანის² ბოლოზე გადაკერებულ ტოლს სამირგვალაეა ეწოდება. გლუ საზურგულის ბოლოზე დაც—ზურგნის ბოლოს მთელს სიგანეზე აგრეთვე ტოლის ბრტყელი ზოლი უნდა იყოს დაკერებული. ეს უკანასკნელი შეიძლება სადაც იყოს და „დაკერულიც“, ამ ნაწილს—ბოლოთსაკერებას სახელით ხსენებული ნაწილის მაგიერობა შეიძლება ზურგნის ბოლოს მთელს სიგანეზე ბრტყელზოლებად გაკეთებულმა ნაქარგმაც ვასწიოს.

სადიაცოს ძირითადი ნაწილის ირგვლივ, როგორც ზემოთქმულიდანაც ვიცით, ქოქომონია შემოკერებული. ქოქომონი რამდენიმე ქოქომოსაგან შედგება. ქოქომონი ორნაირია: კრელქოქომონი და თავ-თავად დაქსოვილი ქოქომონი. კრელქოქომონს სხვანაირად ზედიზედ ან ერთერთზე დაქსოვილი ქოქომონიც³ ჰქვია, და თავ-თავად დაქსო-

¹ ზოგმა მთხრობელმა ქოქას ტარება მხოლოდ გასათხოვარ ქალს მიაწერა, მაგრამ ჩვენ ის გათხოვილი ქალის ფარგულდაც ვნახეთ.

² წინა კალთას საერთოდ კალთას ან კალთანს უწოდებენ, მაგრამ „კალთანად“, როგორც ჩანს, უფრო უბე-ფარაგის ქვემო ნაწილს ნიიჩნევენ.



ქრისტეშობის
წელიწადი 1935

ვილ ქოქომონს კი დაკერულიანი ქოქომონი ეწოდება. კრელაქოქომონი უდაზე ერთბაშად არის მოქსოვილი. ქოქომონები ერთმანეთთან ორგანულად, არიან დაკავშირებულნი. ქოქომონები ერთმანეთისაგან თითო ან ორ-ორი ზოლით არიან გამოყოფილნი. თუ-თავად დაქსოვილი ქოქომონი რამდენიმე დამოუკიდებლად მოქსოვილი ქოქომონისაგან არის შედგენილი. ქოქომონები ერთ-ერთზე ნატყლის ძაფით არიან გადაკერებული. ქრქომონი, როგორც უკვე ვთქვით, რამდენიმე სხვადასხვა ფერის ქოქომონისაგან შედგება. ქოქომონი შეიძლება იყოს სამქოქომონიანი, ოთხქოქომონიანი და ხუთქოქომონიანი, „სამის ძირ აღარ წავა და ხუთის თავ-ი“¹. ქოქომონთა გადაკერებისა თუ მოქსოვის დროს ერთხელდა სამუდამოდ დადგენილ წესს იცავს. ქოქომონების გადაკერებას ფერების გარკვეული თანმიმდევრობის მიხედვით ახდენენ. ზემოდან ქვემოთ რომ ჩამოვყავთ, ქოქომონთა თანმიმდევრობა შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: სამქოქომონიანი—შავი, სისვი, წითელი; ოთხქოქომონიანი—შავი, სისვი, წითელი, ლურჯი; ხუთქოქომონიანი—შავი, სისვი, წითელი, ყვითელი, ლურჯი. ხუთქოქომონიანი (მეორე ვარიანტი)—შავი, ცისფერა, წითელი, სისვი, ლურჯი; ხუთქოქომონიანი (მესამე ვარიანტი)—შავი, სისხვი, წითელი, სისვი, ლურჯა; ექვსქოქომონიანი—შავი, ყვითელი, წითელი, ცისფერა, სისვი, ლურჯი. შავი, წითელი და ლურჯი ფერის ადგილმონაცვლეობა არ შეიძლება; შავი ფერი თავში უნდა იყოს მოქცეული, წითელ ფერს მესამე ადგილი უნდა ჰქონდეს დაკავებული და ლურჯი ფერი კი ბოლოში უნდა იყოს წარმოდგენილი.

ერთმანეთზე დაქსოვებული თუ წინასწარ ერთმანეთზე გადაკერებული ქოქომონი საღიაიკოს იმ ვარაუდით უნდა შემოკერდეს, რომ ნაკერი წინ მოქცეს. განაკერზე რაიმე სახის ზოლი უნდა იყოს ჩამოკერებული: ტოლის ან „ნაპრელაით დაკერული“ შილას ზოლი. ამ უკანასკნელს ქოქომონთ შანაყარზე ჩამაკერებულიც ეწოდება და ქოქომონთ შუაზე ჩასაკერებისას სახელითაც იხსენიება.

ქოქომონის უკანა მხარე, ზურგნის ჩასწვრივ, დაჩაფულია-წაჩაფულია, ნაჩაფნი აქვს გაკეთებული. სხვადასხვა დიაციის საღიაიკოს სხვადასხვა რაოდენობის ნაჩაფნი აქვს, „შეიძლების 30 ნაჩაფნი, მეტი არ იქნების, 16—17-ზე ცოტაიც აღარ იქნებისო“. ნაჩაფნთა რიცხვის მეტნაკლებობა ქოქომონის სიმოკლე-სიგრძეზედაც არის დამოკიდებული: მოკლე ქოქომონს ნაკლები რაოდენობის ნაჩაფნი უკეთდება და გრძელი ზომისას კი უფრო მეტი; კალთის ქვემოთ და ქოქომონს ზემოთ გადადებულ ნაპრელათი დაკერულ ზოლი კალთათ გაკერებული.

საღიაიკოს კალთის ბოლოზე მოპარგული შილის ზოლია გადაკერებულ კალთანი დაკეთებული საღიაიკოს ირგვლივ, ე. ი. ქოქომონის გარშემო როგორც წესი, ერთი ან რამდენიმე შილიფა თუ კუთხა უნდა იყოს შემოკერებული.

საღიაიკოზე დიაცნი ტოლის სარტყელს ირტყამენ. წელზე სარტყელის მტკიცედ შემორტყმის შემდგომ საღიაიკოს ზემოთ ასწევენ, სარტყელის ზემოდან გადმოუშვებენ. საღიაიკოს აწევისა და გადმოფენის შედეგად სარტყელი

¹ ზოგი მთხრობელი ექვსქოქომონიან და შევიდქოქომონიან საღიაიკოსაც ასაზღვლებს.



თითქმის მთლიანად იფარება. განსაკუთრებული სიფართოვე წინააღმდეგობა
ბულ ნაწილს ემჩნევა და მას უბე ეწოდება.

სადიაცოს ზემოდან დიაცინი ჩოხის მსგავსად შეკერილ ჩასაცმელს ატარებენ. ჩოხისებური მოყვანილობის ქოქლო ანუ ქოქლუა სიგრძით მუხლებამდეც არ ჩამოდის, ჩოხასავით ისიც წინ მთლიანად არის ჩახსნილი და არაფრით არ იკვრის. ქოქლუა წელშია გადაჭრილი; მხრები, სადიაცოს მსგავსად, ამასაც გადაუჭრელი აქვს. წელს ზემოთ მოქცეული მაღალტანი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: მკერდის დამფარავი კალთები, რომელნიც საზურგულთან უნაკერო მხრების მეშვეობით ორგანულად არიან დაკავშირებული, ფარაგნის სახელით იხსენიებიან. საზურგული მთლიანია. ხეცურები მას ზურგნის ეძახიან. ზურგნის ზემო ნაწილს მკარნის სახელწოდებით ცალკე გამოყოფენ. ქოქლოსაც, სადიაცოსავით ფეხზე მდგომი საყელი აქვს მოკერებული. ამ შემთხვევაშიც საყელს მოკერების ისეთივე წესია დაცული. ქოქლოს საჭელი, რომელიც თურმე სადიაცოს სახელზე მოკლე უნდა იყოს, აგრეთვე თანაბარი სივანეობით ხსიათდება. ქოქლუს სახელთა ნაწილები იმავე სახელწოდებებს ატარებენ, რმაც სადიაცოს სახელთა შესატყვისი ნაწილები; ქოქლუს სახელსაც აქვს საჯლის თავი და საჯლის წვერი. სახელი მთლიანად შეხსნილია—ეს საჯლის გვერდია. საჯლის გვერდის ნაპირებსაც და საჯლის წვერსაც შილიფა-კუთხანი უნდა ჰქონდეს შემოკერებული. საჯლის გვერდის ორივე მხარე, ერთმანეთზე შეიძლება რამდენიმე ადგილას წყვილ-წყვილი მოკლე შილიფებითაც იყოს გადაბმული. ქოქლუს საჯელი სადიაცოს საჯელზე მოკლეა, სადიაცოს საჯლის წვერი ქოქლოს ჩაცმის შემდგომაცა ჩანს.

წელს ქვემოთ მოქცეული ნაწილი რამდენიმე კალთისაგან შედგება: სულ წინ ჩაკერებული პატარა კალთები ენანისა, ერთი ენა ერთ მხარეს არის ჩაკერებული და მეორე ენა კი მეორე მხარეს. ენას გვერდის კალთა მოსდევს (ერთი ერთ მხარეს და მეორე მეორე მხარეს), „კალთა“ სახელწოდებას მხოლოდ გვერდის კალთა ატარებს. უკანა მხარე თავწერილსა და ბოლოვანიერ კალთებსა აქვთ დაკავებული, უკანა კალთები აზლოტნის სახელწოდებით არიან ცნობილი.

„აზლოტებად“ წოდებულ კალთებს ორად ყოფს გვამის აზლოტის სახელით ხსენებული კალთა. გვამის აზლოტი შუაშია მოქცეული, ის საზურგულის უშუალო ვაგარძელებას წარმოადგენს, მას ნაოპი არა აქვს ასხმული. შუა აზლოტის აქეთ-იქით რვა-რვა აზლოტია მოქცეული, აზლოტები სათითაოდ არიან თავშენაოქებულნი, თითოეული აზლოტის თავი ჩიბუხივით არის ამობურცული. აზლოტები წელთან ფოთლებივით არიან მიწყობილნი, პირი შუა აზლოტისკენ აქვთ მოქცეული—ორივე მხრიდან შუა აზლოტს უყურებენ. აზლოტები ერთმანეთზე შემდეგი წესით არიან გადასხმულნი. ჯერ ცუდი პირიდან არიან გადაკერებულნი და შემდეგ კი კარგი პირიდან. ამნაირი ვაკერვის შედეგად ნაკერი კარგი პირის მხარეც ამომჯდარ მდგომარეობაში რჩება. აზლოტთა ანაოქებულ თავებს წელნი ეწოდება: ქოქლოს დაბლატანის ორივე გვერდი, კალთებისა და აზლოტების საზღვარზე შეხსნილია, ეს ქოქლო სამჯედრონი (სამვედრო*) ქოქლოს ცალკეულ ნაწილთა ნაპირების ირგვლივ-კალთების ვარშემო, წინჩახსნილის კიდებზე, საყელოზე მაჯებზე და სხვა—რამდენიმე წყებად, შილიფა ან კუთხა აქვს ხოლმე შემოვლებული.



ქოქლოც ნაირსახოვანი ორნამენტით არის შემკული; ორნამენტის გამოყენება საყვან მასალად, ამ შემთხვევაშიც, მატყლისა და აბრეშუმის ძაფებთან ერთად, სხვადასხვა ფერის ფაბრიკული ქსოვილიც არის გამოყენებული. ზოგი ქალის ქოქლო ფრიალ შრავალსახოვანი ორნამენტით არის მოჭრელებული და ზოგის კი შედარებით მკრთალად არის გაფორმებული. ქოქლოზე გამოყვანილი ორნამენტის სახეთა მეტნაკლებობა დიაცის გემოვნებასა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

ხეესურეთში მოგზაურობის დროს, ჩვენ გვხვდებოდნენ შესანიშნავი გემოვნებით ორნამენტირებულ ქოქლო-ფაფანაგში გამოწყობილი მანდილოსნები.

შედარებით სადად შემკობილ ქოქლოთა აღწერილობა: ქოქლოს ყოველი ნაწილის ნაპირებზე ერთი (იშვიათ შემთხვევაში) ან რამდენიმე კუთხა-შილი-ფაა შემოკერებული. ერთ-ერთი ქოქლოს სახელთა თავების ირგვლივ, ორივე მხარის მთელს სიგრძეზე, საყვლოსა და ფარავთა ნაპირებზე წითელი და ყვითელი მუღდის ოთხკუთხედებისაგან შემდგარი ზოლია დაკერებული—ეს სკლატი ის ოთხკუთხაა. მეორე ქოქლოს ფარავთა ნაპირებზე, სამრიგოვან კუთხათა შემდგომ მწვანე და წითელი ქსოვილის ზოლებია ჩაღებული: სისკვი სკლატი და წითელი სკლატი ორივე ზოლს თითო აბრეშუმის შიბა ჩამოსდევს. წესად არის მიღებული, რომ სკლატის ზოლზე ფერფერი შიბა იყოს გაკეთებული („სკლატზე ერთი ფერის შიბაა არ შეიძლებისო“, „ფერფერი შიბაა სკლატის შიბააო“), სკლატზე ყოველთვის ჭრელ შიბაა არის ხოლმე ამოქარგული. ერთ ფერის შიბა, რომელსაც ხეესურები სწორშიბაის ეძახიან, ტომრის შიბაა თურმე. ამავე ქოქლოს კალთების ირგვლივ და სამხედროთა ნაპირებზე სკლატის დაკბილულა არის შემოვლებული. დაკბილულას მწკებარად სახელდებული წითელი სკლატის ზოლი მოყვება კალთების ბოლოებზე, დაკბილულა—მწკებარას გარდა სირმაც არის გადავლებული. ერთ-ერთი ქოქლოს მკერდის ფარავთა ნაპირებზე და გარშემო სამსამი კუთხაა შემოკერებული. კუთხათა შემდგომ მწვანე, ლურჯი და წითელი ქსოვილის ოთხკუთხედებისაგან შედგენილი ზოლია შემოვლებული. ამგვარი ზოლი ენათა კიდებზედაც არის აყოლებული, მას ბოლოთ კუთხ-კუთხა ეწოდება.

ქოქლოსაც და ფაფანაგსაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უკან წელნი აქვს გაკეთებული. წელზე თურმე შილის ან სკლატის ნაფთულა უნდა იყოს გატარებული. ამჟამად, როგორც ჩანს, სკლატი ძნელად იშოვება, მის მაგივრობას სხვა სახის ქსოვილი და ზოგ შემთხვევაში კი ბაჭრის გრებილიც სწევს. ერთ-ერთი ქოქლოს მონაკებული წელის მთელ სიგრძეზე ლურჯი ნაჭრის შიბა იყო დაკერული. ნაჭრის შიბა 1,5 თუ 2 სმ-ის სიგრძეზე წელზედაც ჩამოდიოდა, ყოველ წელს ჩამოყვებოდა. ნაჭრის შიბის ზოლთა კიდებზე სირმაც იყო შემოვლებული.

თითქმის ყოველი დიაცის ქოქლო-ფაფანაგის ზურგზე გამოყვანილია „შილათი“ თუ „სკლატით დაკრული“ დაკოპკვილი. ამნაირი დაკოპკვილი ზოგჯერ მხრებზედაც არის ხოლმე გაკეთებული. პირველს ზურგჩი დაკოპკვილს ეძახიან და მეორეს კი მჭრებჩი დაკოპკვილს (ამ უკანასკნელს „მჭარჩი ჩამოკოპკვილის“ სახელითაც იხსენიებენ).

ფაფანაგი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქოქლოს მსგავსი ჩასაცმელია; ქოქლოსაგან ის მკირედად განსხვავდება, ზოგ შემთხვევაში განმასხვავებელი ნიშანი თურმე მთლიანად იშლება. ქოქლოსაგან განსხვავებით, ფაფანაგი



გვერდის კალთა ფერდის ანუ ფარაგის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. წესის მიხედვით ფაფანაგს გრძელი სახლეები უნდა ჰქონდეს და ქოქლოს ცეცხლს მოკლე—მკლავის შუა ადგილამდე (ამეამად ქოქლოსაც გრძელ სახლეებს უკეთებენ). სხვა მხრივ ფაფანაგი ქოქლოსაგან არაფრით განიარჩევა, კრილობაც ერთნაირია და ცალკეულ ნაწილთა სახელწოდებანიც დაახლოებით ერთგვარი აქვთ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ენას“, რომელიც ფაფანაგის აღწერილობის გადმოცემაში ზოგმა მოხრობელმა, „კალთას“ სახელწოდებით მოიხსენია). ფაფანაგიც ნაირფეროვანი ორნამენტით არის შემკობილი. ქოქლოსათვის დამახასიათებელი ორნამენტი დაკოჭვილი ფაფანაგსაც აქვს ვაკეთებულად.

ქათიბი, რომელიც ერთი შეხედვით ქოქლოსა და ფაფანაგს წააგავს, „მჩერისაა“. ის სამბილოსაგან, ე. ი. ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილისაგან არის შეკერილი. წინ ქოქლო-ფაფანაგის მსგავსად თავიდან ბოლომდე ჩახსნილია. ქათიბის სატელი, ქოქლუსას სახელის მსგავსად, გრძელი არ არის. ის იდაყვის ქვემოთ ოდნავ არის ჩამოცილებული. ზოგი ქათიბის სახელი იდაყვამდეც არ მოდის. ქოქლუსა-ფაფანაგისაგან განსხვავებით ამ უკანასკნელს საყელო არა აქვს მოკერებული. კისერთან გრძელი სწორკუთხიანი ოთხკუთხედის მსგავსად სასაყელოვე ნაწილი ფერადი (ჩვენ მიერ ნახულ ქათიბზე წითელი) ქსოვილის ზოლებით არის გამოყოფილი, ამ ნაწილს ეძახიან საყელოს. მაღლა ტანი მთლიანი საზურგულისა და ორი ფარაგისაგან შედგება (საზურგულს, უკეთ ვთქვათ, საზურგულის ზემო ნაწილს, მგარნის უწოდებენ). მაღლა ტანი სარჩულიანია, ქათიბს წელამდე „შარჩული“ აქვს გამოკერებული. ქათიბსაც აქვს ენა და კალთა, უკანა ნაწილი მთლიანია (თუ განიერი ნაჭერი არ არის, მაშინ რამდენიმე განია ერთმანეთზე გადაკერებული), ის ერთმანეთზე საგანგებოდ გადაკერებული კალთებისაგან არ შედგება. დაბლა ტანის ამ უკანა ნაწილს აქვს ასხმული „დახმუწვილი“, „წელნი წაწმუწვილი“ აქვს და ისე არის მაღლა ტანთან გადაკერებული („ერთიან ფართალს წაგხმუწვით და წაყავკერებთ წელზეო“). ქათიბიც სხვადასხვა სახეებით არის ხოლმე ორნამენტირებული. ჩვენ მიერ აღწერილი ქათიბი შემდეგნაირად იყო შემკობილი: წელზე კუთხ-კუთხაას სახელით ქობილი წითელი და მწვანე ნაჭრის ოთხკუთხედებისაგან შემდგარი ზოლია გადადებული—ეს კუთხ-კუთხაა. კუთხ-კუთხაა ილიის ძირსაც ასდევს და ორივე სატელის თავსაც უვლის გარს. კუთხ-კუთხაას ზოლი ფარაგისა და საკისრულის ნაპირებსაც შემოსდევს.

ქათიბის გვერდები, გვერდის კალთებსა და უკანა კალთებს შორის, შეხსნილია; მას ამ უმთხვევაშიც სამკედრო ეწოდება. ქათიბის კალთათა ირგვლივ, სახელთა გარშემო და წინ ჩახსნილის ნაპირებზეც ავრეთვე შილი-ფანი ან კუთხანი უნდა ჰქონდეს შემოვლებული¹. (ნაოქასხმულ წელს ამ შემოხვევაშიც წელი ნი ჰქვია, კალთათა ბოლოებს კი—ბოლონი).

ხეგსური დაიცი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზამთრობით ტყავსაც იცმევს. ტყავის შესაკერ მასალად, შინაური ცხოველის ტყავთან ერთად, ნადირის ტყავსაც იყენებენ (ნადირის ტყავისაგან შეკერილ ტყავს უპირატესად მამაკაცები ატარებენ). შინაურ ცხოველთა შორის ამ მხრივ ცხვარი და თხაა გამოყენებული, ნადირთაგან კი—ჯიხვი. შესაძლებელია, რომ ტყავის

¹ ჩვენ მიერ აღწერილს, მომწვანო ფერის ბამბის ქსოვილისაგან შეკერილ ქათიბს ღვიზისფერი შილივი ჰქონდა შემოკერებული.

ტანი ცხვრის ან თხის ტყავისაგან შეეკრონ და სახლებად კი ბოჩოლის ტყავი მოაკერონ. დიაცის ტყავი სხვადასხვაგვარი მოყვანილობის ლითონის „ნაყრელი“ იკვრის.

დედაცაცის თავსაბურავი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორი ძირითადი ელემენტისაგან შედგება: ქალი ჯერ სათაურას დაიდგამს და შემდეგ კი მან დელს მოიხვევს (სათაურას ქვეშ ზოგი მანდილოსანი თავს ალსაც ატარებს). გაუთხოვარი ქალი მანდელს არ ხმარობს, ის მხოლოდ სათაურას იხურავს.

სათაურა ტოლისაგან და მატყლისაგან არის შეკერილი. სხვადასხვა დიაცის სათაურა სხვადასხვაგვარად არის შემკობილი. სათაურას ორნამენტთა გამოსაყვანად სხვადასხვა ფერის და გვარის ძაფები და ლილ-მიძვებია გამოყენებული.

მანდელი გრძელსა და ვიწრო ტოლს წარმოადგენს. მანდელის ერთი ან ორივე ბოლო ფუნჯით არის დაბოლოებული. ფუნჯს ფეხსვი ეწოდება ცალმხრივფუნჯიანი მანდელი უფრო ფართოდ არის გავრცელებული. ამგვარ მანდელს უფუნჯო მხარე ბრტყლად აქვს გადაკეცილი. ამის გამო მას ზოგი მთხრობელი ორქერქა მანდელსაც ეძახის. მანდელი ნაჭრელათი არის „დაკერული“. მანდელის მოქარგვა ორნაირი წესით შეიძლება: ა) ნაჭრელა შეიძლება უშუალოდ მანდელის ქსოვილზე გაკეთდეს. ბ) ნაჭრელა შეიძლება მანდელზე საგანგებოდ ამ მიზნით დაკერებულ ქვილაზე ამოქარგოს. მანდელის მოყვანილობა-შემკვლობის ნათლად წარმოადგენის მიზნით აქვე მოვიყვანთ ცალმხრივფუნჯიანი მანდულების აღწერილობას.

მანდელი კრაველისაგან მოქსოვილი ცალპირა ლურჯი ტოლისაა. მანდელის ერთ ნაპირს, დაახლოებით ნახევრამდე, ორი სკლატის ზოლი აქვს გავლებული (სისვი და წითელი), თითო ზოლზე თითო ძრელშიბაა ამოქარგული. მანდელის ორივე ნაპირს წითელი შილითა აქვს შემოკერებული. სკლატიან ნაპირსა და სადასაც (სკლატიანი ნაპირის ზომამზე) სირმა აქვს შემოყოლებული. მანდელის ერთი ბოლო, როგორც ზემოთაც ვთქვით, დაკერულია. დაკერული ბოლო ფეხსვიანია, ფეხსვი ქრელად და სადად დაწნული ზონრებისაგან შედგება. მანდელი ნაჭრელათი არის დაკერული (აბრეშუმით). მოქარგული ნაწილი ერთმანეთზე მიწყობით ამოქარგული თავდახრილასა და თვალნიანსაგან შედგება. ნაჭრელას ფრიად ბრტყელ ზოლს შუაში ტეხილი ზოლებისაგან შემდგარი სახე დასდევს—ეს მგზავრამა (ნაჭრელათი დაკერულს მგზავრამ ეწოდება და შიბაძთ დაკერულს ამგვარივე სახეს კი დაკავკაუღლაო). მოქარგული ნაწილის თავში, იმავე ნაჭრელათი, სამი ხატისაგან შემდგარი დიდი ხატი გამოყვანილი, მას სამხატო ეწოდება. მანდელი ისე უნდა მოიხვიონ, რომ დაკერული ნაწილი თითქმის მთლიანად გამოჩნდეს. მოხვევისას სამხატი შუბლთან უნდა მოექცეს.

მეორე მანდელი შავი ტოლისაა, ცალ მხარეს შეეცილი და ცალმხრივ კი ფუნჯიანი. ფუნჯიანი მხარე, გარკვეულ ზომამდე, ნაჭრელათი არის დაკერული. ნაჭრელას სახეთა თანმიმდევრობა შემდეგნაირია: ფუნჯის ძირში გავლებულია ორი შიბა-შიბები, შემდეგ აკუშურათაგან შემდგარი ზოლი, კვლავ ორი შიბა, ხატი—ხატებისაგან შემდგარი ზოლი, სამი შიბა, შუშუ ჩაყრილი აკუშურა, კვლავ სამი შიბა, მთლიანად „დაკერული“ ბრტყელი ზოლი—კვერამს ნახევარი ნაჭრელა და ანუ ცალამგარამა. ამის შემდეგ ზემოაღწერილი სახეები მეორდება იმავე თანრიგით.



ხევისურის ქალს დღეს ნაწნავეები არა აქვს, მას თმა მრგვალია და ქვეშევრდები მოკრეპილი, შუბლზე ქოჩორია ჩამოფენილი „შუბლის საშუალოზე“¹ და მისი გეს თმა, კისერი ძალიან არ უნდა ჩანდეს“-ო. ზოგი მთხრობელის ცნობით, წინათ ხევისურის ქალებსაც ჰქონოდათ ნაქაპნები, გათხოვილიცა და გაუთხოვარიც თმის თურმე ნაქაპნებად იწნავდა. დიაცებს ნაქაპნები დახვეულები ჰქონდათ, სამ-სამ ნაწნავს (სამს ერთი მხრიდან წამოღებულს და სამს მეორე მხრიდან) შუბლთან გადაიჯვარდინებდნენ ხოლმე. „დავწინდით ესრ-ჩაღმ ჩამოვწინდით; სამს ესრ წავიღებდით, სამს ესრ გადავხატიდით შუბლზე“ (ყურებთანაც ორ-ორი ნაწნავი იყო ჩამოშვებული). თმა-შეკრეპილობა შედარებით იშვიათობას წარმოადგენდა, თმის შეკრეპა გარკვეულ წესთან ყოფილა დაკავშირებული. ქალს თუ ძმა მოუკედებოდა თმებს შეიკრეპდა და საფლავში ჩააყოლებდა (მიცვალებულს სარტყელში გაუკეთებდა თმებს), „თმის წელში ამბატანიანა“. ამის შემდეგ ის თმებს არასოდეს აღარ გაიზრდიდა „უძმო უთმო ყოფილას, გასაგებ ყოფილას იმითვისაც ძმა არ ჰყვანიას“.

დიაცი ფეხს, როგორც აღვნიშნავთ, თათებითა და პაპიქებით იმოსავს. თათებსაც და პაპიქებსაც ჩხირებით ჰქსოვენ. ქალი ტოლის პაპიქს არ ჩაიცმევს. პაპიქებს ერთფერი ბაწრისაგანაც ჰქსოვენ და აპრელეზენ კიდევ. დაპრელეზა ქსოვის პროცესშიაც შეიძლება და მოქსოვის შემდეგაც, პირველს დამატება ეწოდება („ვაშატებთო“) და მეორეს კი — დაკერვა. „ქალ-დედაკაცის“ პაპიქი მამაკაცის პაპიქისაგან მხოლოდ ქსოვის ტექნიკის მხრივ არ განსხვავდება. განსხვავება მოკრეპლების წესებშიც არსებობს: მამაკაცის პაპიქი გვერდზე არის დაკერული, დაკერული სახეები მას სიგრძე-სიგრძე დაჰყვება, ქალის პაპიქს კრელი ზოლები ირგვლივ უვლის.

ხევისური მამაკაცის ტალავარის კომპლექსში მრავალ საყურადღებო ელემენტს ვამოწმებთ, თითოეული მათგანი სპეციალური კვლევის ღირსია, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ხევისურულ პერანგზე ვიმსჯელებთ.

ხევისური ვაჭკაცის პერანგიც შიშველი მხარ-ბეჭისა და გულ-მეკრდის დამფარავი ჩასაცმელია. პერანგი ჩოხის ქვეშ სატარებლად განკუთვნილი ტანსაცმელია. ერთი სიტყვით, თავისი ფუნქციით და ზოგჯერ კი ტერმინოლოგიური გამოხატულებითაც ის სხვა ქართველ ტომთა შორის დამოწმებული პერანგების შესატყვისია.

საქართველოში ერთობ გავრცელებული და ხევისურულ დიალექტშიც მტკიცედ შემონახული სიტყვა „პერანგი“ მეფთრთმეტე საუკუნემდე შექმნილ წერილობით ძეგლებში სრულიად არ გვხვდება. დავითის ისტორიკოსის თხზულებაში მოხსენებული „პერანგი“ უკვე უფლებამოსილ სიტყვად გამოიყურება და „ვეფხისტყაოსანშიც“ ის ტრადიციის მქონე ტერმინად გვევლინება. ერთ-ერთ ციხეზე თავდასხმის დროს დავით აღმაშენებელი „ქარსა კარვისა თვისისა დგა, პერანგითა ოდენ მოსილი“¹; თინათინის მიერ წარმოგზავნილი მონა-ზანგის მისვლის გამს, საწოლზე მჯდომ ავთანდილსაც „ეცვა ოდენ მართ პერანგი“².

პერანგთან დაკავშირებულ ცნობებს მომდევნო საუკუნეთა წერილობითი წყაროებიც გვაძლევს; ქართველთა ჩაცმულობის დახასიათების დროს, ვა-

¹ ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, გვ. 262.

² შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1937, გვ. 120.

ხუშტი ბატონიშვილიც ამნაირადვე გაგებულ პერანგსაც იხსენიებს. „ქართული ლექსები“ ძლიერ ხშირად არის ლაპარაკი სამოსლის სახეობათა შესახებ. ასეთ პირობებში წარმოდგენილია, რომ ამ თხზულების ქართველ მთარგმნელს „პერანგის ხმარება არ დასჭირდება; ჩვენ ვეთქობთ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დაახლოებით პირველი ათი საუკუნის მანძილზე, ქართულ ლიტერატურულ მეტყველებაში ეს ტერმინი არ არსებობდა.

ორი კალთისაგან ხევსურული პერანგი ვაეკაცს თითქმის მუხლამდე სწვდება. ეს უქანასკნელი უპირატესად ცალგანში იკერება. ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ კალთათა (წინა კალთისა და უქანა კალთის) სიგანე ალბათ ტოლის მთელ განს შეესატყვისება. პერანგი, როგორც ვთქვით, მხრებთან არ არის გადაჭრილი და თავიდან ბოლომდე თითქმის თანაბარი სიგანით არის წარმოდგენილი. პერანგის ილიათა ძირები ოდნავადაც არ არის ამოჭრილი, საილიედ განკუთვნილ მხრის კიდეებზე აგრეთვე თავგადაუქრელი სახლეება მიკერებული, პერანგის საჯელიც არსად არ არის წაკვეთილი; მაჯის ანუ საჯლის წვერის მიმართულებით, ალბათ, ღრმად ჩაქერვის წყალობით, ის მცირედად არის შევიწროებული. პერანგის სახელი გრძლად უნდა იყოს ჩანსნილი და ილიის შომიჯნავე გვერდის ნაწილიც, განსაზღვრულ მანძილზე, გაუქრავად უნდა იყოს დატოვებული. განიერსახელოებიანი პერანგი, როგორც ჩანს, ილიების შესხნას ყოველთვის არ საჭიროებს, მაგრამ, შიშაქათა უმრავლესობა, რამდენადაც ვიცით, უმთავრესად სახელოებშესხნილ პერანგს ატარებს. პერანგის გვერდები ღრმად არის შესხნილი; შესხნილი ჩაქები, ადგილობრივ, სა მხედროს სახელწოდებით არის ცნობილი. მარად საფრთხის ქვეშ მყოფი ცხენოსანი ვაეკაცის სამოსელის კრილობა, იმთავითვე სამხედრო მოთხოვნილებებთან იყო შეფარდებული. პერანგის თავნაწილის შუა ადგილი დაახლოებით ოთხკუთხოვნად უნდა იყოს ამოჭრილი. თავის ამოსაყოფად განკუთვნილი ამონაჭრის მარჯვენა კიდის ჩასწვრივ საკინძი უნდა იყოს ჩახსნილი. ამოღებული ადგილის უქანა ნაპირზე — საკისრებზე და თავის ამოსაყოფის მხრების მსაზღვრავ კიდეებზე საჭედურად სახელდებული საყელოა მიბმული, ჩაცმის შემდგომ საყელო ფეხზე უნდა იყოს გაჩერებული. საკინძაჭრილი საგულეს წვერი ენასავით გაწვრილებული რჩება, პერანგის ენის წვერზე მიკერებული ღილისა (ან დუგმის) და საქედურის ძირთან მიბმული კილოს საშუალებით იკვრება.

მკერდის მარცხენა ნაწილი ნაირფეროვანი საშუალებებითა და სახეებით მოჭარბულ საბეჭურს უნდა ჰქონდეს დაკავებული; პერანგის კალთათა ბოლოები, სამხედროთა კიდეები, მხრებისა და სახელების გადაბმის ადგილები, სახელთა წვერები და განსაკუთრებით კი ფარავი — სხვადასხვანაირი სახეებით უნდა იყოს მოჭრელებული. პერანგს სხვადასხვა ფერისა და სახეობის ქსოვილთაგან გამოჭრილი სახეებითაც რთავენ, ნაირნაირი ფერის მატყლის ან აბრეშუმის ძაფითაც ჰჭარავენ და ფერადი ღილ-მძივებითაც ამკობენ. უწინ საყოველთაოდ ხმარებულ ლითონის ფირფიტებს ამჟამადაც ატარებენ. მოსაჭრელბელ — მოსაჭარავ ნაწილთა შორის პირველ რიგში ფარავს აყენებენ. განსაკუთრებით ლამაზსა და მრავალგვარი ორნამენტით შემკულ ფარავს თურმე სწორფერისათვის ნავარაუდევ პერანგს უკეთებენ.



მოქარგულ-მოჭრელებული გულის პირს ხევესურები მნიშვნელოვნად სხვაგვარი წარმოშობის სიტყვა-საბეჭური თაყ აღნიშნავენ. ფშავნი მის სამხრეს ედახიან და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მცხოვრები კი საგულესა და გულისპირს უწოდებენ. მივიწყებულ ნაციონალურ ტანსაცმელს ბარის ქართველებმა საგულეც თან გააყოლეს. ჩვენმა მთიელებმა კი მეტ-ნაკლები სრულყოფილებით დღევანდლამდე შემოინახეს. საგულე—მოკაზმულ პერანგს თუ სხვა სახის ჩასაცმელს ხევესურების უახლოეს მებობელთა (მთიულ-მოხევეთა და თუშ-ფშავთა) ეთნოგრაფიულ ყოფაშიც ვამოწმებთ, მაგრამ ყველაზე ცხადსა და თვალში საცემ არქაულობას ხევესურელი პერანგისა და სადიაცოს ფარაგებზე ვადასტურებთ.

საგულისხმოა, რომ „ფარაგის“ განმარტებას საბა ორბელიანი სხვაგვარად წარმოგვიდგენს. ფარაგს ის „ჯიბესა“ და წელთსარტყამ ჯიბიან „ჩასადებელს“ უწოდებს¹. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ფარაგს, როგორც დამოუკიდებელ სამოსს, თუშის ქალებიც ატარებენ; „ფარაგს“ გულ-მოქარგულს პერანგზე წამოსაცმელად განკუთვნილ ელეგს უწოდებენ. „ფარაგის სახელით ცნობილი გულსაფარის არსებობა შესაძლებელია რომ წარსული საუკუნეების ხევესურეთისათვისაც ვივარაუდოთ; „ფარაგნი“, რომელსაც ურბნელი „მიძევებით მორთულ და ფერადის ძაფით მოქარგულ გულზე ასაფარებელ საცმელად“ აღწერს, ამნაირი სახეობის საგულედ უნდა წარმოვიდგინოთ².

ყველა სახის ფარაგნი გულ-მკერდის დასაფარავად და დასამშვენებლად არიან განკუთვნილნი: იქნებ შესაძლებელი იყოს, რომ გულის დამცველ-დაამშვენებელი ფარაგი და შეიარაღების კომპლექსში წარმოდგენილი ფარი ერთი ძირიდან მომდინარე სიტყვებად იქმნენ მიჩნეულნი.

ხევესურული პერანგის სრულყოფილი დახასიათების მიზნით, ჩვენ საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაშიც ვიმუშავებთ და ხსენებულ განყოფილებაში დატული სამი პერანგის შესახებ ქვემოთ ვაღმარცხვლი აღწერილობა შევადგინებთ.

სამივე პერანგი ხევესურული ტოლისაგან არის შეკერილი, ერთი მათგან რადეს მიერ არის შექმნილი და ორი დანარჩენიც წარსული საუკუნის მეორე ნახევარშია შემოსული³.

ამ პერანგთაგან ერთი ლურჯია, მეორე იისფერია და მესამე კი (რადეს მიერ შექმნილი და გამოქვეყნებული) ენდროსფერია. სამივე პერანგი ერთნაირი კრილობით არიან შეკერილნი (სხვა პერანგებისაგან განსხვავებით ენდროსფერ პერანგს სახლები არა აქვს ჩახსნილი), განსხვავება მხოლოდ ორნამენტაციის სფეროშია წარმოდგენილი.

პერანგების თარგების შესახებ აღარ ვილაპარაკებთ, ჩვენს ყურადღებას მხოლოდ მორთულობის აღწერილობაზე შევაჩერებთ. ლურჯ პერანგს პირობით „პირველ პერანგს“ უწოდებთ, იისფერ პერანგს „მეორე პერანგს“ და ვუძახებთ და ენდროსფერ პერანგს „მესამე პერანგად“ მოვიხსენიებთ.

პირველი პერანგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლურჯი ფერის შალისაგან არის შეკერილი. აშკარად ჩანს, რომ საპერანგე ტოლი, მისი ჩამუქების

¹ საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, „ფარაგისა“ და „ფარაგის“ განმარტება.

² ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 85.

³ საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დატული კოლექცია A 11—78, A. 3—92/1—2.



მიზნით, მეორედ არის შეღებული: განმეორებული შეღებვის შედეგს უნდა წარმოადგენდეს ის, რომ პერანგი სხვადასხვა ფერადაა აქრელებული. უფროსი უდიდესი ნაწილი ჩაშავებულია და წინა კალთა და სახლებიც, ადგილ-ადგილ, შესამჩნევად არის ჩამუჭებული. პერანგი, როგორც ითქვა, ამნაირად აფერადებული შალისაგან არის შეკერილი, მაგრამ მარცხენა სახელოს დაახლ. 3/4 ნაწილისათვის შავი შალია გამოყენებული. პერანგის კალთების ვარშემო, სამხედროთა ნაპირებზე, მაჯების ირგვლივ, სახელოებისა და გვერდების შეხსნილ და შეუხსნელ ნაწილთა კიდებზე მომწვანო-მოყვითალო ბაწრის შილი ფაა შემოვლებული. შილიფა ნაპირების გადაკეცვის შემდგომ არის შემოკრებული. პერანგის სამკერდულის მარცხენა ნაწილი ოთხკუთხოვანი მოყვანილობის ფარავსა აქვს დაკავებული, ფარავის ზემო ნაწილი რამდენიმე სმ-ით მხრების გადაღმაც არის გადაშვებული. ფარავის ფონად ოთხკუთხოვნად გამოკრილი აგურისფერი შილაა გამოყენებული, ამ უკანასკნელს სამი მხრიდან მწვანე მაუდის ვიწრო ზოლი (0,8 სმ სიგანის) აქვს შემოყოლებული, ამგვარივე ნაქრის ვიწრო ზოლი სათავეს კიდებებსა და საკინძსაც აქვს შემოვლებული. საყელოსაც და საკისრისაც, შიგნითა მხრიდან, თეთრი სარჩული აქვს გამოკრული; საყელოსა და საკისრეს შემეერთებელ ნაკერზედაც და საკინძის მარჯვენა ნაპირზედაც თეთრი მიტკლის ვიწრო ზოლია ჩამოყოლებული (0,5 სმ სიგანის). საქედურის ზედა სანაპიროს გასწვრივ საფარავე ქსოვილის ზოლია დაკრებული 0,8 სმ. სიგანის), ამ უკანასკნელის მთელ სიგრძეზე მოყვითალო ძაფით ჩაბმული შავი ძაფია გავლებული. საყელოზე, სათავეს ნაპირებზე და საკინძის კიდებზე სამფეროვანი ბაწრის (შვინდისებრი, მწვანე ანუ სისვი და ლურჯი შილი ფანია შემოვლებული სამივეს სიგანე ერთად 1 სმ უდრის).

ფარავი ნემსის წვერით საუცხოოდ არის დალიანდაგებული. განემსილ (ხევისურეთში დალიანდაგებას „განემსვას“ ეძახიან) ფარავზე სხვადასხვაფერის აბრეშუმის ძაფებით (თეთრი, შავი, ლურჯი, მოოქროსფერო-მოყვითალო, მოთეთრო მოყვითალო, მუქი იისფერი, ბაცი იისფერი, ცისფერი და სხვ.) მშვენიერი ორნამენტია გამოყვანილი. დალიანდაგებული ფარავის მოუქარავ ნაწილზე, ბრტყლად გაშლილი ორნამენტის ქვემოთ ხატის სახელით ხსენებული ჯვარიც არის გამოსახული. ფარავის ნაქარგი ორნამენტი ადგილ-ადგილ თეთრი, ცისფერი, მომწვანო-მოყვითალო და წითელი მძივის წრებებითაც არის დამშვენებული.

ფარავის ორნამენტი რამდენიმენაირი სახისაგან არის შედგენილი: მასზე სწორე გვერდებისაგან შემდგარი და რქადახრილით გაფორმებული კვერილანი (კვერანი), ხატნი, მარტულელანი, დაკბილულაას სამკუთხანი და კრელ შიბანია წარმოდგენილი. ფარავზე მოზრდილი ზომის ორი კვერილაა ამოქარგული. თითოეულ მათგანში ერთმანეთში ჩამჯდარი რამდენიმე კვერილაა მოთავსებული. აღნიშნულ კვერილათა ირგვლივ ნახევარკვერანის მსგავსი სახეები შემოსდევენ, ეს უკანასკნელნი დაკბილულაას უფრო მოგვაგონებენ.

კრელშიბაას ზოლები დანარჩენ სახეთაგან შემდგარ ორნამენტს ჩარჩოსავითა აქვს შემორტყმული. შიბაა შავი, ყვითელი და მოწითალო ძაფებით არის ამოქსოვილი.

პატარა ხატებისაგან შემდგარი ორნამენტი რამდენიმე ადგილას სწორხაზობრივად არის გავლებული. „ხატის სახეობა შავი ძაფით არის ამოქარგული.



კვერილათა კუთხეებში შუშის პაწია მძივებისაგან შემდგარი წრეებია. მიკერებული, წრედ თეთრი მძივებია შემოყოლებული და ყოველი წრე, გულში კი თითო წითელი მძივია ჩასმული. კვერილათა გულში მომწვანო-მოყვითალო მძივთაგან შედგენილი თითო წრეა ჩაბმული; წრის გულში, ამ შემთხვევაშიც, წითელი მძივია ჩამჯდარი. სათავეს ჰორიზონტალურ ნაპირზე მიკერებული მძივის წრეებიც (თითო-თითო აქეთ-იქით კუთხეებში და ერთი კი შუაში) ამგვარივე წესით არიან განლაგებულნი; წითელგულიანი თეთრი მძივები, აქაც, კუთხეებში არიან მიმაგრებულნი, წითელ გულიანი მომწვანო-მოყვითალო მძივები კი შუაში არიან მოქცეულნი.

ზემოაღწერილი ორნამენტისაგან გამოცალკეებული ხატის ზოლები ცისფერი ძაფებით არის ამოქარგული, მასში შავი და მოყვითალო ფერის ძაფებით გამოყვანილი სხვა ჯგერებია ჩამჯდარი. ჯვარის კუთხეებში ცისფერგულიანი ცისფერმძივიანი თეთრი მძივის წრეებია მიმაგრებული, ჯვარის გულში წითელგულიანი ცისფერი მძივების წრეა წარმოდგენილი.

მეორე პერანგად სახელდებული იისფერი პერანგიც დაახლოებით ზემოაღწერილი პერანგით არის გაფორმებული: ხევისურეთში საკმაოდ გავრცელებული სახეებისაგან შედგენილი ფარაგის ორნამენტი, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ფერადი მატყლის ძაფებით არის მოქარგული, ფარაგი ნაირფეროვანი მძივებითაც არის შემკობილი. ზემოდახასიათებული პერანგისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელის გვერდები შიგნიდან არის გაკერილი და თავისივე ფერის ბაწრით ამოხვეული. სამხედროთა ნაპირებზე და კალთების ბოლოებზე ცისფერი ბაწრის შილიფა შემოსდევს, სამხედროთა ორივე ნაპირს წითელი და მომწვანო ფერის ნაქრთა თითო ბრტყელი ზოლიც ჩასდევს. მაჯების ირგვლივ ორი შილიფაა შემოკერებული: შავი მატყლის ძაფისა და მწვანე ანუ სისვის ფერი ბაწრისა, მწვანე შილიფაზე გაფანტულად განლაგებული პაწია თეთრი მძივებია შემორიგებული, დაახლოებით შუა ადგილას თეთრი ღილიც არის მიკერებული. მაჯის შეკრილი ნაწილის წვერებზე თითო ლურჯი ფერის ღილია დამაგრებული. ორივე მაჯის გარშემო და მისგან ცოტა მოშორებითაც (ზემოთაც) თეთრი და რუხი ქსოვილის ორ-ორი ზოლია შემორტყმული. წყვილ-წყვილ ზოლთა შორის დატოვებულ თავისუფალ ადგილზე მომწვანო ნაქრის დაკბილულადაა შემოვლებული. ამ პერანგის ფარაგსაც მკერდის მარცხენა მხარე აქვს დაკავებული, საკინძის ბოლოს გასწვრივ არის ფარაგის დასასრული. ფარაგი სხვადასხვა ფერის მატყლის ძაფით თვით პერანგზევე ამოქარგულ ოთხკუთხოვან ადგილს წარმოადგენს. მოსაქარგავად გამოყენებული ბაწრის ფერებია: მოოქროსფერო-მოყვითალო, იისფერი, ლურჯი, ცისფერი და მწვანე ანუ სისვი.

ფარაგის ძირითად ორნამენტს ამ შემთხვევაშიც კვერა ანუ კვერილა წარმოადგენს. თითოეულ კვერილას ირგვლივ სისვის ფერი შიბაა შემოსდევს, კვერილებს ერთიმეორისაგან შიბაის ზოლები ჰყოფს. ამ ფერივე შიბაას წყვილი ზოლი კვერილათაგან შემდგარ ოთხკუთხოვან ორნამენტსაც აქვს შემოვლებული, ჩარჩოსავით შემოყოლებული შიბათა შორის შემდგევი სახეების გამოყვანილი: ყვითელი ბაწრით — ოთხთვალა და ორშიბანიანი ცერაათ, ორშიბანის ცერანისათვის მწვანე ბაწრია გამოყენებული.

ოთხკუთხოვანად ორნამენტირებული ფარაგის ბოლოზე, ზემოხსენებული ფერის ბაწრებით ამოქარგული დაკბილულაა გაყოლებული, ე. ი. სამკუთხედებისაგან შემდგარი არშიაა გავლებული. დაკბილულას თითოეულ სამკუთ

ხაში ერთმანეთზე თანმიმდევრობით პატარა სამკუთხედები მოთავსებულია. თითოეულ კვერილაშიც აგრეთვე სხვადასხვა ფერის ძაფებით ამოქარგულნი არამდენიმე რომბისებური ოთხკუთხედი და ჩასმული. აღსანიშნავია, რომ ზოგი კვერილას გვერდებად შიბადა წარმოდგენილი და ზოგი კვერილას გვერდები კი პაწია ცერა ხაზებისაგან არის შედგენილი.

კვერილათა გამყოფ შიბას ზოლებზე, ერთმანეთისაგან მოშორებით, პატარა თეთრი მძივები მიუბამთ, ასეთივე განლაგებით წარმოდგენილი ამგვარივე მძივები ირგვლივ შემოვლებულ შიბათვისაც გაუყოლებიათ. კვერილათა გულებშიც ხუთ-ხუთი მძივი დაუმარგებიათ: ოთხი თეთრი მძივი წრედ და თითო მწვანე მძივი კი გულად.

ენის თავზე ლითონის ღილა მიმაგრებული, საკინძის მთელ სიგრძეზედაც სამი ღილა მიკერებული: თავსა და ბოლოში თითო თეთრი ღილი და შუაში კი ლურჯი ღილი. სათავე-სასაყელოვეს ჰორიზონტალურ ნაპირზედაც (ფარაგის თავის ვასწვრივ) სამი ღილა გამწკრივებული: თითო ლურჯი ფერის ღილი კუთხეებში და ერთი თეთრი ღილი კი შუაში. საყელოსაც და საკისრესაც, შიგნითა მხრიდან, სარჩული აქვთ გამოკრული, საქედურს შავი ჩითისა და საკისრეს მოვარდისფერო ტოლის. საყელოს სანაპიროს იისფერი, მწვანე და ლურჯი ბაწრის შილიფანი მიჰყვება; ასეთივე შილიფანი სასაყელოვეს ჰორიზონტალურ ნაპირს, ენას და საკინძის ქრილის ორივე მხარესაც დასდევს. საქედურზე მიკერებულ შილიფანებისგან შემდგარ ზოლებზე ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი თეთრი ღილებია გაყოლებული. საყელოს ზემო სანაპიროზე, თავის ამოსაყოფის კიდეებზე და საკინძის გვერდებზე. შილიფათა ზოლების შემდგომ, ლურჯი ლეინის წვრილი ზოლია ჩავლებული. ლეინის ზოლებზე ცისფერი და ყვითელი ბაწრებით (საყელოზე ცისფერი ძაფით და დანარჩენ ნაწილებზე კი ორივე ფერით) დაკავკაულია გამოყვანილი. სახელთა ძირების ირგვლივ და მხრების განაკერებზე ცისფერი ლეინის წვრილი ზოლებია (დაახლ. 1 სმ-ს სიგანის) ვადლებული, ზოლების ნაპირებზე ცისფერი ბაწრის თითო წვევრია ვავლებული. ყოველ ზოლებზე წითლად შეღებილი მატყლის ძაფის დაკავკაულია გაკეთებული.

ზურგზე—საკისრეს ჩასწვრივ და სამხრებთან ცისფერი ქსოვილის ზოლებისაგან შემდგარი სამი ღილი სამკუთხედი მიკრული, განსაკუთრებული სიდიდით შუალა სამკუთხედი გამოირჩევა. სამკუთხედის ზოლებზე წითელი ძაფის დაკავკაულია გამოსახული, ზოლების კიდეებზე შავი ბაწრის ხლართებია შემოყოლებული. შუაში მოქცეული დიდ სამკუთხედში ოთხი ოთხკუთხადა ამოქარგული, ცისფერი ბაწრით გამოყვანილ დიდ ოთხკუთხას შუა ადგილი აქვს დაკავებული (ამ უკანასკნელშიც ყვითელი ბაწრის პატარა ოთხკუთხადა ზის) და სამი პატარა მწვანე ძაფით ამოქსოვილი ოთხკუთხაები კი—მის აქეთ-იქით და ქვეშ—სამკუთხოვნად არიან განლაგებულნი. აღნიშნულ სამკუთხედთა შორის დატოვებულ სივრცეზე, ე. ი. შუა სამკუთხედის აქეთ-იქით, შავი ძაფის თითო ოთხკუთხადა ამოქარგული, თითოეულ ამ ოთხკუთხედთაგანშიც თეთრი ძაფით ნაქარგი თითო ოთხკუთხადა ზის. პატარა სამკუთხედებში მწვანე ძაფის ოთხკუთხაები სხედან, ამ ოთხკუთხაებშიც ცისფერი ბაწრით ამოქარგული ოთხკუთხაები არიან მოთავსებულნი. პატარა სამკუთხედების აქეთ-იქით, სახელთა ძირების აბლოს, ცისფერი ძაფის ოთხკუთხაებია გამოყვანილი, თითოეულ მათგანში წითელი ძაფის ოთხკუთხადა ჩამჯდარი. ყოველი სამკუთხედის ქვეშ დიდი ზომის ხატია გამოსახული. დიდი ხატების გულში



პატარა ხატებია მოთავსებული. ნაპირის ხატთა ამოსაქარგავად წითელი ძაფით გამოყენებული და შუალა ხატი კი თეთრი ძაფით არის გამოყვანილი. ყოველ ამ ხატთაგანში შავი ძაფის თითო პატარა ჯვარია გამოსახული. ამ პაწია ხატების გულბეშაი ოთხკუთხედებია ამოქსოვილი, ნაპირის ჯვრებში თეთრი ძაფით და შუალა ჯვარში კი წითელი ძაფით. საქედურის გარეთა პირზედაც ხუთი პატარა ჯვრის გამოსახულებაა წარმოდგენილი: სამი ბაცი წითელი ფერის ძაფისა და ორი კი მწვანე ძაფით არის ნაქარგი.

ენდროსფერი მესამე პერანგი, რომელიც, თავის დროს რადემ შეისწავლა და თავის „Chev'suren und ihr Land“-ში გამოაქვეყნა, ზემოდახასიათებული პერანგებისაგან განსხვავებით, სკლატის სახეებით არის ორნამენტირებული¹. ამ პერანგის კალთების ბოლოებზეც, მაჯების გარშემოცა და სამხედრო ჭრილების კიდებზედაც ყვითელი ბაწრისაგან მოქსოვილი შილიფაა შემოკლებული; ყვითელი და წითელი ბაწრის შილიფანი (ჯერ წითელი დი შემდგომ კი ყვითელი) საყელოსა და საკინძის ნაპირებზედაც არის შემოკლებული.

ენდროსფერი პერანგის ფარავიცი საინტერესო ორნამენტით შემკულ ფარავად გვეჩვენება. მისი გარეგნობის აღწერილობა შემდეგ სურათს იძლევა: ფარავის ენის მთელ სიგრძეზე ერთმანეთისკენ კბილებით მიბრუნებული თეთრი მაუდის ორი დაკბილულაა (სკლატის დაკბილულაა) მიუკერებიან, დაკბილულას კბილთა შორის მოქცეულ თავისუფალ ადგილზე — რომბისებური მოყვანილობის ფონზე ყვითელი და შავი ფერის პაწია მძივები მიუბამთ (ორი ყვითელი მძივი და ორი კი შავი). მარცხენა მხრის თავიდან დაწყებული საკინძის ბოლომდე სხვადასხვა ფერის მაუდისაგან გამოკრილი ოთხი ზოლი ჩაუვლიათ: ორი წითელი, ერთი ყვითელი და ერთი კი თეთრი, ყვითელი და მწვანე სწორკუთხიანი ოთხკუთხედებისაგან შემდგარი. ეს ზოლები შემდეგნაირად არიან დალაგებულნი: ზემოდან ქვემოთ — ყვითელი, წითელი, ჭრელი და წითელი. ახლახან აღნიშნული ზოლები ყელის ჩასწვრივ — სიგრძეზე წითელი, შავი, თეთრი, ცისფერი, მწვანე და ყვითელი მძივებით შეუმკიათ; მძივები სწორხაზობრივად, მაგრამ ერთმანეთისაგან დაშორებით განლაგებიათ. ყელის ჩასწვრივ, ზემოხსენებული ოთხი ზოლის ქვემოთ, 15 სმ სიგრძეზე, პორიზონტალური მიმართულებით ნაირფეროვან ქსოვილთა ზოლები გაუყოლებიათ; ამ ზოლების თანმიმდევრობა შემდეგნაირად წარმოუდგენიათ: ზემოდან ქვემოთ — თეთრი მაუდის დაკბილულა, წითელი და ყვითელი მაუდის სწორკუთხიანი ოთხკუთხედებისაგან შემდგარი ზოლი, რომელიც თეთრი ლილებითა და წითელი მძივებითაც არის შემკობილი. ჭრელი ზოლის პირველ ოთხკუთხედში (მარცხნიდან მარჯვნივ) თეთრი მძივი ზის, მეორეში წითელი მძივი, მესამეში დილა მოთავსებული, მეოთხე უჯრავს წითელი მძივი, მეხუთეში ლილი და ა. შ. ლილები და წითელი მძივები. ამ ზოლის შემდგომ მისკენ კბილებით შემობრუნებული თეთრი მაუდის დაკბილულა გაუყოლებიათ, და ლილებით დამშვენებული სწორი ზოლი, ამგვარად, ორი დაკბილულის შუა მოუქცევიათ. ორივე დაკბილულას კბილებს შორის მძივები ჩაუსხამთ: ზოგში ყვითელი, ზოგში შავი და ზოგში ცისფერი. აქ აღწერილი მორთულობის შემდგომ გაუტარებიათ მაუდის სამი სწორი ზოლი: ორი წითელი და ერთი კი თეთრი, ყვითელი და მწვანე მაუდის სწორკუთხიანი ოთხ-

¹ Г. Ра д де, Хевсурия и хевсури, ტაბ. 12.

კუთხეებისაგან შედგენილი. კრელი ზოლი წითელ ზოლთა შორის ატყვევებული წყვედული. ეს ზოლები სწორხაზობრივად, მაგრამ ვაფანტულად მტკიცე და პაწია თეთრი, ყვითელი, შავი, ლურჯი, მწვანე და ცისფერი მძივებითა დაუმშენებიათ. სულ ბოლოს, კბილებით თავქვე ჩამობრუნებული დაკბილულას ზოლი მიუკერებიათ, კბილებს შორისაც და თითოეული კბილის თავზე-დაც თითო პატარა მძივი მიუბამთ (ზოგან თეთრი და ზოგან კი წითელი). მარჯვნივ წარმოდგენილი ორი განაპირა კბილის თავზე სხვადასხვა ფერის მძივებისაგან შედგენილი თითო ასხმულაა მიბმული; დაკბილულას კბილებზე დარჩენილი კვალისა და რადეს მიერ გამოქვეყნებული სურათიდნე ჩანს, რომ ამგვარი ასხმულები სხვა კბილების თავზედაც იყო მიმაგრებული. უკანასკნელ ადგილზე ერთმანეთისაგან დაშორებით მიკერებული ღილების ზოლია წარმოდგენილი; ყოველი ღილის გულში თითო მძივია ჩამბული; ყოველი ღილის ირგვლივ სხვადასხვა ფერის პაწია მძივებია შემორიგებული. ფარაგს მარცხნივ ვერტიკალურად ჩავლებული თეთრი მაუდის დაკბილულად ზღუდავს; ამგვარივე ნაჭრისა და ფერის დაკბილულა ფარაგის წვრილად ჩაყოლებულ ნაწილსაც დაჰყვება.

ფარაგის ქვეშ, დაახლოებით შუა ადგილას, მაუდის სამკუთხაია მიკრული. სამკუთხაი შემდგენიერი გარეგნობისაა. მისი გვერდის ზოლები ყვითელი მაუდისაგან არის გამოკრილი, სამკუთხაის გულში სამკუთხოვნადვე გამოკრილი შავი მაუდია ჩაყვებული. სამკუთხაის კუთხეებში თითო თეთრი ღილია დამაგრებული, შავი სამკუთხედის გულშიც აგრეთვე თეთრი ღილია ჩამბული; ყოველი ღილის გულში წითელი მძივია ჩამჯდარი. სამკუთხაი, ირგვლივაცა და შუაშიც მწვანე, თეთრი და ყვითელი მძივებით არის შემკობილი; სამკუთხაის პორიზონტალურ გვერდზე სხვადასხვა ფერის (მწვანე, თეთრი, წითელი და შავი) მძივებისაგან შედგენილი ხუთი ასხმულაა ჩამოკიდებული¹.

სამკუთხოვნად მოყვანილი ორნამენტის ნაცვლად, ფარაგს, ხშირ შემთხვევაში უფრო ხატის გამოსახულება უკეთდება; ამ აზრის დამადასტურებელ საბუთად ზემოაღწერილი ლურჯი პერანგიც გამოდგება. ალბათ არ სცდებოდა რადე, როდესაც სამკუთხოვან სახეობას ავი თვალისაგან საწინააღმდეგოდ მიმართული ავგაროზის სიმბოლოდ მიიჩნევდა და ხევსურულ ტალავარზე მის არსებობას კი მეზობლად მოსახლე მაჰმადიანი ტომების ზეგაულებნას მიაწერდა².

პერანგის საბეჭურზე გამოსაყვანად განკუთვნილი ორნამენტი რა თქმა უნდა მარტოოდენ აქ დასახლებული სახეებით არ ამოიწურება. სხვა პერანგებზე ალბათ სხვა გვარეობის ორნამენტი შეგვხვდება, საფარაგზე ორნამენტის მრავალსახიანიობა უკვე გამოქვეყნებული პერანგების მაგალითზედაც კარგად მტკიცდება.

ხევსურული ორნამენტი და კერძოდ კი საბეჭურზე წარმოდგენილი მოქარგულობა მართლაც რომ ღირსშესანიშნავია. ერთი შეხედვით ძნელი წარმოსადგენიც არის, რომ ის ხევსურთა „ახოვანი“ და „მამაცი დიაცის“ ნახელავია, „ძლიერი ხასიათისა და სულის სიამაყის“ მქონე მანდილოსნის ნახელსაქმარია.

¹ ერთი ასხმულა მოწყვეტილი აქვს.

² Г. Радде, Хевсурия и хевсуры, გვ. 122.



1 პერანგი (ცალპირი თუ ორშიანი?) მუქი ლურჯი ფერის მატყლისაგან არის შეკერილი (შინაურული წესით დამზადებულს მატყლის ქსოვილს, რომელიც კავკასიელ ხალხთა შორის „შალის“ სახელწოდებით იხსენიება, ხევისურეთში „ტოლის“ ეძახიან). საპერანგე ლურჯი ფერის მატყლის ძაფისაგან მოუქსოვიათ, მაგრამ, ალბათ მისი ჩამუქების მიზნით, ქსოვილი ხელახლა შეუღებავთ; განმეორებული შეღებვის შედეგს უნდა წარმოადგენდეს ის, რომ პერანგი სხვადასხვა ფერად არის აჭრელებული: ზურგის უდიდესი ნაწილი ჩაშვებულია და წინ-კალთა და სახელოებიც ადგილ-ადგილ ჩამუქებულია. პერანგი, მთლიანად როგორც ვთქვით, ამნაირად აფერადებული ლურჯი ტოლისაგან არის შეკერილი, მაგრამ მარცხენა სახელოს დაახლოებით 3/4 ნაწილისათვის შავი შალია გამოყენებული. პერანგი ორგანშია შეკერილი, თავიდან ბოლომდე თითქმის ერთნაირი სივანისაა—გვერდები არსად არ არის აჭრილი, ილღისა და სახელოს ძირებიც კი სრულიად არა აქვს გამოჭრილი. სახელოც (ორივე სახელო რა თქმა უნდა) სწორედ მოყვანილობისაა, ეს უკანასკნელიც არსად არ არის წაყვეთილი, ოღონდ მაჯის მიმართულებით ოდნავ უფრო ღრმად არის ჩაყერილი და ამის გამო უფრო შევიწროებულიც. სახელო უმაჯოა, უკეთ ვთქვით ის მაჯა-ფართარაა. პერანგის გვერდებიცა და სახელოებიც ილღისათან ჩახსნილია, სახელო გრძლად არის ვახსნილი და გვერდი კი შედარებით მცირე მანძილზეა ჩაუკერავი. სახელოს ჭრილობიდან ჩანს, რომ ოთხკუთხოვანი მოყვანილობის (სწორკუთხიანი ოთხკუთხედის მსგავსად მოყვანილი) სასახელოვე ნაჭერი გაშლილ ანუ გაუკერავ მდგომარეობაში მიუყვრებიათ, მხარზე გადაბმის შემდგომ მისთვის კიდევები შემოუკეცავთ და ბოლოს კი ზემოაღნიშნული წესით გაუკერავთ. პერანგს გვერდები შეხსნილი აქვს. პერანგი ჩაქებიანია. პერანგის ყელი ოთხკუთხოვნად არის ამოჭრილი, ამოჭრილის მარჯვენა ნაპირის ჩასწვრივ ის ღრმად არის ჩაჭრილი, ჩაჭრილობის ზოლი მხრიდან იწყება და დაახლოებით გულის ძირთან თავდება. ამგვარად, პერანგის საკინძი მარჯვენა მხარზეა მოქცეული, მამაკაცის პერანგისათვის დამახასიათებელი ჭრილების კვალობაზე ის მარჯვენა არის შეკრული, ყელის ოთხკუთხად ამოჭრისა და გვერდზე გაკეთებული სწორკუთხობრივი ჭრილის შედეგად გულის კუთხე ენასავით გაწვირებული რჩება, ე. წ. ენის წვერზე ღილი ან ხრიკა (ამ შემთხვევაში ხრიკა) კერდება და პერანგიც ამ ღილისა (თუ ხრიკის) და მხრის ძირთან დაკერებული კილოს საშუალებით იკვრება, პერანგს ვიწრო და მოგრძო მოყვანილობის საყელოც აქვს მიკერებული, საყელს შუა ნაწილი საკისრზეა მიბმული ბოლოები კი ოთხკუთხად ამოღებული ყელის გვერდებზე. ამნაირი წესით მიკერების შედეგად, ჩაცმის შემდეგ საყელო ფეხზე მდგარ მდგომარეობაში ჩერდება.

პერანგის ცალკეულ ნაწილთა კიდევები შიგნით (ცუდი პირისაკენ) არის გადაკეცილი და მეტად სუფთად არის ამონეშვილი; გვერდების ნაკერები კი კარგი პირისკენ არის მოქცეული და თავისივე ფერის (ლურჯი) ბაწრით შიბაღს მსგავსად არის ამოხვეული. გასაკერ მასალად მატყლის ძაფია გამოყენებული. კალთების გარშემო, ჩაქების ნაპირებზე, მაჯების ირგვლივ და სახელოებისა და გვერდების შესწინა და შეუხსნელ, ნაწილთა კიდევებზე მომწვანო-მოყვითალო ბაწრისაგან მოქსოვილი (ყაითნურად მოქსოვილი) შილი ფაა შემოვლებული (მოქსოვის შედეგად მიღებული შილი ფა იგივე უნდა იყოს, რაც ამოქარგვის წესით გაკეთებული შიბაღი; შილი ფა ნაპირების შემოკეცვის შემდგომ აქვს შემოკერებული: 25. 10. 1927. 1. 1.



ბერანგი ფარაგინია. ფარავს უმთავრესად მკერდის მარცხენა ნაწილი აქვს დაკავებული, საკინძის კრილი სწორედ ფარავზეა გაკეთებული. ფარავის ნაწილი რამდენიმე სმ-ზე მხრების გადაღმაც არის გადაშვებული.

ფარავის აღწერილობა: საფარავედ განკუთვნილ ადგილზე მკერდის მარცხენა ნაწილზე, სწორკუთხიანი ოთხკუთხედის მოყვანილობით, ამჟამად გახუნებული წითელი (უფრო აფურის ფერი) ტილოა დაკერებული: ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე სმ-ით უკანაც არის გადაშვებული. ამგვარად დაკერებულ ნაქერს ნაპირებზე (სამი მხრიდან) მწვანე მაუდის ვიწრო ზოლი (0,8 სმ სიგანის) აქვს შემოყოლებული. ამნაირი ნაჭრისავე ვიწრო ზოლი საკინძისა და სასაყელოვად ამოჭრილი ადგილის კიდეებსაცა აქვს შემოვლებული. საყელოსა და საკისრეს, შიგნითა მხრიდან თეთრი სარჩული აქვთ გამოკრული. საყელოსა და საკისრეს შემაერთებელ ნაქერზედაცა და საკინძის მარჯვენა ნაპირზედაც თეთრი მიტკლის ვიწრო ზოლია ჩაყოლებული (0,5 სმ სიგანის-საყელოს თავის გასწვრივ საფარავე ნაჭრის ზოლია (0,8 სმ სიგანის) დაკერებული, ამ უკანასკნელის მთელ სიგრძეზე მოყვითალო ფერის ძაფით ჩაბმული შავი ძაფია გავლებული. საყელოზე ყელის კიდეებსა და საკინძის ნაპირებზე ბაწრისაგან მოქსოვილი სამი შილი ფაა (შილი ფანა) შემოვლებული: მუქი წითელი (შინდის ფერი), მწვანე ანუ სისვინი და ლურჯი (სამივეს სიგანე ერთად 1 სმ-ს უდრის). ფარავი ნემსის წვერით, საუცხოვოდ არის დალიანდაგებული, სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფებით (თეთრი, შავი, ლურჯი, მოოქროსფერო-მოყვითალო, მოთეთრო-მოყვითალო, მუქი იისფერი, ბაცი იისფერი, ცისფერი და სხვ.). მასზე მშვენიერი ორნამენტია გამოყვანილი. და) ლიანდაგებული ფარავის მოუქარავ ნაწილზე, ბრტყლად გაშლილი ორნამენტის ქვემოთ, ხატიც (ჯვარი) არის გამოსახული. ფარავის ორნამენტი ადგილ-ადგილ თეთრი, ცისფერი, მომწვანო-მოყვითალო და წითელი მძივის წრეებითაც არის დამშვენებული. ფარავის ორნამენტი რამდენიმე ნაირი სახისაგან შედგება: რქადახრილით დაკავაული, კვერილანი (კვერანი), მარტულელანი, ხატნი, აქუშურანი (?), კბილანი (?), კრელშიბა და სხვ. კვერილანს ხევისურეთში რომისებური მოყვანილობის სახეს უწოდებენ, ფარავის ორნამენტზე ორი მოზრდილი კვერილაა გამოსახული, თითოეულ მათგანში ერთმანეთში ჩამჯდარი რამდენიმე კვერილაა მოთავსებული. ყველა კვერილა მხოლოდ სწორი გვერდებისაგან შედგენილ რომსს არ წარმოადგენს, უმრავლეს კვერილათა გვერდებს ირგვლივ რქის ორნამენტი შემოსდევს. კვერილათა ამოსაქარგავად მრავალი ფერის ძაფია გამოყენებული (შემოჩამოთვლილ ფერთაგან თითქმის ყველა). აღნიშნულ კვერილათა ირგვლივ, სანაპიროებზე გადაკვეთილი კვერანები შემოსდევს; ასე რომ, ეს უკანასკნელი უკვე კვირილებს აღარ წარმოადგენს, ისინი სამკუთხედებისაგან შემდგარ არსებებსა და დაკავაულ ზოლებს უფრო მოვკავონებენ (დაკავაული?—დაკბილულად). კრელშიბას ზოლები დანარჩენ სახელთაგან შემდგარ ორნამენტს ჩარჩოსავით აქვს შემორტყმული, შიბაა შავი, ყვითელი და მოწითალო ძაფებით არის ამოქსოვილი. პატარა ჯვრებისაგან შემდგარი ორნამენტი რამდენიმე ადგილას სწორხაზობრივად არის გავლებული, „ხატის“ სახეობა შავი ძაფით არის ამოქარგული. კვერილათა კუთხეებში შუშის პაწია მძივებისაგან შემდგარი წრეებია მიკერებული, წრედ თეთრი მძივებია შემოყოლებული და ყოველი წრის გულში კი თითო წითელი მძივაა ჩასმული. კვერილათა გულებში მომწვანო-მოყვითალო მძივთაგან შედგენილი თითო წრეა ჩაბმული; წრის გულში, ამ



შემთხვევაშიც, წითელი მძივია ჩამჯდარი. გულის ჰორიზონტალურ ნაპირზე მიკრებული მძივის წრეებიც (თითო-თითო აქეთ-იქით კუთხეებში და ერთი-კი შუაში) ამგვარივე წესით არიან განლაგებულნი. წითელგულიანი თეთრი მძივები, აქაც, კუთხეებში არიან მიმაგრებულნი და წითელგულიანი მომწვანო-მოყვითალო მძივები კი, შუაში არიან მოქცეულნი.

ზემოაღწერილი ორნამენტისაგან განცალკევებული, დიდი ზომის „ხატის“ ნაპირები ცისფერი ძაფით არის ამოქარგული, მასში შავი და მოყვითალო ძაფებით გამოყვანილი სხვა ჯვარია ჩამჯდარი. ჯვარის კუთხეებში ცისფერ-გულიანი (ცისფერმძივიანი) თეთრი მძივის წრეებია მიმაგრებული, ჯვარის გულში წითელგულიანი ცისფერი მძივების წრეა ჩასმული.

მეტად ნაზი ფერის ძაფებით ამოქარგული და მოხდენილი სახეებისაგან შემდგარი ორნამენტი საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს.

პერანგის სიგრძე (შილიფიანად)—94 სმ,

პერანგის სიგანე (მხრებთან)—55,5 სმ,

პერანგის სიგანე (ქვევით კალთებთან)—55,5 სმ,

ჩაქის სიგრძე—30 სმ,

სახელოს სიგრძე (შილიფიანად)—54 სმ,

სახელოს სიგანე (მხართან)—18 სმ,

სახელოს სიგანე (მაჯასთან)—15 სმ,

სახელოს ჩახსნილი ნაწილის სიგრძე—20 სმ.

პერანგის გვერდის ჩახსნილი ნაწილის სიგრძე—6 სმ,

ფარავის სიგრძე (ზურგისაკენ გადაშვებული ნაწილის ჩათვლით)—46 სმ

(ზურგისაკენ გადაშვებული ნაწილის სიგრძე—3,5 სმ-ს უდრის).

ფარავის სიგანე—33 სმ,

საქინძის სიგრძე—32 სმ,

საქინძის ენის სიგრძე—7 სმ,

საქინძის ენის სიგანე—5 სმ—3,5 სმ,

სასაყელოვეს ჰორიზონტალურ ნაპირის სიგანე—12 სმ,

საყელოს სიგრძე—25 სმ,

საყელოს სიგანე—4 სმ.

2. პერანგი—6—32 (?)—იისფერი ტოლისა (ცალპირია თუ ორპირი?) კრილობით ყოველმხრივ ზემოაღწერილ პერანგს მიემსავლება. განმასხვავებელი თავისებურებანი არა პირველხარისხოვან დეტალებში თუ შეიმჩნევა ხსენებული პერანგისაგან განსხვავებით. ამისი გვერდები შიგნიდან არის გაკერილი და თავისივე ფერის ბაწრით ამოხვეული. ამ უკანასკნელის გვერდებიც და სახელოებიც ნაპირების გადაკეცვის შემდგომ არის გაკერილი. პერანგის გვერდებიც და სახელოებიც ილიის ძირთან ჩახსნილია, გვერდები მოკლედ და სახელოები კი გრძელად. პერანგი გვერდებშესნილია, ჩაქებიანია, ჩაქების ნაპირებზედაც და კალთების ირგვლივაც ცისფერი ბაწრის შილიფა შემოკლებული. ამას გარდა, ჩაქების ორივე ნაპირზე წითელი და მომწვანო ნაპრის-თითო ბრტყელი ზოლიც არის დაკრებული. მაჯების ირგვლივ ორი შილიფა შემოკრებული: შავი ბაწრისა და მწვანე ანუ სისვის ფერის ბაწრისა. მწვანე შილიფაზე გაფანტულად განლაგებული პაწია თეთრი მძივებია შემორიგებული, დაახლოებით შუა ადგილას თეთრი ლილიც არის მიკრებული. მაჯის შეჭრილი ადგილის კიდებზე ლურჯი შუშის ლილებია დამაგრებული (თითო-თითო ცალი). მაჯის ირგვლივ (ორივე მაჯის ირგვლივ, რა თქმა უნდა) და მისგან ცოტა მოშორებითაც—ზემოთ თეთრი და რუხი ნაპრის ზოლებია.

შემორტყმული (ორი ერთად და ორი ერთად). წყვილ-წყვილ ზოლთა შორის დატოვებულ ადგილზე მომწვანო ნაჭრის დაკბილულია (სკლატის დამტოვებული?) შემოვლებული („დაკბილული“ სამკუთხოვან სახეთაგან შემდგარ არშიას ეწოდება).

პერანგი ფარავანია. ამ პერანგზედაც ფარაგს უმთავრესად მკერდის მარცხენა ნაწილი აქვს დაკავებული. ფარაგი გვერდზეა ჩაჭრილი, საკინძის ბოლოს გასწვრივ არის ფარაგის დასასრულიც.

ფარაგი სხვადასხვა ფერის მატყლის ძაფით თვით ფარაგზევე ამოქარგულ ოთხკუთხოვან ადგილს წარმოადგენს. მოსაქარგავად გამოყენებულ ბაწართა ფერებია: მოოქროსფერო-მოყვითალო, იისფერი, ლურჯი, ცისფერი მწვანე (სისვი). ფარაგის ქვემოთ აღნიშნული ფერის ძაფებით ამოქარგული დაკბილულია გაყოლებული, სამკუთხედებისაგან შემდგარი არშია გავლებული. ფარაგის ძირითად ორნამენტს, ამ შემთხვევაშიც, კვერილანი წარმოადგენს. თითოეული კვერილას ირგვლივ სისვის ფერის შიბაათა შემოვლებული, კვერილანი ერთმანეთისაგან ამ ზოლებით არიან გაყოფილნი. ამგვარივე შიბაას (მწვანე შიბაა) წყვილი ზოლი ოთხკუთხოვნად ორნამენტირებული ნაწილის ირგვლივაც არის შემოვლებული, ირგვლივ ჩარჩოსავით შემოყოლებულ შიბათა შორის შემდეგი სახეებია გამოყვანილი: ყვითელი ბაწრით — ოთხთვალა და წყვილ-წყვილად დაწყობილი პაწია ვერტიკალური ზოლები ე. წ. აჭიდული; აჭიდულთა შორის მწვანე ძაფით „ცერანის“ სახელით ცნობილი პაწია ჰორიზონტალური ზოლებია ამოქარგული.

დაკბილულის სამკუთხაში სხვადასხვა ფერის ძაფებით ამოქარგული, ერთმანეთზე თანმიმდევრობით პატარა სამკუთხედებია მოთავსებული. თითოეულ კვერილაშიც რამდენიმე რომბისებური ოთხკუთხედი ჩასმული (აგრეთვე სხვადასხვა ფერის ძაფებით ამოქარგული).

ორნამენტოვან ჩარჩოში მოქცეული ორნამენტის—კვერილებისაგან შემდგარი ორნამენტის ირგვლივ ერთმანეთზე გადაბმული ნახევარკვერილანის (ე. ი. სამკუთხედები) შემოყვება: აქეთ-იქით ორ-ორი და თავსა და ბოლოსკი სამ-სამი. ამ ორნამენტს შეიძლება დაკბილული ან დაკავკაული ეწოდოს.

ყოველი კვერილა, როგორც ვთქვით, რამდენიმე ერთმანეთში ჩამჯდარ კვერილასაგან შედგება; ამათგან: ზოგი კვერილას გვერდები შიბაას წარმოადგენს და ზოგი კვერილას გვერდები კი პაწია ცერა ხაზებისაგან შედგება.

კვერულათა გამოყოფი შიბაას ზოლებზე, ერთმანეთისაგან მოშორებით, პატარა თეთრი მძივებია მიბმული. ამგვარივე მძივები (ასეთივე განლაგებით) ირგვლივ შემოვლებული შიბაასაც მიჰყვება. კვერილათა გულგბშიც ხუთ-ხუთი მძივია დამაგრებული: ოთხი თეთრი მძივი წრედ და თითო მწვანე მძივი კი გულად. ენის თავზე შესაკრავად განკუთვნილი ლითონის ღილია მიკერებული. საკინძის თავშიცა და ბოლოშიც თითო თეთრ ღილთა შორის—შუა ლურჯი ღილია მიკერებული. სასაყელოვეს ჰორიზონტალურ ნაპირზედაც (ფარაგის თავის გასწვრივ) სამი ღილია გამოწყრივებული: თითო ლურჯი ღილი კუთხეებში და ერთი თეთრი ღილი კი შუაში. ამ პერანგის საყელოც ზემოგანხილული პერანგის საყელოს მსგავსადაა მოყვანილი და იმგვარადვე მიკერებული. საყელოს თავი და საკისრისაც შიგნითა მხრიდან სარჩული აქვს გამოკრული, საყელოს შავი ჩითისა და საკისრის კი მოვარდისფერი ტოლის. საყელოს სანაპიროს იისფერი, მწვანე და ლურჯი ბაწრის შილიფანები აქვს შემო-

კერებულნი. ასეთივე შილიფანები სასაყლოვეს ჰორიზონტალურ ნაპირს ენას და საკინძის კრილის ორივე მხარესაც აქვს შემოვლებული. საყლოვეს მუცლის რებულ შილიფანებისაგან შემდგარ ზოლზე ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი ბილი თეთრი ლილებია გაყოლებული. საყლოს თავზე, თავის ამოსაყოფის კიდეებზე და საკინძის ნაპირებზე (შილიფათა ზოლების შემდგომ) ლურჯი ლენის წვრილი ზოლია ჩავლებული. ლენის ზოლზე ცისფერი და ყვითელი ბაწრის ძაფებით (საყლოვეს ცისფერი ძაფით და დანარჩენ ნაწილებზე კი ორივე ფერით) დაკავკაულია გამოყვანილი. სახელთა ძირების ირგვლივ და მხრების განაკერებზე ცისფერი ლენის წვრილი (დაახლ. 1 სმ სიგანის) ზოლებია გადადებული, ამ ზოლების ნაპირებზე ცისფერი ბაწრის თითო წვერია გავლებული, ყოველ ზოლზე წითლად შეღებილი მატყლის ძაფის დაკავკაულია გაკეთებული. ზურგზე—საკისრეს ჩასწვრივ და სამხრებთან ცისფერი ნაპრის ზოლებისაგან შემდგარი სამი დიდი სამკუთხედიანი მიკრული, განსაკუთრებული სიდიდით შუალა სამკუთხედი გამოირჩევა. სამკუთხედის ზოლებზე წითელი ძაფის დაკავკაულია გამოსახული, ზოლების კიდეებზე შავი ბაწრის ხლართებია შემოყოლებული. შუაში მოქცეულ დიდ სამკუთხედში ოთხი ოთხკუთხაა ამოქარგული, ცისფერი ბაწრით გამოყვანილი დიდი ოთხკუთხაა შუა ადგილი აქვს დაკავებული (ამ უკანასკნელშიც ყვითელი ბაწრის პატარა ოთხკუთხაა ზის) და სამი პატარა—მწვანე ძაფით ამოქსოვილი ოთხკუთხაები კი მის აქეთ-იქითა და ქვეშ სამკუთხოვნად არიან განლაგებულნი: აღნიშნულ სამკუთხედთა შორის დატოვებულ სივრცეზე, ე. ი. შუა სამკუთხედის აქეთ-იქით შავი ძაფის თითო ოფხკუთხაა ამოქარგული, თითოეულ ამ ოთხკუთხედ-დავანში თითო თეთრი ბაწრის ოთხკუთხაა ზის. პატარა სამკუთხედებშიც მწვანე ძაფის ოთხკუთხაები სხედან, ამ ოთხკუთხაებშიც ცისფერი ბაწრის ოთხკუთხაებია მოთავსებული. პატარა სამკუთხედების აქეთ-იქით დატოვებულ ადგილებზედაც, სახელოს ძირთან ახლოს, ცისფერი ძაფით ოთხკუთხაებია გამოყვანილი, თითოეულ მითვანში წითელი ძაფის ოთხკუთხაა ჩამჯდარი. ყოველი სამკუთხედის ქვეშ დიდი ზომის ხატებია გამოსახული, დიდ ხატებში პატარა ხატებია ჩამსხდარი. ნაპირის ხატების ამოსაქარგავად წითელი ძაფია გამოყენებული და შუალა ხატისათვის კი თეთრი. ყოველ ამ ხატთაგანში შავი ძაფის თითო პატარა ჯვარია ჩამჯდარი. ამ პაწია ჯვრების გულში ოთხკუთხედებია ამოქსოვილი, ნაპირის ჯვრებს თეთრი ძაფით და შუალას კი წითელით. საყლოს გარეთა პირზედაც ხუთი პატარა ჯვრის გამოსახულებაა წარმოდგენილი: სამი წითელი და ორი მწვანე.

პერანგის სიგრძე—95 სმ,

პერანგის სიგანე (მხრებთან)—59 სმ,

პერანგის სიგანე (დაბლა კალთებთან) 57—58 სმ,

ჩაქის სიგრძე—31 სმ,

სახელოს სიგრძე (შილიფიანად) 58— სმ,

სახელოს სიგანე (მხრებთან)—18 სმ,

სახელოს სიგანე (მაჯასთან)—14 სმ,

ფარაგის სიგრძე—31 სმ,

ფარაგის სიგანე—30 სმ,

საკინძის სიგრძე—26 სმ,

ფარაგის ენის სიგრძე—4 სმ,

ენის სიგანე—4 სმ და 2 სმ,

საყელოს სიგანე—4,5 სმ,
საყელოს სიგრძე—24 სმ.

3. პერანგი წითელი ტოლისა (ცალპირი თუ ორშიანი?), ზემოაღწერილი პერანგების მსგავსად არის შეკერილი, თავიდან ბოლომდე თანაბარი სიგანისაა, სწორკვერდებიანია და სწორსახელოებიანი, ილიებამოჭრილი და ჩაქებშეხსნილი, ამ პერანგის ცალკეულ ნაწილთა კიდეებიც ჯერ გადაკეცილია და მერე გაკერილი. პერანგის გვერდები კარგი პირიდან არის გაკერილი და თავისივე ფერის ბაწრით ამოხეული. არც გვერდები და არც სახელოები ჩახსნილი არა აქვს. მაჯების ირგვლივ, ჩაქების ნაპირებზე და კალთების გარშემო ყვითელი ბაწრის შილიფა აქვს შემოვლებული. მხრები გადაპრილი არ არის. საყელო იმგვარივე მოყვანილობისაა და იმგვარადვე მოკერებული, მაგრამ ის პერანგის ნაჭრისაგან არის გამოჭრილი; საყელოდ ყვითელი ბაწრის ცალპირი ტალი არის აღებული. საყელო საკისრზე სარჩულის მსგავსად შეგნიდან არის მიკერებული, ასე რომ სარჩულსაც ის წარმოადგენს და საპირესაც.

პერანგი ფარავანია, გვერდზეა ჩაჭრილი (ამასაც, საერთოდ მიღებული წესის თანახმად საკინძი მარჯვნივ აქვს გაკეთებული). თავის ამოსაყოფი ამასაც ოთხკუთხად აქვს ამოჭრილი. ფარავის ენის თავზე ლითონის მრგვალი ღილია დაკერებული და მხრის თავთან კი შესაკრავად განკუთვნილი, წითელი ძაფის შილიფათი გაკეთებული ტილო. საყელოს ძირსა და თავის გასწვრივ, გულის ჰორიზონტალურ ნაპირზე, ენის ირგვლივ და საკინძის ორივე მხარეზე ცისფერი ტილოს ზოლია ჩავლებული. ცისფერი ტილოს ზოლს, შუა ადგილის ჩასწვრივ, მოწითალო და მოთეთრო-მოყვითალო ბაწრებით ნაქარგი ხაზი ჩასდევს. საყელოს შუა ნაწილის მთელ სიგრძეზე თეთრი ტილოს ზოლია გადადებული, ამ ზოლის ნაპირები წითელი ძაფით არის ჩამაგრებული და შუა გულში კი თეთრი ძაფის გვირისტი აქვს გავლებული. საყელოსა და საკინძის ნაპირებზე წითელი და ყვითელი ბაწრის შილიფანებია შემოვლებული: ჯერ წითელი და მერე კი ყვითელი.

ფარავის აღწერილობა: ფარავის ენას, სიგრძეზე, ერთმანეთისაკენ კბილებით მიბრუნებული ორი თეთრი მაუდის დაკბილულა აქვს მიკერებული (სკლატის დაკბილულაა?), ისე რომ დაკბილულა კბილებს შორის დატოვებულს, რომბისებური მოყვანილობის ფონზე პაწია ყვითელი და შავი მძივებია მიბმული (ორი ყვითელი და ორი შავი). მარცხენა მხარის თავიდან დაწყებული საკინძის ბოლომდე (ტეხილად) სხვადასხვა ფერის მაუდის ოთხი ზოლია ჩავლებული: ორი წითელია, ერთი ყვითელი და ერთი კი თეთრი, ყვითელი და მწვანე სწორკუთხიანი ოთხკუთხედებისაგან შემდგარი (ეს ზოლები შემდგენიარად არიან დალაგებულნი: ზემოდან ქვემოთ—ყვითელი, წითელი, ქრელი და წითელი). ზემოაღნიშნული ზოლები, ყელის ჩასწვრივ—სიგრძეზე, პატარა წითელი, შავი, თეთრი, ცისფერი, მწვანე და ყვითელი მძივებით არიან შემკულნი. მძივები სწორხაზობრივად, მაგრამ ერთმანეთისაგან დაშორებით არიან განლაგებულნი. ყელის ჩასწვრივ, ზემოაღნიშნული ოთხი ზოლის ქვემოთ, 15 სმ-ის სიგრძეზე, პორიზონტალური ზოლებია გავლებული. ეს ზოლები შემდგენიარად არიან დაწყობილნი: ზემოდან ქვემოთ—თეთრი მაუდის დაკბილულა, წითელი და ყვითელი მაუდის სწორკუთხიანი ოთხკუთხედებისაგან შემდგარი ზოლი, რომელიც თეთრი ღილებითა და წითელი მძივებით არის შემკობილი: მარცხნიდან მარჯვნივ—პირველ ოთხკუთხედში



თეთრი მძივი ზის, მეორეში წითელი მძივი, მესამეში ღილია მოთავსებული მძივი-ოთხე უჯრაში წითელი მძივი, მეხუთეში ღილი და ა. შ. ღილები და წითელი მძივები. ამ ზოლს მოჰყვება მისკენ კბილებით შემობრუნებული თეთრი მაუდის დაკბილულაი, ისე რომ ღილებიანი სწორი ზოლი ორ დაკბილულაის შორის არის მოთავსებული. ორივე დაკბილულაჲს კბილებს შორის მძივებია ჩასმული: ზოგში ყვითელი, ზოგში შავი და ზოგში ცისფერი; შემდეგ მოსდევს მაუდის სამი სწორი ზოლი: ორი წითელი და ერთი თეთრი, ყვითელი და მწვანე მაუდის სწორკუთხიანი ოთხკუთხედებისაგან შემდგარი. ქრელი ზოლი წითელ ზოლთა შორის არის მოქცეული. ეს ზოლები სწორხაზობრივად, მაგრამ ვაფანტულად მიკერებულ პაწია მძივებითაც არიან დამშვენებული (ყვითელი, შავი, თეთრი, ლურჯი, მწვანე და ცისფერი). სულ ბოლოს ყვითელი მაუდის დაკბილულაია გავლებული, დაკბილულაის კბილები ქვევით არის ჩამობრუნებული. კბილებს შორისაც და თითოეული კბილის თავთანაც თითო პატარა მძივია მიკერებული (წითელი ან თეთრი). ორი განაპირა (მარჯვნივ) კბილის თავზე სხვადასხვა ფერის მძივებისაგან შედგენილი ასხმულაა მიბმული, საფიქრებელია რომ ამგვარი ასხმულები სხვა კბილთა თავებზედაც იყო მიმაგრებული. სულ ბოლოში ერთმანეთისაგან დაშორებით მიკერებული ღილების ზოლია გაყოლებული; ყოველი ღილის გულში თითო მძივია ჩამბმული; ყოველი ღილის ირგვლივ სხვადასხვა ფერის პაწია მძივებია შემორიგებული. ფარაგს მარცხნივ ვერტიკალურად ჩავლებული თეთრი მაუდის დაკბილულაჲ ზღუდავს (დაკბილულას კბილები მარცხნივ აქვს მიბრუნებული); ამგვარივე ნაქრისა და ფერის დაკბილულა ფარაგის წვრილად ჩაყოლებულ ნაწილსაც დაჰყვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნისამაგრებელ საშუალებად ყველგან იისფერი და თეთრი ძაფია გამოყენებული. ფარაგის ქვეშ, დაახლოებით შუა ადგილას, მაუდის სამკუთხაჲ აკერია. სამკუთხაჲ შემდეგნაირი გარეგნობისაა: მისი გვერდები ყვითელი მაუდისაგან არის გამოჭრილი, სამკუთხაჲს გულში სამკუთხოვნადვე გამოჭრილი შავი მაუდია ჩაყერებული. სამკუთხედის კუთხეებში თითო თეთრი ღილია დამაგრებული, შავი სამკუთხედის გულშიც თეთრი ღილია ჩასმული. ყოველი ღილის გულში წითელი მძივია ჩამჯდარი. ირგვლივაცა და შუაშიც მწვანე, თეთრი და ყვითელი მძივებით არის შემკული. სამკუთხაჲს ჰორიზონტალურ გვერდზე მიმაგრებულია სხვადასხვა ფერის მძივებისაგან (მწვანე, თეთრი, წითელი და შავი) შედგენილი ოთხი ასხმულა (ხუთი უნდა იყოს, ერთი მოწყვეტილი ჩანს).

პერანგის სიგრძე—92 სმ,

პერანგის სიგანე (მხრებთან)—60 სმ,

პერანგის სიგანე (დაბლა კალთებთან)—67 სმ და

58 სმ, (უკანა კალთა წინა კალთაზე განიერია),

სახელოს სიგრძე—56 სმ,

სახელოს სიგანე (მხართან)—20 სმ,

სახელოს სიგანე (მაჯასთან)—16 სმ,

ჩაქის სიგრძე—32 სმ,

საყელოს სიგრძე—26 სმ,

საყელოს სიგანე—4 სმ,

თავის ამოსაყოფის ჰორიზონტალური ნაწილის (ე. ი. ფარაგის

თავის) სიგრძე—12,5 სმ,

ენის სიგრძე—7 სმ,

ენის სიგანე—6 სმ, და 2 სმ,

საკინძის სიგრძე—34 სმ,

ფარავის ცენტრ. ნაწილის სიგრძე—17 სმ,

სიგანე—21 სმ,

4. "შალვარი" 59—26/133—სახლში მოქსოვილი შალისა (აბრეშუმნაყარ ლეკურ შალსა ჰგავს). შალვარის თითოეული ტოტი სახლში მოქსოვილი შალის ცალგანშია შეკერილი. ეს განი სათავესთან მთლიანად არის დატოვებული და ბოლოსკენ კი ცოტ-ცოტათი (თანდათანობით) არის აქრილი. ტოტებს შორის რორი სამკუთხედისაგან შემდგარი უბეა ჩაგდებული. უბის წვერი სათავიდან მცირეოდენი მანძილით არის დაშორებული. სათავედ თავისივე ნაქერი აქვს გადაკეცილი, ის კარგი პირისკენ არის გადმობრუნებული და ხელით არის ამოხვეული. წინა მხარეს, შუა ადგილას, სათავე გაუკერადად არის დატოვებული, ეს ღია ადგილი ხონჯრის გასაყრელად არის განკუთვნილი. შალვარის ნაკერები ცუდი პირისაკენ არის მოქცეული, როგორც წესი შალვარიც ხელით არის შეკერილი. ტოტის ირგვლივ სამი ნაქრის ზოლია შემოვლებული (თითოეული დაახლოებით 1,5 სმ-ის სიგრძის). ქვემოთგან მოყოლებით: ჯერ წითელი მაუდის ზოლია, მერე ყვითელი ტილოსი და სულ ზემოთ კი ისევ წითელი მაუდის. ზოლითა შორის ყაჭისა თუ აბრეშუმის ძაფის ხვეულებია გავლებული; ყვითელი ტოლის ზოლი ცისფერი ძაფის ხვეულთა შორის არის მოქცეული და ზემოთა მაუდის ზოლს კი თეთრი აბრეშუმის ხვეული აქვს შემოვლებული.

მაუდის ზოლებს ზემოთ, ტოტს სამკუთხაები უფლის გარს, სამკუთხაები ერთმანეთისაგან დაახლოებით 3—4 სმ-ის მანძილით არიან დაშორებულნი. ზოგი სამკუთხაე ყვითელი და თეთრი აბრეშუმის ძაფით არის ამოქარგული და ზოგი სხვადასხვა სახის ქსოვილის ზოლებით არის გამოყვანილი. ერთი ყვითელი მაუდისაა, ერთი ყვითელი ტილოსი და ორი კი აღნიშნული ფერის აბრეშუმის ძაფებით არის გაკეთებული. სამი სამკუთხაეს თავზე ყვითელი აბრეშუმის ძაფით ამოქარგული, თითო პატარა მირგვალაია დასმული.

ნაირფეროვანი აბრეშუმის ძაფით ნაკერი (ყავისფერი, თეთრი, ყვითელი და წითელი) სხვადასხვა ზომის მირგვალაები ტოტის ბოლოს მთელ ფართობზე არიან მიმობნეულნი, შემოხსენებულ სამკუთხაების თავზე ამოქარგულ მირგვალაებსაც თუ მივიღებთ მხედველობაში, მარჯვენა ტოტზე სულ 18 მირგვალაა წარმოდგენილი; მათგან—5 მაუდისაა და 13 კი აბრეშუმის ძაფებით არის ნაქარგი. მარჯვენა ტოტის სამკუთხედთა შორის, ერთ ადგილას, მაუდის პატარა ჯვარი ანუ ხატია მოთავსებული. ტოტის ირგვლივ ტოტის ბოლოდან დაახლოებით 10,5—14 სმ-ს დაშორებით, თითქმის ერთი მეორის გასწვრივ, ერთმანეთისაგან 3,5—8 სმ მოშორებით, მოზრდილი ხატებია (5) შემორიგებული. ყველაზე დიდ ხატს, გვერდზე გაკეთებული თეთრი მაუდის ხატი წარმოადგენს; დანარჩენი ხატები დაახლოებით თანაბარი ზომისანი არიან. თეთრი მაუდის ჯვარს წითელი აბრეშუმის ხლართი უფლის გარს, მის აქეთ-იქით განლაგებულ წითელი მაუდის ჯვრებს, თეთრი აბრეშუმის ხლართი აქვთ შემოვლებული და მათი მოყოლი ხატები—წითელი და ყვითელი ზოლებისაგან შემდგარი ჯვრები კი უხლართოდ არიან წარმოდგენილნი.

შალვარის მარცხენა ტოტზე, მარჯვენა ტოტისაგან განსხვავებით, თორმეტი აბრეშუმის ნაქარგი და ხუთი კი მაუდით გამოყვანილი მირგვალაა მიმო-



ფანტული. ამ უკანასკნელზედაც ხუთი ჯვარია გაკეთებული, ჯვარების განლაგება აქაც იმგვარივე წესით არის წარმოდგენილი. სამკუთხაობა შორის დატოვებულ სივრცეზე, ორ ადგილას, თითო-თითო ჯვარია ჩასმული; ეს პატარა ხატები ნაპირის სამკუთხედის აქეთ-იქით არიან მოთავსებულნი. სამი სამკუთხედის გულში (თითოეულში ცალკე, რა თქმა უნდა) მათდის პაწია სამკუთხედებია ჩამჯდარი: ერთ სამკუთხედში წითელი და ორ დანარჩენში კი ყვითელი. მათდით გამოყვანილ სახეს, რომელსაც ირგვლივ ხლართი უფლის, ნაპირები ჩვეულებრივი წესით აქვს ამოხვეული, შალვარზე ამოხვევის გზით არის მიმაგრებული. ის სახე, რომელიც ამგვარი ხლართით არის შემოფარგლული, შემდეგნაირად არის მიკერებული: ზოლის ნაპირზე რომელიმე ფერის აბრეშუმის ძაფია სიგრძეზე გამართული, ის უკანასკნელი სხვაფერის ძაფით არის ჩაბმული.

შალვრის სიგრძე (ეს ზომა ფაქტიურად ტოტის სიგრძესაც გამოხატავს)—81 სმ,

ტოტის სიგანე (სათავესთან და უბის დასასრულს)—28 სმ,

ტოტის სიგანე (ბოლოსში)—24 სმ,

შალვრის სიგანე (სათავესთან)—48 სმ,

სათავეს სიგანე—3,5 სმ,

ორნამენტით დაკეცილი ნაწილის დაახლოებით ზომა (სიგრძე—20 სმ,

უბის ნახევარი ნაწილის სიგრძე—23 სმ,

უბის სიგანე—65 სმ, (ამ ზომაში უბის მეტად გაწვრილებული ბოლოების

სიგრძეც შევიყვანეთ, უბის ძირითადი ნაწილის სიგრძე ნამდვილად 42 სმ-ს უდრის).

5. შალვარი — წაღმ-უკუღმა ნაქსოვი ლურჯი ტოლისა. ზემო-აღწერილი შალვრის კრილობისა: ცალგანში შეკერილი ტოტი, ბოლოსკენ ოდნავ აქრილი, გარეთ გამოკეცილი თავისივე სათავე, ორი სამკუთხოვანი ნაქრისაგან შემდგარი უბე. სათავეს, წინაც და უკანაც, ხონჯრის ვასაყრელად განკუთვნილი კრილი აქვს დატოვებული, სათავეში მოყავისფერო ბაწრის ხონჯარია გაყრილი. ტოტის განაკერებიცა და უბის განაკერებიც, თავისავე ფერის ძაფით გარეთა მხრიდან არის ამოხვეული. ორივე ტოტის ბოლოები, განსაზღვრულ ზომაზე, სხვადასხვაგვარი სახეებით არის ორნამენტირებული; ტოტის ორნამენტი შემდეგნაირი სახეებისაგან შედგება (ქვევიდან ზევით): ტოტის ბოლო შიგნით არის გადაკეცილი, გადაკეცილის გარშემო სამი შილი-თაა შემოვლებული:—ლურჯი, მომწვანო და ყვინფერი. ამ ზოლის შემდგომ, ტოტს, სირმის გრეხილი უფლის გარს. სირმის ზემოთ შავი ქსოვილი ვიწრო ზოლია შემოყოლებული, ეს უკანასკნელი მთელ სიგრძეზე კრელშიბაით არის დამშვენებული. ზემოთ და ზემოთ ზოლთა თანმიმდევრობა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: სადა აგურისფერი ზოლი, წითელი ქსოვილის ზოლი კრელშიბაით შემკული. მწვანე ქსოვილის ზოლი ნაპირებზე კრელშიბაებთა გამოვლებული და შუაზე კი იისფერი ძაფით დაკავკაული. შემდეგ ეოსდევს მოვარდისფერო ტილოს ბრტყელი ზოლი, მის ნაპირებს კრელშიბაები მიჰყვება ორგვარი სახისაგან შემდგარი ორნამენტის არშისავეთ: კვერანი და მართლედანი თუ აკუშურანი (რქებახრილი ორნამენტი). შემდგომ კვლავ მწვანე ზოლია შემოკერებული, ამასაც ნაქრებზე კრელშიბაები ჩასდევს და შუაში კი იისფერი ძაფის დაკავკაული. ამ მწვანე ზოლის ზემოთ ისევ წითელი ზოლია შემორტყმული, შუაში მასაც კრელშიბაი აქვს გავლებული.

შემდეგ მორუხო და მოვარდისფერო ტილოს დაკბილულაი შემოყვებულა დაკბილულადას სანი კბილი რუხია და სამი კი ვარდისფერი. დაკბილულა შემოთაც კრელშიბინი წითელი ზოლია შემოყოლებული და სულ თავში კისეე სირმის გრეხილია შემოვლებული. ყოველი ზოლი ტილოსაგან არის გამოჭრილი, ამ შემთხვევაშიც მიკერების ჩვეულებრივი წესია გამოყენებული. ზოლთა ყოველ სანაპიროზე ძაფია გაქიმიული და სხვა ფერის ძაფით არის ჩამაგრებული. კრელშიბათათვის სხვადასხვა ფერის ამრეშუმის ძაფია გამოყენებული: მორუხო, მოყვითალო-მოვარდისფერო, შავი და იისფერი.

შალვრის სიგრძე—83 სმ,

ტოტის სიგანე—(სათავესთან და უბის დასასრულს)—24 სმ,

ტოტის სიგანე—(ბოლოში)—23 სმ,

შალვრის სიგანე (სათავესთან)—52 სმ,

სათავეს სიგანე—5 სმ,

უბის ნახევარი ნაწილის სიგრძე—23 სმ,

უბის სიგანე—60 სმ,

ტოტის ორნამენტირებული ნაწილის ზომა (სიგრძე)—11,5 სმ,

ჩოხა—სახლში მოქსოვილი ლურჯი ტოლისა (ლეკურ-აბრეშუმნაყარ შალსა ჰგავს). კახურ ჩოხასთან შედარებით მოკლეა, ალბათ ნუხლებზე ქვემოთ არ ჩამოვა. ჩოხას ჩაქები მეტად ღრმადა აქვს შეკრილი, წელის ნაკერიდან ის მცირეოდენი მანძილითლა არის დაშორებული. ცხენზე ჯდომის დროს ხვესური ვაეკაცები ამნაირ ჩოხას იცვამენ, მას ამის გამო მხედრულ ჩოხას უწოდებენ. ჩოხის უკანა ნაწილი, შუაში მოქცეული, თავწვრილი და ბოლოგანიერი კალთის ვარდა, რომელიც წელის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, წელთან არის გადაჭრილი. წინა კალთები (ერთი ერთ მხარეს და მეორე მეორე მხარეს) არ არიან გადაჭრილნი, ისინი ფერდების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ. წინა კალთებს, დაახლოებით საწელე არედას დაწყებული (ბოლომდე), პაწია—ბლარტისებური“ კალთები აქვთ წაკერებული: ერთი ერთ მხარეს და მეორე მეორე მხარეს. ჩოხის უკანა ნაწილი თხუთმეტი არათანაბარი ზომის კალთისაგან შედგება, ამ თხუთმეტი კალთიდან, ერთი შუაშია მოქცეული (ეს ის კალთაა, რომელიც გადაჭრილი არ არის და წელის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს) და შვიდი—შვიდი კალთა კი მის აქეთ-იქით არის განლაგებული. შვიდი კალთიდანაც—ორი კალთა (ბლარტისებური“ კალთის ჩათვლით) ჩაქს იქით არის დატოვებული და ხუთი კალთა კი ჩაქსა და შუა კალთას შორის არის ჩაკერებული (ორივე მხარეს კალთების ერთგვარი თანმიმდევრობაა დატული). კალთები, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ზომისანი არიან, მაგრამ ერთნაირ ადგილმდებარეობაში მოქცეული კალთები ზომითაც ერთმანეთს შეეფარდებიან. ყოველი კალთა თავწვრილია და ბოლო განიერი. ჩოხა წინ, ზემოწამოსაცმელისათვის დამახასიათებელი წესის თანახმად, თავიდან ბოლომდე ჩაქრილია. მკერდისა და წინა კალთების ნაპირები არსად არ არიან შეკრილ-შემოჭრილნი, ამ სანაპიროთა უსწორმასწორობას წინ ჩაკერებული პაწია კალთები ჰქმნის. მკერდისა და ქვედა კალთების სწორხაზობრივ სანაპიროთა განყოფა ამ პატარა კალთათა გადაკერების დასაწყისიდან (საწელე ზოლის გასწვრივ) იწყება. საყელოს ირგვლივ, მკერდისა და წინაკალთების ნაპირებზე, კალთების ირგვლივ და ჩაქებზე ჩოხას წითელი ბაწრის შალიფა აქვს შემოვლებული. ჩაქის კიდეები ნაირფეროვანი ტილოს ზოლებით არის შემკობილი: ლურჯი—2 სმ, ყვითელი—1,2 სმ, წი-



თელი—2,5 სმ, თეთრი—1,3 სმ, ჩოხას, პერანვისაგან განსხვავებულია ირწო-
 ამოკრილი არა აქვს, მზრებიც უნაქეროა, სახელოებიც სწორი—მაჯებისაგან
 ოდნავ შევიწროებული. სახელოს მაჯა ცერად არის აკრილი და თვითონ სა-
 ხელოც ამ ადგილას მცირედად არის შეხსნილი (ცერად აკრილობის გამო,
 მაჯა თითქმის განახევრებულია). ილიიდან დაწყებული, სახელო ღრმად
 არის ჩახსნილი და გვერდები კი მცირეოდენ მანძილზეა გაუქვრავი. სახელოს
 ძირის ნაქერის ირგვლივ სხვადასხვა ფერის ტილოს ზოლებია შემოვლებული:
 შუა წითელი—2,3 სმ, და აქეთ-იქით კი ყვითელი—1 სმ. შილა ტანის გვერ-
 დები შემდეგნაირი მოყვანილობისაა: მხრიდან დაწყებული გვერდების ჩახსნი-
 ლი ნაწილის ბოლომდე, განი აუქრელია; ამის შემდეგ ის თანდათან ვიწროვ-
 დება, შევიწროება წელამდე გრძელდება.

მაჯების ირგვლივაც სხვადასხვა ფერის მაუდის ზოლებია შემოვლებული:
 ლურჯი—2,5 სმ, ყვითელი—1,7 სმ, წითელი—3 სმ, თეთრი—1,8 სმ, ზოლე-
 ბის ზემოთ, ირგვლივ, ერთმანეთისაგან განსაზღვრული მანძილის დაშორე-
 ბით, სამი ნაქერის სამკუთხაა გაკეთებული (სამკუთხაჲს თითოეული გვერ-
 დის სივანე დაახლოებით 1 სმ-ია). შუალა სამკუთხაჲ ყვითელი ტილოსია და
 აქეთ-იქით მოქცეული სამკუთხაჲები კი წითელი მაუდისაა. წითელი სამკუთ-
 ხედების თავზე თეთრი აბრეშუმის მირგვალეებია ამოქარგული და ყვითელი
 სამკუთხედის თავზე კი წითელი აბრეშუმის მირგვალეა გამოყვანილი (მარც-
 ხენა სახელოზე გაკეთებული წითელი სამკუთხედების კვალი აღარც კი ეტყო-
 ბა, ამოცვეთილია).

ჩოხას ფეხზე მდგომი ვიწრო საყელო აქვს მოკერებული. საყელოს შუა
 ნაწილი საკისრეზეა მიბმული და ბოლოები კი საგულეს ნაპირებზე. საგულეს
 ნაპირები (დაახლს მხრიდან გულის ძირამდე) შემდეგნაირად არის შემკობი-
 ლი: სანაპიროზე ჯერ ყვითელი ტილოს წვრილი ზოლია დადებული (0,8 სმ
 სივანის), შემდეგ მოწითალო-მოვარდისფერო ტილოს ბრტყელი ზოლი (4 სმ
 სივანის) და ამის შემდგომ კი თეთრი ფერის ქსოვილის ვიწრო ზოლი (სივან-
 ნით 1 სმ) თეთრი ზოლი ბოლოშიც უხვევს, ზემოაღნიშნულ ზოლებს ჩარჩო-
 სავით საზღვრავს. მოვარდისფერო ტილოს ზოლი ლამაზი სახეებით არის
 ორნამენტირებული: ერთ-ერთი მთავარი სახე რამდენიმე წყებად გაყოლებულ
 დაკავკაულსაც წააგავს და სამკუთხედებისაგან შემდგარ დაკბილულ-
 საცაც. ორნამენტის ეს მთავარი სახეობა შუაში ბრტყლად არის გავლებული,
 მის აქეთ-იქით—არშისავეთ, წვრილ სახეთაგან ორნამენტის ზოლებია გაყო-
 ლებული (ერთი ერთ მხარე და მეორე მეორე მხარეს). დაახლოებით ამ სა-
 ხიანი ზოლის სიგრძეზე (ზოლის სიგრძე—7 სმ, ზოლის სივანე—0,8 სმ), მკერ-
 დის ორივე მხარე მაუდის მოკლე-მოკლე ჰორიზონტალური ზოლებით არის
 დაქრელებული. თითოეულ მხარეზე ექვსი ზოლია გაყოლებული და ერთი-ნეო-
 რისაგან დაახლოებით თანაბარი მანძილითაა (6,5 სმ-ით) დაშორებულნი. ყო-
 ველი ჰორიზონტალური ზოლი დასაწყისს ორნამენტირებული ზოლის ნაპი-
 რიდან ღებულობს. მხრის ძირთან თეთრი მაუდის ზოლია დაკერებული და მის
 ქვემოთ კი: წითელი, ყვითელი, წითელი, თეთრი და კვლავ წითელი. შუაში მოქ-
 ცეული სამი ზოლის ბოლოებთან აბრეშუმით ნაქარგი მირგვალეებია მისხ-
 შული: თეთრი, წითელი და თეთრი. მარცხენა მკერდზე გაკეთებული ზემოთა
 ორ ჰორიზონტალურ ზოლს შორის ყვითელი ტილოს ჯვარია ჩასმული,
 წითელი აბრეშუმის ხლართით შემოფარგლული. ხატის კუთხეებში აბრეშუმის
 ძაფით ამოქარგული მირგვალეებია გამოყვანილი: ზემოთ ორ კუთხეში თეთრი

დაფშემოვლებული წითელი მირგვალაებია და ქვემოთა ორ კუთხეშიც კვადრატული მირგვალაებია. მარჯვენა მკერდის იმავე ადგილას წითელი მაუდის ჯვარია გამოხატული, ფერად მძივებშემორიგებული (მძივების უმრავლესობა თეთრია და შავი, ორი ცალი ყვითელია და ერთი კი ცისფერი. მარცხენა მკერდზე მეორე და მესამე ზოლ შორის ყვითელი მაუდის სამკუთხაა ჩასმული, მარჯვენა მკერდის იმავე ადგილზე სხვადასხვა ფერი (თეთრი და წითელი) სამკუთხედებისაგან შემდგარი რომბია მოთავსებული, ირგვლივ მძივებშემოვლებული (მძივების ფერები: თეთრი და შავი, ერთი მხოლოდ ყვითელი. მძივების ნაწილი მოწყვეტილია). მარჯვენა მკერდის მესამე და მეოთხე ზოლ შორის წითელი მაუდის მირგვალაა დაკერებული. ახლახან აღწერილი ორნამენტები, როგორც ვხედავთ, ერთმანეთის ჩასწვრივ არიან განლაგებულნი. ორნამენტირებული ნაწილის მარჯვნივ, მარჯვენა მკერდზე, სახელოს ძირსა და მის შორის, შემდეგი გამოსახულებანია წარმოდგენილი: თეთრი და წითელი მაუდის ზოლებისაგან შედგენილი დიდი ჯვარი (წითელი ვერტიკალური ზოლისათვის არის გამოყენებული და თეთრი კი ჰორიზონტალურისათვის), წითელი მაუდის მირგვალაა, წითელი მაუდის სამკუთხაა—უმთავრესად თეთრ და შავ მძივებშემოვლებული (შვიდაშვიდ ყვითელი მძივებიც ურევია, ერთი მწვანე მძივიც არის) და ერთი ყვითელი მაუდის ჯვარი (ამ უკანასკნელს ირგვლივ მოყავისფერო ბაწრის ხლართი ჰქონია შემოვლებული, ამცამად მხოლოდ მისი ნაკვალევიაა დარჩენილი). მარცხენა მკერდის იმავე ადგილას, ყვითელი ტილოსი და წითელი მაუდის ზოლებისაგან შემდგარი ჯვარია მიკერებული (ტილო ვერტიკალური ზოლისათვის არის გამოყენებული და მაუდი კი ჰორიზონტალურისთვის), ჯვარის ძირში წითელი მაუდის მირგვალაა მიკრული; ჯვარისაგან რამდენიმე მანძილის დაშორებით, ქვემოთ, თეთრი მაუდის სამკუთხაა დაკერებული. ზურგის ორნამენტაციის აღწერილობა: მოჭრელებულია სხვადასხვა ფერი ქსოვილთაგან (უმთავრესად წითელი მაუდისაგან) გამოჭრილი სახეები—სამხრედან 7 სმ-ის დაშორებით, ზურგის მთელ სიგრძეზე, ორი თეთრი ზოლია გავლებული (სიგანით 1 სმ), ეს უკანასკნელნი ერთიმეორისაგან 2,5 სმ-ით არიან დაშორებულნი. ამ ზოლთა შორის, მარჯვენა ბოლოში, წითელი თუ მოწითალ-მოყავისფერო ტილოს მოგრძო ზოლია ჩაკერებული (სიგრძით 15 სმ). ამგვარი ზოლი მარცხნივაც ჰქონია, მაგრამ ასძრობია, ამ ზოლებსა და სამხრე ზოლთა შორის მოქცეულ ფართობზე შემდეგი სახეებია გამოყვანილი: აქეთ-იქით, სახელოების ახლოს, თითო ჯვარია მიკერებულე: ჯვარის ვერტიკალური ზოლი ყვითელი ტილოსია და ჰორიზონტალური ზოლი კი წითელი მაუდისაა. ეს ჯვრები, ყელის აქეთ-იქით გამოსახულ ხატთა უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ. ამის შემდგომ, აგრეთვე აქეთ-იქით, წითელი მაუდის ვერტიკალური ზოლებია წარმოდგენილი (სიგანით დაახლ. 0,5 სმ), საყლოს არეში, ასევე აქეთ-იქით, ორი თეთრი ვერტიკალური ზოლია ჩამოვლებული (სიგანით 1 სმ); ეს ზოლებიც წინ ჩავლებული თეთრი ზოლების ძირთან არის მიბჯენილი. ამ თეთრ ზოლთა შორის წითელი მაუდის სამკუთხაა მოთავსებული, სამკუთხაას თითოეული გვერდის სიგანე 0,5 სმ-ს უდრის. ჯვრებისა, სამკუთხედებისა და ვერტიკალური ზოლების ბოლოები თეთრი ჰორიზონტალურ ზოლთან არიან დაკავშირებულნი.

თეთრი ზოლების ქვემოთ შემდგენილი სახეებია გამოყვანილი: ზემოთა რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) — ყვითელი ტილოს ჯვარი წითელი

მაჯის შემკული ნაწილის სიგრძე—14 სმ,
 ჩაქის სიგრძე—42 სმ,
 საგულეს სიგრძე—49 სმ (მხრამდე) და 41 სმ (საყელომდე).
 ორნამენტირებული ზოლის სიგრძე—43 სმ და 6,5 სმ,
 საყელოს სიგრძე—28 სმ,
 საყელოს სიგანე—(შუაში)—4 სმ,
 საყელოს სიგანე—(ბოლოში)—2 სმ,
 ფერდის სიგანე (მხართან და ილღიების გასწვრივ)—31,5 სმ,
 ფერდის სიგანე (წელის გასწვრივ) 23 სმ,
 ყველა კალთა თანაბარი სიგრძისა. თითოეული მათგანის სიგრძე, რო-
 ვორც უკვე აღვნიშნეთ, 58 სმ-ს უდრის.

წინა პატარა კალთის თავ-ბოლოს სიგანე—3 სმ და 8,5 სმ,
 ფერდის ვაგრძელება კალთის თავ-ბოლოს სიგანე—22 სმ და 27 სმ,
 მესამე კალთის თავ-ბოლოს სიგანე—3,7 სმ და 13 სმ,
 მეოთხე კალთის თავ-ბოლოს სიგანე—4,5 სმ და 22,5 სმ,
 მეხუთე კალთის თავ-ბოლოს სიგანე—6 სმ და 22,5 სმ,
 მეექვსე კალთის თავ-ბოლოს სიგანე—4,5 სმ და 21 სმ,
 წელის ორნამენტირებული ნაწილის საერთო სიგრძე—28 სმ,
 მეშვიდე კალთის თავ-ბოლოს სიგანე—1 თუ 1,5 სმ და 11 სმ,
 შუა კალთის თავ-ბოლოს სიგანე—10 სმ და 30 სმ.

1) საყელოს ძირზე ყვითელი ტილოს წვრილი ზოლია გადავლებული.

2) ჩოხის ნაკერები შიგნით არის მოქცეული, განაკერში მოქცეული თი-
 თოეული ნაპირი გადაკეცილია და სუფთად არის ამოხვეული.

ხევსურულ ტალავარს მრავალგვარი ორნამენტით ამკობენ, თვალსაჩინო პრიორიტეტს ჯვარის გამოსახულებას ანიჭებენ. ხატის განსახიერება ხევსურული ტალავარის თითქმის ყველა ელემენტზეა აღბეჭდილი, ნაციონალურ კოსტუმში განოწყობილი ხევსური ყოვლის შემდეგ ჯვრებითაც არის შეიარაღებული. „ხევსურული ორნამენტის“ ავტორთა სამართლიანი შეხედულების თანახმად, ჯვარი „მაგიურ-აპოთროპიული მნიშვნელობითაა გამოყენებული“, „ჯვარი ხევსურთა გვაროვნული საზოგადოების რელიგიასთანაა დაკავშირებული“.

მრავალფეროვან ხევსურულ ორნამენტს ჩვენ მსჯელობის საგნად არ ვავხდით, რამდენიმე სიტყვას მხოლოდ ჯვარის ორნამენტის შესახებ ვიტყვი.

ცნობილია, რომ ხევსურეთში ჯვარს ხატს უწოდებენ და წარმართული ხასიათის საკულტო შენობასაც (რომელიც სრულიად არ წააგავს ქრისტიანულ ეკლესია-მონასტერს) ამავე სახელწოდებით აღნიშნავენ.

ძველ საქართველოში ხატის სახე-გარეგნობასაც აღნიშნავდა, და წმინდანის მხატვრულ განსახიერებასაც ეწოდებოდა. ხევსურული „ხატის“ შინაარსი, როგორც ვხედავთ, ძველი ქართულ მწერლობაში დამოწმებული და სხვა ქართველი ტომებისათვის დღესაც კარგად ცნობილი „ხატის“ გაგებას არ უდგება და ხევსურთა წარმართული ხატის ქრისტიანობის სიმბოლოდ აღიარებულ ჯვარს ძირითადი არსის მხრივაც არ შეესატყვისება.

ჯვართან და ჯვარის თავყანისცემასთან დაკავშირებულ ფრიად საყურადღებო ცნობას თამარის მეორე ისტორიკოსი გვაწვდის: „ხოლო ფხოელნი ჯჳარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემებენო“, აშკა-



რაა რომ ისტორიკოსი ქრისტიანულ რწმენასა და ჯვარის მსახურებზე უფრო მანერეთისაგან არსებითად ანსხვავებს.

ხევსურული ხატი ქრისტიანული ჯვარის მსგავს სიმბოლოს არ წარმოადგენს, ხევსურთა წარმართული ჯვარი თაყვანისცემის ობიექტს თვითონ შეადგენს. ჯვარის გამოსახულებისა და საკულტო ნაგებობის სახელთა გაიგივება იქნება ამ მნიშვნელოვანი გარემოებით იყოს გამოწვეული, ხევსურული საკულტო შენობის აღნაგობა ხომ არ შეიძლება რომ ჯვარის განსახიერებად იქნეს მიჩნეული?

ამ მოსაზრებას თუ კეშმარიტებასთან ახლოს მდგომ შეხედულებად ჩავთვლით, მაშინ შეუძლებელი არ იქნება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჯვარის სახეობის მენჭირებიც¹ ხევსურულ ხატს დაუკავშიროთ და ამგვარად ისინი ქრისტიანობის მიერ გამოყენებულ წარმართულ ხატებად მივიჩნიოთ.

¹ ლეონ მელიქსე თ-ბეგი, მგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 110—117.

წალკელი ქალის თავსაბურავი

წარსული საუკუნის 30-იან წლებში, ოსმალთა ქვეშევრდომობიდან განთავისუფლებული ურუმოზა წინაპართაგან დამკვიდრებული ადგილ-სამყოფელითგან აიყარა და საქართველოს მიწა-წყალზე გადნოსახლდა. ბერძენ კოლონისტთა გადაგვარებულმა შთამომავლობამ (ურუმოზამ) მრავალსაუკუნოვანი წარსული სამშობლოდ მიჩნეულ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ჩამარბა და მომავალი ცხოვრების მიმდინარეობა კი (19 საუკ. 30-იანი წლებიდან მოკიდებული) აღმოსავლეთ საქართველოს „წალკად“ სახელდიდებულ მხარეში წარმართა. ქართველობასთან ურთიერთობას ჩვეულ ხალხს ბედმა არ უმტყუნა და ქანების ისტორიულ მეზობელს ქართლელთა მეზობლობა არგუნა.

ეთნიურად ქრელ სამხრეთში მოზინადრე ურუმოზამ, დროთა ვითარებაში, ქართული (ქანური) და თურქულ-სომხური კულტურის მძლავრი ზეგავლენა განიცადა და ამავე ეთნიურ ერთეულთა ზეგავლენის წყალობით მისი ტომობრივი შედგენილობაც მნიშვნელოვნად შეიცვალა. თურქული სამყაროს წამლეკველი ზემოქმედების კვალი განსაკუთრებული სიმკვეთრით მის მეტყველებაზე აღიბეჭდა: ურუმოზა უმრავლესობის სალაპარაკო ენად თურქული იქცა და მცირეოდენმა ნაწილმა კი თურქულნარევი ბერძნული შემოინარჩუნა.

ძირფესვიანად გადახალისებულმა ურუმეზმა, ძველ საცხოვრებელ გარემოში შექმნილი ადათ-ჩვევანი ჟამთა სრბოლას არ გააყოლეს და სამშობლოდან მოტანილი ტრადიციები ახალ სამყოფელშიც ადრინდელი ცხოველყოფილობით გააგრძელეს. თანმოყოლილი სულიერი და მატერიალური ყოფის განვითარება ძველებური გზით წავიდა და ერთი საუკუნის მანძილზე ის ადგილობრივი (ქართული) კულტურის ელემენტებითაც გამდიდრდა. ამგვარი ვითარება, წალკის ტერიტორიაზე დაბინავებული ურუმების ყველა განშტოების („ფასენნი“, „ოვანი“, „გრონი“, ანუ „ქილისელნი“) ცხოვრებაში თითქმის თანაბარი სიძლიერით აისახა, მაგრამ თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი თავისებური ელფერი დღევანდლამდე მაინც შემოინახა. წალკის სინამდვილის მეცნიერულმა შესწავლამ მოსალოდნელი შედეგი გაამართლა: წალკელთა ყოფა-ცხოვრებამ მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა გამოავლინა და წინასწარ შემუშავებული აზრის კეშმართება ურუმი ქალის თავსაბურავისა და სამკაულის შესწავლამაც დაადასტურა.

პირვანდელ სამშობლოში (უკეთ ვთქვათ, სამშობლოდ აღიარებულ სამხრეთში) განვლილი ურუმოზა ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის გზით წარმართული ხანგრძლივი ისტორიული პროცესი მათ ჩაცმა-დახურვაზედაც აისახა, ურუმების ჩაცმულობა თანდათან შეიცვალა და კერძოდ, ქალის თავსაბურავსამკაულმაც თავისებური შეცვლა-გადასხვაფერება განიცადა. სამხრეთის სხვადასხვა კუთხეში მოსახლე ურუმოზა ახლებურ სამოსში მოცემული კუთხის აბორიგენ მკვიდრთა ჩაცმულობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა გამოვლინ-



და, მაგრამ ძირითადად მაინც ცველგან დაახლოებით ერთსაზრგანოდ შესაფუძვლებს არსებობა დაკანონდა. ადგილობრივ გარემოსთან შესატყვისებული თავსაბურავ-ტანსაცმელის სახეობაც განვითარება-ცვალებადობის აუცილებლობას ვერ გადაურჩა და მეზობელ ტომთა ცხოველი ზემოქმედების წყალობით მასშიც თანდათანობით წინაღმდეგობისა და ცვლილების მომასწავებელი ნიშნები ჩანს. ჩაცმა-დახურვის კომპლექსის გულდასმითმა შესწავლამ ცხადყო, რომ ძველ სამშობლოში ყოფნის დროს შეთვიებრილი, მაგრამ იმხანად ჯერ კიდევ სათანადო უფლება-მოხილებას მოკლებული ზოგიერთი ახალი ელემენტის განვითარება თურმე ახალ სამშობლოში დასრულდა, აქ ის უკვე საფუძვლიანად გაბატონდა და მისი ფუნქციის შემსრულებელი ძველი ელემენტის მნიშვნელობა კი შესამჩნევად შესუსტდა.

ურუმი ქალის თავსაბურავ-სამკაულს ქვემოთ წარმოდგენილი აღწერილობა სხვადასხვა სოფლებს — ბარმაქისხს, გურნაყალას, წინწყაროს, ბეშთაშენს, შიფიაქს, კიერექს, ხადიკს, ახალიკს, სანამერს, ედჟილისას, ჰოლიანქს, ხანდოსა და გუმბეთს შეგროვებულ ცნობებს ემყარება, მაგრამ ის, დანარჩენი ურუმული სოფლების ხანდილოსანთა თავსაბურავსა და სამკაულის დასახასიათებლადაც გამოდგება¹.

ჩვენი მსჯელობა უმთავრესად გათხოვილი ქალის თავსაბურავის აღწერას შეეხება და ქალწულის თავის დაბურვა-შემკულობის შესახებაც ცალკე აღინიშნება.

ურუმი ქალის თავსაბურავი შემადგენელ ელემენტთა სიმრავლით ხასიათდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ზოგიერთი ფუნქციის შემსრულებლად რამდენიმენაირი სახისა და სახელწოდების საგანი გვევლინება, თავსაბურავის კომპლექსში შემავალ ნაწილთა მრავალრიცხოვანება უფრო ნათლად წარმოგვიდგება.

თავის დაბურვას თმის წყსრიგში მოყვანა უსწრებს წინ: ქალმა ჯერ თმა უნდა დაიწინას ორ ნაწნავად (ტაბ. I,¹)² და შემდეგ თავხურვის თანდათანობა განავითაროს (თურქულად მოლაპარაკე ურუმინი ნაწნავს „ორ უქს“ ანუ „ორ უგს“ უწოდებენ ბერძნულად მეტყველნი კი ძემგეს ეძახიან). მოხუციისათვის მართალია თმის სიაყვარგეს განაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება, მაგრამ თავის დამამშვენებელი გრძელი ნაწნავები, ახალგაზრდა ქალის თავის მორთულობის აუცილებლობად ითვლება.

დაბურვის პროცესი სამკუთხოვანი ან ოთხკუთხოვანი მოხვევით იწყება, ხოლო უბეურად მოკეცილი ნაჭრის კი, ე. წ. კუალიას მოხვევით თავზე გადაფენილი კუალიას ყურები ნაწნავების ქვეშ გატარდება (ტაბ. II, 1-2), შემდეგ კვლავ წინა მხრისაკენ შემობრუნდება და შუბლთან შეიკვრება (სურ. კუალია მოხვეული ქალი). სოფ. წინწყაროს, გურნაყალას და სანამერის მცხოვრებთა შორის „კუალიად“ წოდებული თავსახვევი, ხადიკისა და სხვა სოფელთა მთხრობელებმა ხელსახოცის აღმნიშვნელ ტერმინით — ფეშკირისა და ჩალიქ-მამარამას სახელით მოიხსენიეს და სოფელ შიფიაქში კი დიღმეს სახელწოდებით აღნიშნეს. ზოგიერთი სოფლის მკვიდრნი (ედიქილისა, ჰოლიანქი და სხვ.) კუალია-ფეშკირ-დიღმეს სახელებით ცნობილ მოსახვევს თითქმის არ ხმარობენ და მის მაგივრობას სარჩულიან ქუდს—

¹ აქ ჩამოთვლილი სოფლებიდან მხოლოდ გუმბეთის მცხოვრებნი ლაპარაკობენ ბერძნულად.

² მთხრობელთა გადმოცემით, უწინ ახალგაზრდა ქალი თმას მრავალნაწნავადაც იწნავდა.

თერლიქს ასრულებინებენ (ქალს თუ „თერლიქი“ არ ექნება, მაშინ „ფეშქარს“ მოიხვევსო — გადმოგვეცემენ ხსენებულ სოფელთა მთხრობელი ქალები).
ქუალა-ფეშქარის მოხვევისა თუ თერლიქის დახურვას, ჩათხით გაწყობილი დაბლას დადგმა მოჰყვება (ტაბ. I, 1).

თხემზე მოთავსებული დაბლათი შუბლის ნაწილიც დაიფარება და მასზე მობმული ორი ზონრის — ხალთას საშუალებით თავზე კარგად დამაგრდება — წინა ხალთა (ირელი ხალთა) ნიკაპს ამოედება და უკანა ხალთაში კი (კერი ხალთა) ნაწნავები ამოძვრება.

საყოველთაოდ გავრცელებულ „დაბლას“, რომელსაც სოფ. ხანდრში კოკოშასაც ეძახიან და სოფ. ედიქილისასა და ჰოლიანქში კი გავერჯილას სახელითაც იხსენიებენ (ამ სოფლებში და შესაძლებელია სხვაგანაც, დაბლას უპირატესად „კოკოშას“ ან „გავერჯილას“ სახელწოდებით აღნიშნავენ), უფრო ახალგაზრდა და შუახნის ქალები ატარებენ; ხანში შეესულნი და ღრმად მოხუცინი დაბლას მაგიერ მოყვანილობით ნიშგან განსხვავებულს და აგრეთვე ფართოდ გავრცელებულს კოდიკს ანუ კოლრდს ხმარობენ (იხ.)¹ და ოვაურუშთა მოხუცი მანდილოსნები კი (სოფელ. შიფიაქის, ავრანლოს, ჯინისის და ხანდოს მცხოვრებნი) დაბლა — კოდიკისაგან განსხვავებული დინგეთიც სარგებლობენ ამგვარად, დაბლა-კოლოდის ხმარება თითქმის ყველა ურუმულ სოფელში გვხვდება დინგეს გამოყენების ფაქტი კი მხოლოდ ოვათა შორის მოწმდება (აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ არც დინგე და არც კოლოდი დაბლასავით ზონრების დახმარებით არ მაგრდება. ერთიცა და მეორეც თავზე შემდეგ მოხურული ლეჩაქის საშუალებით ჩერდება).

დაბლას, კოლოდ-კოდიკსა და დინგეს გარეგნობის დახასიათებასა და მათი სადაურობის საკითხის გარკვევას ჩვენ შემდეგ მოვახდენთ და ამჟამად კი ისევ თავხურვის პროცესის აღწერას დავუბრუნდებით.

დაბლას (დინგეს ან კოდიკის) დადგმის შემდეგ, ქალი ხილბანდივით სამკუთხოვნად მოყვანილს ან თავშალივით უბეურად მოკეცილს — ქვედა ლეჩაქად წოდებულ ნაქერს მოიხვევს (ამ ფუნქციის შემსრულებლის როლი პირველ მათგანს უფრო ეკისრება) და დაბურვის თანდათანობას შემდეგნაირად განაეითარებს: თავის ნახევარ ნაწილზე გადაფარებული ალთ-ლქჩაქის (ზოგიერთის გამოთქმით „ლაჩაჩავის“) ანუ დიბლიჩქის (ქვედა ლეჩაქს ხანდახან „საყევი ლეჩაქსაც“ ეძახიან)², ყურებს ყელთან გადაიჯვარედინებს (ტაბ. I, 2), ყურების ასწვრივ აიტარებს და გაკვანის საშუალებით კეფასთან დაიმაგრებს (ტაბ. II, 2). ლეჩაქის ბოლოების — თავის უკანა ნაწილთან გამოკვანის ხერხს უფრო „დაბლას“ მატარებელი ქალი მიმართავს „კოლოდით“ ან „დინგეთი“ გამოწყობილი მანდილოსანი კი უმთავრესად შუბლთან შეკერის წესს იცავს (კეფასთან მოტანილ ყურებს კვლავ გადააჯვარედინებს, თავის ირგვლივ შემოიტარებს და შუბლთან შეიკრავს. ამგვარი პროცედურის შესრულების შედეგად, ლეჩაქიც ადვილად აღარ ჩამოიშლება და დინგეც კარგად დამაგრდება). დაბლადადგმულმა ქალმა რომ ლეჩაქი წინ შეიკრას, დაბლაზე გადაკრული ჩათხი („ჩათხი“ მნიშვნითა და ოქრო-ვერცხლის მო-

¹ სოფ. წინწყაროს მცხოვრებმა — გურჯიევა ანგელიკამ კოდიკი (ანუ კოლოდი) „არახილის“ სახელითაც მოიხსენია.

² ქვემოთა ლეჩაქის დახურვა თავის შუა ადგილიდან იწყება, ქვემოთა ლეჩაქით თავზე დადგმული დაბლას (კოდიკის ან დინგეს) ნახევარი ნაწილი იფარება მხოლოდ.



საქართველო

ნეტებითა და ფირფიტებით შემკული თავსაკრავია) ნაკვანძობი და დაუშნოვდება; კოლოდით ან დინგეთი თავგაწყობილი ქალი კი ჩათხს ქვედა ლეჩაქის მოხვევის შემდეგ ირტყამს (არც დინგე და არც კოლოდ-კოდიკი ჩათხით არ არის გამართული) და მით შუბლთან გამოკვანილ ლეჩაქის ურუბსაც იფარავს (ტაბ. III, 2). ურუმთა უმრავლეს სოფლებში „ჩათხის“ სახელწოდებით ცნობილ თავსაკრავს ხანღო-შიფიაქში (და ალბად ჯინის—ავრანლოშიც) „ანლის“ ეძახიან, ედიქილისაში (და შესაძლებელია ჩვენ მიერ შეუსწავლელ სხვა სოფლებშიც) „ბ რ რ ქ ის“ („ბ რ რ კ ის“) უწოდებენ და ბერძნულად მოლაპარაკე ურუმებით დასახლებულ სოფ. გუმბეთში კი მას „კოსტიქის“ სახელით აღნიშნავენ.

ჩათხის შემორტყმამდე ქალმა, ნიკაპზე, ორი, თეთრი და შავი ფერის, უბეურად მოკეცილი — „აშმახად“ წოდებული ნაქერი უნდა აიხვიოს და ამ უკანასკნელის შეკვრის მიზნით მის ბოლოებში მოხმული ყაითნები (თუ სხვა სახის ზონრები) თავზე უნდა გამოიკვანძოს (ტაბ. I, 2). შავი აშმახი (ყარა აშმახ) თეთრი იაშმახის (ბა ა ა ა აშმახ) აკვრის შემდეგ უნდა აიფაროს ისე, რომ თეთრი აშმახი ტუჩთან ვიწრო ზოლად გამოაჩინოს. ამ წესით ახვეული აშმახით ნიკაპი მთლად დაიფარება და მისი სამკუთხოვანი ბოლო კი ნიკაპს ქვევით ჩამოიფინება. (უწინ ერთობ გავრცელებული ახალგაზრდებისა და მოხუცების მიერ ერთნაირი აუცილებლობით ხმარებული „აშმახი“, როგორც ჩანს, ჩაცმა-დახურვის სფეროდან თანდათან გასულა და დღეს ის, მარტოოდენ ხნიერი ქალის თავსაბურავის კომპლექსში შემორჩენილა). უკანასკნელად, დაახლოებით ქვედა ლეჩაქის პრილობის მქონე ზედა ლეჩაქის — უსტ ლეჩქის (ახორქი ლეჩქის)¹ დახურვა მოხდება (აჟუსტ ლეჩქად უფრო ხშირად თავშალივით უბეურად გადაკეცილი ნაქერი იხმარება და ალთ ლეჩქი კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხილაბანდივით იქრება, თუმც ლეჩაქთა სრული ერთიანობის შესაძლებლობაც არ გამოირიცხება) და თავის დაბურვის პროცესიც ამით დასრულდება (ტაბ. IV, 1-2 ტაბ. I, 2)². თავსაბურავის ძირითადი შემადგენლობა აქ ჩამოთვლილი ელემენტებით ისახლვრება, ერთი-მეორის გარეშე არც ერთი მათგანი არ გამოდგება, ერთი ელემენტის გამოკლებითაც კი თავსაბურავის სრულსახოვნება დაირღვევა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „აშმახს“, რომლის ტარება ყველასათვის სავალდებულოდ აღარ ითვლება). უსტ ლეჩქის ზემოდან „ბაღ დაღის“ „ქიშმირის“, „შალის“ („შალოვის“) და სხვათა მოხვევაც შეიძლება, მაგრამ ბაღდადიცა და შალ-ქიშმირიც ხშირ შემთხვევაში თვითონ აჟუსტ ლეჩქის როლის შემსრულებლად გვევლინება.

ურუმი ქალის თავსაბურავი, როგორც ირკვევა, ძველად უფრო მრავალგვარ სახეთა შემცველი ყოფილა; ჩვენს დრომდე ის უწინდელი სისრულით არ მოღწეულა და ოციოდენ წლის წინად ჩვეულებრივ ხმარებული ბურუნბალი, ჩარი, და ვალლა — დუვახიც საესებით განდევნილა. ბურუნბალი, როგორც თვით სახელწოდებაც გვიჩვენებს, ფერადი (შავი, წითელი და სხვა) ჩითისა ან აბრეშუმისაგან შეკერილი ცხვირსაფარი ყოფილა; ქალი მას თურმე ნიკაპთან იკეთებდა და მამაკაცთან შეხვედრის დროს კი ცხვირ-

¹ სოფ. გუმბეთის ურუმთა შორის, ქვემოთა ლეჩაქი „ჩამბარად“ იწოდება და ზემოთა ლეჩაქს კი „ქუნჭული“ ეწოდება.

² ზედა ლეჩაქის დახურვაც, ქვედა ლეჩაქის მსგავსად ხდება.

ზე იფარებდა. მთხრობელთა გადმოცემით ჩარი (რომელსაც სრულად ვერ ვიცნობთ) თის მცხოვრებნი „ჩარქულს“ ეძახიან) თურმე თეთრი ფერის თხელი ქსოვილისაგან იკერებოდა (ზოგიერთის თქმით, ჩარისათვის სხვა ფერის ნაჭერიც გამოდგებოდა) და მოყვანილობით მოგრძო ოთხკუთხოვან ჩადრს წარმოადგენდა. თავზედ გადაფარებულ ჩარში ტანიც კარგად იმალებოდა, მისი გრძელი ბოლოები წელზე შემორტყმული ქამრით — „ჩარბალით“ მაგრდებოდა (ჩარბალში ეტანებოდა) და მუხლებს ქვევით ეფინებოდა. ჩარს ახალი პატარძალი ატარებდა. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ქალი ჩარის ტარების მოვალეობისაგან თავისუფლდებოდა (ჩარის ტარების ხანგრძლივობას ზოგიერთი მთხრობელი 3-4 წლით საზღვრავს, ზოგიერთი 12 წლით და ზოგი კი მის მოხსნას პირველი ბავშვის ყოლას უკავშირებს), მაგრამ მისი სახე ააშმახითა და ბურუნბალით მაინც იფარებოდა (ჩაროსან ქალს ბურუნბალი არ სჭირდებოდა).

მოყვანილობით ყოველმხრივ ჩარის მსგავსს, მაგრამ ქსოვილის თავისებურებით მისგან განსხვავებულ ვალა-დუვახსაც (ვალაა წითელი, შავი ან სხვა ფერის აბრეშუმისაგან იკერებოდა) ჩარის ფუნქციის შესრულება ეკისრებოდა (ამ უკანასკნელის დახურვაც ჩარის მსგავსად ხდებოდა). დუვახი გვირგვინის ქვეშ მყოფი პატარძლის საქორწინო მორთულობის ატრიბუტს შეადგენდა, სამი დღის განმავლობაში ახლად დაქორწინებული ქალის თავი ვალათი იბურებოდა სამი დღის შემდეგ კი დუვახი ჩარით იცვლებოდა. ყოველდღიური საქიროებისათვის განკუთვნილ ჩარს დღესასწაულებსა და კვირა-უქმე დღეებში კვლავ დუვახი ენაცვლებოდა (ქალი ჩარიდან უკეთ იხედებოდა და მტკიცედ მოქსოვილი ვალადან გამოხედვა კი ფრთხილ უძნელდებოდა).

თავბურვის პროცესის მოკლე მიმოხილვის შემდგომ, უკუსვლას მოვახდენთ და ჩვენ მიერ ზოგადად დახასიათებული თავსაბურავის ცალკეულ ნაწილთა აღწერილობას წარმოვადგენთ. ზოგიერთი მათგანის შესახებ, კერძოდ, კუალია-ფეშვირის, თერლიქის, ააშმახ-ბურუნბალისა და ვალა-დუვახის ირგვლივ ჩვენ ბევრს ვეღარას ვიტყვი და მათი განზომების აღნიშვნითა და ზოგადი ხასიათის შენიშვნების გაკეთებით დავკმაყოფილდებით¹.

სამხრეთში ბინადრობის დროს, ურუმების შეზობლად მცხოვრები ტომების ჩაცმულობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მასალების წინასწარმა განხილვამ დავარწმუნა, რომ ურუმი ქალის თავსაბურავის ელემენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა ეთნოსის წარმომადგენელი ქალის თავსაბურავის კომპლექსშიც არსებულა და კერძოდ, დუვახი ქანებისათვისაც კარგად ცნობილი თავსაფარი ყოფილა. ქანების მიერ ხმარებული დუვახი, როგორც ჩანს, ურუმთა შორის გავრცელებული ვალა-დუვახისაგან განსხვავდება; ის ჯოხებისა და აბრეშუმის ქსოვილისაგან გაკეთებულ საფარველს წარმოადგენდა (ქსოვილი ჯოხებზე გადაეკროდა) და ურუმული დუვახის მსგავსად ისიც საქორწინო ცერემონიაში მონაწილეობდა (პატარძლის ახლობელი ნათესავი და დედამთილი საქორწინო პროცესის დროს დუვახს დაქორწინებულთა თავზე იკავებდნენ და ფეხით მიმავალ ნეფე-დედოფლის უკან მიყვებოდნენ)².

¹ იაშმახის ზომა — 34×34 (ჩახატულია სოფ. გუნაიყალაში, თეოდორა პოლიტოვთან).

² Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С. Петербург, 1910, განმარტება დუვალი I ა.



ზომით მოზრდილი თავშალის ოდენა, როგორც ფოტოსურათისა და დავინახავდით, მხოლოდ ზურგის შუა ადგილამდე ჩამოსული ალტი ლეჩქები და აჟსტ ლეჩქები (მათ განაზომებს ჩვენ ქვემოთ წარმოვადგენთ) სხვადასხვა ფერისა (თეთრი, წითელი, რუხი, ლურჯი, მრავალგვარ ფერთა შემცველი ჭრელი და სხვა.), და სხვადასხვა სახის (მიტკალი, ჩითი, ლანინი, აბრეშუქი და სხვა) ქსოვილებისაგან იკერება. შეკერვა ზოგჯერ მარტოოდენ ოთხკუთხონად ან სამკუთხონად გამოჭრასა და ნაპირების შემოკვეცვაში იხატება, ზოგჯერ კი შემკობა-მოქარგვაშიც სახიერდება. ლეჩაქის (ორივენაირი ლეჩაქის, ცალპირი იქნება ის თუ ორპირი, სულერთია) ბოლოს ნაპირებს აბრეშუმის ან კოქისძაფის¹ ფუნჯიც (ფაუსკაული) უკეთდება (საფუნჯეთ განკუთვნილი ძაფის ფერი ლეჩაქის ფერს უნდა შეესატყვისებოდეს) და ფერადი მძივებისაგან (ბრუნჯულ) შექმნილი სახეებითაც იმკობა (მხოლოდ „ფაუსკაულით“ ან მხოლოდ „ბრუნჯულით“ მოკაზმული ლეჩაქიც იკერება). მძივების („ბრუნჯულის“) გაკეთება ზედა ლეჩაქის (ცალპირი ზედა ლეჩაქის) იმ ნაპირზედაც შეიძლება, რომელიც დახურვის დროს წინ ექცევა და შუბლს ეფინება. ზემოთა ლეჩაქის თავზე გადაფარებული ნაწილი ნაირფეროვანი ძაფებითაც იქარგება, ამ უკანასკნელის მავიერობას ზოგჯერ საკერავე მანქანით გამოყვანილი სახეებიც ეწევა. ქვემოთა ლეჩაქის თავზე დაფენილ ნაწილს მოქარგვა-შემკობა არ სჭირდება, დახურვის დროს ის როგორც ზემოთაც დაეინახეთ, ზედა ლეჩაქის ქვეშ ექცევა და ფუნჯ-მძივებით რომ შეიმკოს კიდევ, მინც არ გამოჩნდება. მოსართავად გამოყენებული სამკაულის მიხედვით ლეჩაქს საკუთარი სახელიც კი უმკვიდრდება: მძივებიან ლეჩაქს — „ბრუნჯულ ლეჩქე“, ხოლო ფუნჯიან ლეჩაქს „ფაუსკაულ ლეჩქე“ ეწოდება. 3 ნახატზე წარმოდგენილი ორი აჟსტ ლეჩქე ბრუნჯულ-ფაუსკაულიანი ლეჩაქების ილუსტრაციას იძლევა. A ნიშნით აღნიშნული კვადრატული მოყვანილობის აჟსტ ლეჩქე (ზომით 96 × 96 სმ) მოწითალო აბრეშუმის ნაჭრისაგან არის შეკერილი (თავისვე ფერის ყვავილი აქვს დაყრილი) და ირგვლივ (ოთხივე მხრიდან) აგრეთვე მოწითალო ფერის აბრეშუმის ძაფისაგან მოქსოვილი ფაუსკაული აქვს შემოვლებული (იხ. ფუნჯი-ფაუსკაული a). ამგვარი მოყვანილობის ლეჩაქი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავზე დახურვის დროს უბეურად იკეცება და ოთხკუთხონად მოყვანილს სამკუთხონიანი ლეჩაქის გარეგნობა ენიჭება. B ნიშნის ქვეშ წარმოდგენილი ლეჩაქი სამკუთხი და მასასადამე ცალპირიც (ლეჩაქის მოგრძო მხარე 151 სმ-ს ეთანაბრება, ორი დანაირი გვერდი კი თანატოლი ზომისაა და თითოეული მათგანის სიგრძე 92 სმ-ს ეთანასწორება). სალეჩაქე მასალად მიტკალია გამოყენებული, შემამკობელის როლი კი ფუნჯებსა და მძივებს აქვს დაკისრებული. ფაუსკაული ორი მხრივ აქვს შემოყოლებული (იხ. ფუნჯი-ფაუსკაული b), წინა მხარის (შუბლისკენ მოსაქ-

¹ თეთრ-წითელი ყვავილებით დაჩითულ მოსახვევს (უმთავრესად წითლიანს და ალაგ-ალაგ კი თეთრ ნარევს), რომელსაც ურუმე ქალები, ბაღდადშალის მსჯავად, ლეჩაქის ზემოდაწილზე იხვევენ.

² აბრეშუმის ძაფის — „იფქაქის“ ფუნჯსაც თვითონ აკეთებენ ან კოქის ძაფის „იფიქთელის“ არზიასაც თვითონ ჰქსოვენ ყანაღით ანუ „ჩენგულით“, და აჟსტ ლეჩქის მავიერადაც იყენებენ, მხოლოდ მისთვის დამკვიდრებული „ანშამჯუნგის“ სახელით იხსენიებენ („ანშამჯუნგის“ საღამოს მზეს აღნიშნავს).

³ ორივე ლეჩაქი სოფ. გუნიაყალაშია ჩაბატული (A — თურშოვ ჩაბალსთან და B — ითოვ ოლაასთან). [ფერებში შესრულებული ნახატები დატულია ისტორიის ინსტ. ეთნოგრაფიული მუზეუმში].

ცევი მხარის) მთელ სიგრძეზე კი საკერავი მანქანით დაგვირისტებულნი სწორედ ხაზები და „გრლის“ არშიაა (იხ. c) გავლებული („გრლის“ მანქანის სახე ურუმთა ჩასაცემლის ორნამენტიკის თვალსაჩინო ელემენტია), ამავე წინა მხარის ნაპირის მთელ სიგრძეზე (გვირისტით გაკეთებული არშიიდან მცირედენ მანძილზე დაშორებით) ძრავალფეროვანი წვრილი მძივების — ბრუნჯულის (ბაიაზ — თეთრი, ყარა-შავი, გრქ-ცისფერი, ყრმბიზი-წითელი, სარი — ყვითელი) ქსოვილია შემოკერებული (იხ. d).

სავალდებულო არ არის, რომ ყველა ქალის ფუნჯიან-მძივებიანი ლეჩაქი სწორედ ამნაირად იყოს შეკერილი, ისევე, როგორც სავალდებულო არ არის, რომ ლეჩაქისათვის შექვევლად აბრეშუმი ან მიტკალი იქნეს გამოყენებული (ამ ფაქტის კეშმარიტება ახლახან აღწერილ ლეჩაქთა სხვადასხვაანობითაღ დასტურდება). ამ სახის ლეჩაქთა სხვადასხვაგვარი ვარიანტებით წარმოდგენის შესაძლებლობა (რაც უმთავრესად ფუნჯების სხვადასხვა სახით დაწვენასა და მძივების სხვადასხვანაირ განლაგებაში გამოვლინდება ხოლმე. ზოგჯერ, როგორც ეს ზემოთქმულიდანაც მოგვეხსენება, ფუნჯებიან ლეჩაქს მძივები არც კი უკეთდება ხოლმე და წინაუკმო), მაგრამ ჩვენ მიერ აღწერილი ლეჩაქები ბრუნჯულ-ფესუსკულიანი ლეჩაქის ტიპიურ განსახიერებად მაინც შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ყველაზედ მდიდრულად მოკაზმულ ლეჩაქად ჯრნგრლი ლეჩაქი-ჯრნგრლი ჩამბარი (ზოგიერთი მთხრობელის გამოთქმით ჯრნგლი ლეჩაქი) ითვლება. ჯრნგრლი ლეჩაქი („ჯინგრლი ლეჩაქ“ სიტყვა-სიტყვით უღარუნა ლეჩაქს უნდა აღნიშნავდეს) სხვადასხვაფერის ქსოვილის სახეებით აკრელებულს, ფერადი ძაფებით მოკარგულს, მძივის ფუნჯებითა და ნივარებით შემკულს, ლითონის ძეწკვებითა და მონეტებით გაწყობილ ლეჩაქს ეწოდება (თუმცა ყველა ჯინგრლი ლეჩაქის ამნაირი სისრულით შემკობა აუცილებლობად არ ითვლება). ამგვარი შემკულობა ლეჩაქის ბოლოს უკეთდება. ჯრნგრლი ლეჩაქად ალთ ლეჩაქთან ერთად აუსტ ლეჩაქიც გვევლინება (ლეჩაქი შექვევლად ცალბირი უნდა იყოს). ჯრნგრლი ალთ ლეჩაქის ბოლო ზურგზე გრძლად ეფინება და მის ზემოდან წამოიჭრული აუსტ ლეჩაქის შედარებით მოკლე ბოლოთი ვეღარ იფარება (ტაბ. VI, 1. — ურუმი ქალი ჯრნგრლი ალთ ლეჩაქით დაბურული). ნახატზე წარმოდგენილი, შემკულობით ერთმანეთისაგან განსხვავებული ლეჩაქები, ჯრნგრლი ლეჩაქის გავრცელებული ტიპის (ნაირსახეობებით) ნათელ ილუსტრაციას იძლევა, მაგრამ მისი გარეგნობის უფრო ცხადად წარმოდგენის მიზნით, რამდენიმე სიტყვის თქმა კიდევ დაგვიკრძდება. მეორე ნახატზე განსახიერებულია საკმაოდ დიდი ზომის ლეჩაქი (სიგრძით 125 სმ და სიგანით კი 198 სმ)¹, რომელიც მწვანე ფერის ჩითისაგან არის შეკერილი, მაგრამ მისი ბოლოს უდიდესი ნაწილი (40 სმ-ის სიგრძეზე), როგორც ამას ნახატიდანაც დავინახავთ, მუქი წითელი, მოწითალო, ყვითელი, ცისფერი და შავი ფერის ქსოვილის სახეებით არის დაფარული (ლეჩაქს ზემოდან მწვანე ჩითი ისეა დაკერებული, რომ ის სარჩულად არის ქცეული). ყვითელი ნაპრისაგან გამოჭრილი დაკბილული არშიის სახით ლეჩაქზე ურუმული ორნამენტის მთავარი — „ბარმახის“ (ანუ „ქერთიქის“) სახელწოდებით ცნობილი სახეობაა წარმოდგენილი, შავი ნაპრის წვრილი ზოლი „ყაითენად“ არის წოდებული და ცის-

¹ ნახატულია სოფ. ფიქილისაში, ალექსანდრა მიხაილოვასთან.



ფერი ნაჭრის წვრილ ზოლებზე კი თეთრი ძაფით ამოქარგული (ტყევილი) ზის სახით გაკლებული) „ქერვევია“ გაკეთებული. ლეჩაქის მოქარგული ბოლოს ნაპირების ირგვლივ (შავი ფერის წვრილი მძივებისა (ყარა ბოუნჯულ), ნივარებისაგან (კურთ ანუ ოროჩ) და ლინის მონეტებისაგან (ფენეს ანუ ფეთეს) შედგენილი მოკლენიანუბებია (5 სმ-ის სიგრძის) შემოყვლებული (ნივარებით შეუმკობელი, მაგრამ ფენესით დაბოლოებული ორი მძივი, როგორც ვხედავთ, ლეჩაქის შუა ნაწილზედაც არის მიმაგრებული). მეორე მიტკლისაგან შეკერილი ჯრნგრლი ლეჩექის¹. ბოლოზედაც ფერადი ნაჭრებია გადაკრული (შავი, ცისფერი და წითელი), ამ უკანასკნელზედაც „ბარშახის“ ანუ „ქერთიქის“ სახეა გამოყვანილი, ირგვლივ „ფეთებით“ (ბერძნულად მოლაპარაკე სოფლებში, თურქული ენის მქონე — ურუმების მიერ „ფენესად“ წოდებულ ლითონის მონეტას „ფეთასს“ ეძახიან) ასხმული თეთრი ლითონის წვრილი ჯაჭვი აქვს შემოვლებული, მაგრამ პირველი ლეჩაქისაგან განსხვავებით ეს უკანასკნელი ნივარებითა და მძივებით არ არის შემკული.

ლეჩაქთა აღწერა-დახასიათების დასასრულს, საჭიროდ მიგვაჩნია თავსაბურავის ამ ელემენტთან დაკავშირებული ერთი ვარემოების შესახებაც აღვნიშნოთ: ჯრნგრლი ლეჩექის როლში ძალიან ხშირად ქვედა ლეჩაქი გვევლინება, მაგრამ ხანდახან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მას (ჯინგრლი ლეჩექს) ზედა ლეჩაქის ფუნქციის შესრულებაც ეკისრება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველად აუსტ ლეჩექი ჯრნგრლი ლეჩექის ყაიდაზე არ იკერებოდა, ის მხოლოდ ფაუსკაულ-ბონჯულებით იმკობოდა და ჯინგრლი ლეჩექი კი ალთ ლეჩექის მაგიერობას ეწეოდა.

თავსაბურავის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად მიჩნეული — თავსაკრავის მოვალეობის შემსრულებელი „ჩათხი“, რომელსაც ქალი კოდიკის ან დინგეს დადგმის შემდეგ ირტყამს შუბლის დასაფარავად და დასამშვენებლად (დაბლოსანი ქალი კი დაბლაზეც აწყობს და დაბლას თავზე დადგმის დროს ჩათხ-გადაკრულ ნაწილს შუბლის მხარეს იქცევს) ვერ იფარება (ჩათხის სიგრძე 44 სმ-ს უდრის, სიგანე კი 4 სმ-ს ეთანასწორება)². იგი შავი მძივების რიგითა და ოქრო-ვერცხლის მონეტების ორი მწყრივით არის შემკული (თითოეულ მწყრივში 17 მონეტა). ამავე ნახატზე წარმოდგენილი ნიშნით აღნიშნული, აგრეთვე შავი ნაჭრის (ჩათხიცა და ეს უკანასკნელიც „შავი სატინისაგან არის შეკერილი) ვიწრო თავსაკრავი (1,5 სმ-ის სიგანის), ბოლოებში ჩათხის ზონრებ-მობმული და ლითონის სახოვანი ფირფიტებით გაწყობილი (რომელსაც ურუმთა უმრავლეს სოფლებში ყრ აჭჩა ხ-ყრ აჯჩა ლ'სისა თუ ყრ აჯჩა ს-სახელით იხსენიებენ, ზოგან მას კოსტიკ — მკოსტიკ-ის სახელწოდებითაც აღვნიშნავენ და სოფ. ხანდოში კი (და ეგებ სხვაგანაც) ინჯის უწოდებენ) დაბლას ზემოთა ნაწილის ირგვლივ — ჩათხის ზემოთ ირტყმება (არც დაბლასა და მით უმეტეს არც დინგე-კოდკს „ყრ აჭჩახი“ ზედვე არ ჰკერდება;

¹ ჩაბატულია სოფ. გუმბეთში, ოლა აღქსანდროვასთან, ტაბ. VII.

² ჩაბატულია სოფ. გუნიყალაში, ჩაბალა თურშოვთან (ამავე სოფელში მცხოვრები მოხუცი ქალის — თეოდორია პოლიტოვის სამკაულით გაუწობელი ჩათხი — სიგრძით 38 სმ და სიგანით 11 სმ — ბოლოებში ორ-ორ „ბალ“ მიკრებული, სარჩულგამოკრული მუქი წითელი და შავი ფერის სატინისაგან იყო შეკერილი; შუაში ოთხკუთხოვნად შავი სატინა იყო მოკვეთული და ნაპირებზე — ირგვლივ კი წითელი სატინა ჰქონდა შემოკრებული. ეს ჩათხი კოლოდზე შემოსარტყმულად იყო განკუთვნილი.



ყრაჭახი „ქალმა დაბლას ან დინგე-კოდის დადგმის შემდეგ უნდა შევიდეს ირტყას) და ზოგჯერ „ჩათხის სახელწოდების ქვეშ „ყრაჭახლიც“ იგულისხმება. ყველა ქალის ჩათხის სამკაულის გაწყობა ყოველმხრივ ერთნაირ თანმიმდევრობას არ ემორჩილება, ჩათხის სამკაულის განლაგება მრავალგვარი ვარიაციებით ხდება. მძივების ერთი რიგის ნაცვლად ორი-სამი რიგის გაკეთებაც შეიძლება (სხვადასხვა ზოლში) და მონეტების ორი მწკრივის ნაცვლად ჩათხი სამ რიგად გაწყობილი მონეტებითაც მშვენდება. თუ ქალს სურვილი და შესაძლებლობა აქვს, ჩათხის შიდა ნაწილი მთელ სიგრძეზე შეიკობა (სწორედ ამგვარად არის შემკობილი სურათზე წარმოდგენილი ჩათხი), მაგრამ მისი გამშვენიერება მოკლედ შემოფარგულ ფართობზედაც შეიძლება — მძივების მოკლე-მოკლე რიგებითა და ნიორიციხოვანი მონეტებისაგან შემდგარი მწკრივებით (18—20 მონეტისაგან შედგენილი მწკრივებით გაწყობილი ჩათხთან ერთად, 6—8—10 მონეტისაგან შექმნილი რიგებით გალაშქრებული ჩათხიც ხშირად შეგვხვდება)¹ გამშვენიერებული ჩათხი იშვიათ გამოჩაყლისად არ ითვლება (ყრაჭახის მორთული ნაწილის სიგრძე ჩათხის შემკული ნაწილის სიგრძეს უნდა შეესატყვისებოდეს). მძივების, მონეტების და ყრაჭახზე გაკეთებული ფირფიტების ნაირსახოვანებაც მოწმდება: ჩათხზე თითქმის ყველანაირი ფერის მძივის (უკეთ ვთქვათ, მძივის ქსოვილის) მიკერება შეიძლება. ჩათხზე გაკეთებული მძივების ფერი მისი მატარებელი ქალის გემოვნებით ისაზღვრება (თუმც შავი და თეთრმძივებიანი ჩათხი უფრო ხშირად გვხვდება). ჩათხზე, ოქროსა, ვერცხლისა და სპილენძის (ან ვერცხლის მსგავსი თეთრი ლითონის) მონეტები კეთდება, მაგრამ მხოლოდ ვერცხლის და ოქროს, ოქროს და სპილენძის ან მხოლოდ ვერცხლისა და სპილენძისაგან დამზადებული მონეტების გაკეთების შესაძლებლობაც არ გამოირიცხება. ყრაჭახზედაც ყოველთვის ერთსახოვანი (ერთნაირი გარეგნობის მქონე) ფირფიტები არ ჰკერდება, ეს ფირფიტებიც სხვადასხვა სახის ლითონისაგან (ოქროსა, ვერცხლის ან სპილენძისაგან) მზადდება და მართლაც სხვადასხვა ქალის ყრაჭახზე სხვადასხვანაირი ლითონისაგან გაკეთებული ფირფიტების დამოწმება შეიძლება. მძივი (ბრუნჯული), ჩათხის პირზე მოსაკერებლად იქნება ის განკუთვნილი თუ მის შუა ადგილზე გასამწკრივებლად ნაგარაუდღევი, ძაფზე ისხმება, ბადესაფით იქსოვება (ტაბ. VIII) და ჩათხზე ისე ჰკერდება. ყოველი მონეტა მოყვანილობით მრგვალია² და ერთნაჩვრეტანი; ნაჩვრეტებში გაყრილი ძაფის საშუალებით მონეტები ერთმანეთს ებმება (გადაბმის დროს, ყოველი მონეტის თითქმის მესამედი ნაწილი მომდევნო მონეტათი იფარება) (ტაბ. VII) და ჩათხზედაც ამ სახით მაგრდება (ჩათხზე მიკერებაც ძაფის მეოხებით ხდება). მონეტების (და მძივებისაც აგრეთვე) მწკრივები ერთმანეთს ისე უნდა დაუახლოვდეს, რომ მათ შორის ჩათხის ქსოვილის ვიწრო ზოლიც კი არ გამოჩნდეს; ყრაჭახიც იმგვარად უნდა იქნეს შემორტყმული, რომ ის ჩათხის შემადგენელი ნაწილის შთაბეჭდილებას სტოვებდეს. ჩათხზე გაკეთებულ ყველანაირ მძივს (განურჩევლად ფერისა და ადგილმდებარეობისა) ბრუნჯული ეწოდება (ხანდახან ფერის აღმნიშვნელი სი-

¹ აუცილებელი არ არის, რომ მწკრივებში წარმოდგენილ მონეტათა რიცხვი ერთმანეთს ეთანაბრებოდეს.

² ჩანალა თურშოვის (სოფ. გუნიაყალას მცხოვრები) ჩათხზე გაკეთებული მონეტას დიამეტრი 2 სმ-ს ეთანასწორებოდა და სხვა ქალების ჩათხებზედაც დაახლოებით ამგვარივე ზომის მონეტები გვხვდებოდა.




ტყეც დამატება ხოლმე, მაგრამ ამას ამ შემთხვევაში ტერმინის მნიშვნელობა არ ენიჭება) და მონეტების რიგებისათვის კი სახელწოდება ლითონის სახეობის მიხედვით განიკუთვნება — ოქროს მონეტების მწკრივი ალთუნისა და ყიზილის (ბერძ. „ლირას“), ვერცხლის მონეტების მწკრივი გუმუშისა (ბერძ. „ასიმ“) და სპილენძის მონეტების მწკრივი კი ფენეს (ბერძ. „ფენტას“) სახელით აღინიშნება (თუმცა ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის მონეტები ყოველთვის სხვადასხვა რიგში არ ექცევა: ზოგიერთი მანდილოსანი ოქროს მონეტებს შუა ადგილას აქცევს და ვერცხლის ან სპილენძის მონეტებს კი ნაპირებში — აქეთ-იქით აკერებს; ზოგი კი, როგორც უკვე ვთქვით, მათ განლაგებას ერთმანეთისაგან გამოცალკევებული რიგების მიხედვით ახდენს). ამ ძირითად სახელწოდებებთან ერთად, თითოეული მათგანი, ზოგჯერ, „ფარასა“ და „ფულის“ სახელებითაც იხსენიება.

ჩვენ მიერ უკვე ხსენებული და ნაწილობრივ დახასიათებული ყრაჯჩაღხი მართალია სხვადასხვანაირი მოყვანილობის ფირფიტებით იმკობა (იხ. სურ-ზე წარმოდგენილი, ყრაჯჩაღხე გასაკეთებელ ფირფიტათა სახეები), მაგრამ ერთსა და იმავე ყრაჯჩაღხე სხვადასხვა სახის ფირფიტების გაკეთება არ შეიძლება; ყრაჯჩაღხე ყოველთვის ერთსახოვანი ფირფიტებისაგან შედგენილი მწკრივი კეთდება (ყრაჯჩაღხი ვიწროა და მასზე ერთი მწკრივის მეტი ვერ თავსდება) და ზოგჯერ ფირფიტების შუალაშუა (ან თავზე) ლითონის პაწია ბურცულეები ჰკვრდება ფირფიტებისა და ბურცულეების მიკერებაც ძაფის საშუალებით ხდება — ყრაჯჩაღხე მიმაგრების დროს, ძაფი ზოგჯერ ფირფიტის ნაწერტებში ეყრება და ზოგჯერ კი ფირფიტის შევიწროებული წელის ირგვლივ ეხვევა თითქმის ყველა ყრაჯჩაღხის თავსა და ბოლოს (უკეთ რომ ვთქვათ, ბოლოებზე) გარკვეული სახის სამკაული უკეთდება (დიდი ზომის ლითონის მრგვალ მონეტა ფირფიტაზე მცირე ფირფიტებით დაბოლოებული სამი მოკლე ჯაჭვია ჩამოკიდებული — ტაბ. VII) და დაბლაზე შემორტყმის დროს ამ სამკაულის ჯაჭვები საფეთქლებს ეფინება.

ვამთავრებთ-რა ჩათხის აღწერილობას, რამოდენიმე სიტყვას ტერმინ „კოსტიკის“ შესახებაც ვიტყვი და ჩათხის დახასიათებასთან დაკავშირებულ მსჯელობასაც ამით დავასრულებთ. სოფ გუმუშეთში (და საფიქრებელია რომ ბერძნულად მოლაპარაკე ურუმებით დასახლებულ სხვა სოფლებშიც) „კოსტიკს“ (ამ სიტყვას სხვადასხვაგვარად გამოთქვამენ: გოსტიქ, გოსტიღ, გოსტიგ, გოსტიკ, კოსტიკ, კოსტიქ, კოსტიგ, კოსტიქ) სახელწოდებაში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩათხს გულისხმობენ და ურუმთა ზოგიერთი სოფლის მკვიდრი კი მას ყრაჯჩაღხთანაირი მიივების არშეისთან აიგივებენ; ზოგიერთი ამ სიტყვის ამნაირ გაგებას სავსებით უარყოფენ და ჩათხზე წარმოდგენილი სამკაულის ყველა მწკრივს „კოსტიკს“ უწოდებენ (ბოლნჯულ კოსტიკი, ალთუნ კოსტიკი, გუმუშ კოსტიკი და სხვა).

თავსაბურავის მნიშვნელოვანი სამსახოვანი ელემენტი, ერთი და იგივე ფუნქციის შემსრულებელი და ერთიანობის მაგიერობის გამწვევი დაბლა და დინგე-კოდკი (ანუ დინგე-კოლოდი) მოყვანილობით ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება და მათი, გარეგნობის ნათლად წარმოდგენის მიზნით, თითოეული მათგანის დახასიათება დაგვირდება.



დაბლას (იხ. სურ-ზე წარმოდგენილი ჩათხვადაკრული დაბლა) თავრესი ნაწილი ქერქაელი ხის ლეროდან (უმთავრესად ფიჭვის ხის) აყრილი ტყეცისაგან მზადდება; განსაზღვრული სიგრძისა და სივანის ტყეცრკალივით მიმრგვალდება (დაბლას რკალს ზოგი „კაჯუკის“ უწოდებს და ზოგი კი „ყასნალს“ ეძახის), მისი ბოლოები ურთიერთზე გადაიკვრება და მთელ რკალზე რომელიმე ფერის (ყველაზე სასურველ ფერად, ამ შემთხვევაში, შავი ფერია მიჩნეული) ნაჭერი გადაეკვრება; რკალის ერთ მხარეზედაც და „თეფელიხად“ ნავარაუდევ მხარეზედაც ქსოვილი ან ქსოვილ გადაკრული ხის თხელი ფირფიტა დაეკვრება და „დაბლას“ კეთების პროცესიც ამით დასრულდება. ნაქერგადაუკვრელი დაბლა სრულიად არ გამოდგება (და ამიტომ ამგვარად ის არც კეთდება), ანაირ დაბლაზე ვერც ჩათხი მიკვრდება და ვერც ლეჩაქი მიმაგრდება. ორივე მხრივ თითქმის ერთნაირი დიამეტრის მქონე დაბლას (ჩვენ მიერ გაზომილი — დაბლას სიმაღლე 3,5 სმ-ია, ცის დიამეტრი — 14,5 სმ-ს უდრის და ქვემოთა თავზე და სადგმელი მხარის დიამეტრი კი 13,5 სმ-ს ეთანასწორება. დიამეტრთა სხვადასხვაობა ცაზე ვადაფარებული ფიცრის ოდნევე კარბი სიფართოვით არის გამოწვეული, დაბლას ზემო და ქვემო მხარის დიამეტრის ზომათა მცირეოდენი მეტნაკლებობაც აუცილებლობად არ არის მიჩნეული. აქეთ-იქით (დაბლითა მხარის ორ მობიარდაპირე ადგილას) ორი — „ხალთად“ წოდებული ზონარი ჰკერდება; ან ხალთების დახმარებით, როგორც ზემოთქმულიდანაც ვიცით, დაბლა თავზე წესიერად მაგრდება.

კოლოდი და დინგე ხისაგან იჭრება, მაგრამ კოლოდი ხანდახან ნაჭრისაგანაც კეთდება. ხის კოლოდსა და დინგეს სოფ. ხარაბაში მცხოვრები მამაკაცები ამზადებენ¹ (დიდი ზომის საჭრელი იარაღით მრგვლად გაკობიტებული კოლოდ-დინგეს ამოსაღრუტნად ნამგლისებურად თავმოყრილ ფოლადის დანას — „ეგდის“ იყენებენ) ნაჭრის კოლოდს კი თვითონ ქალები აკეთებენ. ხის ყალიბს — „აჯანს“ ირგვლივ კვერცხის გულისა და ხორბლის ფქვილის შენაერთში გაგლესილ მოგრძო ნაჭერ-მჭვარს, „ფარჩა“ — „ჩაფუტს“ რამდენიმე პირად შემოაკრავენ და სასურველ მოყვანილობამდე მიყვანის შემდეგ, ზემოდანაც რაიმე ფერის (მათ გემოვნებასთან შესატყვისებული ფერის) „ჩითს“ გადააკრავენ. გაზრობის შემდგომ „აჯანი“ მოსცილდება და სახედასრულებული კოლოდი დარჩება.

კოდრკი (იხ. ხის კოდკი — კოდკის საერთო შესახედაობა გვერდიდან, — კოდკის გვერდის მოყვანილობა, კოდრკი ზემოთა მხრიდან, — კოდრკი ქვემოთა მხრიდან²) დაბლაზე გაცილებით მაღალია და მოყვანილობითაც სხვაგვარია. კოდკიც მრგვალია, მაგრამ ზემოთ ფართოდა და ქვემოთკენ კი თანდათან საფეხურებით შევიწროებული (შევიწროების თანდათანობა ყოველი მხრიდან თანაბარი ზომის დაცვით არის წარმოებული). ქვემოთა მხრიდან

¹ ნაშრომში წარმოდგენილი დაბლა, ჩათხი და ყრავახი, როგორც ზემოთაც მიუთითეთ, სოფ. გონიყალაში მცხოვრებ ჩაბალა თურშოვთან იქნა ჩაბატული და შესაძარებლად წარმოდგენილი. ყრავახის ფირფიტების სხვადასხვა სახეები კი — სხვა სოფლის ქალების ყრავახიდან იქნა გადმოღებული.

² კოლოდ-დინგეს მკეთებლობის მხოლოდ სოფ. ხარაბათი შემოფარგლას, წალკელებიც კის მხოლოდ სოფ. ხარაბაში არეობობთ მსნიან.

³ აქ წარმოდგენილი კოდკი ორი ერთმანეთზე გადაკრებული ნაწილისაგან შედგება, მაგრამ ეს გამონაკლისი შემთხვევით გარემოებას მიეწერება.



ქართული
ლიტერატურა

(რომელი მზრიდანაც ის თავზე იდგმება) გული აქვს ამოღებული და აღი-
ღრუტული გულის ირგვლივ დარჩენილი ნაპირები რკალივით აქვს შემოვლენ-
ბული. თავზე დადგმის დროს კოლოდის რკალი თავს დაეზღინება და ირგვ-
ლივ მრგვალად გაწეული ნაპირებიანი თავი კი ზემოთ მოექცევა (კოდრკის
სიმაღლე — 3 სმ, ზემოთა მხარის დიამეტრი — 14 სმ, ქვემოთა მხარის — რკა-
ლის დიამეტრი 11,5 სმ).

დინგე (იხ. დინგეს საერთო შესახედაობა გვერდიდან, დინგე ზემო-
თა მზრიდან და დინგე ქვემოთა მზრიდან¹) მრგვალია და მოგრძო; კოდრკი-
ვით გულამოღებულია, მაგრამ რკალდაბალია. თავის ნაპირების აქეთ-იქით
გაწევა რკალის ძირიდანვე იწყება, მაგრამ გაწევის თანდათანობა არათანაბ-
რი ზომით ვითარდება: უკან მცირედად არის გაწეული, გვერდებში უფრო
მეტად და წინ კი შესამჩნევად არის გამოშვებული (ცხვირით არის წამო-
წეული). დინგეს დადგმის დროს მისი წამოხრილი ნაწილი წინ ექცევა და
შუბლს საჩეხივით ეხურება (დინგეს თავის ზემოთა მხარის სიგრძე 18,2 სმ-ია,
სიგანე — 15 სმ, რკალის სიმაღლე 1 სმ, უკან გაწეული ქიმის სიგრძე —
1,2 სმ, წინწამოწეული თავის სიგრძე — 4 სმ).

დინგე-კოლოდისა და დაბლას მიხედვით დაბურული თავის საერთო შე-
სახედაობა აშკარად იცვლება; ქალს დაბლა ექნება დადგნული თუ დინგე-
კოდრკი, ერთი შეხედვითვე შეიტყობა.

ზემოთქმულიდან ვიცით, რომ დინგეს გამოყენების ფაქტი ოვას ჯგუ-
ფის ურუმებში მოწმდება — და საყოველთაოდ გავრცელებული დაბლა და
კოდრკი კი თითქმის ყველა სოფელში იხმარება (მათ შორის ოველებით და-
სახლებულ სოფლებშიც). ზემოთ აღნიშნულიდან ისიც ვიცით, რომ ძველად
ახალგაზრდების მიერაც ფართოდ ხმარებულ დინგე-კოდრკის დღეს მხოლოდ
ღრმად მოხუცი და ხანში შესული ატარებენ, დაბლას კი უფრო ახალგაზრ-
და და შუახნის ქალები იხურავენ. აშკარად ეტყობა, რომ დინგე-კოდრკი ხმა-
რებიდან თანდათან იდევნება და დაბლა კი სულ უფრო და უფრო მეტად
ბატონდება, ის ნელ-ნელა მოხუცი ქალის თავსაბურავის კომპლექსშიც იჭრე-
ბა (ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამჟამად „დაბლას“ იდგამს, სიბერის ხანში
რა თქმა უნდა მას არ გადააგდებს და დინგე-კოდრკით არ შეცვლის).

ურუმი მოხრობლების ვადმოცემიდან ირკვევა, რომ დაბლას ტარების
ჩვეულება მათ ძველი სამშობლოდან მოუყოლებიათ. პირველ ხანებში ის სუს-
ტად ყოფილა გავრცელებული, დაბლას სახით წარმოდგენილი ახალი ელემ-
ენტით თავსაბურავისა მხოლოდ ერთეულებს უხმარიათ და ახალგაზრდებსაც
უპირატესად ისევ დინგე ან კოდრკი უტარებიათ. დროთა ვითარებაში
დაბლა ახალგაზრდა ქალის თავსაბურავის ძირითად ელემენტად ქცეულა
მოხუცის თავსაბურავის მთავარ ელემენტად კი კვლავ კოდრკი (ან დინგე)
დარჩენილა (60—80 წლის მოხუცი ქალების ვადმოცემით, მათი ახალგაზრდო-
ბის დროს დაბლა მხოლოდ ახალგაზრდა ქალის თავსაბურავის ელემენტს
შეადგენდა, მოხუცობის ეამს „დაბლა“ თურმე ისევ „კოდრკით“ ან „დინგე-
თი“ იცვლებოდა). ამჟამად კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დაბლა მოხუ-
ცი ქალის თავსაბურავის შემადგენლობაშიც იჭრება, კოდრკი და დინგე
კი თანდათან იდევნება.

¹ ჩაბატულია სოფ. გუნიაყალაში, თეოდორა პოლიტოვთან.

² ჩაბატულია სოფ. ჭილიანქში, სიმელა ქესოვთან (სოფ. ჯინისიდან გამოთხოვილ მან-
დილოსანთან).

ამგვარი წარმატებით გავრცელებული „დაბლა“ ანუ „გავერჯილა“ (რომელსაც, როგორც ვიცით, ზოგიერთ სოფელში „კოკოშასაც“ ეძახიან) ურუმში მთხრობლების უმრავლესობის აღიარებით, მათ პირვანდელ სამშობლოში ცხოვრების დროს მეზობელი ქართველებისაგან — სახელდობრ ქანებისაგან შეუთვისებიათ და ამ ელემენტის აღმნიშვნელი ტერმინიც („დაბლა“) მათგან გადმოუღლიათ. მთხრობლების ზეპირი გადმოცემის ქეშმარიტებას სხვა გზითაც ვადასტურებთ, აკად. ნ. მარის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკაში“ „თაბლა“ ქანი ქალის თავსაბურავის მნიშვნელობით იხსენიება („დაბლა V, X женский головной убор: низкий фес, убранный кругом золотыми монетами“)¹. დაბლას მეორე სახელწოდებაც — „გავერჯილა“ ამ მხრივ საგულისხმო სიტყვად მიგვაჩნია და ქართველი ქალის თავსაბურავის ერთ-ერთი ელემენტის — „გაურჯილას“ (ანუ კოპის) სახელწოდებასთან დაკავშირებულ ტერმინად წარმოგვიდგენია.

ქალწული ქალის თავსაბურავი შემადგენელ ელემენტთა სიმცირით ხასიათდება და ვათხოვილი ქალის თავსაბურავისაგან არსებითად განსხვავდება. ახლანდელი ქალწული თავს მარტოოდენ თავშლით („ჩითით“, „შალით“ და სხვ.) იბურავს უწინ კი ქვის და „თეფლობ“ — თეფერქსაც იბურავდა (რა თქმა უნდა არა ერთდროულად). „ქესი“², როგორც გადმოგვცემენ, მთლად ქუდის მოყვანილობის თავსახურს წარმოადგენდა, უმთავრესად წითელი ფერის მაუღისაგან იკერებოდა და ძალიან ხშირად ოქრო-ვერცხლის სხვადასხვა სახის და ფერის მძივებითაც იმკობოდა. „თეფერხი“ კი თურმე ლითონის თხელი ფირფიტებისაგან გაკეთებულს მრგვალსა და ცაგადვაკებულ (მთხრობლების თქმით დაბლაგავერჯილას მოყვანილობის) ქუდს წარმოადგენდა, ზემოთა მხრიდან მას ნაქერი უნდა ჰქონოდა ვადაკრული და ქვის მსგავსად ეს უკანასკნელიც ოქრო-ვერცხლის მონეტებით (ფარათი) უნდა ყოფილიყო დამშვენებული („თეფერხის“ ცაზე მონეტებით წრეებს გააკეთებენ, ჯვრის — „ხაჩის“ სახეს გამოიყვანდნენ ან სხვაგვარ სახეობებს გამოსახავდნენ“³).

ოციოდე წლის წინათ გასათხოვარი და დანიშნული ქალების წრეში ფართოდ გამოყენებული „თეფლობ“ „ქესი“ მოხმარების სფეროდან სავსებით განდევნილა, ჩვენს დრომდე სკივრებში ჩაკეტილა და მხოლოდ თითო-ოროლა ეგზემპლარის სახით შემონახულა.

ურუმში ქალის სამკაულიც ცხადად შესამჩნევი მრავალსახოვანებით ხასიათდება და ქალის ჩაცმულობის სრული სურათის წარმოდგენის მიზნით, ამ უკანასკნელის განხილვაც მოგვიხდება. ურუმში მანდილოსანი უმთავრესად ვერცხლეულის სამკაულით იმკობა, მაგრამ ზოგჯერ მის ოქრო-სპილენძისაგან დამზადებული და მძივებ-ლილებსაგან გაკეთებული სამკაულის ტარებაც უხდება. ქალს სამკაული უმთავრესად სადღესასწაულოდ გამოწყობის დროს ესაჭიროება, მაგრამ ძალიან ხშირად ის საშინაოდაც იხმარება; ზოგიერთი მათგანის საშინაოდ ტარება აუცილებლობადაც კი ითვლება. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ერთი რამ მაინც უდავოა — სახელდობრ ის, რომ ოქრო-ვერცხლის მონეტებითა და მძივებით შემკული ჩათხი (რომელიც პრაქტიკულ დანიშნულებასაც ასრულებს და სამკაულის ერთ-ერთ სახეობასაც წარმოად-

¹ Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Петербург, 1910.

² ზოგიერთი მთხრობელი „ქესა“ და „თეფერხს“ აიგივებს და ორივეს ერთნაირად აღწერს.




გენს) ქალის თავს არასოდეს (არც შინა და არც გარეთ) არ სცილდებოდა. შკულობის გარკვეული ნაწილი ჩაცმისა და დახურვის შემდეგ კარდებში ჩაქსოვილი გვირთი მათვანი კი ჩასაცემლ-დასახურის განუყრელ ნაწილად გვევლინება. სამკაულთა შორის ყველაზედ აუცილებელი „ჩათხი“, ურომლისოდაც თავის დაბურვა არ შეიძლება, ამგვამად ხელშეორედ აღარ აღიწერება და ჩვენი მსჯელობა სამკაულის სხვა სახეთა დახასიათებაზე შეჩერდება.

ლითონის (უმთავრესად ვერცხლის) იმ სამკაულს, რომელსაც ქალი შუბლის აქეთ-იქით საფეთქლებთან იკეთებს და რომლითაც ის ლეჩაქსაც იმაგრებს (რა თქმა უნდა ზედა ლეჩაქს) და სახესაც იმშვეინებს, „ჩენ გელი“ ეწოდება (გუშმბეთელი ურუმები კი მას „კაგარდს“ ეძახიან). „ჩენგელის“ გაცეთება შუბლის შუა ადგილას — ლეჩაქის ყურეებს გადაკეანის ადგილასაც შეიძლება (ქალი, რომელიც ლეჩაქის ბოლოებს უკან-კეთათანვე იკრავს და შუბლიასკენ არ იბრუნებს, ამგვარი ჩენგელის გამოყენებას რა თქმა უნდა არ საჭიროებს), ამ შემთხვევაში ჩენგელის საშუალებით ლეჩაქის ყურებიც ებმება და თავსაბურავიც ლამაზდება. „ჩენგელის“ სახელწოდებაში შემდეგნაირი სახის სამკაული იგულისხმება: ლითონის პატარა რგოლზე რამდენიმე (უმრავლეს შემთხვევაში სამი ან ხუთი) მოკლე და წვრილი ჯაჭვია ჩამოკიდებული და თითოეული ჯაჭვის ბოლოშიც პატარა მონეტაა მობმული. რგოლის მაგიერობას ზოგჯერ დიდი ზომის მონეტაც ეწევა და შუბლზედაც უმთავრესად სწორედ მონეტის სახით წარმოდგენილი უძველესი „ჩენგელი“ კეთდება (თუმცა ძველკებიანი ჩენგელის ამ მიზნით გამოყენების შესაძლებლობაც არ იასობა)¹. აგრეთვე თავპირის დასამშვეინებლად ხმარებული — „თოფთის“ სახელწოდებით ცნობილი ვერცხლის სამკაული (ტაბ. VIII) პატარა ზომის მონეტებით შემკულ ძველკვს წარმოადგენს². ძველკვის შუა ნაწილი (უდიდესი ნაწილი) მთლად სადაც შეიძლება იყოს და ალაგ-ალაგ მონეტებჩამოკიდებულიც, ბოლოები კი უქველად მდიდრულად უნდა ჰქონდეს შემკული. ძველკვის ბოლოები სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს შემკული (მონეტებითა) და სხვა სახის ფირფიტებით დაბოლოებული მოკლე-მოკლე ძველკვებით შეიძლება მოებას (თავისავე სიგრძის მონეტებიანი ძველკვიც შეიძლება გაუკეთდეს და სხვ.), მაგრამ თავსა და ბოლოს კი უსათუოდ კაუჭები უნდა ჰქონდეს გაცეთებული. თოფთის შემკული ბოლოები კაუჭების საშუალებით შუბლის აქეთ-იქით ჩათხის ნაპირებთან ჩამოებმება და ძველკვისა და შემკული ნაწილის გადაბმის ადგილს გაცეთებული კაუჭები კი ყბების ძირში აკრულ ლეჩაქს გამოედება. თოფთის ამგვარი წესით მიბმის შედეგად მისი შემკული ბოლოები ყბებზე ჩამოიკიდება, ძველკვის უგრძელესი ნაწილი კი გულზე ჩამოიფინება (ტაბ, IX). გულზე ჩამოფენილი ძველკვის ბოლოც ნიკაათან ახვეულ ლეჩაქზე მიმაგრდება და თოფთის გაცეთების პროცესიც ამით ამოიწურება.

რამოდენიმე წლის წინათ ააშმახზედ გასაკეთებლად განკუთვნილი „შუბ-გუშმუშად“ ანუ „ხავეკად“ წოდებული სამკაულიც არსებულა („შუბგუშმუშ“

¹ ზემოთ აღწერილ „ყრაჭანის“ ნაპირებზე (ბოლოებზე) მიკრებული ძველკვიანი მონეტები ერთი ერთ მხარეს გაცეთებული და მეორე კი მეორე მხარეს არა დანიშნულების მიხედვით გამოყენებულ ჩენგელს წარმოადგენენ.

² ნახატზე წარმოდგენილი „თოფთის“ ნახატულია სოფ. გუშმბეთში, ვარვარა დანიშნულთან. თოფთი ნატურალური ზომით არის განსაზღვრებული, მაგრამ მისი მეორე ბოლო (მოყვანილობით უკუგუშმბეთში) აქ წარმოდგენილი ბოლოს მსგავსი) არ არის გადმოცემული. ძველკვის სიგრძე 110 სმ-ია მონეტებიანი ძველკვებით შემკული ბოლოს სიგრძე 18 სმ-ია (მეორე ბოლოს ზომისავე აგრეთვე 18 სმ უნდა ვივარაუდოთ), პატარა ძველკვის სიგრძე—10 სმ.



სიტყვა-სიტყვით პირისახის ვერცხლს ნიშნავს: „უზ“-სახე და „გუმბუშ“-ვერცხლი¹. მაგრამ ახალგაზრდა (და აგრეთვე შუახნის) ქალთა მიერ (რომელთაც სამკაულის ტარება შეეშენით) ააშმახის უკუვადებასთან ერთად, ამ სახის სამკაული ტარების ჩვეულებაც, როგორც ჩანს, თითქმის მთლად გამქრალა. „უზგუმბუშ“-ი, როგორც ნიხრობელთა გადმოცემებითგან ირკვევა, მონეტებით („ფართით“) შემკული ვერცხლის ჯაჭვი ყოფილა (თვით მონეტებზე რა თქმა უნდა ვერცხლისა იქნებოდა); ძეწკვის შუა ადგილას გაკეთებული კაუჭი იაშმახზე მიმაგრდებოდა თურმე. ძეწკვის ბოლოებში მიბმული კაუჭები („ჩერპესები“ თუ „ჩერპესტები“) ჩათხზე გამოედებოდა (შუბლის აქეთ-იქით) და ამგვარად, უზგუმბუშით ქალის ყბები და ნიკაპი დამშვენდებოდა. თავზე გასაკეთებელი უკეთ ვითქვით თმაზე. ჩამოსაკიდი სამკაულის ერთი სახე, რომელსაც ურუმში ქალი უწინაც ატარებდა და ახლაც ხშირობს, „საჩბალის“ სახელით არის ცნობილი (თვით სახელწოდებაც გვიჩვენებს, რომ საჩბალი სწორედ თმის სამკაულია: „საჩ“ თმა არის და „ბალი“ კი სარტყელს-ზონარს აღნიშნავს; „საჩბალი“ მასშადადამე თმის ზონარია). საჩბალი შავი ფერის აბრეშუმის ძაფისაგან კეთდება. ის აბრეშუმის ძაფისაგან გაკეთებული ფუნჯების (საშუალოდ ოცდაათი ფუნჯისაგან მაინც უნდა შედგებოდეს) შეერთებას წარმოადგენს, თითოეული ფუნჯი გრძლად დაწნული ზონრით ბოლოედება (თვითონ ფუნჯი დაწნული ზონრის გაშლილ ბოლოს წარმოადგენს), თითოეული ფუნჯის თავზე ვერცხლის მოგრძო ბურთულია ჩამოცმული — ყოველი ფუნჯის ბოლო (რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ გრძელ ზონარს წარმოადგენს) ბურთულშია გაყრილი, ფუნჯების ბოლოთა წვერები ერთად არის შეერთებული და თმაზე სწორედ ამ შეკონილი ბოლოთი არის მიმაგრებული. თავზე გაკეთების დროს საჩბალის ზონრები ზურგზე ჩამოეშვება და ფუნჯები კი (რომელიც ზონრების გავრძელებას წარმოადგენენ) წელზედ დაიფრება (ტაბ. III, 1 საჩბალიანი ქალი). საჩბალს სოფლია ოსტატი ქალები აკეთებენ, მაგრამ საჩბალის გასაკეთებლად საჭირო ნასალას — აბრეშუმის ძაფთა და ლითონის ბურთულებს კიდ თულობენ (აბრეშუმის ძაფს წალკის ვარეთ — უმმატარესად თბილისს და ლითონის ბურთულებს კი ადგილობრივ სოფ. ავრანლო — „ევრენში“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლაც და უწინაც ყველა სახის ვერცხლის სამკაულები და მათ შორის საჩბალის ბურთულებიც, სოფ. ავრანლოში მცხოვრებ ოსტატებს უმზადებიათ).

ურუმში ქალის სამკაულის ერთ-ერთ სახეობას, განსაკუთრებით გასათხოვარ ქალთა შორის გავრცელებულს, საყურე წარმოადგენს (საყურეც უმთავრესად ვერცხლისაგან მზადდება, მოყვანილობით სხვადასხვანი შეიძლება იყოს), საყურეს, რომელსაც ადგილობრივ „ქუფეს“ ეძახიან და ბერძნულად მოლაპარაკე ურუმები კი (კერძოდ სოფელ გუმბუშის მცხოვრებნი) საკუთარი გვსაც უწოდებენ, ქალი გათხოვებამდე ქალწულობის პერიოდში ატარებს; გათხოვილი ქალი, როგორც ცნობილია, თავს იბურავს და საყურის გაკეთებას რა თქმა უნდა აღარ საჭიროებს (თუ ქალს სურვილი ექნება, მას გათხოვების შემდეგაც შეეძლება საყურის ტარება, მაგრამ მას დამამშვენებ-

¹ ხსენებული სამკაულის ამ სახელწოდებებს „უზგუმბუშ“ და „ხვევა“ თითქმის ყველა სოფელში იცნობენ, მაგრამ როგორც გადმოვცემენ „უზგუმბუშის“ სახელით მას ფასენი იხსენიებენ და „ხვევას“ კი გრონი და ოვანი უწოდებენ.



ლი სამკაულის ფუნქცია აღარ ექნება, რადგან ლეჩაქების ქვემოთწიქვეპეღარ გამოჩნდება).

ამჟამადაც, საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ სამკაულს, რომელსაც ქალწულნიცა და გათხოვილნიც ახლაც ხშირად ხმარობენ ბოლმალი წარმოადგენს (სოფ. ბეშთაშენში ბოლმალი „გერდანახის“ სახელით მოიხსენიეს.). ბოლმალი (ტაბ. IX) ვერცხლისაგან (ან სხვა სახის თეთრი ლითონისაგან) დამზადებული ყელზე შემოსაქდობად განკუთვნილი სამკაულია. ბოლმალი, როგორც ამას ნახატიდანაც დავინახავთ, ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი ჰქსრაკულად ჩაქდებული ვიწრო და მოკლე მილებისაგან შედგება (უკეთ რომ ვთქვათ სიგრძეზე შუაზედ გაჭრილი მილებისაგან), თითოეულ მილზე პაწია რგოლებისაგან შემდგარი (სანი-ოთხი რგოლისაგან შენდგარი) ძეწკვია მიბმული, ძეწკვზე მოგრძო ბურცულია გადაბმული და ამ უკანასკნელთან კი პატარა რგოლისავე საშუალებით „მანის“ გამოსახულების ფირფიტაა შეერთებული. ბოლმალის შუა ადგილი მოგრძო ოთხკუთხოვანი (ბოლოებში თავები მრგვლად ამოწალღებული) ორნამენტირებული და თვლით (წითელი ან სხვა ფერის თვლით) შემკული ფირფიტით არის დამშვენებული, ფირფიტის ქვემოთა მხარეზედაც მინებით დაბოლოებული ჯაჭვებია ჩამოკიდებული.

ბოლმალი თითქმის ყოველთვის აწნაირად კეთდება, ასე რომ, ჩვენ მიერ აღწერილი ბოლმალი, ბოლმალის ზოგადი ტიპის (საყოველთაოდ გავრცელებული ტიპის) ყოველმხრივი განსახიერების საილუსტრაციოდ გამოადგება. ბოლმალი, როგორც თვით სახელწოდებაც გვიჩვენებს, ყელის სამკაული-საყელურია, მაგრამ ხშირად ის მკერდის დამამშვენებელი სამკაულის როლშიც გვევლინება. ყელდაუფარავი ქალწული ბოლმალს სწორედ ყელზე იკეთებს და ლეჩაქებით დაბურთული გათხოვილი ქალი კი მას მკერდზე იმაგრებს (ყელის ირგვლივ რომ შემოიქდოს, ლეჩაქი დაფარავს და არ გამოჩნდება). ყელზე გასაკეთებლად განკუთვნილი ბოლმალი ყელის ირგვლივ შემოსახვევად ნავარაუდევ ქსოვილის წვრილსა და გრძელს ზოლზე ჰკერდება (ასეთია სწორედ ნახაზე წარმოდგენილი ბოლმალიც) და სამკერდე ბოლმალს კი ნაპირებში ლითონის კაუჭები („ჩენგელები“) უკეთდება.

საფიქრებელია, რომ ბოლმალი თავდაპირველად მხოლოდ გასათხოვარ ქალს ემსახურებოდა (ყელზე შემორტყმული ბოლმალი ყელის ძირს ეგზინება).

ურთუმი ქალი (გათხოვილიცა და გასათხოვარიც) ყელის დასამშვენებლად მძივსაც ხმარობს და თეთრი წერტილებით დაწინწკლული შავი ფერის მძივებისაგან შემდგარ ყელსაკიდს კი — გზზზონჯულს („გზზთვალი, „ბონჯულ-მძივი“) ავი თვალის საწინააღმდეგოდაც იყენებს („გზზზონჯულს-საჭიროების დროს ყველა ატარებს. აღმანათიცი მკერდის სამკაულია).

ყელსაბამის ერთ-ერთი სახე, რომელიც სამკაულის ფუნქციასაც ასრულებს და რომელსაც აპორტოფიული დანიშნულებაცა აქვს (ავადყოფის განკურნების ძალაც რომ შესწევს) ჯვარია („ხაჩ“, „სტავრო“). ჯვარი ვერცხლისაგანაც კეთდება და ოქროსაგანაც მზადდება, დასამზადებლად გამოყენებული ლითონის სახეობის მიხედვით ყელსაბამი ჯვარის სახელწოდებაც კი ისაზღვრება: ოქროს ჯვარს „ალთუნ ხაჩი“ ეწოდება ვერცხლის ჯვარს კი „გუშუმუ ხაჩი“. „ხაჩად“ ხსენებული ყელსაბამი სხვადასხვანაირი სახით გვევლინება: ის ზოგჯერ მძივების ყელსაბამშია ჩატანებული, ზოგჯერ მონეტებით მოქედელ ვერცხლის ძეწკვზეც ჩამოკიდებული და სხვ. ყელსაბამზე.

ერთი ჯვარი კეთდება, მაგრამ რამდენიმე ჯვარის (თანაბარი ან ხეანაირი ზომის) ჩამოკიდებაც შეიძლება.

თვით ჯვარის სიდიდეს განსაზღვრულ ზომას არ ემორჩილება. მისი მატარებელი მანდილოსნის სურვილის (თუ სხვა მიზეზით გამოწვეული აუცილებლობისა) მიხედვით, ყელსაბანზე ხან პატარა და ხან კი მეტად დიდი ზომის ჯვარი კეთდება. ზოგიერთ ყელსაბანზე ჯვარი სრულიად არ კეთდება, მაგრამ ალბათ იმის გამო, რომ მას ჯვრის ფუნქციის შესრულება აქვს დაკისრებული (აპოტროფიული ფუნქციის შესრულება) ის მაინც „ხაჩად“ იწოდება.

საყოველთაოდ გავრცელებულს — „ჰამაილის“ სახელით ცნობილ მკერდის სამკაულსაც ორგვარი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ის სრული მნიშვნელობით გაგებული სამკაულიც არის და ავი თვალის საწინააღმდეგოდაც არის გამოყენებული (მის პირველად დანიშნულებას სწორედ ეს უკანასკნელი უნდა წარმოადგენდეს). ჰამაილიც ვერცხლისაა, რამდენიმე წვერი ძეწვევისაგან შედგება, ძეწვევებზე სხვადასხვა ზომის მონეტებია ასხმული (ჩვეულებრივ შუა ადგილას დიდი მონეტები უკეთდება და ბოლოებში კი უფრო პატარა), შუაში — სამკუთხოვანი მოყვანილობის ფირფიტა ჩამოკიდებული (შეიძლება ჯვარიც იყოს გაკეთებული); ძალა და ძლიერება სწორედ ამ ფირფიტაშია ჩაქსოვილი და „ჰამაილაც“ სწორედ ამის გამო არის წოდებული (სამმაგი „ჰამაილიც“ არსებობს, მას „უჩსრა ჰამაილს“ ეძახიან)¹.

ძეწვევა ბოლოებზე გაკეთებულ კაუჭებით (ყოველნაირი სახის სამკაულსა თუ ჩასაცმელზე გაკეთებულს — შესაკვრელ კაუჭს „ჩენგელისც“ ეძახიან, „ჩერპესტასც“ და „ქიტლიაგ“ „ქაგარტასც“) ჰამაილი მხრებზე ეკიდება (ორივე მხარეზე) და ფულებითა და სხვა სახის ფირფიტებით შემკული ძეწვევები მკერდზე დაიკიმება.

ურუმში ქალი ხელებსაც იმკობს ოქრო-ვერცხლის ან სპილენძისაგან დამზადებული (უმრავლეს შემთხვევაში კი ვერცხლისაგან გაკეთებული) სხვადასხვა სახის ბეჭედებითა და სამაჯურებით.

ბეჭედი, რომელსაც წალკელი ურუმები უზუჭის (ბერძნულად მეტყველი ურუმები კი „ნახთილხს“) უწოდებენ, მართლაც მრავალნაირი ჰალა უზუჭი (რომელიც სოფ. ხადიკში ყასიხ უზუჭისა და სოფ. კერქში ზეკირის სახელით მოიხსენიეს) — უთვალო ბეჭედი ძირითადად ერთგვარია, მაგრამ ყაშლი უზუჭი (ყაშ უზუჭი)² — თვლიანი ბეჭედი (რომელსაც ზოგჯერ ნახიშლი უზუჭი-სახიან ბეჭედსაც ეძახიან), მეტად ნაირსახოვანია. ბეჭედში ჩამუდარი თვლების სახეობისა და რაოდენობის მიხედვით, ბეჭედს საკუთარი სახელწოდებაც კი უმკვიდრდება: ორთვლიან ბეჭედს „ჩი-ყაშლი უზუჭი“ ეწოდება, სამთვლიანი — „უჩ-ყაშლი უზუჭად“ იხსენიება და სადაფის თვლით შემკული ბეჭედი კი „სადაფ-ყაშლი უზუჭის“ სახელით აღინიშნება. ქალის თითები პატარა ძეწვევებზე მდებარე ბეჭედითაც იმკობა, ამ სახის ბეჭედს (რომელიც ხელის მოძრაობის დროს ხმაურს გამოსცემს და ელარუნს იწყებს) „ჯრინგარლი უზუჭი“ ეწოდება. ბეჭედი გათხოვილი ქალის აუცილებელ სამკაულად ითვლება, ქალის დაწინდვა, წალკელ ურუმებშიც, ბეჭდის უმ-

¹ მოხრობელთა გადმოცემით, აპოტროფიული დანიშნულებისათვის განკუთვნილ ჰამაილს მამადიანი მოლაც აკეთებდა თურმე და ქრისტიანი მღვდელ-მონაზვნებიც ამაღლებდნენ.

² „ყაშლი უზუჭი“ სიტყვა-სიტყვით წარბიან ბეჭედს ნიშნავს („ყაშ“ თურქულ წარბს აღნიშნავს).



თავრესად ოქროს ბეჭდის) სახით წარმოდგენილი „ნიშნით“ ხდება; ბეჭდის გარეშე დანიშნვის ცერემონიალის შესრულება არ შეიძლება.

„ბილაზიკად“ წოდებული სამაჯური (ბერძნ. „ვრაშალე“), რომელიც უქველად ვერცხლისაგან უნდა კეთდებოდეს და ქალის ორივე ხელის მაჯას ამშვენებდეს. სხვადასხვანაირი სახეებით შემკულ ბრტყელ რკალს წარმოადგენს (იხ. — ნატურალური ზომის „ბილაზიკი“); უკეთ რომ ვთქვათ, სამაჯური ორი, ერთმანეთთან მხოლოდ ცალი მხრით მიბმული, ნახევარტკალისაგან შედგება; სამაჯურის მეორე გადახსნილი მხარე, მაჯაზე გაკეთების დროს იკვრება (მასზე გაკეთებული — ლურსმნის მსგავსი „ქიტლაგის“ საწულეებით).

სამკაული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტანსაცმელ-თავსაბურავის განუყოფელ ნაწილადაც გვევლინება და ჩვენ მიერ უკვე აღწერილ ჩათხსა, ლეჩაქისა (ჯრნგრლი ლჩქქსა) და აგრეთვე ქამრებას, ზუბუნ-ქურდუგეცა და სხვა სახის ტანსაცმელზე გაკეთებული შემკულობანიც, სწორედ ამნაირი კატეგორიის სამკაული მიეკუთვნება.



1



2



3



1



2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი II



1



2

ეროვნული
ზოგადი განათების
მინისტრის
კულტურის მემკვიდრეობის
სამსახურის

თბილისი III



1



2

ეროვნული
მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

თბილისი IV



1



2



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

საქართველო, წყნეთის ქუჩის თეატრული

ბინა V



1






2


საქართველოს
ისტორიული მემკვიდრეობის
სამსახური

საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის სამსახური

ტაბულა VI



Հ. Երզնկացի, Վաղարշապատի քաղաքում
1893 թ. հունիսի 15-ին






საქართველოს
ქრონიკა











საქართველოს
ქრონიკა

ტომი IX



ლ. ბოქორიშვილი, წალკელი ქალის თავსაბურავი

ტაბულა X/
ეროვნული
მუზეუმი



მასალები კახეთის ქალაქების ოპრომპედლოზის შესახებ ¹

ძველი კახეთის საოპრომპედლო სახელოსნოები, როგორც ჩანს, ქალაქებში ყოფილა თავმოყრილი; გადმონაშთების სახით მოღწეული — გაქრობის გზაზე მდგომი ოპრომპედლობა, დღესაც, სიღნაღა და თელავშია შემონახული.

კახელ ოპრომპედელთა უკანასკნელი წარმომადგენლები წარაული ააუკუნის ხელოსანთა მრავალრიცხოვნებაზედაც მიგვითითებენ — ზოგიერთებს თვითონ შესწრებიან და ხელობაც მათგან შეუთვისებიათ, ზოგის შესახებ კი გაუგონიათ. ირკვევა, რომ ძირითადად აქაური ოსტატების ნახელავით მიდიოდნენ იოლად კახეთის მცხოვრებნი, მათ ნაწარმს ასაღებდნენ აგრეთვე ინგილოები, თუშები და ფშაველ-ხევისურნი.

კახელი ოპრომპედლების დასი სხვადასხვა ერის წარმომადგენელთაგან შედგებოდა: სახელგანთქმული ქართველი ოსტატებია გვერდით, მოღვაწეობდნენ თავის ხელობაში კარგად განსწავლული გაქართველებული სომხები და ასევე სახელმოხვეჭილი ლეკები. კახელი ოსტატები — ქართველებიც, სომხებიც და ლეკებიც — მაგასი ტრადიციების მიხედვით მოქმედებდნენ, ადგილობრივ მცხოვრებთა გემოვნებას იაინი ერთგვარი აუცილებლობით ითვალისწინებდნენ. ხალხის გემოვნებაში, მართალია, ყოველთვის ეროვნული ტრადიციულობა არ ყოფილა ჩაქსოვილი, ის ყოველთვის წმინდა ეროვნული მოტივებით არ ყოფილა განსაზღვრული, — უცხო ელემენტთა დაფენება, ალბათ, უფრო ადრეც შეიმჩნეოდა, მაგრამ ოპრომპედლობა ქართული საწყისების ღერძეულობა მისი არსებობის უკანასკნელ პერიოდშიც კი აშკარად იგრძნობოდა.

მე-19 საუკუნეში დამკვიდრებული ევროპული გავლენა ხელოსნობის ამ დარგსაც მკვეთრად დაეტყო. ძლიერმა უცხოურმა კონკურენციამ ადგილობრივ ოპრომპედელს ოქროს ნივთებია მკეთებლობა ხელიდან გამოაცალა, ნედლი მასალის ძირითადი სახეობა — ოქრო საოპრომპედლო წარმოებიდან თითქმის მთლიანად გაქრა. ოპრომპედელს სახელწოდება ადრინდელი შერჩა, მაგრამ მისი საქმიანობა ვერცხლისა და სხვა დაბალხარისხოვანი ლითონებისე. წ. „ვარშაის“, თითბერია, სპილენძისა და სხვა დამუშავებით შემოიფარგლა. აშკარად ჩანს, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, ევროპულ ყოიდაზე გაკეთებულ ოქროს ნაწარმს თანდათან მეტი უპირატესობა მოუპოვებია, უცხოური ელფერი ოქროს დამუშავების ხელოვნებას უფრო შესაშინევად დასტყობია და ახლებურად განსწავლულ ოქროს მკედდაც კახელ ოსტატს სახელიც უცხოური შერქმევია („იუველირი“, „ბრილიანტიკი“).

¹ კახეთის ქალაქების საოპრომპედლო ტექნიკაში ლითონის ბეჭდვისა და შემკობის შემდგომი ხერხები დასტურდება: დაჩაბშიშება, ჩამოსხმა და ხელით კეთება (ბეჭდვის ხაზით), მოჩუქროთება, გრებილის გამოყვანა, მოსვადება, მინანქრის დაწყობა, დაფრვა და მოოკვა (შემკობის ხაზით). კახურ ოპრომპედლობაში, ძირითადად, წარმოების ერთგვარი პრინციპია გაბატონებული. ქართველთა და მუხომელ ხალხთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის კვალი ოპრომპედლობაზედაც აღბეჭდილია; ქართული ელემენტის უპირატესობა გვაფიქრებინებს, რომ ეს შეხვედრები ქართულ ნიადაგზე მომხდარა.



ლითონის დამუშავების წესების შესაბამისად, ოქრომკედლის ჩაიხსნის-
ვანი ნაწარმი შეიძლება რამდენიმე ჯგუფად განლაგდეს: ზოგს მხოლოდ ხე-
ლით გაკეთება შეეფერება (მაგ. ხანტალა), ზოგს ხელით გაკეთება არ გამოა-
დგება—ის უჭკველად უნდა ჩამოისხას ან, უკიდურეს შემთხვევაში დაჩახშიმ-
დეს (მაგ., ქამარი), ზოგიერთი საგანი კი შეიძლება ჩამოსხმითაც გაკეთდეს
და ხელით გაკვეთვითაც (მაგ., ბეჭედი). ჩამოსხმითა, თუ დაჩახშიმებით,
რა თქმა უნდა, საგნის კეთება არ სრულდება, ორივე შემთხვევაში მას ხელით
დამუშავებაც ესაჭიროება. ოქრომკედელი, დაჩახშიმების დროს, ე. წ. ბ რ ტ ყ ე ლ
ვე რ ც ხ ლ ს ხმარობს; ბ რ ტ ყ ე ლ ვერცხლს ის ხელით კეთების დროსაც იყე-
ნებს გამზადებულ ბ რ ტ ყ ე ლ ვერცხლს თუ ვერ იშოვის (ოსტატები, ძველად,
ბ რ ტ ყ ე ლ ვერცხლს გამზადებულს ყიდულობდნენ ხოლმე).—ნაშინ მას თვითონ
დაამზადებს: ბუთაში გერცნდი რიჯაში გადმოასხამს და გაცივებამდე
დააყოვნებს, სათანადოდ შემაგრებულ ვერცხლს მარწუხის პირში და-
ბერილს ზინდანზე მოათავსებს და ჩაქუჩის დახმარებით გაჰკვე-
რავს, დანაყავს და გააბრტყელებს. წესისამებრ გათხლებულ
ვერცხლს ოსტატი თრატას მეშვეობით გასაკეთებლად ნაგარაუდვეი სა-
გნის „ზომაზე დასჭრის“ და დაჩახშიმებას შეუდგება.

ერთ-ერთ მთავარ ხელსაწყოს, რომელსაც ხელისანი დაჩახშიმები პრო-
ცესში ხმარობს, ჩახშიმის ჯამი წარმოადგენს. ჯამი ორმხრივ შებრტყელე-
ბული „მრგვალი კოშტია“. ის თითბერისაგან არის გაკეთებული, მაგრამ, სიმაგ-
რის მიცენის მიზნით, მას მცირე რაოდენობით ვერცხლი და ვარშავაც აქვს
შერეული (უამისოდ „თითბერი გაიჭყლიტებო). ჯამზე (ცალ მხარეს) დასაჩახ-
შიმებელ სახეთა ნიმუშებია აღბეჭდილი: აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი
სახეები, ზოგჯერ, ხიშტაკზე დაც არის ხოლმე გამოყვანილი. ჯამი სხვა-
დასხვა ზომისაა: დიდ ჯამზე დიდი საგნებისათვის განკუთვნილი ვერცხლი
დაჩახშიმდება, პატარა ჯამზე კი—პატარა საგნებისა; მოზრდილ საგანზე თუ
პატარა სახის აღბეჭდვას მოისურვებენ, ისიც, რა თქმა უნდა, პატარა ჯამზე
დაჩახშიმდება.

ვერცხლის ფირფიტის დაჩახშიმების წინ, ტყვიის ნაჭერი უნდა დაჩახ-
მიდეს: ზინდანზე მოთავსებულ ჯამზე ტყვიის ნაჭერს დადებენ და ჩაქუჩის
რამდენიმე დარტყმით ჯამზე დაქდევებულ სახეებს მისზე გადაიტანენ. ამის
შემდგომ, ჯამზე „ზომაზე გაწეულ თხელ ვერცხლს“ მოათავსებენ, ზემოდან
დაჩახშიმებულ ტყვიას დაადებენ და ჩაქუჩის ხელახალი დარტყმებით ვერცხ-
ლის ფირფიტასაც დააჩახშიმებენ.

დაჩახშიმებასთან დაკავშირებით, „ამოხოშავების“ საკითხსაც აქვე შეე-
ხებით. საჩახშიმე გამოსახულებანი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზოგ შემ-
თხვევაში ხიშტაკზე დაც არის ხოლმე ამოკვეთილი. ხიშტაკი სხვა და-
ნიშნულებისთვისაც არის განკუთვნილი,—ხიშტაკი ბურთულების „ამოსაყვანი“
ხელსაწყოა. ეს უკანასკნელი, შესახედაობით, ჩახშიმის ჯამს წააგავს: თითბ-
რისაა, მრგვალია და ორმხრივ გაბრტყელებული. ხიშტაკის ორივე მხარე დი-
დი და მცირე დიამეტრის ორმოებით არის მოფენილი, ზოგიერთი ოსტატის
ხიშტაკზე სხვაგვარი სახეები არც კი არის ხოლმე წარმოდგენილი.

ხიშტაკს თან უნდა ახლდეს ხოშა—მოგრძო და თავდამრგვალებული
რკინის იარაღი. ხიშტაკზე ამოღრუბული დიდ-პატარა ორმოების შესაბამი-
სად, ხოშათა შორისაც დიდ-პატარაობითი განსხვავებაა. ხოშით ამოჰყავთ
ხიშტაკიდან ბურთი, უკეთ რომ ვთქვათ ხიშტაკიდან ბურთის „ნახე-

ვარ-ნახევარი“ ამოჰყავთ—შესაფერისი ზომის მიხედვით¹. დაჭრილ ვერცხლს ხიშტაკის რომელიმე ორმოს გადაფარებენ ზემოდან ხოშას დაბ-
ჯენენ და ჩაქუჩის თანდათანობით დაკვრით ვერცხლს მრგვლად ჩაალრმავე-
ბენ. ერთჯერადი ამოხოშავება საკმარისი არ არის—პატარა ნახევარბურთების
ამოხოშავება მოზრდილი ორმოებიდან უნდა დაიწყოს, მოზრდილი ნახევარ-
ბურთების ამოხოშავება—უფრო დიდი ორმოებიდან და ასე შემდეგ. ამგვარი
წყისით გაკეთებულ ნახევარ ბურთებს წყვილ-წყვილად ერთმანეთს დაუკავში-
რებენ და ამა თუ იმ ნივთის გასაფორმებლად გამოიყენებენ.

ძველი კახეთის ოქრომჭედლებს ურმის თვალის მსგავსი დიდი ხის ხიშ-
ტაკებიცა ჰქონიათ, ასეთი ხიშტაკებისათვის მათ ამოხოშავებელი უძახნიათ: ხოშებიც ხისა ყოფილა და ჩაქუჩებიც. სათუთად დასამუშა-
ვებელ ბრტყელ ვერცხლს, როგორც ჩანს, ხის ხოშა-ხიშტაკებისა და ჩაქუჩე-
ბის გამოყენება უფრო შეეფერებოდა.

კახელი ოქრომჭედელი, როგორც ვთქვით, ჩამოსხმის ხერხსაც ხში-
რად მიმართავს; დარიჯას, ქვიშის და ყალიბების დახმარებით ის
მრავალნაირი თოქმაჩის გაკეთებას ახერხებს. აღსანიშნავია, რომ ოქროზე
მომუშავე ხელოსანი დარიჯას იშვიათად იყენებს, ოქროს დაყალიბებას, ის,
ზღვის ცხოველის ტყავზე—ზღვის ქაფზე (ე. წ. ასასებზე) აწარმოებს. ყო-
ველი ოქრომჭედლის სახელოსნოში მოიპოვება ოქრომჭედლების მიერ დამზა-
დებული მრავალი სტანდარტული ყალიბი. საოქრომჭედლო წარმოების ოს-
ტატს სხვადასხვა ზომის რამდენიმე დარიჯაც უნდა ჰქონდეს. დარიჯა თი-
თბრისაგან გაკეთებული ხელსაწყოა. ორი, ერთმანეთის მსგავსი ნაწილისაგან
შედგება; მთლიანობაში წარმოდგენილი დარიჯა გვერდებდაკუთხულ და გვე-
რდებლია ბრტყელ ბოთლს მიემსგავსება.

ჩამოსხმის დაყალიბება უსწრებს წინ. დაყალიბება ჩამოსხმის წინა პი-
რობას წარმოადგენს:—დარიჯას ერთნახევარს ოსტატი ბრტყელ ფიცარზე
დააპირქვავენს, შიგ ჩასდებს რომელიმე სახეობის ყალიბს და ქვიშად წო-
დებულ — კუპრში არეული რიყის ღამით ამოავსებს². სათანადო დაძე-
ვისა და გადასწორების შემდეგ დარიჯის ამ ნახევარს გადმოაბრუნებს, ზე-
მოდან კარგად გაცრილ ნახშირს მოაფრქვევს და დარიჯის მეორე ნახევარ-
საც დააფარებს. დარიჯის ამ ნახევარშიც საჭირო რაოდენობის ქვიშას ჩაყრის
და დატკეპნის. დასასრულ, დარიჯას დარიჯის ფიცრის ფრთათა შო-
რის მოაქცევს და დარიჯის ორივე ნახევარს ერთმანეთთან მტკიცედ შეამჭი-
დროებს. ზემოჩამოთვლილ ქმედობათა შესრულების შემდგომ დარიჯა უნდა
„გახისნას“ და ყალიბი წამოვარდეს. ყალიბი რომ წამოვარდება, დარიჯის
ორივე ნახევარში ყალიბის გამოსახულება დარჩება. დაყალიბებულ გამოსა-
ხულებას დარიჯის პირის მიმართულებით გზას გაუჭრიან, დარიჯაში
ჩასხმული გამდნარი ლითონი ამ გზის მეოხებით დაყალიბებულ ქვიშაში ჩაე-
შვება, დაყურადება და გაცივდება თუ არა,—ჩამოსხმის პროცესიც დას-
რულდება (ჩამოსხმის დროს, დარიჯა დარიჯის ფიცრით უკავიათ ხელში).

დარიჯას გახსნის შემდეგ, ჩამოსხმული საგნის აკვარჯიანობას შემოწ-
მებენ; თუ კარგად არის ჩამოსხმული,—გზის მთელ სიგრძეზე გაცივებულ ზედ-
მეტ ნაწილს მოაჭრიან² და ჩამოსხმულის შემდგომ დამუშავებას შეუდგებიან.

¹ ზუთ გირვანქა ღამს ერთი გირვანქა კუპრი უნდა შეფრიოსო.

² დარიჯაში ჩასხმული გამდნარი ლითონის წონა ჩამოსხმულად ნაყარადვე ნივთის
წონას უნდა აღემატებოდეს, ოსტატმა ზედმეტ ნაწილში ჩამოსხმული ლითონის წონაც უნდა
მიიღოს მხედველობაში.



იმისათვის, რომ ხელოსანმა ჩამოსხმული საგანი გასაკეთებლად ჩაეკეთებინა, ნივთად აქციოს, საჭიროა მან ხელით გასაკეთებელი სამუშაო შეასრულოს ხელით შესასრულებელ სამუშაოთა შესახებ ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ვიდრე ხელით კეთების რთულ ტექნიკურ პროცესს დავახასიათებდეთ, ორიოდ სიტყვით ლითონის ცნობის პროცესსაც შევეხებით. ოქრომქედლებს მუშაობის დროს ხშირად უხდებათ ხოლმე ლითონის დადნობა, საოქრომქედლო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი დადნობის პროცესთან არის დაკავშირებული.

ლითონს კიქისნაირ თიხის ბუთაში აღნობენ. მცირე წონის ლითონის დასაღნობად ზოგჯერ ნახშირის ბრტყელ ნაქერსაც იყენებენ. ჩამონაქერ ან კოპიტ ვერცხლს ბუთაში მოათავსებენ, შიგ ლითონის დადნობისათვის საჭირო ბორას ანუ ბურას ჩააყოლებენ¹ და ქურაში ჩადგამენ. ქურას სპებერველით დაუბერავენ და თან დადნობის პროცესს უთვალთვლებენ. ბუთა ან, ზოგჯერ ბუთის მაგიერობის გამწვევი ნახშირის ფირფიტა შეიძლება კრაქზედაც დაიჭირონ და ბორაით დაუბერონ².

საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ზემოთ მოხსენებული ბორა ანუ ბურა ძველ საქართველოშიც კარგად ცნობილი ბავრუცია, რომელიც საბა ორბელიანის განმარტებით „მარილს ჰგავს“, მას „ოქრომქედელნი იხმარებენ ოქროსა დასაღნობად (2,22 იერემ.) (ელვარე წყალი არს, რომელი ხაშურის მსგავსთა გამოჰყრისო)“³.

ბუთას, როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, თურმე ადგილობრივ არ ამზადებდნენ. სტამბოლიდან თუ სპარსეთიდან მოტანილ ბუთებს ეახელი ოსტატები დასტობით ყიდულობდნენ (დასტაში სხვადასხვა სიდიდის სამი ბუთა უნდა ყოფილიყო, ყველაზე დიდ ბუთაში ორი გირვანჯა ჩადიოდაო), ისინი ამჟამადაც რამდენიმე ათეული წლის წინ შეძენილ ბუთებს ხმარობენ.

საოქრომქედლო ტექნიკის ძირითად სახეობად ხელით გაკეთება უნდა ჩაითვალოს. ოსტატის ნიჭი და გემოვნება, უმთავრესად, ხელით შესრულებულ სამუშაოთა სიაკვარგეში აშკარავდება. ზოგიერთი საგანი მხოლოდ ხელით კეთდება და ჩამოსხმის გზით გაკეთებულ საგნებსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეულ ფარგლებში, ასეთივე სამუშაოს ჩატარება ესაქიროებათ.

ხმლისა და ხანჯლის შევერცხლვასთან დაკავშირებული სამუშაო, მავალითად, ხელით იწყება და მათი საბოლოო გაფორმებაც ხელით ხდება. ხმლისა და ხანჯლის შევერცხლვა „მთლიანიც“ არის და „ნაქურნაქურიანიც“. ორივე შემთხვევაში ოქრომქედლები ჯერ ვერცხლს (გაბრტყელებულ ვერცხლს) დასჭირან შესავერცხლად გათვალისწინებული იარაღის—თქვათ ხანჯლის—ზომაზე და შემდეგ კი ხანჯლის რკინაზე „გააწყობენ“ (ხანჯლის რკინა ქარქაშიანი ხანჯლის მოყვანილობის მასიური რკინაა). ხანჯლის რკინაზე გაწყობილს ვერცხლის ფირფიტებს დაქლიბავენ, გარანდავენ და მო-

¹ ბუთის აღებ-დაღებას მაშის საშუალებით ახდენენ.

² ბორას ლითონის დადნობის დროსაც ხმარობენ და დაკავშირების დროსაც, უამისოდ ლითონი ვერც დადნება და ვერც დაკავშირდება. ბორა პატაშის, მარილის და თანუქარის შენაერთის წარმოადგენს; პატაშის უქონლობის შემთხვევაში, მის მაგიერობას ნაცარიც სწევი. უნახავში პატაში და მარილი თანაბარი ოდენობით არის წარმოდგენილი, თანუქარი კი მათი მეოთხედია. ოსტატის სიტყვით: „გირვანჯა რო პატაში იყოს, გირვანჯა მარილი, ნახუვარი გირვანჯა თანუქარი უნდა“.

³ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.

ჩუქურთმება-მოსევადების რთულ საქმიანობას დაიწყებენ. მუშაობის დასრულების შემდეგ, სათანადოდ მოჩუქურთმებულ ვერცხლის ნაჭრებს ნამდვილ იარაღზე გადაიტანენ და მას სხვა აუცილებელი ნაწილებითაც შეამკობენ.

ხელით გასაკეთებელი სხვა საგნების დამზადებაც მათი გარეგნობისათვის საჭირო ფონის შექმნით იწყება. ოქრომჭედლური ნაწარმის ყველა სახეობა—ხელით გაკეთებულიცა და ჩამოსხმულიც—მოჩუქურთმება-მოსევადების დაწყებამდე, გარკვეულ მდგომარეობაში ექცევა: ზოგიერთ მთვანს ოსტატი პირდაპირ ხელში დაიკავენს, ზოგს თავისებურ საყრდენს შეუქმნის და ზოგს კი მანგანის პირს დააჭერინებს.

ჩუქურთმა, რომელსაც კახელი ოქრომჭედლები ჩოქურთმაცა ცვამოსთქვამენ, ყალმით იჭრება. ყალამი მოჩუქურთმების დროს ხმარებული ერთი მთავარ იარაღთაგანია. ჩუქურთმის ამოღების თანდათანობა შემდეგნაირი წესით უნდა წარიმართოს: შესაფერისად დაქლიბულსა და გარანდულ საჩუქურთმე ფართობზე მოცემული საგნისათვის დამახასიათებელ გამოსახულებას ჯერ მასხალით დაწერენ და შემდეგ კი ყალმით მოსთხრიან. საჩუქურთმე ყალმის შემდგომი მოქმედების გაადვილების მიზნით, მოთხრილ ნაწილზე ხაზიან ყალამს აამუშავებენ—მოკლე-მოკლე ხაზებით დასერავენ და თანაც „ლალაპს დააწყებინებენ“. ამის შემდგომ, პირველხსენებული ყალმით მოთხრილ ჩუქურთმას ფარდახს გაუქეთებენ. ე. ი. ძველი გამოსახულების უმცირესი ნაწილის გულშიც კი ახალ გამოსახულებას გამოიყვანენ („ყვავილზე რომ ყვავილი იხატება,—იმისა ჰქვია ფარდახი“). ამნაირად გამოყვანილ ჩუქურთმას როვროვიც უნდა გაუქეთონ და თუ საჭიროებამ მოითხოვა გურსუმიც უნდა დაბკრან—სხვანაირად რომ ვთქვათ: ლურსმნისნაირი ლითონის გურსუმისა და ლითონისავე გურსუმის ჩაქურჩის შეხმატბილებული მოქმედებით ჩუქურთმის ირგვლივ ჩაღრმავებულ ფონზე წიკწიკებად სახელდებული პაწია წერტილები უნდა გამოკვეთონ.

ჩვენ მიერ მოკვლად დახასიათებული მოჩუქურთმება მეტად დიდ დროსა და დახელოვნებას მოითხოვს. ჩუქურთმის გამოყვანას გამოცილილი ოსტატის დაკვირვებული თვალი სჭირდება და კარგად გამახვილებული იარაღი. ამიტომაც არის, რომ ოსტატები სამუშაო იარაღებს, დროდადრო, ერბოს ქვაზე ლესავენ¹.

ჩუქურთმიანი ვერცხლის საგანს, უმრავლეს შემთხვევაში, სევადითაც ალამაზებენ მოსევადება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოჩუქურთმებასთან. მოსევადების აუცილებლობა ზოგიერთი გამოთქმის მიხედვითაც კი აშკარავდება: ყალმით მოთხრას „სასევადოდ მოთხრაც“ ეწოდება. სევადა ვერცხლის, სპილენძის, ტყვიის და გოგირდის შეერთების შედეგად მიღებული ხსნარია (სპილენძი—24 მისხალი, ვერცხლი—2 მისხალი, ტყვია—აგრეთვე 24 მისხალი და გოგირდი—დაახლოებით ერთი გირვანქა). სევადას ბუთაში აკეთებენ: შემადგენელ ელემენტთაგან, —ჯერ ერთდროულად ჩაყრილ სპილენძსა და ვერცხლს დააძნობენ, შემდეგ ცალკე, დამდნარ ცხელ-ცხელ ტყვიას ჩაასხამენ და სულ ბოლოს კი გოგირდს შეურევენ („გოგირდი გააერთიანებს და გააწ-

¹ სალესავით გაბრტყლებული ერბოს ქვა ოთხჯუთხიანი მოყვანილობის მოვრჩო ფიფარშია ჩამჯდარი. ერბოში ნაწარმობ მკადაქვას—სამი-ოთხი წლის განმავლობაში ერბოში ნადებს—ერბოს ქვას უწოდებენ.



ყალბსა*). ამგვარი წესით დაწადებულ ფერად შავ სევადას ცეცხლს სხივით წარმოდგენილს ყალბით მოთხრილ ხეულებში მსაქურდებნი ცეცხლის სიმხურვალეს მიუმარჯვებენ. ვახურების შედეგად ჩუქურთმას სევადა გაუთამაშდება („რო ვახურდება,—გათამაშება ის არისო“) ზედ დაადნება და სამუდამოდ ჩააკვდება. ცეცხლზე კერის შედეგად გაშვებულ საგანს, ოქრომქედლები, მდულარე სიმეავეში ჩააგდებენ და კვლავ გაათეთრებენ (სიმეავე ქუქყსა და სიშავეს ამოსქამსო)†. გათეთრებულსა და კაქლის ნახერხში გამშრალს—სევადას გადაუქლიბავენ, რანდათი გარანდავენ, მასხალით გააპრიალებენ და ფარდაზის გაეთებისა, როგროვის შემოყოლებისა და გურსუნის დაკვრის ზემოაღწერილ პროცესს მხოლოდ ამის შემდგომ განავეითარებენ.

საჩუქურთმე ორნამენტი, როგორც მთხრობლებმა გადმოგვცეს და ნაწილობრივ ჩვენი პირადი დაკვირვებითაც დავრწმუნდით, ბევრნაირია. ორნამენტის ცალკეულ სახეობათა სახელწოდებანი დავიწყებული აქვთ. ორნამენტს, ზოგადად, ჩუქურთმას უწოდებენ, ზოგ შემთხვევაში მას ყვავილის სახელითაც იხსენიებენ. კახელი ოქრომქედლების მიერ დამზადებული სამკაულებისა მათ მიერ შემკობილი იარაღისა და მათ წარმოებასთან დაკავშირებული სხვა დანიშნულების საგნების შესწავლამდე, ნადრევი იქნებოდა ორნამენტის ძირითადი ტიპის საბოლოო განსაზღვრა,—მაგრამ ჩვენს ხანმოკლე დაკვირვებას თუ დავუჯერებთ და თუ ჩუქურთმის სანაცვლო სახელწოდების შინაარსაც გავითვალისწინებთ—შეიძლება სავარაუდოდ ვთქვათ, რომ კახეთის ქალაქების საოქრომქედლო წარმოებაში, ძირითადად, მცენარეული ორნამენტი ბატონობდა.

კახელი ოქრომქედლები დაფერვისა და მინანქრით შემკობის წესებსაც იცნობენ. სევადას, როგორც ზემოგანხილული მასალიდან დავინახეთ, მხოლოდ ვერცხლზე მომუშავენი ხმარობენ, დასაფარ საშუალებებსა და მინანქარს კი ოქრომქედლობის ორივე დარგის წარმომადგენლები იყენებენ.

მინანქარი მრავალფერია, ოსტატების მიერ დასახელებული ფერების თანმიმდევრობას რომ მივყევთ, მინანქარი შეიძლება იყოს: ლურჯი, ყვითელი, ცისფერი, წითელი, მწვანე, თეთრი, შავი და სხვ.

მინანქარი ფხვნილის ან კოსტის სახით წარმოდგენილი მკვრივანაწილაკოვანი ნივთიერებაა. ოქრომქედელმა, ვიდრე ის მინანქრის დაწყობას შეუდგებოდეს, გარკვეული სახის მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩაატაროს. მინანქარი, უპირველეს ყოვლისა, წმინდად უნდა დაიფუჭავს და გირეცხოს (სუფთა ქილაში ჩავეყრით და თიხის მუშტათი დაფუჭავითო— „როგორც ფქვილი, ისე უნდა დაინაყოს“, „გავრეცხამდით, სანამ კი ქუქყი წავიდოდეთო“). ქუქყისაგან მთლიანად განთავისუფლების მიზნით, სპილენძის თასში მოთავსებული კომშის წვენით შეზავებულ ხსნარში დაყენებული დაფქული მინანქარი („მინანქარს ვაყენებდით კომშის წყლითო“) ოსტატმა ჯერ უნდა ცეცხლზე ადუღოს და შემდეგ კი ცივ წყალში მრავალჯერ გარეცხოს. ამნაირი წესით გაწმენდილ მინანქარს, ის, სხვა ქურთელში გადაიტანს, დაასხამს ზედ ცალკე მოდულეზულ ბორას (-ბურას) და რკინის თუ თითბრის პატარა კოვზის დახმარებით მინანქრის დაწყობას შეუდგება. ოქრომქედელი ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც მოსეაღების დროს,

* სხვა შემთხვევაშიც, ცეცხლზე გაშვებულ ლითონს ზემოდასახელებული სიმეავის დახმარებით ასუფთავებენ ზოლმე.

ჯერ რომელიმე სახეობის ყვავილს მოსთხრის, საყვავილე ნათარქა, ხეველი და სხვა დასახელებული მინანქრით ამოავსება და სათანადო შემზარობის შემდეგ მას ცეცხლზე გაათამაშებს. ცეცხლი მოქმედების შედეგად მინანქარი დადნება და ლითონს (ოქროს ან ვერცხლს) „შეუხორცდება“. ცეცხლგამოვლილი ნივთი მყუდრო, უნაივო ადგილას უნდა მოთავსდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მინანქარი დასკდეს. ცეცხლზე გაშავებული საგანი ჩვენ მიერ უკვე მოხსენებულმა სიმკვავემ უნდა გაწმინდოს, ვერცხლი უნდა გაათეთროს და ოქროც თავის ფერზე უნდა დააყენოს (დუღილის დროს, ვერცხლიანი ხსნარი რისი ფერსა ღებულობს და ოქროიანი ხსნარი კი კვერცხის გულის ფერი ხდებაო).

მომინანქრებასთან დაკავშირებულ უკანასკნელ ქმედობას მთხრობლები სხვადასხვანაირად წარმოგიდგენენ. ერთი ვერსიის მიხედვით, მინანქარი ჯერ ქლიბით გადაიქლიბება და შემდეგ კი, ქლიბით აღბეჭდილი ნათარქის გაქრობის მიზნით კვლავ ცეცხლზე შეთბება. ცეცხლის სითბოთი მინანქარი ოდნავ კიდევ დადნება და თავიც გადაუსწორდება.

მეორე ვერსიის მიხედვით,—გასუფთავებულსა და გამშრალ მინანქარს საღესავად სახელდებული განსაკუთრებული ჯიშის ქვა უნდა წაესვას (მინანქარი მაგარია, იმას „ქლიბი ვერ მიუღდება, ვერ მეეკიდებაო“) და მინანქრით შემკობის პროცესში ამით უნდა დასრულდეს.

ჩვენი მთხრობლების სიყმაწვილის პერიოდში და უფრო ადრეც, როგორც ვადმოგვეცემენ, კახელი ოქრომჭედები უცხო მხრიდან შემოტანილს—გამზადებულ მინანქარსა ყიდულობდნენ. მინანქრის დამზადების ძველებური ხერხი, რომელსაც, უცხოური მინანქრის შემოსვლამდე, თითქმის ყველა ხელოსანი იცნობდა,—თანდათან მივიწყებულა და, როგორც გამოჩალისი, ზოგიერთი ოქრომჭედლის პროფესიულ საიდუმლოებად ქცეულა. ძველ ოსტატებთან ერთად ეს საიდუმლოებაც გაქრა და ჩვენც, ამის გამო, მისი შესწავლის შესაძლებლობა დაგვეკარგა (მთხრობლები საეარაულო მოსაზრების მიხედვით, სამინანქრე მასალად ერთ შემთხვევაში „მიწა“, ხოლო მეორე შემთხვევაში „ქვა“ ან „შუშა“ უნდა მივიჩნიოთ).

კახელი ოქრომჭედელი საქიროების დროს დაფერვასაც აწარმოებს. იმისდა მიხედვით, თუ რომელ სავანს როგორი დაფერვა ეკუთვნის,—ზოგს ვერცხლით ფერავს და ზოგს კი ოქროსავით აყვითლებს. დასაფერ სამუალებად განკუთვნილი ლითონები უმაღლესი ხარისხის უნდა იყოს,—ოქრომჭედელმა, ამისათვის, ბაჯალლო ოქროს ნაღობი და ტივას სახელწოდებით ცნობილი საუკეთესო ვერცხლის ხსნარი უნდა გამოიყენოს.

ჩვეულებრივ მიღებული წესით, ვერცხლის წყალში ვერცხლზე დაბალი ლითონები უნდა დაიფეროს, ოქროს წყალში კი—თვითონ ვერცხლი. ოქროს წყალში, ზოგჯერ, დაბალი ხარისხის ოქროსაგან გაკეთებულ ნივთებსაც ჰფერავენ; ვერცხლის წყალშიც, აგრეთვე ზოგჯერ, დაბალი ვერცხლისაგან დამზადებულ ნივთებსაც ამოავლენენ. კარგი ვერცხლისაგან გაკეთებული საგანი ყოველთვის არ იფერება, მისი დაფერვა-არდაფერვა შემკვეთელის სურვილზეა დამოკიდებული, ოსტატების სიტყვით რომ ვთქვათ: ზოგს თვითრად გამოყვანილი მოსწონს და ზოგს კი ყვითლად გამოყვანილი.

ვერცხლის წყალის მისაღებად საქიროა, რომ კალიბრუსით-პატაშით და მარილით შეზავებულ ხსნარს „თეზაფში“ აქრილი ვერცხლი-



შეურიონ. ოქროს წყალის შემზადების დროს, ოქრომკვდელნი უნდა იყვნენ უფრო ხშირად დასაჯდნენ და საშუალებებს მიმართავენ: —სიფრიფანასავით გათხლებულ ოქროს გრაგნილად დაახვევენ და მეტად წმინდად დაჭრიან. დაჭრილ ოქროს ფაიფურის ფინტანში მოათავსებენ და ზედ ე. წ. მეფის არაყს დაასხამენ („მეფის არაყი არის ორი წილი თეზაფი, ერთი წილი მარილის სიმეყავეო“). შეთბობის უმაღლე ოქრო გაიხსნება, მეფის არაყი მას გააწყალებს („როგორც ნაშვლი ლომი, იგრე ეცემა ოქროს-ო“). ფინჯანს, რომელშიც ყვეთელი ფერის მოსქელო ხსნარია, მძიმე-მძიმედ „ცეცხლზე მოატარებენ“; სიფხე აორთქლდება და ოქრო კი, შვინდისფერი ემალივით, ქურჭლის ძირსა და კედლებს მიეკვრება. ოქროს წყალის მისაღებად სხვაგვარი ხსნარიც არის საჭირო, ამ ხსნარის შემზადების მიზნით: აიღებენ ერთ ხელადა წყალს (თუ ოქრო, მაგ., ნახევარი მისხალია) და დუღილის დროს შიგ ჩააყრიან მისხალ ნახევარ კალიბრუსს, მისხალ ნახევარ პატაშს და ნახევარ მისხალ მარილს. ერთ-ერთი ოქრომკვდლის მიერ გადმოცემული ცნობის მიხედვით, მისხლის მეოთხედს ანუ ერთ დანგ ოქროზე უნდა აიღონ ერთი ლიტრა წყალი, ერთი დანგი ანუ ექვსი მუხულო (მუხუნლო) პატაში, ოთხი დანგი კალიბრუსი და ცოტა მარილი. ამგვარი შედგენილობის მოდულეებულ ხსნარში ოქროიანი ფინჯანი „გალაღლდება“ და ფინჯნის კედლებზე გაკრული ოქროს მთლიანად ხსნარი გადაიკრება. ხსნარი ჯერ მუქი ყავისფერი გახდება და შემდეგ კი თანდათან გაყვითლდება.

დასაფერად განკუთვნილი, ნეტად სუფთად გაწმენდილი საგანი თუთიაზე უნდა მოათავსონ და ხელის ჩასაქიდად მობმული მავთულის საშუალებით საჭირო რაოდენობის ადულებულ ოქროს წყალში უნდა ჩაუშვან (დასაფერი საგანი ოქროს წყალში უნდა ჩაიმალოს). თუთიის მიმზიდველობის წყალობით ანუ „თუთიის ძალით“ როგორც ოსტატები იტყვიან ხოლმე; დასაფერ საგანს ოქრო გადაეკვრება და ამგვარად ის დაიფერება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც სევადას და არც მინანქარს დაფერვა არ ავინებს, ერთიცა და მეორეც, დაფერვის შემდეგაც, თავის იერს ინარჩუნებს.

კახეთის ქალაქების საოქრომკვდლო ტექნიკისათვის კეთება-შემკობის სხვა ხერხები და სახეებიც არის ცნობილი, მათგან არ შეიძლება არ დავასახელოთ: გრეხილი, გავარსა და შაბაქა. თითოეული მათგანი ნივთთან დაკავშირებით უნდა იქნეს განხილული, კახეთის სახელოსნოებში დამზადებული ნივთების სათითაო და ყოველმხრივი დახასიათების დროს (ფოტოგრაფიული და მხატვრული გაფორმების ჩათვლით), რაც ჩვენ მომავლისათვის ვაჭაქს გათვალისწინებული, გრეხილის, გავარსას და შაბაქას შესახებაც იქნება თქმული.

კახეთის ქალაქებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა კახელი ოქრომკვდლების ამქრული გაერთიანების შესახებაც მოგვითხრობს. ოქრომკვდელთა პროფესიულ გაერთიანებას, ხელოსნობის სხვა დარგებში დამოწმებულ გაერთიანებათა მსგავსად, ამქარი ეწოდებოდა. გადმონაშთის სახით წარმოდგენილმა, გაფერმკრთალეულმა ოქრომკვდლობამ, როგორც ზემოვთხრობილი მასალიდანაც დავრწმუნდებოდით, ჩვენს დრომდე მოაღწია, ოქრომკვდელთა ამქარი კი კარგა ხანია გაქრა. საამქრო ორგანიზაციისთან დაკავშირებით მხოლოდ ხალხის მახსოვრობაში ჩარჩენილი ცნობები-ლა მოგვეპოვება,

ამიტომ მის შესახებ ვილაპარაკებთ ისე, როგორც ეს საერთოდ წარსულში ქცეულ მოვლენას შეეფერება.

ოქრომჭედელთა პროფესიულ იერარქიაში, ძირითადად, სამი საფეხური შეიმჩნევა: ყველაზე მაღალ საფეხურზე ოსტატი დგას, მომდევნოზე—ქარგალი ანუ ნახევრად ოსტატი და სულ დაბალზე კი შეგირდი. საუბრის დროს ქარგალსაც, ზოგჯერ ოსტატის სახელით იხსენიებდნენ: ასეთ შემთხვევაში, ქარგალ-ოსტატის საპირისპიროდ, ნამდვილ ოსტატს დიდ ოსტატს უწოდებდნენ. შეგირდი, სათანადო ცოდნის შეძენის შემდეგ, ქარგალად ამტკიცდებოდა; ქარგალიც, თავის მხრივ, ვარკვეული გამოცდილების შეძენის შემდგომ ოსტატად იქცეოდა. მხოლოდ ოსტატი იყო სრულყოფილი ხელოსანი: მას უნდა ჰქონოდა საოსტატოდ განკუთვნილი საკუთარი ზეკედი (ოსტატის გვარისა და სახელის, ან გვარისა, სახელისა და მამის სახელის გამომხატველი ნიშნებით), შეგირდები მას უნდა აეყვანა და ქარგლებსაც მისი ხელმძღვანელობით უნდა ემუშავნათ.

ხელოსნობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ოქრომჭედლობაში შეგირდობის ვადა განსაზღვრული არ ყოფილა. შეგირდობის პერიოდს, ნორმალური ხელმძღვანელობის პირობებშიც კი, შეგირდის ნიჭი და მონდომება საზღვრავდა: ნიჭიერი და დაკვირვებული შეგირდი შედარებით მოკლე დროში ამთავრებდა საშეგირო სკოლას, უნიჭოს კი შეიძლება ცხრა-ათი წლის განმავლობაშიც კი ხეიოიანად ვერ შეესწავლა თავისი ხელობა. შეგირდობის ვადას, ზოგ შემთხვევაში, ოსტატის დაუდევრობაც ახანგრძლივებდა. ოქრომჭედლობა, საერთოდ, ძნელად დასაძლევ ხელობად ითვლებოდა. განსაკუთრებული ნიჭის ადამიანს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ოქრომჭედლობის შესწავლას, ჩვეულებრივ, ხუთი-ექვსი წელიწადი მაინც ჰქირდებოდა. ოსტატი ცოდნამიღებულად თუ ზიიხნედა თავის შეგირდს, მას უკანასკნელად რაიმე ნივთის გაკეთებას დაავალებდა, საგამოცდოდ დამზადებულ ნივთი თუ კარგი აღმოჩნდებოდა, მის გამკეთებელს ოსტატი ქარგლის ხარისხზე წარადგენდა და ხელფასსაც დაუნიშნავდა. ქარგლის ოსტატად დამტკიცებაც ქარგლის თხოვნითა და ოსტატის რეკომენდაციით ხდებოდა.

წესის მიხედვით, ამქარში ერთი დარგის ხელოსნები ერთიანდებოდნენ, მაგრამ, თუ ხელოსნები მცირერიცხოვანი იყვნენ (ამქარში, საშუალოდ, ორმოცდაათი—სამოცი კაცი მაინც უნდა ყოფილიყო), მაშინ რამდენიმე ხელოსნის წარმომადგენელნი კახელი ოქრომჭედლებიც—თელაველები და სიღნაღელები ერთ ამქრულ გაერთიანებას ქმნიდნენ—სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან იყვნენ დაკავშირებულნი, უკანასკნელ ხანებში ისინი მეწვრილმანეთებთან ყოფილან გაერთიანებულნი. ძველად, როგორც სავარაუდებელია, მათაც საკუთარი ამქარი ჰქონდათ, თბილისის ოქრომჭედელთა დამოუკიდებელი ამქარი ხომ ბოლო დრომდე არსებობდა.

ამქარს თავისი ხელმძღვანელობა ჰყავდა ამქრის წევრთა მიერ ამორჩეული: ოსტატების თავად სახელდებული უსტაბაში, ორი ასახყალო (ზოგის თქმით—სამი) და ერთი იქითბაში. ამქრის ზეთაურობა უსტაბაშსა ჰქონდა დაკისრებული, ასახყალოებიცა და იქითბაშებიც უსტაბაშის ტრადიციულ დავალებებს ასრულებდნენ. ფულის შეკრებისა თუ სხვაგვარი დავალების შესრულების დროს, ორივე ასახყალო ადგილობრივ მოქმედებდა იქითბაში კი შიკრიკით სოფელ-სოფელ დაიარებოდა.



უსტაბაში, ასახელოებთან ერთად, ამქრის ორგანიზაციულ საქმიანობაში მასაც აგვარებდა და ხელოსანთა შორის წარმოშობილ სადავო ცენტრებშიც აბრჩედა. ამქრის ხელმძღვანელობის დადგენილება კანონი იყო ყველასათვის, თუ ვინმე მათ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდა,—მას მრავალნაირი აღკვეთა დაედებოდა (არ დაელაპარაკებოდნენ, არაფერს ათხოვებდნენ მას, არათერს ითხოვდნენ მისგან) და ამქრიდანაც გაირიცხებოდა. გარიცხული ხელოაანი თუ დანაშაულს გამოისყიდია, მას უფლება ჰქონდა რომ ამქარს კვლავ დაბრუნებოდა. ამქრული გაერთიანების ამ ტრადიციულ კანონიერებას, რომელსაც ყველა ანგარიშს უწყევდა და პატივს სცემდა, ამქრის პირის შეეკრა ანუ ამქრის შეეკრა ეწოდებოდა.

ამქარი, ყოველწლიურად, ამქრობას მართავდა, ამქრის დღეობას დღეააწაულობდა. ჩვენს მთხრობლებს კარგად აღარ ახსოვთ, თუ როდის მოდიოდა ამქრის დღე: ზოგი პირველ მაისს ასახელებს, ზოგი—ელიაობას და ზოგი კი ზაფხულია რომელიმე თვის ორშაბათ დღეს. ამქრის დღესასწაული, ე. წ. ამქრობა სამ-ოთხ დღეს გრძელდებოდა. ამქრის სუფრა წინასწარ შერჩეულ რომელიმე ბაღნარში უნდა გაეშალათ, ამქრობის დღეებში ის ამქრის ბაღს წარმოადგენდა. საკრავებთან შეხმატკბილებული სადღესასწაულო მსვლელობა უსტაბაშის სახელოსნოდან უნდა დაწყებულიყო: უსტაბაშის სახელოსნოსთან მიყუდებული ამქრის ბაირაღს უსტაბაშის მიერ დანიშნული ბაირახტარი ხელში აიღებდა და შესაკრებელი ბაღისაკენ მიმავალ ამქარს წინ გაუძღვებოდა. უკან გამობრუნების დროსაც პროცესიას ბაირახტარი უნდა გამოსილოლოდა, ამქრობის მეორე-მესამე დღეებშიც ამგვარივე მსვლელობა განმეორდებოდა.

ბაირახტარი უშეკვლად ქართულ ტანისამოსში უნდა ყოფილიყო გამოწყობილი. ბაირახტარის ტანსაცმელიცა და ბაირაღიც ამქრის საერთო სახსრებით იყო შეიწინი, ორივე უსტაბაშის სახელოსნოში ინახებოდა, ერთიცა და მეორეც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იხსნებოდა (ზოგიერთი მთხრობელია თქმით: წელიწადში ერთხელ—მხოლოდ ამქრობის დღეს).

მოკრძალებული პატივისცემის გრანობა, რომელსაც ამქარი ბაირახტრის ტანსაცმლის წინაშე ამჟღავნებდა, საგულისხმო ფაქტს უნდა წარმოადგენდეს. მომავალი კვლევა-ძიებისათვის განკუთვნილი წინასწარი ვარაუდით შემოაღნიშნული ჩვეულება ტრადიციულ მოველნათა რიგში უნდა მოვაქციოთ, ის, შეიძლება, ქართული ოქრომქედლობის ისტორიული წარსულის გაშუქებისათვისაც გამოვიყენოთ.

ამქრობის დროს სრულდებოდა ოსტატად დალოცვა, ამავე დღეებში ხდებოდა ქარგლად დამტკიცებაც. ოსტატად დალოცვას სრულ დალოცვას ემხროდნენ, ქარგლად ანუ ნახევარ ოსტატად დალოცვას კი იოლს ეტყოდნენ (ზოგიერთი ოსტატი, იოლის ნაცვლად, ნიაზს ასახელებს). ნახევარ ოსტატად დალოცვა, მართლაც, რომ იოლად ხდებოდა: დალოცვილს მხოლოდ ნახევარი დალოცვის ფული უნდა გადაეხანდა, უსტაბაშა ის სადღეგრძელოში უნდა მოეხსენებინა.

სრულ დალოცვას შედარებით რთული ცერემონიალის შესრულება სჭირდებოდა: დაალოცად გამზადებულ პირს უსტაბაშისათვის უნდა წარედგინა მის მიერვე გაკეთებული პატარა ზინდანი და ჩაქუჩი. ამას გარდა, აუცილებელი იყო, აბრეშუმის ბაღდადი და შავტარა დანა, ამქრის სასარგებლოდ მას გარკვეული რაოდენობის თანხა უნდა გადაეხანდა. დალოცვის



ცერემონიალის შესრულების დროს უსტაბაშის მახლობლად თავი დასხამდა. ოსტატებიც შეგროვდებოდნენ, ხელდასხმაშიც მონაწილეობდნენ. მომავალ ოსტატს გაშლილ ხალიჩაზე უნდა დაეჩოქნა. დაჩოქილ პირს უსტაბაში წამოაყენებდა, წელზე საბრტყელს შემოაკრავდა შიგ ზემოდასახელებულ ზინდანსა და ჩაქუნს გაუყეთებდა. ამის შემდგომ დასალოცის ორივე ხელის ცერს მარცხენა ხელში დაიჭერდა, მარჯვენა ხელით ყურს აუწევდა და დაახლოებით შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: რატომ აქამდის ხელობა არ გისწავლიაო, სად იყავ აქამდისო?—ამ სიტყვების წარმოთქმის უმაღვე ორივე ლოყაზე სამსილას შემოკრავდა, მესამედ შემოკრულ მაგარსილას კვლავ ზემოხსენებულ კითხვას მიიყოლებდა: სად იყავ აქამდისო? ამ მომენტიდან დალოცვილი პირი ნამდვილი ოსტატის სახელს ატარებდა, სადღესასწაულო ტრაპეზის დროსაც ოსტატების გვერდით ჯდებოდა.

საკუთარი ხელობის ღრმა სიყვარული და უსაზღვრო პატივიცემო ამქრისა დაკანონებულ იერს ატარებდა. ამით უნდა აიხსნას ალბათ ის გარემოებაც, რომ თანაბარი ცოდნისა და გამოცდილების ოსტატთა შორის, ოსტატობით ცნობილი ოჯახის შთამომავალს განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებოდა.

კახური ოქრომჭედლობისათვის საჭირო პარალელები ყველა ქართველ ტომის ყოფაში უნდა მოიძებნოს. ამნაირ პერსპექტივას ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალა შესაძლებლად ხდის (მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, პროფ. გ. ჩიტაიას საყურადღებო ნაშრომი—„ოქრო მჭედლობის საკითხისათვის საქართველოში“). კახეთის ქალაქების ოქრომჭედლობა ზოგად ქართულ კრილში უნდა იქნეს განხილული, ზენოწარმოდგენილი მასალის მეცნიერული დამუშავება, ამის გამო, ჩვენ მომავლისათვის გვაქვს გათვალისწინებული.

ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით¹

ქვემო ქართლის ალგეთად სახელდებული პროვინცია, რომელსაც ჩვენ მეორეგვარი ტრადიციის მიხედვით ალგეთის ხეობას ვუწოდებთ, სომხით-საბარათიანოს ერთ ძირითად ნაწილს მოიცავს და საკუთრივ საბარათაშვილოს წარმოადგენს².

ალგეთის ხეობამ, ქვემო ქართლის განუყოფელმა გეოგრაფიულმა ნაწილმა და პოლიტიკურადაც მასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა, ისტორიული წარსულის თითქმის ყოველ მონაკვეთზე ამ მხარისათვის განკუთვნილი ხვედრი გაიზიარა. ირანისა და ოსმალეთის პირველი საომარი დარტყმა, ხშირ შემთხვევაში, ქვემო ქართლს ხდებოდა და ლეკთა თარეშის საეალალო შედეგებსაც ის სხვა კუთხეებზე ნაკლებ არ განიცდიდა. ქვეყნის ძნელბედობის მაუწყებელმა ამბებმა, როგორც ცნობილია, სათანადო ასახვა ჰპოვეს ქართულ საისტორიო მწერლობაში, მათ თავისი კვალი დატოვეს ხალხის მახსოვრობაშიც, ალგეთის მკვიდრთა შორის დღესაც ხშირად მოვისმენთ მტრის შემოსევებთან დაკავშირებულ გადმოცემებს, ბირთვისთან, ფარცხისთან და ამ ხეობის სხვა ციხე-სიმაგრეებთან მომხდარი ბრძოლების ფრაგმენტულ მოგონებებს.

ომებით შეწუხებულ მხარეში ფეოდალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი შინაგანი წესრიგიც უფრო ადვილად ირღვეოდა და ქირისა და შიმშილობის სისასტიკეც მას ანადგურებდა. ქვემო ქართლმა, მთელ ქართლ-კახეთთან ერთად, მე-18 საუკუნის მეორე მეოთხედში განსაკუთრებული სიმწვავეთა იგრძნო ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის სიდუხჭირე, მემკვიდრეთა თავაშვებული მოქმედებისა და ლეკთა დაუსრულებელი თარეშის სიმწვავე. „ყოველივე ამის შედეგი ის იყო, — აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი — რომ კულტურული მეურნეობა დაეცა და მცხოვრებთა რიცხვი საშინლად შემცირდა. ზოგიერთი მხარე სავსებით დაიკალა მცხოვრებლებისაგან, სხვაგან კიდევ ძლივს ბოგინობდა შეთხლებული მოსახლეობა. გლეხების ერთი ნაწილი დატყვევდა და უცხოეთში მონებად გაიყიდა, მეორე ნაწილი კი ლეკებთან და ოსმალ ყიზილბაშებთან ბრძოლებში დაიხოცა, სხვები ბოლომორღებელი ომიანობის თანამგზავრმა — შიმშილობამ და ქირმა იმსხვერპლა, დიდი ნაწილი კიდევ ახლობელ მხარეებს შეეხიზნა“³. მკაცრად დაზარალებულ მხარეთა შესახებ აღნიშნული ვითარება ძირითადად ქვემო ქართლზე უნდა ვაგვრცელდეს, ლეკნი და ოსმალნი „აიხრებდნენ ქართლ-კახეთსა და უფროსად სომხით-საბარათიანოს“ — ნათქვამი აქვს ამ პერიოდის შესახებ ისტორიკოს ომან ხერ-

¹ ნაშრომი ვმყარება იმ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც შერგებილ იქნა ალგეთის ხეობაში 1948—49 წლებში, ქვემო ქართლის ექსპედიციაში მონაწილეობის დროს. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

² ქვემო ქართლი გარკვეული დროიდან მოკიდებული უპირატესად სომხით-საბარათიანოს სახელწოდებით იხსენიებოდა.

³ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბილისი, 1946, გვ. 374.

ხეულძეს¹. „ვემა ლეკთაგან მარადის“ იქამდე მივიდა, რომ „ქორონიკონს უმე—როგორც პაპუნა ორბელიანი ამბობს—დაიცალა საბარათაშვილთა მსახურის ხით, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთავებში აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს“².

სომხით-საბარათიანოს, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ერეკლე პირველის მეფობაში (1688—1703 წლებში) დაეტყო მოსახლეობის შეთხელება; ვახტანგ მეექვსის ბატონობის დროსაც კი ვეღარ მოხერხდა ქართლიდან კახეთს გახიზნული ყმა-გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის უკან დაბრუნება³. იმდენად სერიოზული ყოფილა ხალხის შემცირებით გამოწვეული შედეგები, რომ ვახტანგ მეფის კანონმდებლობას ეს გარემოება სათანადოდ გაუთვალისწინებია—მოსახლეობის მოზიდვის მიზნით, ახალმოსული კაცისათვის საგანგებო შეღავათები დაუწესებიათ⁴. მეკომურთა აყრისა და ცალკეულ პირთა გაქცევის შემთხვევებმა, როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლის მოსახლეობა მე-17 საუკუნის ბოლო წლებისათვის გარკვეულად შეამცირა, მე-18 საუკუნის ზემოხსენებულ პერიოდში შექმნილმა მდგომარეობამ კი ის საგრძნობლად გააპარტახა.

ალგეთის ხეობაში შენორჩენილი ნასახლარების, სოფლებთან და ნასოფლარებთან წარმოდგენილი ძველი სასაფლაოების, გაველურებული ბაღ-ვენახების, ქვევრ-საწნახელებისა და ხალხის ყოფისათვის დამახასიათებელი სხვა ელემენტების დიდი უმრავლესობა, ძირითადად, შემოაღნიშნული კატასტროფის ნაკვალევი უნდა იყოს, ის ძველი მოსახლეობის დამუწვევულ გარდმონაშთს უნდა წარმოადგენდეს. ამ სავარაუდო მოსაზრებას დამაჯერებლად ხდის ალგეთის მკვიდრთა შორის შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა, მათში შემონახული მრავალი რეალური გადმოცემა. ძველი მოსახლეობის ეთნოგრაფიული წარსულის წინასწარ გარკვევას დიდ სამსახურს უწევენ ცოცხალი ფაქტები—ფარცხისში, საღირაშენში, ჩხიკვათაში, ტბისში, შავსაყდარში, ბოგვში, ამჟამად ჯორჯიაშვილის სახელით ცნობილ დიდ ენაგეთში, პატარა ენაგეთში, არდასუბანში, ბორბალში, ერტისში, ლოუბანში, ვაშლოვანში, გოლთეთში, დურნუჯში, ქსოვრეთში ლორისთავში, ვაკეში, ქალასა და ხოპისში შეგროვებული ეთნოგრაფიული ცნობები.

ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ალგეთის მცხოვრებთა ერთი ნაწილი ქართველგადავლილი მიწა-წყლის ძველ მოსახლეობად უნდა ჩავთვალოთ, ამ ხეობის ბერძენი ქართული სოფლის წარმოქმნა კი მოგვიანო დროის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ.

დასაბუთებას არ საჭიროებს უცხო წარმოშობის ხალხთა გამოჩენის გვიანდლეობა—დალეთისა და დურნუჯის სომხები, ქოთიშისა და წინწყაროს ბერძენები⁵, ისევე როგორც ქვემო ქართლის სხვა სომხურ-ბერძნულ სოფელთა

¹ ო მ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა, ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეთათხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან სანკტ-პეტერბურგს, 1854, გვ. 476.

² პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს ცხოვრება,—ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, გვ. 473.

³ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, გვ. 361—362.

⁴ დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1886,—კდ. ახალის მოსულის კაცისათვის, გვ. 11.

⁵ გერმანელების ყოფილი კოლანია ქოთიში რანდენიმე წელიწადია რაც წინწყაროდან გადმოსახლებული ბერძენების ადგილსამყოფელად იქცა.



მცხოვრებნი, წარსული საუკუნის 30-იან წლებში მოგვლინენ ქვემოქართლის ტერიტორიას. როგორც ცნობილია, ამ საუკუნიდან გამოჩნდნენ ტყუპბრცხაოსებიც, რამდენადაც ვიცით, მისიურად მე-19—20 საუკუნეებში შემოსახლდნენ.

გვიან დაბინავდა ალგეთის ხეობაში მთიულების სახით წარმოდგენილი ქართული მოსახლეობაც. ხობისის, ამლივის, ქსოვრეთის, ჭალის, ვაკეს და ლორისთვის მთიულთა შორის ფიქსირებული მასალის მიხედვით, ამ სოფლების დასახლება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა იყოს დაწყებული; ბუქლულეთი, ზირბითი, საფუძრები, კოდისწყარო, კინჭრანი, ნამტვრინი და სხვა მთიულური სოფლებიც, როგორც ვადმოგვეცემენ, ამავე პერიოდში უნდა იყოს მოშენებული. მთიულთა ჩამოსახლების ცალკეული შემთხვევები უფრო ადრეული პერიოდისათვისაც რომ ვივარაუდოთ, წინამორბედ საუკუნეს მაინც ვერ გავცდებით. ჩვენი კვლევის ობიექტს ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობის შთამომავალთ მათ შორის ვერ მოვხვებით.

პატარა ენაგეთს, არდასუბანს, ვაშლოვანს და ქართულად მეტყველი გრიგორიანებით დასახლებულ სხვა სოფლებს, ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მიხედვით თუ ვიმჯგელებთ, მეტად საყურადღებო ცნობების მოცემა შეუძლიათ ალგეთის ხეობის ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხთა გასარკვევად. ჩვენს განკარგულებაში მყოფი ეთნოგრაფიული ფაქტები ქართულად მოლაპარაკე ალგეთელ გრიგორიანებს ქვემოქართლის მცხოვრებთა ერთ ძველ ფენად წარმოგვიდგენს: ასუერეთია ამ შემთხვევაში, — ძირითადად სარწმუნეობაშემოცვილი ქართველობასთან გვაქვს საქმე (ეს აკად. ნ. ბერძენიშვილის სავარაუდო მოსაზრებაა), შედარებით გვიან მოსულ და შემდეგ გაქართველებულ მოსახლეობასთან თუ ორივესთან ერთად.

აყრასა და განადგურებას გადაარჩენილი მოსახლეობა ძველი ალგეთის რამდენიმე სოფელშია თავმოყრილი. ამ სოფელთაგან პირველ რიგში უნდა დავსახელოთ: მარაბდა, კოლა, ბორბალა, ერთისი, ლოჭისი, ძველი ზირბითი, პატარა თონეთი ანუ დვალთა, დიდი თონეთი, გოხნარი და ნაწილობრივ აბრამეთი¹. ადრინდელი მოსახლეობის ფრაგმენტები, მეტ-ნაკლები რაოდენობით, სხვა სოფლებში არის მიმოზნეული, ამ სოფელთა რიცხვს ეკუთვნის: გოლთეთი, ტბისი, ფარცხისი, საღირაშენი ანუ არაშენდა, ბოჯვი, დიდი ენაგეთი, ჩხიკვათა და შავსაყდარი, ნაწილობრივ — დურნუკი და მანევანი.

ახლაზან ჩამოთვლილი სოფლებია დიდი უპრავლესობა იქნებ საუკუნენახევარზე მეტი ხნისაკაა. მაგრამ ზემოხაზვებულ სოფლებთან შედარებით ყოველი მათგანი ახალგაზრდაა. მსგავსი სახელწოდების სოფლები ძველი დროის ალგეთის ხეობაშიც არსებობდნენ, მაგრამ ისინი ისტორიული ბედუქულმართობის შედეგად წაილეკნენ, დღევანდელი სოფლები მათ ნანგრევებზე აღმოცენდნენ. ჩვენი დროის საღირაშენი, მცხოვრებთა შედგენილობის მხრივ, ის საღირაშენი არ არის, სადაც 288 ქორონიკონს (1600 წელს) საომრად გამზადებული სიმონ მეფის ლაშქარი შემოკრბა; არც სოფელი ფარცხისია ის ფარცხისი, სადაც სამშობლოსათვის თავდადებული რაინდი ოსმალთაგან და-

¹ აქ მოხსენებული ზოგიერთი სოფლის მცხოვრებნი სხვა სოფლებშიც გადასულან. შვიდიოდე წლის წინ რამდენიმე კომლი ერთსიდან წასულა და რაჭველებთან ერთად გერმანელების ყოფილ კოლონიავში — ასურეთში დასახლებულა; ლოჭანის მცხოვრებთა ერთი ნაწილი, დაახლოებით ოცდაათი წლის წინ, გარდაბანის რაიონში დაბინავებულა.

ტყვედა¹. ავად თუ კარვად, ალბათ კვლავ ძველი ტბისი განაგრძობდა მისი სტრუქტურას მე-18 საუკუნის ორმოციან წლებში, როცა ერეკლე მეორე ბერძენულ-საქონლურ შებენა; ფარცხიანშიც ამ დროს, ჩვენის ფიქრით, ისევ ძველი მოსახლეობა ბოგინობდა². ეგვევი შეიძლება აღინიშნოს ჩხიკეთისა და ენაგეთის შესახებ, რომ აღარა ვთქვათ—რა დურნუკზე და ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ სხვა სოფლებზე.

მცხოვრებთა მასიური შემცირების პროცესი, სოფლების ნასოფლარებამდე ქცევის პროცესი, თუ გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით ვიმჯგულებთ, მე-18 საუკუნის სამოციან წლებამდეა სავარაუდებელი (ნასყიდობის წიგნები და სხვა ხასიათის საბუთები, სადაც მოსალოდნელი იყო, რომ ალგეთის ხეობის ეს სოფლები იქნებოდა მოხსენიებული, მომდევნო პერიოდისათვის შესამჩნევად მცირდება, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რამ იშვიათად გვხვდება). ერეკლე მეფის მიერ დამშვიდებულ ქართლ-კახეთში, მე-18 საუკუნის სამოციანითან და ოთხმოციან წლებში, ხალხის ხელაღებით აყრის საფუძველი უკვე აღარ არსებობდა. ყმის დროებით თუ საწუღამოდ წასვლის ცალკეულ შემთხვევებს კიდევ ჰქონდა ადგილი³, მაგრამ ყმების მოყვანისა და დაბრუნების შემთხვევებიც არ იყო გამორიცხული.

ქვემო ქართლის ფეოდალების ზოგადი წუხილი, მწარმოებელი ძალის დაკარგვით გამოწვეული, მე-18 საუკუნის უკანასკნელ ოცეულში, როგორც ჩანს, რეალურ მცდელობაში გადავიდა. დარეჯან დედოფლისადმი მირთმეულ არზაში, 1797 წლით დათარიღებულ არზაში, თავადი დათუა გოატაშაბიშვილი, ლაპარაკობს რა სომხით-საბარათიანოს ყმათა დაფანტულობაზე („ჩემო ხელმწიფევე, მოგახსენებთ, მთელი სომხით-საბარათოსშვილისა, თავადისაც და აზნაურშვილისაც ყმა სულ დაფანტული გახლავთ ქართლში და კახეთში“), დედოფალს დახმარებას სთხოვს ვინმე ნინია ელიოზიშვილთან მიკედლებული ერთი კომლი ყმის უკან დაბრუნებაში⁴. 1799 წელს გაგზავნილ არზაში, დავით გოატაშაბიშვილი (იქნებ იგივე დათუა გოატაშაბიშვილი) ველისციხეში გაპარულ ბიჭზე ჩივის და დედოფლისაგან წყალობის ოქმს თხოულობს სვიმონ მოურავის სახელზე⁵. დედოფალი ორივე შემთხვევაში ავმაყოფილებს ფეოდალს, სათანადო მსვლელობას აძლევს მის საჩივარს.

დათუა გოატაშაბიშვილის ყმებზეა ლაპარაკი დავით ბატონიშვილის წერილშიც (1797 წ.)—ბატონიშვილი კატეგორიულად მოითხოვს ასითათისაგან, რომ მასთან მყოფნი დათუა გოატაშაბიშვილია კაცნი დაუბრკოლებლივ ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებას, დროზე იხდიდნენ ბატონისათვის განკუთვნილ გადასახადს („ამითა გაურიგებლობა და გამოურთმევლობა არ იქნება. ახლავ უნდა გამოურთო, თუ არ გამოურთვი, შენგან გვეწყინებაო“).⁶

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, ცხოვრება ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, გვ. 33.

² პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, გვ. 408.

³ მაგალითისათვის იხ. პირობის წიგნი წერაქველ აკოფას მიერ გოსტაშაბიშვილ ერასტისა და ივანესადმი მიცემული; თავდებობის წიგნი, ფეთხანის დეკანოზისშვილი ჯერ სტეფანას მიერ ტეტია გოსტაშაბიშვილისადმი მიცემული (საქართველოს სიძველენი, ტომი I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1920, გვ. 160, 161).

⁴ საქართველოს სიძველენი, ტომი I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1920, გვ. 164—165.

⁵ იქვე, გვ. 165.

⁶ იქვე, გვ. 162—163.



1790 წელს შედგენილი პირობის წიგნით კალატოზი სტეფანე (მანუჩი) ლი დანაშაულის შენდობას ითხოვს მებატონე ერასტი გოსტაშაძის შვილისა და თანაც სიტყვის აძლევს მას, რომ თავის მამულში დაბრუნდება. ყმა ბატონს პირდება ყოველწლიურად ფულის მირთმევას, საშობაო და სააღდგომო ძღვენის მიტანას, სასოფლო შესაწერი ხარჯის გაღებას¹.

ნავთლულელი ჯირაშნისშვილი ბერუა და აქვე მცხოვრები ვალუსტაშვილი გოგია თავდებობის წიგნს აძლევენ დავით გოსტაშაძისშვილს—„თქვენს ყმას წერაქველს თათულას, იმის მშებს პეპუნას და გიუას თავდებსა სთხოვდით, ნავთლულს დგანანო, იქიდან არ აიყარნენ და არსად წაივინდნო, დაროდეს ჩემს ქვეყანაში გავიდე, ისინიც აიყარნენ და ჩემთან წამოვიდნენ“ ჩვენც ეს თავდებობის წიგნი მოგვციაო—აღნიშნავენ ზემოხსენებული პირნი—და თან დასძენენ: ნავთლულს მყოფი თქვენი ყმები ყოველწლიურად განსაზღვრული რაოდენობის, ქერით, პურით, ბზითა და შეშა-ფიჩხით მოგემსახურებიანო².

ისტორიულ დოკუმენტებში შემონახულ ფრაგმენტულ ცნობებს ალგეთის ხეობაში შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალა ავსებს; ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვითაც, ვადაშენებული სოფლების ხელახალი დასახლების თავდაპირველი და ძირითადი პროცესი მე-18 საუკუნის ბოლო ხანისათვის და მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის არის სავარაუდებელი. დაქსაქსული გლეხების მცირეოდენი ნაწილი ამ დროს უნდა იყოს დაბრუნებული, სცილდით მოყვანილი თუ გამოქცევის გზით მოსული ყმა-გლეხობაც ამ დროს უნდა იყოს დასახლებული, ადრე მოშენებულმა სოფლებმა, როგორც ვხედავთ, არსებობის ხანგრძლივი პერიოდი განვლეს; ამიტომაც არის, რომ მათ ალგეთელთა თვალში ძველი სოფლების სახელი დაიმსახურეს.

ნათლად ჩანს, რომ ამ სოფლების მოშენებაში საქართველოს ბევრ კუთხეს მიუღია მონაწილეობა: შიდა ქართლს, კახეთს, იმერეთს და მესხეთ-ჯავახეთს. აქვე მოუყრიათ თავი თბილისის გარეუბნებიდან გადმოსულ მოსახლეებს და თვით ალგეთის ხეობის მახლობელი თუ შორეული სოფლებიდან მოსულ ვაგრებს.

ყველაზე ადრე დამკვიდრებულ მცხოვრებელთა შორის ორ ძირითად ნაკადს ვამჩნევთ: საბარათიანოს ბატონების მიერ მოყვანილებს ანუ „მოგრეკილებს“, როგორც ადგილობრივ იტყვიან ხოლმე, და თავისი სურვილით მოსულებს (უმთავრესად სხვა კუთხის ბატონებისაგან გამოქცეულებს); ეს უკანასკნელნი, როგორც ჩანს, ალგეთის ხეობის დასახლებულ სოფლებში ხალხის ნაყლებობის გაშს მოსულან და, სავანგებოდ მოყვანილებთან ერთად, მკვიდრი ყმებისათვის განუთენილი უფლებებით დასახლებულან. შედარებით მოგვიანო ხანაში მათ სხვებიც მიმატებიან, მაგრამ სწორედ ამ დაგვიანებულობის გამო, ახალმოსულებს სათანადო უფლებები ვეღარ მოუპოვებიათ. პირველი რიგით მოსული მოსახლენი მამულიანები ვამხდარან. მეორენი კი უმამულოებად დარჩენილან. პირველნი, როგორც ვადმოგვცემენ, ბინადართა და მეკომურთა სახელს ატარებდნენ, მეორენი კი, ბოლო დრომდე, მდგმურებად და ეულებად იწოდებოდნენ. ეულების მოსვლასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, შეიძლება დაახ-

¹ საქართველოს სიძველენი, ტომი I, ვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1920, გვ. 159-160.

² იქვე, გვ. 166.

ლოებით დადგინდეს პირვანდელ მოახალშენთა საბოლოო დასახლებების, გოლთეთელი ყაზიშვილები, სალირაშენელი ბაიდარაშვილები, შავსაყდარელი ბასილაშვილები და სხვანი მთბრობლების¹ სარწმუნო ვარაუდს თუ გავითვალისწინებთ, ას წელიწადზე მეტია რაც აქ მოსულან, მაგრამ იმავეითვე ეულების რიცხვში მოქცეულან. არსენას დროს აყრილი და მარაბდიდან ჩიხკვთას გადმოსახლებული ოძელაშვილებიც კი ეულებად დარჩენილან.

ტბელი მთბრობლების სიტყვით, მათმა თანასოფელმა—რამდენიმე წლის წინ გაბრდაცულია გულვერდაშვილმა (რომელიც ცოცხალი რომ დარჩენილიყო, როგორც ისინი ამბობენ, ალბათ ას ორმოცდაათ წელს მიატანდა) კარგად იცოდა მამა-პაპის გადმოცემები. ტბისის დაარსების ამბები. გაზვიადებულიც რომ იყოს გულვერდაშვილის წლოვანება, ერთი საყურადღებო გარემოება მაინც რჩება: ღრმად მოხუცი ადამიანი ტბისის დასახლების ისტორიას იცნობდა გადმოცემით, მოყოლილი ამბით და არა მოსწრებით. ასეთ-სავე ყურადღებას იმსახურებს სხვა სოფლების შესახებ აღნიშნული ცნობები, ოთხმოცსა და ას წელს გადაცილებული მოხუცების—შავსაყდრელი კედელაშვილის, ენაგეთელი შირიაშვილის, ჩიხკეთელი ოძელაშვილის, ბორბალელი ასლანაშვილის და სხვა ჭარმაგი და ხანში შესული მთბრობლების ნაამბობი¹.

1. აბულაშვილი ალექსა გიგოს ძე, 76 წ., სოფ. ლოუბანი.
2. აბულაძე კონსტანტინე ივანეს ძე, 33 წ., სოფ. შავსაყდარი.
3. ალიხანოვი ლევანა პეპანას ძე, 66 წ., სოფ. პატარა ენაგეთი.
4. ასლანიშვილი ტიგრანა ასლანას ძე, 100 წ., სოფ. ბორბალა.
5. ასრაკაძე შაქრო ვანოს ძე, 63 წ., სოფ. ფარცხისი.
6. აღდგომლიშვილი ვასო ანდრიას ძე, 60 წ., სოფ. ერთისი.
7. ბასილაშვილი დათა ზაქარას ძე, 62 წ., სოფ. შავსაყდარი.
8. ბაიდარაშვილი სანდრო ზაქარას ძე, 80 წ., სოფ. ჩიხკვათა.
9. ბაიდარაშვილი მიხა გიორგის ძე, 54 წ., სოფ. სალირაშენი.
10. ბეკარაშვილი კეკელა გაბოს ასული, 80 წ., სოფ. გოლთეთი.
11. ბერიძე გონლა ვასილის ძე, 54 წ., სოფ. ფარცხისი.
12. ბერიძე თედო ვასილის ძე, 72 წ., სოფ. ფარცხისი.
13. ბაღდასარაშვილი გეურქა მინას ძე, 70 წ., სოფ. მუხათი.
14. ბეჯანაშვილი სერგო გიორგის ძე, 80 წ., სოფ. პატარა ენაგეთი.
15. გიგაური ვანუა სარქისას ძე, 82 წ., სოფ. ვაშლოვანი.
16. გონგაძე გოლა მიხას ძე, 73 წ., სოფ. ფარცხისი.
17. გონგაძე შაშო კაკოლას ძე, 68 წ., სოფ. ფარცხისი.
18. გოგოლაური მარტია იასეს ძე, 69 წ., სოფ. ხოპისი.
19. გიგაური ვარდო გოგლას ძე, 44 წ., სოფ. ვაშლოვანი.
20. გულვერდაშვილი დათა ვასილის ძე, 52 წ., სოფ. ტბისი.
21. დავითაშვილი ლევანი მიხას ძე, 65 წ., სოფ. დიდი ენაგეთი.
22. დავიძე გიორგი სოლომონის ძე, 90 წ., სოფ. პატარა ენაგეთი.
23. დონდუაშვილი არტემი იაგორის ძე, 73 წ., სოფ. დიდი ენაგეთი.
24. ებრეილიძე გიგოლა ლეთისავარის ძე, 90 წ., სოფ. ხოპისი.
25. ინაშვილი მიხა ალექსის ძე, 28 წ., სოფ. შავსაყდარი.
26. კედელაშვილი გიორგი დავითის ძე, 82 წ., სოფ. შავსაყდარი.
27. კობაიძე დიმიტრი შიოს ძე, 80 წ., სოფ. ქსოვრეთი.

¹ აქვე წარმოვადგენთ ალგეთის ხეობის მთბრობელთა სიას.



28. კენებაშვილი გოლა ნიკოს ძე, 80 წ., სოფ. ლოუბანი.
29. მამაჯანოვი ლევანი არტემის ძე, 48 წ., სოფ. საღირაშენი.
30. მაჭკალოვი კონუა სალუას ძე, 90 წ., სოფ. არდისუბანი.
31. მაჭკალოვი ბაგრატა არტემას ძე, 61 წ., სოფ. არდისუბანი.
32. მესტიერიშვილი დათიკო სანდროს ძე, 52 წ., სოფ. პატარა ენაგეთი.
33. მანთაშაშვილი ვანუა გიორგას ძე, 72 წ., სოფ. ვაშლოვანი.
34. მიკირტუმაშვილი სოლიკო არშაკას ძე, 66 წ., სოფ. ვაშლოვანი.
35. მჭედლიშვილი სიმონი ზურაბის ძე, 75 წ., სოფ. საღირაშენი.
36. მჭედლიშვილი კოლა გიორგის ძე, 52 წ., სოფ. საღირაშენი.
37. ნინიევი ათანე ივანეს ძე, 56 წ., სოფ. ფარცხისი.
38. ნინიაშვილი კოტე იაკობის ძე, 66 წ., სოფ. სიღირაშენი.
39. ოჯანოვი ზაქარა სოლომონის ძე, 87 წ., სოფ. არდისუბანი.
40. ომელაშვილი გიორგი იოსების ძე, 106 წ., სოფ. ჩხიკვთა.
41. პატიაშვილი ილო ესტატეს ძე, 58 წ., სოფ. შავსაყდარი.
42. პეტრიაშვილი სოსიკა ზაქარიას ძე, 82 წ., სოფ. დიდი ენაგეთი.
43. სულხანიშვილი პეტრე მათეს ძე, 82 წ., სოფ. ლოუბანი.
44. სუხიაშვილი არსენა დავითის ძე, 54 წ., სოფ. დიდი ენაგეთი.
45. ფარაჯანაშვილი გიგოლა აბრამას ძე, 62 წ., სოფ. ტბისი.
46. ფარაჯანაშვილი არჩილა გიგოლას ძე, 24 წ., სოფ. ტბისი.
47. ყაზიშვილი ნიკო გიორგის ძე, 72 წ., სოფ. გოლთეთი.
48. ყაზიშვილი გიგო ალექსის ძე, 36 წ., სოფ. გოლთეთი.
49. ყურღანაშვილი (ყორღანოვი) სოლომონი ალექსანდრეს ძე, 72 წ., სოფ. პატარა ენაგეთი.

50. შიხიაშვილი ვანო სოსიას ძე, 88 წ., სოფ. დიდი ენაგეთი.
51. ჩადუნაშვილი დათა გივის ძე, 60 წ., სოფ. საღირაშენი.
52. წითრაულიშვილი ჩიხა, 60 წ., სოფ. გოლთეთი.
53. ჯირაშვილი ვასილი მიხეილის ძე, 68 წ., სოფ. დურნუკი.

ალგეთელი მთხრობლების მსჯელობა, როცა ის ამა თუ იმ გვარის წარმომავლობას შეეხება, ზოგჯერ დაბეჯითებითია, ზოგჯერ სარწმუნო საეარაუდო, ზოგ შემთხვევაში კი გაურკვეველი. ორკოფობისა და გაურკვეველობის შემთხვევებში, როგორც არა ერთხელ აღუნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილს, მკვლევარს დახმარებას უწევს ხალხის იდეოლოგიური ყოფის ერთი მნიშვნელოვანი მხარე—გადმოცემა ან პირდაპირი ცნობა მათი სალოცავების შეახებ.

ალგეთის ხეობის ამა თუ იმ სოფელში წარმოდგენილი ზოგიერთი გვარის შორეული მხარეებიდან მოსვლა ან ამავე ხეობის მეზობელი სოფლებიდან გადმოსვლა, ზესიძეობის მიზეზით თუ სხვაგვარი ვითარების გამო. ჩვენი მთხრობლების მახსოვრობაშია მომხდარი, მათ უახლოეს სადაურობას საგანგებო ძიება აღარ სჭირდება ხოლმე და აღინიშნება როგორც ერთობ ცნობილი ფაქტი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კახეთიდან მოსული კოლაშვილი, მცხეთელი თუ მარაბდელი ქვრივიძე, მაწვენელი ადღაშვილი და მახარაშვილი—გვიან მოვლენილი გვარებია სოფელ გოლთეთისათვის, მაშინ ტიკურიშვილი, ბეკარაშვილი, ბასილაშვილი, წითრაულიშვილი, ბეჟუაშვილი, თიგიშვილი და ყაზიშვილი—დღევანდელი გოლთეთის ფუძემდებელ გვარებად უნდა მივიჩნიოთ. ყველა გვარის წარმომავლობას გოლთეთელები ქართლს

უკავშირებენ¹, ისინი ზოგიერთი გვარის ტომობრივ და ეთნიურ წარმოშობაში ბილოზაზედაც ნიუთითებენ: ბეკარაშვილების გვარი, მაგალითად, მთრულე რიაო (ქართლის მთიულეები არიანო), ყაზიშვილებისა კი ოსურით—აღნიშნავენ დასახელებული სოფლის მცხოვრებლები. ჩვენი დროის გოლთეთი ალგეთის ხეობის ქართული სოფლების ერთი ჩვეულებრივი წარმომადგენელია, შედარებით ადრე მოწინებულ სოფელთა შორის ის ყველაზე მცირე ხნისაა. საგინაშვილი, რამაზაშვილი, ბაიდარაშვილი, დავითაშვილი, ოძელაშვილი, გაგელიძე და მახლაურიძე—ჩხიკვაში მცხოვრები გვარებია. უდავოა, რომ საგინაშვილების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ჩხიკეთის ძველი მეზატონების უკანასკნელ წარმომადგენლებთან; უდავოა აგრეთვე ოძელაშვილთა მარაბდელობაც,—საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ისინი მარაბდიდან გამოდევნილი ოძელაშვილების შთამომავალი არიან. მახლაურიძეებს ქართლიდან მოსულებად სთვლიან. გაგელიძეების, რამაზაშვილების, ბაიდარაშვილებისა და დავითაშვილების შესახებ კი სავარაუდო მოსაზრებას ვამოთქვამენ: კარგად არ იციან, ეს უკანასკნელნი ალგეთელი არიან თუ სხვა მხარეებიდან მოსულნი. მათ მოსულობასთან დაკავშირებული რწმენა თითქოს უფრო ფესვგამდგარი მოჩანს.

ტბელ მოხუცებს ღრმად სწამთ, რომ მათ სოფელში მცხოვრები შვიდი გვარიდან—სამი თავდაპირველად არის დაბინავებული, ოთხი კი გვიან არის შემომატებული. ბაიდარაშვილები და დავითაშვილები ჩხიკეთელები არიანო², გოგიაშვილები ბოდბიდან მოვიდნენო, ადამაშვილები კი—მაწვენიდანო. მაწვენის ეთნოგრაფიული შესწავლა დაგვანახებს, რომ ტბისში მოსული ადამაშვილები, გოლთეთში გადასული ადუაშვილები და ამ სოფელში მყოფი სხვა გვარები ალგეთელები არიან წარმოშობით თუ სხვა კუთხეებიდან შემოკრებილი³, ყველაზე ადრე დასახელებულ გვარებად გულვერდაშვილები, ფარაჯანაშვილები და ყაყაჩაშვილები ითვლებიან. ხალხში გაბატონებული აზრის მიხედვით, ისინი კაცა ბარათაშვილს მიუყვანია; ახალმოყვანილი მეზატონის ჯერ ალგეთის პირას დაუსახლებია, შემდეგ კი ზევით—თავისი საცხოვრებლის მახლობლად „აუბატიენიათ“ სახელის გამო, ალბათ, ბატონებისათვის კაცაშვილი შეურქმევიათ და ტბისისთვისაც კაცაანთ სოფელი უწოდებიათ. ზემოდასახელებული სამი გვარიდან, გულვერდაშვილების გვარს, თვით გულვერდაშვილებიცა და სხვებიც, მარაბდის მკვიდრ გვარად მიიჩნევენ, ფარაჯანაშვილებსა და ყაყაჩაშვილებს კი ქართლიდან მოყვანილი ყმების შთამომავლებად⁴. მრავალნაირი წარმოშობის გვართა თავყრილობაა წარმოდგენილი ისტორიულადაც და ამჟამადაც ერთმანეთის გვერდით განლაგებულ სოფელში—ფარცხისსა და საღირაშენში. ამ სოფლების მოსახლეობაში, დასახლების დროისა და სადაურობის მიხედვით, რამდენიმენაირი დაფენება შეიმჩნევა; ზოგიერთი გვარის ვინაობა ყველასათვის არის ცნობილი, ზოგიერთის ვინაო-

¹ სახელწოდება „ქართლს“ უმთავრესად შიდა ქართლის გაგებით ხმარობენ.

² ჩხიკეთელი და ტბელი დავითაშვილები (ერთის მხრივ) და ჩხიკეთელი და ტბელი ბაიდარაშვილები (მეორეს მხრივ) გვაროვნული ნათესაობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული; ამ მხრივ არაფერი ჰქონიათ ერთმანეთთან საერთო ჩხიკეთელ და საღირაშენელ ბაიდარაშვილებს.

³ ამბობენ, რომ ადამაშვილები გომარეთიდან მოვიდნენ მაწვენში.

⁴ ყაყაჩაშვილები ჯერ მარაბდაში მოუყვანიათ და მერე ტბისში.

ბა კი ძიების გზით ირკვევა. როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ამ და ამ გვარის სადასურობა კარგად არის ცნობილიო, — აქ, რა თქმა უნდა, უკანასკნელ წლებში მომხდარ ამბებს არ ვგულისხმობთ. მცირეოდენი გამოჩაჩისების გარდა, ხშირ შემთხვევაში ჩვენ ახლანდელი ხნიერი გლეხაკების პაპები და მამები ვყავს მხედველობაში, ზოგჯერ კი იქნებ უფრო შორეული წინაპარიც. ხანგრძლივი დროის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ამ გვარებთან დაკავშირებული ესა თუ ის გადმოცემა, ალგეთის ხეობის სინამდვილეში შექმნილი გადმოცემა. ფარცხისში ზღაპარივითაა დარჩენილი ამბავი მონგაძეების ერთ-ერთ წინაპარ ქალზე — ლეკებთან მებრძოლ მარაზე. ამის გამო ეძახიან გონდაძეებს ლეკბარიანთო — გადმოგვეცემენ ფარცხისელი მთხრობლები¹.

შემოაღწეული თანაბრად ეხება ფარცხის — საღირაშენსაც და ჩვენ მიერ შესწავლილ სხვა სოფლებსაც. დაბეჯითებით იცინა, რომ ზოგი გვარი ოსური წარმოშობისაა, ასეთია ნინიევი — ფარცხისში და მიდლაშვილი — საღირაშენში. ფარცხისელი ხანდაზოგები წარმოშობით კოდელი გრიგორიანები არიან, საღირაშენელი ბაიდარაშვილები კი — კახელები (ბოდბისხეველები). იმერეთიდან რაჭიდან და დას. საქართველოს სხვა კუთხეებიდან არიან გადმოსულები ხომასურიძეები; გონგაძეები, ნიროტიძეები, წულაძეები, ქებაძეები, ბერიძეები და მათგან გამოჩაჩოფი ადოლაშვილები — ფარცხისში, ცქრილაძეები და ასათიანები — საღირაშენში. მათი წინაპრები, თურქ, დროდადრო მამა-პაპის სალოცავებსაც ნახულობდნენ.

საღირაშენელ ბაიდარაშვილებს კახელებად სთვლიან (ბოდბისხეველებად). ფარცხისელ ლომთაძეებზე ქართულობას ამბობენ, შერქმეულ გვარად მათ ქართულაანთაც უწოდებენ.

საღირაშენელი ნინიკაშვილები თავიანთ აღრინდელ სამშობლოდ ქართლის სოფელ ქვათახევს ასახელებენ², ამ გვარის მოხუცი წარმომადგენლების პაპის პაპათა მოსვლაზე ლაპარაკობენ. როდესაც საუბარი შორეულ წარსულს ეხება, ჩვენი მთხრობლების მეტყველებაში განოთქმა „ჩვენი პაპა“ და „ჩვენი პაპის-პაპა“, ხშირად თუ არა ზოგჯერ მაინც, ზოგადად შორეულ წინაპარს აღნიშნავს და არა ნამდვილად პაპს ან პაპის-პაპას. ამ შემთხვევაში ნინიკაშვილთა შორეული წინაპრის მოსვლაზეა ლაპარაკი, თუმც არ არის გამოცხადებული იმის შესაძლებლობა, რომ ეს წინაპარი სწორედ მათი პაპის-პაპა იყო და არა სხვა ვინმე. ამ მხრივ მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ბირთვისების ბრძოლებთან დაკავშირებულს ერთ-ერთ ამბავში, თუნდაც ვაზლბარბეულ ამბავში, ნინიკაშვილია მოხსენებული: ბირთვისებში გამაგრებული ხალხის დავალებით — აღნიშნავენ შესაყდრელი მთხრობლები — ნინიკაანთ კაცმა ყმების სყიდვას მიჩვეული მემატონე ბირთვისების კოშკიდან გადმოავლო.

შემოსახლებულ გვართა რიცხვში ხვდება გრიგორიანული სარწმუნეობის ის ორი გვარი, რომელთაგან ერთი საღირაშენშია დასახლებული (მამაჯანოვი) და მეორე — ფარცხისში (ხანდამოვი).

¹ ჩვენი მთხრობლები იმერეთს იხსენიებენ მთელი დას. საქართველოს გაგებით; იმერეთიდან მოსულებად სთვლიან საკუთრივ იმერეთიდან, რაჭიდან და დას. საქართველოს სხვა კუთხეებიდან გადმოსულ გვარებს.

² ქვათახევი ნ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ყოფილან, აქ კი ნ ი ნ ი კ ა შ ვ ი ლ ე ბ ა დ დაწერილანო.

სალირაშენში მცხოვრებმა მკვლღიშვილებმა დარწმუნებით იტყვიან, რომ მათ ოდესღაც კახეთში უცხოვრიათ, რომ ისინი ბატონს შეუსყიდნია და აქ მოუყვანია. ამ საგვარეულოს ზოგიერთმა უხუცესმა წევრმა ისიც იცის, რომ მკვლღიშვილებს ჯერ ბეთანიის მახლობლად უცხოვრიათ, ისინი „ბეთანიის საყდრის ყმანი ყოფილან“. ხსენებული ადგილ-მამული რომელიღაც მეზატონის ხელში გადასულა და მკვლღიშვილებიც, ამის გამო, კახეთს გაქცეულან. ფეოდალს დაკარგული ყმები მოუძებნია და უკანვე დაუბრუნებია. ახლახან აღნიშნული ფაქტი, როგორც ფრაგმენტულიც არ უნდა იყოს ის, გაქცეული ყმების უკან დაბრუნების და ალგეთის ხეობაში დასახლების ერთი საყურადღებო მაგალითთაგანია.

ფარცხისელი ასრაკაძენი, რომლებსაც სხვანიარად კიკოლაანთაც ეძახიან¹, ალგეთის ხეობის ერთ-ერთი ძველი გვარის შთამომავლებად უნდა მივიჩნიოთ, მათი პირვანდელი ადგილსამყოფელი, როგორც თვითონ ამბობენ, ძველ ხოპისში უნდა ვეძიოთ. ასრაკაძეთა შორის, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა გვარშიც, შემონახულია საკუთარი გვარის გენეზისთან დაკავშირებული, დროთა განმავლობაში გადასხევაფერებული თუ მთლიანად გვიანდელ ხანაში შეთხზული გადმოცემა; ამ გადმოცემის მიხედვით, ასრაკაძეთა გვარის ფუძემდებელი წინაპარი სახელგანთქმულ მიწის მუშად წარმოგვიდგება.

სალირაშენელი ადამაშვილებისა და ფარცხისელი აღუაშვილების სადაურობის საკითხი, როგორც საფიქრებელია, მაწვენის ქართლული მოსახლეობის წარმოშობის საკითხთან არის გადაჯაჭვული, ისევე, როგორც ტბისში მცხოვრები ადამაშვილებისა და გოლთეთში მცხოვრები აღუაშვილებისა.

მომავლისათვის გათვალისწინებული კვლევა-ძიება ალბათ ნათელს მოფენს ძველად მოსული თუ იმთავითვე ალგეთში მომინადრე ისეთი გვარების ვინაობასაც, როგორცაა: ბეგიაშვილი, ტაველიშვილი, თაყნაშვილი და სამადალაშვილი—ფარცხისში, გოგინაშვილი, აღსაშვილი, ჩადუნიშვილი, კეკელიშვილი, წაძალაშვილი და მეგულაშვილი—სალირაშენში, აღსაშვილებისა, ბეგიაშვილებისა და ჯაველიშვილების შესახებ განსაზღვრული სახის საგარაუდლო მოსახრების გამოთქმა ახლაც შეიძლება: სახელწოდება „აღსიაანთ მიწები“ ამჟამად გვხვდება ჩიხკეთის ტოპონიმიკაში, შეუძლებელი არ არის, რომ აღსაშვილებში ჩიხკეთის ძველი მოსახლეობის ნაშთები ვიგულოთ. ფარცხისელი და ბოგველი ბეგიაშვილების ძველი სამშობლო სოფელი იქნებ ალგეთის ხეობაშივე მოეძებნოთ. თუ 1729 წლით დათარიღებულ დოკუმენტში მოხსენიებული თაფანელი ჯაველიშვილებისა და ფარცხისელი ჯაველიშვილების გვაროვნული ურთიერთკავშირის დამამტკიცებელი სხვა საბუთებიც გამოინახება, მაშინ ამ უკანასკნელთა ქვემო ქართლელობა დადებითად გადაწყდება².

დიდი ენაგეთი და ნაწილობრივ ბოგვიც მრავალგვარიანი სოფლების რიცხვს მიეკუთვნება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გრიგორიანული სარწმუნეობის მიმდევარ გვართა უმრავლესობის გვიან შემოსახლებულობის ფაქტი დავას არ იწვევს³ და ზოგიერთი ქართული გვარის დასავ-

¹ ჩვენი წინაპრები კახეთში ამინაშვილებად იწოდებოდნენო.

² ასრაკაძეთა ერთი შტო, ამჟამად უკვე კიკოლაშვილების გვარზე იწოდება.

³ საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყნაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 352.

⁴ ასეთ გვარებად იგულისხმებიან: ოგანოვი და მელქუმოვი—ბოგვეში, თათულოვი, დავრიშვი, შერეშვი და სარაპეტოვი—დიდ ენაგეთში



ლურობაც ეპეს გარეშე დგას¹, მაშინ ბოგეში მცხოვრები გვატყუებდა, თქმულება დაეასახლოთ: ბეგიაშვილი, ჩელიქაშვილი, აბულაძე, ყრიალაშვილი, თიმუშაქაშვილი, ზურაბაშვილი, თედორაშვილი, ყელბერაშვილი და გოგიაშვილი; დიდ ენაგეთში დამოწმებული გვარებიდან კი: ალხაზაშვილი, ყაზიშვილი, მელიქაშვილი, მრეგლიძე, ხუციშვილი, დონდუაშვილი, ღარიბაშვილი, სუხიტაშვილი, ამურველაშვილი, თეთრუაშვილი, ჯაშიაშვილი, შიხიაშვილი, დავითაშვილი, პეტრიაშვილი. ნონიაძე, კიკოლაშვილი, გოგიაშვილი, მენაბდიშვილი, პოილარაშვილი, პაპაშვილი, დალაქიშვილი, გოდერძაშვილი, ამონაშვილი, ქოჩორაშვილი, დარჩიაშვილი, ტორტიაშვილი და ოქუაშვილი.

რამდენიმე გვარი ბოლო დროს გადმოსულა შეზობელი სოფლებიდან, როგორც მაგ. ალხაზიშვილი და ყაზიშვილი—გოლთეთიდან, ყელბერაშვილი კი—ლოუბნიდან. ყელბერაშვილების საგვარეულო, მართლაც, სოფელ ღოუბნის ერთი ძირითადი საგვარეულოთაგანია.

თედორაშვილები, რომელთაც ახლომოსულიაანთაც უწოდებენ, კახელეები არიან, გოგიაშვილები ანუ მართალაანი კი—რუისიდან მოსული ქართლელები.

სავარაუდოდ აღნიშნავენ სუხიტაშვილების კახელობასაც, ეს თვით სუხიტაშვილებმაც არ იციან კარგად. ამ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ სათაყვანებელი ხატი მათ წვერის წმ. გიორგში ეგულებათ და არა კახეთის რომელიმე სალოცავში. წვერის წმ. გიორგში მიემართებიან გოდერძაშვილებიც, ამონაშვილებიც, მრეგლიძეებიც, ხუციშვილებიც და განსაკუთრებული საჭიროების დროს—სხვა გვარებიც.

ამურველაშვილების სამშობლოცა და სალოცავი ხატიც ერწოშია, მათ ხომ ამის გამო ერწოიანთაც ეძახიან.

ერთელებად მიჩნეულ თეთრუაშვილთა მთავარ სალოცავად ტანგაგეტის წმ. გიორგი ითვლება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი გვარი არც ერთისში და არც მის მახლობლად მდებარე სოფლებში (ბორბალაში, ღოუბანში) დღეს უკვე აღარ გვხვდება.

კარგათ ახსოვთ ენაგეთელ შიხიაშვილებს მამა-პაპისაგან გაგონილი ამბავი იმის შესახებ, რომ მათ წინათ ნავთლუბაში უცხოვრიათ, ამიტომ არის რომ თანასოფლელებს მათთვის ნათლუხელაანი შეურქმევიათ. პურძვირობაში, როგორც თვითონ ამბობენ, ისინი მარაბდის დიდ ბატონს მარაბდაში მოურეკნია, შემდეგ კი ენაგეთის თავისუფალ მიწა-წყალზე დაუსახლებია.

დაბეჯითებით ამბობენ მენაბდიშვილებზედაც, რომ ისინი კუკიდან არიანო, თუმც იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ გვარის წევრები, ქოჩორაშვილებთან ერთად, ყაზახში ლოცულობენო.

ჯაშიაშვილების სახით, როგორც ეტყობა, ენაგეთში ჯავახეთის წარმომადგენლები გვყავს, ჯაშიაშვილები ჯავახეთში მიაკითხავდნენ ხოლმე წინაპართა სალოცავს.

მარაბდიდან მოსვლას ამბობენ ენაგეთელ პეტრიაშვილებზე, გოგიაშვილებზე და კიკოლაშვილებზე. ეს გვარები, რამდენადაც ვიცით, დღესაც ცხოვრობენ ალგეთის ხეობის ძველ სოფლებში; პეტრიაშვილები, კერძოდ, ბორბალაშიც არიან და ღოუბანშიც.

¹ სარალიძე—ბოგეში, კალანდაძე და კუჭაძე—დიდ ენაგეთში—დასავლური წარმომშობის გვარებიან.

დიდ ენაგეთში ძველი ტბისის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. არიან ჯორჯიაშიც ვადარქმეული ჯორჯიაშილები¹. მიუხედავად ალგეთის ხეობაში შეიძლება ეს ერთადერთი გვარია, რომელიც ტბისის ძველი მოსახლეობიდან ვადარჩა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ტბისის ერთ-ერთ ეკლესიას ჯორჯიანთ საყდარს ეძახიან და ტბისის ხევისაც სხვაგვარად ჯორჯიანთ ხევისაც უწოდებენ. ჯორჯიაშილების ანუ ჯორჯიაშილების გვარი 1661—1671 წლის ერთ საბუღოში გვხვდება, ეს არის ასანბნევისშილებისა და გოსტაშაბისშილებისა შეთანხმების საფუძველზე შედგენილი ყმისა და მამულის მოცულობის წიგნი. ენაგეთელი ჯანისკასშილებისა და მათი ქონების სანაცვლოდ, ასანბნევისშილები გოსტაშაბისშილებს სთავაზობენ ჯორჯიაშილებსა და მათ ავლადიდებას. გოსტაშაბისშილებიც თანხმობას აცხადებენ და თავისი მხრით მსგავსი შინაარსის გაცვლილობის წიგნს ადგენენ².

იქნებ შესაძლებელი იყოს, რომ ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობის გარდმონაშთებად ვივარაუდოთ ბოგვსა და ენაგეთში მცხოვრები ზოგიერთი სხვა გვარიც. ამგვარი შესაძლებლობის შემთხვევაში ასეთ ვარაუდს ჯერჯერობით მელიქაშილების, ხუციშილების, პაპაშილებისა და ოქრუაშილების მიმართ დავუშვებდით (თუ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთ იმავე ოქრუაშილებად მივიჩნევდით). ამ გვარების ალგეთური წარმოშობილობის ზოგად ვარაუდს ისიც ემატება, რომ ზოგი დასახლებული გვარის არსებობას ძველი მოსახლეობით ცნობილ სოფლებშიც ვადასტურებთ, ზოგიერთი მათგანის სხუნებას კი ძველი საქართველოს წერილობით დოკუმენტებშიც ვხვდებით. დაუჯერებელი არ არის, რომ ბოგველ მელიქაშილებში და ენაგეთელ ხუციშილებში იველი ბოგვის მელიქაშილები და ძველი, ენაგეთის ხუციშილები დაეინახათ. გრიგორიანი მელიქაშილების გვარის კაცი ძველი ბოგვის სასაფლაოზე განისვენებს, საფლავის ქვის წარწერა გარდაცვლილ მელქო მელიქაშილის შესახებ გვაუწყებს. ხუციშილების გვარი 1643 წლის ყმისა და მამულის წყალობის წიგნშია მოხსენებული; ამ საბუთიდან ჩანს, რომ როსტომ მეფეს ფარსადან და სხვა ბარათაშვილებისათვის, საჯილდოდ ენაგეთელი ხუციშილი და ფირუაშილი უწყალობებია³.

ოქრუაშილი 1743 წელს შედგენილს ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნშია ნახსენები, პაპაშილი კი—ამავე ხასიათის 1706 წელს შედგენილს საბუთში. დასახლებული საბუთებიდან ჩანს, რომ ოქრუაშილი ჩხიკვეთელია, პაპაშილი კი—ლორისთაველი⁴.

შეკრებილი გვარებისაგან შედგება შავსაყდრის მოსახლეობაც⁵: ფეიქრი-შილები, თეგაძეები და პატიაშილები კახეთიდან არიან⁶, ბასილაშილები—

¹ ჯორჯიაშილების გვართ არსენა ყოფილა ცნობილი, არსენას სიკვიდის შემდეგ მისი მოვარეებიც ჯორჯიაშილებად დაუწერიანთ.

² საქართველოს სიძველენი, ტომი I, გ. თაკიაშილის რედაქტორობით, ტფილისი, გვ. 71; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, —ბატონყმური ურთიერთობა (XI—XVIII ს. ს). ბ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 39.

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, გვ. 27—28, საქართველოს სიძველენი, ტომი III, გვ. 143.

⁴ იქვე, გვ. 316; საქართველოს სიძველენი, ტომი II, გვ. 205.

⁵ ფეიქრიშილი მბების სამშობლო სოფელი მარტყათი ყოფილა, პატიაშილი მბისა კი—კარდანახი.

⁶ თუ, რა თქმა უნდა, აქური მცხოვრებლების ერთი ნაწილი უკან დაბრუნებული ალგეთელები არ არიან (მაგ. 1629 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ თეგაძეებს სოფ. დვალთაში უცხოვრიათ).



ვარძიდან, სულხანიშვილები—მანკოდიდან, ოპანეზოვები—დუშეთიდან, მჭედნიშვილები და ინაშვილები—ცხინვალიდან, კედელაშვილები კი—ვერის ხეცზე მდებარე ნახშირგორიდან. აღსანიშნავია, რომ კედელაშვილებს ჯერ კუქიაში ვადმოუნაცვლებიათ, შავსაყდარში კუქიიდან მოსულან.

შავსაყდარელებს ახსოვდათ, რომ მათი მამა-პაპანი, ალგეთის სალოცავებთან ერთად, წინაპრების სალოცავებსაც იგონებდნენ, ისინი დრო-დადრო იქაც მიემგზავრებოდნენ.

სოფელ დურნუჯის ქართული მოსახლეობა მხოლოდ ერთი გვარით არის წარმოდგენილი. ჯირაშვილების მოსვლით დაწყებული დურნუჯის ხელახალი დასახლება და მრავალრიცხოვანი სომხური გვარების დაბინავებით დამთავრებულა. ბატონყმობას გამოქცეულ კახელ ჯირაშვილს, სახელად მახარეს, — ვადმოკვეყნებ მისი შთამომავალნი—ჯერ კოდაზე უტედია ცხოვრება, ბოლოს კი ისიც უარუყვია და სრულიად უკაცური დურნუჯისათვის ნოუსურბია.

ქვემო ქართლის ძველი მოსახლეობის ძირითადი ბირთვი, როგორც ერ-ტისის, ლოუნის, ბორბალას და ნაწილობრივ მარაბდის შესწავლამ დაგვარწმუნა, აქა და მათი დროის სხვა სოფლებშია შემონახული (ჩვენ ისინი ზემოთ დავასახელეთ). ქართლ-კახეთიდან, იმერეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან წამოსული გვარები დროთა განმავლობაში, ამ სოფლებშიც მოსულან, მაგრამ ზემოხსენებული სოფლებიდან განსხვავებით, მათ აქ მასპინძლები დახვედრიათ. ხალხის ცოდნა და გამოცდილება ზოგად შტრიხებში მაინც, კარგად არჩევს ერთმანეთისაგან მოსულსა და დამხვედურ მოსახლეობას.

განადგურებას გადაარჩენილი სოფლების ძირითადი მკვიდრნი, და განადგურებულთა საფუძველზე მომენებულ სოფლებში დამოწმებული ადგილობრივი წარმოშობის გვარები, — ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობის უშუალო მემკვიდრეებად უნდა მივიჩნიოთ, იმ მოსახლეობის, რომლის შესახებ ცნობები, ნაწილობრივ, გარდასული საუკუნეების ქართულ წერილობით დოკუმენტებშიც არის დაცული; ალგეთის ხეობის ამა თუ იმ სოფლის მცხოვრები ზოგჯერ გვართ არის მოხსენებული, ზოგჯერ კი მამისშვილობით ან პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდებით.

ალგეთის ხეობის ზემოგანხილულ სოფლებში წარმოდგენილი, დანარჩენი გვარის ხალხი საქართველოს სხვა კუთხეებიდან შემოკრებილი და ალგეთის ხეობის ამორიგენ მცხოვრებთა ყაიდაზე გარდაქმნილი მოსახლეობაა. მათ მხოლოდ მეტ-ნაკლები სისრულის მქონე მოგონებები აქვთ შემონახული თავიანთი წარმომავლობის შესახებ. მშობლიური კუთხის სალოცავთა მოკითხვის აუცილებლობაც, ერთ დროს რეალურად მოქმედი, მცირეოდენ გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, დროთა ვითარების გამო აგრეთვე მოგონებად არის ქცეული.

ალგეთელი მოხუცების ბავშვობის ეამს სამაჩეთშიც მოდიოდნენ სალოცავად კახეთს გადახვეწილი სამაჩეთლები, მაგრამ კარგა ხანია რაც აქ ფეხი აღარავის მოუდგამს.

ალგეთის ხეობის ყველა სოფელს, ძველსაც და შემდეგ მოშენებულსაც, თავის მახლობლად ჰყავს რელიგიური თაყვანისცემის ობიექტი, თითქმის ყოველ სოფელს გააჩნია ერთი ან რამდენიმე სალოცავი.

ალგეთელებს ფართო მასშტაბით მოქმედი სალოცავებიც მოეპოვებათ — ამ მხრივ თავიანთი მნიშვნელობით ვერც ერთი მათგანი წვერის წმ. გიორგის,



ვერ შეედრება. წვერის წმ. გიორგში ალგეთის ხეობის თითქმის ყველა ქართული სოფელი ლოცულობდა, — მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის ეს ვალდებულება ყოფილა, დანარჩენთათვის კი საჭიროების მიხედვით გამოწვეული აუცილებლობა. მომავალი კვლევა-ძიება ალბათ გაარკვევს წვერის წმ. გიორგის რელიგიური ავტორიტეტის მიზეზებს, მისი გენეზისი იქნებ ალგეთის პროვინციის მეტად ძველ წარსულს უკავშირდებოდეს.

ალგეთის ხეობის მეურნეობისა და მატერიალური ყოფის შესწავლამ ცხადყო, რომ ამ მხრივაც ყველა სოფლისათვის გასაგები ერთიანობა სუფევს. ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ყოფა დომინანტობს, ქვემო ქართლის ნიადაგზე კი აღმოცენებული ტრადიცია ბატონობს.

ქვემო ქართლის ისტორიული ეთნოგრაფიიდან

• (საფლავის ძეგლები)

ხრამისა და ალგეთის ხეობებში ჩატარებული საექსპედიციო მუშაობის შედეგად (ხელმძღვ. აკად. ნ. ბერძენიშვილი),¹ ისტორიული ეთნოგრაფიის სფეროშიც მრავალმხრივ საყურადღებო მასალა იქნა გამოვლინებული; შემოხსენებული მასალის ერთი ნაწილი წინამდებარე ნაშრომშია გამოყენებული. ქვემო ქართლის ძველი მოსახლეობის ეთნოგრაფიული ყოფის გამრკვევ მონაცემთა შორის, ყურადღებას იქცევენ სოფლებსა და ნასოფლარებში შემონახული სასაფლაოები.

ქვემო ქართლის სასაფლაოებს, როგორც საფიქრებელია, საფლავის ძეგლთა ნხოლოდ ერთი ნაწილი შემორჩა; დროთა განმავლობაში ალბად ბევრი მათგანი განადგურდა და ბევრიც მიწის ფენამ დაფარა.

ჩვენ მიერ შესწავლილი ცენტრები ქვემო ქართლს მთლიანად არ მოიცავენ, მაგრამ იქ დამოწმებული საფლავის ძეგლები, წინასწარ ვარაუდს თუ დაუფუჯრებთ, მთელი ქვემო ქართლის ისტორიულ ტრადიციას გამოხატავენ.

სასაფლაო, როგორც წესი, ეკლესიის ეზოშია წარმოდგენილი; დიდგვარიანათა წარმომადგენლები, ზოგ შემთხვევაში, ტაძრის ქერქვეშაც არიან განავენებულნი. მიცვალებულთა ადგილ-სამყოფელისა და კულტის მსახურებისათვის განკუთვნილი ნაგებობის ტერიტორიული სიახლოვე, როგორც ჩანს, აუცილებლად აღიარებულ ვითარებას წარმოადგენდა. ვასაგებია, რომ ძველი საქართველოს წერილობით დოკუმენტებშიაც, კერძოდ, ყმისა და მამულის შეწირულების, წყალობისა და ნასყიდობის წიგნებში, სასაფლაო ხშირად ეკლესიასთან ერთად იხსენიება.²

გარეგნული შესახედაობითაც სიძველის იერი გადაკრავთ ნასოფლარებსა და განმარტოებით მდგომ ეკლესიას-მონასტრებთან წარმოდგენილ სასაფლაოებს—ფელბოგვის, პატარა ენაგეთის, ნასოფლარის, ქოსალოს მახლობლად მდებარე ნასოფლარის, გოლთეთის ნასოფლარის, დაღეთის სოფლიანის, ორთაშუას, ნაჭიეჭაეების მიდამოთა შორის არსებული ორი უსახელო ეკლესიის, კოჯორების, სამშვილდის, კაბენისა და გუდარეხის სამარხებს.

გვიან მიკვლევულ სამარხებს ერთბაშად არ დაუჩრდილავთ უაღრესად საყურადღებო ძეგლებით დაგვირგვინებული საფლავები ფარცხისისა, ვაკისა, ღურნუკისა, დაღეთისა, ღუმანისისა, ჯიგრაშენისა, ნავთიანისა და კლდისისა.

¹ იფულისხმება აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ორი ექსპედიცია ქართლში (1948—49 წწ.).

² მაგალითისათვის იხ. დოკუმენტები საქართველოს ისტორიიდან 1—ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 429, 434, 442, 452, 457, 459, 460, 463, 465, 469.

ნაირსახოვანი საფლავის ქვების ცალკეული ეგზემპლარები შევრტუნა ხავთ ქსოვრეთისა, ობისის, ღორისთავის, ტბისის, ჩხიკეთის, თეთრიწყაროს, იფნარას, ზემო ახკალაფას და ქვემო ახკალაფას ეკლესიათა მიდამოებს.

საფლავია ქვათა ფორმებია წარმოსადგენად, წარსული და მიმდინარე საუკუნის ძეგლებით დატირებული სხვა სასაფლაოებთან ერთად, საყურადღებო მასალას მოცემა შეუძლიათ ლოუბნის, ვაშლოვანის, ბორბადას, შავსაყდარია, ბოვეისა და მენკალისის სასაფლაოებს.

* * *

ისტორიული ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული სინამდვილე საფლავის ძეგლთა ორ მთავარ სახეობას იცნობს: ცხოველის სახედ გამოკვეთილს და ვიწროდ გააზრიანებული საფლავის ქვად გამოთლილს. ზომიორფული საფლავის ძეგლი ორი ძირითადი სახით არის წარმოდგენილი და მეორე სახეობის ძეგლშიაც რამდენიმე ტიპის ქვა ნაგულიხმხვევი.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ზომიორფული ხსიათის ძეგლებში მხოლოდ ვერძი და ცხენია განსახიერებული; მეორადი გამოყენების ფაქტს უნდა ადასტურებდეს კლდისში აღმოჩენილი საფლავია ქვა, რომელიც მოყვანილობით თევზს წააგავს და რომელიც, მასზე აღბეჭდილი საგნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მჭედლის სამარხზეა დადებული.

მრავალრიცხოვან და ნაირსახოვან საფლავის ქვებთან შედარებით, მცირეა ცხოველის სახედ გამოკვეთილი ძეგლი, სასაფლაოს მზახველს სწრაფად ხედება ხოლმე თვალში თითო-ოროლა ეგზემპლარის სახით მოცემული ცხენი ან ვერძი. ღორისთავში ვერძის ორი ქანდაკება ვნახეთ, ლოუბანში, ფარცხისში, ტბისში, ვაკეში, იფნარში, სამშვილდეში, ღუმანისის მახლობლად არსებულ ეკლესიასთან და ნავთიანში კი მხოლოდ თითო არსებობა დავადასტურეთ. დურნუკს, ალექსეევას მახლობლად მდებარე ეკლესიის ეზოს, ღუმანისსა და სამშვილდეა ორი და სამი-ოთხი ცხენის ქანდაკება შემოუნახავთ, მაგრამ ზემო ახკალაფას, ქვემო ახკალაფას, ნავთიანს, ღუმანისის ზემოდასახელებული ეკლესიის ეზოს, ჩხიკეთას, პატარა ენაგეთს და ვარხუნასაც, როგორც ვადმოგვცეს, თითო-ლა შემოუნარჩუნებიათ.

სიძველე-სიახლის თვალსაზრისით, ყველა ძეგლი ერთგვარად არ არის დაკული; ნავთიანში ცხენის გვერდის ანატეხია გადარჩენილი; ალექსეევას ეკლესიასთან ნახულ ერთ ცხენს თავი აქვს მოტეხილი, მეორეს კი თავთან ერთად ბოლოც არა აქვს შერჩენილი. ახკალაფას ცხენი უთავოა, დურნუკის ერთი — საერთოდ კეთებადაუსრულებული ცხენიც თავმოტეხილია. ღუმანისის სამი ცხენიდან, — ორს თავი არ შერჩენია და სამშვილდის ერთ-ერთ ცხენსაც თავი აღარ აბია. ახლახან აღნიშნულთან ერთად იაიცი უნდა გავითვალწინოთ რომ ზემოდასახელებულ ძეგლთა უმეტესობა სიძველისაგან გაძრკვნილა და ზოგიერთი მათგანი კი, როგორც მაგალითად სოფ. ღორისთავის ცხვარი და ენაგეთის ცხენი მიწაში ჩამძვრალა.

ქანდაკებათა ზომითი სიდიდე ყოველთვის ერთმანეთს არ შეეფარდება, ზოგი ცხოველის ქანდაკება დიდია და ზოგი პატარა. აქვე უნდა შევნიშნოთ ვერძის ქანდაკებათა უმრავლესობა, მათ შორის არსებული დიდ-პატარაობის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში განსახიერებული ცხოველის რეალურ სიდიდეს უახლოვდება, ცხენის ქანდაკებათა მიმართ კი ეს გარემოება არ შეიძინე-



ვა, ყველაზე დიდტანიანი გამოსახულებაც კი (სამშვილდის ერთი მარტოვე მდგომი ცხენი და ღუმანის-დურნუკის ცხენები) ცოცხალი ცხენის ზომის ბევრ რად ჩამორჩება.

ჩვენს ხელთ არსებული გამოქანდაკებული ძეგლები გამოკვეთის ტექნიკის თვალსაზრისით, ორ ძირითად ჯგუფად უნდა გაიყოს: ერთ ჯგუფში ღუმანის-ზემო ახალაფას ცხენები და ლორისთავის ცხვრები მოქცევა, მეორეში კი, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლები თავისებურებით განსხვავებული ყველა დანარჩენი ძეგლი მოჰყვება.

პირველი ჯგუფის ძეგლებისთვის თხელი და ბრტყელი ქვა გამოყენებული, მეორეთათვის კი—მასიური ქვის ლოდი.

პირველ შემთხვევაში—ცხოველის ტანიცა და ყველა სხვა დანარჩენი ნაწილიც თითქმის თანაბარი სისქით არის წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში კი,—ცხოველის ტანიცა და სხეულის სხვა ნაწილებიც მათთვის შესაფერის სისქეზეა დაყენებული. პირველი რიგის ძეგლთა გამკეთებელი, ცხენისა თუ ვერძის ზოგადი მოხაზულობის მიღების მიზნით, როგორც ჩანს, უპირატესად გამოჭრის ხერხს მიმართავდა, მეორე რიგის ძეგლებზე მომუშავე ოსტატი კი გამოსახულებას ყოველი მხრიდან ჰკვეთდა. ზოგადი ჩონჩხის გამოკვეთისა თუ გამოჭრის შედეგად ამა თუ იმ ცხოველს მისთვის დამახასიათებელი იერი ეძლევა, მაგრამ შედარებითი სრულყოფილება მას ცალკეული დეტალების გამოყვანის შემდეგ ენიჭება. უნდა ვივარაუდოთ, რომ დეტალების გამოყვანის დროს ყველა ოსტატი დაახლოებით ერთგვარად მოქმედებდა, ცხოველის თავისა და ბოლოს თითოეულ ნაწილს ის მძიმე-მძიმედ ჰკვეთდა. ამგვარი წესით უნდა იყოს გაკეთებული არა მარტო დურნუკის, სამშვილდის, ჩხიკვთას, ლოუზან-ფარცხისის, იფნარას, ნავთიანის და ზოგიერთი სხვა ადგილსამყოფელის ცხენებისა და ვერძების ცალკეული ნაწილები, არამედ ღუმანისის ცხენთა შეკაზმულობანი და გამოსახულებანი, ლორისთავის ვერძთა თავები და ზურგის ბოლოები (დუმები)¹.

ზოომორფულად გამოსახულ ძეგლებს, ორი-სამი ეგზემპლარის გამოკლებით, საგანგებოდ გამოკვეთილი ფეხები არ გააჩნიათ. ვერძებისა და ტანმალაი ცხენების ქვემოთა—მიწაზე დაყრდნობილი ნაწილები ფეხების შთაბეჭდილებას მაინც ახდენენ, ტანდაბალი ცხენები კი ფეხებმომტკრეულებს წააგვანან. გამონაკლისად მიჩნეულ ეგზემპლართა რიცხვში შეიძლება დავასახელოთ ღუმანისის ერთი ცხენი ლოუზან-ფარცხისის ვერძები. ღუმანისის ცხენის ფიკრის მსგავსი ტანი ოსტატს ძირში გამოუჭრია და თავსა და ბოლოში დატოვებული ნაწილებისათვის წინა და უკანა ფეხების მოვალუობა დაუცისრებია. ფარცხისისა და ლოუზნის ვერძებს, იფნარა—ნავთიანისა და სხვა ადგილების ვერძთა მსგავსად, რამდენიმე წყებად გადაგრეხილი რქები, სათვალე ბურცულები, ბაგე-ნესტოების მაჩვენებელი ნიშნები და ვერძისათვის დამახასიათებელი დუმები ამშვენებთ; ფარცხის—ლოუზნის ვერძებში სპეციფიკური ნიშანიც არის მოცემული, მათ მოჩვენებითი ფეხები აქვთ გამოკვეთილი.

თავისებურების იერი გადაპკრავს ვაკის ეკლესიის ეზოში წარმოდგენილ ვერძსაც. ის ლორისთავის ტანგადიცრულ ცხვრებს არ წააგავს, მაგრამ სხვა-

¹ ლორისთავში დამოწმებული ერთ-ერთი ცხვრის უდიდესი ნაწილი, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, მიწაში ზის. მას ბოლო არ უჩანს, რადგანაც ის საერთო შესახედაობით მეორე-ღუმანი ცხვარს წააგავს. ვვარაუდობთ, რომ დუმა მასაც აჭს.

გან ნახულ-ერთი შეხედვით, მის მსგავს ვერძთა ტანის მოხდენილობასაც ვერ იმეორებს. მისი ტანი კარგად გათლილსა და თავდამრგვალებულ ოთხკუთხედან ქვის წარმოდგენს, ლამაზად გამოყვანილი თავი არაფრისმთქმელ ტანსაც სიცოცხლის უნარიან ელფერს აძლევს.

ზემოდასახელებულ ცხოველებს, საფლავის ძეგლებად ჩამოყვეთილ ცხენებსა და ვერძებს, სხვადასხვაგვარი ატრიბუტებიც ამაკობთ. ატრიბუტად დასახელებული ზოგი ნიშანი საყოველთაოა, ზოგი კი ინდივიდუალურია. ქვემო ქართლის სასაფლაოებზე დამოწმებული ყველა ცხენი მეტ-ნაკლები სისრულით არის შეკაზმული; ყველაზე სტილიზებულ ახკალაფურ ცხენსაც კი, შეკაზმულობის ნიშნად, ზურგის შუა ნაწილი კეხივითა აქვს შევიწროებული. იფნარულ ვერძს და დუმანისის ერთ-ერთ ეკლესიასთან შემონახულ ვერძს ყელზე შემოქდობილი თითო რგოლი ამშვენებთ; დუმანისურს, კერძოდ, ზურგზე დასმული ორი ბურცულიც ახლავს. ნავთიან—ფარცხისის ვერძებისა და ჩხიკვთური ცხენის ყელის არეებში რელიეფური ჯვრებია გამოსახული (ვერძებს თითო ჯვარი აქვთ, ცხენს კი ორი), სხვა საგნების რიგში წარმოდგენილი ამგვარი ჯვრები სამშვილდისა და დუმანისის ცხენებზედაც არის მოცემული. აღსანიშნავია, რომ ტბისის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში დაცული ვერძის ზურგზე ჯვრის ტიპის გუმბათიანი ეკლესიაა გამოქანდაკებული.

ზოომორფული საფლავის ძეგლის კეთება, როგორც ეტყობა, ყოველთვის მხოლოდ ცხოველისა და მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთით არ ამოიწურებოდა. კირისფლებისა და ოსტატების შეთანხმების საფუძველზე. ალბათ, მიცვალებულსა და მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საგნებსაც გამოხატავდნენ და თუ საჭიროდ დაინახავდნენ, სათანადო წარწერასაც ამოჭრიდნენ. ამგვარი გამოსახულებებით არიან შემკობილი სამშვილდის ერთი განმარტობით მდგომი ცხენი და დუმანისის ცხენები, ნავთიანისა და ვაკე-ფარცხისის ვერძები. ვაკის ვერძზე წარწერაც არის ამოჭრილი (მხედრულით), მხედრული ასოებით გამოყვანილი წარწერა დურნუკის ერთ-ერთ ცხენსაც აქვს. გაკეთებული ყველა საგნის გამოსახულება რელიეფურია, ყველა წარწერა ამოღარულია.

სამშვილდის ცხენი, რომლის გამოსახულებათა ზოგად დახასიათებას ჩვენ აქვე წარმოვადგენთ, სამშვილდის ციხე-სასახლისაგან მიმავალმა ბევრმა მკვლევარმა და მოგზაურმა ინახულა, წარსულ საუკუნეში ის გამოქვეყნდა კიდევ¹. ამ ერთობ ცნობილი ცხენის მარცხენა გვერდზე, გულხელდაკრეფილი მამაკაცის სტილიზებულ გამოსახულებასთან ერთად, მისთვის განკუთვნილი საგნებიც არის მოცემული: სხვადასხვანაირი მოყვანილობის ორი ჭურჭელი, ყანწი, ხმალ-ხანჯალი, თოფი, სავაზნე-საპირისწამლე, ჯვარი და ხელჯოხის მსგავსი ნივთი. ცხენის მეორე გვერდიც გამოსახულებებით არის აჭრელებული: აქ არის წარმოდგენილი გაურკვეველი გარეგნობის, მაგრამ ჩვენის ფიქრით ძალღებად მისაჩნევი ორი ცხოველი, ფრინველა და ნაჯახი.

დუმანისის ძუგამოკრული ცხენის მარცხენა გვერდი გულხელდაკრეფილი მიცვალებულის, თოფის, ხმალ-ხანჯლის, ჯვრისა და ორი რგოლის გამოსახულებებს დაუკავებია, მარჯვენა კი—ძალღად წარმოსადგენ ცხოველსა და ნაჯახს.

¹ М а ж н и к о в, Памятники древности города Самшвиле, СМОМПК XIII, Тифлис, 1892.



დუმანისის ფეხებგამოჭრილ ცხენს გვერდები ჩამომტვრევო, ჩაგვრამ წყვირიან ქულში გამოწყობილი მამაკაცის გაფერმკრთალებული სახტყურულს, ქულს, ხათ ღენისს ჭურჭლის როლში წარმოდგენილი თუნგი და ორი ჯვარი მას მიანიც შერჩენია.

ფარცხისული ვერძის მარჯვენა გვერდზე გამოსახულია: ცხენი, ცხვრის საკრეკი მაკრატელი და თვით მეცხვარე კომპლით ხელში; ნავთიანური ვერძის გვერდებზე კი — მეცხვარე-მიცვალებული (მარცხნივ), კომბალი, შეკაზმული ცხენი და ძალი (მარჯვნივ).

ვაკის ცხვარზე აღბეჭდილი წარწერაცა და სახეებიც მეტად ფერგადასულია. შედარებით კარგად შეიმჩნევა თვითონ მიცვალებული, ხანჯალი, ცხვრის საკრეკი მაკრატელი და კომბალი; სავარაუდოდ უნდა დავასახელოთ შუბის წვერი, თოკი და ფანდური. მარჯვენა მხარეზე წარმოდგენილ, რამდენიმე სტრიქონად დაწყობილ წარწერაშიც, ფრაგმენტულად აღებულ ცალკეულ ასოებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სამი სიტყვის გარჩევა-ლა შეიძლება: „კაცია“ და „სასუფევი მიეც“.

იბადება კითხვა: ვისთვის იყო განკუთვნილი ცხოველის სახედ გამოკვეთილი საფლავის ძეგლები, რომელი პროფესიის წარმონადგენები განისვენებენ ზოომორფული ქვებით დაგვირგვინებულ სამარეებში?

საერთოდ საყურადღებო წარწერები, დურნუკის ცხენზე და ვაკის ვერძზე რომ ამოუჭრიათ ოსტატებს, ამ მხრივ დიდ დახმარებას ვერ გაგვიწვევენ. ვერძის გაფერმკრთალებული წარწერა კი მხოლოდ გამომკვეთი ოსტატის — ხარბ ჯამალ უსტად სახელდებული ხელოსნის შესახებ მოგვითხრობს („ქ. ხარბი ჯამალ უსტა“).

საფლავის ქანდაკებათა ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, ჩვენის აზრით, დასმული კითხვის პასუხი დადებითად ირკვევა — ძეგლთა ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე მიღებული ფსიქოლოგიური გააზრიანება და წარმოდგენილ გამოსახულებათა ამეტყველება დამაჯერებელი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

ქვემო ქართლის სასფლაოთა შემსწავლელს არ შეიძლება ზოგადი დაკვირვების უმაღლე არ დაებადოს აზრი იმის შესახებ, რომ ვერძებისა და ცხენების სკულპტურულ გამოსახულებათა ქვეშ განსვენებულნი სიცოცხლეში უქვევლად ერთმანეთისაგან განსხვავებოდნენ, რომ ისინი რალაც ნიშნით სხვა საფლავებში დამარხული ადამიანებისგანაც გამოირჩეოდნენ. ძეგლებზე მოცემული გამოსახულებების ამოკითხვა პირველი შთაბეჭდილებებით მიღებულ დასკვნას ამართლებს და აკონკრეტებს. ყოველგვარი საფლავის დანახვა, საერთოდ, ორ უმთავრეს მხარეს გვაგრძნობინებს და წარმოგვადგენინებს: მიწის ქვეშ მოქცეულ ადამიანს და მის საფლავზე დადგმულ ძეგლს უნდა ვივარაუდოთ, რომ ამა თუ იმ ტრადიციულ ძეგლში, ამ შემთხვევაში ვერძსა და ცხენში, ადამიანის სიცოცხლის ძირითადი აზრია ჩაქსავილი. მთავარი და არსებითი საფლავის ძეგლის ზოგად მოხაზულობაშია მოცემული, დეტალური ამეტყველებისათვის განკუთვნილ გამოსახულებათა კომპლექსი კი დამატების სახით არის წარმოდგენილი (ისიც ზოგჯერ და არა ყოველთვის). აქ მოყვანილ დაკვირვებათა საფუძველზე, ზემოთ წამოჭრილი კითხვის პასუხი ჩვენ შემდგენიარად გვესახება: ქვემო ქართლის სკულპტურული ვერძები მეცხვარეთა საფლავებზე დგანან, ცხენები კი იქნებ ბრძოლაში დაცემული მხედრების სამარეებს სდარაჯობენ.

გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ ეგებ ის სამგლოვიარო გარემოცავც ლაპარაკობდეს, რომელსაც თითქოს ერთდროულად დადგმულნი იყვნენ ნების ჯგუფი ჰქმნიეს¹; ამ მხრივ გარკვეული ანგარიში უნდა გაეწიოს ხალხში დარჩენილ იმ გადმოცემასაც, რომელიც ვერძს მეცხვარის საფლავს უკავშირებს².

შედარებით მეტი მრავალფეროვანება ახასიათებთ მეორე სახეობის საფლავის ქვებს, გეომეტრიულ სახეებად გამოთლილ საფლავის ძეგლებს. ამ სახეობის ძეგლთა შორის სამოთხნაირი ტიპის არსებობა აშკარად შეიმჩნევა, თითოეული ტიპის საფლავის ქვას თავისი ქვესახეებიც მოეპოვება.

ყველაზე ფართო გავრცელებულობით, ხალხში ხმარებული ტერმინით თუ გამოვთქვამთ, ბრტყელი საფლავის ქვა სარგებლობს. ზემოდასახელებულ ძველ სასაფლაოებზე ეს უკანასკნელი ყველას სჭარბობს. ბრტყელი ქვა, ამ ტიპის ქვათათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ოთხკუთხოვანია, გრძელი, ბრტყელი დაბალგვერდებიანი. მოგრძო მოყვანილობა, და ოთხკუთხოვანება სხვა ტიპის საფლავის ქვების მიმართაც შეიმჩნევა, ზედაპირის თავისებური სიბრტყელე და დაბალგვერდიანობა კი მხოლოდ ამ უკანასკნელის დამახასიათებელ ნიშნებად გვევლინება. ნათლად ჩანს, რომ ბრტყელი ქვის მთლელი მთავარ ყურადღებას ქვის ზედაპირს აქცევდა, მისი გვერდები მას ნაკლებ აინტერესებდა. ბრტყელი ქვის ისედაც დაბალი გვერდები მხოლოდ ნაწილობრივ არის ჩათლილი, გვერდების უდიდესი ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, ტლანქად არის დამუშავებული. ბრტყელი ქვა, ჩვეულებრივ, მიწაში ზის, მიწის ზემოთ ზედაპირი და გვერდების მცირეოდენი ნაწილი ჩანს. ყოველგვარი წარწერა თუ გამოსახულება ზედაპირზეა მოთავსებული; ბუნებრივია, რომ მიწაში მოქცეული ან მიწის ზემოთ მხოლოდ ნაწილობრივ წამოსული გვერდები ამ მიზნით ვერ აქნებოდა გამოყენებული. სახეცვლილი ბრტყელი საფლავის ქვებიც კი, რომლებიც საკმაო რაოდენობით არიან წარმოდგენილნი ბოკვის, ღოღუნის, შავსაყდარისა და სხვა სოფლების გვიანდელ სასაფლაოებზე, ამ ტრადიციას აგრძელებენ. მე-19 საუკუნის ოსტატებს, რომლებიც კარგად იყვნენ დახელოვნებულნი ამ დროს უკვე ფართოდ გავრცელებულ კუბოქვის კეთებაშიც, ბრტყელი ქვის გვერდები შესამჩნევად აუმაღლებიათ, მისი უდიდესი ნაწილი მიწის ზემოთ მოუქცევიათ, მაგრამ წარწერა—გამოსახულებანი მაინც ქვის ზედაპირზე გაუკეთებიათ.

ბრტყელი საფლავის ქვის სიმაღლისა და სიგრძე-სიგანის ურთიერთშეფარდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თანაბარი სიზუსტით არ არის დაცული; ზოგჯერ გადახვევებსაც კი აქვს ადგილი: თავბოლო დაკუთხულ და თავიდან ბოლომდე ერთნაირი სიფართოვის ქვებისაგან განსხვავებით, ზოგი ქვისათვის კუთხეები ჩამოუყვეთიათ და დაუმრგვალებიათ, ზოგისათვის კი ბოლოც შეუვიწროებიათ.

ბრტყელი საფლავის ქვას, როგორც წესი, ნაპირები ზოგჯერ სადა და ზოგჯერ ჩუქურთმიან ჩარჩოსავით აქვს გამოყვანილი,—ქვის ირგვლივ, ერთ ან ორ-სამ წყებად, ამოფარული ზოლია ხოლმე შემოვლებული; წარწერაცა და

¹ ამასთან დაკავშირებით პირველ რიგში დუმანისური ცხენები უნდა მოვიგონოთ.

² მხედველობაში გვაქვს ცნობა, რომელიც ფარცხიელმა მეცხვარემ—მიხილ ალექსის ძე ადუაშვილმა მოგვარა. მამა-პაპისაგან გაგონილი ამბავი ადუაშვილმა შემდეგნაირად გადმოგვცა ძველად ერთი მეცხვარე მომკვდარიყო და ეს „ყოჩი“ (ფარცხიელს ვერძმა ლაპარაკი) იმის საფლავზე დაედგათ.



გამოსახულებაც ჩარჩოს შიგნით არის მოქცეული. ბრტყელ ქვათა მონოტიპის, სხვა ტიპის საფლავის ქვათა მსგავსად, ზოგი მხოლოდ წარწერიანია, ზოგს მხოლოდ გამოსახულება ამშვენებს, ზოგს კი გამოსახულებაცა აქვს და წარწერაც. ისეთი საფლავის ქვებიც გვხვდება, რომელზედაც მარტო ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა მოცემული და ისეთებიც, რომლებსაც არამც თუ წარწერა და გამოსახულება არ გააჩნიათ, არამედ საჩარჩოე ზოლიც კი არ მოეპოვებათ. ბრტყელი მოყვანილობის ქვებზე, ზოგჯერ წყლისა თუ ღვინის ჩასაყენებლად განკუთვნილ ორმოებსაც ვხვდებით, ისეთ ორმოებს სხვა ტიპის საფლავის ქვებზედაც ვამოწმებთ. სადა ზედაპირიანი საფლავის ქვებში, ზოგ შემთხვევაში, იქნებ მათი პირვანდელი სახე დავინახოთ, მაგრამ კაბენის სასაფლაოს მაგალითს თუ გავითვალისწინებთ¹, ეს თავისებურება უპირატესად შემდგომ მომხდარ ზემოქმედების შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

ბრტყელი საფლავის ქვები, მათზე აღბეჭდილ გამოსახულებათა გაფორმების მხრივ, საყურადღებო ინდივიდუალურ თავისებურებებს ამჟღავნებენ. ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ზათ, აშკარად შევამჩნევთ ორი ძირითადი მიმდინარეობის ანარეკლს: ერთი მიმდინარეობის ნათელსაყოფ მასალას კოჯორების, ძველბოგვის, პატარა ენაგეთის ნასოფლარის, ქოსალოს ნასოფლარის, დაღეთის სოფლიანის, დურანუკის და კლდეისის საფლავის ქვებში ვხვდებით, მეორე მიმდინარეობის საილუსტრაციო მასალას კი დაღეთის, ფარცხისის, თეთრიწყაროს, ნაჭივკაეების, ქივკიეას მიდამოთა შორის მდებარე ეკლესიის და ბედენის სასაფლაოებზე ვპოულობთ. პირველი რიგის საფლავის ქვათა გამოსახულებანი რელიეფურია, მეორე რიგის საფლავის ქვების გამოსახულებათა შორის კი რელიეფურად შესრულებულსაც ვადასტურებთ და ამოღარული ზოლებით გამოყვანილსაც. მთავარი მაინც ის არის, რომ პირველი რიგის განოსახულებებს, მიცვალებულის ყოფის ამსახველ საგანთა, სხეულის ცალკეულ ნაწილთა და ჩაცმულობის ცალკეულ ელემენტთა გამოკვეთის მხრივ, ნათლად წარმოსადგენი სრულყოფილება ემჩნევათ, მეორე რიგის გამოსახულებებს კი უკიდურესი სტილიზაცია ახასიათებთ.

კოჯორების ეკლესიასთან დამოწმებულ ერთ-ერთ საფლავის ქვაზე გულხელდაკრეფილი ქალის გამოსახულებაა წარმოდგენილი. ქვის მთელ სიგრძეზე გაჭიმული მიცვალებულ-გამოსახულებას ქართული ფრესკების მიხედვითაც კარგად ცნობილი, იალქნად სახელწოდებული გვირგვინისებური თავსადგამი ამკობს. მისი გრძელი კაბა ყელთან ოდნავ ამოჭრილია და გულის ძირამდე ჩახსნილი. წელზე, როგორც ჩანს აშურმა ქამარი არტყია. ფეხთ კი შალაყელა და ჭვინტიან-ქუსლიანი წულები აცვია. მიცვალებულ-გამოსახულების თავის გვერდით ქალის საქმიანობისათვის დამახასიათებელი საგანიც განუსახიერებიათ, — მაკრატლის გამოსახულება წარმოუდგენიათ.

ახლაზან ალწერილი საფლავის ქვა ზუსტ შესატყვისობას პოულობს ქოსალოს ნასოფლარისა და დაღეთის სოფლიანის სასაფლაოებზე ნაპოენ საფლავის ქვებში². კოჯორების საფლავის ქვისაგან განსხვავებით, ქოსალოს ნასოფლარის

¹ კაბენის საფლავის ძეგლები ზედაპირგადაფეცილ ოთხკუთხევიან ქვებს წარმოადგენენ გამოსახულებიან ფრაგმენტს (წულებში გამოწეობილი ფეხები), რომელიც ერთ-ერთ საფლავის ქვას შემოუნახავს, ზემოგამოთქმული მოსახრების სამართლიანობაზე მივითითებებს (ერტისელმაგლებზეა აღნიშნა, რომ ამ საფლავის ქვებს მწყემსები იყენებდნენ საქონლის საქმელი მარლისდასაყრელად, გამოსახულებები ლოკის შედეგად გადაიფიქაო).

² სასაფლაოები ამჟამად გკლიანი ბუჩქნარით არის დაფარული.

სასაფლაოებზე ნახულ ორ საფლავის ქვაზე¹, მაკრატელთან ერთად, სახელსაქმო ყუთის გამომხატველი ოთხკუთხოვანი საგანიც არის რეალური. ერთ-ერთ მათგანზე, რომელსაც ჩვენ პირობით პირველ ვუწოდებთ, ჯვრის რელიეფური გამოსახულებაც არის წარმოდგენილი, მეორეზე კი მხედრული ასოებით გამოყვანილი წარწერაა ამოკვეთილი („მოხსენე უფალო ფითის ქალი მარიამა უ). დაღეთის სოფლიანის საფლავის ქვის მიცვალებულ-გამოსახულებასთან მაკრატელი არ წარმოუდგენიათ, მაგრამ ჯვარი და სახელსაქმო ყუთი კი გამოუსახავთ. ამ საფლავის ქვაზე, კაბის კალთად განკუთვნილ ადგილზე, მხედრული წარწერაც ამოკვეთილია: „ქ. მოხსენე უფალო იასეს მეუღლე ცაცა: ქიტუას ქალი: უკე“ ქოსალის ნასოფლარის და დაღეთის სოფლიანის საფლავის ქვათა ქალ-გამოსახულებებს, კოჯორების საფლავის ქალ-გამოსახულების ნსგავსად, გამოწყობილებს, ზოგიერთი დეტალი უკეთესად დაუტავთ, გულის კრილზე ჩამწკრივებულ ღილ-კილოები მათ ახლაც კარგად ეტყობათ.

კოჯორების ეკლესიის ეზოში დაცულ ერთ-ერთ საფლავის ქვაზე მამაკაცია გამოსახული. გამოსახულება, ქალთა საფლავის ქვების მსგავსად, აგრეთვე ქვის მთელ სიგრძეზეა ვაკიმიული. მამაკაც-გამოსახულების ტანს გრძელი, სახელოვან-გამოწყობილი და ოდნავ გულამოღებული კაბა ფარავს (ივარაუდება, რომ ეს უკანასკნელი წინ მილიანად არის ჩახსნილი და გულის მთელ სიგრძეზე დაკრებული ღილ-კილოებით შეკრული). ფეხთ კი უქუსლო წულები აცვია. თავს ჰხურავს ოვალური მოყვანილობის თავსახური, ალბათ სტილიზაცია-ქმნილი აფრიანი ქუდი. მიცვალებულ-გამოსახულებისათვის წელზე ქამარი შემოურტყამთ და მარცხნივ სწორი ხმალი ჩამოუკიდნიათ. საფლავის ქვაზე მიცვალებულთან დაკავშირებული საგნებიც არის გამოსახული; მარჯვნივ—ხანჯალი და პირვიწრო ნაჯახის მსგავსი მჭრელი იარაღი, მარცხნივ კი—თოფი და საპირისწამლე. ამგვარადვე გაფორმებულ გამოსახულებას ვადასტურებთ, აქვე მდებარე მეორე საფლავის ქვაზედაც². ამ საფლავის ქვის მიცვალებულ-გამოსახულებას ჩემულობის კრილებისა და ცალკეული ნაწილების გამომხატველი ნიშნები შედარებით უკეთ შერჩენია: მაგ., შეიძლება ნათლად გავარჩიოთ წინაჩახსნილობის მაჩვენებელი ზოლი და კაბის ქვეშ მოქცეული ახალბის საყულო. მიცვალებულის ყოფის გამომსახველ ატრიბუტთაგან აქ მხოლოდ ორია წარმოდგენილი: თავის მარჯვნივ—ნაჯახისებური მჭრელი იარაღი, მარცხნივ კი—ხელჯოხივით მოყვანილი სტილიზებული თოფი. მიცვალებულ-გამოსახულების გაფორმების მხრივ, მამაკაცთა საფლავების ქვებისაგან არაფერი განსხვავდება ქალის საფლავის გვერდით მდებარე პატარა ზომის ის საფლავის ქვაც, რომლის ქვეშ, როგორც საფიქრებელია, მცირე-წლოვანი ვაჟი განისვენებს. ბავშვი ვაჟის ტანსაცმელში გამოუწყვიათ, მაგრამ ალბათ იმის გამო რომ ის პატარა იყო,—მასთან რაიმე სახეობის იარაღი არ წარმოუდგენიათ.

კოჯორების სტილზეა შესრულებული ქოსალის ნასოფლარის, დაღეთის სოფლიანის, ორთაშუას და ღურნუკის მამაკაცთა საფლავის ქვები, მსგავსება ზოგჯერ სრულ იგივეობამდე მიდის.

¹ ერთი ქვა ერთ სასაფლაოზე ვნახეთ. მეორე კი—მეორე სასაფლაოზე, ერთი სასაფლაოდან რომ მეორე სასაფლაომდე მივიდეთ—გარკვეული მანძილი უნდა გავიაროთ.

² საფლავის ქვის კთხვებში ოთხკუთხოვანად ამოღრმავებული თითო ორმოა ვაკეთებული



საერთო შესახედობითა და მიცვალებულ-გამოსახულების კოფორების საფლავის ქვებს იმეორებს ქოსალის ნასოფლარის ორი საფლავის ქვა, რომელთაგან ერთზე მხოლოდ ჯვარის გამოსახულებაა მოცემული, მეორეზე კი (რომლის მიცვალებულ-გამოსახულებისათვის, პირველი ქვისაგან განსხვავებით, ქუსლიანი წულები ჩაუცმევიათ, და ორივე ფეხი ერთ მხარეს მოუქცევიათ)—ყანწისა და სურისა¹. შეიძლება ამათსავე რიგში წარმოდგეს მათ მახლობლად მდებარე მესამე საფლავის ქვაც. მრავალჯის ხსენებულ ფეხთსაც-მელ-ტანსაცმელში გამოწყობილ კაც-გამოსახულებას თავისებური მოყვანილობის ქუდი ჰხურავს, მის თავს სამჭიმიანი—შუბლთან სამად განშტოებული დასახური ამშვენებს. ეს კაც-გამოსახულება სხვებისაგან შეიარაღების მხრივაც განსხვავდება: საფლავის ქვის თავისუფალ თაროებზე, თავის აქეთ-იქით წარმოდგენილ თითო ამოღარულ ჯვართან ერთად, შუბის რელიეფური გამოსახულებაც გვხვდება.

ყოველმხრივ ზემოაღწერილ ქვებს წააგავს დაღეთის სოფლიანის ორი საფლავის ქვა, რომელთა მიცვალებულ-გამოსახულებებს, ნათლად გამოკვეთილი ჩაცმულობის სხვა ელემენტებთან ერთად, კარგად შემოუნახავთ გულის ქრილზე ჩაყოლებული ღილ-კილოების ორი მწკრივი. ერთ საფლავის ქვაზე, კერძოდ—კაბის კალთად სახელდებულ ადგილზე, საპირისწამლე, სამასრე და ხანჯალია გამოყვანილი, ქვის თავისუფალ ფონზე კი—მეორე ხანჯალი, თოფი კულის მსგავსი ქურქელი, სავარცხლისებური საგანი², რგოლი, ყანწი და დანა მიცვალებულის ყოფის მახასიათებელი საგნები მეორე საფლავის ქვასაც ამკობს, სახელდობრ: თოფი, ყანწი, კულა და ორბობალი—ქვის ზემოთა ნახევარს, საპირისწამლე, ხანჯალი, სამასრე, თავმოკაუქებული ჯოხი, ხმალი და დუმიანი ცხვრის გამოსახულება კი,—ქვის ქვემოთა ნახევარს. ორივე საფლავის ქვაზე მხედრული ასოებით შედგენილი წარწერაც არის ამოჭრილი. წარწერები დასაფლავებულთა ვინაობას გვაძინობს: პირველი ქვა, როგორც ირკვევა, ქიტუ-აშვილების გვარის კაცს აძევს, მეორე კი—ბიძინაშვილებისას (1. ქ. მოიხსენე უფალო ბერუა ქიტუაშვილი; უკე; 2. მოიხსენე უფალო ბიძინაშვილ ბერი დიდისა პირისაგან მიცვალებული უა).

ზემოაღწერილ საფლავის ქვებს ენათესავება ორთაშუას ეკლესიასთან ნახული ორი საფლავის ქვაც. ორივე ქვის მიცვალებულ-გამოსახულებებს ჩვენთვის ცნობილი კოსტუმები აქვთ გადაცმული, ჩასაცმელი ყველა დამახასიათებელი დეტალით არის წარმოდგენილი. საჭიროდ მიგვაჩინა აღვნიშნოთ, რომ, ერთმანეთისაგან განსხვავებით, ერთ მიცვალებულ-გამოსახულებას ქუსლიანი წულები აცვია, მეორეს კი უქუსლო, პირველს საყოველთაოდ გავრცელებული ოვალური ქუდი ჰხურავს, მეორეს კი—შუბლთან სამად განტოტებული თავსადგამი. თავსახურის თავისებურების თვალსაზრისით, მეორე საფლავის ქვის მიცვალებულ-გამოსახულება ქოსალის ნასოფლარის ერთ-ერთ საფლავის ქვის მიცვალებულ-გამოსახულებას უნათესავდება. პირველ საფლავის ქვაზე განსახიერებულ მიცვალებულს ზევით აწეულ მარცხენა ხელში ჯვარი დაუკავებია, მეორე საფლავის ქვის კაც-გამოსახულებას კი ჩვეულებრივ მიღებული წესის

¹ ამ საფლავის ქვათა მიცვალებულ-გამოსახულებებს შედარებით უფთ ვტყობათ ფეხზე მდგარი საყელო კაბისა.

² ამ საგანს ჩვენ პირობით ვუწოდებთ სავარცხლისებურს. ეს გამოსახულება სხვა საფლავის ქვებზედაც გვხვდება, იქნებ იქ სტილიზებული სამსხერპლო ცხოველის (ცხვრის) გამოსახულებას წარმოადგენს.

თანხმად, გულზელი დაუკრეფია. დამატებით საგანთა წარმოდგენის შესახებ ეს საფლავის ქვები თანაბარი სისრულით არ არიან გაფორმებულნი: მეორე ქვაზე მხოლოდ ჯვარია განსახიერებული, პირველზე კი—ქისად თუ ყუთად მისაჩნვეი ოთხკუთხოვანი რგოლი, სავარცხლისებური საგანი, ყანწი (ქვის ზემოთა ნახევარზე), ხანჯალი, დანა და სურა (ქვის ქვემოთა ნახევარზე).

ზემოგანხილულ საფლავის ქვებს ეხმაურება დურნუკის სასაფლაოზე დაცული ის ორი საფლავის ქვაც, რომელთა კაც-გამოსახულებები დროთა ვითარებაში გაფერმკრთალებულან, მაგრამ პირვანდელი იერი მთლიანად მაინც არ დაუკარგავთ. ჩვენ მიერ უკვე დახასიათებულ კაც-გამოსახულებათა მსგავსად ამ უკანასკნელთაც ოველური მოყვანილობის ქუდი ხურავთ, ფეხები ყელმალაღი და ჰეინტიანი წულებით აქვთ შემოსილი (ერთს—ქუსლიანი და მეორეს—უქუსლო), ტანზე კი გრძელ და გულდაღილულ კაბასთან ერთან, ქულაჯისნაირი ჩასაცმელიც აქვთ გადაცმული. მიცვალებულ-გამოსახულებებს ვაეკაცის ყოფისათვის დამახასიათებელი ატრიბუტებიც ახლავთ: მარცხნივ—ხმალი და მარჯვნივ—ხანჯალი. ერთ მათგანზე ნაჯახისებური მჭერელი იარაღი არის გამოსახული, მეორეზე კი—კულა, კულისნაირი ჭურჭელი და ყანწი. ორივე საფლავის ქვაზე ის გამოსახულებაც არის წარმოდგენილი, რომელიც ჯერჯერობით არ ვიცით რა არის: სტილიზებული სამსხერპლო ცხოველი თუ სხვა საგანი.

ზოგიერთი თავისებურების-და მიუხედავად, ზოგადად ამავე რიგის საფლავის ქვათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ კლდეისის სასაფლაოზე ნახული ის პატარა ქვა, რომლის ვრცელი მხედრული წარწერა უკვე აღარ იკითხება¹, და ქვემო ახკალაფას ის საფლავის ქვაც, რომლის თავისებურება მის საერთო მოხაზულობაშიც მრგვანდება².

გამოსახულებათა გამოყვანის ზოგადი ხასიათით (და არა მსგავსებით) ზემოგანხილულ ქვებთან უნდა დავაკავშიროთ ის სამი საფლავის ქვაც, რომელთაგან ერთი დურნუკის სასაფლაოზე მდებარეობს, მეორე—ორთაშუას ეკლესიის ეზოში და მესამე—პატარი ენაგეთის ნასოფლარში. ამ საფლავის ქვების ქალ-გამოსახულებანი მცირეოდენ თავისებურებებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ერთმანეთის მსგავსია, სამივე გულხელდაკრეფილია. ქალ-გამოსახულებას წელში გამოწყობილი და ბოლოში გაგანიერებული მოკლე კაბა აცვია, კაბის გულის ამოჭრილობა სამკუთხოვანია (ენაგეთის ნასოფლარის საფლავის ქვის ქალ-გამოსახულების კაბას წინახსნილობის მაჩვენებელი ზოცი ემჩნევა). დურნუკ-ენაგეთის საფლავის ქვებს ფეხთსაცმლის გამომხატველი მოხაზულობა არ შერჩენია, ორთაშუასის კი უქუსლო და წვერიანი წულების კვლი ამჟერად ეტყობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქალ-გამოსახულებათა თავსაბურავი. დურნიკისა და ორთაშუას მიცვალებულ ქალთა შუბლს სამფრთიანი გამოსახულება ამშვენებს (დურნუკული გამოსახულების სამივე ფრთა ერთნაირად თავბრტყელია; ორთაშუას გამოსახულობის შუაფრთაც აგრეთვე თავბრტყელია, ნაპირის ფრთები კი—თავგამწვეტებულია და

¹ მიცვალებულ-გამოსახულება თავშიშველაა. ტანსაცმელ-ფეხსაცმლის მოყვანილობა კარგად არ ჩანს. საფლავის ქვაზე შემდეგი საგნებია გამოსახული: გულლორე ყვერი, კომბალი, ხანჯალი, რალცი ოთხკუთხოვანი საგანი; ოთხი ყვერცხისებური ბურთული და თოფი.

² მიცვალებულ-გამოსახულებას აცვია წელში გამოწყობილი გრძელი კაბა და ქუსლიანი წულები, თავს არაფერი ჰხურავს. საფლავის ქვაზე შემდეგი საგნებია გამოსახული: ხანჯალი, თოფი, კულა, ოთხკუთხოვანი მოყვანილობის ორი საგანი და ჯვარი.



თავმოხრელი) ენაგეთურს კი—რეად დაკბილული. სამივე შემთხვევაში მკვნი ბურავის წინა ნსწილის გამოსახულებასთან უნდა გვქონდეს სტყულის შეიძლება ზემოაღწერილი გვირგვინისებური თავსადგამის ქვესახეობას წარმოადგენდეს. მიცვალებულ-გამოსახულებათა ჩაცმის მანერა და საქმიანობის გამომხატველ ატრიბუტთა წარმოუდგენლობა,—გვაფიქრებინებს, რომ ეს საფლავის ქვები მოზარდი ქალ-მიცვალებულის სამარეებზე უნდა იყოს დადებული.


პირველი რიგის ბრტყელ ქვათა შესწავლის დროს, ჩვენი ყურადღება კოჯორებსა და ენაგეთის ნასოფლარში მდებარე ორმა ქვამაც მიიქცია. ეს საფლავის ქვები ამავე რიგის სხვა საფლავის ქვებს საერთო მოხაზულობითა და რელიეფის სიდაბლეში გამოხატული თავისებურებით წააგვანან, სხვა მხრივ კი მათგანაც და ერთმანეთისაგანაც შესამჩნევად განსხვავდებიან.

კოჯორების საფლავის ქვაზე, რომელსაც ამ ტიპის სხვა საფლავის ქვებისაგან განსხვავებით მეტი სიფართოვეც ახასიათებს, მამაკაცისა და ქალის გამოსახულებებია წარმოდგენილი; მამაკაცს მარჯვენა მხარე უკავია, ქალს კი—მარცხენა. მამაკაცს ტოტემჩამოშვებული სარტყლით გაწყობილი კაბა აცვია (კაბა წინ მთლიანად ჩახანილია, ის, საერთო შესახედობით, გვერდში მდგომი ქალის წელში გამოწყობილი კაბისაგან დიდად არ განსხვავდება. ქალის წულები ქუსლიანია და ქვინტიანი; მამაკაცისა კი—უქუსლო და პატარა წვეტიანი¹), არც ერთ მათგანს თავსაბურავი არ გააჩნია, წრესავით მოყვანილი თავი ორივე შემთხვევაში მეტად სტილიზებულია. ქალს მაღლა აპყრობილ მარჯვენა ხელში ჯვარი დაუკავებია, მამაკაცს კი მისთვის ხელი ჩაუკიდნია. აშკარაა, რომ აქ საქორწინო ცერემონიალის ინსცენირებაა მოცემული. შესაძლებელია, რომ ამ საფლავის ქვის ქვეშ ერთდროულად გარდაცვლილი ცოლ-ქმარი განისვენებს; ისიც არის საფიქრებელი, რომ სხვადასხვა დროს გარდაცვლილ ცოლ-ქმარს ჭირისუფლებმა ერთი საერთო ქვა დაადეს და ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მამაკაცის საფლავის ქვაზე განუყრელობის ნიშნად ცოცხლად დარჩენილი ცოლიც გამოსახეს.

ენაგეთის ნასოფლარში ნახული, ნახევარზე მეტად მიწაში ჩაფლული საფლავის ქვა საყურადღებოა არა მარტო იმიტომ, რომ ის პირველი რიგის ბრტყელ ქვათა ერთ ქვესახეობას წარმოადგენს, არამედ იმიტაც, რომ ის გარდაცვლილი პერსონაჟის პროფესიული საქმიანობის შესახებაც გვაუწყებს. საფლავის ქვაზე ქალია გამოსახული, ამაზე მიგვითითებს მკერდის გამოშატველი ორი წრე, მაღალი ჩიხტის მსგავსი თავსადგამი და თავშლისებური თავსაბურავი. ქალ-გამოსახულებამ რელიეფურია, სიმეტრიული, მაგრამ ჩვენ მიერ ადრე განხილულ გამოსახულებებთან შედარებით სტილიზებულია. საფლავის ქვის თავისუფალ ფონზე შალის ქსოვილის დროს ხმარებული იარაღებიც განსახიერებელი: საქსოვი დაზგა, ბეჭი, ოდნავ მოხრილი საბეჭვი ჯოხი, გულცარიელი ოთხკუთხოვანი სავანი, (ალბად ხელსაქმის ყუთი) და ჩიხრისებური მოყვანილობის რვა ჯოხის შეკვრა. ცხადია, რომ მიცვალებული ფეიქარია—დაოსტატებული მქსოველია.

ზემოაღწერილ ქვათა რიგში უნდა განვიხილოთ, აგრეთვე, ღურნუქსა და ძველბოგეში დატული სანი საფლავის ქვაც (ორი ღურნუქშია და ერთი—ძველ-

¹ მამაკაცისა და ქალის ფეხსაცმლის, ამგვარი განსხვავებულობა საერთოა კოჯორების საფლავის ქვათა გამოსახულებებისათვის: ქალს ყველთვის ქუსლიანი წულები აცვია, ვაჟს კი—უქუსლო. სხვა სასაფლაოებზე დამოწმებული საფლავის ქვები ფეხსაცმლის განსხვავებულობის ამ პრინციპს ზნორად არ იცავენ.



ბოგვში). ზენოდახასიათებულ საფლავის ქვათა გამოსახულებანი ლიეფით არის შესრულებული; მიცვალებულ-გამოსახულებათა ჩაცმულობის ელემენტები და სხეულის ცალკეული ნაწილები, როგორც დაინახეთ, მეტ-ნაკლები სიზუსტით არის გამოყვანილი. რელიეფის სიდაბლისა თუ ზოგჯერ სიტყვით გამოუხატავი თავისებური გაყინულობის გამო, ამ საფლავის ქვების გამოსახულებებს გულხელდაკრეფილობის გარეშეც გადაჭრავთ მიცვალებულისათვის დამახასიათებელი იერი. ამ მხრივ მათგან განსხვავდება მალალი რელიეფით შესრულებული ის გამოსახულებანი, რომელნიც დურნუკისა და ეველ-ბოგვის სან საფლავის ქვაზე არიან წარმოდგენილნი. მალალი რელიეფით გამოყვანილ ამ გამოსახულებათა ცალკეული დეტალები უფრო მკვეთრად არის გამოკვეთილი, მათ სახეებზე ცოცხალი ადამიანის გამომეტყველება აღბეჭდილი. დურნუკის სასაფლაოზე აღმოჩენილ ორივე საფლავის ქვაზე ქართულ კოსტუმში გამოწყობილი მამაკაცებია განსახიერებული. ერთ-ერთი საფლავის ქვის მამაკაც-გამოსახულებას, მომღიწარი თვალებისა და გრძელი უღვაშების მქონეს, ჩვენთვის ნაცნობ მამაკაც-გამოსახულებათა მსგავსად, გრძელი კაბა აცვია, წინ მთლიანად ჩახსნილ კაბას გულის ქრილზე ორმწკრივად ჩაყოლებული დილეკლოები აკერია. კაბა, რომელსაც ფეხზე მდგომი პატარა საყელოც აქვს, გულთან ოდნავ არის ამოკრილი, ამის გამო ახალბის საყელოც კარგად არის გამოჩენილი. მიცვალებულ-გამოსახულებისათვის ქამარიც შემოურტყამთ და წინ (და არა გვერდზე) ხმალიც ჩამოუყიდნიათ. ამ მამაკაც-გამოსახულებას, ზემოაღწერილთაგან განსხვავებით, ცვაწვრილებული ქელი ჰაზურავს, წულები კი (ისივე, როგორც ტანსაცმელი) მათი მსგავსი აცვია. მამაკაცი დარღმინდულ პოზაშია წარმოდგენილი: ზევით აწეული მარჯვენა ხელი უღვაშისთვის მოუყიდნია, მარცხენა ხელში კი კულა დაუკავებია. დაახლოებით ამგვარადვეა გაფორმებული გვერდით მდებარე საფლავის ქვის წვეროსან-უღვაშოსანი გამოსახულებაც; საფლავის ქვა ადგილ-ადგილ გაძრკვნილია, მაგრამ კოსტუმის ცალკეული ელემენტების გარჩევა მაინც შეიძლება. მიცვალებულ-გამოსახულებისათვის ოსტატს გულ-ხელი დაუკრეფინებია, სიკვდილს არად ჩანგდებ პოზაში არ წარმოუდგენია, მაგრამ ცოცხალი გამომეტყველება ამ უკანასკნელის სახისათვისაც მიუცია. პირველ საფლავის ქვაზე, მიცვალებულთან დაკავშირებულ საგანთაგან, მხოლოდ ყანწია მოცემული (ისიც მიცვალებულ-გამოსახულების ხელში წარმოდგენილი), მეორე ქვაზე კი მრგვალი მოყვანილობის ორი საგანია გამოსახული.

მსგავსი სტილით არის შესრულებული სანახევროდ გადაფხეილი ის მამაკაც-გამოსახულებაც, რომელიც ძველ ბოგვში ნაპოვნ ერთ-ერთ საფლავის ქვაზე დავამოწმეთ. გადარჩენილი ზემო ნაწილი აშკარად ლაპარაკობს, რომ ეს გამოსახულებაც დურნუკულების მსგავსად ყოფილა გამოწყობილი და სახისა და სხეულის ნაწილებიც მათ ყაიდაზე ჰქონია გამოკვეთილი. საფლავის ქვის თავისუფალ ფონზე, რელიეფურ ჯვართან ერთად, პრაქტიკული დანიშნულების საგნებიც არის მოცემული: თოფი (თუ ხელჯოხი?), ხმალი, ეჩო და ნაშლისებური იარაღი. თუ მიცვალებული საზოგადოების მალალი ფენების წარმომადგენელია, — მაშინ უდავოა, რომ თოფი და ხმალი პირადად მას უკავშირდება, ეჩო იქნებ ქვისმთლელის საოსტატო სიმბოლოა¹, ნაშლისებური

¹ სხვა საფლავის ქვებზე დამოწმებული იარაღი, რომელსაც ჩვენ ნაჯახისებური მჭრელი იარაღის სახელწოდებით ვიხსენიებდით ეგებ მართლაც ოსტატის საქმიანობის სიმბოლოურ გა-



იარაღის განკუთვნილობა კი (თუ ის ნამდვილად ნამგალია და არა რუმელინის სხვა იარაღი) გაურკვეველია.

ასეთს სურათს იძლევა პირველი რიგის ბრტყელ ქვათა განხილვა. მეორე რიგის ბრტყელი საფლავის ქვების ქვემოწარმოდგენილი დახასიათება დაგვანახებს, რომ ბრტყელი ქვის ეს ორი სახეობა ვარკვეული ნიშნებით ერთმანეთს აშკარად უპირისპირდება.

მიცვალბულ-გამოსახულებიან საფლავის ქვებს, როგორც ზემომოყვანილი მასალიდან დაეინახეთ, ზოგ შემთხვევაში წარწერებიც ახლავს. ზოგიერთ საფლავის ქვაზე წარწერა მიცვალბულის სააქაო საქმიანობის დამახასიათებელ საგან-გამოსახულებასთან ერთად არის წარმოდგენილი, ზოგ საფლავის ქვაზე კი მხოლოდ წარწერაა ამოკვეთილი. ზოგადი პრინციპის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წარწერების ამოჭრა ყოველგვარ საფლავის ქვაზე შეიძლება, მაგრამ ამ პრინციპის გამოყენება ყოველ კონკრეტულ მაგალითზე არ დასტურდება. რადგან წარწერათა უდიდესი ნაწილი პირველი რიგის ბრტყელ საფლავის ქვებზე შეგვხვდება, ამიტომ უმჯობესად გვეჩვენება, რომ ისინი აქვე განვიხილოთ და სხვა ტიპის საფლავის ქვებზე აღბეჭდილი წარწერები კი თვით ქვების აღწერილობასთან ერთად წარმოვადგინოთ.

ჩვენ მიერ ამოკითხული წარწერები აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ამოკითხულ წარწერებს შეეუჯერეთ¹ და ის წარწერები კი, რომელთა ამოკითხვა ჩვენ ვერ მოვასწარიტ, მთლიანად თანამოგზაურ ასპირანტთა ჩანაწერების მიხედვით მოვიყვანეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა საფლავის ქვის დაწერილობა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კლდეისის თევზისნაირ ქვაზე მოკემულ დაწერილობას) ერთგვარია—წარწერის გამოსაყვანად ხმარებული ნიშნები მხედრულია².

დაღეთის სოფლიანის სასაფლაოსთან მდგომ ეკლესიაში აღმოჩნდა ზედაპირგაძრკვნილი საფლავის ქვა შემდეგნაირი წარწერით: „ქ. მოიხასენე უფალო ბიძინაშვილი ზაალ...“ ეკლესიის მახლობლად შემონახული საფლავის ქვის³ წარწერა გვამცნობს, რომ ქვა ქალის საფლავს სდებია: „ქ. მოიხასენე უფალო ხორაშანი“—გვითხულობთ მასზე.

სასაფლაოზე დაცული ერთ-ერთი ქვის წარწერა დათუნა ბეეაშვილს იხსენიებს („ქ. მოიხასენე უფალო დათუნა ბეეასშავილი კე“), მეორე ქვის წარწერა კი—გაურკვეველი სახელის მქონე ბეეუაშვილს („ქ. მოიხასენე უფალო? ეშაურა ბეეუაშვილი“).

ახლახან დასახლებული საფლავის ქვების მახლობლად ალბად გუთინსდელის საფლავზე დადებული ქვაა წარმოდგენილი. ქვაზე მხოლოდ ცალუღელ ხარშებმული დიდი გუთანია გამოსახული, გუთინის ნაწილები თითქმის მთელი

მოხატულებას წარმოადგენდეს? (ეწო⁴, ორთობთან ერთად, ძველ ქართულ წერილობით წყაროებში იხსენიება, როგორც ქვისმთლელის სამუშაო იარაღი. საქართველოს ეთნოგრაფიულ სიხანძგილში ეწო მსგავსი სახელწოდება „ხელწო“ დურგლის სამუშაო იარაღს ეწოდება).

¹ საფლავის ქვათა წარწერებს კითხულობდნენ და იწერდნენ ასპირანტები—გ. ჯამბურია, შ. ხანთაძე და ნ. შოშიაშვილი).

² ქვემო ქართლის ძველი ოსტატები, როგორც ჩანს, დამწერლობის ნიშნათა ამოჭრაშიც კარგად იყვნენ დახლოვებული. ყველა საფლავის ქვის წარწერა შეიძლება ისეთი დახვეწილობით არ არის ამოკვეთილი, როგორც მაგალითად, გუდარების, ძველბოგვის და ლოუბნის საფლავის ქვებისა.—მაგრამ, როგორც წესი, ყოველგან შეინიშნება ოსტატთა განსწავლულობა და წერის კულტურა.

³ ამ შემთხვევაში ლაპარაკია საფლავის ქვის ნატეხზე და არა მთლიან საფლავის ქვაზე.

სისრულით არის მოცემული. საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა ქირისაგან გარდაცვლილ ქიტუა მახანიაშვილს იხსენიებს და ქვისძირულ თევდორესაც ასახელებს („მოიხსენე უფალო მახანიაშვილი ქიტუა დიდის ქირისაგან მიცე. თევდორემა გათალა უკე“).

სოფლიანის საფლავის ქვათა ბევრი წარწერა, და ეს უკანასკნელიც მათ შორის, 1737 წლით თარიღდება. წარწერებიდან ვგებულობთ, რომ სოფლიანის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დიდ ქირად სახელდებულ ეპიდემიას უმსხვერპლია.

წარწერიანი საფლავის ქვა ქოსალის ნასოფლარის ერთ-ერთ სასაფლაოზედაც ვნახეთ. ქვა, რომელიც ლაშქარა ბერუაშვილის საფლავს აძევს. 1757 წლით არის დათარიღებული („ქ. მოიხსენე უფალო ბერუაშვილი ლაშქარა უმე“).

ხობისში ნახულ ერთ-ერთ საფლავის ქვაზე¹, ვინმე მოსეს საფლავზე დადებულ ქვაზე, აგრეთვე წარწერა ამოკვეთილი („ქ. მოიხსენე უფალო მოსე“) და ენაგეთის ნასოფლარში დამოწმებულ ერთ საფლავის ქვაზედაც მიცვალბულს გვარისა და სახელის მაუწყებელი წარწერა ამოჭრილი („ქ. მოიხსენე უფალო ნიგურისშვილი ა? სასა“).

გუდარების ტაძარში ბევრი წარწერიანი ქვაა დაცული, ეს საფლავის ქვები ბარათაშვილთა ერთ-ერთი განშტოების—გერმანოზიშვილთა წარმომადგენლებს ეკუთვნით. ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერაში, მაგალითად, წინამძღვარი დომენტი დასახელებული („ქ. მოიხსენე უფალო? ამა? მონასტრის: მეორეთ: გამველი: წინამძღვარი: დომენტი: ამნ უფ.“). მეორე ქვის წარწერაში კი—გერმანოზიშვილების ბრძოლებგადახდილი წარმომადგენელი. („ქ. განსასვენებელსა ამას და? მდებარე ვარ მე გერმანოზისშვილი მეჯინიბი უხუცესის მუსიბი შვდასის თვის მიმრთმევი ყაახნ გუბათისა? საულ ორთ პატრონი იომნ ანდრის ოცდათჯერ შებმული ვ? ბ? ნი ბმარეთ ქესა ამს უფ?“).

წარწერიან ქვათა შორის ძველბოგვის ერთ-ერთ ეკლესიასთან დაცული ორი საფლავის ქვაც უნდა დავასახელოთ. ერთ ქვაზე ამოჭრილი წარწერა გვაუწყებს, რომ გარდაცვლილი ქალი მაღალ წოდებას ეკუთვნის—ამ საფლავის ქვის ქვეშ როსტომ შალიკაშვილის ასული, ბოქაულთუხუცეს ზაალ საგინაშვილის მეუღლე და მთავარეპისკოპოზ იოსების დედა შეენიერი განისვენებს² მეორე საფლავის ქვა აგრეთვე მაღალი წოდების წარმომადგენელ მამაკაცს ეკუთვნის, ის ყანდარიდან მოსვენებულ საგინაშვილის საფლავს აძევს³.

მხოლოდ წარწერებია აღმეჭდილი ღურნუჯის სასაფლაოზე მდებარე ორ საფლავის ქვაზე და კაბენის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში შემონახულ ერთ საფლავის ქვაზე. მწიგნობრული სტილით შესრულებული წარწერები ამშვენებს ლოუბნის სასაფლაოზე დაცულ იმ საფლავის ქვებსაც, რომელნიც ქრონოლოგიურად მე-19 საუკუნის დასაწყისს განეკუთვნებიან. ამ საფლავის ქვების ქვეშ განისვენებენ სულხანაშვილთა საგვარეულოს ომგადახდილი ვაჟ-

¹ ეს ქვა ხელის გამოსახულების მქონე ბრტყელი ქვის მახლობლად მდებარეობს.

² „ქ. მე: მესხი: შალიკას: შვილის: როსტომის: ასული: და: საგინას: შვილის: ბოქაულთ: უხუცეს: ზალის: მეუღლე: მთავარ: ეფისკოპოს: იოსების: დედა: ბატონი: შეენიერი: ამა სმრზსა: მივეყარე: ვინაც ვინ: მიზლოთ: შენ: ლოცვით: შენდობას: ყოფდეთ: გვედრები: რათა: თქვენაც შეწყალებულ: იქმნ ქკსა ტკა“.

³ „ქ. საფლავს: ამს: მდებარე: ვარ: მე საგინას: შვილი: სამ (გ?) ყანდრს: მიცვლებული: აქ გამსვენეს: მეფობ გ გიორგს: ვინც მიზლოთ: შენდბს მიმბ ნეთ გვედრებით ქკს: ტკე“.



კაცები—ბრძოლაში დაღუპული გიორგი, იოსებ და დავით. მათგან მკვლელობის შემდეგ მკვლელობის დასაფლავიან ოჯახური და ნათესაური ურთიერთობით დაკავშირებული ქალები—ანა და ორე თამარი¹.

საფლავის ქვის ის ტიპი, რომელსაც ჩვენ პირობით სარკოფაგულს ვუწოდებთ, რაოდენობის მხრივ ბევრად ჩამორჩება მრავალრიცხოვან ბრტყელ საფლავის ქვებს, შემთხვევითი გარემოების გამო, ტრადიციით დადგენილი წესის მიხედვით, მხედველობაში თუ არ მივიღებთ სხვა მხრივაც თავისებურ ერთ მაგალითს, მათ მიცვალებულისა და მისი ყოფისათვის დამახასიათებელი საგნების გამოსახულებებიც არ მოეპოვებათ. ტიპური გარეგნობის სარკოფაგული საფლავის ქვები ორთაშუას ეკლესიისა და ქივქივას მიდამოთა შორის მდებარე უსახელო ეკლესიების ეზოებში ვინახულეთ, მათი სახესხვაობანი კი კლდეისის, ქოსალოს, სამშვილდის და ვაკის სასაფლაოებზე დავამოწმეთ.

სარკოფაგული ქვის იმ სახეობას, რომელსაც ჩვენ ტიპურად მივიჩნევთ ზომითი სიდიდევ ახასიათებს. ძნელი გასარკვევი იყო დროთა ვითარების გამო მიწაში ჩაფლული სარკოფაგული ქვების (ტიპური სარკოფაგული ქვების) გვერდების სიმაღლე, სამაგიეროდ ადვილი შესაცნობი იყო თვალში საცემი ზედაპირის ამოხრტული მოყვანილობა. დაკვირვებამ ნათელჰყო, რომ სარკოფაგული საფლავის ქვის გვერდები გარკვეულ სიმაღლეზე მიწის პირის ზემოთ უნდა ყოფილიყო წარსული, ორფერდა სახურავის მსგავსი ზედაპირი უფრო რელიეფურად უნდა ყოფილიყო გამოჩენილი. ტიპური სარკოფაგული ქვის ზედაპირი ერთი შეხედვით მართლაც სარკოფაგის სახურავს წააგავს: ზედაპირის შუა ნაწილის მთელ სიგრძეზე ამორბურცული ზოლია ჩაწლებული, ზოლის აქეთ-იქით დაქანებული ფერდების დასაგრუსს, ვიდრე ისინი საფლავის ქვის გვერდებს შეუერთებოდნენ, მთელს სიგრძეზე ჩაყოლებული რამდენიმე საფეხურია გამოკვეთილი (ასეთი მოყვანილობისაა ორთაშუას ეკლესიის და ერთ-ერთი უსახელო ეკლესიის ეზოებში ჩაფლული სარკოფაგული ქვები).

სარკოფაგული ქვის ერთ-ერთ სახესხვაობად უნდა მივიჩნიოთ ის საფლავის ქვებიც, რომელთა არსებობა უსახელოდ წოდებული ერთ-ერთი ეკლესიის ეზოში დავადანტურეთ. ორფერდა სახურავის მსგავსად გამოკვეთილი ქვის ძირი ოთხკუთხოვანი მოყვანილობის სიბრტყეს წარმოადგენს. უკეთ რომ

¹ ა) „ქოი მოიწია ჩემზედაცა ძლ ბრძანებული მიწა ხარ და მიწადვე მიქცეო საფლავსა ამას შინა მდებარე სულხანაშვილი გიორგი მხეობასა ბრძოლასა შინა მამადიანათას მომისწრაფა უწყალომან სიკვდილმან და დაუტრევე საყვარელნი ჩემნი მუფლლე შვილინი ძმა და ძისწულნი მომსუნებულად ჩემდა მხილველნი შენდობას მიბრძანებდეთ წელსა ჩვენს“.

ბ) „ქ. ოიშე რა წამად მივიცვალე სულხანაშვილი იოსებ დღისა გაუმძღარი და მტრისგან აღსრულებულ და საქვეყნოდ და სასოფლოდ სისხლში ამოსრვილ მხილველნო შენდობა გვიბრძანეთ ქვს უბე“.

გ) „საფლავსა ამას შინა მდებარე ვარ სულხანაშვილის იოსების მუფლლე გვარაბე შიო მღვდლის ქალი ანა ამ წუთისითფლას მომდურავი და უდროთ დამიწვე (ე) ბული ვინც წაიკითხით შენდობა გვიბრძანეთ წელსა ჩვენს“. შეცდომით ჩლია სწერია.

დ) „საფლავსა ამას შინა მდებარე ვარ სულხანაშვილი დავით მხეობასა შინა დავყავ (ჴ) და მივეცი მიწა მიწას განჩინებისაებრ ისა მხილველნო შენდობა გვიბრძანეთ წელსა ჩვენს“.

ე) „მიწია, ჩემზედა საწუთსა ამის დაუჯერებელი მიტაცება და მიმილო მიწა მიწად სულხანაშვილი დავითას მუფლლე და როსტაშვილის ასული თამარი დავიდევ ლოდი ესე სასუნებულად ჩემდა მხილველნო შენდობა გვიბრძანეთ წელსა ჩვენს“.

ვ) „ეს საფლავი სულხანაშვილის სულხანის ქალი თამარისა არის დავყარე მტირალნი მშობელნი გადიცვალე წლისა 31 მხილველთ შენდობა ბრძანეთ წელსა ჩვენს“.

ვთქვათ: ქვა ისეა გამოკვეთილი, რომ ორფერდა სახურავით ამალღებულ მთა ვარ კორპუსს ძირის ირგვლივ ოთხკუთხოვანი ნაპირები უდღის.

ამნაირი მოყვანილობის ერთ-ერთ სარკოფაგულ ქვაზე გუთნის დედისა და ცალი უღლით გაწყობილი გუთნის რელიეფური გამოსახულებებიც არის წარმოდგენილი. გუთნისდედად აღიარებული მიცვალებულ-გამოსახულება სტილიზებულია, მისი სამუშაო იარაღი კი შედარებით სრულყოფილია. გუთნის დედას ცალი ხელი იქვე გამოსახულ ყელგანიერ ქურქლისაკენ გაუწყვდია, მეორე კი გუთნის ხელნისათვის დაუმიზნებია. ამ ტიპის ქვათა შორის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს უქანასკნელი ერთადერთია, რომელსაც საერთო მონახულობასთან ერთად მიცვალებულის ვინაობის მაუწყებელი გამოსახულებებიც ახლავს.

სარკოფაგული ქვის გადასხვაფერებულ ქვესახეობად უნდა ჩავთვალოთ სამშვილდის სასაფლაოზე დაცული ის ორი საფლავის ქვაც, რომელნიც ერთი შეხედვით ერთმანეთისაგანაც განირჩევიან. ერთ-ერთ მათგანს—ორთხკუთხოვანი მოყვანილობის მაღალ ქვას ზედაპირის ამობურცულობა თითქმის აღარ ეტყობა, შუაზე გამოყოფი რელიეფური ზოლი კი მასაც ჩვეულებრივ ჩაჰყვება (ზოლის აქეთ-იქით ერთიმეორის მსგავსი გამოსახულებანია მოცემული: წრეში ჩამჯდარი ჯვარი, სტილიზებული ადამიანი და ამოღარქვის გზით მიღებული ორი „გახატული“). კუბოსნაირად მოყვანილი მეორე ქვის ტიპიურობას ადამიანის თვალი უფრო ნათლად ამჩნევს; ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ მას მშვილდისრის გამოსახულება ამშვენებს.

იქნებ სარკოფაგული ქვის სახეცვლილ ვადმონაშთს წარმოადგენს საზურგე ხაზით და თაღოვანი ზოლებით გაფორმებული საფლავის ქვები კლდისისა და ქოსალოს¹, ამგვარი ქვა ხომ ორთაშუას ეკლესიის ეზოშიც მდებარეობს ტიპიური სარკოფაგული ქვის გვერდით. ასეთი მოსაზრების დაშვების შემთხვევაში, ვაკის სასაფლაოზე მრავლად წარმოდგენილი საფლავის ქვებიც გენეტიკურად მათ უნდა მივაკუთნოთ,—ვაკის სასაფლაოს ის ქვები, რომელთაც ზედაპირი თითქმის მთლად გაუბრტყელებიან, მაგრამ ზედაპირის მთელ სიგრძეზე ჩაყოლებული ზოლი კი კვლავ შემოუნარჩუნებიათ.

დამოუკიდებელი ტიპის ძეგლებად წარმოვიდგინოთ ქსოვრეთის, გოლთეთის ნასოფლარის და ჯიგრაშენის საფლავის ქვებმაც. ქსოვრეთ-გოლთეთისა და ჯიგრაშენის საფლავის ქვები ერთმანეთს დიდად არ წააგვანან, მაგრამ არც სხვა ტიპის ქვებთან პოულობენ არსებით მსგავსებას. ეს საფლავის ქვები (მეტნაკლებად ოთხკუთხოვანი, მომალლონი და ვიწრონი) რაღაც საშუალოსა და გარდამავალს წარმოადგენენ: თავიებურ მსგავსება-განსხვავებას ჰპოვებენ სასოფლოეთოდ ცნობილ ბრტყელ ქვაშიც; ქვემოგანხილულ დაუღებულ ქვაშიც და მე-19 საუკუნეში ფართოდ დამკვიდრებულ კუბოქვაშიც.

გოლთეთის ნასოფლარის საფლავის ქვაზე სტილიზაციაქმნილი ადამიანია განსახიერებული, დაახლოებით მის მსგავს ქსოვრეთულ ქვაზე კი—წრესავით თავდამარგვალბული, გრძელი და სწორი ზოლი (რაიმე სახის იარაღია თუ სქემატურად გამოსახული ადამიანი).

ჯიგრაშენის სასაფლაოზე შემონახული ქვები, რომლებიც, გოლთეთისა და ქსოვრეთის საფლავის ქვათაგან განსხვავებით, ქვემოგანხილულ დაუღებ-

¹ კლდისურ საფლავის ქვას რამდენიმე ბურცულიც ამოებს, ქოსალოს ეკლესიასთან ნახულს კი ჰორიზონტალურად გაკლებული რელიეფური ხაზიც ჰკვეთავს.



ბულ ქვებთანაც ეძიებენ გარკვეულ მსვავსებას, ყურადღებას იქცევენ მისი წარწერებითაც. წარწერებიდან ვგებულობთ, რომ ერთი ქვა ქვერეწვანდ მისი სინებულ ქალს აძევს. („ჩემი და ქეთევან“), მეორე—ჯანშაშვილ ედიშერს („პაპაუს ძე ჯანშაშვილი ედიშერ ტოვ“), მესამე კი—ბახუტას ძე ქაიხოსროს („ბახუტას ძე ქაიხოსრო მოიხსენე შენ უფალო“). უკანასკნელად დასახელებულ საფლავის ქვაზე, წარწერასთან ერთად, გამოსახულებებიც არის წარმოდგენილი; წარწერა ზედაპირზეა გაკეთებული, გამოსახულებები კი საფლავის ქვის ორივე გვერდზეა განლაგებული: ცალ მხარეზე—თავკომბალა ბოძზე მობმული შეკაზმული ცხენი, საისრე, მშვილდი, საპირისწამლე, ხმალი, სამასრე, მოკლე თოფი და რამდენიმე თვალისაგან შედგენილი რაღაც საგანი; მეორე მხარეზე—ყანწი, კულა, სხვადასხვა მოყვანილობის სამი სურა და აზარეფმა¹.

ქვემო ქართლის ზოგიერთი სოფლის სასაფლაო სიმაღლეზე დაყუდებულ—სტილიზებული ცხოველივით გაწოლილ საფლავის ქვებსაც იცნობს. ამ ტიპის საფლავის ქვა, ჩვეულებრივ ვიწროა, მომაღლო და გრძელი. მისი ვიწრო და გრძელი ზედაპირი ზოგ შემთხვევაში გადავაკებულია, ზოგჯერ კი—დამრგვალებული.

ამნიირი საფლავის ქვის ერთი ეგზემპლარი ძველ ბოგეშვი ენახეთ, ერთი—ახლანდელი ბოგვის სასაფლაოზე, ერთი—მუხათში და უხვად კი—ვაშლოვანში.

ძველბოგვის საფლავის ქვა, როგორც მის ზედაპირზე გაკეთებული წარწერა გვამცნობს, ვინმე მელქო მელიქაშვილისაა („ქ. ესე საფლავი მელიქას შვილის არის მელქოასია ღმერთმან ძმები ადღეგრძელოს ამას შ? ექნ. ის..“), ბოგვის საფლავის ქვის პატრონის ვინაობა კი გაურკვეველი რჩება, რადგან მისი წარწერიდან ორი-სამი სიტყვა-და იკითხება („საფლავსა შინა მდე—“), ძველბოგვის ქვის ორივე გვერდი რელიეფური გამოსახულებებით არის აპრელებული: ცალ მხარეზე წარმოდგენილია—სხვადასხვანიირი მოყვანილობის სამი ლიტრა, ყანწი, ძაბრი, კულა და ალბად პურის კვერის გამომხატველი ორი მრგვალი გამოსახულება; მეორე მხარეზე კი—მიცვალებული, ცხენი, ქისა, დანა, ხანჯალი, თოფი, საპირისწამლე, სამასრე, საისრე თავდამრგვალებული ორი საგანი და ორი ფრინველი.

ბოგვის საფლავის ქვის გვერდების გაფორმება გაურკვეველი დრჩა, რადგან ეს უკანასკნელი მთლად მიწაშია და ზედაპირის მეტი არაფერი ჩანს.

მუხათური საფლავის ქვა, რომელსაც ჩუქურთმაც აქვს და სომხური წარწერაც, განმარტობით მდებარე საფლავს ადგას. საფლავში განსვენებული მამაკაცი, როგორც მუხათელები ვადმოგვცემენ, სომეხი ჩალვადარი ყოფილა, სომხეთიდან თბილისში მომავალი გზაში მოულოდნელად გარდაცვლილა, აქ დაუსაფლავებიათ და სომხეთიდან მოტანილი ქვა დაუდევით. აღსანიშნავია, რომ ხალხს ამ საფლავის ქვაზედაც ეგულება ქვემო ქართლში საყოველთაოდ გავრცელებული ამბავი, რომელიც ერთ ზღაპრულ ეპიტაფიას შეეხება. ქვემო ქართლის მცხოვრებნი ამ ზღაპრულ ეპიტაფიას მათი თვალისათვის უცხო ყველა საფლავის ქვას უკავშირებენ. ნამდვილად კი ასეთი შინაარსის წარწერა (შე იმ დროს მიცხოვრებია, როცა ასი კვერცხი ერთ შაურად მიყიდი და

¹ ქართული წარმოშობის ძველი საფლავის ქვები, როგორც ჩანს, იქვე მდგომი ეკლესიის საშენ მასალადაც გამოუყენებიათ. ეკლესიის კედელში ჩატანებულ ერთ ქვას ქართული წარწერა დღემდე შემოუნარჩუნებია („ბურჯან“).

კოლ-შვილი ისე შემინახაო; ვინც ამის შემდეგ შეინახოს კოლ-შვილი (ქვემო ქართლის ისტორიული ეთნოგრაფიიდან დაიკვებოსო) არც ერთ ქვას არა აქვს და ალბად არც ჰქონია. *სინტაქსიკონი*

დაყუდებული საფლავის ქვები, როგორც მოგზაურობის დროს არქეოლოგმა გ. ლომთათიძემ შენიშნა, იქნებ მართლაც „სომხებს“ ეკუთვნოდეთ, სხვაგვარად რომ ვთქვათ—ისინი იქნებ ქართულად მოლაბარავე გრიგორიანების კუთვნილებას წარმოადგენდნენ? ფაქტია, რომ ეს საფლავის ქვა ვაშლოვანის გვიანდელ სასაფლაოზედაც მრავლად გვხვდება¹.

დაყუდებულ საფლავის ქვათა ანალოგები, როგორც ერთი ავტორის წერილიდან და თანდართული ილუსტრაციებიდან ჩანს, შეიძლება სოფელ ჩენახჩის (შუშის მხარა) მახლობლად მდებარე დიდ სასაფლაოზედაც მოვხვდნოთ. სასაფლაოზე დატული ქვები მართლაც რომ ნაირნაირად არიან გაფორმებულნი, აქ ლხინის, ნადირობის და მუშაობის მომენტებია ინსკენირებული. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ საფლავის ქვებს თურმე ალბანელებს მიაწერენ, სოფელ ჩენახჩს კი ალბანელთა მეფეებისა და კათალიკოსების ყოფილ რეზიდენციად მიიჩნევენ.

ქვემო ქართლის სასაფლაოებზე, განსაკუთრებით კი მოგვიანო ხანის სასაფლაოებზე, უხვად არის წარმოდგენილი მრავალგვარ სახეობათა შემცველი, წარსული საუკუნის შუა წლებიდან ფართოდ დამკვიდრებული კუბოქვა. კუბოქვა, როგორც ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიდან და ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელთა (დოც. ვ. ბარდაველიძის და ს. ბედუქაძის) გამოკვლევებულ და გამოუქვეყნებელ ნაშრომებში მოცემული ცნობებიდან ირკვევა, თავის ბატონობის სფეროს დღესაც არ თმობს. კუბოქვა ჩვენი სადღეისო კვლევის სავანს არ შეადგენს, კუბოქვასთან დაკავშირებული საკითხი ცალკე უნდა დამუშავდეს.

ქვემო ქართლის საფლავის ქვების შესწავლის შედეგად, ერთი სავარაუდო მოსაზრების წამოყენების შესაძლებლობა იბადება, ეს მოსაზრება ითვალისწინებს და ეხმარება იმ შეხედულებას, რომელიც აკად. ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვა საჯაროდ წაკითხულ მოხსენებაში. გეომეტრიულად გამოკვეთილი საფლავის ქვების ესა თუ ის სახეობა მიცვალებულის ჩასასვენებელი კუბოს სიმბოლიური განმეორებაა, ყველა საფლავს კუბოს მსგავსი ქვა ადგას; ყველა საფლავის ქვა, განსაზღვრული დროის განმავლობაში, ფართოდ გააზრიანებული კუბოქვაა.

ეს სავარაუდო შეხედულობა ეგებ სხვა სახის საფლავის ძეგლთა შესწავლამაც დაადასტუროს. მომავალმა კვლევა-ძიებამ იქნებ იქამდე მიგვიყვანოს, რომ ხეცურული საფლავის ძეგლებიც თავიდანვე მიწისპირზე მდგომ თუ ყორღანული მიწისაგან განთავისუფლებულ აკლამათა სიმბოლიურ გარდმონაშთებად მივიჩნიოთ².

ქვემო ქართლის საფლავის ძეგლების შესწავლამ მეორე—უფრო ზოგადი ხასიათის მოსაზრებაც დაბადა, სახელდობრ: ძეგლებზე წარმოდგენილი გამოსახულებანი, რომლებიც მიცვალებულის უკვდავოფისათვის არიან გაკუთვნილ-

¹ სახელდახელო დათვლიერებას თუ ვენდობით, ვაშლოვანის ზემოდასაზღვრულ სასაფლაოზე მე-19 საუკუნის მთელ სიგრძეზე გარდაცვლილი ადამიანები მარბიან.

² Е. Мелик-Шахназаров, Из древностей селения Ченахчи, СМОМНХ XIX Тифлис, 1894, გვ. 78—83.

³ იხ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბილისი, 1940, თანდართული, ტაბულეტი.



ნი,—თავდაპირველად საიქიო „ცხოვრებისათვის“ იყო ნაწარმოები და მანის საიქიო ცხოვრებისათვის საიქიო რეალური საგნების ჩვეულებამ, რომელიც ქრისტიანული მოძღვრების დოგმებს არ შეეფერებოდა, გარკვეული დროიდან ამ მიმართულებით ხომ არ განიცდიდა ცვლილება—რეალური საგნები მათმა მხატვრულმა სიმბოლოებმა ხომ არ შესცვალა?

ქვემო ქართლის საფლავის ძეგლები მრავალმხრივია საყურადღებო და მნიშვნელოვანი. ჩაცმულობა-შეიარაღების წარმოდგენისათვის, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამეურნეო იარაღების შესწავლისათვის, მოსახლეობის სოციალური ყოფის გააზრიანებისა და გარკვევისათვის,—ისინი გარკვეული ღირებულების მონაცემებს წარმოადგენენ. ჩვენ ყველადრის შესახებ აღვნიშნეთ მხოლოდ იმითომ, რომ საფლავის ქვათა ძირითადი ტიპები უფრო ნათლად წარმოგვედგინა და მათთან უშუალოდ დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი სავარაუდოდ მაინც გადაგვეწყვიტა.


საფლავის ძეგლთა ყოველგვარ მონაცემს ავტორი მომავალი კვლევა-ძიების დროსაც გამოიყენებს, ქვემო ქართლის ძველი მოსახლეობის საკითხის გარკვევას ის მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს.



1-3 ქვემოთხედიდან

საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი




5-6 დუმანისიდან; 7-9 ფარცხისიდან



10



11



12



13

10 კოჯორებიდან; 11—13 ღურნუკიდან



14



15

14—15 დურნუქიდან



16



17



18



19

16-17 დასავლეთი 18-19 აღმოსავლეთი

კოლონა



4 პატარა დაღუთიდან; 20—23, 28 ორთაშუადან




25




26



27



25—27 ორაბაშუდან; 24 იფნარიდან



29 ქსოფრეთიდან; 30 იჯნარიდან

იმერეთში მივლინების მოკლე ანგარიში

ეთნოგრაფიული ხასიათის წერილობით წყაროთა მეოხებით ჩვენ აღვრევ ვიცოდით, რომ იმერეთიც ძველი ქართული კულტურის გადმონაშთებით მდიდარ კუთხეს წარმოადგენდა, იმავე წყაროებში წარმოდგენილი მცირეოდენი ცნობებიდანვე ჩანდა (და ამ ცნობათა ქეშმარიტებას ეთნოგრაფ-სპეციალისტთა ზეპირი გადმოცემებიც ადასტურებდა), რომ ჩვენი ქვეყნის ამ მნიშვნელოვან კუთხეში გარდასულ დროთაგან მომდინარე კერამიკაც ცხოველმყოფელურ არსებობას განაგრძობდა. აღნიშნულ გადმოცემათა სამართლიანობა მიმდინარე წლის ზაფხულს (10. VIII—5. IX), იმერეთში მუშაობის დროს, პირადად ჩვენ მიერაც დამტკიცდა, ზემო იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართო მასშტაბით წარმოდგენილი, მრავალდარგოვანი კერამიკული წარმოება დამოწმდა.

კერამიკით ცნობილ კუთხეთა მსგავსად, მეჭურჭლეობის (წითელი ჭურჭლისა და მოქიქული ჭურჭლის), წყლის მიღების მკეთებლობის, მეჭურჭლეობის, მეთორნეობის და მეკრამიტეობა მეაგურეობის არსებობა ზემო იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაშიაც დადგინდა და კერამიკის ცენტრთა მრავალრიცხოვანების ფაქტი ამ საყურადღებო მხარეშიც დადასტურდა.

მთხრობელთა გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ მრავალმხრივ საინტერესო ზემო იმერეთს კერამიკული წარმოების ადგილსამყოფელნი თურმე მრავლად მოეპოვება, მაგრამ განსაკუთრებით სახელგანთქმულ ცენტრებად—ჭურის წარმოებით განთქმული ბოსლევცი, დიდწიფელა და ჩხირაული და მეჭურჭლეობით სახელმძღვანელო შროშა, საწაბლე, მაქათუბანი გეზრული და ჯოყოეთი ითვლება. აგურ-კრამიტის წარმოების ქსელი უფრო ფართოდ იშლება (აგური და კრამიტი მეჭურჭლეობა-მეჭვევრობის ზემოაღნიშნულ ცენტრებშიაც იჭრება), წყლის მილი მეჭურჭლეობით ცნობილ ადგილებში მზადდება (რადგან წყლის მილის მოჭრაც წითელი ჭურჭლის ოსტატს ეკისრება) და თორნე—კი სხვა სოფლებთან ერთად, მეჭვევრობის ზემოდასახელებულ ცენტრებშიაც კეთდება.

კერამიკული წარმოების ცენტრთა რიცხვი რა თქმა უნდა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლებით არ ამოიწურება; კერამიკის ცენტრთა საერთო რიცხობრივი ოდენობა ჩვენ მიერ დასახელებულ ცენტრთა რიცხვს ბევრად აღემატება, მაგრამ მხოლოდ მთავარ ადგილსამყოფელთა დასახელება ამჟამად ჩვენ საკმარისად გვეჩვენება (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალის შრომაზე დამყარებული მეკეცეობა ზემო იმერეთის თითქმის ყველა სოფელში შეგვხვდება).

თბილისში შემუშავებული და ზემო იმერეთის რაიონთა ცენტრებში (ზესტაფონსა და ხარაგაულში) შემოწმებული მარშრუტის მიხედვით ჩვენი მუშაობა საყოველთაოდ ცნობილ შროშასა, საწაბლესა, ბოსლევსა და დიდწიფელას



წარიმართა და მცირეოდენი, მაგრამ ყურადსაღები მასალის შეგროვება სოფლებიდან, რკვისა და საბეშოც მოხერხდა.

გამოირკვა, რომ მთავორიანი ზემო იმერეთის მრავალი სოფელი, და ჩვენ მიერ მოვლილი სოფლებიც, მათ შორის, თურქე რამდენიმე—ერთიმეორისაგან საკმაოდ დიდი მანძილით დაშორებული უზნისაგან შედგება, ყოველი მათგანის ტერიტორია, როგორც ჩანს რამდენიმე კილომეტრზე იშლება. მრავალუბნიანი სოფელიც, უზნებად განუყოფელ სოფელთა მსგავსად, ერთი საერთო სახელით იხსენიება, მაგრამ სოფლის ქალასა, გვერდოსა და სერზე ანუ ვაკეზე გაფენილი უბნები საკუთარი (ერთმანეთისაგან განმასხვავებელი) სახელწოდებებითაც აღინიშნება.

ჩვენს სამოქმედოდ ამორჩეული ცენტრებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავალუბნიანი აღმოჩნდა, უბანთა ტერიტორიული დაშორებით გამოწვეული სიძნელე ამ სტრუქტურების მუდამ ქვეითად მოგზაურმა ავტორმაც კარგად გამოსცადა.

მივლინებისათვის ნავარაუდევია ვადა ჩვენს ძირითად თემასთან (კერამიკულ წარმოებასთან) დაკავშირებული ცნობების შეკრებას მოხმარდა და მემინდერობა-მევენახეობითაც ნაქებ კუთხეში სხვა ხასიათის მასალათა შეგროვება ვეღარ მოხერხდა.

იმერული კერამიკის შესწავლამ ნათელჰყო, რომ წარმოების თითოეულ დარგს აქაც ამ მხრივ საგანგებოდ განსწავლული ოსტატი ემსახურება და ზოგჯერ—კი ოსტატის მოვალეობა მისი ძირითადი საქმიანობის ფარგლებსაც სცილდება: ნაირსახოვანი წითელი ჭურჭლის მკეთებელს საჭიროების შემთხვევაში წყლის მიღების ვაკეთებაც ეკისრება (თუმცა არა ყველას), ისარჩაჭურების ოსტატს თორნის ვაკეთებაც ეხერხება და ავურ-კრამიტის მომჭრელაც ზოგჯერ ერთი და იგივე ხელოსანი გვევლინება.

ჭურჭლისა, თორნე-ქვევრისა და ავურ-კრამიტის წარმოებაში ნედლ მასალად აყალოს სახელწოდებით ცნობილი მიწა და სილისნაირი თირი იხმარება; მეაგურეობაში კი, მათგან განსხვავებით, ქვა-გუნდად წოდებული შავი მიწისა და თირის გამოყენება დასტურდება. სხვადასხვა სახის წარმოებაში გამოყენებული აყალოს სხვადასხვაგვარი თვისებებით ხასიათდება. ერთმანეთისაგან განსხვავებულ აყალოთა შორის თავისებური მსგავსება მაინც დგინდება და თირისა და ქვა-გუნდისაგან კი ყოველი მათგანი არსებითად განსხვავდება.

კერამიკული წარმოებით ცნობილ ცენტრებს მიწით მდიდარი საბადოებიც უხვად მოეპოვებათ და საკუთარი საბადოს არმქონე ოსტატებს—კი მათთვის გამოსადეგი ნედლი მასალის „მოჭრა“ მოსაზღვრე სოფელთა თიხნარებში უხდებათ.

იმერელი ოსტატები, ქართლ-კახეთის ოსტატთაგან განსხვავებით, მიწის გახმობის წესს არ იცავენ, დაღობილი მიწის დაზღვას კი ესენიც უმთავრესად ფეხითა და ხმალით აწარმოებენ (ავურ-კრამიტის დასამზადებლად განკუთვნილ მიწას კი ამჟამად უკვე სახელი მანქანით ზელავენ).

ზემო იმერეთის მეჭურჭლენიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორგვარ ჭურჭელს ამზადებენ: შეუღებავ ჭურჭელს წითელ ჭურჭელს უწოდებენ და მოკიქულ ჭურჭელს კი, ალბათ ვარეგნული მიმსგავსებულობის გამო, „ინგლისს“ ჭურჭლის სახელწოდებით აღნიშნავენ:

წითელი ჭურჭლის ოსტატები სხვადასხვა დანიშნულებისათვის განკუთვნილ ჩაფს, ჩაფულას, თუნგულას, ჩარექას, ხარადოქს, დოქს,



ხელადას, სურა-კინკილას, დერგს, ქოთანს, ჯამსა და გობს, ორ შიმო-ორხელს, კეცს, ისარნას და სხვა სახის ჭურჭელს აკეთებენ და მოკიქული ჭურჭლის ოსტატნიც, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების მატარებელ ჩარეკა-ხელადებს, სურანიტრებს, სამნიტრიანებს ანუ სამფეხიანებს, კინკილეებს, მარნებს, ჯამებს, საინებს და დროდადრო—კი კაცის სახის დოქებსა და ცხოველთა გამოსახულების მქონე ჭურჭლეულსაც აკეთებენ (წითელ ჭურჭელში წვრილ ჭურჭელთან ერთად მსხვილი—ზოგიერთ შემთხვევაში ორი-სამი ფუთის შთამტევი ჭურჭელიცა კეთდება და მოკიქულ ჭურჭელთა შორის კი ჩარეკიანზე მოზრდილი ჭურჭელი იშვიათად თუ შეგვხვდება).

ერთნიცა და მეორენიც თითქმის ერთი სახის ხელსაწყო-იარაღებს ხმარობენ (მორგვი, გონგი, დანა-ჩხირი, კობაჩური-კაკუქელა და სხვ.) და ჭურჭლის ქრის პროცესს კი თავისებური სხვადასხვაგვარობით წარმართავენ: წითელი ჭურჭლის ოსტატები ჭურჭლის თანდათანობითი აშენების (გუნდების თანდათანობითი შემოვლების) წესს იცავენ და მიკიქული ჭურჭლის მკეთებელნი კი ჭურჭლის გამოყვანას ერთი გუნდიდან ახერხებენ. გუნდების შემოვლების ხერხს მხოლოდ მოზრდილი ჭურჭლის კეთების დროს მიმართავენ (ამ შემთხვევაშიც ჭურჭლის ნახევარი ნაწილის გასაკეთებლად მაინც ერთ გუნდასა ხმარობენ) და კაცის სახის დოქებსა და ცხოველის გამოსახულებიან ჭურჭლეულს კი ყალიბების ანუ დარჯაკების დახმარებით აკეთებენ.

ჭურჭლის ერთი გუნდიდან გამოყვანის წესი ხელით სატრიალებელი მორგვის ბუნებას არ შეესატყვისება; ჭურჭლის ქრის ამგვარი ტექნიკა ფეხით სატრიალებელი ჩარხის შემოღებას უკავშირდება და იქნებ უმართებულო არ იქნებოდა თუ ვიფიქრებდით, რომ შრომის მოკიქულის ჭურჭლის წარმოებაში მეზობელ მხარეთა (ქართლ-კახეთის ან დას. საქართველოს რომელიმე კუთხის) მეჭურჭლეობაში დაკანონებული წესის გადმონერგვის ფაქტი დასტურდება.

წითელი ჭურჭელი წარნაქითა და შავი ქვითა ქრელდება და მოსაქიქავად განკუთვნილი, თოქალით დაქრელებული ჭურჭელი კი რთული შედგენილობის ხსნარებშიც იღებება თეთრ ფერად. მოკიქულ ჭურჭელთან ერთად, იმერეთში, შავად და მოწითალოდ მოკიქული ჭურჭლეულიც შეგვხვდება.

იმერელი მეჭვევრის საქმიანობაც მხოლოდ ღვინის შთასაყენებლად განკუთვნილი ჭურჭებისა და ქვევრების კეთებით არ ამოიწურება (იმერეთში დიდ ქვევრს „ჭურს“ უწოდებენ და პატარას—კი „ქვევრის“ სახელწოდებით აღნიშნავენ), მეჭურე-ოსტატი „თალარის“ სახელით ცნობილი და „ისარნადაც“ სახელწოდებული ნახევარქვევრებისა და თორნების მკეთებლადც ითვლება (ისარნა საწნახელიდან გადმოსული ტკბილის შესაგროვებლად იხმარება და თორნე კი აქაც პურის გამოცხობის საჭიროებას ემსახურება).

საქართველოს სხვა კუთხეთა მეჭვევრეობაში დამოწმებული წესები იმერულ მეჭურეობაშიც სრული თანმიმდევრობით მეორდება, ქვევრის შენებისა და გამოშრობა-გამოწვის მეტად რთული პროცესი, აქაც, მეზობელ მხარეთა ოსტატებისათვისაც კარგად ცნობილი ხერხებით ვითარდება და იგივეობამდე დაყვანილი მსგავსება ხელსაწყო-ნაგებობათა ერთგვარობითაც დასტურდება. კუთხური თავისებურება უმთავრესად ტერმინოლოგიაში



აშკარადება, თუმც სრულყოფილი სპეციფიკურობა და განკერძოებულობა არც ხაზით შეიმჩნევა.

მეცნიახეობა-მეღვინეობის სახელოვან სამშობლოში მექვევრობის მრავალი ცენტრი მოიპოვება, მაგრამ კლასიკურ კუთხედ მისაჩნვე იმერეთს ამ მხრივ ალბათ ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება.

ქართული კერამიკის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო მასალას იმერეთის მებაგურეობა-მეკრამიტეობაც იძლევა, საქართველოს სხვა კუთხეთა და კერძოდ ქართლ-კახეთის მებაგურეობა-მეკრამიტეობაში დამოწმებულ წესთა (და ზოგიერთ ტერმინთა) არსებობა იმერთა მებაგურეობა-მეკრამიტეობაშიც დასტურდება.

იმერეთშიც ამჟამად სწორკუთხიანი ოთხკუთხედის მსგავსად მოყვანილი ანგური იჭრება (იმერეთში აგურს „ანგურად“ გამოთქვამენ) და თანასწორგვერდებიანი ქართული ანგური კი უკვე აღარ კეთდება. მოგრო მოყვანილობის აგურის მკეთებლობა ძველი იმერეთისათვისაც თურმე უცნობი არ ყოფილა; ხალხში დაკული გადმოცემები და ზოგიერთ ოჯახში დღევანდლამდე შემონახული დიდი ზომის აგურები ნათლად მოწმობენ, რომ ვიწროდ და გრძლად მოყვანილი აგურის (ოლონდ უფრო მოზრდილს) კრის ტრადიცია იმერეთში იმთავითვე არსებულა.

ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებული და ამჟამაც საყოველთაოდ ხმარებული ქართული კრამიტი (ლარის მსგავსად გვერდებდახრილი) იმერეთში დღესაც ძველებური უპირატესობით იხმარება (ყავარის მაგიერობასაც კრამიტი ეწევა) და წარმოებაშიც უპირატესად ქართული კრამიტი მზადდება. ქართული კრამიტი, სახურავზე დაკავებული ადგილმდებარეობის შესატყვისად, სხვადასხვაგვარი ნიშნებითაც ხასიათდება; ერთმანეთისაგან თავისებური ნიშნებით განსხვავებული ზღუდის კრამიტი, სახურავი კრამიტი, საბოლოო კრამიტი, შუარგოლა კრამიტი და კაპიანი კრამიტი—ქართული კრამიტის ქვესახეებად ჩაითვლება.

ძველი ღროის იმერეთში, როგორც ეს მთხრობელთა გადმოცემიდან გამოირკვა. მოქიქული კრამიტიც ყოფილა ხმარებული; რამდენიმე ათეული წლის წინ გაუქმებული, ამჟამად შესამჩნევად დაზიანებული ქედის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაც მწვანედ მოქიქული კრამიტით არის გადახურული¹.

„ქართულ კრამიტად“ სახელდებულ ღარისებურ კრამიტთან ერთად, ძველად, ბრტყელი და გვერდებამოღებული დიდი ზომის კრამიტიც ყოფილა გავრცელებული. ამგვარი კრამიტები სოფ. შროშაში მცხოვრები გლეხის—რაფიელ ლაბაძის ოჯახში ამჟამაც ინახება, რაფიელის პაპის მამის—ბეგან ბერის ძე ლაბაძის მიერ მოპრილი კრამიტი სამთავროს საფლავში აღმოჩენილ კრამიტებს ძლიერ მიემსგავსება.

ზემო იმერეთის კერამიკული წარმოების ყოველ დარგსაც ორი სახის ნაგებობა ემსახურება: ოსტატის სამუშაოთა და კერამიკულ საგანთა მოსათავსებლად განკუთვნილ ნაგებობას ქარხანა ეწოდება (ჭურის ქარხანა „საქურე ბინადაც იწოდება) და გამოსაწვავად განკუთვნილი ნაგებობა—კი საწვავისა და ქურას სახელებით იხსენიება; გამოსაწვავი ნაგებობის ქართული სახელწოდება უმთავრესად შროშის მეტურქულეთა მიერ იხმარება.

¹ შროშელთა გადმოცემით აღნიშნულ გლეხსაზე დახურული კრამიტი სოფ. შროშაში მცხოვრები მეკრამიტის—ვინმე მათია სამხარაძის მიერ ყოფილა დამზადებული.

ზემო იმერეთის კერამიკის ცენტრებში დამზადებული აგური და კრამიტი ახლომახლო სოფლებშივე საიდება, ჭურიასა და თორნეს გამსაღებელი ბაზარი ზოგჯერ ამ მხარის ფარგლებსაც სცილდება და აქაური ჭურჭელი—კი შორეულ მხარეებსაცა სწვდება; ოსტატურად ნაკეთები ზემო იმერული ჭურჭელი ქვემო იმერეთსა, გურიასა და ქართლშიც იყიდება.

მივლინებისათვის განკუთვნილი ვადა ნაყოფიერად იქნა გამოყენებული; ზემოაღნიშნულ ცენტრებში წარმოდგენილი კერამიკა, ჩვენ ვფიქრობთ რომ, ჯეროვნად იქნა შესწავლილი¹.

მადლობა უნდა მოვახსენოთ ზემო იმერეთის კერამიკული წარმოების პატივცემულ ოსტატებს—საყურადღებო ცნობების ვადმოცემისათვის და აგრეთვე ტფ. სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტებს: ნინო კაკაბაძესა და დავით თაბაგარს, პირველს—მუდმივი თანამგზავრობისათვის და მეორეს კი—ადგილზე მუშაობის დროს თავაზიანი დახმარების აღმოჩენისათვის.

¹ ოცდათხუთმეტი ოსტატის მონაწირობით ოთხასი გვერდი იქნა შეკრებული და კერამიკული საგნები და მათ გამოყვანასთან დაკავშირებული ზოგერთი მომენტები ფოტოგრაფიულად იქნა გადაღებული.

ხმსსრამეთის ეთნოგრაფიული მკვლევარების მოკლე ანბარი

1944 წლის ივლისის თვეში ეთნოგრაფთა ერთი ჯგუფი, უფროს მეცნ. თანამშრომელ ლ. ბოჭორიშვილისა და ასპირანტ თ. ოჩიაურის შემადგენლობით, ხევსურეთს გაემგზავრა. ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ორი კაცისაგან შემდგარი ფოლკლორისტთა ექსპედიციაც შემოუერთდა და საექსპედიციო მუშაობისათვის განკუთვნილი მთელი დროის განმავლობაში მასთან ერთად იმუშავა.

ექსპედიცია თბილისიდან 22 ივლისის დილით გავიდა, ღამე თინეალში (ტინეანში) გაათენა და ტრანსპორტის ხშირი მონაცვლებით გამოწვეული წვლებების შემდეგ, წვიმიანი ამინდის პირობებში, 23 ივლისის საღამოს სოფ. შუაფხოს მიაღწია. წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად, ჩვენ პირდაპირ ბარისახოში უნდა აესულიყავით, მაგრამ თინეალში გავიგეთ, რომ ბარისახოს გზა ხანგრძლივი ავტობუსის შედეგად, ორწყლამდე, საგრძნობლად დაზიანებულიყო და სამანქანო მიმოსვლაც შეწყვეტილიყო. უსიამოვნო, შემთხვევის წყალობით, ჩვენ, უკანაფეხების ერთი ტიპიურ სოფელთაგანი ვინახულეთ და ზოგი ფშაური სოფელი კი შორიდან შევათვალიერეთ.

24 ივლისს, ტვირთის გადასაკიდებლად დაქირავებული ცხენისა და გამოყლი ფშაელი ქალის თანხლებით, ხევსურეთის გზას დავადექით. ბარისახოში ახალი სამწუხარო ამბავი დაგვხვდა: არაგვის ხეობის მიმდებარე მთავარი სახევსურეთო გზა კარგა ხნის დანგრეული აღმოჩნდა. აღიდებულ არაგვს კალაპოტი გადნოელახა და ქალაზე მიმავალი ცნობილი ბილიკი მრავალ ადგილას დედაშიწის პირიდან აღეგავა. ექსპედიციამ ოხერხეთთან აღმართულ მთაზე აუხვია და დაყუდებული ბილიკის დასასრულს მხოლოდ საღამო ხანს მიაღწია. ამ ადგილიდან იწყებოდა ხეობის პარალელურად გაქიმული მთის ბილიკი გველაურთა, რამდენიმე ათეული წლის წინ მიტოვებული და ზემოაღნიშნული გარემოების გამო წელს ხელახლად აღდგენილი და მოგონებული. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ დაბურულსა და უკვე მოახლოებული ბინდით დაბნელებულ ტყეში აღმოჩნდით. ატალახებული ვიწრო ბილიკი, მოახლოების გზაზე მღვრიე ღამის შიში და მძიმედ დატვირთული ცხენის გაქირავებული მოძრაობა სწრაფი მსვლელობის შესაძლებლობას გვისპობდა. მთის ბილიკის მეოცედიც არ გვექონდა გავლილი, რომ საკმაოდ დაბინდდა და ბარგიანი ცხენიც უფსკრულისაკენ დაეშვა. ფშაველმა ქალმა ციცაბო კლდის პირად გაჩერებული ცხენი დიდის ვაი-ვაგლახით ზემოთ ამოიყვანა, ექსპედიციის წევრთა ავლადიდება კი გველაურთის ტყის კალთებზე გაიბნა. ერთგამოუთქმელი მწუხარებით დატვირთულებმა, ღამის სიბნელეში, ძნელად სავალ გზაზე სიარული განვაგრძეთ და ათასგვარი განცდებით დაქანცულეებმა, როგორც იყო, სოფ. დელისვაკის მივალწით.

სოფელში, და კერძოდ იმ ოჯახშიც, რომელმაც ჩვენ იმ ღამეს შეგვიფარა, მხოლოდ ქალები და ბავშვები დაგვხვდნენ, მამაკაცები ხატში იყვნენ წასული ღამის სათევად. მეორე დღეს, საიშედო ადგილას მიმოხეული ნივთები



ამოგზიდეთ და იმავე დღეს როშკაში ავედით. როშკის სოფლის საბჭოს თავმჯდომარის თავაზიანი დახმარების წყალობით ერთი ცხენისა და გამყოლის შონა მოვახერხეთ და 26 ივლისს არხოტისაკენ გავემართეთ. როშკის თავზე, ხორაის წყაროს მახლობლად, ძლიერი წვიმა წამოგვეწია, ქართან შეხმატკბილებულ წვიმას მალე სეტყვაც შეუერთდა და მაღალი მთებით დაფარული მთელი მიდამოც ბნელმა ბურუსმა მოიცვა. მთელი დღის განმავლობაში ძლიერი წვიმის მსვლელობა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. ისედაც ადიდებული წყლები უფრო და უფრო დიდდებოდნენ. ჩვენ თვალწინ ახალ წყალვარდნილები იშვებოდნენ. მდინარე ასას ხეობაში შემზარავი ხმაური გაისმოდა. წვიმის მუდმივი თანამგზავრობით გადავიარეთ არხოტის გრძელი გზა. გადავლახეთ თოვლით დაფარული მთები, თოვლის ხიდები, ავდრისაგან მომსკდარი ზეავეები, ძველი მდინარეები, ახლადშობილი წყლები და ღამის ღრმა სიბნელეში წყალშუის მინდორს მივადექით. მდინარე ასაზე გადებული ხიდი, რომლითაც ახიელაში უნდა გადავსულიყავით, ადიდებულ მდინარეს წაელო. ქიმის წყალიც ისე აზვირთებულყო, რომ მასზე გასვლა არ შეიძლებოდა. ძლიერ დაქანცულნი და სრულიად დასველებულნი კლდის ძირას მივსხედით და ექსპედიციის ორი წევრის დაკარგვით დადარდინებულმა გათენებას დაუწყეთ ლოდინი. შუა ღამისას, თოვების სროლის ხმა მოგვესმა, სროლის ხმა თანდათან მოახლოვდა და სულ მალე ორი ხევსური თავზე წამოგვადგა. ექსპედიციის დაკარგულ წევრებს, ბევრი სიარულის შემდეგ, თურმე ქიმამდე მიეღწიათ და დავით გაბური და დავით თეთრაული ჩვენს საძებნელად გამოგზავნათ. ქიმელეებმა იმ ღამეს ქილაში აგვიყვანეს, გულთბილად გავვიმასპინძლდნენ და მეორე დღეს კი ახიელასაკენ გამოგვისტუმრეს.

არხოტში 18 დღე დავრჩით. 14 აგვისტოს, მცირე სათავგადასავლო ამბების თანხლებით, პირაქეთ ხევსურეთში გადმოვედით. ჩვენთვის საჭირო ეთნოგრაფიული ცნობები როშკასა და ჩირდილშიც შევკრებით. 19 აგვისტოსათვის მუშაობა დავასრულეთ და ბარისახოდან თფილისში გამოვემგზავრეთ.

26 ივლისს, ჩვენი საბედისწერო მოგზაურობის დღეს, არხოტის თემი ათენგენეობის სახელწოდებით ცნობილ დღეობას დღესასწაულობდა. ამ დღესასწაულის აღსანიშნავად, თურმე, სამივე სოფლის მთავარი ჯვრების დროშანი გამობრძანდნენ. ყველაზე ბევრი სტუმრები, როგორც ყოველთვის, მთის ვეშაგს ესტუმრნენ. დღეობის მომდევნო დღეებისათვის ნავარაუდევ რელიგიურ წესთა შესრულებას ჩვენც დავესწარიით. ვიხილეთ ამლეი მიცვალებულების მოსახსენებლად მოწყობილი დოდი, ლაბახი და საქნარი. მოწამენი გავხდით ხევსურული შულლისა და მოშულლართა მორიგებისა, ხევსურულ ქორწილთან დაკავშირებული ზოგიერთი ცერემონიალისა და ქალის გატაცებისა. გულდასმით ვადევნეთ. თვალყური ჯვარის სტუმრების ხანგრძლივ პროცესს, მონაწილეობა მივიღეთ მოპატიებულ ჯვართა პატივსაცემად გამართულს წვეულებებში.

ექსპედიციის ძირითად მიზანს ხევსურულ ჯვართან და ხევსურულ ქადაგობასთან დაკავშირებული მასალის შეკრება წარმოადგენდა, მიზანი მიღწეულ იქნა, ხსენებული საკითხების ირგვლივ ფრიალ საყურადღებო ცნობები შეგროვდა. ხევსურული ჯვარის შესწავლის თვალსაზრისით გამოსადგები ფაქტების გარკვეული ნაწილი შემკრებელმა საკუთარი თვალით დამოწმა და უშუალოდ განიცადა, ჯვარის სტუმრების ცერემონიალმა მას ამ მხრივ დიდი



მასალა მისცა. ხსენებული საკითხის ირგვლივ არსებული ძირითადი მასალა, რა თქმა უნდა, მთხრობელთა გამოკითხვის გზით იქნა შეგროვებული.

წარსულ წელს, ხევსურული ტალავარის შესწავლის მიზნით, პირაქეთ ხევსურეთში ვიმუშავეთ, ჯვარის გამოსახულების საკითხს მაშინვე მივაქციეთ ყურადღება და ცნობების შეკრების დროს ეს უკანასკნელიც გავითვალისწინეთ. არხოტული ტალავარი წელს საგანგებოდ ჯვარის პრობლემასთან დაკავშირებით შევისწავლეთ და ლითონის საგანთა შესახები მონათხრობიც ამ მიზანდასახულობით განვიხილეთ.

ჩავიწერეთ ჯვართა ანუ ხთიშვილთა რაობის გამრკვევი საგულისხმო გადმოცემები; ფიქსაცია ვუყავით ჯვარის განძისა და კარმიდამოს აღწერილობას, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ დროშის გარეგნობას და მის იდეოლოგიურ გააზრიანებას.

ამ რიგი საკითხების გარშემო მნიშვნელოვანი მასალა მოგვაწოდეს: ახიელელმა გიორგი ჯაბუშანურმა, ამლიონმა ხირჩლა წიკლაურმა და ჩირდილელმა აბიკა აჩაბულმა. ჩვენ მათ წერილობით შედლობას მოვახსენებთ.

ქადაგობის ბუნების გარკვევის მიზნით წარმოებულმა საველე მუშაობამაც სასურველი შედეგი მოიტანა. შემკრებელმა, ხევსურეთის სინამდვილეში ორიგინალური ხასიათის ქადაგობა დაადგინა და ქადაგის სამეტყველოდ განკუთვნილი „ენაც“ ე. წ. „ჯვართ ენაც“ შეისწავლა.

ხევსურული ჯვარისა და ქადაგობის ირგვლივ მოპოვებული მასალა აქ არ იქნება გადმოცემული. პირველი საკითხი ბოკორიშვილის სამეცნიერო მოხსენებაში იქნება გაშუქებული, მეორე საკითხის შესახებ კი ოჩიაურის საანგარიშო მოხსენებაში იქნება აღნიშნული.

თელავის რაიონში მივლინების მოკლე ანბარი

1950 წლის ოქტომბერში თელავის რაიონში მოგვიხდა ეთნოგრაფიული ხასიათის საველე მუშაობის ჩატარება, საველე მუშაობის მიზანს შეადგენდა მევენახეობისა და მეღვინეობის შესწავლა. შიგნით კახეთის ამ ცენტრალურ რაიონში 1945 წელშიც ვაგროვებით მევენახეობასთან დაკავშირებულ ცნობებს; იმ დროს დაწყებული ძიება წელს უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა; ვენახის მოვლა-მოშენების საკითხს ღვინის დაყენების საკითხიც დამატა. მუშაობის პროცესში წამოჭრილი აუცილებლობის გამო, ჩვენ სხვა რაიონების სოფლებშიც გადავედით: სათანადო მასალები შეგვკრიბეთ ყვარელში და ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში.

ჩვენს ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში შიგნით კახეთის ცამეტი სოფლის მონაცემია გათვალისწინებული, ეს სოფლებია: ახლანდელი მივლინების დროს შესწავლილი აკურა, წინანდალი, იყალითო, თაღლაური, აწყური, ფშაველი, ყვარელი და წარსულში გაცნობილი კონდოლი, კისისხევი, კურდღელაური, ვარდისუბანი, გულგულა და რუისპირი.

მოპოვებული მასალის მიხედვით, ზოგადად მთელი შიგნით კახეთის მევენახეობა წარმოგვიდგება: სოფლის მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი, როგორც ჩანს, ყველგან მსგავს ტრადიციულ წესებს ემყარება.

შიგნით კახეთის მევენახეობის სფერო, ჩვენი წინასწარი ვარაუდით, ორ ძირითად ზოლად უნდა გაიყოს: ერთია—ალაზნის გაღმა მხარე, მისი მარცხენა ნაპირი, მეორეა—ალაზნის გამოღმა მხარე, ხსენებული მდინარის მარჯვენა ნაპირი¹. პირველი—უმთავრესად სარწყავი ზოლია, მეორე კი—ურწყავი.

ყურძნის მთავარ ჯიშთა მეტ-ნაკლები გავრცელებულობის მხრივაც შიგნით კახეთის სხვადასხვა მხარე სხვადასხვაგვარ სპეციფიკურ მაჩვენებლებს იძლევა: აშკარად გამოიყოფა ზემოდასახელებული გაღმა მხარე და გამოღმა მხარის ორი შედგენილი ნაწილი—ერთის მხრივ, თურდოს ხევის მარცხნივ მდებარე (ალბათ ახმეტამდე) და მეორეს მხრივ, ამ ხევის მარჯვნივ წარმოდგენილი (ალბათ მეტუზნამდე).

ვენახის გავრცელების არეალი მთის ძირიდანვე აღწევს. ძველად, შემორჩენილი ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის იქნებ მთის ზოლშიც იჭრებოდა; ახმეტისა და ყვარლის რაიონების შესწავლის დროს ეს საკითხი, ალბათ, სათანადოდ დაზუსტდება.

მოგზაურობის დროს, მხატვრული და ფოტოგრაფიული ილუსტრაციებისათვის საჭირო ობიექტებიც შევნიშნეთ: სამონასტრო მეურნეობისათვის

¹ ალაზნის მარჯვენა მხარეს განლაგებული სოფლების მცხოვრებნი მოპირდაპირე მხარეს „გაღმას“ ეძახიან, თავიანთ ადგილსამყოფელს კი—„გამოღმას“. ალაზნის მარცხენა მხარეს განლაგებული სოფლების მცხოვრებთათვისაც მოპირდაპირე მხარე გაღმა მხარეა, საკუთარი ადგილსამყოფელი კი—გამოღმა. ჩვენ, პირობით, სიტყვა „გაღმა“ მდინარეს ალაზნის მარცხენა ნაპირის აღსანიშნავად ეხმარებით, „გამოღმას“ კი—მარჯვენა ნაპირის აღსანიშნავად.



განკუთვნილი დიდი მარანი—ზემო ხოდაშენში და გლეხკაცის მეთრეობისათვის გამოსადეგი მარნები—ყუარელში. კარგად მოწყობილი ყურძნის ხეივნები—აწყურში, ფშაველში და მთხრობელთა მითითების მიხედვით—სხვა სოფლებში (ფშაველში ნაპული ხეივანი ყურადღებას იქცევს არა მარტო იმიტომ, რომ ის თითქმის ოთხმოცდაათი წლისაა, არამედ იმათაც, რომ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში მას დედანი აღარ გააჩნია და მხოლოდ ფესვებით იკვებება).

შიგნით კახეთის სოფლებში ჩაწერილ მასალაში ვენახის მოვლა-მოშენების და ღვინის დაყენების დაწვრილებითი აღწერილობაა მოცემული. კახელი გლეხკაცის მონათხრობში აშკარად იგრძნობა ვაზის კულტურის ღრმა ცოდნა და მისდამი შექმნილი დიდი სიყვარული. მომავალი წლებისათვის ნაუარაუდოვი კვლევა-ძიება უმკველად ცხადყოფს, რომ საქართველოს ამ კუთხეშიც ცხოვრობს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე მევენახე ხალხი.

ქვევრი ღვინის შესანახად განკუთვნილი თიხის ჭურჭელია, უძველესი დროიდანაა ცნობილი და ამჟამადაც ფართოდ ხმარებული მევენახეობა-მეღვინეობით ცნობილ საქართველოში.

ქვევრი, როგორც წესი, მიწაში უნდა იყოს დაფლული; ამ საჭიროებას ემსახურება მარანი—ქვევრების ადგილსამყოფელი, ნაგებობის სახით წარმოდგენილი ან ღია ცის ქვეშ გამართული.

ქვევრი მრავალნაირი ტევადობისაა (ძირითადად, ჩაფიდან საპალნემდე), მაგრამ ყველა მათგანი მსგავსი მოყვანილობისაა (კონუსისებური ძირი, ყელისაკენ თანდათან გაფართოებული უზარმაზარი მუცელი და დაბალსა და ვიწრო ყელზე დამყნელი მრგვალი პირი); სხვადასხვა მოცულობის ქვევრთა არსებობა ღვინის დაყენებისა და შენახვის რთულ პროცესთან არის შეპირობებული.

დიდი მოცულობის ქვევრებს, ქვევრთან ერთად, ჭურსაც უწოდებენ, მცირე მოცულობის ქვევრებს კი ქვევრის ან ქოცოს სახელით იხსენიებენ. საქართველოში ქვევრის მექანობლით ცნობილი ბევრი ცენტრი მოიპოვება, კერამიკული წარმოების ეს დარგი ძველიდანვე მეღვინეობის სამსახურში იმყოფება.

რედაქციისაგან

საქართველოს ეთნოგრაფიის „მასალების“ წინამდებარე VIII ნაკვეთში მოთავსებულია უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა ეთნოგრაფის ლუბა ილიას ასული ბოჭორიშვილის (1914 — 1952 წწ.) ეთნოგრაფიული ნაწერები. ლ. ბოჭორიშვილმა თავისი მოღვაწეობის მოკლე ხნის მანძილზე ნაყოფიერად იმუშავა და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა საქართველოს საბჭოური ეთნოგრაფიის განვითარების საქმეში.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ის შეუდგა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას. მისი პირველი შრომა „კახური კოსტუმი“, რომელიც გამოქვეყნდა 1947 წელს სტუდენტობის ხანაში, შეგროვებული მასალების დამუშავებასთან არის დაკავშირებული. მას დაბეჭდილი აქვს რიგი მონოგრაფიები და წერილები რომლებშიც უმთავრესად გარკვეულია ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის საკითხები. იგი გულმოდგინედ სწავლობდა ქართველი და კავკასიელი ხალხების კერამიკულ წარმოებას, მკედლობას, ოქრომკედლობას, შინამრეწველობის სხვადასხვა დარგს, ჩასაცმელ-დასახურს, იდეოლოგიისა და ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხებს და სხვა. ყოველ პრობლემას განსვენებული მკვლევარი მრავალფეროვანა და მრავლისმეტყველ მასალას უღებდა საფუძვლად და მასზე დაყრდნობით მნიშვნელოვან მეცნიერულ დასკვნებს ღებულობდა.

თეორიული საკითხების დამუშავებასთან ერთად ლ. ბოჭორიშვილი მეტად ნაყოფიერად მუშაობდა საველე ეთნოგრაფიის დარგში. ის იყო ხალხური ყოფის კარგი დამკვირვებელი და მასალის ფიქსაციის შესანიშნავი ოსტატი. ამის ნიმუშს წარმოადგენს მის მიერ ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შეგროვებული მასალები კახური კერამიკის შესახებ. ავტორი თავის აღწერილობაში ზედმიწევნით ზუსტად და ყოველმხრივ აგვიწერს კუთრკლის დამზადების ტექნიკას, კუთრკლის ნაირსახეობას, მის ფუნქციებს, გავრცელების არეებს და სხვ.

ამ ტომში თავმოყრილი ნაშრომები უმთავრესად ველზე შეკრებილ მასალებს შეიცავს და პირველადი დამუშავების სახითაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ ზოგი მათგანი ავტორის დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ ამისდა მიუხედავად ისინი შეიცავენ მეტად საყურადღებო მასალას სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის. ამ ნაშრომებში, თუმცა იშვიათად მაგრამ მაინც აქა-იქ ადგილი აქვს განმეორებებს. ტექსტი იბეჭდება უცვლელად, იმ ხელნაწერების მიხედვით, რომლებიც გადმოეცა რედაქციას. აქ მოთავსებული ნაშრომებიდან: „მევენახეობა კახეთში“ — 1951 წელს; „ზემოიმერული კერამიკა“ — 1941 წელს; „დალესტნური თიხის კუთრკელი“ — 1942 წელს; „ხევსურული ტალავარი“ — 1944 წელს; „წალკელი ქალის თავსაბურავი“ — 1943 წელს; „მასალები კახეთის ქალების ოქრომკედლობის შესახებ“ — 1948 წელს; „ალაგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“ — 1950 წელს; „ქვემო ქართ-



ქართველთა
წერა-ბეჭდვის
კავშირის

ლის ისტორიული ეთნოგრაფიიდან — საფლავის ძეგლები — 1949 წელს; „სახეუ-
სურეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში“ — 1947 წელს, „თე-
ლავის რაიონში მივლინების მოკლე ანგარიში“ — 1950 წელს.

ლ. ბოჭორიშვილის ნაშრომების სრული სია დართული აქვს თ. ო რ ი ა უ-
რ ის მიერ შედგენილ ნეკროლოგს, რომელიც დაიბეჭდა აკად. ივ. ჯავახიშვილის
სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ორგანოში — „მემომხილველი“, ტომი მე-
სამე, თბილისი 1953 წ.

ს ა მ ი ე ბ ლ ე ბ ი

კოგრაფიული სახელები

- აბრამეთი 16
 ავარეთი 74
 ავრახლო 131, 132, 143
 აკურა 201
 აკუმურთა 105
 ალაზანი 13, 201
 ალაზნის გამოღმა მხარე 201
 აღგეთი 160, 173
 აღგეთის ხეობა 160, 161, 162, 164, 165, 168, 170, 171, 173, 174
 აღუქსევიკა 175
 აშლევი 162
 აშლა 199
 არაგვის ხეობა 198
 არდასუბანი 161, 162
 არაშენი 169
 არბოტი 199
 ასურეთი 169
 ატოცი 33
 აფშო 90
 აფხუშო 90
 აღმოსავლეთი საქართველო 68, 71, 124
 აწყური 201, 202
 ახალი ყაზანიშხი 73, 74
 ახალშენი 23
 ახიელა 199, 200
 ახმეტა 18, 20, 201
 ახნალიცი 77
- ბალხარი 73, 74
 ბარისაბო 198, 199
 ბარმაქისი 130
 ბეთანია 169
 ბეშთაშენი 144
 ბითანი 20
 ბირთვისები 160
 ბოგვი 161, 162, 169, 170, 171, 175, 179, 190
 ბოდბისხევი 168
 ბორბალა 161, 162, 170, 175
 ბორჩხა (კოროხის ხეობა) 68
 ბოსლევი 27, 28, 29, 32, 40, 53, 59, 61
 ბუქდულეთი 162
 გარდაბნის რაიონი 169
 გარე კახეთი 64, 71
- გეზრული 27, 193
 გერდანისი 144
 გველურთა 198
 გოხნარი 161, 165, 167, 169, 189
 გუდარები 174, 186
 გუმბეთი 130, 132, 133, 134, 136, 138, 142, 143
 გუნიალა 130, 136, 137, 140
 გურია 51, 70, 197
- დათისი 90
 დარგის ოლქი 74
 დასავლეთი საქართველო 66, 67, 195
- დაღეთი 161, 180
 დაღეთის სოფლიანი 174, 180, 181, 182
 დაღესტანი 73
 დიდი ენაგეთი 161, 169, 170, 171
 დიდი თოხეთი 169
 დიდ-წიფელა 27, 193
 დუშაბისი 174, 175, 176, 177, 178
 დურნოცი 161, 162, 163, 172, 174, 175, 176, 177, 180, 181, 184, 185, 187
 დუშეთი 172
- ეგვიპტე 66
 ედიქილისა 130, 131, 132, 135
 ენაგეთი 163
 ერტისი 161, 162
 ერფელი 73
 ერწო 170
- ვაკე 61, 161, 162, 174, 175, 176, 177, 188, 189
 ვარდის უბანი 5, 201
 ვარშამანჯი 92
 ვარძია 172
 ვაშლოვანი 161, 162, 175, 190, 191
- ზემო აბკალაფა 175
 ზემო იმერეთი 27, 28, 29, 30, 32, 51, 56, 60, 64, 65, 67, 68, 69, 71, 72, 193, 194, 197
 ზემო ქართლი 161
 ზემო ხოდაშენი 202
 ზესტაფონი 193
 ზირბითი 162
- თალღაური 201
 თბილისი 164, 190, 193, 198, 199
 თეთრიწყარო 175, 180
 თელავი 147, 157
- იბერია, 5, 63
 იმერეთი 35, 51, 56, 57, 61, 62, 193, 195, 196
 ირანი 160
 ისპიცი 73
 იფნარი 175
 იყალთო 201
- კახენი 174, 180
 კარდანახი 20
 კასპი 71
 კახეთი 5, 11, 19, 20, 24, 69, 70, 71, 161, 163, 164, 165, 169, 170, 172
 კეპლითი 47
 კვირიკე 68
 კიერეკი 130
 კისისხევი 201
 კლდეისი 174, 175, 180, 186, 188, 189
 კოლა 172
 კოდისწყარო 162



კოლხეთი 63
კონდოლი 201
კოჭორები 174, 180, 184
კურღღელაური 6, 201

ლენჩხუმი 64, 67, 68
ლიმანი 68
ლიხთ-იმერეთი 26

მანკოლი 172
მარაბდა 162, 167, 170, 172
მარალიდი (ბათუმის ოლქი) 68
მარელისი 7
მაქათუბანი 27, 193
მაწყვანი 162
მენჭალისი 175
მესხეთ-ვახუშთი 164
მუკუხანი 20, 201
მუნათი 190
მცხეთა 92

ნავთლული 164, 170
ნამტვირანი 162
ნანოზი 28
ნანფარული 20
ნაჭიკვაკები 174, 180
ნანშიყორა 172

ორწყალი 198
ოხერხევი 198

პატარა ენაგეთი 161, 169, 174, 175, 180, 183
პირაქეთ ხევსურეთი 199, 200

ჟინვალი 196

რაჭა 7, 27, 57, 168
რაჭა-ლენჩხუმი 70
როშა 199
რუისპირი 201

საბარათიანო 164
საბარათაშვილო 160
საბეში 27, 194
სამანეთი 172
სამშვილდე 174, 175, 176, 177, 188
სამხრეთი საქართველო 124
საფურები 162
საქართველო 5, 18, 26, 37, 53, 64, 67, 68,
69, 70, 71, 96, 106, 108, 129, 196, 202

საორიანო 161, 168
საწამლე 27, 29, 193
სიონალი 147, 157
სომხითი 161
სომხით-საბარათიანო 160, 161, 163
სპარსეთი 152
სტამბოლი 152

ტბა 165, 167
ტბისი 161, 163, 165, 167, 169, 175, 177
ტბისის ხევი 171

უბისი 57, 194
უკანაფშავი 198

ფაზისი 63
ფარცხისი 160, 161, 162, 163, 167, 168, 169,
174, 175, 180

ფშავი 108
ფშავ-ხევსურეთი 90, 94

ქართლი 7, 51, 57, 71, 161, 173, 197
ქართლ-კახეთი 71, 160, 163, 172, 195, 196, 197
კვათახევი 168
ქვემო ახალაფა 175, 183
ქვემო იმერეთი 51, 57, 197
ქვემო ქართლი 160, 162, 163, 172, 174,
175, 177, 190, 192
ქვემო ჩვენეთა 73
ქიზიყი 64, 67, 71, 148
ქოთიშა 161
ქოსალო 180, 181, 182, 187, 188, 189
ქსნის ხეობა 64, 66, 68, 69, 70, 72
ქსოვრეთი 161, 162, 175, 185

ღელის ვაკე 198
ლორისთავი 161, 162
ლოუბანი 161, 162, 170, 175, 179, 186, 187
ლოუბან-ფარცხისი 176

ყაზახი 170
ყაზი-ყუმუზი 76, 79
ყვარელი 13, 18, 20, 201, 202

შავსავდარი 161, 162
შიგნით კახეთი 18, 64, 67, 68, 71, 201, 202
შილა ქართლი 164
შიფაქი 130, 131, 192
შროშა 27, 28, 29, 34, 39, 40, 60, 61, 62,
193, 195, 196
შუაფხო 90, 198

ჩარგალი 90
ჩენახი 191
ჩხიკვა 161, 163, 165, 167, 169, 171, 175,
176, 177
ჩხირაული 27

ცხინვალი 172

ქველმოკვი 180, 184, 185, 186, 187, 190
ქველი ზირბითი 190
ქველი ტბისი 171
ქველი ხოპისი 169

წალკა 129
წინადალი 20, 201
წინწყარო 130

პალა 161, 162
პიმლა 199
პიმლის წყალი 199
პინურიანი 162

ხადიკი 130, 145
ხანლო 130, 131, 132, 136
ხარაგაული 193
ხარაბა 139
ხევი 93
ხევსურეთი 89, 93, 95, 100, 110, 115, 198,
200
ხოპისი 161, 162
ხორაღს წყარო 199

ჯავახეთი 170
ჯინისი 131
ჯოყეთი 27, 51, 193
ჯული 73

პოლიანკი 130, 131, 140

პირთა სახელები

- აგათია სქოლასტიკოსი 63
 ადუაშვილი მ. 179
 არაბული ა. 200
 არაბული 90
 არიანე 63
- ბარდაველიძე ვ. 91, 94, 191
 ბასილ ზარზმელი 92, 94
 ბედუქაძე ს. 191
 ბერძენიშვილი ნ. 18, 89, 160, 161, 162, 171, 174, 186, 191
 ბეცაშვილი დ. 186
 ბეჭუაშვილი ე. 186
 ბიძინაშვილი ზ. 186
 ბოკორიშვილი ლ. 64, 198, 200
 ბროსე 89
- გაბური დ. 191
 გამბა ა. 94
 გიორგი მერჩული 92
 გორგიჯანიძე ფ. 93
 გრიგოლ ხანძთელი 92
- დავით აღმაშენებელი 93, 106
 დათეშიძე 27
- ვრეკლე I 161
 ვრეკლე II 163
- ვახტანგ გორგასალი 92
 ვახტანგ მეექვსე 161
 ვახუშტი 18, 89, 94, 163
- ზისერმანი ა. 90, 94
- თაბაგარი დ. 197
 თამარი 93
 თაყაიშვილი 171
 თელორაძე გ. 94
 თეთრაული დ. 199
 თომაძე ს. 7
- კაკაბაძე ნ. 197
 კახანაძე ი. 29
 კაპელიძე ე. 91
- ლაბაძე ბ. 60, 61, 96
 ლაბაძე რ. 62, 196
 ლომური თ. 18, 89
- მაკალათია ს. 89, 90, 94,
 მახათაძე კ. 40
 მახანიაშვილი ქ. 187
 მელიქიშვილი მ. 190
 მელიქიშვილი ლ. 128
 შოდუბაძე გ. 34
 მუმლაძე ი. 32
- ნინო შშ. 44, 92
- ორბელიანი პ. 93, 161, 163
 ოჩიაური თ. 198, 200
- რატიანი პრ. 19
 როსტომ მეფე 171
- საბა ორბელიანი 11, 24, 27, 81, 93, 108, 149, 152
14. მასალები საქ. ეთნოგრაფ., VIII
- საბანისძე ი. 91
 საგინაშვილი ზ. 187
 სერაპიონ ზარზმელი 93
 სეფოსკვერაძე ა. 57
 სიმონ მეფე 162
- სტრაბონი 63
- ტოლაძე 94
- ფირალოვი ა. 74
- ქიქოძე ფ. 65
- ყაუხჩიშვილი ს. 64
 ყიფშიძე ი. 27
- შალოვი 132
 შანიძე ა. 27, 89, 91
 შანავაზ მეფე 93
 შველიძე ნ. 39
 შოთა რუსთაველი 106
 შოშიაშვილი ნ. 186
 შუშანიკი 92
- ჩიტაია გ. 19, 91, 94, 95, 159
 ჩხაიძე ს. 93
- ცურტაველი იაკობ 61
- წიკლაური ზ. 200
- ქავჭავაძე ი. 19, 20
 ქელიძე ა. 7
 კიკინაძე ზ. 67, 68
 კუმბურიძე მ. 53
- ხანთაძე შ. 186
 ხერხეულიძე თ. 161
 ხიზანიშვილი ნ. (ურბნელი) 98, 108
 ხუდადოვი 90
- ვახუშტაშვილი გ. 200
 ვახუშტი ი. 5, 18, 160, 174
 ვანაშია ს. 160, 161
 ვორჯაძე ლ. 7
 ვორჯიაშვილი ს. 161
 გუანური 92
- პაპო ტფილელი 92
- არიან 63
 Бақрадзе Д. 51
 Бахтадзе И. 51, 67
 Георгий Мерцур 92
 Говалде И. 67
 Греков В. 63
 Зелинский С. 67
 Зиссерман А. 90
 Носелвани И. 67
 Ламберти А. 64
 Латышев В. 63
 Мажников 177



Маркграф О. 73
 Мэрр Н. 89, 92, 141
 Масальский В. 73
 Махарაძე Л. 51
 Мачараძე М. 51
 Мелик-Шахназаров Е. 191
 Миндели Н. 67
 Пиралов А. 35, 67, 73, 74

Radde Г. 67, 90, 94, 108
 Страбон 63
 Табукашвили 67
 Чхендзе Н. 47
 Эристов Р. 90
 Gamba A. 94
 Klaroth J. 75
 Radde G. 94
 Tilke M. 94

ეტიმოლოგიური სახელები

ავარები 73
 ამლიონი 200
 ერწოთიანენი 89
 გულამაყრელი 89
 იმერელი 29, 53, 54, 94, 164, 168, 172
 ლეკი 161
 ლეჩხუმელი 65
 რაჭველი 162
 რუსი 162
 ფსენი 129, 143
 ფშაველი 198, 201, 202
 ფშაველ-ხევსურები 89, 147
 ფხოველ-დიდონი 89
 ფხოველი 89, 90

ქართლელი 129
 ქართლის მთიულეები 167
 ქიზიყელი 68
 ქისტები 90
 ქილისენი 129

ყიზილბაში 160
 ყუბანელები 73, 74
 ყუბანელები 73

ცხავეტელი 71, 89
 ცხრახმელი 89

ხადგელი 89
 ხევსურები 23, 90, 91, 95, 96, 103, 108, 127, 128

საგანთა სახელები

აბაზიანი 99
 აბრაშუნით ნაკრელა 98
 აბრეშუმი 58, 73, 96, 103, 134, 135
 აბრეშუმის ბაღდადი 158
 " ნაკრელა 98
 " ქსოვილი 73
 " შიბა 103
 " ძაფი 97, 109
 აბრეშუმ ნაყარი შალი 191
 აბჯარი 92
 აგური 26, 27, 30, 31, 32, 33, 34, 52, 55, 56, 61, 62, 63, 196
 აგური გამომწვარი 63
 " დიდი 62
 " „რუსული“ 57
 " საღა 61
 " სილა 62
 აგური ჩაღრმავებული ჯვრის გამოსახულების 61
 აგური ჭრელი 61
 აგური ჯვრის 61, 62
 აგურის კედლები 31
 აგურ-კრამიტი, 26, 28, 29, 30, 31, 32, 64, 65, 66, 194
 აგურ-კრამიტის გამოსაწვავი ნაგებობა 31
 " მოშკრელი 26, 194
 " ჭრა 32
 " წარმოება 28, 193
 იდამიანი 55, 64, 184, 189
 " ადლი 19
 იდრე გაზაფხული 21
 იდრეული ყუბანელები 9

ავანდასტა 148
 ავგაროზი 113
 აზარფეშა 149, 190
 აზლოტი 97, 102
 ათენგენობა 199
 აივანი 29
 აკლამა 95, 191
 აკლამურა 98, 115, 122
 ალთუნი 138
 ალთ-ლეჩაქი 131, 134
 ალი 49, 56, 63
 ალიზი 30, 33, 34
 ალის გათეთრება 49
 ამოთითვა 41, 52, 53, 54, 67
 ამონეგისილი 114
 ამოსაწერი 38
 ამოსახომავებელი 151
 ამოღარული ზოლი 179
 ამოღარული სახე 98
 ამოღარული ხაზი 79
 ამოღარული ჯვარი 182
 ამოღვანა-მომაღლება 46
 ამოჭრელება 54
 ამოხოშაველი 150
 ამულეტი 99
 ამფორა 67
 ამჭარი 143, 156
 ამჭრის ბაიარლი 158
 " ბალი 158
 " დღეობა 158
 " ორგან-ხაყი 158

- ამჟრის პირის შეგება 158
 " შეგვა 158
 " ხელმძღვანელობა 158
 ამჟრობა 158
 ამჟრული გავრთიანება 156
 ანგური 61, 62, 196
 "ანგური და ალიზი" 30
 "ანგური და ტალიზი" 30, 31
 ანლიზი 132
 არაგვა 56, 62
 არათითი 42, 43
 არმალანი 93
 არშია 53, 110, 117
 არშინი 10, 11, 20, 21
 არქეოლოგიური მასალა 64
 არქიტექტონიკა 65
 არხები ანუ სამარხები 20
 არხი 10, 11, 12, 21, 24, 25
 არხის გაჭრა 10
 არხოტული ტალავარი 98, 200
 ასასები ღარიფა 148
 ასასი 151
 ასახვალ 158
 ასიმ
 ასპარეზი 65
 ასხმელა 113
 ატალახებული ბილიკი 198
 ატლასი 94
 აუზვეელი რქა 15
 აფრიანი ქული 181
 აფუქლება 56
 აზბეილი გამოსახულება 180
 აღმაზათი 144
 აღმოცენება 24
 აყალო 28, 52, 58, 194
 აყალო-თირი 27, 52
 აყალოიანი კურჭელი 27
 აყალო მიწა 27, 39
 ამაყი-ლენაქი 131
 აშმახა 132
 აშურმა 180
 ახალგაზრდა ვენახი 22
 ახალი ვაზი 16, 25
 ახალი ვენახი 18
 ახალხის საყელო 181, 185
 ახალშენი (ვაზი) 12, 25
 " " ვენახი 12, 23
 ახვევა (ვაზის) 15, 23
 ახლანდური ვაზი 23
 ახლანდური კრამიტი 59
 " რქა 17
 ახლუბური კრამიტი 72
 ახშაგუნეში 134
 "ახალიკი" 75, 76, 77
 ბაგა 22
 ბაღია 149
 ბაგრუკი 152
 ბაზაი 50, 56, 63
 ბაიანი 135
 ბალეყერი 31
 ბალანი 11, 13, 23, 96
 ბამბა 47, 50, 104
 ბამბის ქსოვილი 95
 ბანდი 40, 42, 43, 44, 45, 46, 69
 ბარი 5, 18, 21, 25
 ბარმახი 135, 136
 ბორა 152
 ბალადი 132
 ბალ-ვენახი 161
 ბაწარი 38, 54, 55, 97, 106, 111, 114, 117, 118, 119
 ბაწრის შილიფა 110
 ბაწრლო ოქრო 155
 ბებერა 16, 17
 ბეკელი 145, 149, 150, 157
 ბეკიანი კურჭელი 76, 77
 ბოგირი 32, 33, 49, 62, 63
 ბოლოთ კუთხ-კუთხა 103
 ბოლონი 104
 ბორუკა 50
 ბოლბალი 144
 ბოჩოლის ტყევი 105
 ბოყევი 57, 58, 59, 72
 ბუყალი 9, 38, 43
 ბრილიანტიკი 147
 ბუღეშური 6, 9
 ბუთა 148, 150, 153
 ბუმბული 30
 ბურთი 38, 77
 ბურცული 45, 46, 176, 177, 189
 გაბერვა ქვეყრის 56
 გაბრეყლება გუნდის 58
 გაბურული ფოთოლი 15
 გაბტყელებული გუნდა 41, 46, 58
 გაღამა კრამიტების 60
 გაღამბრეყებული მიწა 61
 გაღავაყებული ბოგირი 32
 გაღავაყებული საფეხის ქვა 190
 გაღასაყილები — "კაყეხი", 29
 გაღასასმელი ფიციარი 72
 გაღასაყეხი ვაზი 24
 გაღაყენა ვაზის 12, 21, 22, 24, 25
 გაღმონახითი 89, 189, 193
 გაყლვარებული ცეცხლის ალი 49
 გაყარსა 156
 გაყერვილა 131, 141
 გაყლება სილაში 58
 გაზაფხული 10, 11, 12, 21, 23, 24
 გათიბვა 13, 15, 16
 გათილი ქვა 34, 177
 გათიხნა მიწის 25
 გათხოვილი ქალის თავსაბურავი 130
 გაჯეკრვა საჯნის (მაგ. ოქროს ბეჭდის) 150
 გაღამახება გუნდის 58
 გაღესვა კუნძულისი 41, 43, 45, 52, 68
 გაღესვა — გაყენდა 52, 54
 გაღურგება აგურების 63
 გამასინძლება 199
 "გამობლიზდება" ალი 56
 გამოგაყევა კინჯილის გვაბის 41, 45
 გამოყვეთილი ფეხები 176
 " " ხაყმელობა 182
 გამოყვეთის ტენიკა 176
 გამოყვეარი თიხა 33
 " " კურჭელი 27, 75
 გამოსაგაყევი გონჯი 40
 გამოსაყევი ნაგებობა 29, 32, 55, 65
 " " ქურა 65
 გამოსახულება მიცალეხელის 180
 გამოქანდაკებული ძეგლები 176
 " " ყირი სტიპის გუმბათიანი ეკლესია 177
 გამოქაფვა 63
 გამოკურება 59
 გამოწვა კურჭლის 44, 47, 50, 53, 55, 56, 62, 63, 67, 76, 77, 80
 გამოჭრის ხერხი 176
 გამძლე ვაზი 25
 გამხმარი აგური 62
 " " ვაზი 12, 16, 25

- გამხმარი ნახსლავი 17
 განელება ქურის 49, 59, 63
 განმსილი ფარავი (დალიანდაგებულო) 109
 განიერი კარი 30
 განსკვნებულნი 178
 განი 200
 გაყინ 77
 გაყინა 78
 გარანდა ვერცხლის ფირფიტების 152
 გარეთა მახალი 148
 გარდატეხული რქა 12
 " რქები 24
 გარდაცლილი ცოლ-ქმარი 184
 გასაბრტყელებელი კრამიტის გუნდის 57
 გასათხოვარი ქალი 100
 გასვლა ვახის 12, 13, 15, 17, 21, 23, 24
 გაუთხოვარი ქალი 98
 გაფეშვრთალებული სახე 178
 გაფურჩნა (ვახის) 15, 23, 24
 გაფხეკა 41
 გაფხეკა — გაფშენდა 43
 გამანდაკებული სურავლი
 გაყერვა გუნდის 41
 გაყოფვა ქურის 63
 გაფშენდა გუნდის 52, 68
 გეგმა 29, 34, 198
 გეოგრაფი 5, 18
 გეოგრაფიული დაყოფა 18
 " დაყოფის პრინციპი 5
 გეომეტრიულად გამოკვეთილი სფლავის ქვე-
 ბი 191
 გეომეტრიული სახეები 179
 გვალვა 13, 16
 გვაში 37, 38, 40, 43, 45, 53, 56, 92, 97
 გვაშის ახლოტი 102
 გვარი 27
 გვარი მიცვლებულის 187
 გვარის წევრი 27
 გველაურთის ტყის კალთა 198
 გველაურთის ტყის კრამიტი 196
 გვერდი 62
 გვერდო 194
 გვიან შემოდგომა 21
 გვირა 29, 30, 51
 გვირის ფოთლები 30
 გვირგვინი 133
 გვირგვინისებური თავსაბურავი 184
 " თავსადგომი 180
 გვირისტი ძაფის 119
 გზა 190
 გვირგობის თვე 11, 24
 გოსტი 136
 გზები 10, 18, 19, 60, 62, 196
 გლოხკაცი 68, 202
 გობი 40
 გოვირდი 8, 153
 გოვირდის შეყრა 12
 გოვირდის ფოთოლი 8
 გოდორი 50
 გოდორი ანუ ჩანაბირი 50
 გოდრის გამტარი 15
 გოდრისის ნასოფლარი 179
 გოლი 135
 გოჯა 38
 გონგები 43, 69
 გონგი 40, 42, 44, 52, 53, 54, 55, 66, 67,
 195
 " საფხეკი 40, 41
 " საწმენდი 40
 " შემოსასმელი 40
 გოსტივ 138
 გოსტილ 138
 გოსტიქ 138
 გრებილი 156
 გრებილის გამოყვანა 147
 გრიგალი 38
 გრილი ადგილი 46, 58
 გრონი 129, 143
 გრძელი გუნდები 55, 57, 179, 181
 გრძელი კაბა 185
 " შტევიანი 7
 გრძელ კუბზლებიანი 6
 გრძელტარა 45
 გრძელი უღვაშები 185
 გუდარების ტაძარი 187
 გუთანი 189
 გუთნით დაკვლევა 10, 20
 გუთნის დედა 186, 189
 გუთნის ნაკვალავი 10
 " ნაწილები 186
 " ხელნა 189
 გულაქმარის მოხარათავეები 149
 გულამოღებული კაბა 181
 გულგულა 201
 გულდალილული კაბა 183
 გული 34, 41, 45, 52, 53, 68, 88, 180
 გულის ამოღება 45
 გულის პირი 108
 "ჭრილი 181, 182, 185
 გულჩაღვეებული გუნდა 45
 გულცარიელი ოთხკუთხოვანი საგანი 184
 გულღრუ 46
 გულღრუ კვერია 183
 გულღრუ მილი 38
 გულხელდაკრეფილი მამაკაცის სტილიზებუ-
 ლი გამოსახულება 177, 180, 183
 გულხელდაკრეფილი მიცვლებული 177
 გუმბათი 33, 65
 გუმბათიანი ეკლესია 177
 გუმბათისებური თავი 33
 გუმუშ (ვერცხლი) 143
 გუმუში 138, 142
 გუნდა 41, 44, 45, 46, 52, 57, 58, 68, 69
 " მრგვალი 41
 " ძირის 41
 გუნდები 44, 55, 62, 195
 გუნდების შემოკლების ხერხი 195
 გურსუბი 148, 153, 154
 გურსუბის ჩაქუჩი 148
 დაალიზება 56, 62
 დაბადება (ბიბლია) 92, 93
 დაბარვა-დათონხა 15
 დაბეჭვა 53
 დაბლა 65, 131, 137, 138, 139, 140
 დაბურვა (ვენახის) 15
 დაკვირისტებული 135
 დადგომა (ვენახის) 15
 დაზვა 30, 57, 58, 61, 62, 72
 დაზელვა 52, 58, 59, 61
 დაკაკეული 10, 111, 115, 117, 118, 122
 დატილულა 98, 110
 დატილულა 109, 119, 123
 დატილული მულის 120
 დაკაეება ვახის 15
 დაკოჭვილი 104
 დაბობილი აყალო 52
 დალიანდაგება 109
 დამაზრება (კბილის) 39
 დამსხვილებული ვახი 12, 25
 დანა 182, 183, 190
 დანგი 156

- დარჩა 151
 დარჩის ფიციარი 148, 151
 დარჩაი 44, 46, 195
 დარტყმა 12, 25
 დარტყმული ვაზი 17, 24
 დარტყმა მარცხი 95
 დარტყმა 100, 147, 154, 155
 დარტყმა 152
 დარტყმა 62
 დარტყმული თიხის ქურქელი 33
 " ქურქელი 74, 75
 დარტყმა 151
 დარტყმა 25
 დარტყმა 53
 დარტყმა 147, 149, 150
 დარტყმა 95
 დარტყმა 95
 დარტყმა (ვაზის) 49
 დარტყმა 48, 54, 55, 71, 195
 დარტყმა 14
 დარტყმა 187
 დარტყმის თავსაბურავი 105
 დარტყმა (ვაზის) 12
 დარტყმის ძირი 24
 დარტყმა 35, 36, 37, 38, 42, 48, 54, 195
 " ზემოთმარტყლი
 დარტყმის ქოქლა 95
 დარტყმა 157
 დარტყმა 186
 " ქვევრი (ჭურბი) 31, 51
 დარტყმა 92
 დარტყმა 136, 139, 140
 დარტყმა 138
 დარტყმა 32, 35, 36, 38, 70, 80, 81, 194
 დარტყმა 99
 დარტყმა 200
 დარტყმა 107
 დარტყმა 33
 დარტყმა 186
 დარტყმა 199
 დარტყმული 199
 დარტყმა 16

 დარტყმული მკვნიერი 19
 დარტყმული გაცემა 147
 ეზო 174, 176, 177, 183, 188
 ეთნოგრაფიული ტერმინები 90
 ეთნოგრაფია 90
 ეთნოგრაფიის განყოფილება 191
 ეთნოგრაფიული მკვნიერი 198
 ეთნოგრაფიული მასალა 19
 " სინამდვილე 57, 68, 175, 186, 193
 " ყოფა 29, 35, 64, 71, 174
 " ცნობები 199
 " ხასიათი 193, 201
 ეთნოსი 73
 ექსპლანა 174, 175, 177, 180, 186
 ექსპლანა—მონასტრები 174
 ექსპლანა ბუჩქნარი 180
 ექსპლანა ცხოვრება 5
 ექსპლანა 108
 ექსპლანა 158
 ექსპლანა 77, 102, 104, 118, 200
 ექსპლანის ნასოფლარი 184, 187
 ექსპლანის საფლავის ქვის გამოხატულება 184
 ექსპლანა თურქული 129
 ექსპლანა 102
 ექსპლანის 116
 ექსპლანის ფერი 96
 ექსპლანის თავი 111

 ექსპლანის ქვა 153
 ექსპლანის 61
 "ერთიანი მიწა" 27
 ერთსახეანი ქურქელი 75
 ერთსახეანი ქურქის ქურა 32
 ერთსახეანი დარტყმული ქოქომონი 100
 ექსპლანა 5
 ექსპლანული ქურქელი 89
 " სამოსელი 93
 ექსპლანის 180
 ექსპლანის კალაპოტი 61
 ექსპლანის 101
 ექსპლანის ქურა 25
 ექსპლანის ქურა 31
 ექსპლანის 198, 199
 "ერთი, 185, 186

 ექსპლანა 5, 9, 11, 12, 13, 15, 18, 21, 23, 25
 " ახლადდარტყმული 10
 ექსპლანის აღმოცენება 12
 " გადაწევა 17
 " გათონა 11
 " გამარჯვება 20, 25
 " გასტევა 11
 " გაფურჩნა 11
 " გაცივება 12
 " გახარება 22
 " გახმობა 16
 " დატყევა 11
 " დარტყმა 11
 " დარტყმა 12
 " დარტყმა 10
 " თამაში 24
 " ქურქელი 5, 18, 20, 202
 " მუშაობა 12
 " ნაყოფი 15
 " რქა 5, 10
 " სხეულება 25
 " ფერსი 13
 " ფეხები 12
 " ფოთოლი 5, 7
 " " ზუსტისანი 7
 " ჩაყრა 10, 20
 " ძირი 12, 13, 14, 24
 " ძირში გადაჭრა 16
 " ხეივანი 93
 " ჯიშო 21

 ექსპლანა 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 18, 20,
 22, 25
 ექსპლანის ამოვარდნა 12, 16, 25
 " აწევა 19, 25
 " ბარა 12
 " გადაწევა 20
 " გაყვება 15
 " გამოსუფთავება 15
 " გარდატევა 11
 " გაწევა 10
 " დაბარვა 25
 " დამუშავება 5, 15, 23
 " დასამუშავებელი იარაღი 15
 " დასხმა 15
 " თონა 13
 " მოვლა 25
 " მოწევა 13
 " მოწევა 19, 25
 " მოწევა 12
 " სატყეარი 16
 " ყვევილობა 15
 " შენება 12
 ექსპლანის 18



- ვენახში თვალის შესვლა 15
ვერცხლი 26, 137, 143, 144, 146, 147, 148, 151, 152, 153
ვერცხლის ნივთები 73
" ფულები 97
" ჩაქვი 143
ვერძი 46, 176, 177, 178, 179
- ზანღუები 71
ზარგალი 148
ზარდინი 148
ზედადგარი 50
ზედაპირგადაფხვცილი ოთხკუთხედიანი ქვე-
ბი 180
ზედაპირგაპირცილი საფლავის ქვა 180
ზეიზინდანი 148
ზეღვა 39, 52
ზემთთა ქურა 33
ზემოიწერილი კერამიკა 2, 6, 70
" მასალა 70
" მემურტლები 51
" ყალწერილი ქურტელი 70
" ქურტელი 197
ზევაი 199
ზვარი 16
ზიცი 98
ზინდანი 148, 150, 158, 159
ზოლი 45, 58, 60, 76
ზომა 62
ზოომორფული-საფლავის ძეგლი 175, 176, 177
ზოომორფული ქვები 178
ზემუნ-ქურდუქ 146
ზურგი 59, 60, 176, 177
ზურგნი 101, 102
ზურგნი დაკეცილი 103
ზღაბრული ეპიტაფია 190
ზღვის ქაფი 151
ზღუდე 60
" ქალაქისა 94
ზღუდის კრამიტი 196
- თავგმარალა 71
თავანი 48
თავდახრილა 98, 105
თავი 45, 46, 53, 55, 62, 63, 175, 176, 177, 180
" ოსტატები 159
" ყურძენი 6
თავის გადაჭრა 15
" შეკვება 62
თავკერი 6, 9
თავხაზა 98
თავნურქელი 49
თავსაბურავი 130, 138, 146, 149, 182, 183, 184
თავსადგამი 180, 184
თავსაკრავი 132, 136
თავსაბურავი 96
თავშალი 96, 105, 131, 134
თათები 95, 96, 106
თათებ-ხელთათმინები 95
თამაში ვაზი 13
თასი სპილენძის 148
თალარი 32, 36, 37, 48, 51, 54, 55, 58, 66, 195
თევი 155, 156
თეთრად გამოწვა 50
თეთრი ავალი 28
" ლითონი 137
" ლინი 7, 17
- თელა 55
თეფში 35, 36, 38
თეფშ-საინი 36
თვალანა 98, 105
თითა 6, 9
თითბერი (ვარშავის) 147
თიკვი 100
თირი 27, 39, 52, 58, 194
" ანუ სილა მიწა 27
თარის მიწა 27
თიხა 27, 28, 35, 38, 40, 46, 50, 52, 73, 75, 79
" მიწა 10, 19
თიხის კოპლები 76, 79
" მუშტი 154
" ფილაქანი 34
" ქურტელი 26, 75, 79, 202
" ქურტლის მკეთებლობა 22, 75
" " წარმოება 73
თიხარები 28, 194
თიხა 130
თიხის დაწვნი 130
თიკვი 55, 178
თონკი 65
თორნი 46, 54, 55, 68, 194, 197
" - თალარი 55
" მეჭურის 55
" სოფლორი 55
" საოჯახო
" ქვევრი 27, 194
თორნის გაცეცხება 26
" შენება 68
თოფი 177, 181, 183, 185
თოქალი 47, 48, 195
თოქმანი 151
თონი 15, 23, 61
თონა 23
თრაშტა 148
თრიშლი 14
თუთია 156
თუნგი 178
თუნგულა 32, 36, 38, 136, 194
თუნგულა-დოქი 51
თუნგი 66
თხა 104, 105
თხელი მტეგანი 7, 8
თხელმტეგინიანობა 8
თხილი 8
თხის ტყავი 105
თხმელა 52
- იალქანი 180
იარალი 40, 42, 44, 58, 69, 184
იატაკი 31, 33
იაშხანი 142, 143
იდაკვი 45
იფერია 19, 68, 67
იქისი 198, 199
ილუსტრაცია 181, 191
იმერეთის ეთნოგრაფიული სინამდვილე 26
იმერული მებაჭურის კალაპოტი 72
" მეთორნი 68
" მეკრამიტი 72
" მეჭაშნურე 71
" მეჭვერე 195
" მეჭურეები 53, 54
" მეჭვერეები 54
" მეჭურე 36, 71
" მეჭურტლები 35
იმერული ოსტაკი 27, 29, 32, 46, 51, 55, 59
იმერული კერამიკა 194

- იმერიული სამთავრო 65
 " შურველი 37, 70
 ინგილო ქალი 149
 ინგილოები 149
 „ინგლისის“ შურველი 135, 194, 26
 " მოკეპული 26
 ინგლისურად გამოწევა 50
 ინვეტარი 95
 ინდური 36
 იოლი დალოცვა 158
 ინსცენირება 184
 ინჯი 136
 ირემი 46, 38, 35
 ისარნა 35, 36, 37, 54, 195
 ისარნა — „თალარი“ 51
 ისარნები 51
 ისარნა — შურების ოსტატი 26, 194
 ისვრამი 15
 ისტორიკოსი 18
 ისტორიულ-არქეოლოგიური წყაროები 26,
 ისტორიული ეთნოგრაფია 174
 ისტორიული ტრადიცია 174
 " წყაროები 5
 იუკელირი 147
 იფხარული ვერძი 177
 იქითბამი 157
 ილაია 114
 კაბა 180, 181, 183, 184, 185
 კაბის კალთა 181
 " საყელო 182
 კაგარდი 142
 კაგები 60
 კაგესისი კერამიკა 73
 კავკასიის კერამიკის სახურავი 29
 -კრამიტით დაზღურული 29
 კავჭიკი 139
 კავლის ნახერხი 154
 კაქუქელი 44, 45
 კალა 48, 71
 კალათი 39, 51
 კალაოტი 46, 47, 57, 61, 62, 72, 198
 კალატოზი 30
 კალთა 100, 102, 104, 107, 109, 126, 181
 კალრა 30, 33, 59, 61, 62, 65
 კამარა 31
 კამაროვანი 32
 კაპი 59, 60
 კაპიანი კრამიტი 190
 კარავი 30
 კარი 29, 30, 33, 34, 50, 65
 კახეთის მექანიზირება 65
 " ქალაქები 156, 159
 კახელი მევენახე 21, 22
 " მეკრამიტე 72
 " მეკრამიტის ქობინა 72
 " მექურველი 69
 " ოქრომჭედელი 147
 კახური ქილა 70
 " ქურა 65
 " შურველი 70
 " ხელჩაფი 76
 კანწერის გადატარა 15
 კერამიკა 57, 64, 193, 197
 კერამიკის ცენტრები 197
 კერამიკოსი 60, 64, 65, 69
 კერამიკული ნაგებობა მოწყობილობა 64
 " საგანი 27, 28, 29
 კერამიკული წარმოება 26, 27, 28, 29
 39, 51, 64, 68, 74, 194, 196
 კერამიკული წარმოების ოსტატი 30
 " ცენტრი 28, 193
 კეცი 27, 36, 38, 195
 კეცის ლორდინი 26
 " მკეთებლობა 27
 " შური 26
 კვალი 55
 კვამლი 33, 49, 50, 56
 კვაწია 35, 36, 37
 კვერა 98, 110, 122
 კვერაჟი 105
 კვერილა 109, 110, 111, 117
 კვერცხი 48, 190
 კვეცილი (ვახი) 24
 კვიტა 95
 კვირტზე დაყენება (ვახის) 17
 კვირტი 6, 10, 12, 14, 17, 21, 22, 23, 24,
 52, 95
 კვირტი გახარებული 23
 კვირტის გამოხვლა 13, 16
 " დაბრმავება 11
 " დაძვრა 11, 16
 კილო 97, 114
 კინკულა 40
 კირი 62
 კლდე 199
 კობანური 40, 43, 45, 69
 კოლიკი 131, 136
 კოგზი 149
 კოკოშა 141
 კოლოდი 131, 132, 139, 140
 კომბალი 46, 178, 183
 კოპალი 35, 76
 კოპიტი ვერცხლი 152
 კოსტიკი 136
 კოსტიკი 138
 კოსტიკი 132
 კოსტუმი 182, 185
 კოსტუმის ვლემენტები 185
 კოტა 29
 კოვისმადი 134
 კოვობი 70, 81, 82
 კრაველი 95, 105
 კრავის ნაპარსი 95
 კრავლის ტოლი 95
 კრამიტი 27, 30, 31, 32, 33, 34, 53, 57, 58,
 59, 61, 62, 63, 65, 197
 კრამიტი ბრტყელი 60
 " გრძელყელა 59
 " დასახურავი 59
 " ზღუდის 59, 60, 72
 " კაპიანი 59, 60
 " მოკლე 59
 " მოკივილი 61
 " მოხობილი 60
 " საბოლოო 59, 60
 " ღარისებური 60, 61, 72
 " შუარგოლა 59, 60
 კრამიტის მიწა 30
 " მკრელი 59
 " კრა 72
 კუბოქვა 179, 189, 191
 კულა 183
 კული 63
 კუთხა 101
 კუთხანი 99, 101
 კუთხაჟი 99
 კუთხა-შილიფა 103
 კუთხ-კუთხაჟი 104



- კელა 178, 183, 185, 190
 კელტურა ქართული 129
 კუმისა 5
 " მტკვარი 9
 კუმში 6, 21
 კურბი 151
 კურტნის კრამიტი 72
 კურჩი 45
 კუჭა 31
 კუჭუქიანი 54

 ლანი 134, 136
 ლამი მიწა 10, 19
 ლაღა 57, 58, 61, 62, 72
 ლაშქარი 89, 93
 ლეინი 111, 118
 ლეკური შალი 121
 ლეჩა 43, 53, 54, 55, 58
 ლერწი 9, 17
 ლეჩი 38
 ლეჩაძე 131, 134, 135, 136.
 ლენხომური ჭურჭლები 65, 139, 144, 146
 ლითონი 26, 73, 138, 141, 147, 148, 149
 ლითონის დამუშავება 150
 " დამუშავების წესი 149
 " მონეტა 136
 " საგანი 200
 " ნამკული 142
 " საყრელი 105
 " ფირფიტები 107
 ლითონის ფული 98
 " ლილი 111
 " ცნობა 152
 " ქაქვი 142
 " ჭვრები 99
 ლირა 138
 ლირსი 29
 ლიტრა 70, 79, 80
 ლოკინი 39
 ლორი 175
 ლურსმანი 59, 60, 146
 ლურჯი ფერი 48
 ლხინი 191

 შავარი სილა 159
 შათობი შვიგრესილი 149
 შარბატი 148, 178, 180, 181
 შამაკაის გამოსახულება 184, 185
 " პაჭიკი 100
 " ზოჯა 95
 " წულა 96
 შამოლი 20, 174
 შამულს აშენება 19
 შანგანა 148
 შანდელი 96, 105
 შანდილი 95
 შანდილოსანი 103, 145
 შანქანა 58, 61
 შარანი 35, 38, 40, 44, 70, 71, 195, 202
 შარვალიტი 93
 შარგლა 23
 შარბილი 152, 155, 156, 180
 შარტოღელანი 109, 122
 შარცვალი 16
 " თხელქერქა 8
 შარცვლელი 51, 66
 შარკოსის ჯაცენა 8
 შარწუხი 148, 150
 შახია 149
 შახალი 148, 154
 შატყლი 73, 95, 103, 105

 შატყლის დართვა-დაძახვა 96
 " ნართი 96
 " ძაფი 95, 97, 101
 შაუდი 109, 113, 115, 119, 124, 126, 141
 შაულის ჭვარი 125
 შალატინიანი ჭურჭელი 76
 შაღლითა კერტი 23
 " რქა 23
 შაყვალი 94
 შაშა 148, 152
 შახელი 89
 შახურადა 105
 შეგურაგი 30, 62
 შეგურეობა 26, 30, 57, 71, 72, 193, 194
 შეგურის დაზგა 61
 შეგენახე 23, 202
 შეგენახეობა 5, 10, 18, 19, 25, 67, 201
 " - შეღვინეობა 5, 51, 196, 202
 შეთორნე 54, 68
 შეთორნეობა 26, 51, 57, 193
 შეყვცობა 193
 შეკრამიტი 57, 58, 59
 შეკრამიტეობა 26, 57, 72, 193
 " - შეგურეობა 26
 შეკრამიტის კალაოტი 61
 შემინდვრეობა-შეგენახეობა 194
 შენკირი 128
 შერეუ თონხა 13
 " შერანგი 110
 შეპურე 55
 შეპურის თორნე 68
 შესამე თონხა 13
 " შერანგი 112
 შეტალახე 56
 შეფის არაყი 156
 შეჭაშანურე 50, 66
 შეჭაშანურეობა 27, 65, 69, 71
 შეჭვებები 48
 შეჭვერე 52, 54, 55, 56,
 შეჭვერეობა 27, 51, 65, 196
 შეჭვერული თორნე 68
 შეღვინეობა 201
 შეცხვარე 178, 179
 შეცხვრელობა 96
 შექურე 29, 31, 36, 56
 " ისტატი 51, 195
 შექურეობა 26, 193
 შექურულე 28, 29, 34, 36, 39, 46, 63
 " ისტატი 39, 40
 შექურულეობა 26, 27, 35, 66, 68, 69, 73, 193
 შექურულეობა-შეჭვერეობა 27, 193
 " - შეჭვერეობის ცენტრი 27
 შექ-ქარი 44, 47, 57
 შთიელი 91
 შთის ვეშაგი 199
 შთური 5
 შილითუ 116
 შილი 33, 36, 44, 47, 61, 77, 78
 შინანქარი 154, 155, 156
 შინანქარის დაწყობა 147, 154
 შინდაო 16
 შირგვალაი 121, 126
 შიტყალი 109, 131, 135, 136
 შიფუნდება ცეცხლის 49
 შიცვალბულ-გამოსახლება 180, 181, 182,
 184, 185, 189
 შიწა 11, 12, 13, 19, 23, 27, 29, 33, 34, 39
 47, 54, 57, 52, 55, 58, 59, 65, 69, 77,
 188, 194, 202
 " აჭურის 61
 " დახეღელი 61

- მიწა დაღობილი 39, 61
 " დასახელი 52
 " მავარი 27
 " მსუქანი 27
 " მშალტი 28
 " მშრალი 28
 " ფიცხი 59
 " შავი 61
 მიწათმოქმედება 19
 მიწათმოქმედი 18
 მიწის განმობა 29
 " დამზელი 56
 " დაქუსვლა 39
 " დახმალვა 39
 " ზედა კედელი 33
 " ზეღვა 39
 " ზღუდე 33
 " კოკოლი 22
 " ქოთხრა 29
 " მოჭრა 28
 " ნაყოფიერება 18
 " პირი 31
 " საზელი 39, 52
 " ჯიში 27, 71, 72
 მიწნაი 28
 მკეთებლობა 62
 მკერდის სამკაული 145
 მკრეფავი 15
 მკათიარება 28
 მოვლა ვენახის 15
 მოკაპეხული-კოტა 29
 მოკლე თოფი 190
 მომინაწქრება 155
 მომპიქველი 48
 მომხატველი 63
 მონაქალი 149
 მონაღქცეული 63
 მონა-ხანგი 106
 მონეტები 99, 137, 138, 143
 " ვერცხლის 138
 " სპილენძის 138
 მოტეხნილი მიწა 21
 მოთქვა 147
 მობარეხებული ჯვარი 199
 მორავი 42, 43, 44, 45, 46, 47, 52, 66
 მორწყვა 23
 მოსართავეები გულის 149
 მოსაპიქავი კურჩული 44, 47
 მოსაჭიქი 47, 48
 მოსახატავი მასალა 77
 მოსახვევი 130, 134
 მოსევალება 147
 მოსხმული ყურძენი 25
 მოფოთვლა 53
 მოჭარვა 96
 მოჭარვულობა 113
 მოქნა 53, 54
 მოქსოვილი ყაითნურად 114
 მოქცევაჲ ქართლისად 89, 93, 94
 მომეხებული ვენახი 95
 მოშულლართა მორიგება 199
 მოჩუქურთმება 147
 " მოხატვა 153
 მოწითალოდ მოქიქული 195
 მოქიქვა 27, 35, 44, 47, 48
 მოქიქვის ფეროვანება 71
 " ხელოვნება 27
 " მოქიქული კრამიტი 196
 " მიქურტულობა 34, 44
 " კინკილა 38
 მოქიქული კურჩული 26, 30, 33, 37, 40, 115, 155
 მოქიქული კურჩულის ოსტატები 47, 50
 " მკეთებლები 195
 " ქურა 33, 50
 მოჭრა 61
 მოჭრელება 71
 მოხატვა 48, 71
 " შეღება 48
 " მტევანი 6, 9, 46
 " ბორჯლიანი 7
 მუხარადი 93
 მურგვი 66
 მუნღო 14, 45, 97
 მქსოველი 184
 მუნობის ხერხი 25
 მშენებლობა 31
 მშვილდი 120
 მშვილდისარი 189
 მცენარე 67
 მცენარის გამოსახულება 5
 მცკივანი 9
 მძივი 97, 110, 111, 112, 113, 115, 116, 117, 119, 120, 125, 131, 134, 137, 141
 მძივის ქსოვილი 137
 მძივ-ლილები 141
 მწვანე 5, 7, 8, 9, 48, 71
 მწვანელ მოქიქული 61
 მწვანელ მოქიქული კრამიტი 196
 მწკებრა 103
 მწკრივი 55, 62, 182
 მწედელი 48, 175
 მხარი 60, 104
 მხატვარი 63
 მხევაი 9
 ნაბადი 73
 ნაგებობა 33, 34, 57, 59, 66, 70, 174
 " საკულტო 128
 ნაღირობა 191
 ნაირსახოვანი ლითონი 98
 ნამგალი 15, 16, 186
 ნამკერვეი 11
 " ფოთოლი 15
 ნამტენა 95
 ნაოქი ასხმული 102
 ნაპურალი 28
 ნარევი 48
 ნასთი 95
 ნაპარგი 98, 100
 " აბრეშუმის 121
 " ორნამენტი 98
 ნაქსოვი 93
 ნაყოფი (ვახის) 12, 16, 25
 ნაჩაფნი 101
 ნაჩხატად ღარჩენილი 13
 ნაჯარი 7, 16, 18, 28, 44
 ნაჭმენდი სილა 28
 ნაწნავეები 130, 131
 ნაჭპანები 106
 ნაჭრელა 98, 105
 ნაჭრით დაკრული 100, 101
 ნაჭრის ნაჭრელა 98
 " შიბა 103
 ნახევარ ოსტატი 157, 158
 " ქვევი 195
 ნახშირი 151, 152
 ნაჯახი 177
 ნეკი 11, 13, 14, 42
 ნეკის მოძებნა 13
 ნესი 96, 98, 115



- ნიდაგი 13, 19, 20
 ნიეთები ოქროსი 149
 ნიქარები 135, 136
 ნიტრა 35
 ნიფხავი 96
 ნინაფი 39
 ნორჩი ვაზი 11, 12, 23, 25
 ნიზი 73
- ოლი 16
 ოლის ცემა 16
 ოვალური მოყვანილობის თავსახური 181
 ოვალური მოყვანილობის ქუდი 183
 ოთხპერეანე კალაპოტი 61
 ოთხთვალა 98, 110, 117
 ოთხი-ხუთი რქა 24
 ოთხკუთხაბა 111, 118
 ოთხკუთხედი 53, 61, 62, 111, 117
 ოთხკუთხედიანი ქვა 177, 180
 ოთხსაპნიანი 32
 ოთხქოქომონიანი 101
 ოთხპერეანე ქურა 31
 ორგურეანე კალაპოტი 61
 ორბარიპირი 24
 ორბოძალი 182
 ორი კვირტი 23
 ორი სახის ნაგებობა 29
 ორი ჭურჭელი 177
 ორი ხელის ფიცარი 69
 ორთაშუა 174, 181
 ორთაშუას გველსია 182, 183, 188
 ორთოზი 186
 ორკოლი 70
 ორმო 20, 22, 58, 61, 180, 181
 ორნამენტი 74, 75, 77, 80, 82, 84
 79, 95, 104, 105, 109, 110, 112, 113, 115, 116, 122, 124, 125, 127, 135, 144
 ორუვი 130
 ორურმიანი 32
 ორფერდა სახურავი 188, 189
 ორქვეა 105
 ორშიანი ტოლი 95
 ორშიანი ცერაბთ 110
 ორშიმო-ორხელა 195
 ორჩარეკიანი 36
 ორხელი 35, 36, 37, 38
 ოსტატად დალოცვა 158
 ოსტატად დამტკიცება 157
 ოსტატი 26, 27, 28, 29, 37, 38, 39, 45, 46, 47, 48, 51, 67, 68, 71, 74, 148, 157, 185, 194
 ოქრო 93, 137, 148, 149, 151, 156
 ოქროშედელი 148, 150, 152, 154
 ოქროშედელის ხელსაწყო-იარაღები 148
 ოქროშედელობა 147, 148, 149
 ოქროს დამუშავება 147
 ოქრო-ვერცხლი 26
 ოქროს ბეჭედი 146
 " მონეტა 138
 " მუდრავი 149
 " ნივთი 147
 " წყალი 156
 " ჭვარი 144
 ოქრო-ქსოვილი 93
 ოჯა 48
 ოჯახი 60, 61, 62, 196
- პალატი 29, 39, 47
 პატარა ვაზი 23
 პატარა ვენახი 16
- პატარა დერგი ანუ ქილუნა 35
 პატარა თუნბულა 35
 პატარა ქინდაკება 175
 პატარა ქვევრი — ("ქვევრი") 51
 პატარა ქურა 32
 პატარძალი 133
 პარაში 152, 155, 156
 პაწია სასმისი 76
 " ჭურჭელი 45
 პაჭიკები 95, 96, 106
 პერახევი 95, 96, 106, 107, 109, 110, 114, 116, 119, 120, 124
 პერახევი მამაკაცის 114
 პერახევი ფარავანი 115, 117
 " ჩაქებიანი 114, 116
 პერახევის თარგები 108
 " საველი 107
 პინაკი 93
 პირგანეირი ჭურჭელი 70
 პირველი გამოწევა 50
 პირველი ნაჯახის მსგავსი მჭრელი იარაღი 181
 პირთსაქერება 98
 პირი 43, 44, 45, 46, 53, 76, 85, 86, 87, 88, 98
 პირის აგუღვა 62
 " არავა 62
 " ახსნა 56
 " გადაწევა 42
 " გახშობა 47
 " მოთეთრება 47
 " ჩამოსხნა 42
 პირი ტუჩიანი 81
 პირფარფლიანი 38
 პეკურება 58
 პურელი 18
 პური 164
 პურის გამოცობა 195
 პურის კვერი 120
 "პურის ცომი" 39
 პუკალი 6, 17
- ვამი 64, 89
 ვამთალმწერელი 93
- უანგარო (იხ. თოვალი) 16, 71
 ურინვა" 27
 უღლი 6, 8, 17
- რაგი 73
 რანდა 148, 154
 რგოლგადაცლებული არამიტი 59, 61
 რგოლი 38, 47, 54, 58, 59, 177, 182, 183
 რვალური საგნების ჩაყოლების ჩვეულება 192
 რელიგიური წესი 199
 რელიეფი 177, 180, 185
 რელიეფური გამოსახულებანი 177, 180, 181, 189
- რთველი 15
 რიყის ლამი 151
 რიჯა 148, 150
 რკალი 32
 რკვია 194
 რტინა 39
 რტინის ლუმელი 29
 რთვრივი 148, 153
 რუსული აგური 57, 72
 რქა 4, 6, 7, 8, 9, 13, 17, 20, 22, 23
 რქადანბრილი კვერილიანი 109, 115
 რქანახარა ორნამენტი 98
 რქა-ფოთოლი 8



- რქა წითელი 5, 7, 9
 რქა ძვალი 73
 რქები გადაგრებილი 176
 რქის ატრა 10, 21
 რქის გადაშეხვა (ჩამუხვა) 12, 25
 რქის გადაწევა 25
 " გატანა 12
 " გრძლად გასხვა 24
 " დაკეცვა 14
 " ნაწილი ანუ კუწში 21
 " ჩაყრა 11, 21
 " ჩაყრის წესი 10
 " ძირი 11
 " წვერი 14
 რწყვა 23
 სააგურე მიწა 27
 " ჩაოდახი 30
 საამქრო ორგანიზაცია 156
 საარაყე ქვაბი 35, 36
 საბადო 28, 194
 საბერველი 148, 152
 საბეჭევი 31
 საბეჭევი ჯიხი 184
 საბეჭევი 30
 საბეჭური 107, 108, 113
 საგაზფხულო სხვა 11
 საგებელი 93
 საგავაძვი 40
 საგულე 108
 სადგამი 51
 საღიაკო 95, 96, 97, 101, 102, 108
 საღიაკოს კალთა 101
 " მკერი 97
 " ფარავი 99, 100
 საღულარი 70
 საჯახე 15
 საჯახე-საპირისწამლე 177
 საჯინახე ადგილი 10, 20
 " ფართობი 10
 " ქივი 14
 სახელო ქვა 34
 სახელი 52, 58, 66
 სახურვე 189
 სახურველი 97, 100, 104,
 სთავე 60, 64, 122
 სთავეს ამოჭრა 97
 სთავეს-სასაყელოვე 111
 სთაურა 96, 105
 სთაურე 65
 " ბორცულები 176
 საინი 35, 36, 38, 195
 სასრე 190
 საკავემლო რქა 15
 საკინი 109, 110, 114, 116, 117, 119, 121
 საკისრული 99
 საკმელო ყურძენი 5, 9
 საკრამიტე მიწა 58
 " ქინჩანა 39
 სალესავი 155
 სალტი 54, 87
 სამამულე (რქა) 23
 " კვირტი 22, 23
 სამარე (არხი) 24
 სამარხე ჩადი 36
 სამარხი 10, 20, 72
 სამასრე 182, 190
 სამაჯურები 145
 სამაჯური ქურა 30
 სამაქურნი ორალბი 192
 " ნაგებობა 29, 59
 სამეფო სპა 89
 სამთვარიო 31, 32, 33, 49, 63, 65
 სამი სილა 159
 სამირგაული 100
 სამკაული 93, 99, 137, 142, 144, 146 149
 სამკულთა 113, 120, 122, 125, 126
 სამოსელი 91, 92, 93, 97, 107
 " ძაძისა 92
 " ქრელი 92
 სამოსი 91, 93, 129
 სამფეხი 45, 50
 სამქოქომონიანი 101
 სამღებრო 96
 სამულიანი ვაზი 24
 სამწყვეტლო 98
 სამხედრო (სამკედრო) 102, 104, 107, 110
 სამხრე (სამჭრე) 92, 108
 სანარცხე 40, 42, 44
 სანათფულე 98
 სანეკე რქა 14
 საოქრომჭედილი სახელისი 148
 " ტექნიკა 147
 საოჯახო თორხე 55
 საპალნე 202
 საპანე 32, 51, 54
 საპერანგე ტოლი 108
 საპირისწამლე 181, 182, 190
 საპონი 27
 სარი 14
 სარით შესარვა 14
 სარკოფაგი 188
 სარტყელი 29, 96, 184, 159
 სარჩული 99, 109, 111, 115, 119
 სარწყავი 201
 სასაქინზე კრილი 98
 სასაფლაო 174, 177, 181, 183, 187, 191
 სასმისი 81, 82
 " მარანი 70
 სასოლე 65
 სასულე 65
 სასულე 22
 სასულსიქის დაყრა 13
 სატალახე 66
 სატინა 136
 სატკბილე 54
 " ქოთანი 36
 საფანელი 28, 44, 62
 საფერავი 5, 8, 9
 საფერავის რქა 6
 საფერხე 53
 საფლაი 179, 180
 საფლაის ქვა 175, 179, 180, 182, 184,
 185, 187, 189
 საფლაის ქანდაკება 178
 " ძეგლი 174, 175, 178, 179
 საფხევი გონგი 40
 საქედურა 107
 საქედური 109, 111, 112
 საქედლო ქვა 108
 საქსოვი დახვა 184
 საქურე ბინა 30
 საღებავი 34, 37, 75
 საღვინე 70
 " ღოჭი 36, 70
 " ყურძენი 9
 " ხელადა 36
 საყელავი 14
 საყელე 76
 საყელი 97, 99, 102, 103, 105, 114, 116,
 117, 118, 119, 125
 საყლორტე კვირტები 23



- საყურე 45, 149
 სამეფირო სკოლა 157
 სამედიცინო სხვა 10
 საჩხაბი 143
 საჩხელო 95
 საცერული 149
 საცეცხლური 34
 საძინე-ჩარდახი 24
 საწვავი ქარხანა 99
 საწვევი ვაზი 12
 " რქა 12, 24
 საწინათო 97
 საწმენდი 43
 საწნახელი, 36, 38, 46, 71, 195
 საწვავი 35, 36
 საწვავი 37, 54, 55
 საწველ ჩარეკა 35, 36
 " ხელადა 36
 საქმელი ყურძენი 89
 საქურე 28, 29, 52
 " ბინა 29, 196
 სახაზავი 57
 სახარება 93
 სახატავი მიწა 71
 სახეირებელი რქა 11
 სახელსაქმო ყუთი 181
 სახელი 114, 116, 126
 სახელოსნო 147, 48
 სახლი 71
 სახლის ნაწილები 71
 " საცხოვრებელი 59
 სახსარი 23
 სახურავი 30, 59, 60, 63, 72
 " კოამიტი 196
 საჩელო 97, 100, 102, 104
 სევიდა 153, 154, 156
 ხელი 93
 ხერი 194
 ხვე 14
 ხვეტი 38, 46, 88
 ხითხე 28, 48
 ხილა 47, 58, 62
 ხილა-მიწა 61
 ხიმეცე 154
 ხირმა 97, 103, 105
 ხირმის გრეხილი 123
 ხისვი 101, 103
 ხვამი 53, 66
 ხვიარი 141
 ხვალტი 96, 103, 105, 112, 119
 ხვალტის დაბილულა 103
 " ნაფთული 103
 " ოთხკუთხაი 103
 ხომხური ჭურჭელი 74
 ხორხალი 82
 ხოფელი 18, 57, 58, 61, 63, 73, 157, 161, 193
 ხოფლის შეერნობა 18, 201
 " ოსტატი 28, 47, 73
 ხპილენი 26, 47, 48, 71, 153, 154
 ხპილენის ჭურჭელი 73
 " ხეხი 48
 ხრული დილოცვა 158
 ხუდარა 92
 ხურა 35, 37, 38, 70, 182, 183, 199
 ხურავი 77, 78, 79
 ხუფრა 36
 ხური ხმალი 181
 ხურიშხაი 98, 103
 ხველა 23
 ტალავარი 91, 93, 95, 96, 106, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213
 " კერპული 95
 ტალავარი 46, 71
 ტალახი 31, 33, 58, 65
 ტალახის კედელი 34
 ტალევერი 38
 ტანგაფორული ცხვარი 176
 ტანდაბალი ცხენი 176
 ტანი 76, 77, 83, 176, 177, 181, 183
 ტანისაშოსი 93
 ტანსაცემი 93
 ტანსაცემი 96, 97, 106, 130, 146, 181
 ტანსაცემი-ტანისაშოსი 91
 ტანსაცემის შოკვანლობა 183
 ტანდაბალი ცხენი 176
 ტარი 34, 57, 58, 59
 ტარამუკი 34
 ტაძარი 93, 174
 ტახტი 39
 ტბა 135
 ტევიდობა 67
 ტელუფისი 63
 ტექნიკა 35, 44, 46, 51, 69, 75, 176, 195
 ტვირთი 198
 ტივა 155
 ტილო 98, 115, 119, 123, 124, 125
 ტილოს ჭვარი 125, 126
 ტინიანი მიწა 10
 ტყბილი 36, 195
 ტყევი 139
 ტყვის კალათა 51
 ტოლი 95, 97, 98, 100, 101, 105, 107, 111, 114, 116, 199, 122, 123
 ტოლი თეთრი 96
 ტოლის ქსოვი 95
 " სარტყელი 101
 " ქსელი 95
 ტომი 26, 64, 91
 ტომის შიმა 103
 ტოტეზნამოშვეული სარტყლი
 ტოტეზნამოშვილი კაბა 184
 ტრტი 121, 122, 123, 191
 ტრანსპორტი 198
 ტუკი 111
 " გარდასაფლავად ანუ გადასაწვევად
 მომზადებული ვაზი 24
 ტუკი ვაზი 17
 "ტუნტლი" 28
 ტუჩიანი ჭურჭელი 79
 ტუჩპირი 76
 ტუჩვი 104
 ტუჩვის შევერვა 96
 ტუჩ 198
 ტუჩვი 34, 48, 71, 150, 153
 ტუჩვი-კალა 48, 49
 ტუჩის კალათა 198
 ტულაპი 69
 უბანი 28, 194
 უბე 100, 102
 უბესაყვება 100
 უბე-ფარავი 97, 109
 უბეკო 37, 70
 უბეზად განუყოფელი სოფელი 194
 უბეზახი 18
 " ზოლი 5
 "უბეზახი-ზოლი" 18
 უბეზახი-ზოლი 5
 უზ (სახე) 143
 უზუკი 145

- ჭებუშვილი 143
 უთავო 175
 უთავსახურავო ღებვი 35
 უთავო 65
 უკანა ბოვირი 49
 უკანა ხალთა (ფერი ხალთა) 131
 უკე ქოსალის ნათფლარი 181
 უკობაწური 69
 უღვაში 17, 185
 ურემი 14, 50
 ურმის თვალი 151
 ურმობით 32
 ურუმი ქალი 129, 130
 " ქალის თავსაბურავი 129, 132
 სამკაული 129, 141
 ურუმობა 129
 ურუყავი 201
 უსტაბაში 157, 158, 159
 უსტ ლეჩიკი 132
 უფალი 186
 უფალი ღებრთი 42
 უქუსლო 37
 - წულა 181, 182, 183, 184
 უღელი 31, 65
 უღელ-ჩამოცემული ბოძები 31
 უღელის ზომა 21
 უკურძნო რტა 15
 უწიბწო უურძენი 6, 9
 უჭრა 61
 უხილო 18
 უხილო ზოლი 5
 უხუცესი 187
 ფაბრიკული ქსოვილი 103
 - წესი 99
 ფათალო 14
 ფაიფური 156
 ფანე 138
 ფანდური 178
 ფანჯრები 62
 ფარა 138, 141
 ფარავი 97, 98, 99, 102, 103, 104, 108, 109,
 112, 113, 115, 116, 117, 119, 120, 121
 ფარავის დაკბილულად 112
 " კანკი 97
 ფარვალი 54, 148
 ფარდაზი 153
 ფარი 108
 ფარფლი 37, 38, 42, 53, 56, 70
 ფარფლი ანუ ტუჩი 43
 ფარფლ-შემოვლებული 38
 ფარჩა-ჩაფუტი 139
 ფარცხისეული ვერძი 178
 ფაფანავი 96, 104
 ფეხვი 105
 ფეთა 138
 ფეიქარი 184
 ფეიქრობა 96
 ფეხე (ფეთე) 116
 ფერალი ქსოვილი 99
 " უურძენი 9
 ფერდი 127, 88
 ფერწრთა სასხმელი 92
 ფერი 28, 63
 ფერსო 11, 22, 24, 25
 ფერსოს გაკეთება 17
 ფერფერი შიბა 103
 ფერფლი 9
 ფესვი 21, 23, 24, 202
 ფესი 78
 "ფესო" 29
 ფეშკირი 130, 131
 ფეხებგამოჭრილი ცხენი 178
 ფეხზე მდგომი პატარა საველო 185
 ფეხსაკმელი 96, 183, 184
 ფეხი 37, 38, 39, 42, 45, 46, 53, 56, 58, 61,
 62, 66, 84, 180, 182
 ფეხიანი აგურ-კრამიტის ქურა 65
 ფეხიანი ქურბელი 37
 ფეხით სატრიალებელი ჩარბი 195
 ფეხის სატრიალებელი ჩარბი 40
 ფთილა 44, 47, 53, 54, 56, 95
 ფთილების შემოქნა 42
 ფთილი 41, 43, 45, 46
 ფირფიტა 33, 34, 58, 98
 ფირფიტის ფრთა 34
 ფიქალი 55
 ფიცარი 34, 39, 46, 52, 53, 57, 58, 59, 66,
 69, 176
 ფიცრის კედლები 53
 ფიცხი მიწა 27, 29
 ფიქვი 40
 ფიქვის ხე 139
 ფთოლის სიდაშლე 16
 ფოთოლი 8, 9, 46, 53, 54, 58, 68
 - პატარა 8
 ფოლადის დანა ("ეგლი") 139
 ფონი 184, 185
 ფრაგმენტი 180
 ფრთა 34, 43, 183
 ფრთებ-გაკეთებული 43
 ფრიხველი 177, 190
 ფსკერი 53
 ფუთი 36
 ფული 51, 99, 138, 145, 157, 164
 ფუნჯი 105, 134
 ფუნჯ-მძივები 134
 ფურცელი 14
 ფურჩხა 23
 ფუქილი 35
 ფშაური 198
 ფჩა 148
 ფხეკა 43
 ფხეკვა 42
 "ფხეხილი" 28
 ფხია 90
 ფხიე 90
 ფიქსი 141
 ქაბილა 95
 ქადაგობა 199, 200
 ქათობი 96, 104
 ქალბანი 96
 ქალაქი 51, 63, 93, 147
 ქალ-გამოსახულებანი 182
 ქალის გამოსახულება 184
 ქალ-მიცვალებული 184
 ქალი 96, 103, 180, 187, 188
 ქალის გატაცება 199
 ქალის დაწინდვა 145
 " პაქიკი 106
 საფლაკი 186
 " შრომა 193
 ქალის ჩაცმულობა 97
 ქალის წულში გამოწვიული კაბა 184
 " წულა 184
 ქალ-ფათინი 148
 ქანდაკება 157
 " ვერძის 175



- ქანდაკება ცხენის 175
 ქანდაკება ცხვის 175
 ქაშარი 146, 149, 150, 185
 " აშურმა 149
 " გომამინი 149
 " სამნაკრიანი 149
 " შაბაჭა 149
 " ზერქაზული 149
 " ჩუქურთმა გრძელნაკრიანი 149
 ქანები 141
 ქარგალი 157
 ქარგვა 98
 ქარგვად დამტკიცება 158
 ქარღვა 96
 ქართველი მევენახე 19
 ქართველი კერამიკოსი 26
 " მხედრობა 93
 " ტომი 64, 71, 89, 91, 106
 ქართველთა ნივთიერი კულტურა 86
 ქართლის ცხოვრება 92, 106
 " ბარი 66
 ქართლური ქოთანი 37
 ქართული აგური 71, 57
 " ანაური 196
 " ვახი 19
 " ვახის რქა 19
 " კერამიკა 26, 68, 71, 196
 " კერამიკული კულტურა 26
 " კრამიტი 57, 59, 61, 71, 72, 196
 " კულტურა 193
 " კოსტუმი 185
 " მევენახეობა 5
 " მექვევრეობა 67
 " მშენებლობა 66
 " მწერლობა 89
 " საისტორიო მწერლობა 90
 " ტანისამოსი 158
 " ფრესკები 5, 180
 " წერილობითი წყაროები 90
 " შურტული 74
 " ხალხური ორნამენტი 94
 ქარი 30, 47, 66, 199
 ქარსიცხე 27.
 ქარხანა 29, 40, 53, 57, 59, 61, 62, 196
 ქარხნის ძირი 29
 ქერთიჭი 135, 136
 ქერი 164
 ქერქი (მარცლის) 15
 ქვა 34, 39, 48, 65, 175, 177, 180, 181, 186,
 187, 190, 191
 ქვაბი 48
 ქვაბრქვისსავანე გაკეთებული კრამიტი 26
 ქვაგუნდა 194
 ქვაგუნდი 27
 ქვა-კენჭი 29
 ქვიდა ლუჩქი 131, 132
 ქვივრი 29, 31, 32, 51, 52, 53, 54, 55, 64,
 65, 67, 195, 202
 ქვივრის დახუთვა 56
 " სვამი 66
 " გამოშრობა-გამოწვა 195
 ქვივრის პირი 31
 " პირივით მრგვალად მოყვანილი 31
 " ქარხანა 29
 " მურა 29, 65
 " თენება 195
 ქვივრული შენება 69
 ქვივრულ მოგზაური 194
 ქვემო ქართლის სასაფლაოები 191
 " საფლავის ძეგლები 192
 ქვემო ქართლის ძველი ოსტატუნქმენსული
 მამულები 33
 ქვეყანა 64
 ქვეტელი 54
 ქვიხი მიწა 10, 19
 ქვითკირი 29, 30
 ქვითკირის ლირები 29
 ქვის თავისუფალი ფონი 182
 ქვის კედელი 33
 ქვის კუთხეები 181
 ქვის ბოლგე 179, 185, 186, 187
 ქვის ქალ-გამოსახულება 183
 ქვის ძირი 188
 ქვის ხელოვნური კედელი 65
 ქვის ნურობები 26
 ქვიშა 151
 ქიზიყშივანით კახური 66
 ქილა 70, 80, 83
 ქილუხა 35, 36, 37, 70
 ქიმი 45
 ქინძმარაული 20
 " ქიშკირი 132
 " ქლიბი 148, 155
 გურგარბი 148
 " ქლიბი ზურგაიანი 148
 " " ობსკურთა 148
 " " სამკურთა 148
 ქისა 183
 " ქობა 70
 " ქობუნა 72
 " ქოთანი 36, 37, 38, 42, 51, 64, 195
 " " ამოსაყვანი 35, 36, 37
 " " შრგვალგვამიანი 38
 " " სარძევე 35
 " " სატკბილე 38
 " " სატკბილო 35, 37
 " " საშეკვამადე 35, 36, 37
 " " სამოხე 35, 36
 " " საწველი 37
 " " სახარშოვე 35
 " " ტანმალაი 38
 " " ტანდაბალი 38
 " " ტანწერილი 38
 " " ქართლური 38
 " " ქართული 35
 " " ქოჭა 100
 " " ქოჭლი 96, 102, 103, 104
 " " ქოჭლი 102, 104
 " " ქოჭონი 97
 " " ქოჭონი 97, 100, 101
 " " ქოჭონით შანაყარზე ჩამაკერებული 101
 " " შუაზე ჩასაკერებია 101
 " " ქოჭო 67, 202
 " " ქოჩოს წყლის საქურე 28
 " " ქონიხი 106
 " " ქრისტიანობა 127
 " " ქრისტიანობის გავრცელება 89
 " " ქრისტიანული რწმენა 128
 " " ქსენონი 93
 " " ქსელი მეჭურჭლე 69
 " " ქსნური მეჭურჭლეობა 69
 " " " ქილა 70
 " " ქვლწვილი ქურტული 70
 " " ქსოვა 95
 " " ქსოვა ბაღსავით 137
 " " ქსოვილი 96, 98, 104, 112, 114, 139
 " " " მატყლის 114
 " " ქსოვის ტექნიკა 106
 " " ქული 96, 141, 178, 182, 185
 " " " სარქულიანი 130
 " " ქულაქისნაირი 183



- ქულბაქი 34
 ქულბაქ-კედელი 34
 ქურა 29, 32, 33, 34, 48, 49, 50, 55, 56, 59,
 62, 63, 65, 66, 67, 76, 148, 152, 196
 ქარხანა 29
 " ცალპირი 30
 " წისკელი 65
 ქურის გეგმა 32
 ქურის თავი 31, 50
 " თვალი 31
 " კედელი 31, 33
 " სამირკველი — „ბაღევერი“ 31
 " სივრძე 34
 " სიმაღლე 34
 " ცა 31, 33
 " წინა პირი 30
 ქურის წინაპირის არაკვა 31
 " კბილი 32
 ქუსლი 37, 52
 ქუსლიანი 54, 180
 " წულა 182, 183
 " წულები 182
 ქუსლის დაკერა (იხ. დაქუსვლა) 52
 ქურის უკანა კედლები 32
 ქუფე 143
- ღაბახი 199
 ღამე 49, 63, 198, 199
 ღამის თევა 198
 ღარი 59, 72, 196
 ღარიგებური კრამიტი 59, 60, 61, 71
 ღერძი 40
 ღებვა 48
 ღველების აბზინდები 149
 ღვთისმობლის ეკლესია ტბისში 177
 ღვინის დაყენება 7, 201, 202
 " დერგი 54
 " ღამე 36
 " ხალეჭი 37
 " სასმისი 35, 38
 " ჩაყენება 180
 " შურქელი 178
 ღვინო 17, 19, 20, 26, 36, 67, 180, 195, 202
 " ამოსაღები 37
 ღვინობისთვე 24
 ღვინუა 95
 ღვინვია
 ღობვა 30
 ღობის მარგილი 14
 ღონიერი ვაზი 25
 ღილები შუშის 116
 ღილი 97, 100, 107, 110, 114, 116, 117,
 118, 120
 " ლითონის 117, 119
 ღილმატაი 97
 ღილიკლოები 181, 182, 185
 ღილ-მიივი 98, 105, 107
 ღრუ 33
 ღოუბანის სასაფლაო 187
- ყავარი 52, 196
 ყავარი ფიქვის 40
 ყაითენ 135
 ყაითებები 132
 ყაითისებური ზონარი 99
 ყალბი 148, 153, 154,
 ყალბი მოსათხრელი 148
 ყალბი ხაზის 148
 ყალიბი 37, 44, 46, 57, 58, 72, 148, 149,
 151, 195
- ყამირი 19
 ყამირში ჩაყრილი ვაზი 19
 ყანდარი 187
 ყანჭი 49, 177, 182, 183, 185, 190
 ყარა 135
 ყარა მაშახ 132
 ყასნალი 134
 ყაშ (ყარბი) 145
 ყაწი 99
 ყლა 95, 101
 ყლაზე დაბეკდილი 98
 ყლაზე დაქსელვა 95
 ყელგანირი ქურჩული 189
 ყელი 34, 37, 38, 40, 45, 43, 53, 54, 69, 76,
 77, 78, 84, 87, 88, 177, 180, 202
 ყელი ტუჩიანი 76
 ყელის ძირი 79
 ყელსაბამი 145, 149
 ყელსაკიდი 144
 ყელსაკიდი გოზბონჯული 144
 ყელ-მათალი და კვიბტიანი წულები 183
 ყელ-მეგრადი 76
 ყელ-პირი 37, 40, 70
 ყელ-ყური 37, 47, 77
 ყელის ჩხირი 44
 ყელწერილი 70
 ყვავილი 15, 134, 154, 155
 ყვავილიდან გამოსვლა 16
 ყველი 35
 ყვერი 40
 ყიზილი 138
 ყიღვა-გაყიდვა
 ყინვა 16, 24
 ყლორტი 21, 22, 23, 24
 ყლორტის ამოყრა 12
 ყმა 174
 ყმა-გლეხობა 161
 ყორღანული მიწა 191
 " ყოჩი" 179
 ყრავჩა 136
 ყრავჩალბი 138
 ყრავჩახი 137, 142
 ყრავჩახ-ყრავჩალსი 136
- ყუბუჩური აზნაოიცი 75
 " „აზნაოიცი“ 75
 " გაყინი 78
 ყუთი 61, 181, 183
 ყულფი 55
 ყუხუი 99
 ყურზე დაყუდება 47
 ყური 37, 38, 42, 49, 69, 76, 78, 83, 86,
 88
 ყური თავაწეული 45
 ყურის თავი 79
 " მიბმა 45
 " მობმა 43
 " ძირი 45, 79
 ყურძენი 5, 7, 12, 13, 15, 16
 ყურძინიანი ტქა 15
 ყურძინიანობა 15
 ყურძინის გამოყვება 25
 ყურძინის გამოტანა 6, 11
 " გაროყება 16
 " დააყდება 8
 " თხლად გამოტანა 15
 " წვენი 7
 " ხეივანი 202
 " ჭიბი 5

- შაბაქა 156
 შაბთასი 148
 შაბიანი 8
 შავი 48, 101, 195
 " მიწა 10, 19, 27, 194
 " ფერი 48
 " მაშახი 132
 " ყურაქენი 6, 8, 9
 შავკაბიტო 6, 7, 9
 შავსაყდარი 175, 179
 შავტარადანა 158
 შალკარი 96, 122, 123, 191
 შალი 95, 114, 141, 191
 " აბრეშუმნარევი 123
 " ლეკური 125
 შალის ქსოვილი 184
 შალქიშშირი 132
 შარები 12
 შარების ჩაყრა 12
 შარისპირები 28
 შატა 97, 100
 შაქარი 44
 შეგირთი 157
 შეგირლობა 27
 შევერცხლა 148, 152
 შევერცხლილი 149
 შევაზა 177
 შევაზმულობა 176
 " ცხენის 148, 190
 შეკონია 14
 შეკონილი რქები 10
 შემაკაყშირებული მასალა (ჯირი) 62
 შემკელობა 97, 146
 შემოდგომა 10, 11, 12, 21, 23, 24
 შემოვლება 54
 შემოკოკოლეებული მიწა 23
 შემონახული 62
 შემოქნა 52, 53, 54, 55
 შემოლობილი 57
 შემოჭლომა 177
 შემოხაზვა 55
 შემშრალი კრამიტი 30
 შენაერთი შიშის 61
 შენება ნაგებობის 53, * 54, 66
 შენობა 47, 63
 " საკულტო 198
 შესამოსელი 22, 91
 შესარვა ვენახის 14
 შესასმელი მილი 48
 შესეენება 55
 შეუღებაჲ კურბელი 194
 შეღება 44
 შეყავებული კურბელი 40
 შეყვლა 14, 15, 53
 შეშა 31, 32, 33, 49, 50, 56, 62, 63
 " ნელი 50
 " ხელი 50
 შეწირულება 174
 შეხვეტილი 58
 შეხურება 62
 შეიღქომონიანი 101
 შთამომავალი 27
 შია 95
 შიბა 98
 შიბად 98, 109, 110, 111, 114
 შიბა ფშველური 149
 შიბა—ქრელშიბაები 98
 შიბები ხეესურული 149
 შიჯნითა მახანალი 148
 შილა 95, 96, 98
 შილტკა 96, 97
 შილი 103, 105
 შილის ზოლი 101
 შილის ნაფთულა 103
 შილიფა 99, 101, 102, 105, 109, 110, 112, 114, 115
 შილიფა ბალრის 116
 შილიფა კუხანაი 102
 შილიფანები 118, 119
 შილიფანი 99, 100, 104, 109, 111, 117
 შილიფი 104
 შინა ვენახი 19
 შინამრეწველობა 73
 შინამრეწველობის დარგი 73
 შინამრეწველური ხელოვნება 73
 შინა პრეწველური 73
 შირიშიანი წერტილები 81
 შირიშის კენჭი 83
 შროშის მექურტლე 196
 შუა თითი 42, 43
 შუარგოლა კრამიტი 196
 შუალამე 199
 შუბი 182
 შუბის წიგრი 178
 შუბლი 182
 შუბლთან სამად განტოტებული თავსადგამი 182
 შუშის მძივები 110
 შუშუ ჩაყრილი აყშურა 105
 ჩაგონგვა 54
 ჩადრი 133
 ჩახთა 131
 ჩახთი 132, 136, 137, 139, 141, 142, 143, 146
 ჩალიქ-შარამა 130
 ჩამოკვეთილი 177
 ჩამოსხმა 147, 149, 150, 151, 153
 ჩამოქნა 43
 ჩამოქნა ფთილის 45
 ჩამოკრივებული 181
 ჩამქლარი 65
 ჩარდახი 30, 57
 ჩარდახული ნაგებობა 93
 ჩარქეა 35, 37, 194
 ჩარქეა ხელადა 45, 195
 ჩარქეი 20, 37
 ჩარქეიანი 36, 37, 44
 ჩარქეიანზე მოზრდილი კურბელი 195
 ჩარი 132, 133
 ჩარსი 75
 ჩარჩო 57, 117, 179, 180
 ჩარაჯული 133
 „ჩარქმული“ ვახი, 22
 ჩარხი 40, 66, 69
 ჩარხ-მათხაფი 148
 „ჩასავალა კური“ 54
 ჩასადებელი 108
 ჩასასვენებელი კუბი 191
 ჩასაცმელ-დასახური 91
 ჩაფდერგები 51
 ჩაფები 48
 ჩაფ-თუნგული 38
 ჩაფი (იხ. ფუთი იმერ.) 32, 35, 36, 37, 38, 70, 194, 202
 ჩაფიანი 54
 ჩაფულა 35, 36, 37, 70, 194
 ჩაფულა-თუნგულა-ჩარქეა 37
 ჩაფულა-ჩაფი 36
 ჩაქები 107, 123
 ჩაქი 116, 127
 ჩაქური 158, 159
 ჩაყრილი ეენახი 23
 ჩაცმა 184

ჩაცმა-დახურვა 124
 ჩაცმა-დახურვის კომპლექსი 130
 ჩაცმა-შეიარაღება 91
 ჩაცმულობა 129, 180, 185
 ჩაცმულობა ქალის 114
 ჩაცმულობა-შეიარაღება 192
 ჩაცმულობის ცალკეული ელემენტი 180
 ჩახშირის გამო 156
 ჩახსნილი 181
 ჩახსნილი კაბა 185
 ჩეღტი 30
 ჩეხველი 142
 ჩეხველებრივი წისკვილი 34
 ჩიბუხი 102
 ჩივილი 147
 ჩითი 111, 132, 134, 135, 141
 ჩირდილი 199
 ჩიჭი 118, 120
 ჩიხტი 184
 ჩონჩხი 176
 ჩოხა 97, 102, 106, 123, 124, 126, 149
 ჩრაქი 148
 ჩუქურთმა 153, 154, 190
 ჩხირაული 193
 ჩხირი 34, 44, 45, 69
 ჩხირებით ქსოვა 106
 ჩხირი სანისკარტი 40
 ჩხირისებური მსუვენისობის რვა ჯიხის შეკვრა 184
 ცა 30, 33, 34, 57, 65, 202
 ცაგაწვრილებული ქუდი 185
 ცალი უღლით გაწყობილი
 გუთნის რელიეფური გამოსახულებები 189
 ცალმა 105
 ცალბირა ტოლი 95
 ცალბირი აგური 33
 ცალბულე ხარშებმული დიდი გუთანა 186
 ცალკურა დოქი 81
 ცალკური 74
 ცალკურიანი დოქი 38
 " პურქელი 76
 ცაცხვი 55
 ცეხტი 27, 41, 44, 47, 193
 ცერად ჩაწყობა 62
 ცერანი 117
 ცერი 41, 42, 43, 44, 45, 46, 53, 57
 ცეცხლი 32, 33, 34, 49, 50, 63, 65, 66
 * დიდი 56
 * ხელი 56, 62
 ცეცხლის დასაწობი თვალი 33
 ცეცხლი პატარა 56, 62
 * ჯირკის 56
 ცვარი 99
 ცივი იარაღი 73
 ცის გადაყვანა 31
 ციცაბო კლდე 198
 ციხე-სასახლე სამშვილდეში 177
 ციხე-სიმაგრეები 160
 ციხე-სიმაგრე ფაზისის 63
 ცოცხალი 185
 * ცხენის ზომა 176
 ცხავატური 66
 * ხელიწერი 70
 ცხეღარი 93
 ცხენი 35, 50, 175, 176, 177, 178, 198, -99,
 ცხენის ტახი 149

ცხენზე ჯდომა 123
 ცხენთა შეკავშულობანი 176
 ცხენი შეკავშული 178
 ცხენის უელი 177
 ცხენოსანი 107
 ცხვარი 104, 105, 176
 ცხვარი 44
 ცხვირსაფარი 132
 ცხვრები ტრანვიციური 176
 ცხვრის გამოსახულება 182
 ნაკარსი
 " საკრეუი შარატელი 178
 " ტყავი 105
 ცხოველი 35, 38, 44, 176, 177, 178
 ცხოველთა გამოსახულების მწიგნ კურტველი
 44, 195
 ცხოველის სახელ გამოყვეთილი საფლავის
 ფეგლი 175
 ცხოველის ტანი 176
 ძაბრი 190
 ძარღვი (შიწის) 28
 ძაფი 44, 46, 109, 110, 111, 112, 115, 116, 118,
 122, 134, 136, 137, 138
 " აბრეშუმის 115, 121, 123, 124, 143
 " მატყლის 111, 114
 ძალი არკვამა 6, 9
 ძეგლი 174, 175, 176, 178, 180
 ძეწკვი 142, 144, 145, 149
 ძეგლი გენახი 10, 18
 ძეგლიანი 10, 11, 13, 21
 ძლიერი გამოწვა 83

წაბლი 48
 "წითელი" ფერის მიწა 28
 წალბი 17
 წალდი 15
 წამალი 34, 48, 50, 66
 წამლის ქურა 34
 " წისკვილი 48, 65
 წამობირქვავება კალაპოტის 62
 წანაჭო 71
 წარმართული ტალავარი 89
 წარმოება 63, 64, 65, 66, 69
 წარმოების პროცესი 68
 " წესი 72
 წარნაჭი (იხ. წერნაჭი, წანაჭი) 47, 71, 195
 წარწერა 63, 177, 178, 179, 180, 181, 186,
 187, 190
 წარწერიანი საფლავის ქვა 180
 წარწერების ამოწრა 186
 წარწერის ამოყვეთა 181
 წაღმა დაძახვა 95
 წაღმა-უკულმა (ტოლის სახეობა) 95
 წაღმა-უკულმა 122
 წელი 23, 101, 180, 200
 წელიწადი 25
 წელნი 102, 103, 104
 წელში გამოწყობილი და ბოლოში გაგანიე-
 რებული მოკლე კაბა 183
 წერის კულტურა 186
 წერნაჭი 71
 წერნაჭი 71
 წერნაჭით მოხატვის ტრადიცია 71
 წესი 59, 63, 64, 67
 წვა 63
 წვეთი 68



- წერი 22, 39, 57, 58, 63
 წერიანი ქული 178
 " წულები 183
 წვეროსან-ულაშოსანი 185
 წვიმა 16, 50, 198, 199
 წვრილი კურკლევი 35, 70, 195
 წვრილმანი ნიშნები 59
 წვინა „ქენახის გარდაღლა“ (საბა) 24
 წითელი 48, 101
 " აჯალო 28
 " თიხა 78, 81, 82, 83, 84
 " და მოკიქული შექურტლეობა 35
 " საინი 38
 " საღებავი 84
 " სკლუტი 103
 " ლვინო 7, 17
 " კინკილა 38
 " კურკლევი 26, 27, 30, 31, 32, 35,
 37, 40, 44, 46, 47, 69, 71, 193, 194, 195
 წითელი კურკლის ოსტატი 193
 " " ქურა 30
 წითლად გამოწვა 50
 წინა ბოგირი 49
 " კალთა 107
 წინა ხალთა (ირელი ხალთა) 131
 წინაპირი 31, 33, 56, 63, 71
 წინაპირი ანუ წინა გული 31
 წინაპირის ამოყვანა 49
 " არაგვა 49
 წინაჩხნელობა 181, 183
 წისქვილი 34, 48, 66
 წისქვილის გული 34
 "წახელით შემორაგვა" 30
 წმენდა 43, 55
 წმინდა 58, 62
 წმინდა გიორგის ეკლესია 61
 წმინდა მიწა 28
 წმინდად ფქვა 34
 წნევი 30
 წნევის ეამარა 31
 წნევის ჭინო-გოდორი ანუ ჭანაბირი 50
 წობენური ურომენი 6, 9
 წრე 34, 35, 55
 წრეობრივი 41
 წრესხვით თავდამრგვალებული 189
 " მოყვანილი თავი 184
 წრეხაზი 54, 55, 67
 წურწურა 78, 85
 წულა ჰეინტიანი წულები 180, 181, 185
 " ქუსლიანი და ჰეინტიანი 184
 წყალარღნილება 199
 წყალი 13, 27, 28, 35, 39, 40, 42, 43, 48,
 58, 62, 18, 199
 " ოჭროსი 155
 წყალობა 174
 წყალშუის მინდორი 199
 წყალამდგარი გავი 11, 24
 წყლიანი მარცვალი 8
 წყლის კურკილი 77
 წყი 51
 წყვი 51
 "წყლით შემოღუსვა" 52
 წყლის მილი 26, 46, 193, 194
 " მილების შეთებლობა 193
 " მილის მოჭრა 193
 " სილა 28
 " ჩარეკა 35, 36
 " წისქვილი 66
 " წმინდა სილა 28
 წყნარი ამინდა 29
 " კალა 194, 198
 " სახური კვლტორა 129
 " კანანი 55
 " კანის ყულვი 55
 " ხელები 55
 " კაპა 8, 9
 " კაქიანი სითხე 80
 " კეინტიან-ქუსლიანი წულები 180
 " კიგვა 23
 " კიგვის შეღვმა 11
 " კიგო 6, 14, 15, 23
 " კიგოს მხრეული 14
 " შეღვმა 14
 " კინკილა 35, 37, 38, 44, 45, 50, 81, 95, 195
 " " თუნგულისა 38
 " " სალა 45
 " " სახიანი 95
 " " ტანმალი 37
 " " ყელმალი 37
 " " ყურიანი
 " კინკილის გუნდა 44
 " კიქა 26, 48, 71, 149
 " " - თავგემოილა 48
 " კიქლა 70, 71, 84, 88
 " კრა 58, 62, 63, 66
 " კრაქი 83, 84, 152
 " კრელა 44, 98
 " კრელების ტექნიკა 44
 " კრელი მარცვალი 8
 " კრელ-ქოქომონი 100, 101
 " კრელშიბა 98, 103, 122
 " კრილი საქინძის 115
 " კურები დიდი 54
 " " რგოლიანი 54
 " კურების დაკუნტება 53
 " კურ-თალრები 68
 " კური 29, 30, 36, 38, 46, 51, 52, 53, 54, 56,
 67, 71, 195, 197, 202
 " " პატარა 54
 " " სალა 54
 " კურიანი კურები 31
 " კურის ზეკები 53
 " " ბინა 30
 " " სკამი 53
 " " ქარხანა 29, 30, 196
 " " ქურა 30, 31
 " " ძირი 52
 " " ანუ კუნკული 52
 " " წარმოება 193
 " კურ-ქევერები 52, 53, 55, 56, 67
 " კურკულ-აგურ-კრამიტის ქურა 30
 " კურკული 26, 28, 34, 36, 37, 39, 40, 42,
 43, 44, 46, 47, 48, 49, 50, 51, 54, 63,
 64, 65, 70, 73, 74, 79, 80, 81, 82, 86,
 87
 " " დიდი
 " " მსხვილი
 " " მსხვილტარიანი 40
 " " პატარა 41
 " " პირვანიერი 42, 45
 " " პირვიწრო 37
 " " სამინტიანი 38
 " " სამფეხიანი 45
 " " საკმლისათვის 75
 " " ტანმალი 37
 " " ქუსლიანი 37
 " " ყელიანი 50
 " " ყულვიწრო 42


- შერკელი შემდგარი 40
 " ცხოველთა გამოსახულებებით 44
 " წერილი 40
 " წელისთვის 75
 შერკელ-თორნიე 66
 " ქვევრი 27, 30
 შერკულელი 36, 46, 70, 74, 20, 195
 შერკელის თავი 42
 " კედელი 76
 " კეთება 76
 " მოხატვის ხელოვნება 71
 " პირი 44
 " საკრელი ხელსაწყო 40
 " საწვავი 32
 " საკრელი 29, 66
 " ფარფლი 42
 " ქარხანა 29, 30
 " ქურა 55, 65
 " ჩაღმა 50
 " წარმოება 27, 69
 " კრა 29, 35, 39, 40, 44, 69, 195
 ჯვრები 149
 ზავეცი 142
 ზახიანი ყალიბი 153
 ზახი ცერა 111
 ზალთა 131
 ზალთი 139
 ზალიფა 93
 ზალხი 62, 91, 93, 179
 ზალხური პოეზია 90
 ზანტალი 150
 ზანჯალი 149, 152, 178, 181, 182, 183, 190
 ზანჯლის რკინა 148, 152
 ზანჯალი ქარქაშისი 152
 ზარადოჭი 35, 36, 37, 70, 194
 ზარალი 14
 "ზარტიანი" (მიწა) 27
 ზარაჩო 53
 ზარების ურემი 28
 ზარი 28, 50, 58
 ზარისთავა („ზარისთავა“) 6, 9
 ზარშებმული 186
 ზატვა 71
 ზატი 92, 98, 99, 105, 109, 110, 111, 112, 113, 115, 116, 118, 121, 122, 127, 149, 170, 198
 " აბრუშისის 126
 " ხეცურული 128
 ზარნი 115, 125
 ზანი 144
 ზე 26, 34, 39, 40, 53, 61
 ზეცურული ვაღმოცემა 95
 " გენეზისი 90
 " სულიერი და მატერიალური ყოფა 89
 " ქართული წარმოშობა 91
 " წინაპრები 91
 ზეცურების წარმოშობის თეორია 90
 ზეცურების ხალხური პოეზია 91
 ზეცური დიალი 104
 " ვეჯავები 123
 " მნდილოსანი 95
 " მამაკაცის შეიარაღება 90
 " ჩაცმულობა 90
 ზეცურის დილა 96
 ზეცურული დიალექტი 106
 " ორნამენტი 91, 98, 113
 " პერანგი 106, 108
 " საფლავი ძეგლები 191
 " ტალავარი 89, 97, 113, 127, 200
 ზეცურული ტოლი 108
 " ქალაქი 199
 " მუღლი 199
 " ჩაცმულობა 93
 " ჯიარი 199
 ზეცურულ ქორწილთან დაკავშირებული ზოგიერთი ცერემონიალი 199
 ზეივანი 38, 202
 ზელადა 35, 36, 37, 195
 ზელადი 70
 ზელგობი 35, 36, 38, 48, 195
 ზელები 42, 45, 55
 „ზელიჩი“ 186
 ზელთეფში 35
 ზელი 14, 40, 41, 43, 45, 53, 55, 62, 189
 ზელით გაკეთება 149, 152
 " სატრიალბელი მორგეი 66, 195
 ზელის ზინდანი 148
 " მომუშობი 59
 " მოკლეება 62
 " ფიციარი 68
 " ჩარხი 66, 69
 ზელოვნება 35, 64, 71, 147
 ზელოსანი 26, 68, 152, 194
 ზელსაქმის ყუთი 184
 ზელსისნები 147, 148, 158
 ზელსისნობა 147
 ზელსაფქვაი 34
 ზელსაწყო 40, 62
 ზელსაწყო იარაღი 40, 44, 46, 69, 72
 ზელსაწყო-ნაგებობა 195
 ზელსახოცი 130
 ზელჯობი 177, 185
 ზელჯობით მოყვანილი სტილიზებული თოფი 181
 ზენჯი 48
 ზეპკო 48
 ზერხი 148
 ზეზერა მიწა 10
 "ზეზერი" მამული 6
 ზეხვა 75, 76
 ზთიშვილი 200
 ზილი 76
 ზილბანდი 131, 132,
 ზირხატი მიწა 10
 ზის სვეტები 31
 " ტარამუქი 34
 " ლერი 139
 " ყალიბი-აგანი 139
 " ხელსაწყო 95
 ზიშტაკი 150, 151
 ზიართი აბრეშუმის 121, 124 126
 ზშალა 39, 52, 58, 66
 ზშალი 149, 152, 185, 190
 ზშლის თაკრა (იხ. დახმალე) 52
 ზშლი-ზანჯალი 177
 ზშობა 55
 ზონჯარი 121, 122
 „ზოროშანი“ 186
 „ზოროში“ (მიწა) 27
 ზოშა 148, 150, 151
 ზოში 69
 ზრალი 55
 ზრიკა 114
 „ზრჩილია ცეცხლი“ 56
 ზსნარი 22, 195
 " ვერცხლის 155
 ზუთქოქომონიანი 101



- ზულა 68
 ზურთომიძეობა 63
 ჯგარი 47, 48
 ჯანაურა 6, 7, 9
 ჯანაური 6
 ჯამი 35, 36, 38, 44, 45, 46, 50, 51, 78, 84, 195
 ჯამი ზიმტაკი 148
 ჯამფილა 84
 ჯამხელაობი 36, 38, 44
 ჯანაბირები 50
 „ჯანიანი ადგილი“ 6
 ჯარა 95
 ჯაპეი 93, 99, 136, 138, 144
 ჯგუფი 176, 179
 „ჯეოთ ენა“ 200
 ჯვარი 28, 61, 109, 110, 112, 115, 116, 118,
 124, 126, 127, 128, 141, 144, 145,
 177, 178, 180, 183, 185, 192, 200
 ჯვარის გამოსახულება 182
 = „ორნამენტი“ 90
 = „თაყვანისცემა“ 127
 = „სტუმრები“ 199
 ჯვარი წარმართული 128
 ჯვარშუბა 28
 ჯვაროსანი მეომრები 90
 = რაინდები 91
 ჯვრის რელიეფური გამოსახულება 181
 ჯიბეები 108
 ჯიგრაშენის საფლავის ქვები 189
 ჯინგირლი უხუცი 145
 ჯინგლი ლეჩქეი 136
 ჯინგრი ლეჩქეი —
 ჯინგრი ჩამბარი 135
 ჯინი 50
 ჯირვი 49, 56, 104
 ჯიში 201
 ჯოხის თავი 53
 ჯოხები 46
 ჯუფალია — ფ. შკირი 131
 ჯობი 22, 43, 45, 53, 54, 55, 184
 ჯღანი ანუ ზულა 96
 ჯობარქი ლეჩქეი 132
 ჯუსტ 134
 ჯუსტ ლეჩქეი 134, 136

შინაარსი — СОДЕРЖАНИЕ

1. მევენახეობა კახეთში	5
Виноградарство в Кახეთი	
2. ვენახის მოშენების ხალხური წესები კახეთში	18
Народные приемы разведения виноградной лозы в Кახეთი	
3. ზემოიმერული კერამიკა (ტაბ. I—II)	26
Верхнеимеретинская керамика (ტაბ. I—II)	
4. დაღესტნური თიხის ჭურჭელი (ტაბ. I—IV)	73
Дагестанская глиняная посуда (ტაბ. I—IV)	
5. ხევსურული ტალავარა	89
Хевсурская одежда	
6. წალკელი ქალის თავსაბურავი (ტაბ. I—X)	129
Цалкинский женский головной убор (ტაბ. I—X)	
7. მასალები კახეთის ქალაქების ოქრომკედლობის შესახებ	147
Златокузнечество в кахетинских городах	
8. ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით	160
Древнее население Алгетского ущелья по этнографическим материалам	
9. ქვემო ქართლის ისტორიული ეთნოგრაფიიდან. საფლავის ძეგლები (ტაბ. I—VIII)	174
Из исторической этнографии Нижней Картли надгробные памятники (ტაბ. I—VIII)	
10. იმერეთში მივლინების მოკლე ანგარიში	193
Краткий отчет о командировке в Имерети	
11. ხევსურეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში	198
Краткий отчет хевсурской этнографической экспедиции	
12. თელავის რაიონში მივლინების მოკლე ანგარიში	201
Краткий отчет о командировке в Телавский район	
რედაქტორისაგან	204
От редактора	
საძიებლები	206
Указатели	



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. სამუშოს დადგენილებით

*

რედაქტორი გ. ჩიტაია

გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩიჩუა

ტექნორედაქტორი ნ. ჯაფარიძე

კორექტორი ლ. გორდელაძე

გადაეცა წარმოებას 4.11.1955; ანაწეობის ზომა 7×12; ხელმოწერილია

დასაბეჭდად 27.1.1956; ქაღალდის ზომა 70×108/16;

ქაღალდის ფურცელი 9,125; საბეჭდო ფურცელი 22,26; საავტორო

ფურცელი 20,26; საალრიცხო-საგამომცემლო ფურცელი 20,73;

შეკვეთა 1690; უე 01044; ტირაჟი 1000

ფასი 16 მან. 40 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა

თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.

ფასი 16 მან. 40 კაპ.

56 - 781

ქართული
ბიბლიოთეკა